კიზა ბუაჩიძე

შავზე შავი წიგნი,

ანუ

როცა ბედი წყდება საქართველოსი...

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1996

84 Гр 7—4
ბ 951

ეს წიგნი პუბლიცისტური ხასიათისაა: მასში განხილული და გაანალიზებულია ჩვენი ახლო წარსულისა და დღეანდელი ცხოვრების ჩრდილოვანი მხარეები.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დემოგრაფიულ პრობლემებს; იგი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

4702170204—477
Б ——————— ბრძ.—96
М—602 (08) — 96

© კიტა ბუაჩიძე, 1996

ISBN 5—505—01585—9

ავტორისაგან

წინამდებარე ნაჯაფ-ნაღვაწს სამზეოზე გამოსვლა ერთობ დააგვიანდა: პირველ ხანებში გონებაშემბორკავი და თავის ჭკუაზე მომთოკავი ცენზურის მიზეზით, ბოლო ხანებში კი — უქაღალდობის გამო.

ავტორი მაინც ფიქრობს, მიუხედავად საგრძნობი ხანდაზმულობისა — მთელი რვა წელიწადი! — „შავზე შავი წიგნი", ალბათ, არცთუ ისე დაძველდა, რომ ამხელად მისი გაცნობა მკითხველს სასჯელად ექცეს, თუმცა... დღეს საქართველოში სულ სხვა ქარი ქრის, ვიდრე მაშინ, როცა იგი იწერებოდა.

ამ დროის მანძილზე ჩვენს ცხოვრებაში ბევრი რამ შეიცვალა; შეიცვალნენ ამ ნაწერში „მოსიარულე" ადამიანებიც: ზოგი რომ წელმოკაკული დადიოდა, ახლა არათუ წელში გასწორდა, ყელიც მოიღერა; პირიქითაც მოხდა: ცხვირაწეულებმა ცხვირები ჩამოუშვეს; იმდროინდელი ბევრი არაგმირი ამქამად გაგმირდა, იმქამინდელი თითქმის ყველა გმირი კი გაჩანჩურდა...

მენდეთ: მე მათთვის, დღევანდელი ქარის ყარნახით, თავდაპირველ ტექსტში არაფერი შემისწორებია, ერთნი — უფრო გალამაზების მიზნით, მეორენი — კიდევ უფრო დასაუშნოებლად...

მოკლედ, თუ ბრწყინვალე თავადს, ალექსანდრე ჭავჭავაძეს დავესესხები, ამ მხრივ

„მე იგივე ვარ მარად და მარად!
არ ესდევ ჟამთა ცვლას,
მე იგივე ვარ მარად და მარად!"

საერთოდ, ისე, როგორც პირველ წიგნში, ამ მეორეშიც გზის მანათობლად ყოველთვის წინ იგივე გვარის მეორე ბრწყინვალე თაეადი მიმიძღოდა:

„მარტო მტერი თუ დაგიმალავს შენ სახეზე
რაიმე უწესივრობა რომ ნახოს, მოყვარე
კი მაშინვე სარკეს მოგიტანს და შიგ ჩაგახედებს".

P. S. ავტორი ბოდიშს უხდის ყველა ხელმოკლე, ჯიბეგაფხეკილ მკითხველს ამ წიგნის დიდი ფასის გამო: ნიხრის დადება არ იყო ამჯერად მასზე დამოკიდებული...

ესეც არის: მანეთ-ნახევრიანი „შავი წიგნი" თავის ფასში მაინც არ იყიდებოდა: წიგნით პირშავმა მოვაჭრეებმა, გამომცემლობის ნაცვლად, თვითონვე აივსეს ისეც გატომრებული ჯიბეები...

1990 წ.

სამი წლის შემდეგ

ჩემო მკითხველო!

არა მგონია, ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ წამოგცდენოდათ, ზოგი ჭირი მარგებელიაო.

ჩინებული, წმინდა წყლის ქართული ანდაზაა, თუმცა მსგავსი რამ ჩინელებსაც მოეპოვებათ, რუსებსაც, გერმანელებსაც და, ალბათ, ბევრ სხვა ხალხსაც.

ფილოსოფიური სიბრძნისა რა მოგახსენოთ, ცხოვრებისეული სიბრძნე კი ყოველი ხალხის წიაღში ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, მიუბაძავადაც ჩაისახება ხოლმე.

დიახ, ზოგი ჭირი მარგებელია!

„კიდევ ერთი დამატება, საბოლოო და უკანასკნელი", — ამის მომდევნო გვერდიდან რომ გაეცნობით, სწორედ ამ მარგებელმა ჭირმა დამაწერინა.

თავდაპირველად ვფიქრობდი, ამ „უკანასკნელით" დაესმებოდა კიდეც საბოლოო წერტილი „შავ წიგნს", მაგრამ ამ ფიქრში იმდენმა სხვა უსარგებლო ჭირმა წამოყო თავი, რომ მას, როგორც ხედავთ, მეორე წიგნი შემოემატა.

შეიძლება ბრძანოთ, ქართველი ერის დღევანდელ, ყველაზე დიდ ჭირ-სატკივართან, ამოწყვეტა-გადაშენებით რომ გვემუქრება, სხვა, მასთან შედარებით წვრილმან ჭირთ რა აქვთ საერთო, მათ ერთმანეთთან რატომ აკავშირებთო?

მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ერის ამ დიდზე დიდ სატკივარს კიდევ უფრო ნოყიერ ნიადაგს უქმნიან ლაღ სასიცოცხლოდ და უხვ სამოსავლოდ...

სამი წლის შემდეგო, ქვესათაურში ამოიკითხავდით, მაგრამ უფრო მართებული ხომ არ იქნებოდა, ეს სამი ხუთამდე გამეზარდა, აკი ბოლო ორ წელიწადში ამ ნაწერში ზოგი რამ ახალიც შევიტანე?!

ვგონებ, არ ეღირებოდა: ძველთან შეფარდებით ეს ახალი ძალზე მცირე ნაწილს შეიცავს და ხელახლა დათარიღება ჩემგან, ვფიქრობ, უმადურობის ქვის სროლა იქნებოდა 1982 წლისათვის, რომლისთვისაც ავტორს სამდურავი თითქოს არა ეთქმის რა.

1984 წ.

კიდევ ერთი დამატება, საგოლოო და უკანასკნელი...

Шумим, братец, шумим...

А. С. Грибоедов

ცხოვრებაში ყოველდღე და ყოველ ნაბიჯზე იმდენ რამ თავსამტერევს ვაწყდებით, რებუს-კროსვორდების ამოსახსნელად აღარც დრო გვრჩება და არც მოთმინება გვყოფნის.

ერთდროულად ლიტერატურისა და ხელოვნების ეს ცნობილი ქმნილება კი ისე დიდად წააგავს ცხრაფუთიანი ინტელექტით გამოტენილ გამოცანას, — როცა იგი საექსპორტო-სამოსკოოდ დასჭირდათ და გამოიკითხეს, ვის შეუძლია მისი აზრისა და არსის, მიახლოებით მაინც, მბობა-ამოცნობა, ეს თვით, თქვენ წარმოიდგინეთ, ინტელექტუალობით თავმომწონე გამორჩეულებმაც კი ვერ შეძლეს და... დახმარებისათვის მის მშობელ ავტორს მიმართეს.

ჰოდა, განა უნდა გაგიკვირდეთ, თუ რა უძირო და უნაპირო იყო ჩემი განცვიფრება, როდესაც ამის მერე ერთ უჭარო, წვიმიან საღამოს, რადიოდან ფსევდომოკრძალებული, ფსევდოთავმდაბლობით აღსავსე, სასიამოვნოდ მეღერადი ხმა უსიამოდ შემომეჭრა მარცხენა ყურის ლაბირინთში (მარჯვენა კაი ხანია გამიუქმეს „კარატისტებმა“):

> „...ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მკითხველ-მაყურებლებისგან უთვალავი წერილი მიიღე და უამრავმა ადამიანმა დამირეკა“.

მოდით და ნუ შეგშურდებათ!

ჰო, მაგრამ, შური ხომ ადამიანის ქვენა გრძნობაა, დასაგმობი და ამოსაშანთავი, შენ კი, ღიმილს ამოფარებული მტრების

გარდა, თითქმის ყველას თვალში გვრიტად ითვლები და... ბი-
წიერების ეშმაკს მიეყიდე ძეხორციელივით?!

გრცხვენოდეს!

მრცხვენია კიდეც, და მერე როგორ? სირცხვილისაგან მსუ-
ქან-მსუქან ტყუილებით მოლაპარაკე ტელევიზიის დიქტორი-
ვით ისე ვწითლდები, ლიანდაგთან რომ დამაყენონ, მემანქანე
ხიფათის სიგნალად მიმიჩნევს და მატარებელს შეაჩერებს.

და მაინც, ეს თავისმომჭრელი სულმოკლეობა ამ ერთხელ
იქნებ მეპატიოს და შემენდოს კიდეც, ა?

აბა თვითონვე განსაჯეთ:

ხალხისა და გონებისათვის მიუწვდომელ, მისთვის თითქმის
სრულებით გაუგებარი ნაწარმოების შემოქმედმა იგივე ხალხი-
საგან სამადლობელი წერილობითი ნობათები თურმე ტომრო-
ბით მიიღო და არც არავინ შეეპუა მორალურ და ფიზიკურ წა-
მებას, რაიც ასე ხელიხელ გადაჭდობილია ჩვენი დედაქალაქის
სატელეფონო ობობისებურ ქსელთან და...

წკრრ და წკრუუ!..

დიახ, გაუთავებელი, პერმანენტული „წკრუ", რათა ექს-
ტრა-ქება მიაგონ და ათას ერთი მადლობა მიუძღვნან ზღვა-
სიხარულისა და მახათას მთის ოდენა ჰარმონიული სიტკბოების
მინიჭებისათვის;

„შავი წიგნის" ოფლდამდენ ავტორს კი, მთელი გრძელი
ორი წლის მანძილზე, სულ რაღაც ათიოდე ბარათი მოუვიდა
და მოშლილი აპარატის ზრიალ-ზუზუნში მხოლოდ ორი ღვთის-
ნიერი ადამიანი შეეხმიანა: ბავშვის შეძენის მონატრული, თვე-
ობით ლოგინს მიჯაჭვული — ნაყოფი რომ შეინარჩუნოს — ნა-
შინაბერალი, და უკვე ხნიერი, ლუდვიგ ვან ბეთჰოვენივით
უცოლო და უშვილო, ოღონდ არაყრუ კომპოზიტორი...

თავი კაცმა თითქოს იმით შეგიძლია დაიმშვიდო, რომ „იმ"
ნაწარმოებ-სანახაობის მკითხველ-მაყურებელთა არმია თეორი-
ულად ათასობით დაითვლება, „შავი წიგნის" მკითხველთა კონ-
ტინგენტი კი დღემდე, რაჭის დაცარიელებული ერთი სოფლის
ბიბლიოთეკის აბონენტთა რიცხვს თუ გაუტოლდება, აკი მისი
„ტირაჟი" მიკროზე მიკროა და, ალბათ, არც აღემატება იმ
საღვთო წიგნების რაოდენობას, წარმართებისგან დამფრთხალი

პირველი ქრისტიანები გამოქვაბულებში ბოჩოლას ტყავზე მალულად რომ წერდნენ.

და მაინც, ასეთი ღარიბული ფოსტა, ასეთი ღარიბული ფოსტა!..

დიახ, ასეთი ღარიბული ფოსტა თითქოს არ შეჰფერის და არ ეკადრება ერის საბედისწერო სატკივარზე თუნდაც უხეიროდ დაწერილ საგაზეთო სტატიასაც, „შავი წიგნი“ კი, ავია თუ კარგია...

არა, სულ ავი თითქოს არ უნდა იყოს, აკი მოარულ ხმებს და ზეპირ გადმოცემებს თუ ვერწმუნებით, ბევრი მის კითხვაში ღამეებს ათენებს და ორასამდე გვერდს ერთი ამოსუნთქვით უღებს ბოლოს, ბევრიც დილიდანვე იწყებს, მაგრამ ვერ ამთავრებს, რადგან... „ერთმანეთს არ ვაცლით და ხელიდან ხელში ვტაცებთ“.

ჰოდა, თუ ეს მართლაც რეალური სურათია და ეს არ არის მირაჟი, მაშინ რით აიხსნება მხოლოდ ორიოდე ზარი და ათოდე...

თანაც ერთი ამ ბარათთაგანი — უკვე დროა გამოგიტყდეთ, — არათუ მადლობის მაუწყებელია, — მოურიდებლად გამომლანძღველი და თითქმის ჩახმახშეყენებულიც... იგი იმდენი ცოდვა-ბრალით არის სავსე, რომ აღმოსავლეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, მათი ერთობლივი ჯამით, უეჭველად მომესჯებოდა, სულ ცოტა, 93 წელიწადი...

ჩამოვთვალოთ მთავარზე მთავარი:

თურმე

> „ფაქტების შეგროვება კარგი საქმეა, მაგრამ მათ სათანადო ანალიზი და მართებული გააზრება სჭირდება“,

მაშასადამე, მე ვერ გამიანალიზებია და ვერც გამიაზრებია; თურმე მე ვიჩენ

> „მაამებლობას („პოდხალიმობას“), ოფიციალური პირების პანეგირიკას“.

(როგორც, ალბათ, გავრილა დერჟავინი к Екатерине Великой! აქვე გავკადნიერდები და ჩემ უ-უგანათლებულეს პრო-

კურორ-გამქიაქებლის საყურადღებოდ გაუბედავი დაეჭვებით შევნიშნავ: „პოდხალიმობა“ ქართულად, მგონი, მლიქვნელობაა, „მაამებლობა“ კი რუსულად, თუ არ ვცდები, უფრო „უგოდნიჩესტვო“ უნდა იყოს, ვიდრე „პოდხალიმსტვო“).

შემდეგ... თურმე

„მშობლებს მრავალშვილიანობასთან ერთად უნდა მოვუწოდოთ შვილის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისაკენ. ამას კი ვერ ვხედავთ თქვენს წიგნში, რატომღაც“.

ხედავთ, მკითხველო, რას ხედავს? მე, თურმე, ქართველებს სხვა ერებში მალე გათქვეფას მოვუწოდებ; მე, თურმე ინტერნაციონალური სიამის ჟრუანტელს მგვრის სომხების ჩასახლების ამბავიც კი შუა გურიაში (ქართველების მხრივ მუშახელის ნაკლებობის გამო, თუმცა, მუშახელი სომხეთსაც აკლია და გლეხები იქაც ტოვებენ სოფლებს, მაგრამ ბევრი მათგანი ისევ სოფელში ცხოვრებას ამჯობინებს, თუკი ეს სოფელი წმინდა ქართულ მიწაზეა!), და აგრეთვე ლეკების შემოსევის ცდებიც ჯერ კიდევ მჭიდროდ დასახლებულ კახეთში და დაცარიელებულ თუშ-ფშავ-ხევსურეთში და სხვა მრავალზე მრავალი, ხალხთა ძმობის გამომხატველი აქცია ქართველების ხარჯზე;

მე თურმე

„ოფიციალობის მოსამადლიერებლად და თავის დასაზღვევად სიტყვა „დისიდენტს“ აგდებულ კონტექსტში“ ვიხსენიებ...

ალბათ შეამჩნევდით, ჩვენი დროის ეს უებრო პერსენოლოგი აკადემიკოს აკლიპი ზურაბაშვილივით ერთი თვალის გადავლებითაც როგორ ჯადოსანივით სწვდება ჩემ ცბიერ გულისნადებს; აკი მე, თურმე, დისიდენტობას თავქუდმოგლეჯილი იმიტომ არ ვუკრავ ტაშს, რომ „ოფიციალები“ მოვიმადლიერო, რათა ახლა მაინც...

როცა სამარიდან სულ რაღაც ხუთიოდე ადლით ვარ დაცილებული, ახლა მაინც ამისრულდეს ჩემი ხანგრძლივი სიცოცხლის ნატვრა და ოცნება: საქართველოს პრეზიდენტმა ამხანაგმა

პავლე გილაშვილმა ეგებ გაიღოს მოწყალება და მიბოძოს სიგელი (ცხადია, მასზე უფრო დიდი პრეზიდენტის ამხანაგ ედუარდ შევარდნაძის დასტურით, თორემ ისე, აბა, ვინ გაგაბედნიერებს!), რათა შავი მიწის წიაღის ჩამყურემ ლურჯი ზეცის შემყურეთა წინაშე, მკვდარმა მაინც მოვიღერო ყელიც და კისერიც:

— ჰეი, თქვენ, ჩემ ზევით მავალნო, წაიკითხეთ და გასკდით გულზე შურით:

აქ განისვენებს საპატიო სიგელოსანი
კიტა ბუაჩიძე...
გამვლელო, ნუ დაინანებ შენდობას მისთვის,
რამეთუ
კაცი ესე მოკლებული იყო ნატამალსაც
იუმორისას...

დიახ!
მე თურმე...

„კონსტიტუციით ქართული ენა სახელმწიფო ენად შევინარჩუნეთო, პირველ პირში რომ ბრძანებთ...“

ო-ო, ახლა გინდა ნაბრძოლ-ნაომართ მიეტმასნო და მათ მიერ დიდებულად გაშლილ, სანადიმო სუფრას მიუჯდე? მაშინ კი სად დაღოღავდი? ხომ იყავი თაგვივით სოროში შემძვრალი, ანდა ბუსავით ფუღუროში?!

ა-ა, ხომ გამოგათრიეთ, ბიძიკელა, სამზეოზე?!

„ასე რომ ნუ იქნებით უმადური და თქვენს წინამორბედთა ღვაწლის მიმჩქმალველი...“

გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ იოლად იხსენი ცოდვილი სული ჩემი!..

ამდენი ბრალდება და... არც დახვრეტა, არც ჩამოხრჩობა, არც კოცონი, და არც მოკვეთა მარჯვენისა, მხოლოდ... ტუსაღობის მხოლოდ 93 წელიწადი!

(მინი — ცნობა: მეფის რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ერთ-ერთი გადამტრიალებელი — სტალინი — ციხეებში, ციხეებში საერთო ანგარიშით, სულ დიდი, რაღაც ორ წელიწადსაც არ მჯდარა, თანაც განუწყვეტლივ კი არა, — პაუზ-პაუზ, ამ სტრიქონების ჩამჭიკჭიკებელი კი — თვალისათვის ძნელად შესამჩნევ ჭიამაიაზეც ეს ბევრად პატარა მწერი, რომელსაც დაუკითხავად საზოგადოებრივი კვების საბჭოთა თეფშიც თავუკულმა ერთხელაც არ გადაუტრიალებია, — შვიდ წელიწადს, თანაც ყოველგვარი შესვენება-პაუზის გარეშე; ერთხელაც კი, ორთაჭალის კოლონიიდან რამდენიმე საათით მამის გასვენებაზე, კუკიაზეც არ გაუშვეს, თვითმპყრობელობასთან მებრძოლ, პოლიტიკურ პატიმარ სოლომონ თავაძეს (პოეტ ობოლ მუშას) კი მეფის სატრაპებმა ნება დართეს მეტეხის ციხეში... ჯვარი დაეწერა).

ციხის ჟარგონით თუ ვიმსჯელებთ, პატიმრობის 93 წელიწადი, რა თქმა უნდა... „Это же детско-фрайерский срок! Просто игрушка“.

მით უმეტეს, რომ მე თურმე...

„კრინტსაც არ ძრავთ ზოგიერთ ძალზე მნიშვნელოვან საჭირბოროტო ეროვნულ პრობლემაზე“.

ვაგლახ, რომ ამ საჭირბოროტო ეროვნული პრობლემებიდან ერთსაც არ მისახელებს ჩემთვის გონებისა და თვალის ამხელად მოვლენილი ეს დიდი ჭკუისა და დიდი სულის მრჩეველი და დამრიგებელი... რომ დაესახელ-მიეთითებინა, მაინც რომელ ეროვნულ პრობლემაზე დამეძრა კრინტი, ჩემი წიგნის „მეორე, შევსებულ გამოცემაში“ კრინტსაც დავძრავდი და შეეცდებოდი კიდეც, რომ...

ო, არა! საამისოდ მე, ცხადია, არც ინტუიცია მეყოფოდა, არც ნაკითხობა, არც გაანალიზების უნარი და, რაც მთავარია, პატრიოტობა ხომ არა და არა, აკი

„ავტორი თავად ვერ უჩვენებს ერს პრინციპულობის მაგალითს“.

ჰოდა, უპრინციპო კაცი განა ერის ტკივილს შეიგრძნობს? განა იგი მის მკურნალად გამოდგება? რასაკვირველია, და ამას წამიერი ჩაფიქრებაც არ უნდა, — სნეული ივერიის ერთადერთი ჯანაოზი მხოლოდ და მხოლოდ ამ ბარათის მომწერია...

მომწერია?!

ო, ო, „ეს რა თქვი, დე-სანტოს?“ ფრთხილად, ყური არ მოჰკრას ამ მდაბიო სიტყვას, თორემ დედამიწას ააყირავებს და ცას ჩამოაქცევს!

და რისხვა მისი მართებული იქნება და სამართლიანიც, აკი თქვენმა მორჩილმა მონამ...

არა, თავხედმა მონამ თავის უპრინციპო და საამებლო, ცრუპატრიოტულ წიგნში, ია-ვარდით მოფენილ გზად მიმავალმა არათუ ცალკე გამოყო და განადიდა, გაკვრითაც არ მოიხსენია

წამებაი მისი და ღვაწებაი მისი, თავდადებაი მისი და სისხლთა დენაი მისი ქართველთა სამშობლოისათვის!..

ამ უბადლო მამულიშვილს (უასაკობის გამო ჯერ ცხოვრების ღრმა სარკეში ჩაუხედავ „იზარდე, მწვანე ჯეჯილოს“ წარმოდგენით!) თავის ბარათში, ჩემი ჩლუნგი აზრით, თითქოს უადგილო ადგილას მოჰყავს ანდაზა: „ლიტრას ესროდნენ და, კოკავ, შენ გესმოდესო“.

არ ვიცი, ვერ გავუგე კი, ამ სიტუაციაში ვინ იგულისხმება ლიტრად და ვინ კოკად, ოღონდ ეს კი ვიცი, რომ არსებობს ასეთი ანდაზაც: ისეთმა ფურმა დამწიხლოს, რომელიც ჩემზე მეტს იწველიდესო...

ერთ-ერთ უმძიმეს დანაშაულად ზორაბ ბალიშზეთავდადებული მითვლის (დასმენა რომ არ გამომივიდეს, სახელს ვუცავლი), რომ მე ვემაამებლები და ვემლიქვნელები ყველაზე დიდ ოფიციალურ პირს საქართველოში...

ჯერ ერთი, რომ ეს ვაკიდან პირდაპირ ამაზონიის ჯუნგლებში მოხვედრილი ყარიბის ტროპიკული ფანტაზიაა, მეორეც, — თუნდა ასეც იყოს, მე ხომ მას ფეხქვეშ არ ვეგები კარიერისტული მოსაზრებით, მრავალზე მრავალ „ზოგიერთივით“ ჩემი პირადი კეთილდღეობისათვის: ბინა მომეცი (მეხუთეჯერ!), „ეოლგა“ — მანქანა გამომიყავი (მეშვიდეჯერ!), მწერლების მდივანბეგობა ჩამაბარე, პიესების წერის ქავილით შეპყრობი-

ლი რეჟისორების მიერ კერძო დუქნებად გადაქცეულ სახელმწიფო თეატრებში ათასში ერთხელ ჩემი პიესაც დაადგმევინე...

და არც წერილობით ვემუქრები, თავს მოვიკლავ, თუ დეპუტატად არ გამიყვანთ-მეთქი, როგორადაც ერთ დროს ვასილ მჟავანაძისა და გივი ჯავახიშვილის სახით კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მიმართა ხან ბარში და ხან მთაში მოსიარულე, ქართული მწერლობის ერთმა უცნობილესმა ოსტატმა, სომხურად „ვარპეტს" რომ ეძახიან...

მე ხომ მას მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ფიზიკური სიცოცხლის შენარჩუნებისთვის „ვემლიქვნელები..."

ანდა, გაუგონია კი ვისმე, კაცი შუა ზღვაში უმწეოდ ფართხალებდე და იქვე, გემზე მდგომ კაპიტანს, ხელში მაშველი სარტყელი რომ უჭირავს, ზედ „Грузия" რომ აწერია, — გადამარჩინეო ეხვეწებოდე, და თან მასვე ლანძღავდე და თათხავდე, აი შე ასეთო და ისეთო, ჩქარა, მალე ეგ „სპასატელნი კრუგი" გადმომიგდე, მე შენი გამჩენი დედაც და მამაცო...

ან არ ვარგა ნავსა ჯდომა, ანდა მენავესთან ბრძოლა, — შევახსენებდი ამ ანდაზას ანდაზების, როგორც ჩანს, სათუთ მოყვარულს, რომელიც, კერძოდ, იმის გამოც გაგვიჯვარდ-გაგვიგულისდა, რომ საგანგებოდ არ აღვნიშნეთ მისი გარიბალდისებური როლი კონსტიტუციის იმ მუხლის შენარჩუნებისას, რომელზეც ვწერდი „შავი წიგნის" შუა ნაწილში...

რას გააწყობ, ბრალდებაა ისეთი, თუნდაც გაექეცი, ჰეშმარიტება მაინც პირველსავე მოსახვევში დაგეწევა...

მართლაცდა, ამ სფეროში არც მისი როლი გამხსენებია და, ასე განსაჯეთ, არც ზოგიერთი სხვისა, რომელთაც, საერთოდ, რიდითა და პატივისცემით ვეპყრობი.

და ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მაშინაც მიმაჩნდა და ახლაც იმ აზრს ვადგავარ, რომ ის სადავო მუხლი ჩვენთვის, როგორც ერისთვის, მხოლოდ ფორმალური, თავის მოსატყუებელი ცარიელი სიტყვაა, და ის, თუნდაც, ერთი ქართველი ახალგაზრდის არათუ სიცოცხლედ, — მისი ცხვირიდანაც კი წარმოდენილ ორიოდ წვეთ სისხლადაც არა ღირს.

დიახ!..

პირველ პირში რომ ბრძანებთ, კონსტიტუცია შევინარჩუნეთო...

კი, პირველ პირში ვბრძანებ, მაგრამ არა იმიტომ, რომ ჩემგან დაუმსახურებელი ვისიმე ღვაწლი და ამაგი მივითვის-მივინაწილო...

პირველი პირი აქ და ბევრ სხვაგანაც, ეს ჩემი წიგნის მხოლოდ ლიტერატურული ხერხი და ფორმაა; ძალიან ხშირად მე ამ ხერხით სხვების ბევრ ცოდვასაც ვიღებ საკუთარ თავზე, თუმცა, სინამდვილეში, იმ ცოდვებისგან, იცის ღმერთმა, ძალიან, ძალიან დაშორებული ვარ...

მე, მაგალითად, ისიც შემეძლო დამეწერა, რომ ჩვენ, ჩ ვ ე ნ სტალინს ფეხისწვერებზე შემდგარი ვუკრავდით ხოლმე ტაშს მე-20 საუკუნის, თუნდაც სულ ჩიკრიკელა ადამიანისთვისაც კი შეუფერებელ, ყოვლად გონჯ, ზოგჯერ პირდაპირ ბარბაროსულ „პირად ინიციატივებზე", დიდი სიბრძნით გარნირმოყრილად წინ რომ დაგვიხათქუნებდნენ და — გინდოდა-არგინდოდა — უნდა შეგვეთქვლიფა, და თან, მადლობის ნიშნად საამური ცხოვრების მონიეებისათვის შუბლი უნდა გვეტახუნებინა ქვის იატაკზე...

არა, ათასი „ფხიზელი" თვალის გარემოცვაში და მათივე თვალის ერთ დახამხამებაში ფიზიკური გაქრობის შიშისქვეშ მყოფი, ცხადია, ტაშს მეც ვაყოლებდი, მაგრამ მაინც...

1937 წელს, როცა პურისა და შეშის დამზადების პარალელურად ხალხის „დამზადებაც" გაუგონარი მასშტაბით მიმდინარეობდა და წარმოება-დაწესებულებებში, სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში ყოველდღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი, სახელდახელოდ გამართულ მიტინგებზე, ერთსულოვანი მქუხარე ტაშით უნდა გაგვენადგურებინა სულ ახლად და ახლად, ასობით და ათასობით გამომეღავნებული „ხალხის მტრები", რომელთა შორის ჩვენს მამებსა და დედებსაც მიითვლიდნენ, ძმებსა და დებს, არცთუ იშვიათად ბალღებსაც (ერთმა მამიკოს დამჭერი ეჟოვის სურათი დახია, მეორემ რვეულის თავფურცლიდან „ძია სტალინის" სურათი ვერ გადმოხატა კოხტად და ლამაზად, — ცალი ულვაში მეორეზე ცოტა გრძელი გამოუვიდა და, ასე განგებ დახატაო, დააბეზღა კლასის დამრიგებელმა, უფრო იმის შიშით, თუ არ ვამხილე, ვაითუ სიფხიზლის მოდუნებისთვის მასთან ერთად მეც დამიჭირონო).

ჰოდა, იმ ზარდამცემ დღეებში, რაკი ცალხელას, ასე ყვე-

ლასათვის საჩინო ფიზიკური ხინჯის გამო, ტაშის დაუკვრელობა შეიძლება (შ ე ი ძ ლ ე ბ ა!) კონტრრევოლუციად არ ჩამთვლოდა, მეც ვითომ, დაცემისას, ხელი ვიღრძე და ბინტშეხვეულ-შეფუთვნილი გულმკერდზე ჩამოვიკიდე, რათა, ჩემი ხელებით მაინც, არ გამენადგურებინა ბევრი ჩემი უდანაშაულო ახლობელი და ბევრიც შორებელი...

(ამას ახლა, ღმერთის გარდა, უნივერსიტეტის იმდროინდელი ერთი ამხანაგიც დამიმოწმებს (ვაჟა ჩინჩალაძე), რომელსაც მ ა შ ი ნ, საბედნიეროდ, დაჭერილი ჯერ კიდევ არავინ ჰყავდა და ამიტომ თავსაც შედარებით ლაღად გრძნობდა, თანაც იგი სანდოზე სანდო იყო და „ფერშლობასაც" ის მიწევდა).

დიახ, ცუდკაცობის სწორედ პირველმა ნიშან-თვისებამ — უმადურობამ — შეუშმუხნა ჩემ მიმართ ნათელი შუბლი ერის ამ მაშვრალ შვილს, აკი მე თურმე მივჩქმალე მისი წინამორბედობის ღვაწლი და კვალი... რომ ის არა და მისი ადრეული დისიდენტური საქმიანობა, მე თურმე გზას ვერ გავიგნებდი, ენას ვერ ამოვიღებდი, კალამს სამელნეში ვერ ჩავაწებდი და ვერც ამ უდღეურ წიგნს დავწერდი, რომლისთვისაც მასალებს ვაგროვებ ა ქ ტ ი უ რ ა დ, სულ ცოტა, სამი ათეული წელიწადი, მასზე ფიქრი კი გულს მისერავდა (და მისერავს) და გონებას მიფორიაქებდა (და მიფორიაქებს) ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა ეს ჩემი წინამორბედ-გზისმკვლევი ჩაფიქრებულიც არ ჰყავდათ მის მშობლებს.

თქვენ აგდებულ კონტექსტში იხსენიებთ დისიდენტობასო...

არა, არც აგდებულად ვიხსენიებ და არც გამოცალკევებული მოწიწებით. ჩემთვის „დისიდენტი" ისეთივე ჩვეულებრივი სიტყვაა, როგორც, მაგალითად, დისერტანტი, დილეტანტი, დეისტი, დეტერმინისტი და ათასი სხვაც. „დისიდენტიც" ამათსავით ლათინურიდან მოდის და, თუ მას რელიგიურ საბურველს ჩამოვაცილებთ, სხვაგვარად მოაზროვნეს ნიშნავს და მეტს არაფერს.

სხვაგვარად მოაზროვნე, სხვანაირად მოაზროვნე... სხვაფერ... სხვაფრივ... სხვარიგ...

მერედა, რა უნდა იყოს ამაში საკვირველი და არაბუნებრივი, ანდა რა კრიმინალი უნდა იმალებოდეს მის მიღმა? სამწევრიანი ოჯახიც კი არ არის ყოველთვის და ყველაფერზე ერთი

აზრის მქონე, საგრეეთშიც კი, გიჟები გიჟურად კი აზროვნებენ, მაგრამ ყველა გიჟიც არ აზროვნებს ერთსანოვნად და, მით უფრო, 260-მილიონიან სახელმწიფოში—მამაკაცი და დედაკაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, წვერიანი და უწვერო, ქრისტიანი და მაჰმადიანი, ქურთი და ესტონელი, — განა შეიძლება ყველა ერთნაირად ყველაფერზე ერთი აზრისა იყოს?!

ჰოდა, თუ ეს ასეა, მაშინ ასეთი რა უნიკალობის მაჩვენებელია ეს დაწყევლილი თუ დალოცვილი დისიდენტობა? და თუ იგი თავმოსაწონია, მაშინ, ბატონო, ხელწამოსაკრავი არც მე ვყოფილვარ: ერთ დროს — და მერე რა დროს! — როცა, ჰაერის გარდა, ყველაფერი ნორმირებული იყო, გამოთვლილი და გამოზომილი, ნაბიჯის სიგრძეც და ამა თუ იმ ფრაზაში სიტყვათა რაოდენობა და მათი თანმიმდევრობაც, და როცა მილიონები პროკრუსტეს სარეცელზე ვიყავით მოკრუნჩხული, მეც მიმიჩნიეს, ჩემო დიდო ბატონო, დისიდენტად, მაგრამ შვიდწლიანი სასჯელი სამწლიანზე არ გამიცვლია, უფრო მეტიც, შემეძლო სულაც ამეცდინა, — არ ავიცდინე კი, და ამიტომაც ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო წლები ჩამომაწერეს, მაგრამ ამით ახლა არც თავი მომაქვს და არც ამისათვის პრივილეგიებს მოვითხოვ, ჩემი ამჟამინდელი „გზისგამკაფავი“ კი...

ჩემდამი მოწერილ ბარათს ზარატუსტრასებურად ასათაურებს — „ნახევარსიმართლეს ტყუილი სჯობია“, და მერე: „ერთადერთი ფარი უნდა იყოს სიმართლე“, და იქვე მოაყოლებს საღვთო წერილიდან: „საჭურველად გარე მოგადგეს ჭეშმარიტებაი მისი“.

რაკი ასეა, სიმართლის ფარს საჭურველად მეც მოვიშველიებ და გამოგიტყდებით: როგორც მღვდლის შვილს, სახარებისათვის ხელი მეც მიხლია და გადამიფურცლავს კიდეც, მაგრამ არსად არ ამომიკითხავს, არც ლუკასთან, არც მათესთან, არც მარკოზთან, არც იოანესთან, —

რომელიმე წმინდანს, რომელიმე მოციქულს თავისი მლოცველ-მიმდევარნი თუ მეაბჯრენი პალესტინის გაგანია სიცხეში შუა გზაზე მიეტოვებინოს და თავი თვითონ კვიპაროსის საამო ჩრდილისთვის შეეფარებინოს; არც ის ამომიკითხავს, რომელიმე ერის მესიას (ანდა მას, ვისაც თავი ასეთად მოჰქონდა), გნე-

ბავთ მოსეს, არა მარტო ისრაელთა, — სხვა ხალხთა მილიონების წინაშეც, სიტყვიერად და სახიერად, თავის ნაქადაგებისათვის მიეფურთხებინოს იმდროინდელ ტელედანადგარ — გოლგოთიდან.

დიახ!

ბოლო დროს როგორღაც აღარ შემხვედრია, წინათ კი ბევრგან, ბაღებსა და სკვერებში, სად არ ნახავდით, სამფეხზე შემდგარ ფოტოაპარატის წინ, ტილოზე დახატულ ბედაურზე ამხედრებულ უთავო ჩოხოსანს, — თავის ნაცვლად პატარა საცრის ოდენა ადგილი ღიად რომ ჰქონდა დატოვებული; გაყოფდი „ბაშკას" ამ საცერში და, — წკაპ! ხუთ წუთში შენგან მზად იყო... გინდოდა თორნიკე ერისთავი, გინდოდა ზაქარია მხარგრძელი!

სხვათა შორის, ჩვენში ახლა ასე ჯგროდ ღვაწლმოსილ ერისკაცებად უმირონოდ მონათლულები — მწერალი იქნება იგი, მეცნიერი თუ ხელოვანი, — საოცრად ჩამოჰგვანან ამ თავსაცერას, და არა მხოლოდ ისინი...

ნაჩევარსიმართლეს ტყუილი სჯობიაო... არა, ნახევარსიმართლეს ტყუილი არ სჯობია და, საერთოდ, სჯობია კი ტყუილი რაიმეს?! ასე რომ იყოს, მაშინ, რაც ირგვლივ წლითიწლობით ტყუილები გვესმის, ჩვენ უკვე ახლაც უნდა აყვავე... „იასნო დალშე!.."

(შალვა დადიანის კომედიის „კაკალ გულშის" ერთ-ერთი პერსონაჟი სათქმელს, ცენზურული მოსაზრებით, შუა გზაზე წყვეტდა ხოლმე, დანარჩენი ისეც იოლი მისახვედრიაო).

ჰო, მაგრამ, სრულ სიმართლეს, ერთი ეს მიბრძანეთ, ცხრათავიანი დევის გარდა, სხვა აბა, რომელი იტყვის? თანაც დევები, თურმე, ვერც წერენ და ვერც მეტყველებენ, — ხატავენ მხოლოდ. ასე რომ, თუკი მე ნახევარი სიმართლე მაინც გამოვცერი, — აქ კი, ჩვენს დროში ასე ძვირად ღირებული კიტრივით, თავის ქებას ამ ერთხელ უკვე აღარ მოვერიდები, —

ბარაქალა ჩემში ჯერ კიდევ მოკიაფე, თუნდაც ოდნავ მბეუტავ გულოვნებას!

...ამ სტრიქონებს ნაჩუქარი, საუცხოო იტალიური პასტით ვწერ, რომელსაც ისე ვიზოგავ და ვუფრთხილდები, როგორც

ევერესტზე ამავალი ალპინისტი ქანგბადს და, ცხადია, ჩემი „ალიბის“ დასამტკიცებლად მას ასე უხვად არ მივახარჯავდი, რომ „ის“ სამგვერდიანი უსტარი „ღია“ არ იყოს; ეს კი იმას ნიშნავს, რომ უფლებას იტოვებ ყველას წააკითხო. სამგვერდიან თხზულების დაბეჭდვას და გავრცელებას, თუნდა იგი რომის პაპის ენციკლიკაც იყოს, აბა რა დიდი ჯაფა უნდა!

ჰოდა, მისი ავტორიც „გამარჯვებით“ აფოფინებული („ხომ გაეცამტვერე!“) და ღრმად დარწმუნებული მასში, რომ საქართველოს მესიობა მარტოკა მისი მონოპოლიური მისიაა, — სადაც კი ფეხი შეედგმის და ხელი მიუწვდება, ამ „ენციკლიკას“ ცისფერი ბუშტივით დააფრიალებს...

კი, მაგრამ მოუტანს კი ასეთი საპრესტიჟო გარჯილობა რაიმე სარგებლობას ჩვენს საერთო ეროვნულ სატკივარს?!

სამწუხარო და გულსატკენია აგრეთვე ისიც, რომ ამ მოკლე პასუხსაც კი, ჩემი „ამამეტყველებლის და გამაცამტვერებლის“ შესაძლო მრევლიდან, ალბათ, თითო-ოროლა თუ შეძლებს გაეცნოს.

ისე კი...

ყველაფერი ძველი როდია დასაგმობი და ყველაფერი ძველი როდია შესაცვლელი: ლოგიკის ჩვენი დროის სახელმძღვანელოში ვერ ამოიკითხავთ, რევოლუციამდელი „ლოგიკა“ კი დაბეჯითებით ასწავლიდა: არის საგნები, რომლებზეც არ კამათობენო, და არიან ადამიანები, რომლებსაც არ ედავებიანო.

ერთხელ ლევ ტოლსტოის მეუღლეს მორიდებით და ტაქტით ჰკითხეს, რა არის მიზეზი, რომ ისეთ გენიოსს, როგორიც თქვენი ქმარია, შვილები მაინცდამაინც ისეთი არ გამოუვიდა, როგორიც თვითონ არისო, ამაზე სოფია ანდრეევნამ უპასუხა: „Природа отдыхает“.

ანუ, თუ გადმოვაქართულებთ, ბუნება ასე ხშირად როდი ჰბადებს გენიოსებსო.

მაგრამ ზოგჯერ პირიქითაც ხდება: პუშკინის მშობლები უფერული, წყალწყალა ადამიანები იყვნენ, — არც ჭკუით გამოირჩეოდნენ, არც ნიჭით, — მზეკაცი კი შობეს.

1981 წლის ოქტომბერი

სულ ფუჭია!.. სათვალთმაქცო
გვირგვინები და დიდება,
ეინც ღირსია, თავისთავად,
ღვაწლი შუქად დაადგება!

აკაკი

(პეტრე უმიკაშვილის ხსოვნისადმი მიძღვნილი ლექსიდან)

ჩემი თავი, რასაკვირველია, გამორჩეულ დრამატურგად არ მიმაჩნია, მაგრამ არცთუ ისეთ ჩაჩან-დრამურგად, რომ იგი სადმე და ოდესმე, ორიოდ სტრიქონით მაინც, მოხსენიების ღირსი არ იყოს, და ეს თანაც იმ დროში, როცა ხშირად ბზუილა ხარაბუზაც ქედმოუღლელ ხარად საღდება და ბრალიანთა და უბრალონთა იუბილეების ნიაღვარმა კი „მადლიერი საზოგადოება“ ლამის სულ ერთიანად წაგვლეკოს.

ჩვენში წესად მიღებული ორი ნაღდი (უნაღდოზე არაფერს ვამბობ) საიუბილეო თარიღი ისე ჩამოვიტოვე, რომ ამ საზეიმო დღისათვის არც სხვადასხვა პოზაში „ჩავფართრეთებულვარ“ და არც ტელეფონის ცნობარში ანიდან ჯანამდე საჭირო და გამოსადეგი ხალხის ბინისა და სამსახურის ნომრები მიძებნია. პირიქით, — ორივეჯერ, როგორც იტყვიან, ქმედითი ზომები მივიღე, რათა პრესაში საამისო არაფერი მოხვედრილიყო და არც მწერალთა კავშირიდან ცივმხურვალე მოლოცვა მიმეღო.

მესამე საიუბილეო თარიღის (ალბათ, უკანასკნელის) გასაუქმებლადაც დროულად დავტრიალდი, მაგრამ ამჯერად უკვე ფეხი წავიტეხე: ერთი დიდი გამომცემლობის თავკაცს იმ დროს ძნელად საშოვნელი „ქრთამი“ („საით მიექანება ქართული თეატრი?!“) მივართვი იმისათვის, რომ ჩემზე არაფერი დაეწერათ კალენდარში, რომელსაც მომავალი წლისათვის უკვე ამზადებდნენ...

კალენდრებისა და ბევრი სხვა, უფრო მნიშვნელოვანი რა-

ღაცეების „თლა უფროსმა“ „ქრთამი“ ჩემგან, თუ არ ვცდები, სიამოვნებით კი მიიღო, ოღონდ... არ ვიცი გადაავიწყდა თუ, ცოტა არ იყოს, შეპრეკილად მიმიჩნია, აკი ასეთი სათხოვრით შეწუხებული მომავალი იუბილარი პირველად იხილა...

ასეა თუ ისე, ერთი წლის შემდეგ მეც ვიხილე, პირველად ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში, კედლის კალენდარში ჩემი თავი (უსურათოდ).

რა უნდა მექნა, ნახევარმილიონიან კალენდარს, მე, აბა, რაღას მოვერეოდი, ისე კი, ჩემს ნათესავებ-ნაცნობებ-მეგობრებში, ვისთანაც კი ხელი მიმიწვდა, მათს ეგზემპლარებში ჩემი საიუბილეო ფურცელი ფარულად, გაწაფული დასტაქარივით ოსტატურად გამოვშიგნე...

ეს იმიტომ, რომ ჩემი საიუბილეო დღეების ჩასატარებლად არც საკუთარი თავი აეტკივებინათ და არც ჩემი „დამბადებელი“ სოფლის კოლმეურნეობისათვის დაედოთ ხარკი — როგორც ეს ჩვენში ყველა იუბილარს ურღვევ კანონად აქვს მიჩნეული — ქათამ-გოჭ-ინდაურ-ღომ-ჭად-ყველ-მწნილ-ხილ-ღვინ-პურ-დოშის გამოსაღებად, მინიმუმ ხუთასკაციან საიუბილეო სუფრისათვის!

არ დავფარავ კი, გულში ჩემს იუბილეზე ვხითხითებდი, რამეთუ ზედმიწევნით კარგად ვიცნობ ჩვენში მოღებულ საიუბილეო მექანიკას, რაშიც წერილობით გამოვუტყდი კიდეც — ცხადია, „იუბილემდე!“ — ერთს ჩემს სენაკელ პატივისმცემელს, ჩემი საიუბილეო თარიღით დაინტერესებულს:

„...რაც შეეხება ჩემს მოახლოებულ იუბილეს, როგორც თქვენ იწერებით, — ყოველგვარი მოსაჩვენარი თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, არაფერი საიუბილეო კაცად ჩემი თავი არ მიმაჩნია, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენს დროში იუბილეებზე ასე დახარბებულ-მონადირენი, იუბილარი-მათხოვრები, იუბილე-გამომძალვენი მიმაჩნდეს საიუბილეო ზარ-ზეიმის ღირსად.

გაზეთის ძველი მუშაკი ბრძანდებით და თქვენს მახვილ თვალს ნუთუ აქამდე არ შეუნიშნავს, რომ ახლა საქართველოში იუბილეების 98 პროცენტი ეწყობა თვით „ღვაწლმოსილების“, „ქედმოუღლელ შემოქმედთა“ მიერ“.

ვწერდი ამას და უნებლიეთ თვალწინ დამიდგა ჩვენი დროისა და ჩემი თაობის სამი იუბილარი...

ეს იყო საკმაოდ დიდი ხნის წინათ, როცა იუბილეთა ეპიდემია ჯერ კიდევ არ იყო ზაფხულობით. მუცელასავით ასე საყოველთაოდ მოდებული (ექიმთა მომრავლებამდე მუცელას ზემო იმერეთში დიზენტერიას ეძახდნენ).

იმხანად ეს იუბილარი თუმცა არც წლების მიხედვით იყო მხცოვანი და, თითქოს, არც შემოქმედებით, სიიუბილეო სავარძელში კი იმ გოროზი კრუხივით იჯდა, თითქოს ქათმობისას სულ ოქრო კვერცხებს დებდა და ახლა მათგან ოქრო წიწილებს გამოელოდა...

და აი, სცენაზე გამოხტა კიდეც პირველი „წიწილა" — პატარა, ციცქნა გოგონა, რომელიც ვარდ-თაიგულით მიესალმა ძია (ვთქვათ) კალენიკეს, მერე კი მიკროფონთან მიირბინ-მიფარფატდა, მაგრამ იგი მისთვის ერთობ მომაღლოდ იდგა და მისი საგულდაგულოდ დასწავლილი ტიტინი დარბაზს ვერა და ვერ სწვდებოდა...

„არ გვესმის არაფერი! დასწიეთ მიკროფონი!" — მოისმა შუა პარტერიდან, მაგრამ სცენაზე მოკალათებულ იუბილარის მეგობრებ-თაყვანისმცემელთაგან განძრევა ერთმაც არ ისურვა, უფრო, ალბათ, იმიტომ, რომ მიკროფონი მაშინ, ხრინწიანი ხმის ბოხად მოსაჩვენებლად, ის-ის იყო შემოდიოდა და ბევრს ისეთ რთულ აპარატად ეჩვენებოდა, რომლის საიდუმლოს მხოლოდ საამისოდ განსწავლილი ოსტატი თუ ამოხსნიდა...

ჰოდა, მიდი ახლა არატექნიკოსი ასეთ რთულ დანადგართან და მაყურებლებით სავსე დარბაზის წინაშე აიტკივე აუტკივარი თავი, ანდა, მდაბიურად თუ ვიტყვით, სახალხოდ გაიბითურე ბევრისგან პატივსაცემად მიჩნეული თავუნია!

ამასობაში პირველს მეორე, უფრო გაჯავრებული შეძახილი მოჰყვა, ახლა უკვე ქანდარიდან და... ჩვენმა შედარებით ახალგაზრდა იუბილარმა აქეთ-იქით მიიხედ-მოიხედა და როცა ენთუზიასტი-გამსწორებელი ვერავინ შენიშნა, დარბაისლური ნაბიჯებით მიკროფონისკენ გაემართა და, ალბათ, მანძილს ალღო ვერ აუღო და რაც გზად უკმაყოფილოდ თავისთვის ჩაიბურტყუნა, ვერაგმა მიკროფონმა მთელ დარბაზს ხმამაღლა ამცნო: „ესეც მე უნდა გავაკეთო?!"

ის მაშინ უთანამდებებო იუბილარი გახლდათ და ამიტომ, როგორც ჩანს, იძულებული იყო თავის საიბილეოდ ყველაფერი საკუთარი ხელით ეკეთებინა, ამ მეორემ კი, წლების მიხედვით უკვე მხცოვანმა და, როგორც ხშირად გვარწმუნებენ, შემოქმედებითაც დიდად მხცოვანმა, სხვებისთვის და, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, თავისთვის მუდამ საჭირო და გამოსადეგ თანამდებობაზე მყოფმა, თავისი სახელოვანი იუბილე, სულ აგერ ახლა... ტელესტუდიის ერთ-ერთ ვრცელსა და ფართო დარბაზში გადაიხადა: იჯდა თავად შუაგულ მაგიდასთან ქრისტესავით...

ო, არა! ამ შედარებით შეურაცხყოფას არ მივაყენებ არც ჩვენს ათეისტ იუბილარს და არც... ათასჯერ უფრო კი — ქრისტეს!

ეს კია, ირგვლივ ესხდნენ მოციქულებივით მწერლები და კრიტიკოსები, თუ ზუსტად დავთვალე, სწორედ თორმეტი სული, რომელთა შორის იუდა ერთიც არ ერია ისეთი, ნათლობის სახელად იუდა რომ რქმეოდა.

დიახ, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, მაშინ ჩვენამდე, ტელეეკრანებთან მსხდომ მსმენელ-მაყურებლამდე — ფიზიკა-ქიმიის ყველა ძირითადი კანონის საწინააღმდეგოდ! — ვერ მოაღწევდა იმ საზეიმო ტელეპალატში უხვად მიმობნეული გუნდრუკ-საკმევლის გამაბრუებელი სუნი.

იმ წუთებში და მერეც ბევრს გვიკვირდა, ქართული სიტყვის ამ ღვაწლმოსილმა დიდოსტატმა რატომ აღმართა ეს გადაულახავი ტელეკედელი თავის თავსა და თავისსავე მკითხველებს შორის და რატომ ცოცხალი სახით არ გამოგვეცხადა ფილარმონიის დიდ დარბაზში, ანდა, რომელსაც ინებებდა, სხვა საკრებულოში, ნებავდა სტადიონზეც კი... მე თქვენ გეტყვით და ვინმე უარს გაუბედავდა!..

იქნებ შეეშინდა, ვაითუ მიკროფონი გამიფუჭდესო, მაგრამ კალენიკე — იუბილარის დრო რა ხანია მარადიულობის კუთვნილებად იქცა და ახლა მიკროფონი კი არა, სტერეომაგნიტოფონიც კი ყველასათვის ჩაის კოვზივით იოლი მოსახმარი გახდა...

ანდა ეგებ... ეგებ...

მეოცე საუკუნეში მეცნიერება და ტექნიკა, ადამიანის სა-

ხით, ჩვენგან 400 ათასი კილომეტრით დაშორებულ მთვარეს-აც მისწვდა და მას მოურიდებლად ურჯუკი ბატონივით გულ-ზე ფეხიც კი დაადგა, ადამიანის გულს კი, ჩვენივე ცხვირწინ რომ მდებარეობს, ჯერ კიდევ თვალს ვერ ვუსწორებთ და ვერ ვახერხებთ მის წიაღში ჩახედვას, მასში მიმალული აზრები რომ ამოვიკითხოთ...

ო, ეს რომ შეგვძლებოდა, ეს რომ შეგვძლებოდა, მაშინ... მაშინ... იქნებ ამ ჩვენს საქვეყნოდ აღიარებულ ერისკაცს, უებ-რო მამულიშვილს, საქართველოს დიდ მოჭირნახულეს... მმ... გონებაში ეგებ იმ კვიმატმა აზრმა გაუელვა, იუბილე ცოცხალ ხალხთან პირისპირ რომ გადავიხადო, რა იცი, ვაითუ თავზე ხელაღებული ვინმე ლაწირაკი-ხულიგანი გამომიხტეს და ქან-დარიდან ტყვიის ნაცვლად ახლა, — ღმერთმაც ნუ ქნას! — ყვე-ლასათვის მივიწყებული ჩემივე სტრიქონები ტყვიასავით დამა-ხალოსო:..

ჩემთვის ერთია ერეკლე და აღა-მაჰმად-ხან, —
სადაც არ წავალ, ჩემს სამშობლოს ყველგან ვიპოვი!..

არა, ამას დიდ ანგარიშს კი არაფერს გაუწევდა, მაგრამ ხომ ჩამწარდებოდა, მცირე დოზით მაინც, ყოველგვარი სიტკბოე-ბის მწვერვალზე მყოფს საიუბილეო დაფნის გვირგვინი!..

ჰოდა, განა არ სჯობს შეიყუჟო შენთვის სადმე, მყუდროდ, ტელესტუდიაში და იგივე დაფნის გვირგვინი დამშვიდებულს ჩამოგაცვან, ზვიადად თავმოღერილს?! ასი ათასების თვალწინ, კვირა საღამოს!

მესამე იუბილარმა, ჩვენი დედაქალაქის ხშირმა, მაგრამ მა-ინც სტუმარმა, თავის არამოკრძალებულ შემოქმედებაში რაი-მე ორიგინალობით არასოდეს რომ არ გამოერჩეოდა, სულ ერ-თიანად თავდაყირა დააყენა დედამიწის ხუთივე კონტინენტზე აქამდე მიღებული საიუბილეო ცერემონიალი: იუბილარი სცე-ნაზე როდი დაბრძანდა, — პარტერში, მეცხრე რიგში! (იღბლად თავისუფალი ადგილები ირგვლივ იოლად მოიძებნა: მიუხედა-ვად მოლოდინისა, თეატრს ზღვა-მსურველი სულაც არ მოს-წყდომია).

...და აი, სცენიდან ესალმებიან მას ქართველი მაღმერთებ-

ლები, აგრეთვე ის სტუმრებიც, რომლებიც საგულდაგულოდ თავად ჩამოიყვანა იმ დიდად ცნობილი ქალაქიდან, სადაც თვითონაც ცხოვრობს მრავალი წლის მანძილზე.

ამ საიუბილეო უცნაურობას, რასაკვირველია, ყველა დამსწრე გრძნობდა, გარდა იუბილარისა...? შეიძლება მას ამით ჩვენთვის იმის თქმა სურდა, რომ... აი, შემომხედეთ, იუბილეებს მე არაფრად ვაგდებ, იუბილეები მე, ბოდიში მომითხოვია, ფეხებზე მკიდია, მე ის თავზე ძალად მომახვიესო...

ო, ეს „ძალად მოხვეული“ იუბილეები!..

რა ტყაპატყუპით „გვახვევენ“, ღმერთო, მათ თავს, რა ტყაპატყუპით!..

მეც ხომ იგი „ძალად მომახვიეს“ და... აი გათენდა, როგორც იქნა, კალენდრის მიხედვით, ჩემი საიუბილეო დღეც და...

არც ერთ გაზეთში არც ერთი სტრიქონი, არც სურათით, არც უსურათოდ!..

...და აი, დაღამდა კიდეც და ჩვენმა სიმპათიურმა ენაჭიკჭიკა ჯულიეტა ვაშაყმაძემ, ხელოვანთა და ლიტერატორთა მუდმივმა შემკითხველ-მოსაუბრემ, „მოამბეში“ წარმოგვიდგინა — ცხადია, არა თავისი, კერძო ინიციატივით! — სულ სხვა იუბილარი, გოგი (ალბათ, სახელზეც ატყობთ, რომ საიუბილეოდ ჯერ კიდევ საკმაოდ ნორჩია და, მაშასადამე, ცხოვრებაში რამდენიმე საიუბილეო თარიღი ჯერ კიდევ წინ უდევს), რომელმაც „აღადგინა მრავალი ადრინდელი ქართული კინოფილმი“.

კი, მაგრამ...

ქალბატონო ტელევიზიავ! თუკი ჯეელი კაცისთვის ერთხელ უკვე გადაღებულის აღდგენა — „შეპაჩინკებისათვის“ მოინახა ტკბილი ტელესიტყვა, რატომღა ვერ მოინახა ასეთივე სიტყვა იმ ბერიკაცისთვის, რომელმაც თავისი ცხოვრების წამებულ გზაზე, თუმცა მცირე, მაგრამ მაინც საკუთარი, დაუსესხებელი რაღაც შექმნა?

და თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომღა გადასცემდით ხოლმე, საკმაოდ ხშირადაც კი, მისი კომედიების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებს?

ჰო, მაგრამ, აბა ტელევიზიას რას დაემდურები, როცა სა-

ქართველოს თეატრალურ წრეებშიც კი ერთი სულიერიც არ გამოჩნდა ისეთი, რომელიც გულის გამამხნევებელი ორიოდე სიტყვით მაინც შეეხმიანებოდა ახალ ნაინფარქტალ, თუ დრამატურგს არა, მოდრამატურგოს მაინც!..

ან კი ამათაც რას დაემდურები, როცა შენმა მშობლიურმა, ფაქტიურად პროფკავშირმა — მწერალთა კავშირმა, „ლიტერატურულ საქართველოს" მეშვეობით, თავის, შედარებით, საკმაოდ ძველი წევრისათვის მისალმება არც ასეთი გამოიმეტა და არც ისეთი...

(ორი ხარისხის-რანგის მილოცვა აქვთ დაწესებული: ვინც დიდ ვინმედ მიაჩნიათ, — „ჩვენო ძმაო და მეგობარო (ვთქვათ), ანაპოდისტე! შენ დაწერე ეს... ეს... და ეს..." თითქოსდა ეს ჟღარუნა იუბილარი იმ ზომამდე იყოს გამოთაყვანებული, რომ თავად აღარც კი ახსოვდეს, რა დაწერა... ვინც პატარად და თანაც, ხვეწნა-ვედრებით ტვინის ამომღებად... „მწერალმა არაანაპოდისტემ დაწერა ეს... ეს"...).

შეიძლება იკითხოთ, მაინც რატომაო ასეთი დუმილი ყოველის მხრიდან, ეგებ მითითება ჰქონდათ, — თქვენ ხომ ჩვენს პარტიას და მთავრობას გულზე არ ეხატებით, როგორც ნაციონალისტი და შოვინისტი, რომელსაც მათს შეხმატკბილებულ ორკესტრანტებში დისონანსი შეაქვს თავისი, კვახის ფოთოლლერისგან გამოთლილი, საჭყვიტინებლითო...

და მაინც, არა მგონია, „ზემოდან" რაიმე ბრძანება მიელოთ, აკი, ეს რომ ასე ყოფილიყო, მაშინ სწორედ იმ დღეებში არც რადიო გადასცემდა გამოცალკევებულად:

> „თქვენთვის, სტუდენტური რთველის მონაწილენო! — სცენები სპექტაკლებიდან კიტა ბუაჩიძის პიესების მიხედვით"-ო.

ეს უკვე სხვათა შორის, თუმცა... მმ... როგორც ამჩნევთ, ჩემს კომედიებსაც შეუძლიათ თურმე ხელი შეუწყონ სტუდენტობის მიერ ყურძნის ოპტიმისტურად კრეფას!

...ო, გმადლობ შენ, უფალო, სიცოცხლესთან ერთად წუთისოფლად მოვლენის პირველ დღესვე იუმორის შეგრძნების სულ პატარა ნაცხიც რომ დამანათლე, თორემ 70 წელიწადი

რა გამაძლებინებდა ამა ქვეყნის სულ სტუმარსა და სტუმარს, და არაოდეს მასპინძელს! აბა უიუმოროდ, დროდადრო მაინც, ჩაუცინ-ჩაუხითხითებლად, ქვისკაცი ხომ არ ვიყავი, ამ სასიხარულო-საიუბილეო დღემდე რომ მომეღწია!..

ენდეთ ჩემს გულწრფელობას: ამ ჩემმა „იუბილემ“ დიახაც გამახარა, დიდად გამახარა; მეც ხომ იმ პატარა ადამიანების კატეგორიას ვეკუთვნი, რომელთაც ფრთები ესხმებათ, როცა სამომავლო რაიმეს განვრეტენ, როცა მათი ადრე გამოთქმული მოსაზრება მართლდება...

გამართლდა აკი ჩემი აზრიც, გონიერო მკითხველო, იმის თაობაზე, ცოცხლებზე საზეიმო-საიუბილეო ბრახაბრუხი თუ როგორ და საიდან მობრახუნებს ხოლმე!

დიახ, ჩვენს ქვეყანაში უთანამდებებო კაცი თუ ხარ, ეს იმას ნიშნავს, თითქმის არაფერი ხარ, ამიტომ არის, პატარკაცობა აღარავის უნდა, სულ ერთია ნიჭიერია იგი თუ უნიჭო, მცოდნე თუ უვიცი, მით უმეტეს, რომ განათლებულისა და მცოდნის დიპლომ-ატესტატი ჯიბეში უდევს ყველას, ისეთებსაც კი, ვინც, მაგალითად, სახელმწიფო გამოცდებისას კომისიის შეკითხვაზე, ვთქვათ, რა დაწერა ლავრენტი არდაზიანმაო, რიხით მიაყრის, ლავრენტი არდაზიანმა დაწერა „დანიელ ჭონქაძეო“... და თუ ამ დროს გამომცდელთა მოჟამულ თვალებს შეეფეთა, თავის შეცდომას უმალვე გამოასწორებს: — ო, არა!.. შევცდი, ბატონო, ეს დანიელ ჭონქაძემ დაწერა „ლავრენტი არდაზიანიო...“

დიახ, გოგრაში უყრია რამე თუ არ უყრია, დიდკაცობა უნდა ყველას!

შეიძლება იმიტომაც, რომ ეს ლილიპუტიაში... ბოდიში, ლილიპუტია აქ რა სახსენებელია, — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ეს არცთუ ისე ძნელი მისაღწევია.

აი, საამისოდ თუნდაც სულ პატარა მაგალითი: არის ასეთი ბეჭდვითი ორგანო „საქართველოს პოლიგრაფია“, რომლის ტირაჟი სულ რაღაც ათასი ცალია... არ ვიცი კი, ოთხგვერდიანი, დიახ ო თ ხ გ ვ ე რ დ ი ა ნ ი სახატავი რვეულის ფორმატის ბიულეტენს ეთქმის თუ არა ჟურნალი, თუმცა... რატომ მეტი არ ეთქმის, — ჟურნალთჟურნალი! აკი მას, როგორც ბოლო

გვერდი გვაუწყებს, ჰყავს „მთავარი რედაქტორი“ ესა და ეს, და უბრალოდ „რედაქტორი“ ესა და ეს...

ეს რედაქტორები, უნდა ვივარაუდოთ, დამწყები ჟურნალისტები არიან და მათი დიდკაცობის მადა ჯერჯერობით ამით იფარგლება, მაგრამ არიან უფრო დაბრძენებული, დამსახურებული ჟურნალისტები... ჰმ!..

თუ ახალ ქართულ სიტყვას ვიხმართ — დამბადებადი — ესე იგი, ვინც იბადება თუ დაიბადებაო... დიახ, ეს ამხანაგიც, ჩემი არ იყოს, რაკი დამბადებადია, როდისმე, ჩემი არ იყოს, მოკვდებადიცაა, და როცა ეს საზარელი, უმზეო დღე დადგება, ცხადია, გამოქვეყნდება სულ დიდების ხელმოწერით დიდი ნეკროლოგი (მე რაკი პატარაისიც და პატარებისიც იმედი არა მაქვს, გონებაში უკვე დავწერე ავტონეკროლოგი და შემოვინახე ნაცნობ-მეგობრებისთვის)... მასში შავით თეთრზე ეწერება: „ქართულმა საბჭოთა ჟურნალისტიკამ აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა: მისი ერთ-ერთი ფუძემდებელი უდროოდ და ვაჟკაცურად წავიდა ჩვენგან...“

ამ უდროოდ წასულმა ღვაწლმოსილმა და კალამმოუღლელმა ვაჟკაცმა კი, როგორც რედაქტორმა, ერთი ამბავი დაუწია თავის თანამშრომლებს, როცა მათ შეცდომით გამორჩათ (თუ განგებ გამოტოვეს?) ჟურნალის სარედაქციო კოლეგიის წევრებს შორისაც მისი გვარის მოხსენიება... ნუთუ მან არ იცოდა, რომ ეს თავისთავად იგულისხმება, რედაქტორი, რომელიც, როგორც წესი, კოლეგიას უძღვება... ეს იგივეა, რომ, მაგალითად, პარტკომის მდივანი არ იყოს პარტიის წევრი! მაშ, რაღად უნდოდა, ორად ორ სტრიქონში გავცნობოდით მის გვარ-ტიტულს? ამის ამოცნობა სულ იოლია: ამით კიდევ უფრო გამეთქმება სახელიო...

— ო, ეს სახელი და ეს ტიტულები!

მათი წამდაუწუმ, თანაც გრძლად, ჩამოთვლისას, ყური გვებუგება, მათი ჩაუთავებელი კითხვით თვალი გვეღლება და გვისივდება თავი...

აბა, ერთი, ჩვენს თეატრალურ პროგრამებსაც დახედეთ ხოლმე... თუმცა ხედავთ, ცხადია, და, ალბათ, მათი კითხვისას ბევრი დაკვირვებული მაყურებელი ამრეზით გააფურთხებდა კიდეც, რომ იატაკზე და, მით უფრო, თეატრალურ შენობაში

გაფურთხება უკიდურესი უზრდელობის მაჩვენებელი არ იყოს: ამ „პატარა ზომის“ სიფრიფანა, ბევრგან თითქმის ტუალეტის ქაღალდზე ზოგი „მთავარი“, „სახალხო“, ამის და ამის „ლაურეატი“ ორჯერ და სამჯერაც კი არის ჩაბეჭდილი და სამჯერვე ჩამოთვლილია უსასრულოზე უსასრულო... ვითომ ამ პატარა ზომის ქაღალდზე ერთხელ თუ გაგვაცნეს თავიანთი დამსახურება — ღვაწლმოსილობანი. ჩვენ, მაყურებელ-მკითხველები თითქოს იმდენად წყალწაღებული, დამთხვეული კრეტინები ვიყოთ, ხუთიოდე სტრიქონის ჩაკითხვის შემდეგ კვლავ თუ არ შეგვახსენეს, აღარ მოგვაგონდება...

დიახ, ო, ეს სახელ-დიდება და ეს ტიტულები!

თქვენ თუ გაზეთ „ლელოს“ მუდმივი მკითხველი ბრძანდებით, გეცოდინებათ, ერთ დროს დიდად განთქმული ქართული კალათბურთი დროთა ვითარებაში ისე დაკნინდა, დაუძლურდა, დაჭიანდა (ამჟამად ექვსი ძირითადი მოთამაშიდან სამი არაქართველია), რომ ხანგრძლივი, ჰამლეტისებური ჭოჭმანის შემდეგ, როგორც იქნა, გაბედეს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა შეეცვალათ, და მის უსაქმურ პრეზიდენტს, პარტიის ხაზით საკმაოდ დიდი თანამდებობის პირს, ეს გადაწყვეტილება საწყენად რომ არ დარჩენოდა, მისთვის ს ა პ ა ტ ი ო პრეზიდენტობა დააწესეს, ახალ, საქმიან პრეზიდენტს კი... ოთხი ვიცე-პრეზიდენტი ამოუყენეს გვერდით!

მილიონობით ამერიკელს ერთი ვიცე-პრეზიდენტი ჰყავს, ჩვენს რამდენიმე კალათბურთელს კი — ოთხი, ო თ ხ ი!

და ამის შემდეგ თქვენ კიდევ გიკვირთ, ჭიამაიაშვილებს და კაკაიებს რატომ აღარ დაენახვებათ ცელი, თოხი და ბარი, დაზგა, ხელეჩო და შალაშინი, და რომ მათაც სწადიათ ჯერ ვიღაცის და რაღაცის ვიცეობა, მერე და მერე კი...

დიდი თანამდებობა და მყვირალა სახელი, და ამათთან ერთად, ცხადია, სახრავიც!

ო-ო, სახელს თუ მანქანიანი თანამდებობა არ ახლავს, შაურია მაშინ, ბატონო ჩემო, თქვენი სახელის ფასი!

გახსოვდეს, რომ ხარ ადამიანი!

მამია გურიელი

ანა ახმატოვამ ერთხელ გულისწუხილით თქვა: „У каждого поэта своя трагедия. Меня никто не знает“.

ეფიქრობ, ყალბი კოკობზიკობა და თავზე მაიმუნურად ნაცრის დაყრა გამომივიდოდა, თუ ვიტყოდი, რომ მე, ვიწრო წრეში მაინც, არავითარი სახელი არა მაქვს-მეთქი.

ჰოდა, ეს ექიმიც მე საკმაოდ კარგად მიცნობდა, ენახა თეატრებში ჩემი პიესების მიხედვით დადგმული სპექტაკლები და „შავი წიგნიც“ წაეკითხა, თითქოსდა შესამჩნევი პატივისცემითაც მეპყრობოდა, და როცა მასთან, ასე ვთქვათ, გამორჩეულ სამკურნალო დაწესებულებაში ჩემი ფეხით, უკვე მკაფიოდ გამოხატული წინასაინფარქტო მდგომარეობაში მყოფი, მივბაჯბაჯდი და გასინჯვა დამიწყო, და ამ დროს კაბინეტში მტკიცე ნაბიჯებით თავაღერილი და მუცელგამოწეული შუა ხნის კაცი შემოვიდა, მის დანახვისთანავე ჩემი ექიმი სკამიდან... არ ვიტყვი, ტყვიანაკრავივით წამოხტა-მეთქი, ცქვიტად კი წამოდგა და ახალშემოსულს გაბადრული ღიმილით მიეგება, აქ რამ მოგიყვანათ, რამ შეგაწუხათო...

მე კი რამ მომიყვანა და რამ შემაწუხა, ეს მას უკვე აღარ აინტერესებდა, ნაუცბათევად მომაძახა კი — დღეში სამჯერ მიიღეთ ნიტრონგიო, ოღონდ ამის სათქმელად ვეღარ მოიცალა, ჭამამდე თუ ჭამის შემდეგო, და მეც ეს ნიტრონგი ხან ჭამამდე მივიღე და ხან ჭამის შემდეგაც, მაგრამ...

სასწრაფო დახმარებამ მომდევნო ორ დღეში თუმცა ბარემ ოთხჯერაც მომაკითხა, და მაინც, ჩემთვის საავადმყოფოს სარეცელი მანამდე არ გაიმეტეს („ცეკას პლენუმი მიმდინარეობხო“, თითქოსდა პლენუმის ყველა მონაწილეს ერთდროულად დაერეოდა წელკავი თუ ინსულტი!), ვიდრე შინ უმძიმესმა ინფარქტმა საბოლოოდ არ მომცელა...

...დიახ, როცა ჩემი ფეხით, ათასანტიმეტრიანი ნაბიჯებით მივეღოლდი ჩვენი ჯანმრთელობის... მმ... სათნოებით აღსავსე დარაჯებთან, მაშინ რომ მოესხათ მადლი, ასე ხანგრძლივ და, შეიძლება, სამუდამო დაინვალიდებასაც ავცდებოდი...

სხვათა შორის ის მუცელამობურთული ამხანაგი, როცა სტაციონარში საკაცეთი მიმიტანეს, იქ დამხვდა: ჩემს ექიმს, თურმე, იმ დღეს იგი ფოსტლებისა და პიჟამის მოსატანადაც კი, შინ მანქანით ნახევარი საათითაც არ გაეშვა: ახლავე, დაუყოვნებლივ უნდა დაწვეთო (დიდი მსახიობი თუ ბრძანდები, მკითხველო, ამის ქვეტექსტს იოლად გაშიფრავ: „ხომ გრძნობთ, ბატონო, როგორ ვუფრთხილდები თქვენს სიცოცხლეს?!")... მაგრამ რაკი მას ათდღიანი წოლა-ანალიზებისას სერიოზული სატკივარი არაფერი აღმოაჩნდა, როგორც მოვიდა უკანა სარკმელზე ფარდაჩამოფარებული „ვოლგით", იმავე „ვოლგით" სამსახურისაკენ მხნედ გასწია: ვერ გეტყვით ზუსტად, რა რანგის დიდკაცად ჩაითვლება იგი, ეს კია, მას შეუძლია თურმე ლურსმნის მოცემა, ონკანის, ცემენტის და, ასე წარმოიდგინეთ, ჩეხური უნიტაზისაც, ჩემი მკურნალი ექიმი კი სწორედ იმხანად ახლად მიღებულ ნაკვეთში სახლს იშენებდა...

არა, ის თავის საქმის დაკვირვებული სპეციალისტია და, ალბათ, მიხვედრილი კაციშვილიც, მაგრამ რაკი ჩვენი დროის ღირსეული შვილია და ჩვენი ქებული საბჭოური წესის ტიპიური პროდუქტი... ო-ო, „იასნო დალშე!.."

ამ ბოლო წლებში ქართულ პრესაში მოთავსებული კარიკატურებიდან განსაკუთრებით ორი მათგანი მომეწონა. პირველი ორი ნაწილისაგან შედგება, ორივეზე ქალი და კაცია გამოსახული, ოღონდ სხვადასხვა გარეგნობის მქონენი; წინათ: მამაკაცი მანდილოსანს ხელზე მოწიწებით ეამბორებოდა... ახლა: აბოლებულ სიგარეტზე, ქალს „ფაფუკ" ხელში თავმომწონედ, „სვეტსკად" რომ უპირავს, მამაკაცი თავის პაპიროსს უკიდებს...

მეორე კარიკატურა უტექსტოა, მაგრამ მასში ჩაქსოვილ აზრს ამჟამად ჩვენში 12-14 წლის, ცხოვრებაში უკვე გამოქექილ-გამობრძმედილი გოგო-ბიჭებიც იოლად მიხვდებიან: ცარიელი სავარძლის ორივე სახელურზე მოკრივის მძიმე და მრისხანე ხელთათმანებია წამოცმული, აბა გაბედეთ და ამ სა-

ვარძელზე ვინმე შემეცილეთ, ჩემს თანამდებობაზე ბევრს კი ვიჭირავთ თვალი, მაგრამ, იცოდეთ, შეგაკვდებით და არ დაეთმობი...

და მართლაც, ათასგვარ ღონეს იხმარს, ათასგვარ სიგლახეს ჩაიდენს, რაზეც გინდათ, ხელს მოგიწერთ, რასაც დააკალებთ, იმას იტყვის, ოღონდ საკარძელ-თანამდებობას ნუ გამოაცლით, და თუ მოხდა სასწაული და ათასში ერთი, ბევრი ყოყმანისა და აწონ-დაწონისა და ბოდიშების მოხდის შემდეგ, საკარძლიდან მარელისის მაგარ სკამზე გადასვეს, „ზევით" (ეს უკვე ჩემი ვარაუდით) იმის შიში აქვთ, ვაითუ, ამ ყოფილ ამხანაგს ბოლმისგან ტვინში — და არა ჭკუაში! — სისხლი ჩაექცეს და ცოდვა არ ავიკიდოთო...

განა არ იყო ასეთი შემთხვევები? ერთი მეცნიერი, ნ ა მ დ ვ ი ლ ი მეცნიერი, რომელიც თითქმის ოც წელიწადს გახლდათ იმდენად არა ძალაუფლების მქონე, მაგრამ მაინც, ასე თუ ისე, ხელმძღვანელ, დიდად საპატიოდ მიჩნეულ თანამდებობაზე, რომლის ეშხის გამო მას თავს დაბლა უკრავდნენ, მთხოვნელები (როცა შენი თავი შენ არ გეკუთვნის, მათ ჩვენს ქვეყანაში, აბა, რა გამოლევს!) წელში ორად იგრიხებოდნენ (თუმცა მათ ბევრს კი ვერაფერს უკეთებდა), თავადაც, როგორც დელეგაციის წევრი, ზოგჯერ — მეთაურიც, ხან მოზამბიკის მაპუტუში დადიოდა, ხან ზამბიის ლუსაკაში...

და აი, ერთ დღეს ყოველივე ეს მას ხელიდან გამოეცალა და... მეცნიერებასაც გამოეცალა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბოძი...

ჰოდა, თუკი ეს შეიძლება მოუვიდეს ჭეშმარიტ მეცნიერს, მაშინ რაღა მოუვა — მსგავსი „ტრაგედიის" შემთხვევისას! — თანამდებობის იორღაზე წლობით შემჯდარ ცრუმეცნიერს, ცრუკომუნისტს, საერთოდ, ცრუმუშაკს?

ისე კი, ღირს კი, საერთოდ, მეცნიერი კაცი თავის საქმეს, თავის უშუალო მოწოდება-საქმიანობას მოსწყვიტო-მოაცდინო და სამოღვაწეოდ ისეთი დარგი ჩააბარო, რომლის გასაძღოლად ინსტრუქცია გიდევს წინ და საკუთარი ჭკუა, რა დიდიც უნდა გქონდეს იგი, არაფერში მოსახმარია?!

ღირს განა კომპოზიტორი, მით უმეტეს თუ ნიჭიერია, მუსიკას ჩამოაცილო და მინისტრის ლაგამი ამოსდო? თანაც რა

გარანტია გაქვს, რომ იგი არ გაკვნეტს ამ ლაგამს და მას სხვებს არ ამოსდებს და თავად ნოტებიანად მხოლოდ თავის ქეიფზე არ იმუსიკ-იკუნტრუშებს?!

დიახ, უბედურება ის არის, დიდკაცობის სახელ-სახრავის ცდუნება ჩვენში იმდენად დიდია, რომ თითქმის არც ერთი მეცნიერი და არც ერთი კომპოზიტორი (ეს კი „უთითქმისოდ!“) „სავარძელზე“ უარს არ ამბობს...

ერთმა წესიერმა სწავლულმა მითხრა, აი ჩვენს, ფიზიკის ფაკულტეტზე ისეთი ახალგაზრდები შემოდიან, რომლებსაც საფიზიკო-სამეცნიეროდ თავი თითქოს მართლაც უჭრით, მაგრამ ისინიც კი, პირველი კურსიდანვე, უკვე იმაზე ფიქრობენ, როგორ და სად გაძვრნენ ეგრეთ წოდებულ საზოგადოებრივ, საუფროსო ადგილებზე, რომ ამთავითვე ჩაუყარონ საძირკველი მომავალში გამორჩეულ უზრუნველ ცხოვრებასო...

დიახ!

ამას წინათ საღამოს გაზეთმა ერთზე საიუბილეო, როგორც იტყვიან, თბილი სტატია მოათავსა: „მწერალი და მეცნიერი“.

როგორ ფიქრობთ, განა პატარა საქმეა, ერთდროულად მწერალიც ბრძანდებოდე და მეცნიერიც?! „ეს“ კი არის, და არა მარტო ეს არის, იგი აგრეთვე... საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის თავმჯდომარეცაა!

კი, მაგრამ, როცა კაფელი სანთლით საძებნია, „სმესიტელს“ კი „მინოისკატელითაც“ ვერ წააწყდები, და კიდევ რა არ სჭირდება ფუნიკულიორის სიმაღლემდე აწვდილ ცათამბჯენს და... მაშინ როდისღა ასწრებს ეს ჩვენი იუბილარი, მწერალი და მეცნიერი, უკვე მოხუცი, თავის ორ ძირითად მუზას — მწერლობას და მეცნიერებას ემსახუროს?! ბარაქალა და აფერუმ მას! ვაშა და ვაშა!

საწყალი ივანე ჯავახიშვილი კი მხოლოდ მეცნიერებას, საწყალი რაფაელი მხოლოდ მხატვრობას, საწყალი ბეთჰოვენი მხოლოდ მუსიკას, საწყალზე უსაწყლესი ლევ ტოლსტოი მხოლოდ მწერლობას, ემსახურებოდნენ!

ჰოდა, საკვირველი ის არის, ასეთი ღარიბ-ღატაკნი — მარტო ერთი ღმერთის მსახურნი, როგორღა დარჩნენ აქამდე ხალხის მეხსიერებაში?!

განა ჩვენ გულით რასმე ვაკეთებთ?..
ცალიერ ენად ვართ გადაქცეული!..

აკაკი

ადამიანმა ადამიანური სახე რომ შეინარჩუნოს და ღირსეულადაც ატაროს იგი, ამისათვის ბრძოლაში მაგალითის მიმცემნი ვინ უნდა იყვნენ, თუ არა ადამიანის სულის ინჟინრები, მწერლებს რომ შეარქვა იოსებ სტალინმა?!

სულ აგერ ეხლა კი ერთმა ჩვენმა, უდავოდ მახვილგონიერმა ლიტერატორმა, რომელსაც ბასრი კალამი თანაბრად ემარჯვება მხატვრული სიტყვის თითქოს ერთმანეთის საწინააღმდეგო სფეროებში — კრიტიკაში და პროზაშიც, ქართველი მწერალი ერის უპირველეს ჭირისუფლად დაგვისახა...

ჭირისუფლობა აქ, ცხადია, ვიწრო, შინაურული გაგებით როდი იგულისხმება, — შენი მკვდარი ვითომ ცხარე ცრემლით რომ დაიტირო და რვაასკაციანი საქელეხო სუფრა გაშალო:..

„პასიური პატიოსნება, რა თქმა უნდა, პატიოსნებაა, მაგრამ საზოგადოების განვითარებაზე ძალიან სუსტ გავლენას ახდენს.

ჩვენს ცხოვრებას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ისინი ალამაზებენ, ვისაც შეუგნია მამულისა და ხალხის წინაშე თავისი ღვთიური ვალი; ვისაც პირადულზე მაღლა საზოგადოებრივი საქმე დაუყენებია და ერის მოჭირნახულის მანტია უმშვენებს მხრებს“-ო.

აქ რომელი სიტყვაც უნდა აიღოთ, სულ ბაჯაღლო ოქროსაგან არის ჩამოსხმული და აზრიც მთლიანად, რასაკვირველია, ოქროვარაყიანია.

მართლაცდა, პასიური პატიოსნება ყოველ ადამიანს, ყოველ მოქალაქეს მოეთხოვება, — არ იყო მატყუარა, გაიძვერა, უპირო; არ იყო ქურდი და ავაზაკი, ურცხვი და ზნედაცემული;

არ იყო მეექვთამე, ხარბი, სახელითა და ქონებით გაუმაძღარი, — ყოველივე ეს უბრალო, ჩვეულებრივი, ელემენტარული პატიოსნების მაჩვენებელია, აქტიური პატიოსნება კი იმას ნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილთ და მრავალ და ბევრ სხვა ხინჯსა და სიგლახეს, ერს რომ აკნინებს და აქვეითებს, თავდაუზოგავად შეება-შეებრძოლო, და არა მხოლოდ ქაქანა სიტყვით, — ეს ისევ პასიური პატიოსნების გამოვლინება იქნებოდა, — არამედ საქმით, მხოლოდ მოქმედებით, რაც ყველაზე ნაყოფიერად და თვალნათლივ პირად მაგალითს ჩაექსოვება და მოერგება ხოლმე.

ჰოდა, ვინ შეიძლება იყვნენ ამის მოთავენი, ამის მეწინავე მედროშენი, მაგალითის პირველი მიმცემნი, თუ არა ერის უპირველესი ჭირისუფალნი — ჩვენი მწერლები!..

და რაკი ასეა, ჩვენზე უფრო ბედნიერი განა შეიძლება იყოს კიდევ სადმე ერი?!

მილიარდიან ზღვა-ჩინეთს მხოლოდ ორი ათასი მწერალი ჰყავს, მასთან შედარებით ბაზალეთის ტბის ოდენა საქართველოს კი... ხუთასი!

ესე იგი ერის ხუთასი უპირველესი ჭირისუფალი, მხრებზე მანტიამოსხმული ერის ხუთასი მოჭირნახულე, ხუთასი სულიერი ქომაგ-გულშემატკივარი, საქართველოს ბედით გულაფორიაქებულნი და, რაც მთავარია, მისი მარადიული მერმისისათვის საქმით თავგამოდებული მებრძოლ-მეომარნი!..

ტსს...

ო, ეს რა მომესმა? ასე მწარედ ამას ვინ ჩამჩურჩულებს? — შე მამაცხონებულო, თუკი ჩვენს სამშობლოს ამდენი ღირსეული შვილი თავს დასტრიალებს, ამდენი მესვეურ-მზრუნველი, ამდენი მოამაგე და მეურვე ჰყავს, მაშინ ჩვენი საერო საქმე რატომ ვერ მიდის ისე წინ, როგორც ჩვენ გაგვეხარდებოდაო...

არა, ეგებ მართლა სათვალავში მოვტყუვდით, სწორად ვერ დავთვალეთ და ამდენი სულაც არა გვყავს, ა?

მე პირადად დამთვლელად ოდნავაც ვერ გამოვდგები, თვლა რაღაც ათამდე ვიცი, ამის მერე კი, ქვის ხანის დროინდელი ბანჯგვლიანი მოანგარიშესავით ვამბობ „ბევრს“...

ეს ათიც ახლა ძლივს, ძებნა-ძებნით, ბორძიკ-ბორძიკ, რის

ვაივაგლახით ჩამოვთვალე, „ბევრის“ სათქმელად კი ენა ვერასგზით ვერ მოვაბრუნე, ვერ დავიმორჩილე...

ხომ არ ვცადოთ ხელახლა დავითვალოთ, ა?

ჩვენს დროში აღარავინ დავობს იმის თაობაზე, რომ დინოზავრები ჯერ კიდევ უხსოვარ დროში გადაშენდნენ... ეს აქსიომაა თითქოს, მაგრამ მხოლოდ „თითქოს“, რადგან საიდანღაც ახლაც გამოტყვრა ერთი კაცი ჩემი სახით, რომელიც ამტკიცებს, თუ სულ ისეთი დინოზავრი არა, მილიონი წლების წინათ ჯერ კიდევ გაუჭუჭყიანებულ ჩვენს დედამიწაზე რომ დაბოგინებდა, ყოველ შემთხვევაში მისი მინიატურული ნაირსახეობა ახლაც ცხოვრობს ჩვენს დედაქალაქში ადამიანის, ნამდვილი ადამიანის სახით, რომელიც, ბევრის სავალალოდ, პასიური პატიოსანი როდია, აქტიურია და, აი, ამ „დინოზავრს“, — ო. თოლორაიას, — რომელმაც ადრე არა ერთსა და ორ კინოგანმანათლებელ-კინოფიკატორს, ფულის წყაროს დაშრობით, ცრემლის ნაკადული აღვრევინა, ამ რამდენიმე ხნის წინათ ავგიუსის თავლის მსგავსი, ათეული წლების მანძილზე „გაკრიალებული“ ქალაქის საბინაო განყოფილება ჩააბარეს. სულ აგერ ახლა კი მას უფრო ახლოს საღამოს გაზეთში გავეცანით.

მოდით, მისი წერილიდან მხოლოდ ორაბზაც-ნახევარი ამოვიკითხოთ:

„ერთმა ცნობილმა მწერალმა ო რ ადგილზე მიიღო საცხოვრებელი ბინა და ამის შემდეგ იმასაც შეეცადა, რომ ერთ-ერთ ძველ ბინაში არასრულწლოვანი შვილიშვილი დაეტოვებინა. ქალაქის საბჭომ სამართლიანად არ შეუწყო ხელი მისი ახირებული სურვილის განხორციელებას.

თუ კარგად იცნობთ ამ მწერლის შემოქმედებას, აღტაცებული დარჩებით, როგორ გვესაუბრება ზნეობაზე, სულის თუ ხორცის სიწმინდეზე, მამულიშვილობაზე, სიკეთეზე...

როცა მის ნათქვამს და ნამოქმედარს ერთმანეთს ადარებთ, გაოცებული რჩებით ამგვარი გაორებით“.

ვინ არ იცის, რომ ზოგი მწერალი დიდია, ზოგი საშუალო და ზოგიც პატარა... ეს მწერალი კი, რაკი ცნობილია და რაკი მის წიგნებში ქადაგებას სულისა და ხორცის სიწმინდეზე აღტაცებაში მოვყავართ ხოლმე, უთუოდ დიდებს უნდა განეკუთვნებოდეს და, მაშასადამე, ერის უპირველეს ჭირისუფალსაც...

ჰოდა, თუკი ერის დიდი ჭირისუფალიც კი ასეთი ზრუნვასასოებით დასტრიალებს თავს ერსა და სამშობლოს, მაშინ განა მეტი მზრუნველობა მოეთხოვებათ საშუალო და პატარათ?!

ცოტა არ იყოს, საკვირველი ის არის, რომ ჩვენი პატივსაცემი დინოზაურ-ბინათუფროსი ამ დიდ შემოქმედს ზვიგენის ამ მადას რაღაც ახირებულ სურვილში უთვლის და... თითქოს არც გაემტყუნება: მას აქამდე არათუ საქმიანი ურთიერთობა, — კაზმული სიტყვის ოსტატებთან უბრალო ნაცნობობაც არ ჰქონია და, აბა რას წარმოიდგენდა, თუკი ერის უპირველესი ჭირისუფალიც კინოთეატრში გამოჭერილ კინოვირთხასავით ამღერდებოდა, თანაც მთელი ქალაქის დასანახავად და გასაგონად:

მე ჩონგური მისთვის მინდა,
რომ ჩემს მუცელს მსახურებდეს!

შვილიშვილისთვისო...

რა თქმა უნდა, შვილიშვილებზე ზრუნვა სასახელო, მოსაწონი, დიდად საქები საქმეა, მაგრამ... როცა შენ, ერის უპირველეს ჭირისუფალს, ერთადერთი შვილიშვილი გყავს, და არა ხუთი-ექვსით ხარ გარემოცული, იმ ერთთან, ბევრი ჭამისა და ძილისაგან ლოყები ყურთბალიშებს რომ მიუგავს, საქვეყნოდ ჟურნალში კი არ უნდა „ჩაკარტიქკდე...“

და არც შენ, ერის სულ დიდო ჭირისუფალო, ის ერთი შვილიშვილი შენთან ერთად ტელევიზორში არ უნდა გამოიყვანო და არ უნდა ათქმევინო, ბაბუაჩემმა ჩემზე ლექსების მთელი წიგნი დაწერაო...

ეს, ჯერ ერთი, ამ პატარას უკვე ღლაპობიდანვე აჩვევს გამორჩეულობას, მეორეც, — აბა, რა ქნან ათიათასობით ამის მნახველმა სხვა შვილიშვილებმა, რომელთაც ბაბუები მწერ-

ლები არა ჰყავთ და თავიანთ შვილიშვილებს ლექსების მთელ წიგნს კი არა, ორ სტრიქონსაც ვერ გაურითმავენ. რატომ უნდა ვაგრძნობინოთ მათ თავი დაჩაგრულად?

საერთოდ, ჩვენი ერის უპირველეს ჭირისუფლებს შვილიშვილი — თანაც რაღაც ერთი, სულ დიდი ორი, — კულტად ჰყავთ ქცეული („გადასარევი ბოვში გვყავს!")...

ერთმა ასეთმა, ერთხანობას თავისი ცხოვრება-კარიერის შენელებული დინამიკით განაწყენებულმა და ამიტომ განდგომილმა, შინაურულ საუბარში, როგორც ჩანს, გულისჯავრი ვეღარ დამალა და რესპუბლიკის მეთაურინ მისამართით ბრძანა, მომცეს შვილიშვილისთვის ბინა და ამოვუდგები მხარშიო...

კი, მაგრამ, შე კაი კაცო, რაკი ამქვეყნად უცოდველი და შეუმცდარი, თუკი, საერთოდ, რაიმეს აკეთებ, არავინ არის; ჰოდა, ეს ჩვენი მეთაურიც, ვთქვათ, „ამაში და ამაში" არ არის სწორი და მართალი, და შენ, რაკი მან, თუნდაც სულ უბინაოს, ბინა მოგცა, ამისათვის მას ერისათვის რაიმე საზიანო საქმეში მხარში უნდა ამოუდგე?!

ანდა... ამას წინებზე, დღიდან გაჩენისა, ყოველგვარ ნატვრა-საოცნებოს მოკლებულებმა, მუდამ დამტკბარი სიცოცხლით მოყირჭებულ-გადაყირჭებულმა ბატონიშვილებმა თავის ქეიფზე თვითმფრინავის მიმართულების შეცვლა მუქარით რომ სცადეს და ამ ცდაში, ოფიციალურ ცნობას თუ ვენდობით, არც ახლობლები დაინდეს და არც შორებლები, — როგორ, შენ, ერის უპირველესი ჭირისუფალი, ამ ამაზრზენ საქმეში რესპუბლიკის მეთაურს განზე უნდა განუდგე, რაკი შვილიშვილისთვის ბინა ჯერ კიდევ ვერ მრუცია, და მასთან ერთად საქვეყნოდ არ უნდა დაგმო („საქართველოს სადა ჰყავს შვილი დასაკარგავი...") ერისათვის ეს სამტროზე სამტრო წინდაუხედავი უგუნურება და შენი შემყურე ქართველი ახალგაზრდობა, შენი მუცლისეული დუმილით, ერის უჭკუო გაჩანაგების პოზიციაზე უნდა დააყენო?! მაშინ რატომღა უნდა გვიკვირდეს, თუკი განდგომილ-განაწყენებულთა ტვინშესაბრუნებლად იმედიანად წაიღიღინებენ ხოლმე:

რა აყმუვლებს ამ მუნიან მურიას?
ხომ არ შია და ან წომ არ სწყურია?

გადავუგდოთ ბინა-სამსახურია
და გახდება ჩვენი ყმა-მსახურია!..

ეს ვისაც „აკლდათ", მაგრამ ჩვენ ეხვდებით ერის ისეთ ჭირისუფლებსაც, რომელთაც არასოდეს არაფერი არ ჰკლებიათ, „არც გროშები და არც ქოშები", და მაინც, ეს ნიჭიერთა შორისაც და სიბერეშიც კი, დიდკაცობის ჟინი და მუდმივი შიში ხის კენწეროდან ხის ძირას დაბერტყებისა იმდენად ძალუმია მათში, რომ დროდადრო, ძლიერთა გულის მოსაგებად, საქვეყნოდ ისეთ რამესაც განაცხადებენ, რომ ეს ძლიერებიც, ცოტა არ იყოს, ალბათ, უხერხულად გრძნობენ თავს...

ასე, მაგალითად, ქართველი ერის ჭირისუფალთა მეცხრე ყრილობაზე ერთმა აკადემიკოს-ჭირისუფალმა, უკვე განხორციელებულ საამაყო, სასიკეთო საქმეთა ჩამოთვლისას, პათეთიკურად განაცხადა (და დაიბეჭდა კიდეც):

„შეხედეთ რა სილამაზე გამოჩნდა ბარათაშვილის ქუჩაზე, ჩვენი დიდი პოეტის ძეგლით რომ არის დამშვენებული; ხალხთა მეგობრობისა და კომკავშირის მუზეუმის გახსნა, თ ბ ი ლ ი ს ი ს გ ა დ ა ქ ც ე ვ ა ს ი ს უ ფ თ ა ვ ი ს ა დ ა წ ე ს რ ი გ ი ს ს ა ნ ი მ უ შ ო ქ ა ლ ა ქ ა დ..."

გადაქცევა... უკვე გადაქცევა...

ამაზე ჩვენი პრესა უკვე 60 წელიწადია ოცნებობს და ჩვენც ყოველდღე, გარდა კვირა საღამოსი, მოგვიწოდებს და გვეხვეწება ხოლმე, გადავაქციოთო...

სხვათა შორის, როცა დილის სხდომაზე ამ პატივსაცემმა ორატორმა გამოაცხადა თბილისი სისუფთავისა და წესრიგის სანიმუშო ქალაქად, სწორედ სხდომის დამთავრების ჟამს, შუადღისას, სანაგვე მანქანამ, რომლის ქურთმა მძღოლმა უკან დახევისას თავი არ შეიწუხა უკან მოხედვით, კედელს მიაჭეჭყა თავის გზაზე მშვიდად მიმავალი, რაიმე ხიფათის სულაც არ მომლოდინე, ხნიერი დედ-მამის ერთადერთი შვილი — იმედი, მოსაღამოებისას კი თვით მწერალ-ჭირისუფალთა პოლიკლინიკის ეჭთან მზია კ-ძეს, თავისივე სახლის ეზოში, ორმა სანიმუ-

შო თბილისელმა საყურეები ჩამოაგლიჯა და თან სცემა, რა-ტომ გაგვიძალიანდიო...

თითქოს არც ამის აღუნიშნავობა ივარგებდა, აკი... „მე ვა-მაყობ, რომ თბილისელი ვარ“: ნაცემ-გაძარცული ქალის შემ-ზარავ კივილზე ფანჯრებიდან ერთმა მეზობელმაც არ გადმო-ხედა არც საშველად და არც ცნობისმოყვარეობით...

და ეს მათ თითქოს არც დაეძრახებათ: არანორმალური ამ-ბავი, თუ იგი ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ამბად გადაიქცევა, ადამიანი მას უკვე ისე აღიქვამს, როგორც ნორმალურს, რო-გორც არაგასაკვირალს.

ჩემს თაობას კარგად ახსოვს კომპოზიტორი კოტე ფოცხვე-რაშვილი; თუ იგი სადმე ფეხზე მდგომი ან მოსიარულე შეგ-ხვდებოდათ, არ შეიძლებოდა გაოცებული თვალები არ მი-გეპყროთ: მართლაც დინოზავრივით ბრგე, მოუხეშავი, ზოზინა და იმდენად მაღალი იყო, რომ ჩვენი პირველი რესპუბლიკის დროს გამომავალმა კარგმა იუმორისტულმა ჟურნალმა, „ეშმა-კის მათრახმა“ ორ ნომერში მოათავსა მასზე შეგობრული შარ-ჟი: ამ ზომის კუბოს, აბა, რომელი ჭირისუფალი იშოვისო, ამი-ტომაც „მიცვლილ“ კომპოზიტორს დამწუხრებული საზოგა-დოება შუაზე გადახერხილს მიასვენებდა... ქვემოთ მიეწერათ „გაგრძელება შემდეგ ნომერშიო“... შემდეგი ნომრის კუბოში კი მხოლოდ გრძელი ფეხებიღა ეწყო.

როცა ასაკის მიხედვით სიკვდილი ჯერ კიდევ შორს, შო-ორს ვიდეეს, და თან იუმორსაც ემეგობრები, ასეთი მოშავი ხუმრობა შენზეც კი, შენშიც ღიმილს ვამოიწვევს, მაგრამ ეს უკვე ხუმრობას აღარ განეკუთვნება, როცა ახალგაზრდულ ვა-ზეთს შენ, ერის უპირველესი ჭირისუფალი, იმსიგრძე ინტერ-ვიუს მისცემ, ერთ ნომერში რომ ვერ დაეტევა და მომდევნო ნომერში გააგრძელებენ, მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ის უფრო „ბეერფერია“ ჭირისუფალ-ინტერვიუერის დასახასიათებლად. როცა მომდევნო ნომერშიც წინა დღეს ჩახატულ სურათს ხელ-მეორედ ჩახატავენ და შენ ამას „თავმდაბლურად“ შეიფერებ კიდეც და მისადმი კეთილად განეწყობი...

ჰო, მაგრამ... საკუთარი თავის ასე სახატად გადაქცევას სტალინიც არ მიმართავდა: ბელადის სურათს ცენტრალური

პრესა მხოლოდ დროგამოშვებით ათავსებდა, ყოველდღე მის ბეჭდვას კი ჩვენი „კომუნისტიც“ თითქოს ერიდებოდა...

ო! ერის ჭირისუფალიო, თანაც უპირველესიო... „ეს“ მხცოვანი ჭირისუფალი, როგორც ჩანს, ჩვენს უთქმელადაც მიიჩნევს თავის თავს უპირველესად, თორემ ასე კატეგორიულად და ასე გაკვირვებით ამას სხვების გასაგონად მაინც არ იტყოდა:

— როგორ, მე და ჩემი შოფერი ამ ქვეყანას ერთი „ფორთოჩქიდან“ უნდა ვუყურებდეთ?!

კი, მაგრამ... თუ შენ, როგორც სიტყვაკაზმული მწერლობის ოსტატი, მართლაც შენი ერის, შენი ხალხის, შენი სამშობლოს ჭირისუფალი ბრძანდები, მაშინ რატომ შენც და შენი შოფერიც ერთნაირად არ უნდა უყურებდეთ — ამ შემთხვევაში ყოველდღიური ცხოვრება იგულისხმება — ამ ქვეყანას?! მით უმეტეს, რომ შენ არა მარტო ერის ჭირისუფალი ხარ, — ამავე დროს მისი დ ე პ უ ტ ა ტ ი ც ბრძანდები... ოქტომბრის რევოლუცია ხომ იმიტომ მოახდინეს, რომ ამ ქვეყნისათვის ჩვენ ყველას ერთი, საერთო, კრიალა სარკმლიდან გვეყურებინა?! დეპუტატი ხალხის მსახურიაო, არაერთხელ გაგვიგონია... თქვენი „ფორთოჩქის“ მიხედვით კი, ბატონო, თუ კაცი იმსჯელებს, უფრო ხალხია დეპუტატის მსახური...

ნ. ვ. გოგოლი რეგულარულად, თანაც უ ს ა ხ ე ლ ო დ, ი ნ კ ო გ ნ ი ტ ო დ, უგზავნიდა ხოლმე ფულად დახმარებას პეტერბურგის უნივერსიტეტის ღარიბ სტუდენტობას... და ამას იგი იმიტომ კი არ შვრებოდა, რომ სიმდიდრისგან დუღდა და გადმოდუღდა... როცა გარდაიცვალა, მის ბინაში ვერც ფული იპოვეს და ვერც საგარეო ტანსაცმელი: კუბოში იმ გაცვეთილ სერთუკში ჩაასვენეს, რომელსაც ყოველდღე იცვამდა...

ამერიკელმა „ერის ჭირისუფალმა“ ჯონ სტეინბეკმა თავისი რომანის „მრისხანების მტევნებისათვის“ მინიჭებული პულიტცერის პრემია, გაჭირვებისას ხელიდ რომ გაემართა, მთლიანად გადასცა ერთ თავის ღარიბ მეგობარს...

ფრანგი ჟან-პოლ სარტრი თავის ჰონორარებს მთლად როდი ღებულობდა, — მხოლოდ მის მცირე ნაწილს, თანაც არა ერთბაშად, — ყოველთვიურად: მას არ უნდოდა რაიმე, განსხვავება ყოფილიყო მასსა და უბრალო ფრანგ მოსამსახურეს, ჩვეულებრივი ჯამაგირის შემყურეს შორის...

(ცოტა უცნაურიც კია, „დამპალ“ კაპიტალისტურ სამყაროში, როგორც ამას ჩვენი საინფორმაციო ორგანოები გვაუწყებენ ხოლმე, ადამიანი ადამიანისთვის მგელია, და ეს მგლები ერთმანეთს ცოცხლივ, შეუმწვარ-მოუხარშავადაც ჭამენო, ეს სარტრი კი არ უკადრისობდა, რომ მასაც და მის შოფერსაც ამ ქვეყნისათვის ერთი „ფორთოჩქიდან“ ეცქირათ... თუმცა არა! — მწერალსა და მოაზროვნე სარტრს საკუთარი შოფერი არც არასოდეს ჰყოლია).

...არა, ეს ყველა ჩვენს ხუთას ჭირისუფალს არ ეხება, მაგრამ მათგან ოცს, ოცდაათს კი... აი, ვისი წიგნებიც აქ და ბევრ სხვაგანაც დასტობით რომ გამოდის, ვისი პიესებიც ათობით თეატრებში იდგმება აქაც და ბევრ სხვაგანაც, ვინც ჰონორარისა და ჯამაგირის გარდა „ხალხის სამსახურისთვის“ იღებს იმდენ თანხას, სარტრი რომ კმარობდა მთელი თვის მანძილზე, — ჰოდა, ჩვენ კი რამ შეგვიკრა კრიჭა ისე, რომ, ჩვენს მშობლიურ სოფელში მაინც, მთელ ჩვენს სიცოცხლეში თუნდაც ერთი პატარა წყარო ამოვაჩუხჩუხოთ?.. ჩვენ ხომ ერის უპირველესი მანტიამოსხმული მოჭირნახულენი ვართ, რომლებიც... მმ... პირადულზე მაღლა ყოველთვის თურმე საზოგადოებრივ საზრუნავს ვაყენებთ!.. ანდა... საწერად შემართული ხელი განა ვითომ შეგვახმება, თუკი ვინმე, შვილებიან ღარიბს ამ ხელს შევაშველებთ და ფეხზე წამოვაყენებთ?!

ეგებ ბრძანოთ, სად არიან ჩვენს გალაღებულ ქვეყანაში ღარიბები, ხელმოკლე ოჯახებიო...

ამას წინათ ხარაგოულის რაიონის სოფელ ფარცხნალში მყოფს, თერჯოლიდან ერთმა გლეხმა მომაკითხა:

— თქვენთან მომასწავლეს, ბატონო... მითხრეს, მრავალშვილიანობის თათბაზე ისე ადვილად შედის შევარდნაძესთან, როგორც ხაბეიშვილიო... მეც, ბატონო, რვა შვილის მამა გახლავარ და... ძალიან მიჭირს... ოჯახობა ახლა მეცხრეზეა ორსულად და ვეუბნები, წადი, ქალო, რაიონში, მოიშალე მუცელი... რა იცი, შეიძლება ინამუსონ და ფული არ გამოგვართვან-მეთქი...

...არა, მას ჩემთვის არც საბორტე ფული უთხოვია და არც... საერთოდ, ჩემს გზაზე ჯერ არ შემხვედრია ისეთი მრა-

ვალშვილიანი, ფული რომ ეთხოვოს ანდა თუნდაც ქარაგმულად არაკი ჩამოეგდოს...

ჩემმა თერჯოლელმა სტუმარმა ეს კი მითხრა, რა ხანია ამდენი ამბავია ატეხილი ქართველების გამრავლებაზე, მე კი სოფლის მთავრობა ყურადღებას არაფერს მაქცევსო...

არ დავმალავ: მიუხედავად იმისა, ჩემამდე რომ მოსულიყო, მან საკმაოდ დიდი გზა გამოიარა, და თან მოვიდა დიდი იმედებით, მისი ფიქრით, ასეთ დიდკაცთან, მე მაინც უკვე საუბრის დასაწყისშივე მის იმედებს ცივი ღვინო გადავასხი:

— ჩემო კარგო, თქვენთვის სწორად არ უთქვამთ. მე იმდენად პატარა კაცი ვარ, შეეარდნაძე პირისპირ არც ოდესმე მინახავს... წარმოიდგინეთ, არც ტრიბუნაზე მინახავს, და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ საზეიმო დემონსტრაციებზე არასოდეს დავდივარ... თუმცა არა, ერთხელ ვიყავი, 37-ში, შიშით შეპყრობილი, და მაშინაც გამოვიპარე...

ხაბეიშვილიო... ხაბეიშვილს კი მხოლოდ ერთხელ შევხვდი თეატრის ფოიეში, ქუთაისში, სულ რამდენიმე წუთით...

(ეს ჩემთვის დიდი გასაჭირისას, როცა მისი მეორე მდივნის, ვარდანაშვილის ქალის ფხიზელმა თვალმა და ქუთათური მწერლების ლიდერის კვიცარიძის შორსმჭვრეტელმა გონებამ ჩემი პიესა „პლატონი" იდეურად ბინძურ და მანკიერ ნათითხნად მიიჩნიეს და, გასინჯვისას, მისი მოხსნა მოითხოვეს, ხაბეიშვილმა კი — დაილოცა მისი ოჯახი! — მაინც დართო ნება ეჩვენებინათ, რითიც, სხვათა შორის, საბჭოთა ხელისუფლებას მემილიარდე მიკრონითაც საძირკველი არ შერყევია არც თვით ქუთაისში და არც მაგადანზე!).

გამომშვიდობებისას ჩემს მრავალშვილიან სტუმარს სიტყვა ჩამოვართვი, რომ მისი მეუღლე არავითარ შემთხვევაში მუცელს არ მოიშლიდა და მეცხრეს მეათესაც მოაყოლებდა...

ერთი კვირის შემდეგ კი, რაკი გულმა არ მომითმინა, დაუპატიჟებლად ვეწვიე სოფელში და... მართლაც რა ნახეს ჩემმა უამრავი ავისა და გულშემზარავი ამბის არაერთგზის მნახველმა თვალებმა: პერუს ყველაზე მიყრუებულ სოფელში წითელკანიანი ინდიელიც არ იცხოვრებს ასე...

მე ამ სურათს არავის, მათ შორის ჩვენი ერის უპირველეს ჭირისუფალთაც, არ ავუწერ-დაეუხატავ, — ეს საკუთარი თვა-

ლით უნდა ნახო, და თუ ნახავენ, მაშინ... მმ... მაშინ, შეიძლება მთავრობასთან დაახლოებულმა გავლენიანმა ადამიანის სულის ინჟინრებმა, თუ თავად სინდისი არ შეაწუხებთ, რაიკომის მდივანი სიტყვიერად მაინც შეანამუსონ... მე ეს პირადად ვცადე კიდეც, როგორც ადრინდელ მდივანზე (ა. ბურჯანაძე), ისე დღევანდელზე (რ. მხეიძე), მაგრამ... როგორც რუსები იტყვიან, Ноль внимания, რაც, სხვათა შორის, სულაც არ გამკვირვებია: კვლავ, როგორც რუსები იტყვიან, Это у нас в порядке вещей, რაკი ანგარიშგასაწევი მანტიით არა ხარ კაცი შემოსილი...

(ყოველ შემთხვევისთვის ამ ქართველი რვაშვილიანი „ინდიელების" მისამართს გაწვდით: თერჯოლის რაიონი, სოფელი ქვემო ალისუბანი, ციური და ოთარ ჯაბიძეები.

მისვლისას, შეუღობავ ეზოში, შეიძლება, ქათმებიც შემოგეგებონ და ინდაურებიც კი, მაგრამ ეს მათ უფრო გლეხური სიბეჯითეში ჩამოართვით, ვიდრე შეძლებულებაში... ხომ გახსოვთ, გოგია უიშვილმა საახალწლოდ გოჭიც დაკლა და გომიჯებიც გამოაცხო, მაგრამ იგი ამით დავით დ რ ო ი ძ ე ს კეთილდღეობით მაინც ვერ გაუტოლდებოდა).

მოდით, ახლა, ძვირფასო მკითხველო, ამ ჭირისუფლობას და ჭირისუფლებს საერთოდ მოვეშვათ და გადავიდეთ... თუმცა... არც ამის უთქმელობა ივარგებდა: ჩვენისთანა პატარა ერისათვის ხუთასი მწერალი — „ჭირისუფალი" ერთობ ბევრი ხომ არ არის?!

ამას წინათ ერთი ქართველი გერმანისტი ზედაპირული შთაბეჭდილების მსხვერპლად სახავდა და ერთგვარი საყვედურით წერდა დასავლეთგერმანელ მწერალ ჰაგელშტანგეზე, რომელმაც რაღაც სამი დღე დაჰყო საქართველოში და...

ქართველები ბევრს ჭამენ და სვამენო (ვითომ ტყუილია?).

ღვინის დაძალება იციანო (ვითომ ღალატობს ჭეშმარიტებას?).

ცოტა არ იყოს, ბაქიები არიანო (ვითომ დიდად აზვიადებს?)

და რაც ჩვენთვის უფრო გულსატკენია,
მწერლები, რომლებიც აეროსადგურში დაგხვდნენ, მაინცდამაინც მწერლებს არ ჰგავდნენო...

ო-ო, ეს უკვე ისეთი ცილისწამებაა, რისთვისაც ეს ბატონი რუდოლფ ჰაგელშტანგე, ლირიკოსი და პროზაიკოსი, ნამდვილად ღირსია იმისა, რომ ჩვენმა დიდმა, თანამდებობიანმა მწერლებმა, აეროპორტში რომ შეხვდნენ მას, ასეთი გაუგონარი დამცირებისათვის დუელში გამოიწვიონ და თბილისში დამზადებული ხანჯლის ფორმის, გამხმარი პასტით გატენილი კალამი, არც აცივონ, არც აცხელონ და... პირდაპირ ჩხუტონ ზედ ჭიპში!

ისე, კაცმა რომ თქვას, თუკი ჩვენმა პირველმა ოცეულმა, რჩეულმა მწერლებმა მასზე ასეთი უღიმღამო, უბადრუკი შთაბეჭდილება დატოვეს, მაშინ ყველა ჩვენ, დანარჩენი 480 მწერალი დასახვედრად აეროდრომზე რომ გავმწკრივებულიყავით, ჰაგელშტანგე ვითომ არ იტყოდა, ვინ არიან ეს ნაყარ-ნუყარა ღვთის გლახებიო?!

ერთხელ, საკმაოდ დიდი ხნის წინათ, მწერალთა ერთ-ერთი საკავშირო ყრილობის წინ, ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით 30 კაცი და ქალი შეიწყალეს და გააოფიციალეს მწერლებად; ეს იმ დროს უფრო იმიტომ, აქაოდა, რაც მეტი წევრი გვეყოლება, დიდებ-მოზრდილ-მომცრო და ნამლევა-პატარებიდან, ზოგიც მავედრებელ-მახვეწრებიდან, ზოგიც კი აგრესორ-მოჩხუბრებიდან, მით მეტი დელეგატი წავალთ მოსკოვსო...

ერთხანობას ქართულ ლიტერატურაში... ო-ო, არა შემოქმედების სფეროში, — სადიდკაცო-საკომანდო სარბიელზე მნიშვნელოვანი პოსტების დაკავების მსურველთა იერიში იმდენად მძაფრი და ძლიერი იყო, რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, გადამდგარი გენერალ-ლეიტენანტი ვასილ მეკავანაძე იძულებული იყო ისევ „გადმომდგარიყო“ და სამწერლო ფრონტზე ძალთა დისლოკაცია მოეხდინა, უკან ორგანიზებულად დაეხია და კომპრომისზე წასულიყო: მწერალთა კავშირში.... 12 (თორმეტი!) მდივანი დაენიშნა — აერჩიათ!

(ახლა ექვსია!!! სხვათა შორის, როგორც სარწმუნო წყარო-

ებიდან შევიტყვე, ლილიპუტიაში, რომელიც საქართველოს არც მოსახლეობის რიცხვით და არც ტერიტორიით აღემატება, მწერალთა კავშირში მხოლოდ ორად ორი, უჯამაგირო ლილიპუტი-მდივანი ჰყოლიათ).

ახლა ესეც ვიკითხოთ, მომადლიერების ასეთი პოლიტიკა ზიანს ხომ არ აყენებს ჯერ, კერძოდ, მწერლის სულს და მერე, საერთოდ, მთელ მწერლობას? მის პრესტიჟს ხალხის თვალში?!

აგერ ახლა უკრაინის მწერალთა კავშირის თავმჯდომარე წერდა, ლიტერატურული პროდუქციის სიუხვით, უცხოეთის მწერლებთან შედარებით, ჩვენ უბრალოდ უსაქმურებად ჩავითვლებითო.

როცა იგი ამას ამბობდა, ეჭვი არ არის, მან იცოდა, 36 წლის ამერიკელი მწერალი კინგ სტივენი უკვე ათამდე რომანის ავტორია, ოღონდ ეს კი არ ვიცი, იცოდა თუ არა, რომ, მაგალითად, ჩვენი მხცოვანი მწერლის, მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე მუდამ დალხინებულის, ახლა უკვე ოთხმოცწელს მიტანებული კონსტანტინე ლორთქიფანიძის მთელი ნაშემოქმედარი, აჰა, ძლივძლივობით, ოთხიოდე ტომს თუ მიაღწევს, მაშინ როცა მუდამ დევნილ-დაულხინებელმა, 56 წლის ასაკში სიცოცხლემოთავებულმა მიხეილ ჯავახიშვილმა სამწერლო მოღვაწეობის სულ რაღაც 15 წლის მანძილზე ათამდე ტომი დაგვიტოვა, და რომ დაეცლიათ 80 წლამდე ესუნთქა საბჭოთა ჰაერი (ეს გამოთქმა პაოლო იაშვილს ეკუთვნის, იგი თქმული იყო მწერალთა პირველ საკავშირო ყრილობაზე 1934 წელს), ვინ იცის, იმ ათს კიდევ რამდენ ერთს მიუმატებდა...

თქვენ, დაკვირვებულო მკითხველო, შეიძლება ბრძანოთ, რაოდენობა — ჰო, მაგრამ... ხარისხი, ხარისხი...

ვინ უარყოფს, ერთი „დონ კიხოტი" სულ იყიდის ორასტომიან, დიდად ნიჭიერ ჟორჟ სიმენონს და ამდენივე ტომიან და ასეთივე დიდად ნიჭიერ აგატა კრისტის!

ერთი „მერანი" სულ იყიდის ჩვენი საუკუნის ბევრი ქართველი პოეტის თუნდაც ფუთობით ლექსებს!

მწერალი, ცხადია, ფასდება მის მიერ შექმნილი სახეებით, და თუ ეს ასეა, არა მგონია, ბარნაბა საგანელიძე ანდა მექი ვაშაკიძე ტოლს დაუდებენ არსენა მარაბდელს, ჯაყოს, კვაჭის, თეიმურაზ ხევისთავს, აბდულას, ჩანჩურას, გივი შადურს...

ვინ არ იცის, რომ საქართველოში ხუთასი მწერლიდან რამდენიმე ათეული თუ ამოირჩევა, რომელთაც ნამდვილი მწერალი შეიძლება ეწოდოს...

და რარიგ დასანანია, როცა ჭეშმარიტი მწერლის დრო და ნაწი იხარჯება იმდენად არა შემოქმედებაზე, რამდენადაც თანამდებობა-დიდკაცობის მისაღწევ გაძრომ-გამოძრომაზე, „ჩინმენდლების“ მისაღებად სირბილ-ზრუნვაზე, საიუბილეო ვაკხანალიებზე და სხვა ათას წვრილმანზე, რომლებიც მათ მსხვილმანებად და ტკბილი ცხოვრების ბალავრად მიაჩნიათ...

კი, მაგრამ, ტკბილია კი ასეთი ცხოვრება?! დროდადრო მაინც, ძილს ხომ არ გვიფრთხობს ხოლმე სინდისი, რომელიც მწერალს, ჩემი აზრით, როგორც ადამიანის სულის ინჟინერს, სხვა პროფესიების ადამიანებთან შედარებით, უფრო მეტი უნდა ჰქონდეს და არასოდეს იგი არ უნდა მიაძინოს? ფუმფულა ბალიში ხომ უდარდელი ხვრინვის პირველი მეგობარია?!

ჩემს ამ ნაწერში რაკი ჩვენი ცხოვრების უფრო უარყოფით მხარეებზე მაქვს კალამი გამახვილებული, ნუ იფიქრებს მკითხველი, რომ მე იმასაც ვიტყვი, რომ საქართველოში მარტო მწერლობით ვერ იცხოვრებ — ასე ვთქვათ, წმინდა მწერლობით, ესე იგი უსავარძლოდ-უთანამდებებოდ, უსამსახუროდ...

რასაკვირველია, არა ყველა ის ხუთასი მწერალი და „მწერალი“, მე მხედველობაში მყავს მხოლოდ კარგი პოეტი, კარგი პროზაიკოსი, კარგი დრამატურგი (ცხადია, თუ პიესებს უდგამენ)... ეს კია, მტრების შეძენით შეშინებულ კრიტიკოსს ცოტა კი გაუჭირდება, მაგრამ... ჰონორარის მაქსიმუმს დაუმსახურებელი ქება-დიდების ნიაღვარშიც ხომ იძლევიან!

ვის არ ახსოვს, როგორ ჩიოდა პარიზიდან ეგნატე ნინოშვილი, რა ნაციაა ის ნაცია, რომლის მწერალიც შვიდკაპიკიან პორციას ჭამსო...

ახლა კი... ჩემი ახლო ნათესავი ქალი, ეკონომისტი-ფინანსისტი, ერთ-ერთი გამომცემლობის უმწიკვლო მუშაკი, როგორც გაავებული ზღვა ნაპირის დამცველ ვეებერთელა ბლოკს ეხეთქება ხოლმე, ისე ეხეთქება მისი გული, როცა... შოთა რუსთაველსაც უნდა „მისცეს“ 16-მარცვლოვან სტრიქონში ორი მანეთი და „ამასაც“ — ორი მანეთი დატეხილი ლექსის ორასოიან „და“-ში!..

მაშინ, როცა სულაც არ იყო დღევანდელივით ამდენი წყარო ლიტერატურული ნაღვაწის ფულადობრივი ანაზღაურებისა (კინო, ტელევიზია, რადიო; უთვალავი ჟურნალ-გაზეთი, მრავალი კონკურსი და ზოგი რამ სხვაც), მხოლოდ ლიტერატურული შრომით ირჩენდნენ თავს მიხეილ ჯავახიშვილი და გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე, გრიგოლ როგბაქიძე და ლეო ქიაჩელი... გალაქტიონ ტაბიძე (ცოტა ხანს), კონსტანტინე გამსახურდია (ესეც ცოტა ხანს) და ნიკო ლორთქიფანიძე კი მასწავლებლობდნენ, რისთვისაც ისინი ახლაც კი, დიდი ხნის მიცვლილნი, მოწიწებით შუბლზე მთხვევის ღირსნი არიან, აკი მათი საზრუნავი მოზარდი თაობის ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდა იყო, — სამშობლოსადმი არავაჭრული, არაგამორჩენითი სიყვარულის გაღვივება-განმტკიცებას ცდილობდნენ.

ივანოვი, როგორც იცით, ყველაზე უფრო გავრცელებული გვარია რუსეთში. არიან იაკუტი ივანოვებიც, ჩუქჩი ივანოვებიც, ამ შემთხვევაში მე წმინდა რუს ივანოვებზე მოგახსენებთ... ასეთი გვარის მწერალი კი, საკავშირო მწერალთა კავშირის ცნობარით თუ ვიხელმძღვანელებთ, რუსეთში სულ ხუთიც არ დაითვლება, საქართველოში კი ერთი გვარის ხუთ მწერალს, მარტო მთიდან თბილისში „შემოხიზნულთ“, სულ იოლად ჩამოთვლით.

ჰოდა, ახლა ესეც ვიკითხოთ, ამ ხუთიდან, საქმეზე რომ მიდგეს, ერთი მაინც კი წავა თავის მშობლიურ მხარეში ნორჩი ქართველების აღმზრდელად, მით უფრო ამჟამად, როცა სკოლაში მამაკაცი მასწავლებელი ჟანგბადივით გვჭირდება? ანდა იმ ხუთასი წევრ-მწერლიდან, ბევრიც რომ ეხვეწო, ერთი მაინც კი წავა თუნდაც თავის სოფელში, რათა დათესოს მოზარდ თაობაში ის, „რაც ერთხელ სულს დააჩნდების“?!

საამისოდ, მერწმუნეთ, ერთი უბრალო ექსპერიმენტის ჩატარებაც არა ღირს, — არ წავა არავინ! არც პარტიული ინტერნაციონალისტი, არც უპარტიო პატრიოტი!

სამაგიეროდ...

ო, რარიგ გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ერთი მართლაც ცნობილი მწერალი არა მხოლოდ საქართველოში, ჯანმრთელობის მხრივ — არცთუ სულ სტამბოლის კაჟივით ჩამოკვეთილი,

თანაც ხნოვანებით ცაიტნოტში მყოფი და, რაც მთავარია, მატერიალურ-ფინანსურად ორივე ფეხზე ასწლოვან მუხასავით მდგომი, ჩამდგარა თურმე, წინათ რომ იტყოდნენ, „კაზიონი“, სახელმწიფო სამსახურში, თანაც ისეთში, რომლის გაძღოლა (აკი სხვებიც უძღვებოდნენ მას ათეული წლების მანძილზე!) საშუალო თავის მქონესაც იოლად შეუძლია: მართალია, ასეთი თავები თბილისის ქუჩებში ტროლეიბუსის ნახმარი ბილეთებივით როდი ყრია, მაგრამ რაიკომებში... ო-ო, ისინი თავსაყრელად მოინახებიან.,

საქმე ის არის, რომ ჩვენს დროში თუ დიდჯამაგირიან, დიდმანქანიან, დიდკაბინეტიან, შენს თვალებში შემომჩერე ბევრხელქვეითიან სავარძლებში პატარაზე დიდი ანდა ამაზე უფრო მოზრდილი შემოქმედნი სხედან, ეს... საზოგადოებრივ მოღვაწეობად საღდება!

კი, მაგრამ...

საზოგადო მოღვაწე საზოგადოებას კისერზე უნდა აწვეს თუ თავისი კისერი საზოგადოების უსასყიდლო უღელში უნდა ჰქონდეს გადებული?!

ჰოდა, ასეთ ამბებს უჩემკომენტაროდაც უკვე კარგად და უკვე დიდი ხნითაც შეჩვეულო მკითხველო, ხომ არ გამიწყრებით თუ ერთხელ კიდევ მოგაგონებთ ფილოსოფოსს პლატონს, რომლის ეროვნებამ ქართული გაამდიდრა მშვენიერი სიტყვებით — ბრძენი, სიბრძნე, ბრძნული:

საზოგადოებაში იფურჩქნება ის, რასაც საზოგადოება თავად ნერგავსო...

ნერგავსო, ნერგავსო... საზოგადოება თვითონ ნერგავსო...

თბილისის ერთ-ერთი ბიბლიოთეკის თანამშრომელი, ხალასი ინტელიგენტი, რომელიც თავისი საქმისა და ადამიანებისადმი სიყვარულით, დღევანდელი თვალსაზრისით, ჩამორჩენილ ქალად რომ შეიძლება მივიჩნიოთ, ზეცას შესთხოვს ხოლმე:

— ღმერთო, დაიფარე ჩემი შვილები ქონებისა და თანამდებობისაგან! ესენი გვიკარგავენ ჩვენ ადამიანურ სახეს!..

> არაფერს არ უნდა შევუშინდეთ, არაფერი არ უნდა დავმალოთ, რადგან დამალვით სენი კი არ რჩება, ძლიერდება, ხრწნის საზოგადოებრივ ორგანიზმს და სიკვდილს უმზადებს ერს.
>
> იაკობ გოგებაშვილი

სიტყვაკაზმულობის იმ აკადემიკოსმა, ერთხელ რომ ბრძანა და მე კი, სხვადასხვა სიტუაციასთან დაკავშირებით, არაერთხელ მომიხდა მისი ნათქვამის გამეორება, ჩვენ დიდი კულტურის ხალხი ვართო, ამას წინათ, ისევ ტელევიზიით გამოსვლისას, კვლავ გაამდიდრა ჩვენი სიბრძნის-სალარო: ყოველი ადამიანი ფიქრობს უკვდავებაზეო.

თქვენი არ ვიცი, მკითხველო, მე კი, შეიძლება, გამომეპარა, ანდა, როგორც სმენადაქვეითებულმა, ყური კარგად ვერ მოვკარი, ოღონდ ეს კია, — დიდზე დიდი ხანია არც დაბალი, არც მაღალი ტრიბუნიდან არ გამიგონია, ვინმეს წარმოეთქვას მომხსენებლის მისამართით ანდა სხვა რომელიმე რიგითი ორატორის მიმართ, წინათ სულ უბრალო, ჩვეულებრივი, მერე და მერე კი საშიშრად ქცეული ეს ორი სიტყვა: არ ვეთანხმები (თუ არ ვცდები, სიტყვა „კამათი" აზრთა სხვადასხვაობის გამომჟღავნებას, სიტყვიერ პაექრობა-ჯახსაც გულისხმობს).

რაკი ჩვენ, საერთოდ, შინაურული საუბარი გვაქვს და ტრიბუნისაგან შორს ვიმყოფებით, თავზე თუნდაც მუგუზალი დამადონ, ამჯერადაც ვივაჟკაცებ ნაცარქექიასავით და ვიტყვი, — არა, არ ვეთანხმები ახლახან დიდი ამბით ნაიუბილარი პოეტ-აკადემიკოსის თქმულს, თითქოს ყოველი ადამიანი ფიქრობდეს უკვდავებაზე, მით უმეტეს, თუ იგი ჩვენი დროის ქართველია...

დღეს, როცა ბევრისათვის, უსაშველოდ ბევრისათვის გული მხოლოდ ფიზიოლოგიურ ფუნქციას ასრულებს და მის ადგილზე, არსებითად, კუჭი, თანაც გაუმაძღარზე გაუმაძღარი კუჭი ამოტივტივდა, როცა ნეომეშჩანობა მოსახლეობის უკლებლივ

ყველა ფენაში ღრმად, ბურღივით შეიჭრა და ისე მტკიცედ დამკვიდრდა, რომ ის არც საძრახისად და არც დასაცინრად ითვლება, როცა სიყვარული მოყვასისადმი, თუ სიძულვილმა არა, ყოველ შემთხვევაში, ცინიკურმა გულგრილობამ შეცვალა, როცა შენი მშობელი ერისა და შენი სამშობლოს ბედი და ჭირ-ვარამი აღარ გაღელვებს, არ გაწუხებს და ძილს არ გიფრთხობს... როცა შენ, მშრომელსა და მაინც სხვის შემყურეს, თანამდებობის მქონე მექრთამე-მომხვეჭელი თავბედს გაწყევლინებს და, გაიძულებს აუგად მოიხსენიო ის ყოფა-წყობილება, რომლის უკეთესი, კონსტიტუციის მიხედვით, არ შეიძლება სადმე სხვაგან კიდევ მოინახებოდეს, —

როგორ, ასეთი ადამიანი უკვდავებაზე ფიქრისათვის მოიცლის?!

და თუნდაც მასთან შედარებით მეტ-ნაკლებად პატიოსანი, რომელსაც ერი და მამული მარადის პირზე აკერია, საქმით კი თავის ბევრი რამის შემძლეობას მხოლოდ პირადი გალაღებისათვის იყენებს, —

სადღა დაურჩება მას იმდენი დრო, უკვდავებაზე იფიქროს?!

მე აღარაფერს ვამბობ ათასი ჯურისა და ათასი სახის სინდის და შუბლგარეცხილებზე, ქურდებზე, მძარცველებზე, მკვლელებზე, აბორტმახერებზე, და არც ერთი შვილის მშობლებზე, რომლებიც არათუ უკვდავებაზე, იმაზეც კი არ ფიქრობენ, თვითონ მათ ბუნება მიწის გასაპოხიერებლად რომ მიიბარებს, ხშირად, ძალიან ხშირად მარტოდმარტო, ბედის ანაბრად დარჩენილი უძმო და უდო, უფესვებო მათ შვილს რა მომავალს უმზადებენ...

ასე რომ, ყოველი ადამიანიო, ეს ტყუილი ბრძანებაა, — არა, არ ფიქრობს ყოველი ადამიანი უკვდავებაზე...

ასე განსაჯეთ, როგორღაც მეეჭვება, თავად ამის მთქმელსაც ოდნავ მაინც რომ შეეწუხებინა ფიქრს უკვდავებაზე, მაშინ ის თავისი დამოკიდებულება-მოპყრობით საბაბს არ მისცემდა მისგან გამწარებულ გალაქტიონ ტაბიძეს დაეწერა მასზე, როგორც თანამდებობის პირზე: „მოსკოვს გაფრინდა ვერაგი...“ და ასე შემდეგ.

აი, კიდევ თუნდაც... უკვდავებაზე რომ ეფიქრა აწ განსვე-

ნებულ შემოქმედს (რა დარგისას — ზუსტად არ, ვასახელებ), მაშინ იგი თავს სალაპარაკო-სათრეველად არ გაიხდიდა, „ეს და ეს“ რესტორნის დირექტორად დაანიშნინა და ამის საფასურად მისგან სამი ათასი მანეთი აიღოო, თუმცა მას, ამ შემოქმედს, არც ნიჭი აკლდა და არც ფული, და არც გარს წერილი შვილები ეხვია და ბინაც დიდებული ჰქონდა და იუბილეების გრანდიოზული „საბანკეტო განყოფილების“ გამართვისას შაურიც არ ეხარჯებოდა, საამისოდ მისი მშობლიური რაიონი იხდიდა (თუ ახდევინებდნენ?) ხარკს...

მე მესმის, ცოტა არ იყოს თითქოს უხერხულია და ლამაზიც არ არის იმქვეყნად წასული კაცის ასე მოხსენიება, მით უმეტეს ნაბეჭდი სიტყვით, მაგრამ, აბა, რას იზამ, როცა ძველი დროის შეგონებას — მკვდარზე ან კარგი უნდა თქვა ან არაფერიო, ჩვენი დროის უკვდავების მოსურნე-პრეტენდენტებს ესეც უნდათ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ...

დაე, მათ აწ მაინც იცოდნენ, სიცოცხლეში ჩადენილი სიგლახე არც სიკვდილის შემდეგ მიეტევებათ, მათს ნაავკაცარს მშობლიური მიწა დიდების ძეგლად არ გადაეფარება.

არდავიწყება არც კარგის, არც ცუდის, არც სიკეთის, არც სიბოროტის, არც მხდალობის, არც გმირობის, მით უმეტეს თუ ის ცრუგმირს მიაწერეს სხვადასხვა კონიუნქტურული მოსაზრებით.

უკვდავება მხოლოდ კეთილი საქმეებით შეიძლება მოიპოვო ადამიანმა, იმ საქმეებით, რომლებიც ქმნილია შენი ერისა და შენი სამშობლოს სადიდებლად და საძლიეროდ; ვინც სიკეთეს თესავს, და ამას იმ მიზნით კი არ აკეთებს, რომ უკვდავყოს თავისი სახელი, — ქმნა სიკეთისა მისი სულის ორგანული მოთხოვნილებაა, და თუ ამას ოდესმე უკვდავება მოჰყვება, ამის შეგრძნება მისთვის, რაკი იგი ადამიანია და არა ანგელოზი, არ იქნება, ცხადია, გუნების მომწამველელი.

უკვდავება პავლე ინგოროყვას მანამდეც მოპოვებული ჰქონდა, როცა უარი თქვა ჰონორარზე ფინანსურ გასაჭირში ჩავარდნილი გამომცემლობის სასარგებლოდ; ერთმა სხვამ კი, სიცოცხლეშივე უკვდავად აღიარებულმა და სიკვდილის მერე ამ მხრივ საკმაოდ ფესვებშერყეულმა, თავისი ორტომიანი თხზულებათა გამოცემისას ისეთი ღალა დაადო ერთ პატარა

გამომცემლობას, რომ „კუზიანი“ ავტორი წელში კი გაიმართა-გასწორდა, მაგრამ ისეც არატანწერწეტი გამომცემლობა სულ დაკუზიანდა...

ჩვენს დროში საუკვდავებო სიგელ-გუჯრები ისე გააიაფეს, რომ ბევრ, მით უფრო ნაიუბილარ ერისკაცებს, ნამდვილად კი თავისკაცებს, ეჭვი არ ეპარებათ, რომ რაკი ცხოვრებაში მრუდე გზებით ყოველგვარ სანატრელს უნატვრელადაც მიაღწიეს, ახლა, თუ ორივე თვალი არა, ცალი თვალი მაინც მთაწმინდისკენ უჭირავთ...

არა, ჯერ გული ი ქ ი თ კ ე ნ სულაც არ მიუწევთ, მაგრამ... აი, მერე, სულ მერე... აი, როცა გადასცილდებიან იალაღების მკვიდრის, 156 წლის მახმუდ ეივაზოვის ასაკს, რომლის, სხვათა შორის, სიცოცხლის ზღაპრული ხანგრძლივობის მთავარ მიზეზად იუმორისტი გერონტოლოგები იმას თვლიან, რომ იგი, მახმუდ-აღა, არასოდეს არც ერთ კრებას და არც ერთ მიტინგს არ დასწრებია, ჩვენში მხოლოდ თავის დასაქნევად და ხელის ასაწევად რომ მართავენ ხოლმე.

...საბედნიეროდ, ამ ბოლო წლებში მთაწმინდისკენ მიმავალი აღმართი მართლაც აღმართს დაემსგავსა, მანამდე კი... ვინც მოასწრო, — მოასწრო! ესეცაა, ერთობ ბევრმა კი მოასწრო!

დიდუბის პანთეონს აღარ კადრულობდნენ, — ეცოტავებოდათ, აი ისე, როგორც ლილიპუტიაში... ბოდიში, საქართველოში, მაგალითად, კულტურის დამსახურებული მუშაკის წოდება ბევრს ორასი გრამი ჯონჯოლის ფასადაც არ უღირს და ყველას ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეობა სწადია, თეატრის ადმინისტრატორსაც კი, რომლის სახელოვნო მოღვაწეობა პარიკის შოვნით და კონტრამარკების გაცემით იფარგლება...

თუმცა...

ესეც არის, თითქოს არც ამ „ყველას“ გაემტყუნება: თუკი, მაგალითად, მადლიერი საზოგადოების მიერ ჯერ ჩეჩმაში ჩაგდებული და მერე იქიდან შავი იუმორის მოყვარულთა მიერ ამოთრეული ამხანაგი, რომლის დამსახურება ხელოვნების წინაშე სულ ის არის, რომ სქესობრივი მომწიფების ასაკში ხრინწაძის 6-კაციან გუნდში მღეროდა, მერე კი ეს მომწიფებული და, მგონი, გადამწიფებულიც, ხელოვნების მუშაკებს სალტი-

კოვ-შჩედრინის „С фаршированной головой“-იანი გუბერ-ნატორად, თავკაცად მოუვლინეს, — შეიძლება ბრძანდებოდეს მელპომენას დამსახურებული მოღვაწე, მაშინ რატომღა უნდა მოგვეჩვენოს უჩვეულოდ და უსაფუძვლოდ თუნდაც თეატრის ადმინისტრატორის პრეტენზიაც ამ სფეროში, — ამას ყოველ შემთხვევაში „ჩეჩმის სკოლა“ მაინც არ გაუვლია!

...მთაწმინდა!.. მთა წმინდა, წმინდა მთა!..

ჰოდა, მთაწმინდაზე უნდა იმარხებოდნენ მხოლოდ დიდზე დიდი ადამიანები, რომლებმაც ერს დაუტოვეს მარად გაუხუ-ნარი, ყოველ დროში ხელშესახები მემკვიდრეობა...

ვიცი, ამისათვის ბევრისაგან შეიძლება გავიკიცხო კიდეც, მაგრამ მანც ვიტყვი: მთაწმინდაზე არ უნდა იმარხებოდნენ არც ის პირნი, ვისაც პარტიული სტაჟი თუნდაც საუკუნოვანი აქვს, და არც მსახიობები, რა დიდი ნიჭისანიც იყვნენ... მათი დიდო-ბა, განუმეორებლობაც კი, ხომ არაფრის მთქმელია ახალი და ახალი თაობებისათვის, ვაკმაროთ მათ ბარში მდებარე პანთე-ონი, მაგრამ მათ, უფრო სწორად, მათს ჭირისუფლებს, რო-გორც უკვე ვთქვით, პანთეონი ხრიოკი საბოსტნე ნაკვეთის ტოლფასადაც არ მიაჩნიათ, — ეგზომ ეპატარავებათ, თუმცა-ღა... ზოგიერთ მათგანს ვერც გაამტყუნებთ: აკი პანთეონში (მთა წმინდაზეც!) ნათესავ-ნაცნობ-მეგობრობის . გაძრომ-გამოძრო-მის წყალობით ბევრმა ისეთმაც იპოვა სამარადისო სასუფეველი, რომელთაც ამა ქვეყანასა ზედა არაფერი დაუთესიათ, და თუ მკიდნენ, — მკიდნენ სხვის დანათესს მარტო საკუთრივ თავისთვის.

(სხვათა შორის, პანთეონში ზოგიერთს გვერდით ისეთი ცო-ლიც მიუწვინეს, რომლებისგანაც სიცოცხლეში განაწამები იყვნენ).

ყური მაქვს მოკრული, ფრანგებს ასეთი წესი აქვთო (და თუ არა აქვთ, ეს ბრძნული ნაბიჯი, დაე, პირველად ჩვენ გადავ-დგათ!): ყველას, დიდსა და პატარას, მარხავენ ჩვეულებრივ სა-საფლაოზე; მერე კი, სულ ცოტა ნახევარი საუკუნის გასვლის შემდეგ, ვინც ერის მეხსიერებაში წინანდებურად იბრწყინებს, ესე იგი დროის გამოცდას გაუძლებს, მას პანთეონში გადაას-ვენებენო...

ჩვენც რომ ასეთი წესი გექონდეს, მაშინ სულ იოლად დავრწმუნდებოდით, რომ სამთაწმინდოდ ჩვენმა პატარა ხალხმა საუკუნეში შეიძლება მხოლოდ ორი-სამი კაცი წარმოშვას.

დიახ, ჩვენც რომ ასეთი წესი გვქონოდა, მაშინ ილიასა და აკაკის გვერდით სამარადისო განსასვენებელს ვერ იპოვიდა ამის დამწერი:

„...დღევანდელი მშრომელი ხალხი, ე. ი. რომელსაც დაბალი ხალხი ეწოდება თანამედროვე ენაზე, „ვეფხის-ტყაოსანს“ ნაკლებათ ეტანება, და რაც დრო მიდის, მისი ინტერესი კიდევ უფრო კლებულობს. „ვეფხის-ტყაოსანს“ უფრო ეტანება და გასავალი აქვს საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დაჩვეულია უსაქმობას და რომელსაც მოსწონს აღმოსავლეთის რაინდული ცხოვრება.

...დღეს მკითხველი წიგნში ეძებს აზრს, მიმართულებას და პასუხს ათასგვარ „დაწყეველილ“ კითხვებზე, რომლებსაც მას წინ უყენებს ყოველდღიური ჭაპანწყვეტა. აშკარაა, რომ „ვეფხის-ტყაოსანი“ მას დღეს ვეღარ უშველის, იქ გამოხატული და დასურათებული გმირები დღევანდელი მკითხველისთვის სრულებით გაუგებარი და უსარგებლოა“.

ფ. მახარაძე.

„თხზულებანი“, ტომი მე-5, გვ. 166, 1926 წ.

საერთოდ, დიდი სიბრიყვეა შიში იმისა, რომ თუ სიცოცხლეში თავად არ ვიზრუნეთ, სიკვდილის შემდეგ დაგვეკარგება ჩვენი ესოდენი ღვაწლი და ამაგი...

ო-ო, ოღონდაც ეს ღვაწლი მართლაც „ესოდენი“ იყოს და... მშვიდად ბრძანდებოდეთ, სანთელ-საკმეველი, ადრე თუ გვიან, გზას გაიკვლევს და ჩრდილიდან სამზეოზე ლოცვა-კურთხევით გამოგიყვანს...

ნიკოლოზ ბარათაშვილი გარდაცვალებიდან 48 წლის შემდეგ, იმდროინდელი „ზაკკრაიკომ“ — „ნამესტნიკის“ ყოველგვარი დადგენილების გარეშე ხალხმა, ხ ა ლ ხ მ ა განჯის გაევრანებული სასაფლაოდან გადმოასვენა დიდების პანთეონში, მერე კი, ვაჟასთან ერთად, ციმციმ აიტანა მთაწმინდაზე...

ვერც დიდი ფულით, ვერც დიდი პარტიული სტაჟით, ვერც დიდად გავლენიანი, დაინტერესებული პირების ხელშეწყობით...

არა, პრემიას, თუნდაც რუსთაველის პრემიასაც კი მიიღებ და დახურულ კონკურსშიც გაგამარჯვებინებენ (აკი ავტორები დარბიან და აფრთხილებენ ხოლმე ჟიურის წევრებს: არ დაგავიწყდეთ, ჩემი დევიზია: „ვიცხოვროთ და ვიშრომოთ კომუნისტურად!"), მაგრამ უკვდავებას კი — ვერა და ვერა!

მადლობა უფალს, რომ ეს ასეა, თორემ ამა სოფელშივე ნაადრევად უკვდავებაში უკვე ჩარიცხულნი, „მერეც", იმ სოფლიდანაც ხომ შეგვიკლავდნენ ხელში თავიანთი უძღები მადით...

დიახ, უკვდავების მომცემი მხოლოდ დრო და ხალხია, — სხვა არავინ და სხვა არაფერი! „სხვამ" შეიძლება მხოლოდ უკვდავების სუროგატი, მისი იმიტაცია მოგცეს, და ისიც დროებით. ისეთმა „სხვამაც" კი, როგორიც სტალინი იყო, ზევსს რომ უტოლდებოდა, ვერ უკვდავყო ერთი დიდი მწერლის საშუალო ღირსების ნაწარმოები: „Эта штука сильнее, чем „Фауст" Гете"... (ესეც არის, თუკი ეს მხოლოდ „შტუკაა", თავისთავად ცხადია, გენიალურისა, მსგავსად „ფაუსტისა", მას არაფერი ეცხება რა). „ჯურღაის ფარიც", ეს საშუალოზე უფრო საშუალო კინოსურათი, მაინც ვერ ავიდა ხალხის საყოველთაოდ საყვარელ, სულისშემძვრელ კვარცხლბეკზე, თუმცა მას — რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო! — გამოცალკავებულად, სპეციალური დადგენილებით (როგორც ყოველთვის, აქაც „ხალხის მოთხოვნით!") სტალინური პრემია მიენიჭა მის შემდეგ, როცა იმ წლის პრემიები უკვე რამდენიმე თვის წინათ იყო ჩამორიგებული.

ჰო, მაგრამ... ახსოვს კი ახლა ვისმე „ჯურღაის ფარი", თუნდაც მის შემქმნელ სამშობლო-საქართველოში?!

ამავე დროს სტალინს არაფრად ეპიტნავებოდა დოსტოევსკი (უფრო ალბათ, „Бесы"-ს გამო) და არც „упадочнический" ესენინი, რუსეთის ეს — ჩემი სუბიექტური აზრით — პუშკინისა და ლერმონტოვის შემდეგ ყველაზე დიდი პოეტი, მაგრამ დრომ — რასაკვირველია, არა იმ დრომ, რომელიც მრისხანე „ზევსმა" ხელზე მოსამისახურედ, ლაქიად გაიხადა, —

მაინც თავისი გაიტანა: რუსეთში უკვდავებაშერყეულმა დოსტოევსკიმ უკვდავება ისევ აღიდგინა, ესენინს კი დევნის დროსაც ბევრი ვერაფერი დააკლეს; ოფიციალურ მდევნელებსაც კი მისი პოეზია სასთუმალქვეშ ჰქონდათ ამოდებული და დროდადრო, სულის საამებლად, მალულად კითხულობდნენ.

ოღონდ... ყოველივე ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საბჭოთა ზევსი ხელოვნებისა და ლიტერატურის სფეროში მხოლოდ რისხვის დამტეხი და ლიტერატურულ-ესთეტიკურ გემოვნებას მოკლებული ყოფილიყო...

არა!

მაიაკოვსკი ისევ მან გააცოცხლა; ცალმხრივი, ეგრეთ წოდებული პროლეტარული კრიტიკის მიერ არაერთხელ გვემულ, სამწუხაროდ, საქართველოში ჯერჯერობით ნაკლებად ცნობილ, უნიჭიერეს მწერალს, მიხეილ ბულგაკოვს იარები, ცოტად თუ ბევრად, ისევ მან მოუშუშა (სამხატვრო თეატრის მუზეუმში ინახება დღიურები, რომელთა მიხედვითაც დასტურდება, რომ სტალინს ბულგაკოვის „Дни Турбиных" — 14-ჯერ (თოთხმეტჯერ!) უნახავს. საკვირველი კია, თუნდაც მარტო ათასგვარი ოპოზიციებთან „დაკა-დაკაში" სად პოულობდა ამდენ დროს! „ჩაპაევს" ჩვენების პირველ დღეებში იმდენად გულგრილად შეხვდნენ, რომ „იზვესტია" თითქმის უარყოფითი (ხრ. ხერსონსკის) რეცენზიით გამოეხმაურა; სტალინმა სალამოთი ნახა ეს ფილმი და... მეორე დილით „პრავდაში" მოწინავე, მ ო წ ი ნ ა ვ ე სტატია გამოქვეყნდა სათაურით

«Чапаева» посмотрит вся страна!»

იტყვის ვინმე, რომ ეს არ ახდა?!

სტალინმავე გააცოცხლა და დაუბრუნა ქართველ ერს მახარაძისა და ბევრი მისი ავანჩავანის მიერ მრავალჯერ მიბეჭილი ილია ჭავჭავაძე, — ყოვლად შეუძლებელია, რომ მისი მითითება-ბრძანების გარეშე 1936 წელს გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილიყო დიდი ნაწყვეტი „კაკო ყაჩაღიდან", რომელსაც წინ უძღოდა ეს სტრიქონები, რომლებიც, უეჭველია, სტალინის ხელით იქნებოდა დაწერილი:

«Чавчавадзе Илья Григорьевич (1837—1907) — грузинский писатель и популярнейший в Грузии общественный деятель национально-революционного движения второй половины XIX века, автор поэм: «Отшельник», «Призрак», «Мать и сын», и «Разбойник Како».

Поэма «Разбойник Како» написана И. Чавчавадзе в 1860 г., в бытность его студентом Санкт-Петербургского университета, и резко направлена против крепостничества».

(«Правда» от 4 сентября 1936 г.)

ვაითუ, ძებნა დაუწყოთ და მიაგნოთ, ამიტომაც მოვერიდები ზუსტი თარიღის აღნიშვნას და ვიტყვი ასე: ამას წინათ ერთი პოეტის „რჩეული“ გამოვიდა; ყდაზე მთლიანად აწერია ავტორის სახელი და გვარი, ტიტულზე კი... თითქოს იასავით როგორღაც მორცხვად, თითქოს შეპარებით, თითქოს მოსასინჯად, — მარტო სახელი!

ცნობილი პირის მხოლოდ სახელით მოხსენიება საქართველოში, როგორც ვიცით, ხალხისგან დიდზე დიდი პატივია, ამიტომაც არა მარტო ამ „რჩეულის“ ავტორს, ბევრ სხვასაც არ აძლევდა და არ აძლევს მოსვენებას აკაკის დიდება...

რაკი ცხოვრების პრაქტიკულ სარბიელზე, კეთილდღეობის ასპარეზზე ყველა მწვერვალს მიაღწიეს, ახლა შემოქმედებითი მწვერვალის დაპყრობაც სწადიათ, ოღონდ უწრიალებოდ და უალპენშტოკოდ, ოფლდაუდენლად მოპოვებული ტიტულების შემწეობით, მაგრამ... განა მთავრობის ბრძანებულება გაგხდის ნამდვილ სახალხო პოეტად?! თუნდაც შენი იუბილესთვის სპეციალურად დიდად მიჩნეული რეჟისორიც დაიქირავო, რომლის საიუბილეო ფანტაზია „ამოდუღდი მარგალიტოსავით“ ამოდუღდება და ფერხთით ყვავილებთან ერთად მარგალიტივით ქალიშვილებიც მოგისვას...

ვგრძნობ, ამისათვის, ცოცხლებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, მიცვლილებიც კი გამებუტებიან, მაგრამ რაკი ბუხართან მარტოკა ვარ მოყუჟული, გავბედავ და ვიტყვი: დღემდე ჭეშმარიტად სახალხო პოეტი მხოლოდ ერთი გვყავდა; ეს იყო აკაკი (შოთა ყოველ დროში და ყოველნაირ გარემოცვაში იყო, არის

და მარადის დარჩება, როგორც იტყვიან, კონკურსს გარეშე).

დიახ, შენ შეიძლება იყო პოეტების პოეტი და, შეიძლება, პოეტების მეფეც, შენ შეიძლება იყო ხალხის რომელიმე ფენისათვის დიდად საყვარელი პოეტი, მაგრამ მთელი ხალხისთვის, ყველა იმერ-ამერისთვის, სვანეთიდან თუშ-ფშავ-ხევსურეთამდე რომ იყო სათაყვანებელი, მაშასადამე, საყოველთაო სახალხო პოეტი, — ასეთი იყო მარტო აკაკი!

ყოველგვარი ორგანიზებული რეკლამისა და ყოველგვარი თვითრეკლამის გარეშე!

დაქირავებული რეჟისორებისა და დაქირავებული კრიტიკის დაფდაფების გარეშე!

გულისფიცარზე ჩამოსაკიდებელი ათასგვარი „ჩინშენდლის“ გარეშე, რომლებისთვისაც ბევრს ახლა პიჯაკის ორივე ბორტიც არ ჰყოფნის.

ყველაზე უფრო ნიშანდობლივი ის არის, რომ აკაკის პოეზია ხალხმა იმ დროს აიტაცა, როცა მისი დიდი ნაწილი წერაკითხვის უცოდინარი, ანდა მცირემცოდნე იყო...

ამიტომ იყო იგი მისთვის ა კ ა კ ი, ამიტომ იყო იგი ნამდვილად სახალხო, რადგან თავისივე ხალხის თანამედროვე კი იყო, მაგრამ მის მიმართ მედროვე არ ყოფილა.

ვის არ უნახავს პირველი ქართული, იმ დროისათვის საკმაოდ გრძელი სურათი, რომლის მსგავსს ჟანრობრივად ახლა კინოქრონიკას რომ აკუთვნებენ: „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“. გახსოვთ ალბათ, აკაკის სანახავად და მასთან შესახვედრად რა ალმაფრენით და რა სტიქიურად გამორბის ხალხი, ქალი და კაცი, დიდი და პატარა, ზოგი ფეხით, ზოგი ცხენით — სახლებიდან, ეზოებიდან, მინდვრებიდან, ყანებიდან...

ჰოდა, ახლაც იმოგზაურა რაჭაში სულმნათი მგოსნის თითქმის ნაკვალევზე ერთმა ჩვენი დროის ცნობილმა პოეტმა, მაგრამ... ვაი რომ, იმ ნაკვალევზე თავისი კვალი ზედაპირულადაც ვერ აღბეჭდა, ვერ დააჩნია, თუმცა ადგილობრივ ხელისუფლებას საამისოდ, როგორც იტყვიან, ოპერატიული ღონისძიებანი არ დაუკლია.

დიახ, მარტო სახელით მოხსენიებას სხვადასხვა ხერხით ახლაც შეიძლება მიაღწიოს მავანმა და მავანმა, მაგრამ გაძრომ-

გამოძრომით მოპოვებული სახელობითი პატივისცემა, ვაითუ, მოჩვენებითი გამოდგეს!

ასეა, მაგალითად, ჩემს მშობლიურ კუთხეში, ზემო იმერეთში: პირისპირ თავაზიანად მოგმართავენ, — გრიშა, ირაკლი, მოსე, კაპიტონ... ზურგს უკან კი პატივისცემის ღირსად მართლა თუ არ მიაჩნიხართ — გრიშაია, ილაკრია, მოსია, კაპიტონა...

კიდევ ცოტა რამ დიდკაცებზე, ნადიდკაცარებსა და უკვდავებაზე...

იმ წლებში, როცა, რაფავა-ბერიას „კარატისტების" დევნით და მუქარით შეძრწუნებული, მალულად მოსკოვში ძმის ბინაზე, გერცენის ქუჩაზე ვცხოვრობდი, და მერეც, კვლავ ყოველწუთიერი დაჭერის შიშისგან შედარებით უკვე თავისუფალი...

ამ ქუჩას შუაზე ტვერის ბულვარი ჰკვეთს, რომლის ბოლოში მანტიაში გახვეული ტიმირიაზევის ძეგლი დგას, ბულვარის თავში კი ერთ დროს ჩაფიქრებული პუშკინი იდგა (მერე იგი ცოტა ზემოთ, უფრო გაშლილ ადგილზე გადაიტანეს, რასაც სხვათა შორის, ზოგიერთი „კონსერვატორი" სტალინს ახლა ამასაც დიდ ცოდვად უთვლის).

ამ ბულვარის ცოტა ქვემოთ და მანეჟის ცოტა ზემოთ გრანოვსკის ქუჩა მდებარეობს. ამ ქუჩაზე ცხოვრობდა მოლოტოვი (ცხოვრობს ალბათ ახლაც — 92 წლისა), და იგი, ამ რამდენიმე წლის წინათ ყოველ საღამოს ამ ბულვარში სეირნობდა: მას თან დაჰყვებოდა ხოლმე მისებრ ტანმორჩილი, ესეც ხნიერი, მაგრამ თავის თანამოსეირნეზე ბევრად უფრო ჭარმაგი, უბრალო გარეგნობის მამაკაცი...

ერთხელ მე მათ ჩავუსაფრდი... გაცნობის მიზნით!

დიახ, გაცნობის მიზნით, თუმცა ცხოვრებაში ნიადაგ მტკიცე წესად მქონდა და მაქვს, გავლენიანი თანამდებობის პირებთან ნაცნობობის ძაფების გაბმას ვერიდო, კარის მეზობლებთანაც კი...

ჩვენს ქვეყანაში ხომ, მით უმეტეს თუ მცირეფასეული ჭიანჭველა ხარ, ცოტა რაღაც კანონითაც რომ გეკუთვნოდეს, მის მისაღებადაც კი ათობით შენზე ზევით მდგომთ მათხოვარივით ხელგაწვდილი უნდა ეახლო, უნდა დამცირდე საბჭოთა ადამიანი, რომლითაც ასე „ამაყობ" სიცრუით გამოტენილი გაზე-

თების ფურცლებზე, და თითქმის სასჯელად მოსჯილ თავყრილობებზე...

ახლა კი, აგერ, ბედმა მომგვარა... იმ თითქმის 25 წლის მანძილზე, როცა მოლოტოვი ჩვენს უზარმაზარ სახელმწიფოში მეორე კაცად ითვლებოდა, და თანაც, მომდევნო იყო ვისი? — ს ტ ა ლ ი ნ ი ს! — მე გულითაც რომ მეწადა ამევლო გვერდი ჩვენი დროისათვის შეუფერებელი, ჩემი არაპრაქტიკული ხასიათის ამ წამგებიანი ზნისათვის და ძალიანაც მეცადა დავახლოებოდი მას, — ან საიდან მივუდგებოდი, ან ვინ გამაკარებდა?! ახლა კი... დადის აგერ, ამ ბულვარში თითქოს ჩემსავით უმნიშვნელო, პატარა კაცი, რომელსაც აღარც შენი აღზევება შეუძლია და აღარც შენი დასამარება: „ერთ ბედ ქვეშა ვართ ლაბავ მე და შენ...“ ამიტომაც გავბედე და... აქცენტით ხელად მიცნო:

— А-а, Вы грузин?! Что ж, никогда не скрывал и сейчас не скрываю: я всегда питал слабость к грузинам.
— Это из-за Сталина, наверно...
— Пожалуй, да.

(რამდენადაც ვიცი, მოლოტოვი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრობიდან მოხსნა ხრუშჩოვმა ტიტოს მოსკოვში ჩამოსვლის თითქმის წინადღეს „ზაკუსკად“ მიართვა, სტალინის გასაბახებელ აქციებში, კენჭისყრისას, თუ წინააღმდეგი არ იყო, ყოველ შემთხვევაში, თავს მაინც იკავებდა).

ამ ხანმოკლე საუბრისას ერთი წამით გონებაზე ლიბრისებური რაღაც გადამეკრა და, რაც არასოდეს მომსვლია ჩემს სპირიდონ მცირიშვილისებურ ცხოვრებაში, მაინცდამაინც სწორედ ახლა ჩემი თავი დიდკაცად წარმოვიდგინე, ჩემი თანამოსაუბრე კი — ფანტაზიით! — პაწაწკინად და წყალობის ნიშნად — ესეც, რასაკვირველია, ფიქრად! — მხარზე ხელიც დავკარი და — ეს უკვე ცხადლივ! — გამამხნევებელი კილოთი კიდეც ვთხოვე და კიდეც ვურჩიე, თქვენ ისეთი გრანდიოზული ისტორიული ქარტეხილების უშუალო მოწმე და მონაწილე ბრძანდებით და მრავალი წლის მანძილზე ისეთ ბუმბერაზ ადამიანს ედექით გვერდით, თქვენ მიერ ამის აუწერლობა მიუტევებელი ცოდვა იქნებოდა-მეთქი ისტორიის წინაშე...

— Ну и написал бы, но... А кто напечатает?!

დალოცვილმა ეს სიტყვები ისეთი გულსიწუხილით და ნაღვლიანი ტონით წარმოთქვა, თითქოს იგი არც ოდესმე ყოფილიყოს ამ „ა კტო ნაპეჩატაეტის“ ერთ-ერთი შემომღებ-დამამ-ქვიდრებელი...

(ამას წინათ მთავლიტი ღრმა მწუხარებით იუწყებოდა... ცარიზმის შავბნელ დროში ცენზორს რომ ეძახდნენ, ახლა, ჩვენს გაცისკროვნებულ დროში კი — რედაქტორს... უფროსი რედაქტორის, ამის და ამის გარდაცვალებას. ჩემდა სავალალოდ, მხოლოდ ასე დაგვიანებით, სიბერეში, სამგლოვიარო განცხადებიდან შევიტყვე მთავლიტის სრული სახელწოდება: ბეჭდვითს სიტყვაში სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო.

კი, მაგრამ... ნეტავ ვიცოდე, რა სახელმწიფო საიდუმლოებას მოიცავდა, როცა ჩემი პიესებიდან აგდებდნენ, აი, თუნდაც, ასეთ ფრაზებს: „ჩვენდენი დიპლომი არავის არა აქვს მსოფლიოში!“ „როგორ, ახლა უკეთესი დროა? — სულ პირწმინდად გაირეცხეთ სინდის-ნამუსისაგან!“

მოდი და ნუ მოგაგონდება კაცს რაფიელ ერისთავი და მისი „ტეტიას ფიქრები“: „რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე, რით გამოვკვებო ცოლ-შვილი?“

და თან ზედ, ფურცლის მარცხენა კუთხეში, წითელი მელნით რომ მიაწერდა: „Дозволено цензурою. Цензор Р. Эристов“.

ალბათ სალტიკოვ-შჩედრინიც გაგახსენდებათ, რაფიელის თანამედროვე და რიაზანის ვიცე-გუბერნატორი, „История одного города“-ს და სხვა „დამაქცევარი“ — სატირული მოთხრობების შემთხზველი).

გამოგიტყდებით: მე მემუარული ლიტერატურის ისეთი ცეცხლმოკიდებული მოყვარული ვარ, როგორც პრეზიდენტი რუზველტი გახლდათ დეტექტიურისა...

თუმცა ესეც მომეხსენება, რომელიც გნებავთ მემუარისტი, თითქმის უკლებლივ ყველა, ცდილობს თავისი თავი... აი, ისე გამოაჩინოს, როგორც ეს ახლა საქართველოში საყოველთაო წესად არის გადაქცეული: კაცი ოთხმოცი წლისა მიიცვალა, ნეკროლოგში მისი სურათი კი იმ დროისაა მოთავსებული, რო-

ცა განსვენებული, პირობითად თუ ვიტყვით, სოფელ ჩუმლაყის „მეტეორში““ შუამარბს თამაშობდა...

დიახ, მე ყველას ვურჩევ დაგვიწერონ მემუარები (გარდა ჩემი თავისა, „А кто напечатает?!“), ოღონდ იმ პრინციპის დაცვით, ზევით რომ მოგახსენეთ, თანაც ისეთი, — რაკი სრულ სიმართლეს არ უნდა ველოდოთ, — ფერ-უმარილით მხოლოდ ზომიერად რომ იქნება შელამაზებული.

სხვათა შორის, ამის თაობაზე მიხეილ ჭიაურელს, დიდად ნიჭიერსა და ბევრის მნახველს, პირდაპირ ბალღივით ვეხვეწებოდი, — წერა თუ გეძნელებათ, მე მიკარნახეთ, ავტორობის დარდი ნუ გექნებათ, არაფერს მივითვისებ-მეთქი... და თუნდაც მივითვისო, აბა ვინ დაიჯერებს, რომ, ვთქვათ, მე და სტალინი, მისივე კოდექსის განჩინებით, ხალხის მტერი და. მაშასადამე, მისი პერსონალური მტერიც, ასი საკონტროლო თვალისქვეშ დაწურულ ხვანჭკარას კრემლში ერთად ვწრუპავდით-მეთქი...

კინორეჟისორ მიხეილ ჭიაურელს ვინც ახლოს არ იცნობდა, ცხადია, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, რა უბადლო მთხრობელიც იგი იყო. მას, მაგალითად, შეეძლო ეამბნა სრულიად უბრალო, ბანალური ამბავი, აი თუნდაც ასეთი: როგორ შეაცდინა, ანუ, უფრო სწორად, როგორ შეიცდინა თავი უკარება, გოროზმა ბანოვანმა, — რომელი მოპასანი, რომელი ფლობერი მიუდგებოდა მას ფერებისა და სიტყვების შერჩევაში!

ჭიაურელი ბუნებისაგან უხვად იყო მომადლებული ელვარე კომედიური ნიჭით და ცოცხალი იუმორით, და რარიგ დასანანია, მისი, როგორც შემოქმედის მოღვაწეობა ისე წარიმართა, რომ ბოლოს ერთმა, მამაზე ხელაღებულმა ქალმა, ასე უდიერადაც კი შოიხსენია: „Спекулянт от искусства.“

როცა „ბერლინის დაცემის“ მერე სტალინთან ერთად ჭიაურელიც დაეცა, ამის მიზეზი კი, ალბათ, სხვა ამის მსგავს მიზეზებთან ერთად ისიც გახლდათ, რომ ზემოთ დასახელებულ ფილმში, ფართო კაბინეტში, სტალინის შემოსვლის მომ ლოდინე მისი თანამებრძოლები, დივან-სავარძლებში მსხდომნი... მერე ამათ რეჟისორს მიუტევებელ ბრალდებად რომ წაუყენეს, სტალინის შემოსვლისას ფეხზე რატომ წამოგვაყენეო...

კი, მაგრამ, თქვე სახელმწიფოაშენებულებო, ახლა ასე რომ მოგეცათ გულს... შემოდის ბელადი, ხალხთა მამა და მასწავლებელი, შემოდის მილიონიანი არმიის მთავარსარდალი, შემოდის **великий Сталин**...

(აქვე გზად ამასაც შევნიშნავდი: პეტრე პირველს, ეკატერინე მეორეს „ველიკობა" იმიტომ ხომ არ ჩამოერთვათ, რომ ამით სტალინი უფრო „გაველიკებულიყო?").

...შემოდის და... თითქმის ყველა თქვენგანი ასაკობრივად მასზე ათი-ოცი წლით უმცროსი ბრძანდებოდით, ყველას თქვენ თავი მოგქონდათ, რომ მის მოწაფეებად ითვლებოდით და... საკლასო ოთახში თავზე ქუდით და ცხვირში თითის კირტნით ტუტუცი მასწავლებელიც რომ შემოდის, სულ ცუღლუტი მოწაფეც კი ზეზე წამოხტება და...

კარგი, რეჟისორი კიდევ ჰო, მაგრამ მსახიობს მაინც რაღას ერჩოდნენ, — სტალინის როლის მუდმივ შემსრულებელს ჭიაურელის ფილმებში?!

საწყალი მიხეილ გელოვანი, „სტალინამდეც" ქართული სცენის მშვენიერი მსახიობი, სტალინს რატომ თამაშობდიო და... ამ უხიაგი ლოგიკით რამდენიმე წლის მანძილზე უმუშევრობით გულდაკოდილი ერთ დღეს — უცნაური კია, სწორედ სტალინის დაბადების დღეს, 21 დეკემბერს! — გულს ისე შეეხეთქა, ხელოვნური, ფოლადის გულიც ვერ გაუძლებდა და...

დაეცლიათ ცოტა მისთვის იმ დიდ ბრძენკაცებს და... თუ მოისურვებდნენ, გელოვანი ახალ ბელადს ითამაშებდა.

დიახ, მსახიობი იმიტომ იბადება მსახიობად, რომ დღეს სტალინი განასახიეროს, ხვალ — ჰიტლერი, ზეგ — ჩერჩილი, მაზეგ — დარისპანი, ჯაყო, ფალსტაფი...

ალბათ შეამჩნიეთ, ახალ ბელადს-მეთქი... არა, არ წამომცდენია: იმხანად, სულ ცოტაღა დააკლდა, რომ ხრუშჩოვიც გაბელადებულიყო; საქმე უკვე იქამდე იყო მიმდგარი, ვინ ვის დაასწრებდა და ნიკიტას პირველი ვინ გამოაცხადებდა...

ეს ჭია, პირველობის ჭია ჩვენს დიდ მსახიობს აკაკი ხორავასაც ღრღნიდა და, ცოტაც და, სამოციანი წლების დასაწყისში პროფკავშირების საკავშირო ყრილობაზე, ჩვენი დელეგაციის ბევრ სხვა წევრს რომ არ დაეშალა, აპირებდა კიდეც გამოსვლას და...

მერედა, რა წარსული ჰქონდა ამ დიდებულ, ახლანდელივით არა შავ-თეთრ ოტელოს, კარლ მოორს, იჩოს, ანზორს, ივანე მრისხანესს!..

სტალინის დაბადების 70 წლის აღსანიშნავ იუბილეზე, დიდ თეატრში, საქართველოდან ის მიესალმა საშუალოზე მომცრო ტანის კაცს, რომელიც ყოველგვარი თეატრალური აქსესუარების გარეშე იფერებდა და შვენოდა კიდეც ბელადობაც და მსოფლიოს პირველი კაცობაც!

უცნაურია ადამიანი, უცნაურია განსაკუთრებით საბჭოთა ადამიანი!..

რუსთაველის თეატრში 1956 წელს გამართულ თავის საიუბილეო საღამოს, სცენაზე პირველად გამოჩენისას, როცა მაყურებელთა დარბაზი, — როგორც ჩვენი დროის „მემატიანენი“ ბევრ შემთხვევაში ურცხვად ცრუობენ და წერენ ხოლმე, მე კი ამ შემთხვევაში სრულ სიმართლეს მოგახსენებთ, — მართლაც ლამის დაინგრა ტაშისაგან, ხორავა-იუბილარი თავდაპირველად ჩვენ კი არ მოგვესალმა, პარტერსა და იარუსებზე გაჭედილ, სიხარულისგან სუნთქვაშეკრულ ხალხს, — გიორგი სააკაძისებური პირველი მზერა იმ ლოჟას მიანათა, სადაც... არა, იქ არ მსხდარან არც იმპერატორი ნიკოლოზ მეორე და არც იმპერატრიცა ალექსანდრა ფიოდოროვნა, — იქ ისხდნენ, ჩვენში უკვე დამკვიდრებული არასწორი ქართულით თუ ვიტყვით, მ ა ღ ა ლ ი, სწორით კი — დ ი დ ი პარტიული ამხანაგები, დავით მჭედლიშვილი და ზინაიდა კვაჭაძე!..

დროს არ უნდა გაუსწრო და არც უნდა ჩამორჩე. ორივე შემთხვევაში წაგებული დარჩები. აი, მაგალითად, დროს ჩამორჩენილმა მიხა ცხაკაიამ 1930 წლის 21 იანვარს „ზარია ვოსტოკაში“ ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილი წერილი მოათავსა, რომლის არსი ის იყო, რომ, აი უკვე 6 წელიწადია საბჭოთა ქვეყანა უბელადოდ არისო...

როგორ თუ მთელი ექვსი წელიწადი უბელადოდ ვართო, იწყინა იოსებ სტალინმა და დროს ჩამორჩენილი ეს ძველთაძველი რევოლუციონერი-ბოლშევიკი ამიერკავკასიას ფიცხლავ მოაშორა და მოსკოვს, კომინტერნში გადაისროლა აფრიკის ზანგებს შორის კოლონიური უღლის გადამგდებ დროის დამაჩქარებელ სექტორში!

სხვათა შორის, სოსო-კობა-იოსები ასევე მოექცა, სტანისლავსკის აზრით, ბოლშევიკებში ყველაზე მეტად გამორჩეულ ინტელიგენტს, სამხატვრო თეატრის ერთგულ მეგობარს აბელ ენუქიძეს: ჯერ კურორტ პიატიგორსკის (თუ კისლოვოდსკის?) გამგებლად გადაიყვანა და ლამის მამათმავლადაც გამოაცხადა მხოლოდ იმიტომ, რომ მან ჯეროვნად არ შეაფასა ბელადის, სტალინის როლი ბაქოს არალეგალური სტამბის მოწყობაში, მერე კი, საერთოდ, ფიზიკურად გააქრო...

(პირშერცხვენილი და თავდახრილი ვთხოვ მომავალ მარქსისტ ისტორიკოსებს, ჩემს სულს აუგად ნუ მოიხსენიებენ ამ საისტორიო ფაქტების ჩემს მეხსიერებაში ამოქექვისა და მათი სამზეოზე გამოტანისათვის, რითაც მათ, ცხადია, პირიდან უთუოდ გემრიელი სადოქტორო ლუკმა ავართვი).

როცა ჭიაურელი ჩამოაცილეს ყოველგვარ ხელოვნებას და, კერძოდ, კინოხელოვნებას, იმხანად მოსკოვში ვიმყოფებოდი და, რაკი მას ადრე, უფრო, ალბათ, კონიუნქტურული მოსაზრებით მიტმასნილი ძმები და მეგობრები (ძმები — არაპირდაპირი გაგებით) სწრაფად ჩამოეცალნენ, მე მიხმობდა ხოლმე „ფიქრთგასართველად“ და, ერთხელ, ასეთი რამეც მომითხრო: ოცდაათიანი წლების შუალედში, როცა გრამაფონის ჩამომავალი და ჩვენი დღეების ბევრნაირი „ფონის“ წინამორბედი — პატეფონი — იმდენად ახალი და იშვიათი ხილი იყო, რომ მე-17 პარტყრილობის დელეგატებს ძვირფას საჩუქრად დაურიგეს, სტალინმა თავის ბინაში რომელიღაც ფირფიტა დადო მასზე და როცა ნაცნობი საცეკვაო მუსიკა მოთავდა, ფირფიტაზე გულდინჯად ჩაიკითხა:

Грузинская лезгинка. Дирижер Айвазян.

მერე თურმე ნელი ნაბიჯით ფანჯრისკენ გაემართა და შეფიქრიანებულმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა:

— „Грузинская лезгинка“... А при чем тут... Айвазян?!

დიახ, რა თავგამოდებული კოსმოპოლიტი და ინტერნაციონალისტიც უნდა იყო, როდისმე სისხლი მაინც თავისას იყივლებს!..

შეიძლება ის ამბავიც ამით უნდა აიხსნას, რომ სტალინმა თითქოს იგრძნოო სიკვდილის მოახლოება და გარდაცვალებამ-

დე რამდენიმე თვით ადრე მისი აკვნის დამრწევ საქართველოს ეწვია...

ჭიაურელმა ასეთი ამბავიც გამანდო:

— სტალინის გარდაცვალებიდან თვენახევარი თუ იქნებოდა გასული, როცა ბერია ვინახულე ლუბიანკაზე და ვკითხე, როდის გაუშვებდნენ ეკრანზე ჩემი და სერგეი გერასიმოვის ერთობლივ, სტალინის სიკვდილისა და მისი გასვენების ამსახველ, დოკუმენტურ ფილმს... ამაზე ბერიამ პირდაპირი პასუხი არ გამცა, წაიღრინა კი:

— Слава богу, наконец-то сдох этот старый хрыч!..

მე გამაცეცა მისმა ჩემთვის სრულიად მოულოდნელმა ამ ვირულმა სიტყვებმა და პირველად მაშინ გავიფიქრე, უთუოდ რაღაც დიდი რამ იცვლება-მეთქი ჩვენს ქვეყანაში...

> სინამდვილის ალალ-მართალი ალმწერელი საფრთხეში აგდებს თავის სიცოცხლეს, რადგან მას საქვეყნოდ გამოაქვს სიმართლე.
>
> ვულპიუსი (გერმანელი მწერალი, 1762—1827)

1981 წლის 13 მაისს მთელი თბილისი ქუჩებში გამოეფინა („მთელ თბილისში" აქ, ცხადია, ქართველებს ვგულისხმობ, აგრეთვე, სამწუხაროდ, ახლა ასე შეთხელებულ ქართველ ებრაელობასაც)...

საღამოს ცხრა საათიდან დაწყებული, ვიდრე... როგორც წინა საუკუნის ბელეტრისტები წერდნენ ხოლმე, — ვიდრე მტრედისფრად ინათებდა, ირგვლივ მთელ არემარეზე, ნარიყალადან გლდანამდე და ვაკიდან ვარკეთილამდე ისმოდა გამაყრუებელი ყივილ-ხივილი, ცას აწვდილი მაშხალების სროლატყორცნა, ნუცუბიძის ფერდობზე და ლოტკინის მთაზე შეფენილი სახლების აივნებიდან თოფების ბათქაბუთქიც...

დიდი და პატარა, ნაცნობ-უცნობებიც ეხვეოდნენ და კოცნიდნენ ერთმანეთს... ხალხის ზღვაში, ხალხთან ერთად მანქანები განუწყვეტლივი საყვირ-სიგნალებით გზას სანტიმეტრობით მიიკვლევდნენ ქართველი ერის ახლანდელი უპირველესი სამლოცველო დიდუბის...

ო, არა! ეკლესიისკენ არა, — სტადიონისკენ!!!

ამ აღტკინებულ მასებს წინ მიუძღოდნენ პატარა სპორტული ალმებით და დიდი, სახელდახელოდ დატეხილ-მომტვრეული, ფოთოლმწვანე ტოტებით, ღიპებდამშვენებული, ჯინსებიანი, თითქოს უკვე მობერებული ჭაბუკები (ბოდიში, მაგრამ... ღიპი და ჯინსი?! ჯინსი ამერიკელი კოვბოების, ასე ვთქვათ, ეროვნულ-პროფესიული სამოსელია და... ლაგამმკვნეტ ბედაურზე ამხედრებული კოვბოი და... ღიპი?!).

არა მგონია, ადრინდელ, ფეოდალურ და ღვთისმორწმუნე

საქართველოში ასეთი ზარ-ზეიმით აღენიშნათ დიდგორის ბრძოლის მოგება, ანდა გამარჯვება ბასიანთან!

ჰოდა, ახლა ესეც ვიკითხოთ, ასეთი რა მოხდა, რამ ააფოფინა, რამ შეასხა ფრთები დედაქალაქის ნახევარ მილიონზე მეტ ქართველობას და, როგორც იქაურები გადმოგვცემენ, ყველგან, ყველა სხვა ქართველსაც ჯერ კიდევ საქართველოდ მიჩნეულ საქართველოში?

ო-ო, ნუ იტყვით!

ამ ზეისტორიულ დღეს თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა „კარლ ცეისზე" და... მოიპოვა თასი! ევროპის თასი!..

„დინამომ", „დინამომ!.."

(ღმერთო ჩემო, „ივერია" ან „დიდგორი", ან სხვა რამ ქართულოვანი სახელი მაინც ერქვას! სომხებმა თავიანთ პირველ გუნდს, „სპარტაკს," სახელი თურქეთს მდებარე არარატზე შეუცვალეს, რის თაობაზე სტამბოლ-ანკარამ პროტესტიც განაცხადა, მაგრამ ეს, არარატს აქეთ, ყურად არავინ იღო).

დიახ, ვუყურებდი თითქმის ნახევარკილოიანი, ლურჯზოლებიანი ტყავის ბურთის წყალობით უშველებელი ეროვნული სიამაყის გრძნობით გაბრუებულ ასიათასობით ქართველთ და შავი ფიქრი გულს მისერავდა:

— ყოველივე სიკეთისა, და მათ შორის, ჭკუის მომცემო დიდო ღმერთო, განა ჩვენზე ბედნიერი იქნებოდა კიდევ სადმე ერი, ასეთი ეროვნული ერთსულოვნების თუნდაც მეასედსაც რომ ვიჩენდეთ ჩვენი ჯილაგის, ჩვენი გვარტომობის სამარადისოდ სასიცოცხლო საქმიანობაში?!?

გაზეთ „კომუნისტმა" არცთუ ისე ერთმანეთისაგან ძალზე დაშორებული დროის მონაკვეთში ერთი და იგივე ავტორის ორი წერილი დაბეჭდა: პირველი — ერის გამრავლებისადმი მიძღვნილი, მეორე — ფეხბურთისადმი... ორივე, გაზეთის პირობაზე, დიდზე დიდი სტატია, ორივე თითქმის თანაბარი ზომისაა, გაზეთის ერთ მეოთხედს რომ მოიცავდა ცალ-ცალკე...

ჰოდა, როგორ უნდა გაგვეგო ეს ჩვენ, უპირველესი ქართული გაზეთის ათიათასობით მკითხველს? ისე ხომ არა, რომ ბურთიც და ერის სამკვდრო-სასიცოცხლო ბედიც ერთნაირად უნდა გვაწუხებ-გვაღელვებდეს, ა?

კი, მაგრამ...

რა არის, ბატონებო, ბურთი?

(ეს კითხვა მე პირადად დიდი ხანია ტვინს მიხვრეტს, რის დამამტკიცებელ, სათანადო საბუთს ცოტა ქვემოთ წარმოგიდგენთ).

დიახ, რა არის ბურთი?

გეთანხმებით, — სულელური შეკითხვაა, აკი ორი-სამი წლის ბალღმაც კი იცის, ბურთი სათამაშოა...

ბავშვმა კი, მაგრამ ჩვენ, უფროსებმა, მათმა მამებმა და ბაბუებმა ვიცით?!

როგორ ეს, სათამაშოაო?!

რასაკვირველია, ვგრძნობ, ბურთის, ესე იგი ფეხბურთის ბაზისის ასე უპატივცემლოდ მოხსენიებისათვის რისხვასა და ზიზღს მოვიმკი არა მარტო მათგან, ვინც აღმოსავლეთის ტრიბუნიდან მიუდგომელ, ობიექტურ მსაჯსაც კი ყურისწამღებად უკივის: „მეხაშე!..“ „აკუშერკა!..“

ასეთი რისხვა ერთხელ ხომ უკვე დამატყდა კიდეც თავს, რაკი არ ვიწამე, რომ ფეხბურთი „ქართული სულის გამობრწყინებაა“, თანაც რისხვა დამატეხეს, არა „საბოჟნიკ-საბოჟნიკის“ მძახებლებმა, — დიდმა მამულიშვილებმა, მაგრამ აქ, მგონი, სრული სიზუსტისათვის აჯობებს, თუკი სიტყვას ნაბეჭდ სიტყვას ვუბოძებთ:

— I „ოთხი ინტერვიუ

10 მაისს როგორც მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო“ დაამარცხა გასული საფეხბურთო ჩემპიონატის აუტსაიდერმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“. 4 შესაძლებლიდან სამი ქულა დაკარგა საკუთარ მოედანზე. ამ საგანგაშო მდგომარეობასთან დაკავშირებით ჩვენი კორესპონდენტი ეწვია ქართველ მწერლებს — კონსტანტინე ლორთქიფანიძეს, ბესარიონ ჟღენტს, ალექსანდრე ქუთათელს, კონსტანტინე გამსახურდიას და ინტერვიუ ჩამოართვა მათ.

კონსტანტინე ლორთქიფანიძე:

— ბატონო კონსტანტინე, რა მოსდის ჩვენს „დინამოს“, რაშია საქმე?

— ამაშია საქმე!

ბესარიონ ჟღენტი:

— თბილისის „დინამოელები“, მადლობა ღმერთს, ჩვენი თეატრებივით ქართველ დრამატურგებს ვერ დაა-ბრალებენ — პიესებს არ გვიწერენ და იმიტომ ვერ ვთამაშობთო.

ალექსანდრე ქუთათელი:

— ასე „პირისპირ“ არასოდეს არ მდგარა ჩვენი „დინამო“ საფრთხის წინაშე.

კონსტანტინე გამსახურდია:

— მე მრავალგზის განმიცხადებია მაღალი ტრიბუნიდან (ამ საქმეში ყოველთვის ვაუკაცურად მიდგა მხარში დემნა შენგელაია), სანამ სოლოვიოვსა (მწვრთნელს, — კ. ბ.) და მის მხედრიონს დილეგში არ ჩააგდებენ და მერე ძელზე არ გასვამენ, არაფერი არ გამოვა მათი ასპარეზობიდან.

მახსოვს კარგი ასპარეზობაც... მე და აეეტიქ იმ წელს ზვარტნოცს ეისვენებდით, ისააკიანი.

ტფილისი, კოლხური კოშკი“.

რას იტყვით, ხომ დიდებული ინტერვიუა? რა კითხვა, რა პასუხები! განსაკუთრებით ეს: — „რაშია საქმე?“ — „ამაშია საქმე!“

სხარტად და ბრძნულად, ოღონდ „ამაში“ რა იგულისხმება, ამის გაგება, სამხრეთის ტრიბუნებზე სიცხისაგან გათანგულ მჯდომთ, ცოტა გვიჭირს, თორემ ისე, საერთოდ, აბა ვინ არ შეამჩნევს ამ პასუხებიდან გამომდინარე დიდ სევდასა და დიდ გულისწუხილს იმის გამო, რომ ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა — თურმე! — მისი ამქვეყნად ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენი „დინამოს“ მოგება-წაგებაზეა დამყარებული!

ამიტომაც აიღეს კიდეც ხელთ მეფე-პოეტის, თეიმურაზის ხმალივით ბასრი კალამი, მე კი...

რაკი, საუბედუროდ, თოთხმეტიოდე წლის წინათაც ისევ 14 წლის ონავარი ბიჭის გონებრივ დონეზე ვიდექი, — ეს დიდად სერიოზული, „საგანგაშო მდგომარეობით“ გამოწვეული ინტერვიუ რაღაც სახუმარო ნარევად მივიჩნიე და დავშალე

კიდეც შემადგენელ ნაწილებად, შემდეგ ეს ნაწილები მოსატი-
რო-მოიუმორო საკეპ მანქანაში გავატარე და მიღებული
ბრძნული აზრების ფარში მოსკოვში, რუსთაველის მინიატიუ-
რულ ძეგლთან (უფრო დიდის გაკეთებას გვიშლიდა კი ვინმე?!)
ვითომ შეკრებილთა, სიტყვაკაზმული მწერლობის მოყვარული
პენსიონერთა სახელით, თავად მოსკოვში მყოფმა და იმ დროს
ჯერ კიდევ უპენსიომ, გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“
გავუგზავნე:

უფალო რედაქტორო
გურამ ფანჯიკიძე!

მოსკოვს გადმოხვეწილი ქართული მწერლობის მოყვარუ-
ლი პენსიონერები და აქა-იქ არაპენსიონერებიც, თქვენი გაზე-
თის უკანასკნელი ნომრის (15) მიღების დღეს საზეიმოდ შე-
ვიკრიბეთ ჩვენი დიდი წინაპრის რუსთაველის ძეგლთან (თუ
ძეგლის მაკეტთან?) და ბევრი ოხვრა-ვაების შემდეგ გული და-
ვიწყნარ-დავიოკეთ „ლიტერატურული საქართველოს“ კითხვი-
თა და გალობით.

განსაკუთრებით სიამე მოგვანიჭა „ოთხმა ინტერვიუმ“.

თქვენს პატივცემულ კორესპონდენტს, აბა, რა დიდებულად
ჩაუნისკარტ-ჩაუმახვილა ჩვენმა სასიქადულო დიდმწერალმა,
შეშანიშნავი! რომანების „ძირს სიმინდის რესპუბლიკა“, „იმე-
რეთისა“ და „კოლხეთის ცისკრის“ მცოხნავმა... მხცოვანმა ავ-
ტორმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ:

— ...რაშია საქმე?

— ამაშია საქმე!

ასე ხმალივით მოქნეულ და ალმასივით მჭრელ პასუხს
ვერც ბერნარდ შოუ გასცემდა, ვერც მარკ ტვენი და ვერც ჯე-
რომ კ. ჯერომი, თუნდაც ენა ამის ძაღლსაც ამოედგა!

ასე დიდებულად შეეძლო მხოლოდ ჩაენაკვიმატებინა სო-
ლომონ ზურგიელიძეს, ლევარსი როხროხაძეს ანდა ევგენი
დვალს,[2] თუკი, რა თქმა უნდა, მათ ერთ გუდურად შეკრავდით,
და თან გირგოლ აბაშმაძის თავს გამოაბამდით, რომელი თავი-
თაც იგი სათავეში ედგა ჟურნალ „ნიანგს“ — არნახული აყვა-
ვების პერიოდში („-რა გვარი ხარ შენ? — ხაჭაპურიძე, ბატო-
ნო! — აბა ხაჭაპურის ჭამა გეყვარება შენ!“).

რამდენადაც ვიცით, უფალო რედაქტორო, თქვენ მეშვიდეცაზე[3] აგერ ახლა შედგით ფეხი და, მაშასადამე, ძალიან ახალგაზრდა ბრძანდებით, — შესაძლოა ევგენ-ლევარს-სოლომონისთვის ყური არც მოგიკრავთ, — მათ ძალიან კარგად იცნობდა ჩვენი საყვარელი თანამედროვე იონა ვაკელი, რომლის ორი კომედია „საქმიანი კაცი“ და „აპრაკუნე ჭიმჭიმელი“[4] ასე თბილად მოიხსენია შარშან „მნათობის“ ერთ-ერთ ნომერში ჩვენი ეროვნული კრიტიკის პატრიარქმა, ლაკონიური სიტყვის ოსტატმა და საოცრად ქება-ძვირმა, X-ის გულისგამპობმა და Y-ის გულისგამხარებელმა, დაბადებიდან ჭაღარამ, მაგრამ დღემდეც კი სიგარეტივით მუდამ ცეცხლმოკიდებულმა და სხვებისთვის ცეცხლის მომკიდებელმა ბესარიონ ჟღენტმა, რომლის პასუხი თქვენი კორესპონდენტის კითხვაზე ერთხელ კიდევ ადასტურებს მის მაღალნიჭიერებას: კაცმა, რომელსაც არასოდეს ბურთისთვის ფეხი არ დაურტყამს (თუკი, ცხადია, ბურთად ზოგიერთ მწერალს არ მივიჩნევთ), ინტუიციით შეუმცდარად წარმოიდგინა სტადიონი და ბრალი სწორი პროპორციით გაანაწილა ფეხბურთელებზე და მსახიობებზე და, ამჯერად, არც სულმა წასძლია დაერტყა მისთვის ჩვეული, ტრადიციული საჯარიმო დრამატურგთა კარში, რომელსაც, სხვათა შორის, უკვე მეორე სეზონია ასე ოსტატურად იცავს ვალერიან კანდელაკი,[5] რომლის პიესის „ნაკრძალის“ თარგმნას მიკეკეიჩის ენაზე ჩვენ წრფელი გულით მივესალმებით, ყველასათვის კეთილისმსურველ ბესოსთან ერთად.

ო, ჭეშმარიტად საშვილიშვილო საქმე გააკეთეთ, უფალო რედაქტორო, როცა ინტერვიუ ჩამოართვით ჩვენს ღვაწლმოსილ ალექსანდრე ქუთათელს, მან თავისი პასუხით მისთვის ჩვეული მთრიდებით ერთხელ კიდევ მოგვაგონა, რომ სწორედ ის გახლავთ „პირისპირის“ ავტორი.

კონსტანტინე გამსახურდია?!? ო-ო, უკეთეს ნუგბარს, აბა, რომელი რედაქტორი არ ინატრებს თავისი გაზეთისათვის!

ზოგიერთ ჩვენგანს მრავალგზის მოუსმენია მისი გამოსვლა მაღალი ტრიბუნიდან (ბ-ნ კონსტანტინეს დაბალი ტრიბუნაც არაერთგზის აუმაღლებია თავისი გამოსვლით!), მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, ჯერ ერთხელაც არ მოგვიკრავს თვალი, როცა...

„ყოველთვის ვაუკაცურად მიდგა მხარში დემნა შენგელაია“.

ბატონი კონსტანტინე ცამდე მართალია, როცა სერიოზულად (და არა ხუმრობით!) მოითხოვს — დილეგში ჩააგდონ (და მერე... ძელზე გასვან!) სოლოვიოვი და მისი მაყრიონ-მხედრიონი: აკი ქართველი ერის ფიზიკური არსებობა, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი ჩვენი „დინამოს“ მოგება-წაგებაზეა დამყარებული, ამას დიდი ხანია ჩაგვჩიჩინებს საქართველოში ყველა გაზეთი. კარგია, რომ მათ არც „ლიტერატურული საქართველო“ ჩამორჩა.

სხვათა შორის, ბატონ კონსტანტინესთან ერთად ჩვენც გვახსოვს კარგი ასპარეზობაც... აი, თუნდაც, როცა... ის და ავეტიქ იმ წელს ზვარტნოცს ისვენებდნენ, ისააკიანი!

ვაგლახ, რომ ვარპეტი ავეტიქ ვერ მოესწრო სწვეოდა ჩვენს დიდოსტატს იაზონის კოშკში!

უნდა გამოგიტყდეთ, უფალო რედაქტორო, თქვენი გაზეთის ამ ნომერში ჩვენ ძალიან მოგვეწონა აგრეთვე ქალბატონ მარგალიტა გოგოლაშვილის წერილში გაბნეული მარგალიტები დიდებისა და ბავშვებისათვის:

„სპექტაკლი ხალისიანი და გადამდები სანახაობა იყო“.

პირდაპირ აწ მუდამ ტკბილად მოსაგონარი, ბატონი გერონტის უებრო ქართულია, ოღონდ არ ვიცით, ქ-ნი მარგრეტი „გადამდებში“ „заразный“-ს გულისხმობს თუ „заразительный“-ს.

დაბოლოს, დაბეჯითებით გთხოვთ გადასცეთ ჩვენი დიდი მადლობა ენგურის ქალალდის ფაბრიკის მესვეურებს — ჩინებული ხარისხის ქალალდს უშვებენ, — ყველაფერს იტანს და მორცხვი (ბ) ქალივით არ წითლდება.

ამ ბარათს ვწერთ ბალშაია გრუზინსკაიაზე, ბალში, ეწერთ და ვტირით, შევყურებთ. რა შოთა რუსთაველის სათამაშო ძეგლს, — ეს დალოცვილი ირაკლი აბაშიძის სიმაღლისა მაინც იყოს პოსტამენტიანად!

დავშთებით მარადჟამს თქვენი გაზეთის
ერთგულნი მკითხველნი და სხვ. და სხვ.

აპრილი,
1968 წ.
მოსკოვი

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. „შეშანიშნავი" — ერთი ენაჩლიფინა, მაგრამ ნიჭიერი მკვლევარის დამახასიათებელი გამოთქმაა.

2. ზურგიელიძე, როხროხაძე, დვალი — ამ საუკუნის პირველი მეოთხედის მოფილოსოფოსო — მოიუმორისტულო პერსონაჟები; ერთი ამათგანი რეალურად არსებული პიროვნება იყო: „რუსთაველის პარტიის" დამაარსებელი და, მგონი, მისი ერთადერთი წევრი.

3. „მეშვიდე ცაზე" — გურამ ფანჯიკიძის პირველი რომანია.

4. „საქმიანი კაცი" და „აპრაკუნე ჭიმჭიმელი" იონა ვაკელის ერთი და იგივე კომედიაა, ოღონდ სათაურშეცვლილი; რაკი ჩვენი პატივსაცემი კრიტიკოსი მარტო სათაურებს იცნობდა, ისინი ორ სხვადასხვა ნაწარმოებად მიიჩნია და ქებაც, წაუკითხავ-გაუცნობლად, ორმაგად მიუზღო.

5. ვალერიან კანდელაკი — იმხანად მწერალთა კავშირის დრამსექციის თავმჯდომარე.

ამავე ბარათში, ლამის უკვე დამკვიდრებული საჯაჟი ქართულით თუ ვიტყვით, ფიგურირ-ფუნქციონირებენ ბანოვანებიც (X დაY), რომელთა ასავალ-დასავლის გარკვევა-დადგენა, დაე დავუტოვოთ ჩვენს მერე მოსასვლელ თაობებს; ვიღაცამ მაშინაც ხომ უნდა იცხოვროს პრინციპით:

ვთათხავ მე ღმეროს, ვაძაგებ ქრისტეს, —
სახელსაც ვიმკი, ჯიბესაც ვივსებ!..

...დიახ, როგორც ზემოთ უკვე მოგახსენეთ, გავუგზავნე და... როცა მიუღიათ, შაქარუკრავ ღვინისა და პირწმინდა კონიაკის მწარმოებელი, მშრომელი ქართველი ხალხის „მყვლეფავი“ სარაჯიშვილის ყოფილ კოხტა შენობაში, ოციან-ოცდაათიან წლებში ეგნატე ნინოშვილის სახელობის, ამჟამად კი უსახელო მწერალთა მყუდრო სასახლეში ერთი ორომტრიალი დატრიალებულა (მაშინ იმ „თეთრი სახლის“ „ხაზეინი“ ჯერ კიდევ გაუგმირებელი გრიგოლ აბაშიძე გახლდათ)...

(აქ ჩემი აზრის მდინარებას წუთით შევაყოვნებ და მას, ასევე წუთით, სხვა კალაპოტში გადავაგდებ, რადგან ვფიქრობ, ეს მის მდინარებას უფრო ანკარას გახდის: თითქმის სრულიად უვადოდ, თითქმის ერთხელ და სამუდამოდ ნახევრად რბილ სკამებზე და, მით უფრო, ტყავის საავარძლებში მსხდომნი ისე შეეჩვივნენ ათეულწლობით ერთმანეთის ხოტბა-დიდებას და აგრეთვე მომცრო და მოზრდილი, მოდიდო და დიდებისგან ქებათა ქებას, რომ ჩვენი პრესა რა ხანია მარტო ტკბილეულით დახორავებული საიუბილეო ბანკეტის სუფრას წააგავს და კრიტიკოს-თამადას ხომ მარტო თავდრეკია პანეგირიკა აკერია პირზე...

შუა საუკუნეებში, ქალის კულტის ჟამს, რაინდები და მინეზინგერებიც არ ამკობდნენ ასე გაშმაგებით თავიანთი ტრფობის რჩეულთ, ლაურებს და დულცინეებს!..

საჭურისებსაც არ აჰყავდათ ასე ცამდე თავიანთი მბრძანებლები, შაჰები და ხონთქრები!

ამიტომაც ახლა ათასში ერთხელ, თუკი ვინმემ, ცოლ-შვილზე და საკუთარ თავზე ხელს აიღებს და ოდნავ მაინც, რაღაც კრიტიკულად წაიკნავლებს და ისიც „დიდის“ მისამართით, — ო—ო, ღმერთი იყოს მაშინ თქვენი მფარველი! — ან, თუ გნებავთ, „მომცროს“ მიმართაც, სულ ერთია, ამის მერე წამკნავებელს ცხვირი გარეთ აღარ გამოეყოფა, და თითქოს არც ამ წაკნავებულს, რა უსკამო და რა უსავარძლო ჭიანჭველაც

იყოს იგი, არ გაემტყუნება: რაკი მღერიე, ფალსიფიცირებული სიროფის ტბაში ბანაობს ყველა, — მე ვისი გლახად სახსენებელი კოჭი ვარო...).

...და ეს ჩემი თითქოს უწყინარი, ანტიპროვინციული ფარში მწერალთა „თეთრ სახლში“ უსაშველოდ მარილ-წიწაკმდოგვ მოყრილად მოსჩვენებიათ, ოღონდ 'ეს კია, არა ყველას: „მთვარის მომტაცებელს“ და „პირისპირს“ გაუცინიათ კიდეც, სამაგიეროდ „ამაშია საქმეს“ კი... უ-უ, ეს სალაღობო ფარში კი არა, ბილწი ანონიმკააო!

„ანონიმჩიკის“ მიგნება კი სულ იოლი გამომდგარა, აკი იგი დამალვას არც აპირებდა, უფრო მეტიც: თუ მისი კალმის რჩეული ნაცოდვილევის თუნდაც ნახევარტომეული ოდესმე გამოიცემოდა, ამ პროზაულ ფუნაგორიას მასში უეჭველად შეიტანდა (შეიტანს კიდეც, თუ დასცალდა, უფრო სწორად—თუ დააცალეს!). ამიტომაც მისი ზუსტი ასლი ასე სათუთად დღემდე შემოინახა.

სხვათა შორის, ამ ამბავმა თქვენი ახლა უკვე გამომზეურებული „ანონიმჩიკი“ იმ არქიმედისებურ აღმოჩენამდე მიიყვანა, რომ იგი, „ანონიმკა“, თურმე, წინასწარ არც არავის უნდა წააკითხო (მან კი საქართველოს მწერალთა კავშირის „ელჩს“, მოსკოვში, ჩაუბულბულა!), და რომ ბევრად სჯობს „ანონიმკა“ მანქანაზე გადაბეჭდო, ანდა სხვას, სანდო ვინმეს გადააწერინო, თანაც წერა-კითხვის შენზე უკეთ მცოდნეს (მაგალითად, ასე რომ მოქცეულიყო ეს ჩვენი ბედოვლათი მეანონიმე, მაშინ ამგვარი სავაებო შეცდომა აღარც მოუვიდოდა: ერთ-ერთ ინტერვიუერზე („ამაშია საქმე!“), — რომელმაც თავისი ყველაზე საპროგრამო რომანი სხვადასხვა დროს, დროისა და ქარის მიმართულების შეცვლის მიხედვით, არაერთხელ „შეაპაჩინკა“ და სათაურიც ამდენჯერვე გამოუცვალა, — ხელმა როგორღაც წასძლია „მხცოვანის“ ნაცვლად „მცოხნავი“ დაეწერა, რასაც ხაზი კი უმალვე გადაუსვა, მაგრამ, როგორც ჩანს, იმდენად ნაჩქარევად და ზერელედ, რომ მხცოვანმა „მცოხნავი“ სულ იოლად ამოიკითხა და... თურმე ისე აენთო, ვითარცა კვარი ნაძვისა, და ამ ბინძური „ანონიმჩიკის“, როგორც არაბოლშევიკი წევრის, გაძევება მოითხოვა თურმე მწერალთა კავშირიდან, რომლის შენობის ლამაზი გრეხილი რკინის კარი,

სხვათა შორის, ამ მეანონიმემ თავისი ანონიმური მოღვაწეობის მხოლოდ თითქმის 30 წლის შემდეგ შეაღო, როცა მისი ოთხი „ანონიმკა“ უკვე დადგმული იყო რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, ერთიც — მოსკოვში, და ისიც მიხეილ მრევლიშვილისა და გიორგი შატბერაშვილის წაქეზებით („ჩვენგან გარე-გარე რომ დადიხარ ბომარშესავით, ვითომ რაო, ჩვენ ცუდი ბიჭები ვართ, კავშირში თუ ვირიცხებით?“).

დიახ, როგორც არაბოლშევიკი წევრის გაძევება-მეთქი, აკი...

მე ბოლშევიკის გარდა სხვა ვინმე
არ მიმაჩნია ადამიანად!

მართლაცდა, მისი ეს შარავანდმოსილი, უკვდავ-უბერებელი სტრიქონი ახლაც ძალაში რჩებოდა მისთვის, თუმცა...

ამ სიტყვებმა, ო-ო, როდის, როდის დაიქუხეს!.. როცა ჯერ კიდევ, თუ სულ ცოცხლები არა, ყოველ შემთხვევაში ნახევრად ცოცხლები მაინც იყვნენ „ნამდვილი ადამიანების — ბოლშევიკების“ მიერ შერისხულნი: „მეფეთ გუნდრუკთკმეველი“ ივანე ჯავახიშვილი და „რეაქციონერი“ მიხეილ ჯავახიშვილი, „ნაფედერალისტალი“ შალვა ნუცუბიძე და „ნამღვდლარი“ კორნელი კეკელიძე, „შინაგანი ემიგრანტი“ გრიგოლ წერეთელი და „წირვა-ლოცვაზე მოსიარულე, ღვთისმოსავი“ ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, „დამპალი შოვინისტი“ გრიგოლ რობაქიძე და აგრეთვე შავსიელი, ესე იგი საარჩევნო ხმას მოკლებული კულაკი (ორიოდე კვერცხმდებელი დედლისა, ხუთიოდე ყვინჩილა-ვარიკას და ბოთლნახევარი რძის მეწველი თხის მეპატრონე), მეფის ყოფილი ნაპოლკოვნიკარი, ყოფილი აზნაური დავით კლდიაშვილი...

(ასეთი თავგამოდებული ბოლშევიკური შეძახილები დაუფასდა კიდეც ბატონ კონსტანტინეს (გთხოვთ „ნაციონალისტ“ გამსახურდიაში არ აგერიოთ, — ლორთქიფანიძეს!): ეს ერთადერთი, სასწაულებრივი შემთხვევაა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკა-ისტორიაში, როცა უპარტიო კაცი (ისე, ჩურჩულით რომ ვთქვათ, გაპარტიულებას იმიტომ ხომ არ გაურბის, რომ საწევრო ანარიცხების გადახდით მძიმე ყულაბა არ შეუმსუბუქდეს?!) ათეული წლების მანძილზე საბჭოთა იდეოლოგიური —

დიახ, საიდეოლოგიო, და არა საგინეკოლოგო! — ეურნალების, ხან ერთის, ხან მეორის — მთავარი რედაქტორია!).

...მაგრამ დავუბრუნდეთ იმას, რითაც ეს მონაკვეთი დავიწყეთ: ფეხბურთს!

დიახ, როგორც ჩანს, ყმაწვილობაში „შურდულის“ ცენტრ-ფორვარდს, ახლაც ბურთი ისე შორს დამირტყამს, გარკვეული დრო დასჭირდა, რომ იგი კვლავ ჩვენთან მოგორებულიყო...

ვფიქრობ, პოეტს გაფრენები, რასაკვირველია, ეპატიება, თუ რითმისათვის, თუ მეტაფორისთვის, თუ ჰონორარისთვის, გინდ გავრილა დერეკავინობისათვის...

ფეხბურთიც ერის ღონეა,
ძალაა მისი არსობის!

თუნდაც ბნელეთიდან სამზეოზე ჩვენი ასე გამოყვანა, განათლება-თვალის ახელისთვის!

აბა, როგორ!

ოი, უბედური, უბედური იაპონია!

რაკი იქ ფეხბურთმა ფეხი ვერ მოიკიდა, ამიტომაც არის იგი ასე დაკნინებული სულიერად და ფიზიკურად, ამიტომაც არ გააჩნია მას საკუთარი ნედლეულის ერთი კილოგრამიც და... ახია მასზე! — ის ბედკრული მხოლოდ იტალიას, ინგლისს, საფრანგეთს, ფედერაციულ გერმანიას უსწრებს წინ, ამერიკას კი, უ-უ, რა დიდად, დიდად, — მთელი ნახევარი ნაბიჯით ჩამორჩება, ჩვენ კი...

ო-ო, ჩვენთან შედარებით რა სახსენებელია, ბატონებო, უფეხბურთო იაპონია, ჩვენ, გენნ-ა�c-ვალეთ, ახლა მთელ დასავლეთსაც ზემოდან დავყურებთ...

— შეავსეთ თასი, ევროპის თასი,
დავლიოთ, დავლიოთ „დინამოს“ სადღეგრძელო!
დი-ნა-მო, დი-ნა-მო, დი-ნა-მო!..

ფეხბურთში მოგება-წარმატებანი ჩვენთვის, ქართველებისთვის, ბუნებით უდარდელი თვითკმაყოფილებით შეპყრობილი ხალხისთვის ისეთი ბანგია, რომელიც კიდევ უფრო გაგვაყოყ-

ლოჩინებს და იმ ზომამდე გამოგვათაყვანებს, რომ ჩვენს ეროვნულ თვალში უკვე დიდი ხნის წინათ ჩამდგარ საბედისწერო დირეს სულაც ვეღარ შევამჩნევთ.

აი, ჩვენ მოგვიწოდებენ ხოლმე, შეისწავლეთ რუსული ენაო, და ამის ერთი თავგამოდებული მქადაგებელი მეც გახლავართ, და თუ ამ არცთუ სულ უნაცნობებო ქადაგმაც კი ვერ ჩაიგდო ხელთ „რუსულ-ქართული ლექსიკონი", რომლის გამოსვლას ასიათასობით სხვა ქართველთან ერთად 25 წელზე მეტს სულმოუთქმელად ელოდებოდა, მაშინ რაღა ქნას, ვთქვათ, პირტიტველა სტუდენტმა, რომელიც პირველ ნაბიჯებს სწორედ ახლა დგამს ცხოვრებაში? ისიც 25 წელიწადი ელო...

არადა, მალთაყვის ჭაობში უფრო დაიჭერთ კალმახს, ვიდრე ყოველი ქართველისათვის ამ უსაჭიროეს წიგნს წააწყდებით სადმე მაღაზიაში!

რატომ?

მისი ტირაჟი 60 ათასია...

ეს მაშინ, როცა საფეხბურთო „ფორცა, იტალია" ასი ათას ცალად მოეფინა „ფორცა" საქართველოს, ხოლო მეორე, რუსულ ენაზე დაწერილი „არგენტინა", ამაზე ნაკლები ტირაჟფინტით როდი გაიჭრა წინ, გამომცემლობის კარში გოლის გასატანად!

თანაც ორივე ეს წიგნი სწორედ წიგნებია, და არა მჭლე ბროშურები!

ხშირად გვესმის ხოლმე, ქაღალდი არ გვყოფნისო... კი, მაგრამ, ქაღალდი საშვილიშვილო რუსულ-ქართული ლექსიკონისთვის არ მოინახა და... „ფორცა, იტალია", რა ნიჭიერადაც იყოს იგი დაწერილი, სულ დიდი, ორჯერ მეტად ხომ არ წაიკითხავთ, თანაც წასაკითხად მისი განათხოვრება ათზე და მეტ ოჯახზეც შეიძლება, ლექსიკონი კი, დღეში ზოგჯერ, ვინ იცის, შეიძლება, ათჯერაც დაგჭირდეთ, და თუ ის საკუთრივ არ მოგეპოვებათ, გლდანში მცხოვრები ნაცნობ-მეგობრებთან ვაკეში ხომ არ გაიქცევით ანდა ამა თუ იმ სიტყვის ამოსაცნობად ბიბლიოთეკას ყოველთვის ხომ არ მიაკითხავთ?!

თვალში საცემია ისიც, რომ „არგენტინა" არა, მაგრამ „ფორცა" კი ისეთ ქაღალდზეა დაბეჭდილი, რომლის მაგვარზეც ეკატერინე მეორე თავის ყველაზე ძვირად ღირებულ, 250-

მანეთიან ბანკნოტებს ბეჭდავდა, თანაც მეტად მცირე რაოდენობით.

(სხვათა შორის, ხალხის, სულ ცოტა, ათჯერ დამაზარალებელი 1961 წლის ფულის რეფორმის ერთ-ერთ მიზეზად ნიკიტამ სახელმწიფოში ფულის დასაბეჭდი ქაღალდის ნაკლებობაც დაასახელა.

კი, მაგრამ... რა სახელმწიფოა ის სახელმწიფო, რომელსაც ფულის დასაბეჭდი ქაღალდიც საძებარი აქვს?!).

...ერთმა ყოველმხრივ კარგმა ქალმა (მართლაც მანდილოსანმა, ძველი გაგებით!), გონიერმა და შორსმჭვრეტელმა, რომელიც თითქოს უზომოდ უნდა ამაყობდეს, რომ მისი ვაჟი პირველი ქართველია, ევროპის ფეხბურთელთა სიმბოლურ ნაკრებში რომ შეიყვანეს, ტელევიზიით მოურიდებლად განაცხადა, არ მინდოდა ჩემი შვილი ფეხბურთელი გამოსულიყოო, ბურთი მაინც ბურთიაო...

არა, ამ ქალბატონის ვაჟი ფეხბურთელი რომ გამოვიდა, ამით არაფერი დაშავებია არც თვითონ მას, როგორც დედას, არც მის ძეს, როგორც მოქალაქეს, საქართველომ კი — ხომ გაიხარა და გაიხარა,

და მაინც,

არა და არა,

არ შეიძლება ტრაგიკულ სიტუაციაში ჩავარდნილი ერის პირველი, თავიდათავი საზრუნავი ბურთი იყოს, ან ჩაი იყოს, ანდა ყურძენი!..

განა გაემტყუნება სომხეთის „ინტურისტის" გიდს (დაეჭვების შემთხვევაში წარმოგიდგენთ მას, ვინც ეს საკუთარი ყურით გაიგონა), თუკი მან ერევნის ქუჩაზე ნელა მიმავალ ავტობუსში მყოფთ, თითქოს სხვათა შორის, „ძმური", სამგლოვიარო ხმით ამცნო:

— Грузины — вымирающая нация...

გეკითხებით, ეს მისი დიაგნოზი-განაჩენი ვითომ მცდარია ანდა ნაადრევია?

და თუ არც მცდარია და არც ნაადრევია, მაშინ...

რა დროს ბურთია,
როცა ბედი წყდება
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი!..

შავი ჟვები და თეთრი კენჭები

ამ მოზრდილი თანამდებობის პირის კაბინეტის წინ უხილავი ასოებით დაწერილი განცხადებაა გამოკრული:

მთხოვნელთა მიღება ორშაბათობით
9-დან 3-მდე,
ქრთამის მომტანთა— ყოველდღე
9-დან 6-მდე,
(ორშაბათობით 3-დან 8 საათამდე).

ეს ამხანაგი ერთ ქალს, ხნიერსა და ნაომარს, როგორღაც წინასწარ ენდო და კანონიერი საქმე, თითქოს კანონის ავლით გაუკეთა... ქალმაც სამაგიერო პატივისცემა დიდხანს არ დააყოვნა და თვალების აქეთ-იქით ცეცებით — აქაოდა, არავინ დამინახოსო — საიდუმლოდ გადასცა შედარებით პატარა, მაგრამ სქელი შეკვრა და უკან ფეხაკრეფით, სწრაფად გამობრუნდა...

კაბინეტის მფლობელს სახე აემრიზა და გულს შემოეყარა:

— ამ დალოცვილს, როგორც ჩანს, სულ სამმანეთიანებით გაუტენია და... რა დათვლის ახლა ამას?!

სულმა მაინც წასძლია, შეფუთულს ზონარი შემოაცალა, გახსნა და... ახლა ერთიორად შემოეყარა გულსაც და სულსაც: მასში აღმოჩნდა ძნელად საშოვნელი, მაგრამ თუ იშოვი — 33 კაპიკად ღირებული ტუალეტის ქაღალდი, წითელ ლენტშემოვლებული, რომელზეც ასეთი წარწერა იკითხებოდა:

„ნუ გავიწყდება, რომ შენა ხარ ადამიანი,
თანაც საბჭოთა ადამიანი!“

ისტორია გადმოგვცემს, პეტრე დიდმა ერთი თავისი მექრთამე გუბერნატორი სახრჩობელაზე აათრია, რაკი იცოდა, რომის იმპერია ქრთამმა დააქცია...

პეტრეს ხსენებაზე...

კაფანდარა ტანის თეატრალურ მოღვაწეს ალექსანდრე (სა-შა) მიქელაძეს ათი წელი მიუსაჯეს... ლენინის შეურაცხყოფა-სათვის!

ეს იმით გამოიხატა, რომ თქვა: პეტერბურგი პეტრე დიდ-მა ააშენა და არა ლენინმა, და ამდენად ამ ქალაქისთვის სახე-ლის გადარქმევა ლენინგრადზე უმადურობა და სიბრიყვე იყოო...

მოდით, ესეც ვიცოდეთ: დააბეზღა მიქელაძე ერთმა მისივე თანამოსაუბრემ, თავის თავს, და ზოგიერთი სხვაც, თეატრა-ლურ მოღვაწედ რომ მიიჩნევს.

• • •

ისლანდია საქართველოსავით პატარა ქვეყანაა, მისი მოსახ-ლეობაც, ჩვენთან შედარებით, ერთობ მცირეა, სულ რაღაც მილიონის მეოთხედს შეადგენს.

მთელი მისი ტერიტორიის დიდი ნაწილი ყინულოვან „ხმე-ლეთს" მოიცავს და ასეთი ბუნებისაგან ნაკლებად განებივრე-ბული ქვეყანა, მეთევზეობის გარდა, მეცხვარეობასაც მისდევს.

ახლა არ იკითხავთ, რამდენი ცხვარი ჰყავს ამ ერთ მუჭა ხალხს ადრინდელი შაურის ოდენა საძოვრებზე (წინანდელი შაურის ფართობი ახლანდელზე დიდი იყო სიმძიმითაც)? თუ მარშან იქ ნამოგზაურები საქართველოს დელეგაციის ხელ-მძღვანელი არ ცდება — ორმილიონნახევარია, ცოტა ადრე გა-მოცემული ეკონომიკური გეოგრაფიის სახელმძღვანელო უფ-რო ნაკლებს ასახელებს, მაგრამ ამ მწირი ქვეყნისათვის ისიც დიდად უნდა მივიჩნიოთ, მით უმეტეს მაშინ, თუ გავითვალის-წინებთ, რომ ხუთმილიონიან საქართველოს საძოვრებზე ამჟა-მად, თხების ჩათვლითაც კი, მილიონ ორას ოთხმოცდასამი ათასი ცხვარი ბალახობს.

დიახ, ხუთმილიონიან მოსახლეობას ღმერთის მიერ საგულ-დაგულოდ გამოყოფილ ხავერდოვან მთასა და ბარში! სამაგი-ეროდ მხრებგაშლილი საქართველოს მეცხოველეობას ჯერ კი-დევ 1980 წელს 23 მეცნიერებათა დოქტორი და 164 მეცნიე-რებათა კანდიდატი ამკობდა!

ესეც შენ, საბრალო ისლანდიავ! — წამლადაც რომ დაგჭირდეს, შენ საქონლის არც დოქტორი და არც კანდიდატი ერთიც არ მოგეპოვება, ჩვენ კი... ჰოდა, ტრაბახში ნუ ჩაგვითვლი, თუ ეირაფივით ყელს მოვიღერებთ და ზევიდან ქედმაღლურად გადმოგხედავთ.

სხვათა შორის, ამ ჩამორჩენილ ისლანდიაში წარმოდგენაც კი არ ჰქონიათ, რა არის საერთოდ ქურდობა, და იქ, თურმე არც მგლების ჭაჭანება ყოფილა!

. . .

როცა მემორიალური დაფები უფრო მეტს მეტყველებენ, ვიდრე მათზე ამოიკითხავთ:

. . .

ათონელის ქუჩა, 10:

ამ შენობაში მოთავსებული იყო
სტამბა „ეკონომია", სადაც 1920 წლის
3 ივნისიდან 17 დეკემბრამდე იბეჭდებოდა
საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური
და თბილისის კომიტეტების ყოველდღიური
ორგანო, გაზეთი „კ ო მ უ ნ ი ს ტ ი".

. . .

მახარაძის ქუჩა, 5:

ამ შენობაში 1920 წელს მოთავსებული იყო
საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტი და გაზეთ
„კ ო მ უ ნ ი ს ტ ი ს" რედაქცია.

კ ო მ ე ნ ტ ა რ ი: ყოველივე ეს არსებობდა ბოლშევიკების სისხლის მსმელი მენშევიკების ბატონობის დროს!

. . .

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): 1985 წლის 27 იანვრის გაზეთ „კომუნისტში" შეგიძლიათ მეცნიერების დამსახუ-

რებული მოღვაწე-ლიტერატორის წერილში — „სამშობლო, დედის ძუძუი“-ში ამოიკითხოთ:

„ნიკო თორელი 1921 წელს მენშევიკების ამალას გაჰყვა, როგორც იმ საგანგებო რაზმის წევრი, მენშევიკების მიერ გატანილი განძის დაცვა რომ ევალებოდა. მას შემდეგ, რაც მენშევიკების მთავრობამ საქართველოდან გაზიდული განძის ერთი ნაწილი გაყიდა და პარიზთან ახლოს სოფელ ლევილში 1922 წელს მამული და ორსართულიანი სახლი შეიძინა, ამ სახლში თორელს ექვთიმე თაყაიშვილის გვერდით ერთი ოთახი უბოძეს“...

სწორედ რომ საკვირველია: მეცნიერების ამ დამსახურებულმა მოღვაწემ თუ ისიც კი იცის, თორელს თაყაიშვილს მეზობლად ოთახი მისცეს, რატომ ეს არ იცის, რომ საქართველოს ემიგრანტულ მთავრობას სამშობლოდან „გაზიდული განძის“ არათუ „ერთი ნაწილი“, — ამ განძიდან ერთი ოქრო ქინძისთავიც არც გაუყიდია და არც გაუსაჩუქრებია, — პირიქით, მას ცოტა რალაც, მგონი, შემატა კიდეც...

ამასაც ვიტყოდი, თუმც ვიცი, ასეთი „მკრეხელობისთვის“ შეიძლება ბევრის რისხვაც დავიმსახურო: ვერავითარი თორელი და, ასე განსაჯეთ, ვერც დიდად დიდი მოძღვართმოძღვარი, განძთმცველი ექვთიმე თაყაიშვილი რეალურად საწინააღმდეგოს ვერაფერს მოიმოქმედებდა, თუკი „მენშევიკების მთავრობა“ „საქართველოდან გაზიდული განძის“ გაყიდვას დააპირებდა...

. . .

1931 წელს თბილისში გამოიცა 56 გვერდიანი ბროშურა: „ნოე ჟორდანია მეფის ოხრანკის სამსახურში“.

მისი შემთითხნელი, „ისტორიკოსი“ გ. ხაჭაპურიძე ამის საფასურად და ასეთი დამსახურებისათვის გააპროფესორეს და მოხანებისას გააკადემიკოსეს კიდეც...

. . .

გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლი № 18-ის ფასადს ასეთი დაფა ამშვენებს:

ამ სახლში ცხოვრობდა 1921—1937 წლებში
ცნობილი ქართველი მწერალი
ტიციან ტაბიძე

ვერის დაღმართზე, სახლს № 21-ს კი:..

ამ სახლში 1913 წლიდან 1937 წლამდე
ცხოვრობდა გამოჩენილი ქართველი მწერალი
მიხეილ ჯავახიშვილი

ცოტა არ იყოს, თითქოს უცნაურია: ამ ორმა სახელოვანმა ქართველმა მწერალმა პირი რატომ შეკრეს და რაღა მაინცდამაინც ერთსა და იმავე წელს მიატოვეს თავიანთი ბუდეები? ამის მერე ნეტავ სად იმყოფებოდნენ? შემდგომი მათი ცხოვრების მიმანიშნებელი დაფები ქალაქში აკი ვერსად აღმოვაჩინე... ანდა, შეიძლება, სწორედ ამ საბედისწერო 1937 წელს განუტევეს მათ სული, ა?

სხვათა შორის, სულის განტევება შესაძლებელია მრავალნაირი გზით: საკუთარი ხელითვე მოსწრაფებით — თვითმკვლელობით, უბედური შემთხვევით, სიბერით, რაც ბუნებრივია, ძალდატანებით, რაც უკვე არაბუნებრივია...

...გამოიცვალა ხომ პოეზია,
მუზები ცისკრის კარებს აღებენ,
მაგრამ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია,
და სადმე მალე ჩაგვაძაღლებენ...

ტიციან ტაბიძე

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990წ.): ეს სტროფი მიეკუთვნება ლექსს „სერგეი ესენინს“, რომელიც დაწერილია 1926 წელს; თავის დროზე ამ წინასწარმეტყველური „ჩაგვაძაღლებენისთვის“ არაერთი რისხვა დაატეხეს პოეტს...

ასე განსაჯეთ, ეს სტრიქონები ამოღებულია 1985 წელს გამოცემულ ტიციან ტაბიძის ნაწერების ს რ უ ლ ი კრებულიდანაც კი... დასტურ, ამ „სრულში“ არ არის შეტანილი 1927 წელს დაწერილი, ახლანდელი დროისათვის, როგორც ჩანს,

შეუფერებელი, საქებარი ლექსი სტალინზე და არც ყველა დროისათვის შესაფერისი, საქებარი წერილი ნატა ვაჩნაძეზე).

კიდევ ერთი „სხვათა შორის“: ერთის სულის განტევება ხშირად ახალ სულს ჰბადებს ხოლმე, ზოგჯერ კი — უკვე არსებული სულის სიცოცხლეშივე ცხონებას... თუკი ერთნი ცხოვრობდნენ 1937 წლამდე, მეორენი ცხოვრებას იწყებდნენ ათას ცხრაას ოცდა...

ფურცელაძის ქუჩა, სახლი № 12:

ამ სახლში 1937—1976 წ. წ. ცხოვრობდა
ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო
მოღვაწე ბესარიონ (ბესო) დავითის ძე ჟღენტი

ეს არასტანდარტული დაფა — გამორჩეული ქვის მასალითაც და ასოებითაც — მიმაგრებულია დიდებულად ნაშენები, ძველი სახლის მარმარილოს სადარბაზოს თავზე, ამავე შენობის ეზოს ჭიშკრის თავზე კი — ესეც „სხვათა შორის“ მომიხსენებია, — სულ ბოლო დროს მიაკრეს სტანდარტული, შავი ლითონის დაფა, საიდანაც ვიგებთ, რომ ამ სახლში ძველი რევოლუციონერი ბარონ ბიბინეიშვილი ცხოვრობდა დღიდან საქართველოს გასაბჭოებისა, ვიდრე... მმ...

აქ, როგორც ძველი თბილისელი, არა მგონია ვცდებოდე, დაშვებულია — გ ა ნ გ ე ბ! — ერთი შეცდომა: კი, ბიბინეიშვილი დიახაც რომ ამ სახლში ცხოვრობდა, მაგრამ იგი თავის ბინაში არ შედიოდა ეზოდან შემოვლით (ბოლშევიკი-კაცი ნიკოლოზს, აბა, მარტო სხვების სასიკეთოდ ხომ არ ჩამოაგდებდა!), — პირდაპირ სადარბაზოდან თეთრი მარმარილოს კიბეს აუყვებოდა ბოლო, მესამე სართულამდე და...

ზუსტად ამ კიბით მიემართებოდა ხოლმე 1937 წლიდან, მთელი ორმოცი წელიწადი თავის ახალ ბინაში გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ბესარიონ (ბესო) დავითის ძე ჟღენტი...

. . .

ახლახან გარდაცვლილი კლიმენტი გოგიავა შედარებით პატარა მწერალი იყო და, ამიტომაც, ბესო ჟღენტივით არცთუ ისე გამოჩენილი გახლდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, გამოუჩენლობა და პატარა მწერლობა სულაც არ განსაზღვრავს თურმე ადამიანის პატარა სულს. ისტორიისათვის სწორედ იმ დაუვიწყარ 1937 წელს შეაძლიეს მას „ხალხის მტრის“ ბინა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე სახლ ნომერ ოთხში, და მაინც მან, თითქმის სულ უბინაომ და უკვე ცოლშვილიანმა, იქ ფეხი არ შეადგა, რა მაცხოვრებს იმ კაცის ბინაში, ვისთანაც ერთად ვმუშაობდი რკინიგზელთა გაზეთშიო...

მეორე მწერალმა, უფრო ზუსტად — ნაკლებად ნაყოფიერმა პოეტმა (დ. გ.) კი სასოწარკვეთილების დეპეშა აფრინა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნის ლავრენტი ბერიას სახელზე, დაიჭირეს ხალხის მტერი (ესა და ეს), და თუ მარჯანიშვილის ქუჩაზე, ვერის ხიდთან, მის ბინაში არ ჩამასახლებთ, იქვე, მტკვარში თავს დავიხრჩობო...

...ჩაასახლეს, რა თქმა უნდა, და როცა ეს ხალხის მეგობარი გამარჯვებულ-გახარებული ადიოდა თავისი ახალი ნავსაყუდელის კიბეზე და გზად შემოხვდა ჩამომავალი, ამ ბინიდან უკვე გამოგდებული, მისი, თუ მეგობრისა არა, ყოველ შემთხვევაში, ახლო ნაცნობი მწერლის, ახლა უკვე „ხალხის მტრის“ ატირებულ-აღრიალებული დაი და მისი 5 წლის დაობლებული ძმისწული, ამ დროს ბავშვს ხელიდან ვაშლი გაუვარდა და ადამიანის სულის ინჟინერმა კიბეზე ბურთივით დაგორებულ ვაშლს მსწრაფლ ხელი დასტაცა და, ალბათ, წართმეული ბინის საკომპენსაციოდ, მოფერების სიტყვების თანხლებით პატრონს გაუწოდა, რაზეც ბიჭუნას მამიდამ თავაზიან პოეტს ხელი აუკრა და ვაშლი გააგდებინა, თან მიახალა, ამის ოროთახიან ბინასთან ერთად ამის ეგ ერთი ვაშლიც შენ გქონდეს, ჩახეთქე ისე, რომ გულზე მახრჩობელასავით დაგადგესო...

(სხვათა შორის, ამ დროიდან ბევრი დროის გასვლის შემდეგ, ხალხში პოეტად ნაკლებად ცნობილმა ამ პოეტმა, საქვეყნო საიუბილეო ზეიმის მოთავებისას, მწერალთა კავშირის პარტიული კომიტეტის მდივანს, მართლაც ნიჭიერ

და მართლაც ცნობილ პოეტს ი. ნ-ლს განაწყენებულმა უთხრა, რა არის, ყველა ორდენი თქვენთვის რომ ჩამოირიგეთ, რა იქნებოდა, ერთიც ჩემთვის მოგეცათო... ამაზე არა ერთი და ორი ორდენის უკვე მქონე იმ თანამდებობიანმა მგოსანმა მიუგო, ჩვენ ორდენებისთვის განავალში მუხლამდე ფეხი გვაქვს ჩაყოფილი, რისთვისაც შენ ჩუმ-ჩუმად დაგვციხი და... კიდევ შენთვის მოგვეცა ჩვენი წილი ორდენიო?!).

სწორედ იმავე წელს და იმავე დღეებში მეორე სხვა მწერალი, უფრო ზუსტად ყოფილი პროლეტარული კრიტიკოსი. ვერის დალმართზე „ხალხის მტრის" მიხეილ ჯავახიშვილის ხავერდგადაქლექილ სავარძელში, სასწრაფოდ, არიქა, სხვამ არავინ დამასწროსო, მოკალათდა როგორც ხალხის მეგობარი...

ვინ არ იცის, რომ ის იყო ყოვლად უნიათო კრიტიკოსი, თუმცა ამას წინათ გაზეთმა „სამშობლომ" თანამედროვე ქართული მწერლობის რამდენიმე მართლაც ბერმუხის გვერდით ამის ფოტოპორტრეტიც მოათავსა როგორც ასეთივე ბერმუხისა... სამაგიეროდ მეორე კრიტიკოსმა, სულაც არაუნიათომ, — ნამდვილად ნიჭიერმა და მუდამ ენაცეცხლმსროლელმა, მიხეილ ჯავახიშვილის დაბადების 80 წლის აღსანიშნავ საღამოზე საიუბილეო მოხსენების გაკეთება მოინდომა, მაგრამ...

ნურას უკაცრავად, მწერლის ქვრივმა მთელ საიუბილეო კომისიას და მის შესაძლო მგზნებარე მომხსენებელსაც ციივი წყალი გადაასხა, ეს იქნება უდროოდ დაღუპული იუბილარის ხსოვნის შეურაცხყოფა, მე ასეთ საღამოს არ დავესწრებიო...

(ალბათ ამ მანდილოსანს კვლევ თვალწინ დაუდგა ზემოხსენებული კრიტიკოსის 1937 წელს ჟურნალ „მნათობში" გამოქვეყნებული...

„ის გარემოება, რომ გარეწარმა მიხ. ჯავახიშვილმა საბოლოოდ დაკარგა საბჭოთა მწერლისა და მოქალაქის სახე და მთლიანად ჩაეფლა მოღალატურ-ჯაშუშურ მუშაობის კონტრრევოლუციურ წუმპეში, იმით უნდა აიხსნას, რომ იგი ბოლომდე ერთგული დარჩა კონტრრევოლუციური იდეებისა, რომლებითაც სულდგმულობდა „არიფონის" კორპორაცია").

• • •

რასაკვირველია, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში იოლი არ არის შენი პირადი „მე“ შეინარჩუნო, იყო ის, რაც ბუნებით ხარ, მაგრამ ზოგიერთი ამას ასე თუ ისე, მეტნაკლებად მაინც ახერხებდა...

ესენინმა თავი მოიკლა... მაიაკოვსკიმ თუმცა გაკიცხა ესენინი ასეთი ლაჩრული აქტისათვის; მსგრამ ოთხი წლისა და სამი თვის შემდეგ ისიც მის კვალს დაადგა... ფადეევმაც თავი მოიკლა... პაოლო იაშვილმა და გალაქტიონ ტაბიძემაც...

ო, წინასწარ ნუ ავფორიაქდებით და ნუ შევწუხდებით: ეს ქართველი პოეტი (კ. ბ.), 1942 წლის 23 იანვრის დღის 4 საათზე რუსთაველის პროსპექტზე სამოქალაქო ტანსაცმელში სამომავლოდ დიდ იმედებავსებულმა რომ ვნახე და მეორე დღეს გამთენიის 4 საათზე კი — შიშით ენაწართმეულმა და სასიცოცხლოდ იმედდაკარგულმა შინსახკომის საიდუმლო-პოლიტიკური განყოფილების უფროსის ნიბლაძის კაბინეტის წინა ოთახში სულ „სხვა“ ტანსაცმელში, — თავს არ მოიკლავს!..

• • •

ერთხანობას ლენინგრადში უხეიროდ მუშაობდა საზოგადოებრივი ტრანსპორტი... არა, ათჯერ უფრო უკეთ, ვიდრე ამჟამად თბილისში, მაგრამ არცთუ ისე, როგორც ამ სახელგანთქმულ, ჩვენი საბჭოთა ქვეყნის მეორე ცენტრს შეეფერებოდა...

ქალაქის მამებმა იმსჯელეს, ითათბირეს, რა გზით გამოესწორებინათ რევოლუციის აკვან-ქალაქისთვის ეს შეუფერებელი სიმახინჯე და გადაწყვიტეს... ყველას, — ამ ყველაში პირველ რიგში საკუთარი თავიც იგულისხმეს, — ვისაც პერსონალური მანქანებით სარგებლობის უფლება ჰქონდა, დროებით მაინც, პრივილეგიებზე ხელი აეღო და გადამჯდარიყო დემოკრატიულ ტრანსპორტში — ტრამვაიში, ტროლეიბუსში, ავტობუსში...

ჰოდა, როცა ამ დიდებმაც საკუთარ თავზე იწვნიეს ტრანსპორტთან დაკავშირებული „ვინტიკების“ ძნელად ასატანი წამებანი, პრაქტიკული გზებიც მალე გამონახეს ამ წამებათა აღმოსაფხვრელად...

...და ახლა იქ ვერ გაიგონებთ ხატზე გადასაცემისებურ იმ ხავედრებელს, რომელიც ჩვენში, სამწუხაროდ, წამდაუწუმ ისმის არა მარტო სამიმოსვლო სფეროს მისამართით:

„ღმერთო! როდისმე მაინც, ცოტა ხნით მაინც, ჩვენი უფროსებიც აცხოვრე ისე, როგორადაც ისინი გვაცხოვრებენ ჩვენ!..“

საქართველოს ზოგიერთ რაიონულ ცენტრში ბევრად უფრო ხარისხიანი, გემრიელი პური ცხვება, ვიდრე მის დედაქალაქში. ჩემისთანა არამკითხე უდიპლომო სოციოლოგი ამას იმით ხსნის, რომ იქაური ხელმძღვანელი ამხანაგები, რაკი პერსონალური ფურნე-თორნე ჯერ კიდევ არ გააჩნიათ, ყველასათვის განკუთვნილ პურს თავადაც მიირთმევენ და რაკი ხაბაზმა არ იცის, პურის რომელი გოგორა შეხვდება რაიკომის მდივანს, ყველა გოგორას აცხობს ისე, რომ მისი ნაშრომი აუგად ერთმაც არ მოიხსენიოს...

ზემოთ უკვე ვწერდი, საბჭოთა ადამიანების გონებაში რელიგიის ამოსაშანთავად მთავარი იერიში მღვდლებზე მიიტანეს-მეთქი, როგორც მატყუარებზე, მუცელგაღორებულებზე, ფულზე დახარბებულებზე...

პარალელურად ამისა იმასაც ვწერდი, რომ ათი წლის წინათ, როცა საქართველოში გვალვით დაუძლურებული ბუნებისა და დასიცხული ადამიანების გამაგრილებელი პ ი რ ვ ე ლ ი თქეში წამოვიდა, რაიკომის მდივანი ერთიც არ დარჩენილა ისეთი, თავის თანამდებობას შერჩენოდა; ასეთი მდივნები კი მანამდე, მთელი ოცი წლის მანძილზე სალოცავ ხატად გვეგზავნებოდნენ, მაგრამ, საბედნიეროდ, როგორც მღვდლებში ერევნენ თევდორეები და გაბრიელები, ისევე, ხალხზე მზრუნველი პარტიული „მღვდლები“ — რაიკომის მდივნები, კერძოდ, იმ ორმოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა სტალინის აჩრდილი ჯერ კიდევ არ იყო სულ მთლად გამქრალი, ძალზე ოშვიათად, მაგრამ აქა-იქ მაინც გაიჭაჭანებდნენ ხოლმე...

გულით მინდა ერთი ამათგანის გვარიც კი დავასახელო, მაგრამ ვშიშობ: რაიკომის მდივნობის შემდეგ მან ორი-სამი

ზელმძღვანელი ადგილი გამოიცვალა, ამ პოსტებზე კი როგორ იქცეოდა-იღვწოდა, ეს კი აღარ ვიცი; ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ხომ ბუნებით დიდად პატიოსანსაც უკან ახევინებს, აუფერულებს, თუ პირდაპირ, შეუნიღბავად ვიტყვით — ზნეობრივად რყვნის, ასე რომ, ჩემგან გაცემული კაცურკაცობის სიგელს, საერთოდ, თუმცა დიდი არაფერი ძალა აქვს, და მაინც, ერთობ ვერიდები ხოლმე შეუმოწმებლად საშთამომავლოდ მის ბოძებას...

...ამ ამხანაგმა, ერთ ზღვისპირა ქალაქში პარტიის თავკაცად ყოფნისას, როცა გაიგო რომელიღაც დაწესებულების დარაჯ ჩაჩიბაიას შვიდი შვილი ჰყავს, მივიდა მასთან შინ... და რაც მისმა თვალებმა იქ იხილეს, უსიამოდ შეძრა მისი სული: ეს სახლი კი არა, ოჩოფეხებზე შემდგარი, წაქცევის პირას მიმდგარი ქოხი იყო; შინ და გარეთ, ირგვლივ ყველგან დუხჭირი სიღარიბისა და სიღატაკის კვალი შეიმჩნეოდა...

და მაშინ ქალაქკომის ახალგაზრდა, ენერგიულმა და სამართლიანმა მდივანმა იქვე, ადგილზევე, გადაუდებლივ მოიხმო ჩვენი დროის სოვდაგრები (ძველებისგან განსხვავებით ამათ გაკოტრების შიში არც დღით, არც ღამით, არასოდეს არ აწუხებთ, რადგან სახელმწიფოს გრძელ ჯიბეში და ხალხის გამოხეულ ქისაში მუდამ ხელს აფათურებენ).

...მოიხმო და ჩაჩიბაიას წვრილშვილიანი ოჯახის საკეთილდღეოდ, არსენასავით, ვის რა შეაწერა და ვის რამდენი...

და როცა ამათ თავი მოიღარიბეს („საიდან, პატენი?") და სცადეს თავი მამა აბრამის ბატკნებად მოეჩვენ-გაესაღებინათ, ქალაქის თავმა მათ ასეთი ლუღლუღი თავშივე შეაწყვეტინა, რასაც თქვენ ერთ დღეში იპარავთ, ეს მისი მხოლოდ ნოლინოლი პროცენტიაო... თავის მხრივ კი ჩაჩიბაიებს ქალაქის ფონდიდან სამოთახიანი ბინა გამოუყო, რომელიც წითელმა სოვდაგრებმა, რაკი სხვა გზა არ ჰქონდათ, მორთეს და მოკაზმეს...

ამ მრავალშვილიანმა ოჯახმა უფრო კიდევ იმითაც გაიხარა, რომ მას არც ძველი ფუძე მოუშალეს — მიწაზე ფეხის დასადგმელი, ეზო-ქოხიც შეუნარჩუნეს.

ახლა კი, თქვენის ნებართვით, მკითხველო, ცოტას გადავუხვევ და ერთ სხვა ფაქტსაც შემოგთავაზებთ უკვე დღევან-

დელი სინამდვილიდან: შეიძლება 14 (თოთხმეტ!) — კვადრატულმეტრიან ოთახში შვიდი სული ცხოვრობდეს? ერთმანეთზე მიყოლებული ხუთი პატარა ბავშვი და მათი ახალგაზრდა მშობლები?

თურმე შეიძლება! განა პირმოტეხილ ქილაში ხამსა ცოტა ეტევა?!

თბილისის ერთ-ერთ გარეუბანში ასე ცხოვრობდნენ წლების მანძილზე ქეთევან მექვაბიშვილი და ვასილ ფანქველაშვილი თავიანთი ხუთი ბიჭუნათი... მათ არაერთხელ სთხოვეს იმ რაიონის უფროსებს ერთი წესიერი თავშესაფარი გამოემეტებინათ, მაგრამ ვიდრე ეს სამარცხვინო ამბავი საქვეყნოდ არ გახმაურდა, მანამდე მოწყალება არავინ მოიღო...

(ახლა ხომ მაინც ვრწმუნდებით, იმდენ უამრავ სიტყვას გამრავლებაზე, რაც ამჟამად რესპუბლიკაში იხარჯება, როგორ ჩამორჩება საქმე გასამრავლებლად!).

ჰოდა, მინდა შეგეკითხოთ, იმ პ ი რ ვ ე ლ ი გამწმენდი, საამო თქეშის მერეც, „აქა-იქ“ მაინც, კიდევ ხომ არ შემოგვრჩნენ ისეთი პარტმანდატიანი „მღვდლები“, თავიანთ „წირვა-ლოცვას“ ერის სასარგებლოდ ძალზე რომ ამოკლებენ?

ისე კი, რა საამური იქნებოდა იმ პ ი რ ვ ე ლ თქეშს მეორეც მოჰყოლოდა, მესამეც და, საერთოდ ეს თქეში ხშირად და სისტემატურად რომ მოდიოდეს: აკი მძიმე, ჩამოხუთული ჰაერი შემდგომ ოზონით იფილტრება და ირგვლივ ცხოველმყოფელი ჟანგბადი მატულობს, ურომლისოდაც წესიერ ადამიანებს სუნთქვა უჭირთ, და თუ ხანი მოგვიანდა, ერსაც მთლიანად ასთმა ემართება...

დიახ, ფანქველაშვილები...

რაკი იმჟამად შეუძლოდ ვიყავი და შინიდან გასვლა არ შემეძლო, ისინი ჩემთან, შინ მოვიწვიე... მეგონა, მარტო მშობლები გამომეცხადებოდნენ, — მთელი „არმია“ კი დამეცა თავს!

ასეთ „თავდასაცემს“ ყველა ქართველს ვუსურვებდი: ხუთი ბიჭი!

ყველაზე უმცროსმა, სამი თუ ოთხი წლისამ, უკვე მომზადებული რაღაც ძღვენ-საჩუქრის გადმოცემა დამიპირა... რა-

ღაცინ-მეთქი, რადგან მე მას ისე დავუცაცხანე, მოტანილზე არც დამიხედავს, ძღვენი და საჩუქარი წესით მე უნდა მოგართვათ, და არა თქვენ-მეთქი...

ავტონეკროლოგისა არ იყოს, ინტერვიუ საკუთარ თავთან გონებაში უკვე ჩამოკენჭილი მაქვს, სადაც უხილავი ინტერვიუერის შეკითხვაზე, ცხოვრებაში რა გებრალებათ ყველაზე მეტად, ასე ვუპასუხებ: ბავშვი, რომელსაც სათვალე სჭირდება, ერთიორად კი — სათვალიანი პაწია ბავშვი...

ამ ერთი ციცქნა ფანქველაშვილ-მეხუთეს კი სწორედ სათვალე ეკეთა, პაწია-პაწია სათვალე, და მერე, უფრო ამის გამო, ბევრიც ვინანე, ჩემი ხმამაღალი გაგულისებით ხომ არ შევაშინე-მეთქი...

ეს ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, რაკი, როგორც იქნა, ბინა უკვე მიიღეს, კიდევ გვპირდება კვლავ და-ძმებით შემატონ სიხარული თავიანთ ბიჭუნებს (ამ სიხარულის ფასი ჯერჯერობით მათ არ იციან!), გაიხარონ თავადაც და გააბარონ საქართველოც!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წელი): ამჟამად ფანქველაშვილებს რვა ბიჭი და ერთი გოგონა ჰყავთ; ფიქრობენ კი, ძმებს ერთი ძმა კიდევ შემატონ ცხრა ძმა ხერხეულიძეთა მოსაგონებელ-სადიდებლად... აფერუმ მათს ქართველობას! — 12 სული ახლა ქალაქელთა ერთ ოჯახში კი არა, ფშავ-ხევსურეთის ზოგ მთელ სოფელშიც აღარ მოინახება).

ერთ გაზეთში ამოვიკითხე ლოზუნგისებური: „ბევრი შვილი სახელმწიფოს ძლიერებაა!"

საბოლოო ანგარიშით, ეს, რასაკვირველია, მართლაც ასეა, მაგრამ რაკი ახლა ჩვენ ბუხართან ვზივართ, და არა ტრიბუნის მახლობლად, მოდით ერთი, უზედამხედველო ცეცხლის პირას მაინც ნუ შევიბორკებით და ვიმსჯელოთ გულღიად: ვინც შვილს აჩენს, სულაც არ ფიქრობს, ამით სახელმწიფოს გავაძლიერებო...

ბევრი შვილი, უწინარეს ყოვლისა, ოჯახის ძლიერებაა, და-

ძმების ძლიერებაა, მშობლების ძლიერებაა, დაბოლოს, ნათესავ-მეგობრების ძლიერებაა!

დიახ, თუ ძლიერია ოჯახი, ძლიერია სახელმწიფოც. მაგრამ ესეც გვახსოვდეს: სახელმწიფოს ს ა მ ხ ე დ რ ო ძლიერება სულაც არ განსაზღვრავს მის ს უ ლ ი ე რ ძლიერებას. ოჯახის სულიერი სიძლიერე პირდაპირ არის დაკავშირებული სახელმწიფოს სულიერ ძლიერებასთან...

სხვათა შორის, როცა ფანქველაშვილებმა 14-კვადრატულ-მეტრიან სათხებოს თავი დააღწიეს და სამზეოზე გამოვიდნენ, მათით მერე ტელევიზიამაც ისარგებლა — „ირეკლამა" და აგრეთვე ერთმა არასქელმა ჟურნალმაც თავის საიუბილეოდ...

ამ საზეიმო შეხვედრებზე ხუთი ბიჭის — ფეხბურთის ნახევარი გუნდის ახალგაზრდა დედამ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო (ამას, აბა, როგორ დაავიწყებინებდნენ!), მშობლიური მზრუნველობისათვის დიდი მადლობა მიაგო მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და მშობლიურ საბჭოთა მთავრობას მის მრავალშვილიან ოჯახზე ესოდენი მშობლიური მზრუნველობისათვის!

ჰო, მაგრამ... ხომ არ აჯობებდა, ეს მადლობა ბევრად ადრე რომ თქმულიყო, ა?

ახლა, ისევ თქვენი მოწყალე ნებართვით, მკითხველო, კვლავ სწორ, ვაკე გზას დავადგები და გავაგრძელებ სიტყვას იმ ზღვისპირა, შედარებით არცთუ დიდი და არცთუ პატარა ქალაქის თავკაცზე.

ეს ის წლებია, როცა ნიკიტა ხრუშჩოვი ცხრაბალიანი ზღვასავით ბობოქრობდა და დიდად თავს იწონებდა თავისი ზღვა-ენერგიით, მე მას სამარეში ხომ არ წავიღებ, ჩემ ხალხს უნდა მოვახმაროო...

და მართლაც, ჩვენი დიდი საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ სიბრძნეს სიბრძნეზე აფრქვევდა, — არა მარტო თეორიულად, პრაქტიკულადაც... სიმინდს, ამ მინდვრის დედოფალს, ლამის იაკუტიაშიც დაუდგა ტახტი... სოფლების მოსრა-მოსპობა მოინდომა და მათ ნაცვლად აგროქალაქების ერთი ხელის

დაკვრით ამორფქვევა-აღმოცენება, მაგრამ რაკი დარწმუნდა, ამას ერთხელ კი არა, ხელის დაკვრა სამჯერაც დასჭირდებოდა, ამჯობინა ჯერ ისევ ერთი ხელის დასაკვრელი საქმისათვის დაედგა თავი; არსად, ქალაქის ზონაში არსად ძროხა არ გააჭაჭანოთ, არც მეწველი, არც ბერწი, მოსპეთ და გაანადგურეთო...

ჰოდა, ისე, როგორც სხვას, ამ ბრძნულ დირექტივასაც წინ, აბა, ვინ აღუდგებოდა, და დაიწყო საყოველთაო, ათეისტ-უღმერთოებისაც კი, ცხადია, ფარული, ჩუმ-ჩუმი წყეველა-კრულვა, მსგავსი იმისა, ზემოთ რომ მოგახსენეთ („ჩვენი უფროსებიც აცხოვრე, ღმერთო, ისე, როგორადაც ისინი გვაცხოვრებენ ჩვენ"...).

...იყო საქონლის ბღავილი და იყო ბავშვების ღრიალი...

...იღვრებოდა პირუტყვის თბილი სისხლი და იღვრებოდა პირმეტყველის მდუღარე ცრემლი...

იმ ზღვისპირა ქალაქში ძროხა ბევრ მოსახლეს ჰყავდა, ეზოებში ებათ და იქვე კვებავდნენ და იქვე წველიდნენ.

ქალაქკომის მდივანს ამ ჭკუით სავსე დირექტივამ ლამის ჭკუა შეურყია: აბა, რა ხელით მოუღოს ბოლო, რა პირით, რა სინდისით წააგლიჯოს მარჩენალი ძროხები მშრომელ ადამიანებს, მათს ბავშვებს, მათს ღლაპებს?

სხვა არა იყოს რა, სწორედ ეს ძროხები აძლევენ ქალაქს რძეზე მოთხოვნილების 35 პროცენტს! თანაც ისინი სულაც არ ამახინჯებენ ამ კოხტა ზღვისპირა ქალაქს, და, საერთოდ, მათი არსებობა თითქმის არც იგრძნობა: ესენი ერთგული, თავმდაბალი, მეწველი საბჭოთა ძროხებია და, არც პატრონთან ერთად და არც უპატრონოდ, ქალაქის ქუჩებში არხეინად არ დააბოტებენ, როგორადაც მათი გაზარმაცებული, წმინდანებად მიჩნეული კოლეგები ინდოეთის დიდ ქალაქებში.

...და მაშინ, ამ ფიქრებით აფორიაქებული ქალაქკომის მდივანი იჩენს ჩვენი დროისათვის გაუგონარ, არნახულ მოქალაქეობრივ გამბედაობას — ცხოვრებაში ერთხელ მაინც იქონიოს საკუთარი აზრი, რომლის ორჯერ ორი ოთხობას ხუთიანზე შეფასებული სულელიც არ გაიხდის საკამათოდ და... ტელეფონით უკავშირდება საბჭოთა საქართველოს ყველაფრის მეთაურს, ამხანაგ ვასილ მჟავანაძეს:

— ...მე ამას ვერ ვიზამ... გადამაყენეთ, მომხსენით, მაგრამ მე ამას ვერ ვიზამ...

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ეტყობოდა, ნაფიქრალი ხმა მოისმა დედაქალაქის შიო ჩიტაძის ქუჩის შემოგარენიდან... დაბალი, დაბალი ხმა, თითქოს ისეთი, სხვას რომ არ გაეგონა („რამდენ პარტიულ ციგანს აქვს, გენაცვალე, ყური დაცქვეტილი... აი, მაგალითად, ერთი ასეთი თავიდან ძლივს რომ მოვიშორე, იმ ღღესვე მოსკოვს გადაფრინდა და უცხოეთში მომუშავე ერთ დიდად ანგარიშგასაწევ კაცს დაარეკინა, და მეც, აბა, რა მექნა, რაკი ხელთ სხვა ვაკანტური თანამდებობა არა მქონდა, უზნეო კაცს, თეორიულად, ყველაზე უფრო ზნეობრივი გაზეთი ჩავაბარე“...):

— კარგი, ოღონდ... ნურც იმას იტყვი, ამის ნებართვა მე რომ მოგეცი და ნურც შენ იყვირებ ქვეყნის გასაგონად, ასე და ისეო... სხვებმა არ წაგბაძონ...

ასეთი, თუნდ საჭიქმანო პასუხიც კი იმ დროს, ვასილ მჟავანაძის მდგომარეობაში მყოფისათვის, დიდი ვაჟკაცობა გახლდათ.

თუ გაიხსენებთ, „შავი წიგნის“ ფურცლებზე კრემლის ნამესტნიკს საქართველოში და კრემლისათვის არცთუ სულ სანდოს“ (ამიტომაც ინიშნება ხოლმე მეორე მდივნად რუსი), ზოგი ცოდვა კი გამოვუქექე, მაგრამ არც ისეთი რამ მივივიწყე და მივაფუჩეჩე, რაც მას ჩვენს თვალში ამაღლებს.

აი კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ა რ მოწმობს მის წვრილმანკაცობას: 1965 წელს მარჯანიშვილის თეატრში ერთი დიდად ცნობილი დრამატურგის საკმაოდ მდარე ღირსების პიესა დაიდგა („ცხოვრების ჯარა“).

თუმცა ერთ-ერთ მის მთავარ პერსონაჟს, ლოპიანეს, როგორც ახლა ვამბობთ ხოლმე — ნეგატიურს, აზრობრივად საერთო არა ჰქონდა რა მჟავანაძესთან, ჩვენმა დიდად ნიჭიერმა კომედიურმა მსახიობმა აკაკი კვანტალიანმა, რუსულ ყაიდაზე რომ ეძახდნენ, ვასილ პავლოვიჩის გრიმი გაიკეთა და, განსაკუთრებით, მოჩაპლინო ულვაშებით სულ პირწმინდად დაემსგავსა მას...

ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში თეატრში კი არა, სამსულიან ოჯახშიც რამე რომ გაფაჩუნდეს, — თუკი ეს შენს პი-

რად გაჭირვებას არ ეხება, რაც ახლა, ახლობლების გარდა, აღარავის აღელვებს, — ამბის გამტანი ყოველთვის გამოჩნდება, აქ კი ინციდენტი დატრიალდა „საერთო სახელმწიფო დონეზე“ და... ცხადია, .აბა, ვინ არ იჩქარებდა, ერთგული ქვეშევრდომობით გული რომ მოეგო და ეს ამბავი ვასილ პავლოვიჩისთვის ეცნობებინა, მაგრამ პავლოვიჩს, თუმცა ყოველივე ეს, ბუნებრივია, არაფრად ეჭაშნიკა, და მაინც მან....

დიახ, საკვირველი ის არის, რომ, რესპუბლიკის მასშტაბით, ნომინალურად ამ მეფის ტოლა კაცმა არავითარი რისხვა და არავითარი ელჭექი არ დაატეხა თავს არც თეატრს, არც თეატრალურ ცენზურას და არც მსახიობს...

სიმართლე მოგახსენოთ, მაშინ ამ ამბავმა იმდენად გამაცეცა, ერთხანობას დებილი ინდაურივით ძალად გამოსაკვებიც კი შევიქენი, — ეს რა ხდება, ამხანაგებო, ეს რა ამბავია, ბატონებო, ნუთუ ჩვენი ქებული, ჯანსაღი პროლეტარული დემოკრატია დამპალ და წყეულ ბურჟუაზიულს ემსგავსება-მეთქი...

ო-ო, ღმერთმაც ნუ ქნას, ღმერთმაც ნუ ქნას!

ასე წარმოიდგინეთ, თვალწინ ზარდამცემი ნიკოლოზ მეორეც კი დამიდგა, თებერვლის რევოლუციის წინა ხანებში პეტროგრადის ზოგიერთ გაზეთს თითქმის მუხლდაჩოქილი რომ ეხვეწებოდა, — გეთაყვათ, ცუდს ნურაფერს დაბეჭდავთ გრიგორი რასპუტინზე, იმპერატრიცა ალექსანდრა ფ ი ო დ ო რ ო ვ ნ ა ავადმყოფურად განიცდის მის ლანძღვა-გინებასო...

...და ისინი, ეს რედაქტორები, ხელმწიფეს მაინც არ ეპუებოდნენ და, თვითმპყრობელობის გადარჩენის მიზნით, გრიშკაზე კვლავ ბეჭდავდნენ მამხილებელ-გამაბახებელ წერილ-ფელეტონებს (რასაც, სხვათა შორის, ჩვენდა საბედნიეროდ, ვერც გაუბედავდნენ და ვერც შეჰკადრებდნენ ვასილ პავლოვიჩის თანამეცხედრე ვიქტორია ფ ი ო დ ო რ ო ვ ნ ა ს რაღაც განძოქროულობის თითქოს მითვისებასთან დაკავშირებით ვერც „კომუნისტის“ რედაქტორი მჭედლიშვილი და ვერც „სოფლის ცხოვრებისა“ — დავითაშვილი); მომაგონდა აგრეთვე „Энциклопедический словарь Ф. Павленкова“, გამოცემული 1899 წელს, ესე იგი მეექვსე წელს ნიკოლოზის გამეფებიდან: შესამოწმებლად კვლავ ჩავიხედე ამ ზორბა წიგნში და, მადლობა ტვინის სისხლ-ძარღვების გამაფართოებელ პრეპარატებს, მეხ-

სიერებას, მათი შემწეობით ჯერ ჩემთვის არ ეღალატა, აკი მასში ახლაც ზუსტად იმასვე წავაწყდი, რამაც ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში გამაოც-გამაოგნა: არა შავრაზმელის, არა სოციალისტის, უფრო, ალბათ, მონარქისტ პავლენკოვის ამ ერთტომიან ენციკლოპედიაში — თანაც იმ უსასტიკესი ცენზურის დროს — Здравствующий Император ნიკოლოზ მეორისა და კარლ მარქსის სურათები მოთავსებულია... თანაბარი ზომისა; რაც შეეხება ტექსტს, ყოველისშემძლე თვითმპყრობელს, ნიკოლოზს ეძღვნება 22 სტრიქონი, ხოლო ყოველნაირი მეფეების, მონარქიზმის მოსისხლე მტერს — მარქსს... 35!

აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია, და როგორც ამბობს ხოლმე ტელევიზიით ჩვენთან გამომშვიდობებისას ერთი საერთაშორისო მიმომხილველი-პროფესორი, გმადლობთ ყურადღებისათვის!

...„ცხოვრების ჯარა“, თუმცა იგი ოპერატიულად კი გამოეხმაურა საიმდღეისო ჩვენს ცხოვრებას, მაგრამ როგორც ნაკლებად სრულყოფილი დრამატული ნაწარმოები, სცენაზე მტკიცედ ვერ დამკვიდრდა, რესპუბლიკის პირველი კაცის სამდურავი, თუმცა ჩუმი, მაგრამ მაინც სამდურავი, კი მოიმკო...

...და ახლა მის წინაშე თავი მეტად უხერხულად იგრძნო ლოპიანეს როლის შემსრულებელმა და სთხოვა მჟავანაძეს აუდიენცია. მჟავანაძემ გაუწვალებლად მიიღო იგი, და მასთან ერთად — სიცილის დიდოსტატი ალექსანდრე ჟორჟოლიანი და სიცილის ქვეოსტატი ვახტანგ ნინუა. საუბრისას ამ კომედიურმა სამეულმა სცადა ბოდიშისებურად თავი ემართლებინა, სწორი ცნობა არ მოგაწოდეს, ამხანაგო ვასილ, ჰოდა, კარგი იქნება, თეატრში თუ მობრძანდებით და საკუთარი თვალით დარწმუნდებით ამაშიო...

მჟავანაძეს სპექტაკლზე დასწრების არც სურვილი გამოუთქვამს და არც სულ იუარია, თავაზიანი გამოთხოვებისას ეს კი უთქვამს მოსულთათვის, რა ვიცი, მე თითქოს ცუდი არაფერი გამიკეთებია საქართველოსთვისო...

როცა ამ ჩემმა საყვარელმა მსახიობებმა (კომედიური ნიჭი

უფრო იშვიათია, ვიდრე ტრაგიკული) ამ ვიზიტის ამბავი დეტალურად გადმომცეს, მე როგორღაც ერთი ისტორიული ფაქტი გამახსენდა, ისევ ნიკოლოზ მეორის ცხოვრებიდან: ერთხელ იმპერატორმა სინოდის ობერ-პროკურორი პობედონოსცევი მოიწვია ფინჯან ჩაიზე... აი, სწორედ ის პობედონოსცევი, რომლის მონურ მონარქისტობაზე, რეაქციონერობაზე, ავკაცობა-სიგლახეზე უამრავი რამ გვსმენია ახალ დროში მცხოვრებ ძველი დროის მეისტორიეებისაგან...

...დიახ ,მოიხმო თავისი ერთგული ქვეშევრდომი ობერ-პროკურორი და ერთობ ზრდილად სიტყვა ჩამოუგდო საკმაოდ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილ ერთ, ალბათ, ცხადია, ღირსეულ პიროვნებაზე, — წმინდანებში შესარაცხიაო...

...და ოი, საკვირველებავ, ამაზე მეფის ჩინოვნიკმა, თუნდაც უმაღლესი რანგის მეფის ჩინოვნიკმა თავის მეფეს, იმ მეფეს, რომელსაც ლენინმა „Николай Кровавый" შეარქვა, უპასუხა, წმინდანებში შერაცხვა, ხელმწიფეო, არც სინოდის საქმეა და არც მეფის, — ამას ხალხი წყვეტსო...

ხ ა ლ ხ ი ო!..

მინდა გამოცანა შევთავაზო მათ, ვინც ახლა 50-ისა და მეტი წლისაც არის: სულ მცირე ხნით მაინც, იქნებ წარმოიდგინოთ ამხანაგი სტალინი, რომელმაც მოიხმო რომელიც გნებავთ ამხანაგი და სთხოვა მას ამა და ამ ამხანაგის „წმინდანებში" შერაცხვა, ანდა, რომელიმე უკვე არაამხანაგის „წმინდანებიდან" გარიცხვა, — გამოცანა გვეკითხება, რას უპასუხებდა ანდა როგორ მოიქცეოდა ეს ამხანაგი, თუნდ უმაღლესი თანამდებობაც სჭეროდა მას და თუნდ რა ცხრაფუთიანი ჭკუითაც ყოფილიყო იგი აღჭურვილი?

ვისაც, შესაძლოა, შიშით ახლაც მუხლები აუკანკალდება, ხალხთა დიდი ბელადის წარმოსახვისას, ნება ეძლევა მის ნაცვლად რომელიმე სხვა დიდი თანამდებობის ამხანაგი წარმოიდგინოს, აი, თუნდაც, ამხანაგი ჩარკვიანი — ჩვენი რესპუბლიკის იმდროინდელი პარტიის მდივან-კაპიტანი, ანდა, თუ ესეც ეძნელა, მისი რომელიმე რაიკომის მდივან-მიჩმანი მაინც, აი, თუნდაც ამხანაგი ლუარსაბოვი — გამგებელი მილოტოვის რაიონისა...

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში გამოცანის მასშტაბი —

სტალინიდან ლუარსაბოვამდე — დაპატარავდება და მასთან ერთად, პროპორციულად, დაპატარავდება „წმინდანებიც“, როგორც შესარაცხავი, ისე გასარიცხავიც...

ეგრეთ წოდებული თბილისის ზღვის მახლობლად, მწვანე მთის ძირას, პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატია. სახელი, როგორც ამჩნევთ, ერთობ ამაღლებული აქვს, მაგრამ იგი, არსებითად, მაინც Дом престарелых-ის ნაირსახეობაა, ოღონდ ჩვეულებრივზე, შეიძლება, ცოტა უკეთესი.

ჰოდა, ამ, ასე თუ ისე, პრივილეგირებულ დავრდომილთა სახლში ერთი დიდად განათლებული, წესიერი ხნიერი კაცი (ბ. გ.) იმყოფება, კაცი-მარქსისტი, ამ სიტყვის ძველებური, სრულყოფილი გაგებით.

როცა ის, არცთუ ისე ახალგაზრდა, პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პასუხსაგებ პოსტზე მუშაობდა, ერთხელ დილით, გაზეთის კითხვისას თავის კაბინეტში, დაბალი, მაგრამ მუქარით აღსავსე ხმა შემოესმა:

— Вы неправильно читаете газету!

აიხედა და... გააცივა წელში: თავზე ადგა „ასობი ადელის“ უფროსი ამხანაგი ხოშტარია, რომლის სტალინურ ფხიზელ თვალს ერთი გადავლებითაც კი შეენიშნა, რომ ამ ჯერჯერობით კიდევ ამხანაგს გაზეთი, კითხვისას, ისე გადაეკეცა, ბელადის დიდი სურათის ყურის ნაწილი გადაკეცილში მოქცეულიყო...

ეს მას თუმცა სრულიად უნებლიეთ ყოველგვარი „ანტიბის“ მოუფიქრებლად კი მოუვიდა, მაგრამ ახლა ფიცსა და თავის მართლებას რაღა ფასი ექნებოდა!..

ამხანაგ ხოშტარიების აზრით, რაც უთქმელად იგრძნობოდა, ეს იყო დიდი პოლიტიკური დანაშაული, ხელყოფა იყო ხალხთა მამის ავტორიტეტისა, რაიც.. რაც... რისთვისაც... მმ...

ჰოდა, ის დღე და, უფრო კი, ის ღამე თეთრად, შიშისზარის ქვეშ გაათენა ამ ჯერ კიდევ სათანადოდ გაუფორმებელმა ხალხის მტერმა... მას ეშვი არც ეპარებოდა, რომ დაიჭერდნენ, მაგრამ რაღაც სასწაულით არც იმ ღამეს „აიყვანეს“ და არც ამის

მერე, ელოდა კი, და ამ მუდმივ ლოდინში დაჭიანდა, დაავადმყოფდა სულიერად და ჯანში გაიტეხა ფიზიკურად...

ოცდაათიანი წლების დასაწყისში ჩემს ახლო ნაცნობს, წლოვანებით ჩემზე ბევრად უფროსს, პროფესიით გაზეთის კორექტორს, ქონებით კი — არც ვაჭარბებ და არც ვალამაზებ — ისეთ პროლეტარს, როგორიც მარქსს ჰყავდა წარმოდგენილი „კაპიტალის“ წერისას, და თანაც სახელოვანი, თავადის გვარის მქონეს, რაიც მას ახლა ვეებერთელა მთის სიმძიმით აწვა დაქანებულ მხრებზე, იანვრის ერთ გრძელ ღამეს საშინელი სიზმარი ძერასავით თავს დააცხრა: თითქოს სტალინის სიტყვაში მიუტევებელი შეცდომა გაჰპარვოდეს — ბელადის გვარი გადატანისას შუაზე გაეყოს...

და როცა საკუთარ თავთან ბორგვა-ბრძოლაში, თითქოსო ბელმოკლულ, გააფთრებულ დათვს შეებაო, — კოშმარულ სიზმარს თავი დააღწია და იგრძნო, აქამდე ოფლის მორევში ცურავდა თურმე, და ასე შეუმშრალებლად, დაკერებულ-მიკერებული პერანგის ამარა, გონს გადასულივით სირბილით სტამბისკენ გაექანა...

...შეაღო საამქროს კარი და... იმ პირველი, ანტიკური მარათონელივით გულწასული დაეცა ცემენტის იატაკზე: გაზეთი უკვე იბეჭდებოდა...

...გაუგონარი შიშიანობის იმ წლებში სიტყვა „დაპიტიმრების“ ნაცვლად ყველა ვხმარობდით — დაიჭირესო, რაც, ენობრივი სიწმინდისა და აზრობრივი თვალსაზრისით, არა მგონია, სწორი და მართებული იყოს: დაჭერა შეიძლება იმის, რაც გარბის. ვერ იტყვი, მაგალითად, კუზე, დაიჭირესო.

ბერიამ ქართული მწერლობის მშვენება — მიხეილ ჯავახიშვილი — ლოგინში, მძინარე დაიჭირა...

ვიდრე ქართველი ხალხი იარსებებს, „არსენა მარაბდელის“ დამწერის სახელი, თუნდაც მარტო ამ ერთი ურჩხულობისთვისაც კი, მარად კრეულვით და სიძულვილით იქნება ხსენებული...

ამბობენ, ჯავახიშვილი მეგრელი რომ ყოფილიყო, ბერია ხელს არ ახლებდაო, და რომ ვითომ მეგრელობამ გადაარჩინა

იმ გულისა და გონების შემზარავ 37-38 წლებში „ფაშისტი“ გამსახურდია, „თავადი“ შალვა დადიანი, „მენშევიკი“ ლეო ქიაჩელი და „დამქაშნი ძმანი მათნი“ — დემნა შენგელაია და სიმონ ჩიქოვანი...

ამ შავბნელი საქმის ვითარებას ახლა ვინ ეშმაკი გაარკვევს, ისე კი, მეოცე საუკუნეში, როცა ფეოდალური ურთიერთობანი შორეული წარსულის სამუზეუმო კუთვნილებაა, ქართველების დაყოფა-დანაწევრება მეგრელ-ქართლელ-სვან-გურულ-თუშ-აჭარლებად და კიდევ სხვად, — ჩვენთვის დიდი სამარცხვინო ამბავიცაა და დიდი უჭკუობაც.

კუთხურ პატრიოტიზმს რომ ვეძახით, ეს პატრიოტიზმი კი არა, ბოდიშს მოვითხოვ ამ სიტყვისთვის, ვირობაა ერის მიმართ. მტკიცედ და გადაჭრით იმასაც ვიტყოდი, რომ ამ საძრახისი უბადრუკობის მედროშენი, გონებაჩლუნგ ყეყეჩთა გარდა, მეტწილად უნიჭო და უმაქნისი ადამიანები არიან, ანდა მსხვილფეხობის მონატრე წვრილფეხა ავანტურისტები.

დღევანდელმა ანალგაზრდობამ, არა მგონია, მიახლოებით მაინც იცოდეს ამ ოცდაათიოდე წლის წინათ პროვოკაციულად შეთითხნილი „მეგრელების საქმისა“, რომელმაც არა ერთი და ორი ქართველი ლამის ფიზიკურადაც კი იმსხვერპლა.

„მეგრელებმა შეგვჭამაო“, — სტალინის გულის სიღრმეში ამ ავი თესლის ჩამგდებნი სწორედ ის ელისაბედაშვილ-ეგნატაშვილები იყვნენ, რომლებიც ნიჭიერი საქართველოს ფონზე უფერულ კაცუნებად გამოიყურებოდნენ, მათი უღლის გამწევნი კი — მგელაძე-რუხაძეები — ოღონდ რესპუბლიკაში ხელისუფლების მწვერვალზე მოქცეულიყვნენ, ამისათვის არ მოერიდებოდნენ არც...

აი, ახლა უკვე ერთი მივიწყებული პროლეტარული პოეტი რომ იფიცებოდა, მე დედას მოვკლავ, მამას დავახრჩობ, რევოლუციამ თუკი მიბრძანაო...

ამათ საამისოდ ბრძანება არც დასჭირდებოდათ.

თავისთავად დიდი სიბრიყვე იყო, უმაღლესი სამეთაურო ადგილები ეთნოგრაფიული ნიშან-თვისებით რომ ნაწილდებოდა. ერთხელ, ამ პრინციპის მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთ მდივნად ისეთი კაციც მოხვდა, რომელსაც თავიდან ბოლომდე „თხა და გიგოც“ არ წაეკითხა.

დაე ყველა მდივანი და ყველა მინისტრი სულ ქართლელები იყვნენ ანდა ლეჩხუმლები, თუნდაც წოვა-თუშნი, ოღონდაც იყოს ყველა ჭკვიანი, ნიჭიერი და პატიოსანი... ასეთებმა კი არ შეიძლება ერთნაირად არ იზრუნონ საქართველოს ყოველ კუთხეზე, მის ყოველ ეზო-კარზე და მის ყოველ ადამიანზე, ფშაველი იქნება იგი თუ მესხი...

სამწუხაროდ, ახლა მემუარები თითქმის სრულებით არ იბეჭდება, და ეს ალბათ უფრო იმიტომ, რომ მათ თითქმის აღარავინ წერს.

ღმერთმაც ქნას, საქმე ისე იყოს, რომ მალულად წერდნენ და შთამომავლობას ხელნაწერის სახით მაინც უტოვებდნენ, რაც, მართალი გითხრათ, ერთობ მეეჭვება, — ჩვენ ხომ ახლა პეპელასავით ერთი დღით ვცხოვრობთ ხოლმე, არც წინ ვიყურებით, არც უკან...

(საკუთარი ყურით მაქვს მოსმენილი ხელოვანთა სასახლეში 1936 წელს მიხეილ ჯავახიშვილის საჯარო გამოსვლიდან: „ამ დღეებში 56 წლისა შევსრულდი და უკვე დროა მემუარების წერას შევუდგე").

არადა, ბევრი რამ იკარგება ისტორიისათვის. ჩემ მიერ ზეპირი გამოკითხვის გზით მიკვლეული მონაცემებით, შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ სტალინი ბოლოს მიხვდა კიდეც, რომ „მეგრელების საქმეს" სიმართლის სუნი არ უდიოდა, და რომ მას მიქელ-გაბრიელი არ წამოწეოდა, მის მოთავეებს, ალბათ, მადლობას არ მიაგებდა.

მეგრელები საქართველოს ყოველთვის მტკიცე ბურჯად ედგნენ, და ეს ახლაც ასეა (გადაგვარებულ-გააფხაზებულების გამოკლებით, მაგრამ ამათში ლაღიძეები და წერეთლებიც ხომ ურევია!). მარტო ის რად ღირს — ამაზე ადრეც ვწერდი — ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებთან შედარებით, მრავალშვილიანობა, აპარის შემდეგ, ყველაზე მეტად სამეგრელოში შეინიშნება.

სვანეთშიც.

* * *

უკვე კარგა ხანია გამოუცხადებელი ომი მიმდინარეობს იმის თაობაზე, როგორ გამოითქვას და დაიწეროს: რუსთაველი თუ რუსთველი...

ამ „ომში" არათუ მეცნიერთა გარკვეული ნაწილი ემხრობა „რუსთველს", — ამას წინათ „რუსთველელებისთვის" მხარის ასაბმელად ოთხგვერდიანმა „ნიანგმაც" კი გამოყო ფეხი: როგორც ჩანს, სატირულ-იუმორისტულ ლიტერატურაშიც კი უკვე ცდილობენ დაამკვიდრონ „რუსთველი", ალბათ, იმ პრინციპით, რომ... გრძელი გვარი მოკლედ ითქმის, ამით არის გვარი კარგი!..

მე, რა თქმა უნდა, რუსთველიანაში ჩემი თავი მეოთხედი კაპიკის საღირალ დილეტანტადაც არ მიმაჩნია და, აბა, როგორ შევბედავ ჩვენს სათაყვანო აკაკი შანიძის აზრს თუნდ პატარა-პატარა, ზღვის ტალღებით გაბანილი, სუფთა-სუფთა, თეთრზე თეთრი კენჭიც კი ვესროლო, მაგრამ როგორც, ასე თუ ისე, გათვითცნობიერებულ მკითხველს, მაინც მგონია, რომ რუსთველობა არათუ რამეს შემატებს რუსთაველს, — ზიანსაც კი მიაყენებს.

ქართველი ხალხი, სულ ცოტა, ეს ორი საუკუნეა ისე შეეჩვია — რუსთაველიო, ახლა მისი გადაჩვევა სარუსთველოდ ფუჭი შრომა და ფუჭი გარჯა იქნება...

ან კი, ეს ვითომ ასე აუცილებელი და საჭიროა გინდ მეცნიერებისათვის და გინდა ხალხისთვის? თანაც, თუ ამას პრობლემა დაერქმევა, — იგი უკვე აღარც არის მარტო ჩვენი საშინაო საზრუნავი...

რუსთაველის ორჯერ სამსოფლიო იუბილემ, საქართველოს გარეთ „ვეფხისტყაოსნის" მრავალ და მრავალ ენაზე თარგმნა-გამოცემამ საყოველთაოდ აახმიანა და დააკანონა „რუსთაველი"...

ჰოდა, ისეც დაგვიანებით და ჭირის ოფლის ღვრით ძლივს გავედით მსოფლიო ასპარეზზე, რაც ყველა პატარა ერისათვის ძნელად მისაწვდომი ოცნებაა და... ახლა ყველა ჩვენს უცხოელ მოკეთე-მკითხველებს ვამცნოთ, ბატონებო, თურმე ვცდებოდით, ჩვენი დიდი პოეტის გვარი რუსთაველი კი არა, რუსთვე-

ლი ყოფილა, და თქვენც ყველგან, სადაც რუსთაველი გიწერიათ, რუსთველზე გადაასწორეთ-თქო?!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): ამის ირგვლივ უფრო დაწვრილებით იხილეთ ჩემი წერილი „რუსთაველი", რომელიც, ავტორის ხანგრძლივი წვალების შემდეგ, როგორც იქნა დაბეჭდა ვახტანგ ჭელიძის „ლიტერატურულმა საქართველომ" (8 მარტი, 1984 წ.).

ორიოდე წლის წინათ ჩვენს პრესაში ერთი დიდად პატივსაცემი, მართლა აკადემიკოსის სტატია დაიბეჭდა, რომელშიც იგი ამტკიცებდა, მე-14 საუკუნეში მცხოვრები მხატვარი დამიანე... დამიანე კი არა, — გერასიმე იყოო, და მოითხოვდა სიმართლის აღდგენას გერასიმეს სასარგებლოდ და დასადგენად.

მე მგონია, თუნდაც ასეც იყოს, მაინც აღარ ღირს, აქამდე რასაც დამიანეს ვაწერდით, ასეული წლების გასვლის შემდეგ, გერასიმეს მივაწეროთ, და არც სადისერტაციო თემის მაძიებელ პირს უნდა ჩავაგონოთ, რომ დამიანეს გაგერასიმება მის გაკანდიდატებას უმალვე გვირგვინს დაადგამს.

მთავარი ის კი არ არის, დამიანე გერასიმე იყო თუ ნიკიფორე, მთავარი და არსებითი ის არის, რომ დამიანე ქართველი იყო, თანაც „ისეთი" ქართველი, რომ ახლა ამის გამო — ჩვენს გახარებას! — სომხებიც არ გვედავებიან.

გვარებთან დაკავშირებით აქვე გაკვრით იმასაც შევნიშნავდი, რომ ქართული გვარები, რომლებიც მთავრდება „ია"-ზე, როგორც, მაგალითად, გვარამია, ჭანტურია, სალია, კვარაცხელია და მრავალი სხვა ამისთანანი, რ უ ს უ ლ ა დ ისე არ უნდა იწერებოდეს, როგორც ახლა იწერება (და იბეჭდება): Гварамия, Чантурия... არამედ Гварамиа, Чантуриа...

ასეც წერდნენ კიდეც თავიანთ გვარებს ლინგვისტიკასა და რუსულ-ქართულ ორთოგრაფიაში ისეთი გაწაფული მეცნიერები, როგორიც იყვნენ ვარლამ Топуриа, სიმონ Джанашиа.

ეს სულაც არ იქნება მიბაძვა თუ თარგის გადმოღება მეგრული გვარის მქონე გააფხაზებული ქართველებისგან, რომლებიც ამ სფეროში ჩვენზე მეტ მიხვედრილობას იჩენენ.

. . .

თემქის დასახლებაში მცხოვრები ერთი, თბილისის უნივერსიტეტდამთავრებულის და, მაშასადამე, პლიუს საშუალო განათლების მქონე პირის, პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატის დირექტორისადმი მიცემული

„განცხადება

მოგახსენებთ, რომ თქვენი ტერიტორიის ზედა განაპირა მხარეს მქონდა მიწის ნაკვეთი შემოკავებული 12 წელია, რომელიც მოყვა თქვენი ტერიტორიაზე. დაახლოებით 200 კ. მეტრი. აღნიშნული ტერიტორიაზე გთხოვთ შემინარჩუნოთ ოჯახის საჭიროებისათვის ხილი და ხეივანი. გაძლევთ პირობას ჩემი ხელით დავამუშავებ მიწის ნაკვეთს მოვიყვან სხვადასხვა სახეს ბოსტნეული ყოველწლიურად ჩავაბარებ თქვენი ორგანიზაციას კვების ბლოკს საერთო წესით. საჭიროა წყალი და ცოტანაკელი თქვენი დახმარება.

განცხ: (ხელმოწერა)“

იმედი მაქვს, მენდობით: აზრის გამომხატველი ყველა ატრიბუტი, ბრუნვა თუ სასვენი ნიშანი (თუ მისი უნიშნობა) ყველაფერი-ყველაფერი „განცხ“-ადებლისა აბსოლუტურად ზუსტად გადმოვიწერე, რათა თქვენ, ჩემი არ იყოს, დაგბადებოდათ უუბრალოესი კითხვა:

ამის და სხვა მისებრ ათი ათასების გონება წლითიწლობით განათლებით (???) რომ არ დაებნელებინათ და დროულად აღმოეჩინათ მათთვის „წყალი და ცოტანაკელი თქვენი დახმარება“, მიწა საშრომლად და სოფელი საცხოვრებლად, აბა, რა საპრესტიჟოაო, — არ ჩაეგონებინათ და ქალაქად არ ჩამოერეკათ, განა ქვეყანა ახლა სურსათის სიუხვეზე იოცნებებდა და განა საჭირო იქნებოდა აგიტაცია-მოწოდება

„ყოველ ეზო-კარს, ყოველ კომლს — საკუთარი
სასურსათო პროგრამა“?!

წავლენ თუ არა ახლა ისინი „უკან“, ეს ჯერ კიდევ ამ ოთხასი წლის წინათ განჭვრიტა შექსპირმა:

> დამტკბარ წუმპეზე ვინც გაცვალა მიწის სურნელი,
> ის უძვირფასეს ატლასებსაც დაფლეთს ძაძებად.

დიახ, ეს მხოლოდ კონსტანტინე ლორთქიფანიძის აჩქარებული დასკვნით... „მთას დაუბრუნდა მთიელი!“

არადა... უგლეხ-უსოფლოდ არ არის პური, უგლეხ-უსოფლოდ არ არის ხორცი, არ არის რძე, არ არის კვერცხი...

„საქართველოს დაღუპავს ცრუგანათლება“, — ეს სიტყვები დიდი გულისწუხილით ამოთქვა ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა, მართლა სწავლულმა და მართლაც პატრიოტმა ლეონიდე კამარელმა ამ ოცდაათი წლის წინათ...

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (ივლისი, 1990 წელი): ამ „განცხადების“ დაწერიდან თითქმის ათი წლის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე აღმაფრენის გამომხატველი შეძახილ-სათაური:

„გადავაქციოთ ქუთაისი საუნივერსიტეტო ქალაქად!“

ცოტა მოგვიანებით სხვა გაზეთში კი — უფრო აკადემიურად წარმონათქვამი:

> „...ამ და სხვა სახის პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ ა დ გ ა დ ა კ ე თ ე ბ ი თ“.

(ხაზგასმა ავტორისაა, ერთმანეთზე მიყოლებული ეს ორივე „სახელმწიფოც“ მისივეა...

დასტურ, საბჭოთა სახელმწიფოში არა მარტო უნივერსიტეტს, — ყველაფერს, გარდა ოჯახისა, ეკლესიისა, სასაფლაოსი, ნეტავ რატომ უსწრებს ხოლმე წინ „სახელმწიფო“... როგორ, ჩვენს ქვეყანაში კ ე რ ძ ო უნივერსიტეტებიც არსებობენ?)...

დიახ, გადავაქციოთ... გადავაკეთოთო...

ჯერ ის ერთი, სატახტო უნივერსიტეტიც კი ვერ დაგვიმსგავსებია, თუნდაც მიახლოებით, ნამდვილ უ...უნი...

(ო-ო, მყავდეს ცხენი, თუნდაც შეუკაზმავი, მაშინ ამ ფრაზას მიკიბულ-მოკიბულად მაინც დავამთავრებდი და კედელზე მიჭყლეტისა არ შემეშინდებოდა „სწავლას მოწყურებული", ჩვენი „შეშანიშნავი" ახალგაზრდების მხრივ, რომლებიც თავიანთი პაპიკო-დედიკო-ბაბუკა-ბებიკოების სარდლობით მეცნიერების ტაძრის აღებას (თუ დანგრევას?) ქვების ბათქაბუთქით რომ ცდილობენ...).

ჩვენ — ვინ არ იცის! — სამღებრო სარბიელზე რა დიდებული ოსტატებიც ვართ! აი, მაგალითად, ჯერ იყო და, უსახური „პლეხანოვი" ფუნჯის ერთი მოსმით „გავააღმაშენებლეთ", ამას წინათ კი ამ სიგლახეს უარესი სიგლახე მივუმატეთ: ათასი რჯულის, ჯოლოომოლოო მობაზრეებით მუდამ სავსე უგვანო, მუდამ ნაგვიანი ჯერ სადგურის და მერე ჩელიუსკინის ქუჩა თ ა მ ა რ მ ე ფ ი ს გ ა მ ზ ი რ ა დ გადავღებეთ, თითქოსდა ამით დიდი თამარი ერთიორად გადიდდება, ამაღლდება ჩვენს, ვაი, რომ მართლაც „დასაფსებ" თვალებში, ქუჩა პროსპექტისგან რომ ვერ გაურჩევია...

პოეტი, რომელიც აგერ ახლა ტელევიზიაში „გამოუშვეს", არ ეკუთვნის იმ ნაკადს, რომელმაც მწერალთა კავშირის მდინარე, თავისი წევრობით, კიდევ უფრო წყალუხვი გახადა. იგი, ამ მხრივ, საკმაოდ სტაჟიანია და, თუ ცოდვას არ დავიდებთ, ამავე დროს ნამდვილი პოეტიც არის და, შეიძლება, ასე კატეგორიულად და უაპელაციოდ ამიტომაც გაგვაცნო თავისი კრედო-მრწამსი: „მე პატივს ვცემ იმ ადამიანს, რომელიც რასაც ფიქრობს, იმას ლაპარაკობს".

ჩვენი დროისათვის ამ გაუგონარი ვაქკაცური, შესავალი ალსარების შემდეგ საკუთარი პოეზიის მარგალიტები საახალწლო თოვლის ფანტელებივით გადმოგვაყარა, რომელთაგანაც მე პირადად გონებაში უფრო ეს ორი სტრიქონი ჩამებეჭდა, რამეთუ ისინი ჩვენს სადღეისო სადარდებელს უშუალოდ ეხმიანებიან:

მე ისიც მყოფნის ჰაერს რომ ვსუნთქავ,
მე ისიც მყოფნის მზეს რომ ვუყურებ!

ღ, ნეტავი ჩვენც ასე, ჩვენც, ჩვენც!..

ნეტამც ასე უმტკივნეულოდ, ასე ბარის დაურტყმელად, თოხის მოუქნევლად გადაგვაჭრევინა ჩვენი კერძო, ინდივიდუალური სასურსათო პროგრამა!

თუმცა ვიღაც-ვიღაცეები იმასაც ამბობენ, რომ ამ მგოსანმა მშვენივრად იცის, არც მზე ჩაქრება და არც ჰაერი გამოიღევა, — ყოველ შემთხვევაში მისი სიცოცხლის მანძილზე, — და მაინც, ერთი დიდი თანამდებობის პირს კაბინეტისა და ბინის ტელეფონი იმდენჯერ აუწკრიალა, სმენა დაუქვეითა, და ბოლოს ამანაც ამჯობინა დაღლილი ხელი ჩაექნია და გაეცა განკარგულება, რათა მისი პოეზია ორმაგი ტირაჟით გამოეცათ.

და გამოსცეს კიდეც!

...და პირველ რიგში, და ეს, ცხადია, არც საკვირველია, — თანახმად მისივე მრწამსისა, აკი რასაც ფიქრობს, იმასვე წერს და ლაპარაკობს თურმე, — მადლიერმა ავტორმა წიგნი თავის დიდ მოამაგეს სულ რჩეულ-რჩეული საქები სიტყვებით შეკონილი მიუძღვნა, ოღონდ... ჰმ... ცოტა უცნაურად ის გვეჩვენება, რომ თითქმის ზუსტად ასეთივე ეპითეტებით და „მართლა პატივისცემით“ ბევრი სხვა „სახელოვანი მამულიშვილი“ და „საქვეყნო საქმისათვის თავდადებულიც“ შეამკო და მათ შორის მისი სახლის მახლობლად მდებარე გასტრონომიული მაღაზიის გამგე და იმ სექციის გამყიდველიც, სადაც, მართალია, არცთუ ისე ხშირად, როგორც ახალი მთვარე, მაგრამ დროდადრო მაინც გამოჩნდება ხოლმე თუ ძეხვეული, თუ ხორცეული, თუ ფერმის რახიტიანი ქათამი, დიდ სადღესასწაულო უქმე დღეებში — ბულგარული ბრინზაც კი!..

ჰოდა, რაკი ჩვენი მუტრიბ-ჩანგოსნისათვის ჩვეულებრივი ამბავი ყოფილა ილაპარაკოს ის, რასაც ფიქრობს, ცხადია, წერითაც წერს იმას, რასაც გულში გაივლებს, ამიტომ:..

„საბჭოთა ვაჭრობის უანგარო მუშაკს, სპეტაკ და
ნამდვილ ადამიანს“...

ო-ო, ამ ნამდვილი ადამიანების მიმართ ქება-დიდების დიაპაზონს, მე მგონია, კიდევ უფრო გააფართოებდა, თავისი პოეტური თხზულების გამოსვლამდე რომ წაეკითხა ერთი უმაღლესი სასწავლებლის ესთეტიკის კათედრის დოცენტის წერილში — „როგორი უნდა იყოს გამყიდველი?" — შემდეგი რამ: გამყიდველს მოეთხოვებაო

„თავაზიანობა, ტაქტი, ინიციატივა, ხასიათის სიმტკიცე, ენთუზიაზმი, საქმიანი ეთიკა, სიმარდე, იუმორის გრძნობა, სასიამოვნო გარეგნობა, საღი მსჯელობა, გულწრფელობა, ფიზიკური გამძლეობა".

(გაზეთი „თბილისი", 21 მაისი, 1982 წ.)

დიახ, როგორც ხედავთ, კარგი გამყიდველის სახელი რომ დაიგდო, ამისათვის საჭიროა, თურმე, თავაზიანობა (ალბათ, სულ ცოტა, პროფესორ-აკადემიკოს ვახტანგ ბერიძისა), ტაქტი (ამისივე), ინიციატივა (სტალინისა), ხასიათის სიმტკიცე (ამისივე), ენთუზიაზმი (პირველი ხუთწლედების შრომის გმირებისა), საქმიანი ეთიკა (თვით ამ წერილის ავტორისა), სიმარდე (ფეხბურთელი მესხისა, — თუ მამის არა, შვილის მაინც), იუმორის გრძნობა (მარკ ტვენისა), სასიამოვნო გარეგნობა (თუ ქალია — მედეა ჯაფარიძისა, თუ კაცია — ჯორჯ გორდონ ბაირონისა), საღი მსჯელობა (იმანუილ კანტისა), ფიზიკური გამძლეობა (ჭიდაობაში ხუთმეტგზის მსოფლიო ჩემპიონ არსენ მეკოკიშვილ პლიუს ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონ ლევან თედიაშვილისა, — სხვათა შორის, ორივე საგარეჯოელისა!), გულწრფელობა (აი იმ ფილოსოფოს დიოგენისა, ბოჭკაში რომ ცხოვრობდა და ალექსანდრე მაკედონელის კითხვაზე, რას ისურვებ, ყველაფერს გიბოძებ, რასაც კი მთხოვო... ჰოდა, ის კი არ სთხოვა, მსგავსად ჩვენი დროის ისეც დიდბინიან მარქსისტ ფილოსოფოსებისა, შენი ცხენი ბუცეფალი რო გაჭენდება, იმოდენა ბინა გამომიყავი ვაკეშიო, — გვერდით მიდექ, მზეს ნუ მიჩრდილავო...).

ალბათ შენიშნავდით, სევდით შეპყრობილო ჩემო მკითხველო, პატივცემულ დოცენტს ამ ჩინებული ღირსებათა ჩამოთვლისას ორი რამ გამორჩა:

პირველი: რა განათლება უნდა ჰქონდეს გამყიდველს, დაბალი, საშუალო თუ უმაღლესი? ვფიქრობ, დამეთანხმებით: ასე ყოველმხრივ იდეალურად შემკული ადამიანი, ცხადია, თავს მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესით დაიმშვენებს, ოღონდ საწუხარი ის არის, რომ ამ უმნიშვნელო, მცირეხელფასიან თანამდებობაზე იკრძალება, წესით, უმაღლესდიპლომიანთა მიღება (სახელმწიფომ თქვენს სწავლა-განათლებაზე დიდი ფული დახარჯაო), თუმცა, ესეც არის, ყველა მათგანი მაინც ახერხებს სულ იოლად გაარღვიოს არა იმდენად კაპრონის ეს სავაჭრო ქსელი და მტკიცედ დამკვიდრდეს მცირე ხელფასიან, მაგრამ მაინც სანატრელ პოსტზე, მით უმეტეს, რომ მერე და მერე, მათთან ურთიერთობაში, თუნდაც წლების მანძილზე, არავის, ა რ ა ვ ი ს ეჰვიც არ აღეძვრება ხოლმე მათი განათლების უდაბლესობაში...

მეორე: გამორჩა აგრეთვე პატიოსნებაც...

ეს კი შენთვის, ძვირფასო მკითხველო, — მკითხველზე უფრო მყიდველი რომ ბრძანდები, — ვიცი, არცთუ ისე პატარა ამბავია, გულცივად გვერდი აუარო, თუმცა შენ არც მოითხოვ... აი, ნოქარს რომ აღარ ვეძახით, რაკი ყველა მათგანი ათი-თერთმეტი წელიწადი თუ სკოლაში, თუ ხუთი წელიწადი უმაღლესში ი რ ი ც ხ ე ბ ო დ ა და ამიტომ ნიშნად მოწიწებაპატივისცემისა, — გამყიდველიო (რა თქმა უნდა, არა კაცობის გამყიდველი, არა სინდისის გამყიდველი)...

დიახ, შენ არ მოითხოვ ამათგან არც სასიამოვნო გარეგნობას და არც საღი მსჯელობის უნარს, იუმორის გრძნობას — ხომ არა და არა, აკი ამის დამწერისა და დამბეჭდავის იუმორიც ჩვენ ყველას, ო, ალბათ, მსყიდველობითი უნარიანობის ბოლო დღემდეც ისე გაგვყვება, რომ თავზეც გადაგვივა...

ჰოდა, ახლა მათ ჩვენი ასე დიდად გამხიარულებისათვის (სიცილი სკლეროზს გულს უპობს თურმე!), მადლიერების ნიშნად, მათივე ბრძნული აზრების კიდევ უფრო განსამტკიცებლად, ერთ მნიშვნელოვან ციტატას შევთავაზებ და წყაროსაც მიეუთითებ, რამეთუ, ვაითუ, ამის მიუთითებლობა ჩემი კალმის წვერს ცილისწამებაში, ლაყაფსა და ჩმახში ჩაეთვალოს:

„იყო ადამიანი — ბევრს ნიშნავს, მაგრამ იყო
დახლის მუშაკი — ეს უფრო მეტს ნიშნავს“.
(ქალაქ თბილისის კალინინის რაიონის კომკავში-
რული კონფერენციისადმი მიძღვნილი ბუკლეტი.
1977 წ.).

დიახ, საწყალი ლევ ტოლსტოი, უბედური ილია ჭავჭავაძე, ბედკრული იაკობ გოგებაშვილი...

ისინი არ იყვნენ დახლის მუშაკები და, მაშასადამე, ადამიანობით ჩვენი დროის დახლის მუშაკებამდე, ცხადია, ვერც ამაღლდებოდნენ...

მინდა ერთი საგულისხმო ამბავი გიამბოთ ჩვენი გუშინდელი ისტორიიდან, რომლის მწვავე აქტუალურობა ამ თითქმის უკვე ნახევარი საუკუნის მანძილზე არათუ არ შენელებულა, — უფრო შემაშფოთებელი ფორმითაც კი შეიმოსა...

ომი უკვე მოთავებული იყო და ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი დროისათვის მიჩნეული ნორმალური, ადამიანური ცხოვრება თითქოს დგებოდა კიდეც ჩვეულ კალაპოტში, მაგრამ დროდადრო, კანტიკუნტად, თბილისელებს მშვიდობას და ძილს უფრთხობდნენ ქურდები, მხოლოდ ღამის ქურდები, — იმ წლებში გაქურდვას დღისით, აბა, რომელი თავზე ხელაღებული გაბედავდა (ახლახან კი რუსთავში ერთ სახლში ერთდროულად ხუთი ბინა გატეხეს); დღის სინათლით მხოლოდ წვრილფეხა ჯიბგირები სარგებლობდნენ, ყაჩაღობა-ბანდიტობა კი იშვიათობა გახლდათ.

...და მაინც, მოსახლეობა ერთსაც რომ არ გაემწარებინა, თბილის-ქალაქის მილიციის უფროსმა გრიგოლ ჭელიძემ გადაუდებელ მიზნად დაისახა რამენაირად შეეღწია ქურდების „პოლიტბიუროში“ და... შეაღწია კიდეც და თავის ხელით გააგორა მათი ბელადი ნალბო, წრიპა, კაფანდარა ნალბო, რომელსაც, მიუხედავად სუსტი აღნაგობისა, თავის წრეში, ქურდული გაგებით, ბევრი სასახელო ოპერაციის ჩატარების წყალობით, ხელთ უსაზღვრო ავტორიტეტის კვერთხი ეპყრა.

გრიგოლ ჭელიძე კარგი ქართველი ვაჟკაცი იყო, და მაინც, არა მგონია, მისებრ ვაჟკაცი დღევანდელ ჩვენს მილიციაში ახლაც არ მოინახებოდეს, მაგრამ საქმე ის არის, რომ არავის ასეთი „თვითნებობისთვის“ გრიგოლ ჭელიძე არ დაუსჯია და არც იმისთვის, რომ მისი განკარგულებით, მოკლული სამი დღე და ღამე ეგდო ბებელის მოედანზე ყველას სახილველად, პირველ ყოვლისა კი, ცხადია, მისი „კოლეგების“ თვალსაჩინოებისათვის, რამაც ის შედეგი გამოიღო, რომ იმ დღიდან ქალაქში მკვეთრად იკლო „დაობლებულთა“ თარეშმა...

დიახ, ჰუმანიზმის დროშას მაშინაც ისე აფრიალებდნენ, როგორც ახლა, მაგრამ მაშინდელი ჰუმანიზმი მეტწილად საზოგადოების ამწიოკებელთა სასარგებლოდ როდი მოქმედებდა, თუმცა ესეც არის, იმდროინდელი სტალინური საზოგადოება, მართლმსაჯულების ორგანოების ჩათვლით, დიდად განსხვავდება დღევანდელისაგან: მრუდე, საძრახისი გზით ფულდამგროვებელნი იმხანად, სიმცირის გამო, იოლად დაითვლებოდნენ, თანაც ისინი თხუნელასავით მიწაში იყვნენ შემძვრალნი, ახლა კი მათ სათვალავიც არა აქვთ, თავსაც კი იწონებენ და სულაც არ ერიდებათ, ფულით სავსე ქისა კოჭებში თოფივით გესროლოს და გაგაგოროს...

დიახ, მასობრივი ძარცვა-გლეჯა მხოლოდ საზოგადოების ნაძირალებმა როდი გაიხადეს იოლ ხელობად, და მათ ასე მომრავლებას, რასაკვირველია, ხელი იმანაც შეუწყო, რომ ფარული, შენიღბული, „პატიოსანი“ ძარცვა-გლეჯა საზოგადოების მრავალ „ზედაპირელთა“, „რჩეულთა“ საქმიანობის საგნად იქცა; არსებითი განსხვავება კი მათ შორის შეიძლება მხოლოდ ის არის, რომ ეს უკანასკნელნი გაძარცულთა სიცოცხლეს იშვიათად თუ ხელყოფენ, პირველნი კი ასეთ იშვიათობას მაინცდამაინც დიდ ანგარიშს არ უწევენ.

ჩემს თაობას ახსოვს სტალინის 1932 წლის 7 აგვისტოს კანონი, რომლის ძალით 10 ათასი მანეთის სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის დახვრეტას უსჯიდნენ (დღევანდელი კურსით — ათასი მანეთისათვის!), ახლა კი... აგერ კაცმა 218 ათასი „გაიმასქნა“ (ძველი კურსით ორი მილიონ 180 ათასი მანეთი!), და ამასთან ერთად სრულიად უდანაშაულო, წესიერი ადამიანის სიცოცხლეც შეიწირა — ფულით გალაღებულ-გათამა-

შებულმა, ჩვენი დროის ამ კომუნისტმა ტარიელ მკლავაძემ მას ერთი ისეთი შემოჰკრა — თავით ბეტონის კედელს მიანარცხა და... საწყალმა კაცმა ჩვენი და თავისი მკვლელის ჭირიც წაიღო, ხალხისა და ქვეყნის ხარჯზე ამ გამილიონერებულ, „უცაბედ მკვლელს“ კი საბჭოთა ჰუმანურმა (!) სამსჯავრომ საბჭოთა ჰაერის სუნთქვის შესაძლებლობა მაინც შეუნარჩუნა...

ჰოდა, ჩვენ კიდევ გვიკვირს, რა სენი და რა ეშმაკი შეგვიჯდა ასეთი, რა ხდება ეს, რით აიხსნება ეგრეთ წოდებულ განვითარებული სოციალიზმის საქართველოში ამდენი მკვლელობა? თანაც, მეტწილად წინასწარ გააზრებული, ადრიანად მოფიქრებული, ზოგჯერ დაქირავებული მკვლელების „ხელის გასერითაც“... რეოლუციამდელ, ჩამორჩენილ, თითქმის გაუნათლებელ საქართველოში კი, როგორც გადმოგვცემენ, კაცის კვლა ძვირად თუ მოხდებოდა...

მართალი გითხრათ, რატომ იყო ასე ადრიან საქართველოში — არ ვიცი, რატომ არის ასე დღევანდელ საქართველოში, ეს კი ვიცი: მკვლელმა იცის, და ამაში მას ეშვიც არ ეპარება, — მოკლავს და თვითონ ცოცხალი დარჩება... შეიძლება მიუსაჯონ რვა, ათი, უკედურეს შემთხვევაში — თუ ეს ახლა ჩვეულებრივად ქცეული ამბავი საქვეყნოდ ძალიან გახმაურდა, — ცამეტი-თხუთმეტი წელიწადი, რომლის, ესე იგი სასჯელის, სრულად მომხდელიც ჯერ არავის უნახავს...

აი, საშიში მაშინ არის, თუ ორ კაცს, ანდა მეტს, ყელს ღორივით გამოღადრავს და მერე მათ სიამით და ნეტარებით ასო-ასო აკეპ-აკუწავს...

განა საამისოდ ცოტა მაგალითის მოყვანა შეგვიძლია ჩვენი, მხოლოდ ქართული... ალალ-მართალი... სასამართლოს პრაქტიკიდან?!

...ერთმა თეთრმეტშვილიანმა და მეთორმეტეზე ორსულმა ქალმა მესტიიდან ტელეფონით შემარცხვინა, რანაირი მამულიშვილი ბრძანდებით, სვანეთი არ გინახავთ, რა იქნება, გვესტუმრეთ ჩვენს ახალ სახლში, რომლის საძირკველი თვითონ თქვენ ჩადგითო...

არა, ადრეც, ვიდრე ეს მადლიანი ქალი სირცხვილში ჩამაგდებდა, ვაპირებდი სვანეთის მოვლა-მონახულებას, მაგრამ გუ-

ლით ავადმყოფს სიმაღლის შიში მბორკავდა, ახლა კი... გავიფიქრე, თუ ამით დამტკიცდება ჩემი სიყვარული და თავდადება საქართველოს მთა და ბარისადმი, და ეს მთა თუნდაც ცისკიდურზე იყოს გამოკიდებული და იგი თუნდაც კუბოდ მექცეს...

...ჰოდა, იქ, ცათა სწორი სვანეთის ერთი მკვიდრი, ჭკვიანი და ნამდვილად განათლებული (უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტმართლადამთავრებული) და, ასე განსაჯეთ, ხელმძღვანელ ამხანაგებში რომ ითვლება, გამომიტყდა: სვანეთში სისხლის აღება კი აღმოვფხვერით, მაგრამ... მას, ერთგვარი დადებითი მხარეც ჰქონდა: მკვლელმა რაკი იცოდა, რომ ნათესავები მოკლულის სისხლს არ შეარჩენდნენ, მოკვლასაც ერიდებოდაო...

არა, ეს არ უთქვამს, მაგრამ, ვფიქრობ, იგულისხმა: სისხლის აღების წესის დროს ამდენი მკვლელობა ვის გაეგონა, სად იყო...

სხვათა შორის, სისხლის აღება პირველად სვანებს არ შემოუღიათ, და არც კორსიკელებს თავიანთი ვენდეტათი; მას ძველი ებრაელები მიმართავდნენ ჯერ კიდევ როდის...

ამბობენ, თათარს უთქვამსო: ქართველებს რომ ერთმანეთი უყვარდეთ, მთელ ქვეყნიერებას დაიპყრობდნენო.

„შავი წიგნი", როგორც ბევრი ირწმუნება, რაკი ხელიდან ხელში გადადის, თანაც ისეთ პირთა ხელში, რომლებსაც არათუ პირადად ვიცნობ, — ქუჩაში მათთვის, შეიძლება, გვერდიც არ ამივლია, ამიტომაც, ბუნებრივია, არ შემეძლო დამედგინა იმ მკითხველის ვინაობა, რომელმაც ჩემს წიგნში მოყვანილ ერთ ციტატაში — «Чай требует колониального труда», колониальный колоссальный-ზე გადამისწორა.

არა მგონია, იგი ჩაის მოყვანისა და მისი დამუშავების სპეციალისტი ბრძანდებოდეს; უფრო, ალბათ, ის გაიფიქრა, რომ ეს მემანქანის შეცდომაა, რომელიც შემდეგ ავტორსაც გაეპარა, ამიტომაც დამდო პატივი და...

ჰო, მაგრამ... ეს არც მემანქანის შეცდომაა და არც ავტო-

რის უგულისყურობის შედეგია, ასეა ორიგინალში — ნიკოლოზ, მეორის, დღევანდელი ენით თუ ვიტყვით, რეზოლუციაში...

1968 წელს ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტმა ხანგრძლივი დაკვირვებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების მერმე, ზემდგომ ორგანოებში დასაბუთებული მოხსენებითი ბარათი წარადგინა იმის თაობაზე, თუ რა მავნე ფიზოლოგიურ გავლენას ახდენს ქალის ორგანიზმზე ჩაის... არა, სმა კი არა — კრეფა, კრეფა...

მაგრამ ეს ბარათი, როგორც ჩანს, ისეთ საიმედო უჯრაში ჩაკეტეს, რომლის ერთადერთი გასაღები ხუთი ციფრითაა გასაიდუმლოებული, რომელთაგანაც ხუთი კი არა, — ერთიც თუ დაგავიწყდა, მერე მისი გაღების იმედი ნულარც გექნება, — მაგიდა ნაწილებად უნდა დაიშალოს, — ამის მოთავე კი აქამდე არავინ გამოჩნდა, და ეს თითქოს არც უნდა გვიკვირდეს: სახელმწიფო ქონებას ბარბაროსულად ხომ არ მოეპყრობიან...

შარშან ერთი თმაჭაღარა გურული ქალი, რომელსაც ჟორდანიას ინსტიტუტში არც ოდესმე უმუშავია და, საერთოდ, ბუღალტერიის გარდა, არავითარ სხვა მეცნიერებას არ იცნობს, და რომელსაც გურიაში, შავთმიანობა რომ გაუფრინდა, მის მერე ფეხი აღარც დაუდგამს, ახლა კი იქ, რაკი მოამაგე ახლობლის სატირალში წაუსვლელობა დიდ უმადურებად ჩაეთვლებოდა...

...და როცა თბილისში დაბრუნდა, მის მოთქმით გაოცებას, მეზობლებში თუ სამსახურში, ბოლო არ უჩანდა:

— ნენა, ნენა, ამდენი ჯღარკი ქალი მარტო ერთ გასვენებაში, ერთ სოფელში რა ჩემმა თვალმა ნახა!.. ნუთუ გურიის ბუნებამ შეჰქმნა ისინი, ნენა!..

მე იმ „ჯღარკი" სოფლის სახელი კარგადაც დავიხსომე, მაგრამ რა პირით დავასახელო, რა ხელით გავუკაწრო გული იმათ, ვინც იქ „მწვანე ოქროს" კრეფს...

საქართველოს ტერიტორია 70 ათას კვადრატულ კილომეტრს მოიცავს, ინდოეთისა — 3 მილიონ 300 ათას...

საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონია, ინდოეთისა — 610 მილიონი...

საქართველოში ჩაი იკრიფება მაისიდან ოქტომბრამდე; იკრიფება ყოველგვარ ამინდში — თავსხმა წვიმაში და პაპა-

ნაქება სიცხეშიც, ინდოეთში კი მთელი წლის განმავლობაში საამისოდ იდეალური კლიმატური პირობებია...

...და მაინც, ჩვენ, ჭიანჭველა საქართველოს, იმდენი ტონა ჩაი გვევალება მოვიყვანოთ, რამდენიც მოჰყავს სპილო ინდოეთს... მერედა, შეიძლება განა, ხარისა და ხარაბუზას ერთ უღელში შებმა იმ ვარაუდით, რომ ჭაპანს თანაბრად გასწევენ?!

ესეც არის... რატომ ვივალებთ ჩვენი ერთი პატარა ნაკვერცხლით მთელი საბჭოთა ქვეყნის უზარმაზარი სამოვრის ადუღებას?

ჰოდა, ახლა კი თავადვე განსაჯეთ, რამდენად სწორი იყო ის უცნობი მკითხველი, რომელმაც, არსებითად, მე კი არა, — მძიმე, „კოლონიური შრომაააო“, ამის პირველ მთქმელს ნიკოლოზ მეორეს შეუსწორა... ამბობენ, კაი კაცი კი არ იყო ნიკოლოზიო, მაგრამ, რაც უნდა იყოს, მაინც მეფე იყო, იმპერატორი და... ამანაც კი არ გაგვიმეტა და შეგვიცოდა... ახლა კი, ამ ძმობის ხანაში ჩვენი შემცოდებელი ჯერ არავინ ჩანს... გამოჩნდება კი?! ან ვახსოვართ ვისმე?!

„ნენა, ნენა, ამდენი ჯღარკი ქალი გურიაში...“

ეს ერის ტრაგედიაა, რომ „მწვანე ოქრო“ უკვე გურიასაც გადმოსცდა და ახლა ლამის სავენახე ზესტაფონს შეაღწიოს...

ღმერთო!

დაიფარე სვანეთი მაინც, ამ მწვანე ოქროსაგან და ყველა სხვა ფერის ოქროსგანაც!

მუხლმოდრეკილი გეევედრები, მამაზეციერო, ნუ აღმოაჩენ ჩვენში, — ნურც მთაში, ნურც ბარში, — ნურავითარ წიაღისეულს და ნურავითარ ზედაპირისეულს, რამეთუ ზომიერებას მათს მოპოვებაში ჩვენ მაინც ვერ დავიცავთ, ყოველგვარი ნამეტანობა კი, ჭამაში იქნება იგი თუ ქანცგამწყვეტ შრომაში, ჯღარკავს ადამიანს ფიზიკურად და აუკუღმართებს სულიერად...

რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობაზე, რომელიც 1923 წლის აპრილში შედგა, ერთმა იმ დროს დიდად ცნობილმა ბოლშევიკმა თქვა:

«Мы должны создать такое дешевое государство, чтобы ни один крестьянин не упрекнул нас, что вы содержите хоть одного бездельника».

მე არ ვასახელებ ამ ორატორის გვარს, რაკი არ ვიცი, რეაბილიტირებულია თუ არა იგი... და თუნდაც არც იყოს, მისი ეს აზრი არსებითად ლენინის შემდეგი გამონათქვამიდან მომდინარეობს:

«Мы должны свести наш госаппарат до максимальной экономии. Мы должны изгнать из него все следы излишеств».

ჩვენ კანონითაც კი ვებრძვით მუქთახორობას, მუქთახორებად კი მივიჩნევთ იმათ, ვინც არ მუშაობს, მაგრამ აქეთ-იქით თუ მივიხედ-მოვიხედავთ, თუნდ ზერელედ დავაკვირდებით, აღმოჩნდება, რომ ბევრზე ბევრ არაფრისმკეთებელსაც ვინახავთ თურმე.

ამაში ბრალი მათ არც მიუძღვით; ეს კია, როცა კაცი ფასანაზღაურებულ მცონარეობას შეეჩვევა, იგი მერე და მერე, საერთოდ, შრომის ხალისსაც კარგავს.

დასავლეთში, როგორც ამბობენ, მილიონობით უმუშევარია, ოღონდ არ გვეუბნებიან იმას, რომ ისინი ხელების გაუნძრეველად, უქმად ყოფნას მძიმედ განიცდიან, თორემ ისე... რაკი ბევრი ჩვენგანი ყოფილა იმ ქვეყნებში, მოდით და ნუ ვიტყვით, კაპიტალიზმის ეს ნაბიჭვრები უკან შარვალგამოხეულები დაიარებიან და შიმშილით კუჭი უხმებათო.

დღევანდელ ამერიკაში, როგორც ჩვენი პრესა ნიადაგ გვაუწყებს, მილიონობით ღარიბ-ღატაკია; ეს იმას მოწმობს, რომ იქ ამ ბოლო ნახევარ საუკუნეში ხალხის კეთილდღეობა სულ უკან და უკან წასულა; ოციან წლებში კი, ჩემი ყმაწვილობისას, როცა ჩვენს ქვეყნებს შორის დიპლომატიური ურთიერთობა ჯერ კიდევ აღდგენილი არ იყო, ამერიკა მაინც გვიგზავნიდა — უსასყიდლოდ! — ნახმარი ტანსაცმლით და ფეხსაცმლით სავსე ბარდანებს, რომლებითაც თბილისში სალდათის ბაზარზე სომხები ვაჭრობდნენ. მე უმეტესად იმ ნაცვამ-გამონაცვალში გავიზარდე. მათში ძალიან ხშირად ისეთ რამესაც

წააწყდებოდი, რომელსაც არც ეტყობოდა, რომ მის პატრონს იგი დიდხანს ეცვა... მე, მაგალითად, ასეთ ცინცხალ გოლფ-შარვალში ტოლებში გამოჩენის ისე მერცხვინებოდა, თითქოს ჩემთვის გოგონას კაბა ჩაეცვათ: არ მინდოდა კუჭით პროლეტარი ბიჭუკელა მილიონერის ბიჭუნას დავმსგავსებოდი, ამიტომაც ჩემი დაჟინებული თხოვნით დედაჩემი მას მუხლებთან მანჟეტებს შეაჭრიდა ხოლმე.

სწორედ რომ უცნაურია, კაცმა სიბრძნის ასაკსაც გადავაბიჯე, და მაინც, დღემდე ვერ მომისაზრებია, ამერიკაში, სადაც საბჭოური სტატისტიკით, 35 მილიონი ულუკმაპუროა, 12 მილიონი უმუშევარია, 21 მილიონი უფლებააყრილი ზანგია, მილიონობით წერა-კითხვის უცოდინარია, მოსახლეობაში სრულიად თავისუფლად 22 მილიონი ცეცხლსასროლი იარაღი ტრიალებს და, ფული თუ გაქვს, გინდა ტანკსაც შეიძენ და მოაგორებ შენს ეზოში, — ქონებრივად ასეთ უთანასწორო ქვეყანაში რატომ არ ხდება მაინც რევოლუცია?

პროლეტარული, ოქტომბრისნაირი რევოლუციის ძირითადი მამოძრავებელი დევიზი ხომ ეს არის (მეპატიოს საყველპუროდ ნასწავლს, თუკი მარქს-ლენინ-სტალინის დიდ სოციალურ თეორიებს ჩემი უვიცობით ვაუბრალოებ): შენ, წყეულ ექსპლუატატორს, ყველაფერი გაქვს და მე, საწყალ ექსპლუატირებულს, არაფერი მაქვს, და ეს პირუკუ უნდა შეცვალოს ჩემ მიერ მოხდენილმა რევოლუციამ: მე ყველაფერი მქონდეს და შენ არაფერი გქონდეს!

ალბათ იტყვით, თუ ასეა, დროთა განმავლობაში, დიალექტიკის კანონით, ესეც უნდა შეიცვალოსო...

ჰო, მაგრამ... პროლეტარიატი თუ მოექცევა სახელმწიფოს სათავეში, ასეთი მეტამორფოზა არასოდეს არ მოხდება: ცხონებულ სტალინს ბევრი არც უფიქრია, ისე შეიმუშავა და დაუტოვა მარადჟამს სახელმძღვანელოდ მსოფლიოს ყველა კომუნისტს ისეთი მეთოდი, რომლის წყალობით კონტრრევოლუციონერები თავს ვერც ვერასოდეს წამოყოფენ: სწორედ თავში, თ ა ვ შ ი ისე უნდა ჩასცხო და ჩააფარო მათ, რომ გონიერება მარადის აგონიად ექცეთ!

...დიახ, დასავლეთში ადამიანი უმუშევრობით უფრო მორალურად იტანჯება, აკი შრომა მისთვის არა მარტო ფიზიკუ-

რი მოთხოვნილებაა, — სულიერიც, ამიტომაც ასე თავგამოდებით მიისწრაფვის კიდეც, რომ წადილი გულისა აისრულოს...

ო, ნეტავი ვგავდეთ მათ შრომის სიყვარულით, ანდა ისინი მაინც გვგავდნენ ჩვენ შრომისადმი გულგრილობით, მაშინ თავს მაინც ვიმართლებდით, ეს საერთო, ადამიანური ნიშან-თვისებაა-თქო, ახლა კი...

არა, ყოველთვის ასე როდი იყო საქართველოში! გლეხკაცი, თოკით ხეზე მიბმული, ბრეკ-ფერდობზე რომ არ დაგორებულიყო, ქვიშნარს თოხს უბაგუნებდა და უბაგუნებდა, დილაუთენია დგებოდა და დაკოჟრებულ ხელებს გვიან შეღამებულში თუ მოასვენებდა...

არა, ბევრი ახლაც დგება დილაადრიანად, რათა დარწმუნდეს, მისი თბილი, შემოსავლიანი ადგილი ისევ ადგილზეა თუ არა, — ო, რამდენია ჩასაფრებული მის მისატაცებლად!..

სინეკურა, სინეკურა!

(ამ სიტყვის ახსნა იხილეთ მიხეილ ჭაბაშვილის „უცხო სიტყვათა ლექსიკონში").

რა ღირს დაბადება და სიკვდილი თბილისში?

ო-ო, ძალიან ძვირი, ძალიან ძვირი (ისე, როგორც მთელ საქართველოში!).

ერთმა ჩემმა მკითხველმა, ახლებურად მედიცინის დას რომ ეძახიან და წინათ — მოწყალების დას (ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში მოწყალება-შებრალება, აბა, რა სახსენებელ-წასახალისებელია, გასაწყლება-შეუბრალებლობა — კი), ერთ დიდ ცხოვრებისეულ შეცდომაში გამომიჭირა:

— თქვენ რომ წერთ, ბატონო, ერთ ქალზე, სამასი მანეთი დაუჯდა მშობიარობაო, ფასს რატომ დაუკელით? მე შვილი-შვილის დაბადება... ხუთასი მანეთიდან შინ ცხრა მანეთი ძლივს მომყვა... ექიმმა, ჩემი ქალიშვილი მისი მორიგეობის დროს რომ მოლოგინებულიყო და ფული ჩემგან თავად აეღო, და არა მის შემცვლელ ექიმს, მშობიარობის დასაჩქარებლად რაღაც ნემსიც კი გაუკეთა და როგორც ოჩან ცხენს მათრახს რო გადაუჭერენ, სალანძღავი სიტყვებით ისე უყვიროდა, გაიჭიფხე, გაიჭიფხე, შე დეგენერატო...

დიახ!.. ახლად დაბადებული რომ განბანონ, — ფული უნდა მისცე, ძუძუს მისაცემად რომ მოგიყვანონ, ამაშიც ფული უნდა მისცე, თუ ტირილი შემოგესმა და შეწუხდი, სხვისიც რომ ტიროდეს, შენი ღლაპი ტირისო და... აქაც ფული უნდა იძრო...

ამევსო და გადამევსო ერთხელ მოთმინების ფიალა და საქვეყნოდ შევკივლე, ესაა უფასო მკურნალობა?! ესაა თქვენი კონსტიტუცია?! ქვეყანა ავაშენოთო... ქვეყანა კი არ ააშენეთ, — დაანგრიეთ და დააქციეთ და გაათახსირეთ ხალხი...

ეს ხანდაზმული, თითქოს ყაჩაღანა, ქალი, როცა შედარებით დამშვიდდა და გონს მოეგო, ძალზე შეშინებულიყო, ვაითუ, დამიჭირონო...

— ღმერთი, რჯული, სამართალი!.. მე ეს პარტიისა და

მთავრობის მისამართით არ მითქვამს, მე ეს ამ ციგნების გასაგონად წამომცდა...

თან, თურმე, იმის შიშის ზარიც უსერავდა გონებას, ვაი-თუ თეთრ, ქათქათა სამოსელში გახვეულმა ამ რუხმა მგლებმა შვილიშვილი დამიწყეველონო...

დიახ, საქართველოში ექიმობა, ეს უაღრესად კეთილშობილური, ზნეობრივად სპეტაკი პროფესია, თითქმის ყველაზე უფრო წამხდარ ხელობად გადაიქცა.

ასეთი შედარებისა და კატეგორიული განზოგადებისათვის მედიცინის მსახურნი, ეპვი არ არის, უთუოდ შემრისხავენ, მაგრამ...

როცა ოპერაციაში მასწავლებელს მისი ნამოწაფარი ფულს ააღლეტს, — არც ასეთი თქმის მოგერიდება, თუნდაც ასეთები მედიკოსებ-თეთრხალათიანებში ბევრი არც იყოს.

დიახ, როცა ექიმობას არათუ გამდიდრების, — „გადამდიდრების" წყაროდ მიიჩნევენ, მაშინ...

სხვათა შორის, არა ყველა სახის ექიმობას!..

ზესტაფონში ერთმა პატიოსანმა ექიმმა ქალმა (კი, პატიოსნებიც ურევია მათში, ოღონდ... ასში ერთი!) შემომჩივლა, ჩვენ, ხნიერები, უკვე მივდივართ, შემცველელებს კი ვერავის ვხედავთ, — ფთიზიატრებს, რენტგენოლოგებს, თერაპევტებსაც კი... ყველას გული — ჯიბის გზით! — გინეკოლოგობისა და ქირურგობისაკენ მიუწევსო...

მართლაც! ერთმა ჩემმა ნაცნობმა, ახალგაზრდა თერაპევტმა, მანამ არ მოისვენა, სანამ თავისი საექიმო პროფილი გინეკოლოგობაზე არ გადაახურდავა, დედაჩემის დინასტია მინდა გავაგრძელოო...

ჰო, მაგრამ, ასეთი რა სასახელოა და რა სადინასტიოა აბორტმახერობა?

ესეც არის, სახელს, პატივისცემას სასიქადულოს, ვიღა დაეძებს? „რას ამოგვიჩემეთ, ბატონო, რას გვემართლებით, ფულს ძალათი ხომ არ ვართმევთო..."

ფულს ხელისძალათი ბანდიტები ართმევენ, და ისიც, დიდ-ფულიანებს, ამათთვის კი, თეთრ სამოსელს ამოფარებული შავ-სინდისიანებისთვის, გარჩევა არ არის, შენ, მშობიარე, შვილ-

თუმნიანი დამლაგებელი ხარ თუ ყოველმხრივ გალაღებული, პირთამდე სავსე გასტრონომის გამგე...

„ძალათიო...“

სახაფანგე გარემოცვაში თუ ჩამაგდებ, გამოძალვა ბევრით როდი განსხვავდება წართმევისაგან.

ეს ამხანაგი, რომელსაც, სამსახურის მიხედვით, ქურდების დაჭერა ევალება, რაღაც რვა თვის მანძილზე ორჯერ თვითონვე გაქურდეს; პირველად ღამით: წაიღეს თორმეტი ოქროს ბეჭედი (ეს — დაზარალებულთა სიტყვით, დამზარალებლებმა კი, ნადავლი, ალბათ, უფრო ზუსტად აღნუსხეს)... და როცა მეორედ „გაწმინდეს“ დღისით, დიასახლისს ეთქვა, რაღა აზრი აქვს დღე იქნება თუ ღამე, ანდა კარის ჩაკეტვას, აწი სულ ღიად დავტოვებო...

სხვათა შორის, ამ ქალბატონის ერთშვილიან-დედისერთა ქალიშვილს, მუსიკის მასწავლებელს, „შავი წიგნი“ წაეკითხა და მჟავე გუნებაზე დამდგარიყო, არ მოსწონებოდა...

აბა ამისთვის ვის რა დაეძრახება, ყველას ერთნაირად, შეიძლება, ვერც „ვეფხისტყაოსანმა“ გაუღოს გულისკარი, მაგრამ მე, ალალად გამოგიტყდებით, ავტორის თავმოყვარეობამ სადღაც მაინც გამკენწლა და დავინტერესდი, კონკრეტულად, რა არ მოეწონა?..

საერთოდ არ მომეწონაო; აი, მაგალითად, ბევრი მეორე შვილსაც რომ არ ყოლიობს, ამაში ქალი როდია ყოველთვის დამნაშავეო; ერთ ჩემს მეგობარს, „ამის და ამის“ რძალს, ძალიანაც უნდა ჰყავდეს მეორე, მაგრამ ქმარი ნებას არ აძლევს, და არც მამამთილი ურჩევსო...

ჰმ, არც მამამთილი ურჩევსო...

მერედა, მკითხველო, რომ იცოდეთ, რა მამამთილი, ვინ მამამთილი!..

არა, შვილი სულ მუდამ, აბა, რას გაგიგონებს, მით უფრო შენგანვე გამეცნიერებული შვილი, მაგრამ შენ მაინც... როგორც მამამ, როგორც მამამთილმაც...

ვაი, სირცხვილო!..

ვაგლახ, საქვეყნოდ რომ არ გამომაქვს მისი ვინაობა და ტიტულები, „ამას და ამას“ რომ ამოვაფარე... გვარი მისი რომ შემოგესმათ, ეპვი არ მეპარება, გულს შემოგეყრებათ და იტყ-

ვით, როგორ, ეს ხომ ის დიდი ერისკაცია, ის დიდი მამული-შვილი, ტრიბუნიდან და პრესაშიც რომ გვიქადაგებს ხოლმე უმწიკვლო ზნეობაზე, ერის შეუბღალავ მამაშვილობაზე, სამშობლოსათვის თავდადებაზე, ის, ვისაც ჩვენი რესპუბლიკის პირველი დიდებული, ამხანაგი შევარდნაძე, ღამის პირველ საათზეც არ ეტყვის მიღებაზე უარსო...

დიახაც რომ, დიახაც რომ ის გახლავთ!

ო, გმადლობ შენ, უფალო, ჩემი ერთგული ინფორმატორის მეცადინეობით ასე რომ გამანათლე, მაგრამ, ხომ იცი, „გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი", — ეგებ ამ საიდუმლოსაც ამიხადო საბურველი: მაინც, ასეთი აგრესიული პოზიცია რატომ დაიჭირა ჩემს ნაშრომში გამოთქმული სევდიანი აზრების მიმართ უკვე ორმოც წელს მიტანებულმა, ღვთაებრივი მუსიკის, მუ-სი-კის, ერთშვილიანმა მასწავლებელმა?

...ო-ო, ბოლოს და ბოლოს, ღმერთის წყალობით და ჯვარედინი გამოკითხვით ესეც გაირკვა: ამ ერთშვილიანის დედისერთა დედის — ესეც ასევე! — დედისერთა დედა, თურმე, გინეკოლოგი ყოფილა, ანუ ჩვენებურად... მმ...

სავარაუდებელია, რომ ქურდებმა, ვიდრე „საქმეზე" წასვლას დააპირებდნენ, ამ ვითარებას ზედმიწევნით აუღეს ალღო და არ დაიზარეს შეეჭიდებოდნენ აბორტმახერის ცხრასაკლიტურიან მუხის კარს, და არა „შავი წიგნის" დამწერის ფიცრულისას, რომელსაც ლამის საფოსტო ყუთის გასაღებიც მიუდგეს...

დედაჩემმა ცხრა შვილი შობა, მისი „გინეკოლოგი" წელში ორად მოხრილი მელანო გახლდათ; წერა-კითხვის ამ გაუგებელ ქალს ცხრიდან, ერთიც არ შემოჰკვდომია, თუმცა ხელთ არც სტერილური მაშები ეჭირა, არც ტკივილის გამაყუჩებელი პრეპარატები გააჩნდა და არც მელოგინეს — „აჩუ, ცხენოო," — უკიოდა... ერთი თუნგი თბილი წყალი, სპილენძის ტაშტი, რომელიც მეტწილად ფაცხა-ქოხებში სოხანეზე იდო (მისთვის, ვინც არ იცის: სოხანე დატკეპნილი მიწის იატაკია).

სხვათა შორის, სწორედ ამ მელანომ უბებიავა შუა ცეცხლის მახლობლად სამუელ (ნოე) ბუაჩიძეს და კიდევ ამის ათ და-ძმას... ამათ დედას ალვასი ერქვა, ეს სახელი ღირსია დახსომებისა თუნდაც იმიტომ, რომ მისი მრავალრიცხოვანი ოჯა-

ხი სულაც არ ჰგავდა რომელიც გნებავთ დღევანდელ ოჯახს, სადაც დიდიან-პატარიანად ყველა კომუნისტია: სამუელი მგზნებარე ბოლშევიკი კი იყო, რომელიც ლენინს პირადად იცნობდა და მიმოწერაც ჰქონდა მასთან, მაგრამ მან თავისი ბოლშევიკური ცეცხლით მაინც ვერ აღანთო ვერც ერთი თავისი ძმა: ზოგი მათგანი მენშევიკი დადგა, ზოგი — ნაციონალ-დემოკრატი, ზოგიც — ფედერალისტი, ერთიც — არარსებული გლეხთა პარტიის მიწის მუშა, ერთიც — შავი ქვის მრეწველი (ამათგან ყველაზე უმცროსმა, დავითმა, 1921 წელს კოჯორთან, საქართველოს დამოუკიდებლობის დასაცავად, თავი შეაკლა მომთაბარე ბოლშევიკებს)... რაც მთავარია, ყველა ისინი პატიოსნები იყვნენ, თუკი, რა თქმა უნდა, პატიოსნებად ჩაითვლებიან არაკომუნისტური და, მაშასადამე, ანტიხალხური პარტიის წევრები...

...დიახ, უწიგნურ ბებიაქალ მელანოს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მარტო ჩემს სოფელში შვიდასამდე ბავშვი ეყოლებოდა ჭიპშეჭრილი, რომლებიდანაც, ვიმეორებ, ერთიც არ მოხუთვია, რადგან ყველას თავის გულის სითბოსა და სიყვარულს ანათლავდა და სულაც არ ფიქრობდა, მელოგინეს რას ააღლეტ-აართმევდა... მისი გასამრჯელო ახალშობილი ქართველის ომახიანი ტირილი იყო.

არა, ომახიანად ახლაც ტირიან...

როცა გალის სამშობიაროში ვირთხებმა ჩვილი დაკბინეს, მასთან ერთად დედაც ატირდა „ომახიანად...“

ახმეტის სამშობიაროში ოთხი ახალშობილი თითქმის ერთდროულად ისე გამოეთხოვა ამქვეყნიურ სამოთხეს, ჯერ თვალებიც არ ჰქონდათ რიგიანად გახელილი. მიზეზი? სრული უგულისყურობა თანამედროვე საგინეკოლოგიო იარაღით აღჭურვილი მედიკოსების მხრივ...

შეიძლება ამის მიზეზი ისიც იყო, რომ ამათ ჯიბეებამდე ახალშობილთა ხელმოკლე დედებს ხელი ვერ მიუწვდათ...

ბარემ ესეც ვიცოდეთ, რათა გული ოდნავ მაინც დავიმშვიდოთ: თბილისთან შედარებით რაიონში მშობიარობა (ოღონდ არა ტყუპისა!) უფრო იაფი ჯდება: იქ მომხარებელ-მახარობლები — „ბიჭი გყავს, ბიჭი!“ გოგო არ ჯობია ბიჭს?!“ —

უფრო ცოტანი არიან და, მაშასადამე, ისე ხშირად არ უხდება გაბედნიერებულ მამას ჯიბეები გადმოაპირქვავოს...

რატომ შინ არ იმშობიარებთ-მეთქი, ვკითხე ერთხელ ამ არსად გამოკრული პრეისკურანტით ერთ შეწუხებულ ახალგაზრდა ქალს, ორსულობას რომ გაურბის, რადგან აბორტი უფრო იაფი უჯდება, — ვინ იძლევა ამის უფლებას, თუ შემთხვევით მოულოდნელად შინ მოილოგინე, სულ ერთია, მაინც რაიონში უნდა წახვიდე და დაწვე მათთან შენი თოთოიანითო...

სწავლა სიბერემდეო, — მე ეს აქამდე არ ვიცოდი.

ეს კი ვიცოდი: ევროპა-ამერიკაში პოლიციელებს სპეციალურად ასწავლიან, როგორ აღმოუჩინონ საექიმო დახმარება მშობიარეს ექსტრემალურ სიტუაციაში...

საინტერესოა, ასეთი სწავლება ჩვენშიც რომ იყოს, მილიციელები მომკივან მშობიარეს ქაღალდს, ლენინი რომ ახატია, „მანამდე" მოსთხოვდნენ თუ „მის" მერე?..

...აი, მიიცვალა ადამიანი, და თუ ის... არა, მას უკვე აღარ ძალუძს „ჩოთქს" ხელი ჩამოჰკრას და თვითონვე იანგარიშოს თავისივე გასეენების ხარჯები...

და თუ მისი ჰირისუფალნი არასმქონე, ღარიბნი არიან...

ო-ო, ეს სიტყვები ნაბეჭდ ლიტერატურაში, სცენაზე და რადიო-ტელევიზიაში აღარ იხმარება, მათ მკაცრი ამკრძალავი ტაბუ ადევთ, მაგრამ, რას იზამ, ჩვენს სინამდვილეში ასეთები... მმ... „აქა-იქ" კიდევ მოინახებიან, და ვისაც ამის არ სჯერა და ამას ცილისწამებად ჩამითვლის, გაისარჯოს და ხანდახან მაინც შეიხედოს ხილბოსტნეულის მაღაზიებში — რამსიგრძე რიგი დგება ხოლმე იქ, ბაზართან შედარებით ბევრად-ბევრად უხარისხო ხილზე და მწვანილეულზე, მაგრამ იმავე ბაზართან შედარებით უფრო იაფზე...

შეიძლება ჩვენმა დაკვირვებულმა, ობიექტურმა სოციოლოგებმა ამ ხალხის რიგში დგომით მოყვარულობით და მისი სიზარმაცით ახსნან, ბაზარში წასვლა ეშორებათო, სადაც არაზარმაცები, სხვათა შორის, ნაირ-ნაირ ხორაგეულს ფასის დაუკითხავად, შეუვაჭრებლად ყიდულობენ და ათავსებენ მანქანების საბარგულებში.

...დიახ, მიიცვალა ადამიანი, თუ მისი მომვლელ-მზრუნველ-

ნი მარტო ალალი ლუკმის შემხედვარენი არიან... ო-ო, მერედა, მარტო პატიოსნება ხომ არ გააპატიოსნებს მიცვალებულს? ეს ბალზამირებაო, ეს...

არა, არ ჩამოვთვლი, და არა იმიტომ, რომ გრძელი სია გამოგვივა... იაპონელები შეხვედრისას, რომელიმე მათგანს შინ თუნდაც მიცვალებული ესვენოს, ერთმანეთს მაინც ღიმილმორეული ესაუბრებიან, — ყველას ისეც უთვალავი დარდი აქვს და კიდევ ჩემი სევდა თავზე რაღას მოვახვიოო, — ასევე მეც, ჩემი მკითხველი შავი საფიქრალით რატომ დავტვირთო, ამას კი ვიტყვი მოკლედ, საბჭოთა ქვეყანაში მიწა, მგონი, მხოლოდ სასაფლაოზე იყიდება, და მას ერთი სახელმწიფო ფასი აქვს; თბილისი, მართალია, როგორც ვიცით, საბჭოთა სახელმწიფოში კი არის, მაგრამ საფლავის მიწას, სამი არშინი ფართობი რომ სჭირდება, ორნაირი ფასი ადევს, — სახელმწიფო, რომელიც ფიქტიურია და ფაქტიური — კერძო, რაც ვრცელდება აგრეთვე დამარხვასთან დაკავშირებულ ყოველნაირ სხვა „აქსესუარ-რიტუალებთან“: ეს შოფერს — კუბოს მოტანისთვისო, ეს მუშებს — კუბოს ბინაში ატანისთვისო, ეს — სამარის გაჭრისთვისო, მიცვალებულის სამარეში ჩაშვებისთვისო, მისთვის მიწის მიყრისთვისო, და, ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი, რამდენი წვრილმანი გამოხტება ხოლმე, რომლებიც, მათი თვითდამკანონებლების ნება-სურვილით, მსხვილმანად საღდება და გინდა-არ გინდა, ასეთად უნდა იწამო, რამეთუ სხვა გამოსავალი, ბევრიც რომ იხტუნო-იწრიალო, არ არის და არ არის...

ეს მუხის კუბო მაინც რაღას შემოიღეს, რომლის სახელმწიფო ფასი... 350 მანეთია! ვფიქრობ, არ გაგიჭირდებათ წარმოიდგინოთ, რა იქნება მისი მალული ფასი, თუკი იგი მხოლოდ „დახლს ქვემოდან“ იყიდება...

ჰოდა, რაკი იგი საპრესტიჟო სასახლედ ითვლება, ყველა ჩვენგანი, ხელმოკლე და „ხელგრძელიც“, აკი ერთიც და მეორეც წამხედურა კუდაბზიკაა, ვცდილობთ ერთმანეთს არ ჩამოვრჩეთ ჩვენი მიცვალებულის პატივის მიგებაში...

ო, ადამიანის სიბრძნე რარიგ იზეიმებდა, თუ ამ მუხის სასახლეებში მარტო მათ ჩაასვენებდნენ, რომელთა გასვენების ხარჯებს, ჩვეულებრივ, სახელმწიფო კისრულობს ხოლმე და არ იყიდებოდეს ისინი „კერძო პირებზე...“

გაზეთში გამოცხადებაც დიდ ფინანსურ ტვირთად აწევს მცირეხელფასიან ჭირისუფალს... რა ქნას, არ გამოაცხადოს და... გადაათრიეს, იტყვიანო, გამოაცხადოს და... 40 მანეთი! ეს ზოგიერთისთვის ჯამაგირის ერთი მესამედია, ზოგიერთისთვის — მისი ნახევარიც კი...

ცოტა არ იყოს, თითქოს უხერხული ისიც უნდა იყოს, რომ გაზეთ „თბილისში" ზოგჯერ სამოცზე მეტი სამგლოვიარო განცხადებაც კი იბეჭდება, რომლის შემოსავალი — სამოცი გამრავლებული ორმოცზე — 2400 მანეთს აღწევს, მაშინ, როცა იგივე გაზეთის ერთი ნომრის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი საავტორო ჰონორარი 180 მანეთს არ აღემატება.

ეგებ ესეც სიბრძნე იქნებოდა, უფრო ხელმისაწვდომი რომ გახდეს, სამგლოვიარო განცხადებას ფასი თუ დააკლდებოდა, მით უმეტეს, რაც დრო გადის, მით უფრო და უფრო კლებულობს განცხადებათა მოცულობა (თუმცა ნებადართულია მოხსენიება გარდა მშობლებისა, მეუღლეებისა, შვილებისა და დები-ძმებისა, — აგრეთვე პაპა-ბებიებისა, რძლებისა, სიძეებისა, შვილიშვილებისა, დედამთილ-მამამთილ და სიდედრ-სიმამრისა).

წაეიკითხოთ ზოგიერთი მათგანი, რამდენადაც მათში ერთგვარი დემოგრაფიული სურათი თვალსაჩინოდ აირეკლება:

> „შვილი მარინე მესხი, ძმა კონსტანტინე ვაჩნაძე, იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეკატერინე დავითის ასული მესხი. დაკრძალვა თბილისში".

(მიაქციეთ ყურადღება: არც ძმა, არც და, არც ქმარ-შვილი, არც ცოლ-შვილი)...

> „დედა ნაზიბროლა, ბებია კატუშა, ბაბუა კარლო მიქანაძეები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ია (ეკატერინე) კალანდაძე. დაკრძალვა თბილისში".

(როგორც ხედავთ, გარდაცვლიათ ერთადერთი შვილი და ერთადერთი შვილიშვილი... დარჩენილთ... ღმერთმა დიდი მხნეობა მისცეთ და დიდხანს, დიდხანს იცოცხლონ, მაგრამ... ოდესმე მაინც... ვიღა ეყოლებათ გამს... მმ...).

„და საშა მექანარი, ბიძაშვილი თაძარ ასათიანი ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ირაკლი ალექსანდრეს ძე მექანარი. დაკრძალვა თბილისში“.

(მეტი არც ძმა, არც და, არც ქმარ-შვილი)...

„შვილი ანიკო, შვილიშვილი გიგი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ეკატერინე ზაქარიას ასული ასლანიშვილი-მაზმიშვილი. დაკრძალვა სოფ. ყარაღაჯში (კასპის რ.)“.
(არც დედას, არც შვილიშვილს — არც დები, არც ძმები)...

„შვილი მარო, შვილიშვილი ლეილა კეთილაძე იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გაიანე კონსტანტინეს ასული ტერელაძე-გოგაძე. დაკრძალვა გოჩა-ჯიხაიშში (წულუკიძის რ.).

(გთხოვთ შეადაროთ ქალაქი და სოფელი ერთმანეთს, რაიმე განსხვავებას მათ შორის, ალბათ ვერ აღმოაჩენთ).

დიახ, ასეთ კუდმომწვარ განცხადებათა ფასი 40 მანეთია!
...ო-ო, ძვირფასო მკითხველო, ბოლოს და ბოლოს, თქვენთან ერთად მეც, რასაკვირველია, არა იმდენად სამგლოვიარო განცხადების ფასი მაწუხებს, — ეს, შეიძლება, სულ მუქთადაც ვაქციოთ, მაგრამ... ამ ზარდამცემ „კუსტარულ დემოგრაფიას“ რა ვუყოთ, ასე დაუნდობლად და ხმამაღლა რომ გაჰკივის ვაზგენების გასახარებელ „Умирающая нация“-ს?!

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: ზემოთქმულის დაწერიდან ორი წლის შემდეგ აქლემმა ჩოქვით ერთხელ კიდევ მომაკითხა: გარდამეცვალა და-ძმებში ყველაზე უფროსი მარტოხელა და...

სამგლოვიარო განცხადებას თურმე უკვე აღარ ზღუდავენ: მასში ახლა შორეული ნათესავი კი არა, — თუ გნებავს, ბერნარდ შოუ და ონორე დე ბალზაკიც მოიხსენიე, — ვინ არის დამშლელი, ოღონდ... ყოველ სიტყვა-ხსენებაზე ორ-ორ მანეთს უნდა ჩამოხვიდე...

ზოგიერთი საპრესტიჟოდ მიჩნეული ყვავი-ჩხიკვის მამი-

დაშვილებიანი განცხადება ორას მანეთამდეც კი ჯდება! (ერთი გაჭიმული სამგლოვიარო განცხადების საფასური — მთელი სამხიარულო გაზეთის საავტორო ჰონორარის ტოლი!).

...და თუმცა ჩემი და, პირობითად თუ ვიტყვით, სპარტანულად გასვენდა, — უმუხისკუბოდ, უმუსიკოდ, უგვირგვინოდ, სულ რაღაც 15-კაციანი მოსაგონარი ჭირის პურის თანხლებით, — და მაინც, გასვენების ხარჯებმა თუ მათ საბაზრო ფასებით ვიანგარიშებთ...

ო-ო, ღმერთმა აგარიდოთ ეს აქლემი და ეს ანგარიშიც, გინდ კერძო და გინდ სახელმწიფო პრეისკურანტით, ისე კი, თუ პატივს დამდებთ და მენდობით, რაკი მე უკვე ვიანგარიშე...

ერთობ ძვირი ღირს სიკვდილი თბილისში (ისე, როგორც მთელ საქართველოში)!..

მარტო კუბოს, უბრალო კუბოს ღირებულება 131 მანეთია, ჩემისთანა კაცის კაი ერთი თვის პენსია...

და მაინც...

ჭიხვინებენ ცხენები,
ჩვენ არ მოგვესვენება...
ქართველები გახლავართ,
კარგად მოგეხსენებათ.

ღმერთო, შენ გაუნათე
ერს სიცოცხლის მიზანი
და უმრავლე ჩვენს მამულს —
ლეკვნი ალგეთისანი!..

მთავარეპისკოპოსი თადეოზი.
1983 წ.

უსარგებლოდ გატარებული ცხოვრება ნაადრეი სიკვდილია.

გოეთე

ერთმა ჩემმა კეთილისმდომელმა მკითხველმა, რომელსაც ქსეროქსზე გადატანილი „შავი წიგნი" ბევრზე ადრე წაეკითხა, შეშფოთებით და შიშით მითხრა, ეს რა დაგიწერიათ, ნუთუ არ გეშინიათ, თქვენ საშინაო პოლიტიკასაც ეხებით და... არ იცით, რა უყვეს პროფესორ წიბახაშვილსო?..

ვიცოდი, რასაკვირველია, ვიცოდი; გაზეთ „კომუნისტში" იმხანად უკვე ყოფილ ამხანაგ წიბახაშვილს ამხანაგმა ნინიძემ ბდღვირი აადინა და ცხვირი მიუნაყა, მეტიც ეკუთვნისო... უნივერსიტეტიდან გასაგდებიც კი არის, მაგრამ რაკი ჩვენ ჰუმანისტები ვართ, ჯერჯერობით ეს ვაკმაროთო.

ნინიძის იმ გრძელი, შემაჩვენებელი წერილიდან ის კი გავიგეთ, რომ მეცნიერების ცნობილი მსახური „ანონიმკებს" წერდა თურმე, ოღონდ... ჩემი ერთი კომედიის, „ავი ძაღლის" „წამყვანი" პერსონაჟი ვანო ლაითაძეც წერდა ამგვარი ყაიდის „თხზულებებს", ოღონდ ჩვენ, მაყურებლებმა, ვიცოდით მათი შინაარსი და მიზანიც, ნინიძის დამსჯელი განჩინების მიხედვით კი ჩვენ, მკითხველებმა, ვერა და ვერ შევიტყვეთ, მაინც რას მოიცავდა ამ მეცნიერის „ანონიმური შემოქმედება"...

კი, მაგრამ... განა შეიძლება ადამიანს საქვეყნოდ სამოქალაქო სიკვდილის განაჩენი გამოუტანო ისე, რომ, მოსამართლის გარდა, არავინ იცოდეს, კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ ა დ რა ბრალი ედება მას?

თურმე შეიძლება!

პროფესორ გიორგი წიბახაშვილს არ ვიცნობ პირადად, და, საერთოდ, არც ოდესმე ცალი თვალითაც არ მინახავს, მაგრამ მე არც სოკრატე მიხილავს, მაგრამ ვიცი, იგი სიკეთისა და სინდისიერების მქადაგებელ-მთესველი იყო...

ხალხს არაფერი არ ემალება, და თუ ის, ზოგჯერ, ცხელ

ფაქტს უმალვე ვერ ჩასწვდება, და ვაგლახ, მის გაცვეებასაც ვერ მოესწრება, დედააზრს მისას ისტორია მომავალი თაობებისათვის მაინც შემოინახავს.

რა არის „ანონიმკა", დასავლეთში ეს ახლაც არ იციან, სხვათა შორის, არც მეფის რუსეთმა იცოდა... ერთადერთი „ანონიმკა", ნიკოლოზ პირველის დროს რომ დაიწერა და ალექსანდრე პუშკინს გაეგზავნა, რქიანი ბრძანდებითო, დიდზე დიდი უბედურების დამტრიალებელი გამოდგა: ჯერ კიდევ ახალგაზრდა, უბადლო გენიოსი იმ ქვეყანას გაუყენა...

დიახ, „ანონიმკა" მხოლოდ ჩვენი, საბჭოური ცხოვრების კანონზომიერი პირმშოა, და მას მასები, ძალიანაც რომ ეცადონ, ვერ აღმოფხვრიან, მისი ძირიან-ბუდიანად ამოძირკვა მარტო მასების წინამძღოლთ შეუძლიათ.

და თუ მას თავგამოდებით არ ებრძვიან ისე, როგორც, მაგალითად, ჭირს, ალბათ იმიტომ, რომ „ზოგი ჭირი მარგებელიას" სიბრძნით ხელმძღვანელობენ.

ქვეყნად ცოტა როდი იწერება მართალი „ანონიმკები", რომლების იქითაც მართალი ადამიანები იმალებიან იმის შიშით, რომ არა აქვთ იმედი სიმართლის ზეიმისა...

არა, საბოლოოდ სიმართლე თითქოსდა იმარჯვებს კიდეც, მაგრამ ეს, უკეთეს შემთხვევაში, დამწერის, სიმართლის მაძიებლის, უსასრულო ტანჯვა-წამების მერმე, უარეს შემთხვევაში კი, და ბევრად უფრო ხშირად, — ჩვენი სამუდამო მიძინებიდან დიდი ხნის გასვლის შემდეგ, როცა ძვალნი ჩვენი ველარც სიხარულს აღიქვამენ და ველარც სევდას.

რამდენადაც მსმენია, გიორგი წიბახაშვილი ომის მონაწილეა, ტანკისტი...

როგორც არა ნაომარ კაცს, ნუ დამეძრახება: მე პირადად ტანკში უბრალოდ ჩაჯდომაც კი გულადობად მესახება, ტანკით ბრძოლა კი, როცა ირგვლივ რეალური ჯოჯოხეთია, რაოდენ მამაცობას მოითხოვს, ეს, ალბათ, მხოლოდ ტანკისტებმა იციან...

ჰოდა, ასეთი „ყოფილი" მამაცი, ახლა კი ისეთი პროფესორი, რომელსაც ვერ შეჰბედავ მატრიკულში ოცდახუთმანეთიანი ჩაუდო, უვიცს ცოდნის დამადასტურებელი ნიშანი რომ ჩაგიწეროს, — რამ აიძულა მ ი ს თ ვ ი ს ასეთი არასაკადრისი საქმიანობისათვის ხელი მოეკიდა?

ამბობენ, უტელეფონობამ გაამწარაო... მერე? ამისათვის „ნინიძეებმა", ცხადია, ზემოდან უფრო დიდი „ნინიძეების" დავალებით, ისე უნდა „დააყრუონ", რომ ტელეფონი სულაც ალარ დასჭირდეს?!

მის ქუჩაზე, მის მეზობლად, მის გვერდით, მეხინკლეს, ტაქსისტს, გამყიდველს, ქურდ უსაქმურს და ქურდ საქმოსანს, აი მათ, რომლებსაც ომიანობისას ხელთ „უგლავოი" თოფიც არ სჭერიათ, — თუ არ აკლიათ ტექნიკის ეს მონაპოვარი, რატომ უნდა იყოს იგი ათეული წლების მანძილზე საოცნებო საგანი ოთხწლიან ომში რაღაც სასწაულით გადარჩენილი ტანკისტისათვის, ამჟამად უნივერსიტეტის არა ვითომ, — ნამდვილი პროფესორისთვის?!

აგერ ახლა მოსკოვის „იზვესტიამ" მთელი ჩვენი დიდი ქვეყნის მასშტაბით შეგვარცხვინა, რედაქციას საშუალება არა აქვს თბილისში პროფესორ ამონაშვილს დაუკავშირდეს — ოურმე ტელეფონი არ უდგასო...

ალფაბეტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, — ამონაშვილი — არუთინიანი! — ტელეფონის ცნობარში შეგიძლიათ დათვალოთ 225 არუთინოვ-არუთინიანი, რომელთა შორის, არა მგონია, ერთი მაინც ერიოს თუნდაც ვითომ პროფესორი (ადრე უკვე ვწერდი, სომეხ ინტელიგენციას თბილისში საარსებო საფუძველი გამოეცალათ-მეთქი), პროფესორ ამონაშვილის სახელი კი კარგა ხანია პირზე აკერიათ უმაღლესი სკოლების საკავშირო მინისტრით დაწყებული და პედაგოგიური მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტით დამთავრებული.

ნამდვილად ნიჭიერი ადამიანები მრავლად დიდრიცხოვან ერებშიც არ იბადებიან, და თუ ჩვენისთანა პატარა ერში მათი სათვალავი უფრო მწირი იქნება, ეს ბუნებრივ, კანონზომიერ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

ჰოდა, ნიჭიერ ადამიანებს — შეიძლება თვალში საცემი არა, მაგრამ უხილავი მოვლა-პატრონობა მაინც უნდა ეწეოდეთ, და ეს არა მარტო ნათესავ-მეგობრების მხრივ, თვით ხელისუფლების მხრიდანაც...

დიახ, როცა თავი ასე მოგვაქვს პაატა ბურჭულაძეთი, ცისანა ტატიშვილით, ჯანსუღ კახიძეთი, — მათი ჩვენი ერის შვილობა რაკი გვეამაყება, და სამართლიანადაც გვეამაყება, მაშინ

იმაზეც უნდა ვფიქრობდეთ, რომ ჩვენს დროში, როცა შინიდან გამოსვლის შემდეგ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხიფათი გვემუქრება, ეს ჩვენი რჩეულნი მაინც ავაცილოთ საშიშროებას... შეიძლება გაიცინოთ კიდეც, მაგრამ მე მაინც ვიტყვი: ასეთ სამეულს, მაგალითად, თვითმფრინავით ერთად გაფრენის უფლება არც უნდა მიეცეს.

(რაკი სიტყვამ მოიტანა, ამასაც შევნიშნავდი: თქვენ რომ შევარდნაძე ბრძანდებით, პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ისეთ იშვიათ მომღერალს, როგორც პაატა ბურჭულაძეა, ნიჭსა და დროს საოპერო თეატრის პარტკომობაზე კი არ უნდა ახურდავებინებდე, — წადი, ბიძია, ერთი მაინც რომელიმე უცხო ენა შეისწავლე, მომავალში სასიმღეროდ, ვინ იცის, სად მიგიწვიონ და გამოგადგება-თქო...).

...დიახ, ჩვენი, საერთოდ, ასე ფეხმოკიდებული უსულგულობისა ანდა ბრმა შემთხვევის გამო ტალანტით ნამდვილად მირონცხებულები არ უნდა დააკლდნენ არც ერს, არც ქალაქს!

ამჯერად ხელოვან-შემოქმედებზე ყურადღებას, რასაკვირველია, უფრო იმიტომ ვამახვილებ, რომ ხალხში მათ ასჯერ მეტი სახელი და პოპულარობა აქვთ, ვიდრე სხვა სამოღვაწეო დარგების წარმომადგენლებს, მაგალითისთვის, აი თუნდაც ენათმეცნიერ თამაზ გამყრელიძეს, ანდა ჰიდროტექნიკოს ცოტნე მირცხულავას...

სხვათა შორის, ასეთი „ბედის უსამართლობა“ მარტო ჩვენი დროის დამახასიათებელი არ არის, ასე იყო წინათაც, და არც მომავალში შეიცვლება.

პროფესორი გიორგი წიბახაშვილი, მართალია, არ არის არც უნიკალური დირიჟორი და არც უნიკალური მომღერალი, მაგრამ იგი ის პიროვნებაა, რომელიც ქართულის არმცოდნეს აყვარებს ქართულს და რუსულის არმცოდნე ქართველებს აყვარებს რუსულს; დიახ, იგი არის პატიოსანი და დარბაისელი სწავლული, რომლის შრომები მართლაც შენაძენია ჩვენი კულტურისათვის...

სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე „ნინიძეების“ მხრივ მის შერისხვამდე, „ლიტერატურულ საქართველოში“ ბევრს გექონდა ბედნიერება წაგვეკითხა მისი ღრმააზრიანი სტატია თარგმანის თაობაზე... ამის მერე რამდენიმე დღე-ღამე შეემა-

ტა ისტორიის მარადისობას და რამდენმა „მტკვარმა“ ჩაიარა ვერის ხიდქვეშ, გ. წიბახაშვილის გვარი კი, როგორც ავტორისა, ნაბეჭდ ფურცლებზე აღარ შეგვხვედრია, მისი გონიერული წერილები ერთიც აღარ წაგვიკითხავს...

ნუთუ ასე უეცრად გამოიფიტა მისი აზროვნების უნარი და ამოიწურა მისი ცოდნის მარაგი?! ან იქნებ... მმ...

რადიშჩევმა მე-18 საუკუნეში თავის „ღია ანონიმკაში“ („მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვს“) ბატონყმობისა და, საერთოდ, მონობის წინააღმდეგ გაილაშქრა, სამარცხვინო ბოძზე გააკრა მემამულეთა, მოსამართლეთა და, საერთოდ, იმდროინდელი ადმინისტრაციის „სამოდურული“ თვითნებობა, და ამ „ცილისწამებისათვის“ მას სიკვდილი მიუსაჯეს, მერე ეს განაჩენი ათი წლით ციმბირში გადასახლებით შეუცვალეს, მერე ისევ „გადმოასახლეს“ და... ნაკატორღალი კაცი საკანონმდებლო კომისიაში შეიყვანეს კანონების შესამუშავებელ-დასადგენად!

და ნუთუ გიორგი წიბახაშვილმა, ნატანკისტარმა პროფესორმა, თავი ისე შეირცხვინა და ცილისწამებაში რადიშჩევს ისე დიდად გადააჭარბა, რომ შეწყალებას ვეღარასოდეს ეღირსება და მასთან ერთად ჩვენც, მისი პატივისცემელი მკითხველები?!

ისე კი, ეს ამხანაგი ნინიძე ასე თავგამოდებით რომ ებრძვის „ანონიმჩიკებს“, თვითონ რატომღა ეფარება გამოგონილ გვარს? რატომ დიაცივით იფარებს არაგამჭირვალე პირბადეს და თავისი სახის ვაკკაცური ნაკვთებით არ წარდგება „კომუნისტის“, სულ ცოტა, მილიონი მკითხველის წინაშე? ეგებ ვიღაცის და რაღაცის მასაც ეშინია, ა?

ო-ო, თუ ასეა, მაშინ რა მიზეზით ქელავს შიშისათვის „ანონიმჩიკ“ წიბახაშვილს?!

„ყოველი, რომელი გინდეს თქუენ, რაჲთა გიყონ კაცთა, ეგრეცა თქუენ ჰყვით მათა მიმართ“.

(მათე, 7, 12).

ანუ, „კომუნისტური“ ენით თუ ვიტყვით: ნუ უზამ სხვას იმას, რასაც არ უზამ საკუთარ თავს...

იოსებ იმედაშვილი ძალიან კარგად მახსოვს ზურგზე მოგდებული ნაბდით და ბიბლიური წვერით, მაგრამ მარტო ამით როდი იყო იგი ჩემთვის მოკრძალებული პატივისცემის ღირსი: მე კიდევ მოვესწარი მის „თეატრსა და ცხოვრებას“, როცა ეს ჟურნალი, უკვე სულთმობრძავი, უკანასკნელ ნომრებს ითვლიდა გაიშვიათებული პულსივით...

მახსოვს ამ ჟურნალის ბოლოდროინდელი რედაქცია, ახლა რომ, „ზარია ვოსტოკას“ გვერდით, ღილების მაღაზიაა, ოღონდ მის მერე იგი, ასე თუ ისე, გააფართოეს, ასე რომ, ახლა იგი უფრო ვიწროდ უნდა წარმოიდგინოთ, — ორი კუბო რომ დაიდგას სიგრძეზე და მათ გასწვრივ დადგმულ სკამებზე წვალებით რომ ჩამოსხდნენ ჰირისუფლები, ვაი, კუბოს არ გავეხახუნოთო...

სწორედ სკასავით ამ ვიწრო, მაგრამ ფუტკრების სკასავით მხოლოდ სიკეთისა და სიტკბოს მთესავ, იოსებ იმედაშვილის, ქართული თეატრისა და ქართული მწერლობის წინაშე დიდად ნაამაგარ „თეატრსა და ცხოვრებას“ აქ აეგო წესი 1926 წელს და სწორედ აქედან...

არა, კი არ გამოასვენეს, — გადაათრიეს ძველი ქვეყნის რომელიღაც სანაგვეზე, როგორც ჰუჰყიანი, ფეხის საწმენდი ნატომრალი ჩვარი.

...და აი ახლა, მაისის ერთ მშვენიერ დღეს მსახიობთა სახლში გაიმართა ამ „ჩვარის“ სულისჩამდგმელის მოსაგონარი საღამო, მისი დაბადების ასი წლის აღსანიშნავად.

ჰოდა, აბა როგორ არ წავიდოდი, და წავედი არა იმიტომ, რომ, ჩემდა დასანანად, სულ ბოლო დროს გაცნობილ, ამჟამადაც, სიბერეშიც წმინდა ქართული სილამაზე შემორჩენილ მის ვაჟს, გაიოზს მოვჩვენებოდი...

არა, ეს ჩემი სულიერი მოთხოვნილება იყო, ჩემი შეუმჩნეველი დასწრებით (არათუ სცენაზე, წინა რიგებშიც კი, თუ, საერთოდ, შესაძლებელია ადგილის არჩევა, არასოდეს არ ვჯდები), მხოლოდ ჩემს გულში მინდოდა ახალგაზრდობის დროინდელი ჩემი სიყვარული გამომეხატა ქართული თეატრისა და მწერლობის ამ გუთნისდედისა და ღამის მეხრისადმი, არც ადრე დალხინებული, მაგრამ ბოლო წლებში მაინც, უფრო მეტად სამსალანასვამი მამულიშვილისადმი...

(აკაკის უთქვამს შუბლგაპობილ დიმიტრი ყიფიანზე, ალბათ, თავის თავზეც და, საერთოდ, მისი დროის ყველა სულგამწარებულ... „ვის უნახავს საზოგადო მოღვაწე, ცხოვრებით დამტკბარი?“-ო.

ო, ბულბულო საქართველოისავ, წამოდექი; წამოდექი და მთაწმინდიდან წუთნახევრით მაინც გადმოხედე შენს ცა-ფირუზ-ხმელეთ-ზურმუხტ სამშობლოს: ახლა მის ცის ქვეშ ერთსაც ვერ მონახავ ისეთ საზოგადო მოღვაწეს... ცხოვრებით დატკბობა რა არის, — ბადაგის მორევში ბუზივით რომ არ ნეტარებდეს!).

...დიახ, იმ საღამოს ჩემი ჩუმი სიყვარული კი გამოვხატე თაფლის სანთელივით ჩამოქნილი, წმინდანებში შესარაცხი საერო კაცისადმი, მაგრამ... შინ მაინც თითქოს ნაცემ-ნაბეგვი, დალურსმული ჩექმიანი ფეხით გათელილი დავბრუნდი: თურმე იოსებ იმედაშვილს ჩემი ძმაც, პროლეტარული კრიტიკოსი ბენიტო ბუაჩიძეც უწამლავდა სიცოცხლეს, ებრძოდაო „თეატრსა და ცხოვრებას“ კლასობრივი პოზიციებიდან...

იმ დროს ჩემი ძმა ოცი-ოცდაერთი წლისა თუ იქნებოდა, მე კი ჯერ კიდევ არაფერი გამეგებოდა არც თეატრისა და არც ცხოვრებისა, საბავშვო ჟურნალ „ნაკადულის“ კითხვას, ალბათ, რიკ-ტაფელას თამაშს ვამჯობინებდი...

და მაინც, ახლა, თითქმის სამოცი წლის შემდეგ, უკვე ბერიკაცს, პიონერიც რომ არასოდეს ვყოფილვარ, სირცხვილი მწვავს, ჩემი ძმა ასე გაკიცხვით რომ იხსენიება; აკი დარბაზში ზოგმა ნაცნობმა ჩემკენ ისეთი თვალით მოიხედა, თითქოს ძმის დანაშაულის თანამონაწილე მეც ვბრძანდებოდი... მათ, ცხადია, ბევრად არც არაფრად აინტერესებდათ, ბენიტო ბუაჩიძე ამ ბრალდებას მართლაც იმსახურებდა თუ არა, და თუ იმსახურებდა, მაინც რა დოზით?

აბა, ერთი მიბრძანეთ, თუმცა ამას კი არ აბრალებენ, მაგრამ მაინც: შეეძლო კი ქუთაისელ, 18 წლის, ჯერ კიდევ თითქმის მოზარდს, თუნდაც სერიოზულს, 1923 წელს მიეხურა თბილისში საყმაწვილო ჟურნალი „ჯეჯილი“, რომელსაც, აკაკი რომ ბრძანებს, ისეთი საზოგადო მოღვაწის შვილი და თავადაც მამასავით შეურყვნელი სინდისით სავსე, მოაზროვნე აკადემიკოსი ახლა, აი ასე რომ იგონებს:

„მიყვარდა „ჯეჯილის“ კითხვა: ჩემ დროს უკვე აღარ გამოდიოდა, მაგრამ გექონდა ოცდახუთი წლის კომპლექტი, ასე რომ, ჩემთვის ეს ამოუწურავი წყარო იყო. არ ვიცი, არის თუ არა ჩვენს პედაგოგიურ ლიტერატურაში სათანადოდ შეფასებული ეს მშვენიერი, დიდად შინაარსიანი ჟურნალი“. (ვახტანგ ბერიძე).

...როგორ? 1930 წელს 25 წლის პროლეტარულმა კრიტიკოსმა ბენიტო ბუაჩიძემ გადააკეთა ერთხელ წვითა და დაგვით დაარსებული თბილისის უნივერსიტეტი დღენაკლულ პედაგოგიურ ინსტიტუტად და მანვე განდევნა მისი სამეუფოდან — როგორც ეს მართლაც აკადემიკოსი წერს:

„ივანე ჯავახიშვილი, გრიგოლ წერეთელი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, მიხეილ პოლიევქტოვი, ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და კიდევ რამდენიმე თვალსაჩინო პროფესორი, როგორც უმაღლესი სკოლისათვის შეუფერებელნი და მავნენი“?!

დიახ, ივანე ჯავახიშვილი — მავნე!!!

იოსებ იმედაშვილს ებრძოდაო, — ასე დასაგმობ რამეს კი, მაგრამ ჯერ არსად თქმულა და, ალბათ, არც არასოდეს იტყვიან, რომ ბენიტო ბუაჩიძე, მახვილი გონების პატრონი, ჩინებული ორატორი და გამორჩეული სამეთაურო კაცი (ამიტომაც წაიყვანეს სრულიად ახალგაზრდა მოსკოვში პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის მეორე მდივნად), თავის „დიდკაცობისას“ მუდამ მხარში ედგა გალაქტიონ ტაბიძეს, იმ დროს პრივილეგიური პროლეტარული მწერლებიდან პირველმა შეაგება საქებარი სიტყვა „რევოლუციისკენ შემობრუნებულ“ მიხეილ ჯავახიშვილს; იგი პირველი გამოვიდა ჭირიანობის ჟამს „შავი კაცის“, ილია ჭავჭავაძის დასაცავად, რისთვისაც ფილიპე მახარაძის (აგრეთვე გიორგი ყურულაშვილის) გულისწყრომა დაიმსახურა და საქართველოს პროლეტარული მწერლების ასოციაციის მდივნობიდან მოახსნევინა...

რამდენიმე ციტატა ფილიპე მახარაძის ერთი წერილიდან („მდგომარეობა თანამედროვე ქართულ მწერლობაში“: კრებული „ბრძოლა კლასიკოსებისათვის“. 1931 წელი):

„ილია ჭავჭავაძე, ყველა მისი ნაწერების და ყველა იმ დოკუმენტების და მასალების მიხედვით, რაც მისი ცხოვრების შესახებ მოიპოვება, მუდამ ერთ ერი თავადი და მემამულე იყო თავიდანვე და ბოლომდეც ასეთივე დარჩა". (ხაზგასმა აქაც და ყველგან ავტორისაა).

„ამას წინედ სრულიად შემთხვევით მე წავაწყდი ამხ. ბ. ბუაჩიძის ნაწერების ზოგიერთ ადგილებს, სადაც იგი იძლევა ი. ჭავჭავაძის და მისი ჯგუფის მწერლების დახასიათებას.

ამხ. ბ. ბუაჩიძის ერთ-ერთ ნაწერში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1927 წ., ჩვენ შევამჩნიეთ ორი ადგილი, სადაც შემცდარი და მარქსისტისათვის ყოვლად მიუღებელი შეხედულებაა გამოთქმული: „მ ე ს ა მ ო ც ე წ ლ ე ბ ი ს ქ ა რ თ უ ლ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ი ს ძ ლ ი ე რ ი ნ ა კ ა დ ი ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ დ ა დ ი ბ რ ძ ო დ ა (!?) ბ ა ტ ო ნ ყ მ ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო" (იხ. „ლიტერატურა და თანამედროვეობა", გამ. 1927 წ. გვ. 14).

„...ამხ. ბუაჩიძე საშინლად ცდება, როცა ამტკიცებს, რომ ი. ჭავჭავაძე ბრძოლას აწარმოებდა ბატონყმობის წინააღმდეგო.

ეს მართალი არაა, ეს სიცრუეა. ამ ზღაპარს ბოლო უნდა მოეღოს".

„ი. ჭავჭავაძე იყო: წ ა რ ჩ ი ნ ე ბ უ ლ ი თ ა ვ ა დ ი ს შ ვ ი ლ ი, მ ე მ ა მ უ ლ ე დ ა გ ლ ე ხ ე ბ ი ს მ ე ბ ა ტ ო ნ ე. იგი იყო მ უ შ ე ბ ი ს ა და გ ლ ე ხ ე ბ ი ს ე ქ ს პ ლ ო ა ტ ა ტ ო რ ი. როგორც მწერალი, ი. ჭავჭავაძე იყო რეაქციონერი. მ ე მ ა მ უ ლ ე ე ბ ი ს ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ი ს უ ე რ თ გ უ ლ ე ს ი დ ა მ ცვ ე ლ ი, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ჭ ა თ ა ყ ვ ა ნ ე ბ ე ლ ი და მ ო ნ ა რ ქ ი ს ტ ი".

„ამხ. ბუაჩიძე არ იცნობს იმ საგანს, რაზედაც სწერს, თორემ ასეთ ვ ე ლ უ რ რამეს არ დასწერდა. იგი სახელს უკეთებს და ავტორიტეტს უქმნის ქართულ ლიტერატურაში რეაქციონერ მწერლებს, და უწინარეს ყოვლისა იმათ ბურჯს და მებაირახტრეს ი. ჭავჭავაძეს. ეს უნდა

ითქვას კატეგორიულად, მთელი სიმკვეთრით და ეს მით უმეტეს, რომ ამხ. ბუაჩიძე კომუნისტური პარტიის წევრია. პარტია ვერ მისცემს მას უფლებას პარტიის შიგნით ხელი შეუწყოს ჩვენი პარტიის ძველი და ახალი მოწინააღმდეგეების შეხედულებათა გავრცელებას".

კიდევ ერთი ციტატა, სასხვათაშორისო, სულ სხვა ავტორისა და მოგვიანო დროისა:

„ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში მოცემულია სავსებით სწორი და ამომწურავი შეფასება ის გამხრწნელი და მავნებლური მუშაობისა, რომელსაც ქართულ ლიტერატურაში აწარმოებდა ბ. ბუაჩიძის ჯგუფი — კონტრრევოლუციური ავერბახელობის ეს პირწავარდნილი ფილიალი". (ბეს. ჟღენტი, „მნათობი", № 6-7, 1938 წ.).

დიახ!

როგორ? ბენიტო ბუაჩიძე 1937 წელს 32 წლის ახალგაზრდა ზვარაკად რომ შეიწირეს, და მაინც მოასწრო დაეტოვებინა, თუმც, დღევანდელი თვალსაზრისით, მრავალი მოსაზრება — შეცდომით სავსე რამდენიმე წიგნი, დახერეტის შემდეგაც უხუთავდა სულს, მაგალითად, დავით კაკაბაძესა და ლადო გუდიაშვილს? პირველი, როგორც ფორმალისტი, კოსმოპოლიტი, ფიზიკურ განადგურებამდე რომ მიიყვანეს, მეორე კი ქაშვეთის მოხატვისათვის ამბიონიდან კი არა, — წითელმაუდგადაფარებული ტრიბუნიდან ხანგრძლივი დროით რომ შეაჩვენეს და ლუკმაპური სანატრელი გაუხადეს?!

ნურავინ იფიქრებს, ძმის ასე ხსენებით შავის თეთრად გასაღებას ვცდილობდე, ანდა მარტო მას ვიცავდე, — მე ამით უფრო იმის თქმა მინდა, რომ იმ დროს, ისე, როგორც ახლა, ჩვენს დროში, წვეთი წყალიც არ იღვრებოდა დიდი პარტიული ამხანაგების მითითებების გარეშე, იმათ უნებართვოდ, ვინც საერთო პოლიტიკას ქმნიდა და წარმართავდა, და თუ მოხდებოდა სასწაული და ვინმე გაბედავდა და დაღვრიდა, მაშინ... (კვლავ შეავლეთ თვალი ზემორე ციტატებს). ასე რომ, ბმუამად მარტოოდენ ლიანდაგის რიგით მსახურთ ნუ მიიჩნევენ ერთადერთ დამნაშავეებად უახლეს ისტორიაში დიდი სარ-

კინიგზო კატასტროფებით გამოწვეული მსხვერპლიანობის მიზეზების გამოძიებისას...

ჩემი მორიდებული თხოვნა იქნებოდა, ამ კვლევისას, იმ-დროინდელი მეისრე-დამაქცევართა დანაშაულის სიმძიმის შესამსუბუქებლად ნუ დაივიწყებენ იმ გარემოებას, რომ მათ არაერთხელ თეორიულად გაგონილი, მაგრამ პრაქტიკულად ჯერ არსად ნანახი სოციალისტური საზოგადოების შენების გაწამაწია-ორომტრიალში გულით მაინც სწამდათ ის, რასაც აკეთებდნენ... ისინი დღევანდელი „საზოგადო მოღვაწეებივით" „დამტკბარი ცხოვრების", „რბილი სავარძლის", ნაირფერი „ვოლგის" ხელში ჩასაგდებად და მერმე კი მათი ხელიდან არგასაშვებად როდი იბრძოდნენ და არ აკლავდნენ ერთმანეთს თავს, და ყოველივე ამისათვის ადამიანობიდან მაიმუნობამდე არ მცირდებოდნენ.

მაპატიოს მკითხველმა, თუ ზომაზე მეტად აღელვებულმა მწარე-მწარე სიტყვებსაც დავესესხე და განზეც გადავუხვიე... მართლაცდა, ღირდა კი ერთი უსაბაბოდ გაშავებული პროფესორისა და ჩემი გაწითლების ამბების ასე შორიდან მოყოლა და მათი ერთმანეთთან დაკავშირება?

მე მაინც ვფიქრობ, რომ ღირდა: ამის წამკითხველმა, ძალაუფლებით აღჭურვილმა, დიდი თანამდებობის მქონე პირებმაც, თუნდაც ხანდახან, იქნებ ჰორიზონტისკენაც გაიხედონ ხოლმე და ისე აწონ-დაწონონ თავიანთი საქმიანობა, მათმა დღეს მრუდედ გადადგმულმა ნაბიჯმა, უსამართლოდ და დაუფიქრებლად დღეს მათმა თითის დაქნევამ და ხელის აქნევამ მერე, მომავალში, სირცხვილი არ აჭამოს და არ გააწითლოს მათივე შვილები და შვილიშვილები, დები და ძმები, მოკლედ — ახლობლები და, ვისაც დიდი ხნის სიცოცხლე უწერია, თავისივე საკუთარი თავიც...

ძველი ბერძნები ამბობდნენ:

„ყველაზე დიდი სიმთვრალე ძალაუფლებით დათრობაა".

იყო კი ახლო წარსულში ისეთი შემთხვევები, როცა ასეთ, თურმე, ყველაზე ძალუმ სიმთვრალეს უძალიანდებოდნენ?

მოდით, ამ კითხვას დუმილით ვუპასუხოთ და ნურც აწმყოს შევეხებით, ახლა ნუ შევეხებით, — როცა იგი შორეულ წარსულად იქცევა, მხოლოდ მაშინ...

„...დედაკაცი უმთავრესად უნდა ემსახურებოდეს ოჯახს და შვილების აღზრდას. თუ ამას ღირსეულად შეასრულებს, დიდს, ძალიან დიდ საქმეს გააკეთებს, დიდს ამაგს დასდებს თავის ქვეყანას".

ვ ა ე ა

„Я в долгу перед вами, багдадские небеса", — ვლადიმერ მაიაკოვსკიმ ისტორიაში ასე უკვდავყო პატარა ბაღდათი და მისი წყნარი ზღვასავით მოლივლივე ლურჯი ცა.

(ამთავითვე შევნიშნავდი: თვითონ მაიაკოვსკი წერდა, ბაღდათში დავიბადეო, და თუ ჩვენ ვწერთ ახლა, მაიაკოვსკში დაიბადა მაიაკოვსკიო, ვითომ ეს, ცოცხალი რომ იყოს, მაიაკოვსკის გულზე მოეფონებოდა? ჯერ კიდევ მისმა დამ, ლიუდმილამ, ამ გადარქმევის თაობაზე როდის მითხრა: „Несуразность это..")

ამაზე არანაკლებ ბრიყვული უაზრობა როდი იყო ისიც, რაც ახლა ჩემი თაობის ბერიკაცებსაც ალარ ახსოვთ, და ეს არა მათი მეხსიერების დაობების წყალობით, — იმ დროიდან არასოდეს ამაზე არსად გასაიცხი სიტყვა ერთიც არ თქმულა, უფრო, ალბათ, მივიწყების გამო: 1935 წელს თბილისის ალმასკომის თავმჯდომარე სიმონ ჯუღელი რაღაც უცნაური მიზეზით გარდაიცვალა და... მისი, როგორც ძველი ბოლშევიკის, ხსოვნის უკვდავსაყოფად გვარი მისი შეარქვეს იმერეთის იმ კოხტა ქალაქს, რომელიც საქართველოში ერთი მეტად პოპულარული სიმღერითაც იყო ცნობილი... ასე რომ ჩვენ მაშინ ახლებურად უნდა გვემღერა:

ო ჯუ-ღელო, ო ჯუ-ღელო, გშორდები-ი...
შო-რს მი-ვდივარ, შორს მივდივარ, ნახვამდის...
ვაიმე-ე ჩე-მო, ვაიმე ჩემო ვენახო-ო,
შვი-იდ წე-ლიწადს, შვიდ წელიწადს ვერ გნახო-ო...

საბედნიეროდ მოხდა სასწაული, ის „უცნაური მიზეზი“ გაირკვა, თანაც საკმაოდ მალე, და საუკვდავყოფოდ გამიზნული ამხანაგი მთაწმინდიდანაც ჩამოასვენეს და ჩვენც წინანდებურად ავმღერდით:

ზეს-ტა-ფონო, ზესტა-ფონო, გშორდები-ი...).

მაიაკოვსკის რაიონში მევენახეობას მისდევენ... ჯერ კიდევ მისდევენ... სხვა რაღაცეებსაც მისდევენ, რომელთა მდგომარეობა, როგორც წინათ ამბობდნენ ხოლმე, არცთუ სულ ალჩუზეა, რაც, ბუნებრივია, ერთობ აწუხებთ აქაურ თავკაცებს... ვისარგებლოთ მათი ერთი გასაუბრებით, რომელიც, ცხადია, ისე არ დაიბეჭდებოდა, რომ თავიანთი ნასაუბრევი არ შეემოწმებინათ:

„საზოგადოებრივ მეურნეობაში კვლავ მეტად დაბალია ყურძნის საჰექტარო მოსავლიანობა — 33,3 ცენტნერი. მოსახლეობაში კი ეს მაჩვენებელი 100 ცენტნერს აღემატება. ყურადსაღები სხვაობაა!“

არა, ეს ბოლო ორი სიტყვა მე არ მიმიწერია. ისე კი, მართლაც ყურადსაღები სხვაობაა, — სამჯერ მეტი!

მერედა, რატომ ხდება ასე, — უკვე სამოცი წელია ვინ არ იმტვრევს ამაზე თავს, ვინ არ ეძებს ამის მიზეზს, მაგრამ იგი დღემდე ვერავის მოუნახავს, მათ შორის მეც, ვისაც თავი გონებაბრჯგუდ სულაც არ მიაჩნია.

ეს კია, თითქმის ყოველი წლის შემოდგომას მაგონდება ხოლმე კოლექტივიზაციის პირველი წლების რუსთაველის თეატრის ერთი, ასე ვთქვათ, საკოლმეურნეო სპექტაკლი „სალტე“: იქ ერთ, ახლად გაკოლმეურნებულ გლეხს პარტიული ხელმძღვანელი უსაყვედურებს, შენს ყოფილ გიშერას რატომ მეტ ჩალას უყრი, ვიდრე სხვა საქონელს, ეგ დეკეული უკვე ხომ შენი აღარ არის, კოლექტივისაო... — კოლექტივის კია, მარა, რაკი ჩემი იყო, სხვებზე უფრო ახლაც ეგ მიყვარსო.

ო, ეს სიყვარული!..

დალოცოს ღმერთმა კოლექტიური სიყვარული, მაგრამ...

პერსონალური სიყვარული... ჰმ, წყეულიც იყოს პერსონალური სიყვარული, სულს რომ გვიხუთავს, გრძელ ნაბიჯს არ გვადგმევინებს, გრდემლზე მთელი ძალით ურეოს არ გვარტყმევინებს, კომუნიზმს გვიგვიანებს...

საერთო ნახირში გაერთიანების შემდეგ რამდენი ჩალა შეიჭამა, რამდენი წყალი დაილია, რამდენი ჭკუის გამფილტრავი ლექცია წაგვეკითხა კოლექტიური სიყვარულის სადიდებლად, და მაინც, არ იქნა და არა ჩვენი შემობრუნება ნათელი ნიშანსვეტისაკენ...

ეს რაკი ისეთი ღრმა თეორიაა, რომლის სიბრძნეს ჩემებრ კაცების გოგრა ვერ ჩასწვდება, დავუბრუნდეთ ისევ მაიაკოვსკის რაიონის პრაქტიკულ საქმიანობას:

> „განა შესაწყნარებელი და სასურველია, რომ 16 ფერმის გამგიდან მხოლოდ სამია უმაღლესდამთავრებული, თანაც არაპროფილით“.

ო, ეს, ცხადია, არც შესაწყნარებელია და არც სასურველია. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ გაკოლექტივიზაციამდე მეჯოგე კვარაცხელიებში ერთიც არ იყო უმაღლესდამთავრებული ბეითალი, და ამიტომაც ვერ ართმევდნენ თავს ზაფხულობით დიდძალი პირუტყვი გადმოერეკათ სამეგრელოდან ზემო იმერეთის მაღალმთიან რკინისჯვრის საძოვრებზე და იქვე ეკეთებინათ ფუთობით ისეთი რძიანი სულგუნი, რომლის უგემური გემო ახლაც ახსოვთ ზაქარია და შალვა ბუაჩიძეებს, პირველ კომკავშირელებს, ეკლესიების გუმბათებიდან ჯვრებს ძირს რომ ყრიდნენ შეძახილით — „აბა თუა ღმერთი, თუ ბიჭია, გამაშეშოს!“

...ანდა ბერულავები, სულ რაღაც სამიოდე კაცი, იმიტომ ვერ პატრონობდნენ მეღრუკში შვიდასსულიან თხების საკრებულოს, რაკი განათლების პროფილით არ იყვნენ ვეტერინარიის მეცნიერებათა კანდიდატები და იყვნენ მცირემცოდნენი...

> „რაიონს აკლია რუსული ენის მასწავლებლები, რის გამოც წინა წლებში თვეობით არ ისწავლებოდა ეს საგანი“.

რუსული ენის ახალგაზრდა მასწავლებელს, რომელიც თბილისში სამსახურს ეძებდეს, არავის ვიცნობ, მაგრამ ერთს, უცხო ენისას, კი; ეს ქალიშვილი უკვე 25 წლისაა, არცთუ დალხინებული ოჯახიდან გახლავთ, არცთუ კალმით ნახატია, და მისი სახლის წინ ხელისმთხოვნელთა არცთუ ოცეული დგას, და მაინც, როცა შეეკითხნენ, დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ მომცრო, კოხტა ქალაქზე, — იქ თუ გათხოვდებიო, დიდად იწყინა, პროვინციაში რა მაცხოვრებსო...

ჰოდა, თუკი ბაღდათზე ბევრად უფრო მიმზიდველ ქალაქშიც არ უნდა გათხოვება უკვე არცთუ ისე ახალგაზრდა ქალბატონ მადონა ჭკუათხელიძეს, იგი, — ყურები რომ გვაქვს გამოჭედილი, — ჩვენს საამაყო თბილისს დატოვებს და მაიაკოვსკის რაიონში იცხოვრებს და იმასწავლებლებს?!

შემდეგ:

> „განვლილ სამ წელიწადში ყოველ ას ძროხაზე ნამატის სახით მიღებულია მხოლოდ 63 ხბო, რაც საშუალო-რესპუბლიკურ მაჩვენებელს 7-ით ჩამორჩება"...

თვლა, მით უმეტეს, ასის ფარგალში, ცხადია, უთუოდ გეცოდინებათ და... ას ძროხაზე მ ხ ო ლ ო დ 63 ხბო?!.

ო-ო, შეწუხებულია, დიდად შეწუხებულია ამის გამო რაიონის უფროსობა, ხუმრობა-საქმე ხომ არ გახლავთ, რესპუბლიკურ მაჩვენებელს 7-ით ჩამორჩება!

რასაკვირველია, ყოველმხრივ ეცდებიან, რომ ეს ჩამორჩენა პირნათლად დაძლიონ და აამოძრაონ აგრეთვე ყველა რეზერვი, რათა მეღორეობის ფერმამ თავი არ შეირცხვინოს და

> „ხუთწლედის ბოლოსთვის მიაღწიოს საპროექტო სიმძლავრეს — 6.000 ღორს".

ძალიან შორიდან კი დავიწყე, ჩემო სულგრძელო მკითხველო, — ძროხებიდან და ღორებიდან, ახლა კი, მოდით, ამ ძროხებისა და ღორების მომვლელ-მომშენებლებზე გადავიდეთ... სხვათა შორის, ამაზე საუბარს რაიონის თავკაცები რატომღაც თავს არიდებენ, — ცნობებს გვაწვდიან მეცადინი სტატისტიკოსები:

„...არ იზრდება შობადობა და მოსახლეობის ბუნებრივი ნამატის მიხედვით მაიაკოვსკის რაიონს ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია მთელს რესპუბლიკაში“.

მაიაკოვსკის რაიონში 30100 სული მცხოვრებია, მარნეულის რაიონში კი... 99900! ესეც ვიცოდეთ, ორივე რაიონი ტერიტორიულად თითქმის თანაბარფართობიანია.

აღნიშნული ცნობები 6-7 წლის წინანდელია; საინტერესოა, ამ ბოლო 6-7 წლის მანძილზე რამდენად იმატა მოსახლეობამ მარნეულის რაიონში და რამდენჯერ... ი კ ლ ო ბაღდათისაში?

თქვენ ზემოთ უკვე წაიკითხეთ ტრაგიკული სტრიქონი: „განვლილ სამ წელიწადში ყოველ ას ძროხაზე მიღებულია მხოლოდ 63 ხბო“.

მხოლოდო, მ ხ ო ლ ო დ ო...

რა სამწუხაროა, რა სამწუხაროა!..

ახლა ამასაც გავეცნოთ:

„...ბოლო წელიწადში ოფიციალურად იქნა აღრიცხული ხელოვნური აბორტის 900 შემთხვევა“.

ეს, რაც ოფიციალურად იქნა აღრიცხული, და რაც ოფიციალურად ვერ აღირიცხება, შინაურულ-ფარული?! თანაც ბაღდათელები მარტო თავის რაიონს ხომ არ არიან მიჯაჭვულნი?!

ერთსაც და მეორესაც დავანებოთ თუნდაც თავი, — ოფიციალური ცნობით შემოვიფარგლოთ:..

900 აბორტი! 30-ათასიან წმინდა, შეურეველ ქართველ მაცხოვრებელზე 900, ც ხ რ ა ა ს ი აბორტი!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): მოსკოვის გაზეთ „ტრუდს“ მოჰყავს ცნობები, სად, რომელ ქვეყანაში რამდენი აბორტი კეთდება: ხუთზე ცოტა მეტ მილიონიან მთელ ფინეთში... 13 ათასი! დიახ, ერთ ნამცეცა ბაღდათთან შედარებით ვეებერთელა ფინეთში — მხოლოდ 13 ათასი!)...

...ამ საუბარში რაღაც არ იგრძნობა, რომ ამ მეორე ამბით (არა ხბორების, — ახალშობილთა კლებადობით) რაიონის ხელ-

მძღვანელობა ცოტათი მაინც იყოს შეწუხებული და აფიქრებდეს ბედი მომავალი მეევნახეებისა, აკი ამ არემარეზე მეევნახეობა სოფლის მეურნეობის მთავარი დარგია...

სხვათა შორის, იქვე ეკითხულობთ, ოღონდ მე პირადად ვერ მივხვედრილვარ, ეს საამაყოა, თუ არცთუ მაინცდამაინც:..

„მაიაკოვსკის რაიონს ერთ-ერთი მოწინავე ადგილი უკავია რესპუბლიკაში პენსიონერთა რაოდენობის მხრივ".

აქ რომ მოწინავეობა შეიცვალოს წამყვანობაზე, რომელ სიტყვასაც მეტწილად უადგილოდ ხმარობენ ხოლმე სწორედ „მოწინავის" ნაცვლად, ამ შემთხვევაში უფრო ზედგამოჭრილი ხომ არ იქნებოდა... „მაიაკოვსკის რაიონს, მოსახლეობის დაბერების მხრივ, წამყვანი — პირველი ადგილი უკავია მთელ რესპუბლიკაში!"

ანდა, აბა, წამყვანი როგორ არ იქნება, თუკი 30-ათასიანი სოფლის, ს ო ფ ლ ი ს მოსახლეობა, არასრული ო ფ ი ც ი ა ლ უ რ ი მონაცემითაც კი ყოველწლიურად ცხრაას მომავალ პენსიონერს მოსპობს ჩანასახშივე...

და ეს, ვიმეორებ, ოფიციალურად კეთდება რაიკომის, რაიაღმასკომის, რაიჯანმრთელობის განყოფილების თვალწინ და ცხვირწინ — მათსავე რაისაავადმყოფოში!

თუმცა სულ მთლად, მგონი, არც ამ „რაი-რაიებს" გაემტყუნებათ: როცა შენი საერო, საქვეყნო მოღვაწეობა, შენი საინიმუშო რაიკომობა „ზევით" უფრო იმით ფასდება და იზომება, გეგმის გადამეტებით რამდენი ღორი მოაშენე და ას ძროხაზე 70 ხბო მაინც თუ მიიღე, და არა იმით, ნებადართულ მკვლელებს რამდენი ჯერ თვალაუხელელი ქართველი გამოსტაცე და რამდენ ჭკუათხელიძეს ჩააგონე წამხედურობით გამოწვეული და უკვე ღრმად ფეხგადგმული შვილიერების ნაცვლად უძეობის დამღუპველი იდიოტიზმი...

დიახ, მაიაკოვსკის რაიონში მეევნახეობას მისდევენ.

ჯერ კიდევ მისდევენ...

ასევე, საქართველოს სხვა რაიონებშიც ქართველები ბევრ რამეს... ჯერ კიდევ მისდევენ...

. . .

ჩვენი ქვეყნის პირველი დემოგრაფი, პროფესორი ბ. ურლანისი, რომელმაც ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გამოაქვეყნა სტატია „Берегите мужчин!“, მკითხველ საზოგადოებაში უემბარასავით რომ გასკდა და, თავდაპირველად, მეტწილად ქალებმა, სასაცილო პარადოქსად მიიჩნიეს, მერე კი, მის უდავო ჭეშმარიტებაში მალე ყველანი დავრწმუნდით, 1981 წლის აპრილში, თითქოს სპეციალურად, ქართველი ხალხის თვალის ასახელად, წერს შემდეგს:

«Грузинская женщина уже давно начала ограничивать свою рождаемость и планировать число детей. Так, например, совсем молодые грузинки в возрасте 25—29 лет 5 лет назад рожали 155 детей (на 1000 женщин), а теперь 132 ребенка. В следующей возрастной группе, т. е. 30—34-летних, число рожденных из 1000 женщин уменьшилось за 5 лет с 88 до 80. Особенно сильно сократили свою рождаемость грузинские женщины в возрасте 35—39 лет: с 40 детей (на тысячу женщин) до 26, т. е. почти вдвое за 5 лет».

(Журнал «Наука и жизнь»)

ასეთ, ცხადია, არაერთხელ შემოწმებულ, ზუსტ ცნობას გვაწვდის სხვა ეროვნების დიდი მეცნიერი, დიდი დემოგრაფი, და არა მხოლოდ თვალსა და გულს მიმნდობი, „აკვიატებული იდეებით მანიაკურად შეპყრობილი ნაციონალისტი, ვინმე კ. ბუაჩიძე“...

ჰოდა, თქვენ, ჰეი, საქართველოს რესპუბლიკის თავკაცებო, ამხანაგებო და ბატონებო, როცა „შავი წიგნის“ ეს მეორე ნაწილიც პირველივით გამოგეგზავნებათ და ბალტიისპირელი ურლანისის ამ სტრიქონებს წაიკითხავთ, ნუთუ არ შეძრწუნდებით, არ აფორიაქდებით, ნუთუ იმ დღესაც, მაინც მხიარულ გუნებაზე შემოუსხდებით სუფრას, რაკი ჩაის გეგმა შეასრულეთ, ყურძენი დააბინავეთ, ქურთების კეთილდღეობაც კიდევ ერთი საფეხურით აამაღლეთ, თქვენი შეუნელებელი, ყოველდღიური რუდუნებით კი ცხვრებსაც ამატებინეთ და ღორებსაც.

კი, ყველაფერი ეს უთუოდ ერთობ სასიხარულოა, მაგრამ... იქნებ იმითაც დაინტერესდეთ, სახელგანთქმული დემოგრაფის ამ შემზარავი ცნობის შემდეგ საქართველო წელში კიდევ უფრო გაწყდა, თუ...

მერწმუნეთ, კიდევ უფრო გაწყდა და წყდება, რადგან ამის საწინააღმდეგოდ მიმართული თქვენი ღონისძიებანი, რომლებიც ამ ბოლო დროს დაისახა, მცირეც არის და ზედაპირულიც; რაიონის მეთაურთ მოსახლეობის ბუნებრივ გამრავლებაზე ზრუნვა არც ახლა ევალებათ, მათთვის ეს საგანი, ასე ვთქვათ, ფაკულტატიურია: გსურს ისწავლე, არ გსურს — ნუ ისწავლი; გამრავლდები — ხომ კარგი, არ გამრავლდები და... კისერიც გიტეხია!

ამიტომაც არის, რომ ურლანისის გამოანგარიშებით, ქართველი ხალხი აღსასრულისკენ არა ნელზე ნელი ნაბიჯით მიდის, — ასე შეიძლება წახვიდე მაშინ, როცა საუკუნის მანძილზე იკლებ რაღაც ერთეული პროცენტით, მაგრამ როცა შენს თვალის დახამხამებაში — სულ რაღაც ხუთი წლის მანძილზეც — კატასტროფულად მცირდები და მცირდები, მაშინ ამოწყვეტისკენ ტაატით კი არ მიდიხარ, დაოთხებული ცხენივით მირბიხარ...

თვალიო, ვთქვი ეს წამია, დიახ, თვალითაც შეიძლება დაინახო თურმე რთული, სტატისტიკური ციფრების მოუშველებლად, შენი ეროვნული უბედურების ასავალ-დასავალი...

დასავლეთ საქართველოს ერთ, შედარებით, პატარა ქალაქში გახლდით. ავტობუსში მესამე თუ მეოთხე გაჩერებაზე ხნიერი, ხელჯოხიანი ქალი ამოვიდა: წინ მიიხედა, უკან მოიხედა — ერთხელ, ორჯერ... მანქანა უკვე შევსებული იყო და ვერსად დასაჯდომი ადგილი ვერ შენიშნა და არც არავინ მოინდომა დაეთმო მისთვის ადგილი...

აღშფოთებულო მკითხველო, ვგრძნობ და მესმის, ახლა რა ღრმად ამოიოხრეთ და თქვით, ო, როგორ გამგელდა ხალხი. როგორ გადაგვარდა, ახალგაზრდობამ რა პირწმინდად დაკარგა ზრდილობა, თავაზიანობა, სულ მცირედი მსხვერპლის გაღების სურვილიც კი...

შემოდავებას არ ვაპირებ, მართალი ბრძანდებით, ოღონდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ამ შემთხვევაში თქვენი ეს სუსხიანი

მსჯავრი მართებული არ არის: იმ ავტობუსში, ვინც უკვე იჯდა, ყველა, ახლად ამოსულზე, ხნიერი იყო...

ჰოდა, იმ ერევნელმა გიდმა, „უმირაიუშჩიო“ რომ ამოიძახა ჩვენზე, ამას ესეც რომ მიუმატოს — „Грузины — нация стариков“, — განა გაემტყუნება?! ფაქტის აღნიშვნისათვის განა მის მიმართ გულში ბოღმა უნდა ჩავიდოთ?

ჭიათურის მახლობლად, სულ აგერ ახლა, ხუთი ახალგაზრდა, მომავალი მამები და ჯარისკაც-გენერლები, ერთ მანქანაში მსხდომნი, ხუთივე გალეშილები, გაჩერებულ სატვირთო მანქანას შეასკდნენ და ხუთივე დაიღუპა...

როგორ, როდის და საიდან შევავსოთ ეს სიცარიელე? მთელ იმ თვეში, ქალაქის მცხოვრებლებში ბაია სამიც არ დაბადებულა...

...ქუთაისში, მარტო ურიცკის ქუჩიდან შვიდი მიცვალებული გაიტანეს, მათ ნაცვლად კი იმხანად იმ გრძელ ქუჩას ერთი ახალშობილიც არ შემატებია...

ერთმა, რუსთაველის პრემიის ლაურეატმა, კინორეჟისორმა, ტროლეიბუსიდან ჩამომავალს თვალი რომ შემასწრო და უცხოური შავი სათვალე ერთგვარი უპირატესობის გრძნობით და თითქოს დაცინვითაც კი მომაპყრო, — მითხრა, ოცი წელიწადია დემოკრატიულ ტრანსპორტში ფეხი არ შემიდგამს, სულ ტაქსით დავდივარო...

მე კი თბილისის ტაქსი ტყავისგამძრობ ფუფუნების საგნად მეჩვენება და, საერთოდ, არც ამას და არც სხვა, ფუფუნებასთან თუნდაც ცოტათი მიახლოებულსაც კი, არც ოდესმე ვეტანები, ტრამვაი-ტროლეიბუს-ავტობუს-მეტროში კი (მართალია, ვიჭყლიტები, მაგრამ... — ეს თქმით არ მითქვამს, გავიფიქრე) თავს ისე ვგრძნობ, თითქოს ბიბლიოთეკაში, საინტერესო წიგნებს შორის ვიმყოფებოდე, — ვცადე მეც მომეკლა მისთვის გული, — მწერალი და რეჟისორი, მსახიობი და მხატვარი ხალხში უნდა ტრიალებდეს და შეუმჩნევლად აკვირდებოდეს მას და არა ოც-ოცი წლობით ტაქსისტის ქენჩოს მისჩერებოდესმეთქი...

ისე კი, მართლაც, ამ „ბიბლიოთეკაში“ — ხშირზე ხშირად მჯდომარეს რამდენჯერ მიოცნებია, ღმერთო, ნეტავი ერთი

ქართველი ორსული ქალი მაინც ამოვიდოდეს, სიხარულით აფოფინებულმა ადგილი რომ დავუთმო-მეთქი...

საქართველოს დედაქალაქში ასეთი ბედნიერება მხვდა მხოლოდ ერთხელ: ახალგაზრდა ქალს, რომელსაც უქამრო, ფართხუნა კაბა ეცვა, ჩემი ადგილი პატარა ბიჭის სიცქვიტით შევთავაზე, მაგრამ ნუ იტყვით... თურმე ეს გაშლილი, ხალვათი, განიერი კაბა იმიტომ კი არ აცვია, რომ არ არსებული ნაყოფი არ შეაწუხოს, — მაისის ბალივით ახლად შემოსული მოდა ყოფილა, რომლის დამწიფებაც მე გამომპარვია...

. . .

ამ ბოლო დროს ჩვენი ერის სააგონიო ვითარებას თითქოს ბევრი მკურნალი გამოუჩნდა: ტელევიზია, რადიო, პრესაც... რესპუბლიკის წინაკაცმაც შეაჩერა ხალხის ყურადღება ჩვენი ამ საბედისწერო სატკივრის ირგვლივ; მრავალშვილიანობის დაფასების ნიშნად ერთი ასეთი სახახელო ქართველი ქალი ბათუმში, პრეზიდიუმში გვერდითაც მოისვა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი თეატრალურ-დეკორაციული ზომები პრაქტიკულ შედეგს ვერ გამოიღებენ...

ეს კია: გლდანში ერთ სამშვილიან, ცხადია, ქართველ ქალს ამ ამბებამდე როგორღაც ესირცხვილებოდა, ჩემს მეზობლებს ყველას ერთი თუ ორი შვილი ჰყავს, მე კი სამი, — ჰოდა, ეს „სიბევრე" ახლა მას უკვე აღარ ეჩოთირება.

ესეც თითქოს უკვე კარგი შედეგია, მაგრამ ღირს კი ამგვარი უმნიშვნელო წარმატება-მიღწევით თავი მოვიწონოთ, თავი დავიმშვიდოთ, ამის იმედად დავდგეთ?

არსებითად არაფრის მთქმელი სიტყვიერი აგიტაცია უწამლებს განა, უმკურნალებს განა ავადმყოფ ერს, ერს, რომელმაც თითქმის სულ ერთიანად დაკარგა ეროვნული თვითშეგნება, ერს, რომელიც მარტო საერთდღეისო ინტერესებით ცხოვრობს, ერს, რომლის ასე უზომოდ აზღვავებულ ქალაქელი მოსახლეობისათვის ჩეხური ფერადი უნიტაზი ამქვეყნიურ ღმერთად იქცა, ეგრეთ წოდებული სახალხო ინტელიგენციის საამაყოდ კი — საზღვარგარეთული ტაში ჩვენი თეატრებისათვის!

...ერს, რომელსაც ჰგონია, რომ დედობა კი არა, — ქალთა ჭადრაკი იხსნის მას გადაშენებისაგან...

როცა ჩვენმა მსოფლიო ჩემპიონმა წააგო დაწყებითი პარტია არაქართველ პრეტენდენტთან, ტელევიზიით სათვალიანმა ჭადრაკის კომენტატორმა დამშვიდება დაგვიწყო, ნუ მივეცეთ, ამხანაგებო, სასოწარკვეთილებას, ნაადრევად იმედს ანუ დავკარგავთო...

მე ამაზე სიმწრით გამეღიმა, დაღუპვის უფსკრულს დავცქერით და არ ვეძლევით სასოწარკვეთილებას და...

არა, მე სათვალავში ჩასაგდები, შეიძლება, დიახაც არ ვიყო, და თუ დღეს ჩემპიონი ვართ, ეს ჩვენთვის მართლაც მთავარზე მთავარია, აკი ტყუილად ხომ არ ვაშენებთ, ნაცვლად სოფლებისათვის ასე დიდად საჭირო გზებისა და ხიდ-ბოგირებისა, — ჭადრაკის სასახლეებს წყალტუბოში, ,საგარეჯოში (მამისგან მიტოვებულმა ბობი ფიშერმა თავისით, წიგნით თუ ისწაელა პატარა, ფეხმოტეხილ მაგიდასთან ჭადრაკის ფიგურების მისვლა-მოსვლა, ამიტომაც „წააგო" ათობით ძიძის მიერ გამოზრდილ საბჭოთა დიდოსტატებთან: 6:0, 6:0, 6:0!)...

აბა ვის არ უხარია, როცა მოპაექრეთა შეხლა-შემოხლისას მისი აზრი იმარჯვებს, ასეთი გამარჯვება მეც, რა დასამალია, მახარებს, მაგრამ, გთხოვთ მერწმუნოთ, თუ ჩემი ყვავ-ყორნის ჩხავილი ჩემი ხალხის საზიანოდ მართლდება-ხოლმე, მე ეს დიდად, დიდად მაღონებს...

პირველ წიგნში უკვე ვწერდი, ქალთა ჭადრაკში არავითარი ქართული ფენომენი არ არსებობს-მეთქი, სხვა ერისანიც თუ ჩვენსავით მოინდომებენ და ჩვენსავით დაეწაფებიან... და აი, ერთმა ლენინგრადელმა ქალიშვილმა, ტომით ებრაელმა, ჩვენი, სადედოფლო ტახტის მოსურნენი, ყველანი ზედიზედ რომ „წაააწვინა"... სხვათა შორის, ორი კვირით ადრე ქართველთა ამ „ეროვნულ ტრაგედიამდე", ჩვენმა ახალგაზრდულმა გაზეთმა ერთ ამათგანზე გენიოსის სიგელი გულუხვად გასცა და თან სინანულიც გამოთქვა, ჩვენ, ქართველები ამ გროსმაისტერით რატომ ისე არ უნდა ვამაყობდეთ მსოფლიოში, როგორც ვამაყობთო რუსთაველით... დიახ, ასეთ სიბრძნეს გვთავაზობს ფსიქოლოგიის თუ სოციოლოგიის, მგონი, პროფესორი...

ო-ო,

რა გვეჭადრაკება,
როცა ბედი წყდება
საქართველოს ol..

გვიშველე, მამაუფალო!..

სვაზილენდი ყველაზე პატარა სახელმწიფოა სამხრეთ აფრიკაში. მის მეფეს, სობხუზ მეორეს, ჰყავს ცოლი ჰყავს და ექვსასი შვილი. მაგრამ ეს ერთი ხელისგულისოდენა ქვეყანა ამით როდია ჩვენთვის საინტერესო, — საკვირველი ის არის, რომ ჩვენგან განსხვავებით, ამ ჯერ კიდევ თანამედროვე ცივილიზაციის ფეხაუდგმელ ქვეყანაში ავტომანქანები თუმც ერთობ მომრავლებულია, მაგრამ მათი ტარების, ექსპლოატაციის კულტურა ბევრად მაღლა დგას, ვიდრე, როგორც ხშირად გვარწმუნებენ, უძველესი ცივილიზაციის მქონე საქართველოში.

სვაზილენდის გზებზე დიდი ასოებით წარწერილი ტრანსპარანტები მძღოლებს აფრთხილებენ:

I გახსოვდეთ,

ხუთი წლის მანძილზე ჩვენს გზებზე სამასი სასიკვდილო

შემთხვევა მოხდა...

ეს ცოტა დანაკლისად როდი მიაჩნია იმ ხალხსაც კი, რომელიც დღემდე ინარჩუნებს პატრიარქალურ წყობას, რომელმაც არ იცის, რა არის აბორტი, არ იცის, რა არის მკვლელობა, რომელსაც არ უსწრაფავს სიცოცხლეს ლოთობა და ნარკომანია, რომელსაც სწამს საიქიო ცხოვრებისა, და მაინც არ ესწრაფვის მოუსავლეთისაკენ.

სამასი „ავტოსიკვდილი" საქართველოში ხუთ წელიწადში კი არა... სულ ცოტა, სამი თვის ნორმაა, მაგრამ ამაზე ჩვენი მაგისტრალები დუმან, — ვაითუ ეს ამბავი მოზამბიკში ანდა ეთიოპიაში შეიტყონ და მათს თვალში კომუნიზმის მშენებელთ სახელი გაუტყდესო; ჩვენში ხომ არაფერი არ ხდება ადამიანიშ

საზიანოდ, არც ბუნება გვერჩის და არც ბუნების მეფე, კაცად წოდებული!

1979 წელს რკინიგზის ნატანებ-ბათუმის გადასარბენზე უსაზარლესი კატასტროფა მოხდა... იმდენად საზარელი, რომ ზუსტად ვერც კი აღირიცხა, რამდენი მგზავრი ცოცხლად ამოიწვა-ამოიბუგა.

ნაცვლად იმისა, რომ დამნაშავენი საქვეყნოდ გაესამართლებინათ და ჩვენ, შეძრწუნებული ხალხი, სასამართლოს ყოველი სხდომის კურსში ვყოფილიყავით, რათა ამით ყველას გაგვეგო და ჭკუა გვესწავლა, რა მოჰყვება, რკინიგზაზე მაინც, რკინისებური დისციპლინის დარღვევას, მხოლოდ ტელევიზორით, ისე, სასხვათაშორისოდ გვამცნეს განაჩენი — პატიმრობის ამდენი და ამდენი წელი მიესაჯათო...

კი, მაგრამ... ტელევიზორს ერთდროულად მთელი ქვეყანა ხომ არ უყურებს, თანაც მარტო ტელევიზიით გაცნობა რაიმე მნიშვნელოვანისა, ეს თითქმის ყინულზე დაწერილს წაგავს...

...თქვე მამაცხონებულებო, პარაგვაიში ავტობუსი გადაბრუნდაო, ორი მოკვდა და სამი დაშავდაო, ამას ჩვენს გაზეთებში დიდი ამბით, სასენსაციოდ თუ ბეჭდავთ...

ჰო, მაგრამ, მამაშვილობას, ეს რა ჩვენი სადარდებელია, პარაგვაიში თუ ურუგვაიში ავტობუსი გადაბრუნდა თუ გადმობრუნდა, მით უმეტეს, რომ ასეთი შემთხვევები იმ ქვეყნებში არცთუ ისე ხშირად ხდება, ჩვენთან კი ამგვარი უბედურებანი, როცა ორი და სამი კაცი კი არა, — ხუთი და ათიც ილუპება და მილიციის სწორუპოვარი მაიორი გიული აბულაძე, რომელსაც, ეპვი არ არის, ჩინებულად მოეხსენება, პარაგვაის მალამოთი ჩვენი ჭრილობები არ განიკურნება და არც დაამდება, ორ-სამ თვეში ერთხელ თუ გახსნის წარბს და გვეტყვის, „გიხაროდენ", ფუშინ საქართველოს გზებზე და მაგისტრალებზე არავინ დალუპულაო...

წყალტუბოს საშენ მასალათა საწარმოს კოლექტიკი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალნენ
ხუტა გიორგის ძე
კვანტალიანი
თინიკო ხუტას ასული
კვანტალიანი
ანზორ ნოდარის ძე
შალამბერიძე.
ნოდარ ანზორის ძე
შალამბერიძე.
ნადია შალვას ასული
შალამბერიძე.
დაკრძალვა 12. VIII ქუთაისში, ბესიკის, 2.

ავტოკატასტროფებში იქლიტება მამა და შვილი, ცოლი და ქმარი, მთელი ოჯახებიც, მაგრამ სამგლოვიარო განცხადებებში, ერთგვარ ძვირად ღირებულშიც კი (როცა დაწესებულება აცხადებს) გამაფრთხილებელ სიტყვა „ტრაგიკულს“ ვერ ამოიკითხავთ, — გარდაიცვალნენო; თითქოსდა, ვთქვათ, ეს სამი ადამიანი სუფრას უსხდა და ტკბილი საუბრისას ჯერ ერთმა ჩაქინდრა თავი და ამოისუნთქა უკანასკნელად, მერე მეორე მოემზადა საამისოდ და... მესამესაც, აბა, სხვა რაღა დარჩენოდა, — მიჰყვა მათ!

განა არ აჯობებს, ისევ ჩვენი დღეგრძელობისთვის, მოსაჩეენარ, დიდად ცივილიზებულ ქვეყნის პრესტიჟს არ გამოვეკიდოთ და მაგალითი აფრიკის იმ „უკულტურო“ სვაზილენდისგან ავიღოთ, რომელიც ყოველ რამდენიმე კილომეტრის შუალედზე აფრთხილებს თავისიანებს, ესა და ეს თავზეხელაღებულობით ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა, და თუ გინდა სიცოცხლეს არ გამოეთხოვო, შენ მაინც ნუ გაიმეორებ მის სიგლახესო...

მე მგონია, ასეთი შეგონება ჩვენ უფრო გვჭირდება, ჩვენ, რომლებსაც არც ედემ-სასუფევლისა გვწამს რამე და არც ელდორადო-სალხინებლისა...

ამას კი ვწერ, ჩემო მკითხველო, მაგრამ ესეც მკითხეთ, მჯერა კი, რომ ჩვენი გამაფრთხილებელი წარწერები, ეგრეთ წო-

დებული იდეურ-ალმზრდელობითი მუშაობა თუ ღონისძიებანი, თუნდაც სიტყვა „ტრაგიკულიც“ მოვიშველიოთ, — ესენი გვიხსნიან, ესენი ჩაგვიდებენ ჭკუას იმ უთაურ თავში, რომელი თავითაც ახლა საქართველოში ავტომესაჭეთა სულ ცოტა 80 პროცენტი დანავარდობს და ინავარდებს, სანამ კისერს არ მოიჭეხს და სხვებსაც არ მოტეხს?!

ბოლო წლების ცხოვრების პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ეს ფუჭი ოცნებაა, და ამ ოცნების განუხორციელებლობას კი საკანონმდებლო ორგანოების ღრმა ძილი უწყობს ხელს და, ცხადია, ისინიც, ვისაც ეს ორგანოები ექვემდებარებიან.

ფაქტი უკომენტაროდ: „...როცა ტრამვაი გაჩერებულია და ხალხი ადი-ჩამოდის, მაშინ არავის არ აქვს უფლება არ დაელოდოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაძვრას. მაგრამ ასე როდი მოიქცა სატვირთო ავტომობილის მძღოლი ქიშვარდ მერმანიშვილი, მან თბილისში დილით ხუთი დეკემბრის ქუჩაზე, სადაც საგზაო ნიშანია — „ფრთხილად — ბავშვები!“ გაჩერებული ტრამვაის ვაგონიდან ხალხის გადმოსვლას არ დაუცადა, სატვირთო ავტომობილის სვლა არც კი შეანელა და ადგილზევე მოკლა ორი მეოთხეკლასელი გოგონა“ (გაზეთი „კომუნისტი“, 28. 11. 82).

„შავი წიგნის“ პირველ ნაწილში მთელი, გულისმომკვლელი თავი მივუძღვენი ჩვენი პატარა ქვეყნისათვის აურაცხელ ფათერაკთა შომტან ავტომობილიზაციას; იქ ყველაზე მეტად მთვრალ მძღოლებს მივუზღე საკადრისი, მაგრამ მიაქციეს კი ამას ყურადღება მათ, ვისაც შეეძლოთ ეს უმტკივნეულესი საკითხი — თავის სიმწვავით თითქმის თანაფარდი აბორტმახეობისა — დროულად, თავისი ქვეყნისა და თავისივე ხალხის სასიკეთოდ მოეგვარებინათ?

ეჭვი არ მეპარება, რომ მათ საქართველო და ქართველი ხალხი ჩემზე ნაკლებ არ უყვართ, მაგრამ...

ო, ეს პრესტიჟი და ეს მუნდირი!..

აბა წამოსცდენოდა ეს მათთან დაახლოებულ რომელიმე ლიტერატურულ ღენერალს, და არა ჩემებრ ჭიაღუა ჯარისკაცს... მაგრამ რა ქნას, როგორ მოიქცეს ეს ჯარისკაცი, თუკი ღენერლები დუმან?! მათგან აიღოს მაგალითი და არ წარმოთქვას გულდასერილმა,—მიიხედ-მოიხედეთ, განა ომისდროინდელ სა-

ქართველოში შეგხვედრიათ ამაზე მეტი შავოსანი, რამდენსაც ახლა, 40 წლის შემდეგ, მის არემარეზე ხედავთ?!

(გენერლისა და ჯარისკაცის, ამ ორი დიდად განსხვავებული სამხედრო პირის ხსენებაზე...

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დასავლეთში დიდად გახმაურდა ერთი რომანი, რომლის ავტორის გვარი ვეღარ მომიგონებია, სათაური — კი (თარგმნილია რუსულად): „Генералы умирают в постели".

ძველ საბერძნეთში ერთი პატრიოტი, კოპლი ახალგაზრდა მთავარსარდალს გამოეცხადა თხოვნით, ბრძოლის ველზე გამიშვითო... უარი უთხრეს, ცალფეხა ხარო... მაშინ ამ ახალგაზრდამ ასე მოუპრა: მეგონა, ომში ჯარისკაცი საბრძოლველად გჭირდებოდათ, და არა იმისათვის, მტრის დანახვისას კუდამოძუებულს მოეკურცხლაო...).

„შავ წიგნში" უკვე ვწერდი, სხვადასხვა ქვეყანაში დასჯის რა ზომებს მიმართავენ მთვრალი მძღოლების ჭკუაზე მოსაყვანად; იმ „მოძველებულ" ცნობებს, ახალსაც წავამატებ:

ავსტრალიაში მთვრალი მძღოლი ხანგრძლივი პატიმრობით ისჯება, მათს გვარებს — შესარცხვენად! — პრესაშიც აქვეყნებენ.

(სხვათა შორის, კარგა ხანს ასე იქცეოდა „თბილისიც", მაგრამ შედეგი — შემარცხვენელი! — არავითარი!

ახლა ამ გაზეთმა უფრო „მკაცრ" ზომას მიმართა: გავაკრათ სამარცხვინო ბოძზეო და... მთვრალი თუ ლოთი მძღოლების სურათების ბეჭდვას მიჰყო ხელი! თანაც როგორის? უყურებ მათ და უნებლიეთ ფიქრი გიპყრობს, ეს პორტრეტები ნიჭიერმა ფოტოხელოვანმა სააკოვმა ხომ არ გადაიღოო...

ერთი რომელიმე მაინც ჰგავდეს მოხულიგნო დამნაშავეს! წვერგაპარსულები, თმადავარცხნილები, ზოგი ლეონარდო და ვინჩის ჯოკონდას გამჭირდავი ღიმილითაც კი შემოგვცქერის...

სწორედ რომ საკვირველია: რამდენი ღირსეული ადამიანი ოცნებობს გაზეთში თავისი გამოსახულება იხილოს, და ეს ოცნება — ისიც ზოგიერთს! — ნეკროლოგში თუ აუხდება, ამათ კი, ლოთ ავტომწიოკებლებს... „მობრძანდით, ინებეთ, გვიმსახურეთ!.." ესენიც... „გადამიღეთ, გადამიღეთ, გამიცნოს ხალხმაო"...).

მალაიზიაში მთვრალ მძღოლს, თუ ცოლიანია, ცოლთან ერთად ციხეში სვამენ; ტერიტორიით ჩვენზე სამჯერ მცირე და მოსახლეობის მხრივ თითქმის ჩვენოდენ სალვადორში კი... ულაპარაკოდ სიკვდილს უსჯიან!..

დიახ, სიკვდილს...

„ცხადია, მძღოლთა შორის ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ეს მეთოდი ყველაზე ეფექტიანია". — წერს იუმორგარევით ფრანგული საინფორმაციო ბიულეტენი, საიდანაც ეს მონაცემები ამოვიღე.

კი, ბატონო, ვიცით-ვიცით, რომ ჩვენ დიდი ჰუმანისტები ვართ (სხვა ქვეყნებში კი სულ... სადისტებია!) და მთვრალ მძღოლს არათუ სიცოცხლე უნდა წაართვა (თუმცა, რამდენი მათგანი ართმევს სხვებს სიცოცხლეს!); და არც ცოლთან ერთად ციხეში უნდა ჩასვა (თუმცა რამდენ ცოლს აცმევენ ისინი შავებს!), მაგრამ ამით მაინც დასაჯე:

სიმთვრალეში მეორედ შემჩნევისას ჩამოართვი სამუდამოდ მართვის უფლება და ჩამოართვი ულაპარაკოდ მანქანაც!

მოდით, მამულიშვილნო, ვიკმაროთ გაუთავებელი თავისქება და ეროვნული ტრაბახი აღმატებით ხარისხში და ერთხელ მაინც ჩავიხედოთ თანამედროვეობის რეალურ, პირუთვნელ სარკეში: ჩვენნაირი ხალხის თავხედ, თავაშვებულ, უტიფარ, წამხდარ, უზნეო მძღოლებს ამ სენისაგან ვერავითარი სხვა წამალი ვერ განკურნავს!..

ათასმანეთიანი ჯარიმაც კი! (ახლა „სასემიჩქო" ათმანეთიანს ახდევინებენ!).

დასავლეთში, რომლის ყოფით კულტურას დღესდღეობით ჩვენ ახლოსაც ვერ გავეკარებით, ოდნავ ნასვამ მძღოლსაც სასტიკად სჯიან, ჩვენთან კი რამდენჯერმე ხელჩავლებულ ლოთსაც კი, სულ დიდი, შეიძლება ჩამოართვან ერთი წლით, თუნდაც, ვთქვათ, სამი-ხუთი წლით მართვის უფლება, და ესეც, ფაქტიურად, ფორმალურად, აკი იგი ამის მერეც უმოწმობოდაც აღმა-დაღმა, ზოგჯერ კვლავ ნაბახუსევი, თავაღერილი დაეჯენებს თავის „პირის ზიარებას"...

ნორვეგიაში კი ერთხელ, მსუბუქად ნაღვინევი ტახტის მემკვიდრეც არ დაინდეს და როგორც გადაკრულს, საპყრობილეში უკრეს თავი, საქართველოში კი... მართალია, უფლისწულე-

ბი არა გვყავს, მაგრამ ისეთი „წულები“ და „ბატონიშვილები“ კი თავზე საყრელად მოგვეპოვებიან, რომელთა აღვირახსნილობის ასალაგმავად, ისევ და ისევ მათივე სასიცოცხლოდ და, საერთოდ, მთელი საზოგადოების საკეთილდღეოდ, წლიდან წლამდე მრისხანე კანონს ველოდებით, მაგრამ მის შემოღებას ამდენი ხანია პირი არ უჩანს (მარტო ერთი რესპუბლიკისათვის სეპარატული კანონის გამოცემის უფლებას მოსკოვი არ მოგვცემსო), და თუ ოდესმე შემოიღეს, იმ დროისათვის, ალბათ, ბევრი ჩვენგანის შესანდობელიც კი, მივიწყების გამო, აღარც შეისმება...

თითქოსო არც გაემტყუნებათ, რაკი ჩვენი პრესა იმითაც კია გახარებული, რომ...

„წლეულს რვა თვეში თბილისში მოხდა შარშანდელთან შედარებით ნაკლები — 424 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომლის დროსაც დაიღუპა 50 და დაშავდა 534 კაცი. ამავე დროის მანძილზე შემთხვევების ადგილიდან გაიქცა, და მიიმალა ათობით მძღოლი, რომლის დროს დაიღუპა შვიდი, ხოლო დაშავდა 95 კაცი... საერთოდ კი გამოვლინდა მოძრაობის წესების დარღვევის 195,383 შემთხვევა. მათ შორის ავტომანქანას მართავდა 1583 მთვრალი“ („კომუნისტი“, 25. 10. 82).

ეს მხოლოდ რვა თვეში და მხოლოდ შარშანდელთან შედარებით, თანაც მხოლოდ თბილისში.

ახლა ესეც წარმოვიდგინოთ, მთლიანად საქართველოში მთელი წლის მანძილზე რამდენი ავტოსიკვდილი და რამდენი ავტოსგან გახეიბრებული უნდა დავითვალოთ და რამდენით მეტი იქნებოდა ასეთი უბედურებანი შარშან, თუკი ეს წლევანდელი შარშანდელზე თუნდაც ნაკლებია?!

კი, მაგრამ... თუ ასე უმოწყალოდ დავიხოცეთ და დავსახიჩრდით, თანაც, უმეტეს შემთხვევაში, სიცოცხლის ჯან-ღონით სავსე ასაკში, თუ ასე უდროოდ ავტომობილის ბორბლებით ჯვარი დაესმება უკვე დამშვენებულ ჩვენს სიცოცხლეს, მაშინ რალა აზრი აქვს ჩვენს დაბადებას, ჩვენს გაზრდას, ჩვენს სწავლას, ცხოვრების ასპარეზზე გამოსვლას?!

ვფიქრობ, მკითხველისათვის საინტერესო იქნება, იგივე გაზეთი როგორ აჯამებს ამ რვა თვის „უხვ მოსავალს“:

„დიდია მორალური და მატერიალური ზარალი. ათობით

ოჯახი დაობლდა და დაქვრივდა, რამდენი ადამიანი სამუდამოდ დახეიბრდა, შრომის უნარი დაკარგა, სახელმწიფომაც დიდი ზარალი განიცადა".

ხედავთ და გესმით? დიდია თურმე სახელმწიფოს ზარალიც! მერედა, რას ფიქრობს სახელმწიფო, ამ შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკა, ამ ზარალზე, რომელსაც, ყოველგვარი სხვა ზარალისგან განსხვავებით, ვერაფრით, აბსოლუტურად ვერაფრით და ვერასოდეს ვერ აინაზღაურებ?!

თუმცა... მმ... ეგებ ტყუილად ვეძლევით პანიკას, ა? აბა ერთი რუსულ გაზეთსაც მოვუსმინოთ:

„შარშან საქართველო ჩვენს ქვეყანაში პირველ ადგილზე გავიდა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა რაოდენობის კლების მიხედვით და რესპუბლიკურ სახელმწიფო ავტოინსპექციას თავისი არსებობის მანძილზე პირველად მიენიჭა გარდამავალი დროშა". („მოლოდიოჟ გრუზიი", 11. 9. 82).

ამ სიხარულს თავის ინტერვიუში ის დიდი თანამდებობის პირი გვიზიარებს, რომელსაც, შეიძლება, უკვე ჩაბარეს საქართველოს „გზებზე და გზაჯვარედინებზე" „დიდრუანი" მიღწევისათვის ეს დიდი ჯილდო!

რასაკვირველია, აღნიშნული ფაქტის სისწორეში ეჭვს, აბა, როგორ შევიტანთ, და ჩვენც, შავებით შემოსილი ათასობით დაობლებულები, დაქვრივებულები, გახეიბრებულებიც... მმ... შეეხარით და შევციცინებთ ამ გარდამავალ წითელ დროშას, ოღონდ... ცოტა თითქოს გვიკვირს კი, თუკი საქართველო გამოვიდა „ამ გზებზე" პირველ ადგილზე, მაშინ რომელიღა ადგილი და რა ფერის დროშა მიეკუთვნათ, მაგალითად, ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს, კერძოდ ესტონეთს, სადაც არათუ მძღოლი, ქვეითიც კი, მანქანის ჭაჭანება სულაც რომ არ ჩანდეს, ვიდრე წითელი შუქი არ ჩაქრება და მწვანე არ აინთება, არავინ, არავინ (გარდა საეაჭროდ ჩასული ქართველისა!) ქუჩას არ გადაკვეთს!...

ვინ იცის, ეგებ ეს არის მიზეზი, რომ ამ საამო ცნობის ჩვენებრ ოტროველა წამკითხველს როგორღაც ტკივნს უბურღავს ბილწი, ცილისმწამებლური შეკითხვა: ახლა რამდენი დაუჯდათ და კიდევ რამდენი დაუჯდებათ ეს დროშა — წითელი! — მომავალ წელსაც რომ შეინარჩუნოთ?!

ერთმა ჭონებრივად და მეცნიერულად უცენზო, მაგრამ გონებაგახსნილმა მოხალისე სოციოლოგმა ამას წინათ მკითხა, აი, მარქსისტულ-ლენინური თეორიის მიხედვით, სახელმწიფო ბოლოს და ბოლოს, კომუნიზმის დადგომისას, ხომ უნდა მოკვდეს-გაუქმდეს; ჰოდა, თუკი ამჟამად, კერძოდ საქართველოში, როცა სახელმწიფო სრულ ძალაშია, და მაინც, ირგვლივ ენით ძნელად ასაწერი ამდენი სისაძაგლე სუფევს და ტრიალებს, რაღა იქნება მაშინ, როცა კომუნისტური სახელმწიფო დასჯის ფუნქციებს დაკარგავს, და ჩვენ ყველანი თავის ნება-ქეიფ-ხუშტურზე ვიქნებით მიშვებულნიო...

არ დაგიმალავთ, ეს კითხვა იმდენად რთულად მომეჩვენა, მოსაუბრეს ვთხოვე პასუხის მოსაფიქრებლად ერთი წლის ვადა მოეცა, გულში კი ჩავილაპარაკე: ამ ერთ წელიწადში ან შენ გაგიტანს გალეშილი ან ცეტი ვინმე რეტიანი, ან მე გამიტანს, და მაშინ არც მე დამჭირდება ამაზე პასუხის გაცემა, და არც შენ მისი მოსმენა-მეთქი...

კიტა ბუაჩიძე
1982 წელი.

 პოსტსკრიპტუმი: ალბათ იკითხავთ, ამ რვა წელიწადში ჩვენს „გზებზე და გზაჯვარედინებზე" ნუთუ ოდნავ მაინც არ წაიწია ჩვენი ეროვნულ-საზოგადოებრივი შეგნებაო...

არა! უფრო გაუარესდა, კიდევ უფრო გაუარესდა...

თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველო იტყობინებოდა:

„განვლილ კვირაში (9-დან და 15 ივლისის ჩათვლით) თბილისში (ეს მარტო თბილისში! — კ. ბ.) მოხდა 8 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, დაიღუპა 2, დასახიჩრდა 14 კაცი. სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებმა გამოავლინეს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის 3028 შემთხვევა, ტრანსპორტს მართავდა 25 მთვრალი მძღოლი, 75 — უნომროდ, 110 — ტექნიკური დათვალიერების გარეშე, რეგისტრირებულია 284 ავარიული სიტუაცია, 49 მანქანა აბინძურებდა ჰაერს, ათ-ათი მანეთით დაჯარიმებულია მოძრაობის წესების 2.026 დამრღვევი".

...ეს ვინც გამოავლინეს, და ვინც ასცდა გამოვლინებას? მათი რიცხვი გამოვლინებულთ, ალბათ, სულ ცოტა, სამჯერ მაინც აღემატება...

3 ივლისის გაზეთ „თბილისის“ მხოლოდ ერთი ნომერი სამგლოვიარო განცხადებით ორ სამ-სამსულიან ოჯახის ამოწყვეტას გვაუწყებდა...

ჩვენი რესპუბლიკის თავკაცებს ეს რომ თვალში მოხვედროდათ, ვფიქრობ, რა მშიერნიც უნდა ყოფილიყვნენ, როგორც დიდად შეშფოთებულნი, იმ დღეს სადილს პირს არ დააკარებდნენ და ამჯობინებდნენ სასწრაფოდ ეთათბირათ ავტომობილისგან ერის ხსნა-გადარჩენის უმკაცრესი სამართლიანი კანონის შემუშავების გადაუდებლობის თაობაზე...

მით უმეტეს, რომ, მგონი, უკვე დაგვიდგა ის ნანატრი დრო, როცა საამისოდ მოსკოვის თანხმობა — „დალოცვა“ საჭირო აღარ არის...

და თუ, ვინიცობაა, ჩვენი ახალი მამები, უწინდლებივით, არც ახლა მოგვაპყრობენ ყურს...

მაშინ შენ მაინც მოგვხედე, მამაუფალო!..

21 ივლისი, 1990 წელი

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წლის დეკემბერი): „შავზე შავი წიგნის“ ეს ნაკვეთი ამ სახით დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტში“ 1990 წლის ივლისში; რესპუბლიკის იმჟამინდელ თავკაცებს იგი თვალში უეჭველად მოხვდებოდათ, მაგრამ, როგორც ჩანს, დიდად არ შეშფოთებულან...

ახლა ისღა დაგვრჩენია ვიფიქროთ, რომ ჩვენი ახალი, ეროვნული მთავრობა მაინც, შეებრძოლება საკადრისად ერის ავტომკვლელებს, დაუსჯელობის იმედით ასე არხეინად, ურცხვად და ველურად რომ დანავარდობენ საქართველოს ოღრო-ჩოღრო შარაგზებზეც კი...

ორ ადამიანს შეუძლია ერთმანეთის ვადარჩენა იქ, სადაც ერთი იღუპება.

ო. ბალზაკი

ვფიქრობ, არ დაეჭვდებით, მე ბრმა არა ვარ და, თითქოს, არც ბეცი ვარ, და ჯერ არც გამადიდებელი შუშა მჭირდება-ყველა იმ კარგის დასანახავად, რაც ჩემს სატრფიალო სამშობლოში კეთდება და ხდება, და თუ მათზე „შავი წიგნის" ამ მეორე ნაწილშიც ყურადღებას არ ვამახვილებ, ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ საამისო, ზოგჯერ უკიდეგანოდ გაზვიადებული, ხოტბა-დიდების სიმღერები ისეც ბევრი გვესმის დილით თუ საღამოთი, ზემოდან თუ ქვემოდან, მარჯვნიდან და მარცხნიდან...

ტანძიაში ხუთიოდე ბავშვისათვის სკოლის გახსნაც მნიშვნელოვან ეროვნულ საქმედ მიმაჩნია, ასევე დიდი ეროვნული საქმეა აჭარლების ჩამოსახლება მესხეთში, და, საერთოდ, ამ კუთხისათვის განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა; აგრეთვე თუშ-ფშავ-ხევსურეთისაკენ პირის მიბრუნებაც, ოღონდ ამის ირგვლივ ამდენი დაფდაფი ნაადრევი ხომ არ არის? ორად ორი კომლის დასახლების თაობაზე თითქმის არ უნდა გვეთქმოდეს, აღორძინდა სოფელიო...

სხვათა შორის, როგორც კი ამ აღორძინების სადღეგრძელო შეისვა, სწორედ მაშინ ერთმა ხევსურმა ლიტერატორმა ივაჟკაცა და გვამცნო: „ფშავ-ხევსურეთში მოსახლეობა კატასტროფულად კლებულობს, პირდაპირ რომ ვთქვათ, ამ მხარეში მოსახლეობა გამოილია".

ეს რომ პანიკური გადაჭარბება არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ მაგალითად, მწერალთა კავშირის წევრთა ცნობარში შეგიძლიათ ამოიკითხოთ ამ მხარიდან გამოსული ხ უ თ ი ერთი გვარის მწერალი; ეს მაშინ, როცა თვით უზარმაზარ რუსეთშიც არ არის ხუთი ი ვ ა ნ ო ვ ი ლიტერატორი, თუ, რასაკვირველია, ამ გვარის მქონე იაკუტებს და ჩუქჩებს არ ჩავთვლით.

...საგარეჯოში უდაბნოს გამოცოცხლება-განაშენიანებაც, რა თქმა უნდა, საშვილიშვილო საქმეა, იქ აღმართული „სიცოცხლის სვეტიც“ ღირსშესანიშნავია, მაგრამ, რა ვქნა, მკრეხელობასა და უმადურობაში არ უნდა ჩამეთვალოს, თუკი მას ტელევიზიის დიქტორივით („მოამბე“, 1982 წლის 12 ივნისი) „ქართველი ერის მ ა რ ა დ ი უ ლ ი სიძლიერის სიმბოლოდ“ არ მივიჩნევ.

ახლა ვერავითარი სიმბოლო, თუნდაც იგი ათენის აკროპოლის მარმარილოსაგან გამოიკვეთოს, ვერ უზრუნველყოფს ქართველი ერის მარადიულობას. საამისო გარანტი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი შვილები და ჩვენი შვილიშვილები არიან, თანაც ერთი და ორი კი არა...

ერს მაგალითი სჭირდება, და ეს მაგალითი, თუ გვინდა, რომ ის შთამბეჭდავი იყოს, უწინარეს ყოვლისა, ზემოდან უნდა მომდინარეობდეს.

მერე? ვხედავთ კი ვინმე მათგანისგან საამისო, მისაბაძ მაგალითს?

ერთს, რომელზეც არ ითქმის „ვინმე“, — სახით და გვარით მას ბევრი იცნობს, აკი რესპუბლიკაში იგი სათვალავით ნომერ... არა, მის თავს არც ნომრით გაგიმეღავნებთ და არც თანამდებობით, ვიტყვი ისე, როგორც საერთოდ ჩვენში ამბობენ ხოლმე: დიდი კაცია!

ჰოდა, რაკი ამ დიდ კაცზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, თუ როგორ და რა გზებით გადაიჭრება საქართველოს საწყალ და სამომავლო მტკივნეული პრობლემები, ბევრი წვალების შემდეგ, როგორც იქნა, ბ ი ნ ა ზ ე მივაწვდინე „შავი წიგნი“ (ბინაზე, ვინძლო მერმე, რომ თავი არ ემართლებინა, ჩემს აპარატს არაფერი გადმოუციაო), და როგორც მისმა მძახალმა გადმომცა, მოეწონა ძალიან, მაგრამ ესეც უთქვამს, მოსკოვი, მოსკოვიო...

ბოდიშს კი ვიხდი ამ შინაურული სიტყვისათვის, მაგრამ... როგორ, მოსკოვი გაგვიკეთებს ჩვენ — შვილებსა და შვილიშვილებს? მოსკოვის იმედად დავდგეთ ამ სამკვდრო-სასიცოცხლო საქმეში?!

ამ ყველასათვის დასანახავ ამხანაგს ერთი შვილი ჰყავს და ერთადერთი შვილიშვილი...

მარტო ერთი შვილი რომ იყოლიე, კარგი, ბატონო, მაშინ ახალგაზრდა იყავი და იმის შეგნება არ გაგაჩნდა და არ გესმოდა, ამით როგორ მტრობდი საკუთარ შვილსაც, საკუთარ თავსაც და საქართველოსაც, მაგრამ ახლა? ეს შენი, თუ შორს გავიხედავთ, დანაშაულებრივი, საძრახისი შეცდომა ახლა შვილსაც გინდა გაამეორებინო? მაინც რა გიშლით ხელს?

ეგებ ბინა არ გყოფნით, ა?

ეგებ საკვები შემოგაკლდათ, ა?

ეგებ ჩასაცმელ-შესამოსელი შემოგეხათ, ა?

თქვენი ნომენკლატურის კაცს არაფერი ამგვარი რამ არ აკლია და, ვფიქრობ, არც თქვენ დაიკლებთ: სახელმწიფო, მმართველ პარტიაში მხოლოდ კარგი ცხოვრებისათვის შედიან, თეთრი ყვავი კი ბუნებაში ჯერ არავის უნახავს.

ერთ ხნიერ მანდილოსანს და ახლაც ლამაზს (ეგებ ამ ქათინაურით მომიტევოს მისი ამბის ასე, მთელ დუნიაზე გამოფენა!), თანამდებობით დემოკრატიული ტრანსპორტით „გადაადგილ-გადმოადგილება" რომ არ უხდება და სხვა მოვალეობებთან ერთად ერის გამრავლებაზე ზრუნვა უშუალოდ ევალება, „შავი წიგნის" გაცნობისას ეთქვა, ამის წამკითხველ ქართველს ნუთუ მშვიდად დაეძინება, მე მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს, გულის გასამაგრებლად დროდადრო ვალიდოლს ვღებულობდიო...

ცოტა მოგვიანებით მან ეს თავისი, აფორიაქებული სულიერი განწყობილება (და არა განწყობა, — მნიშვნელობით განსხვავებულ ამ ორ სიტყვას ბევრი ახლა ერთმანეთში რომ ურევს და ამჯობინებს დიმიტრი უზნაძის „განწყობა" უფრო იხმაროს, რათა თავი ღრმა განათლებულად მოგვაჩვენოს), მგრძნობიარე ლექსითაც დაგვიდასტურა, ოღონდ ესეც არის, ამ პოეტურ პროპაგანდა-აგიტაციას, თუნდაც ჭეშმარიტი პოეზიითაც გასხივოსნებულს, განა უფრო არ აჯობებს, როგორც მრავალთათვის ერისქალად ცნობილმა, მისცე ხალხს ცოცხალი მაგალითი — შენი შვილები მესამე ბავშვზე მაინც დაიყოლიო?!

ეგებ მაშინ, ამის შემხედვარე წყალტუბოელი, ნახევრად სოფლელი, ნახევრად ქალაქელი, ქმრის „შანსიანობით" ჰალვამარმელადისგან გამილიონერებული, ოთხშვილიანი სირანა ამბარცუმიანის კარის მეზობელი ქართველი ქალი, ჩვენს სევდი-

ან საყვედურსა და დაჟინებულ თხოვნა-ხვეწნაზე, იყოლიე მესამე შვილი-თქო, უდარდელი სიცილ-კისკისით არ გვიპასუხებდა, მარტო მე ხომ ვერ გავამრავლებ ქართველ ხალხსო...

ჩვენ-მეთქი... დიახ, ჩვენ!..

ამ ყოფნა-არყოფნის, ერის საარსებო საკითხის ირგვლივ, გასულ კვირას, ტელევიზიით ერთი მეტად პატივსაცემი, უკვე თითქმის მოხუცი ნამასწავლებარი გულშიჩამწვდომი სიტყვებით გამოგვესაუბრა...

ძნელია, რა თქმა უნდა, ძნელია შენს უბედურებაზე, თანაც საოჯახო უბედურებაზე, საჯაროდ ყველას გული გადაუშალო, მაგრამ თუ ეს შენი მამულისა და შენი ხალხის საბედისწერო სასწორის პინას აქეთ, გადარჩენისკენ თუნდაც ერთი მიკრონით გადმოსწევს, მაშინ ამას, ვფიქრობ, არ უნდა მოვერიდოთ... ამ კარგ ადამიანს კი სიცოცხლე ჯერ კიდევ შუა ხნოვანებაში მოეშხამა: ერთი შვილი ავტოკატასტროფამ იმსხვერპლა, მეორე კი... არა, რაკი თვითონ არ ინება, მეც არ მივცემ თავს უფლებას სხვის სულში დაუკითხავად ხელი ვაფათურო; ისე კი, ეს ამბავი, არათუ ერთშვილიანობის, — ორშვილიანობის ხშირზე ხშირი ტრაგიკულობა, ბევრს ჩააფიქრებდა, რასაკვირველია, გონიერთ, მხოლოდ გონიერთ...

სწორედ გონიერთათვის გავიმეორებდი კიდევ ერთხელ, — აღზრდას, უეჭველია მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არა გადამწყვეტი...

ერთი და ორი ბავშვით რომ იფარგლებიან, — კერძოდ ჩვენი დღევანდელი ფსევდოინტელიგენცია, მეტწილად კარგი აღზრდის იმედით საზრდოობენ; გაუგონიათ, ბავშვი დაუწერელი დაფაა, რასაც დაწერ, ის წაიკითხებაო; ანდა, ეს ცნობილზე ცნობილი და ძველთაძველი, — ო-ო, თქვენი აღუ უკვე ორი კვირისა ყოფილა, და თქვენ მისი აღზრდა უკვე ორი კვირით დაგიგვიანებიათო, — ბავშვებზე, მოზარდ-დიდებზე და საკუთარ თავზეც ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მე ამ საალმზრდელო რჩევა-დარიგებას, ერთსაც და მეორესაც, იუმორისტულ ლიტერატურას ვაკუთვნებ, და თუ ამას ანგარიში არ გაეწევა, ცხადია, არ გამეხარდება, აკი ეს ჩვენს ეროვნულ შეგნებას მოგებას არ მოუტანს, მაგრამ გაკვირვებით არც ის გამიკვირდება, თუნდ ესეც შემომძახონ:

— შენ ჰეი, აფხანიკო, აბა ასეთი ვინა ბრძანდები, რომ დაგიჯეროთ, ჟანა-ჟაკი რუსო ხარ თუ პრაფისორი ამონაშვილი?!

...სტალინზე უკეთესი აღმზრდელი ვინ შეიძლება მოინახოს კაცობრიობის ისტორიაში? — ეს ხალხთა მამა მილიონებს თავის ჭკუაზე ზრდიდა, მაგრამ აი, მისმა ქალიშვილმა, რომლის აღზრდა არც მამას, არც კრემლის სანიმუშო ბავშვთა, ჯერ ბაგას, მერე ბაღს, მერე სპეცსკოლას, და არც მის თითქმის მუდამ თანმხლებ, საგანგებოდ შერჩეულ აღმზრდელ გენერლებს, არათუ ორი კვირით, — დღე რა არის, ერთი საათითაც არ დაუგვიანებიათ, მაგრამ...

ჩვენი საბჭოთა დროისათვის და ჩვენი საბჭოთა ქვეყნისათვის ასე საიმედო სრულყოფილად აღზრდილმა სვეტლანა ჯუღაშვილ-სტალინა-ალილუევამ, როგორც კი იხელთა დრო, მამის აშენებულ ქვეყანას ერთი მაგარი ჭიტლაყი ჰკრა და ესეც რომ არ იკმარა, ღვიძლი მამის — მეოცე საუკუნის მსოფლიოს ყველაზე საკვირველება-კაცის — თავისმომჭრელი მოგონება-მემუარებით გაახარა ჩვენი პლანეტის ყველა ანტიკომუნისტი... უფროსმა შვილმა კი, იაკობმა, რომელიც არათუ იზრდებოდა მამის კალთისა და ზედამხედველობის ქვეშ, — მამას წელიწადში მოძულებული ობოლივით, ძლივს ერთხელ-ორჯერ თუ იხილავდა (მენდეთ, — 1934 წელს მე მას რამდენჯერმე შევხვედრივარ სტალინის, ადრეც და მერეც, მეგობრის, ყოფილი მღვდლის, პეტა კაპანაძის ვაჟის ბინაზე მოსკოვში, ლუბიანკაზე), — და მაინც მან, საგანგებოდ სულაც არაღზრდილმა, უფრო — თვითაღზრდილმა, მამა არ შეარცხვინა და მისი საქმისათვის უდრტვინველად თავი დადო ტყვეთა ჰიტლერულ ბანაკში...

...სულ აგერ ახლა თბილისში ბევრი გაცეცდა, სულით და გულით ამ კომუნისტს, დეპუტატს, დიდ პარტიულ ამხანაგებთან ერთობ დაახლოებულ პირს, როგორ და საიდან გამოუვიდა ასეთი „ანტი" ქალიშვილი, რომელიც მამის კვალს არ გაჰყვა, თავის კვალმა კი მშვენიერი ბინიდან ერთ, ჩემთვის კარგად ნაცნობ, „კომუნალურ სავანეში" მიიყვანა...

(კაცს ძალაუნებურად გაგონდება თითქმის ზუსტად ასი წლის წინანდელი ისტორია: რარიგ გატყდა წელში პეტერბურგის ყოფილი გენერალ-გუბერნატორი ლევ პეროვსკი, როცა

შეიტყო, რომ მისი „სოფიკო“ მეთაურობდა ალექსანდრე მეორის მკვლელობას, თითქოსდა თავისი ქალიშვილი მან კი არა, — სტეფანე ხალტურინმა აღზარდა, მუშა-დურგალმა, ამაზე ერთი წლით ადრე ზამთრის სასახლეში აფეთქება რომ მოაწყო).

...ტელევიზიამ ამ ცოტა ხნის წინათ კახეთში ხელთ მოიგდო კაცის მკვლელის მამა, აი ისეთი, ჩვენდა საბედნიეროდ, ჯერ კიდევ რომ შერჩენია მშრომელი გლეხკაცის იერი, გარეგნობითაც და სიტყვა-პასუხითაც...

ცოტა მიკიბულ-მოკიბულად კი ჰკითხეს, მაგრამ ამ მიკიბ-ვაში მაინც გამოსჭვიოდა შენიღბული საყვედური: სად გქონდა, კაცო, თვალები, რატომ აღზარდე კაცის მკვლელი შვილიო...

ვინ არ იცის, თუ პირწმინდა პათოლოგიასთან არა გვაქვს საქმე, მკვლელსაც არ ეჭაშნიკება შვილიც ავკაცობის გზას თუ დაადგება, ჰოდა, ტელეშაფოტზე ლამის გაკრული ეს კახელი გლეხი უცრემლო თვალებით, მაგრამ ცრემლიანი ხმით თავაუღებლივ ალუღლუღდა:

— აბა რა ვიცი... ერთნაირად კი იზრდებოდა ეგეცა და მისი ძმაცა, თანდილაცა... ეგ ეგეთი გამოვიდა, ისა კი... კაცს კი არა... ბარბალობაა დღესა... კარგი საქციელის ქათამია, დედაჩემო, ღმერთი გვიწყენს, ნუ დავკლავთო...

ადრეც ვწერდი და კვლავ გავიმეორებ: ადამიანი თუმც თანდაყოლილი ბუნება-ხასიათით იბადება, მაგრამ მის, ასე ვთქვათ, გაკარგება-გაცუდებაში სოციალური გარემო, სახელმწიფოში გაბატონებული საზოგადოებრივი სისტემა მცირეოდენ როლს როდი ასრულებს...

ახლა ჩვენს ირგვლივ უთვალავ დამნაშავეთა შემყურე, შეძრწუნებულ ხალხში ხშირად გაიგონებთ, პასუხი დამნაშავე შვილის მშობლებმაც უნდა აგონ, თვით სასამართლოს წესითაც კი, და არა მარტო მცირეწლოვან დამნაშავეთა დედიკო-მამიკოებმაო...

მართალი გითხრათ, არ ვიცი ამის თაობაზე ჩემი მოსაზრება რა პირით გამოვთქვა... ვთქვა, რომ ეს არათუ იურისპრუდენციის თვალსაზრისით, — უბრალო საზოგადოებრივი მორალის მიხედვითაც არ იქნებოდა გამართლებული, მაშინ, ვაითუ, ჩემმა „მეგობრებმა“ ბრძანონ, თვითონ არის პასუხისგებაში მისაცემი და ამიტომაც არ ეპიტნავება ასეთი კანონის შემოღებაო...

თავს არ ვიმართლებ, ურიელ აკოსტასავით სამსჯავრო-სინაგოგაში თავზე ნაცარს რომ იყრიდა და ტანზე პერანგს იხევდა, მეც მასსავით...

— „დამნაშავე ვარ, დამნაშავე ვარ, დამნაშავე ვარ!..“

ერთიც იმიტომ, რომ ერთი შვილი მყავს, მეორეც იმიტომ, რომ მისი აღზრდა არათუ ორი კვირით, — თითქმის 13 წლით დავაგვიანე (და თუ რატომ მოხდა ასე, ეს გრძელი ისტორიაა და მისი ახლა აქ მოყოლა უხერხული იქნებოდა; ამის დრო მაშინ მოვა, როცა თქვენი მონა-მორჩილი წვალების ამა ქვეყნიდან ზოგისთვის „უდროოდ“ წავა, ზოგისთვის... „სწორედ რომ დროულად... დააგვიანა კიდეც“...).

...დიახ, „დამნაშავე ვარ, დამნაშავე ვარ“... 18 წლის განმავლობაშიც კი ჩემს ვაჟს ვერაფერი ვერ შევაყვარე ის, რაც მე მიყვარს... თუ იტყოდით, ეს იმის ბრალია, რომ მას დედა არაქართველი ჰყავსო, მე გიპასუხებდით: ეს, შეიძლება, მართებულიც არის, მაგრამ არც სულ...

ალექსანდრე სუმბათაშვილს დედა რუსი ჰყავდა, რუსულ გარემოში იზრდებოდა და სიცოცხლის ორ მესამედზე ბევრად მეტი რუსებში გაატარა, ქართული ენა ეძნელებოდა, და მაინც, სულით, გულით, შუა რუსეთშიც მყოფიც, ნამდვილი ქართველი გახლდათ, და მოსკოვის ქართველთა სათვისტომოსაც თავმჯდომარეობდა...

მე, რა თქმა უნდა, შინდა ჩემმა შვილმა ჩემი ერის ქალი შეირთოს და შვილებიც ქართულ სკოლაში მიაბაროს, რომ...

მოკლედ, მინდა ცოტათი მაინც შემიწყოს ხელი იმაში, რასაც ვწერ და რასაც ვემსახურები, მაგრამ, ჩემდა სავალალოდ, საამისო თანადგომას ჯერჯერობით ვერაფერს ვხედავ, თუმცა... ვინ არ იცის, თუ კაცს დანახვა არაფრისა უნდა, სარკეშიც რომ ჩაიხედოს, საკუთარ თავსაც ვერ დაინახავს...

ჭირმა შეჩვევა იცისო.

ანდაზა

ჩვენს დროში შემზარავ, წინათ ცივი გონებისთვისაც ძნელად წარმოსადგენ ამბებს ისე შევეგუეთ, აღარც კი ვიცით, რა უნდა მოხდეს კიდევ ისეთი, რომ გული ჩვენი მიჩვეულზე უფრო მეტად შეძრას და სულს მოსვენება სულ ერთთავად დაუკარგოს, მით უმეტეს, რაღაც ორიოდე სიტყვით ნაამბობმა...

არადა, ამ გრძელი ისტორიის გრძლად მოყოლა გაზრდიდა ამ ხელნაწერის მოცულობას და გააძვირებდა ქსეროქსზე მის გადატანას.

(რაკი ფარულად, მაინც შიშით ბეჭდავენ, გვერდში 20 კაპიკი უნდა მისცე, და როცა ერთხელ სტეფანე-ოსტატს...

— ძალიან ძვირია, ამდენი სად შემიძლია... ეს საერო საქმეა... ქართველი არა ხარ?! დამიკელი, 15 კაპიკს მოგცემ.

— რომ დამიჭირონ?!

— როგორ? აბაზს თუ მოგცემ — არ დაგიჭერენ და... სამ შაურს თუ მოგცემ — დაგიჭერენ?!).

...შარშან, სამტრედიის რაიონში, კერძო მანქანამ ერთი საწყალი წესიერი კაცი გაიტანა, ხუთი შვილის მამა, გვარად ფახურიძე (ეს გაგვაკვირვებს? ერთი კი არა, — ჯგუფ-ჯგუფად რამდენი გააქვთ და რამდენი იღუპება!)...

გამტანმა, ყოვლად სინდისგარეცხილმა კაცმა („ჩემი რა ბრალია, ვერ გადამისწრო"...) მართლმსაჯულების მიხვეულ-მოხვეულებში იმდენი იჩალიჩა, სასჯელი მსუბუქი მიიღო, და ამ მსუბუქი სასჯელიდანაც მსუბუქად გამოძვრა და არც მამით ობლების სასარგებლოდ შეწერილი ალიმენტიდან მანეთიც არ გადაიხადა, არა მაქვს და რა მიეცეო: თვალში საცემი სიმდიდრე — მანქანა სასწრაფოდ გაყიდა, ბევრი ძვირად ღირებული ნივთეული მშობლებზე და ძმაზე გაასხვისა, ცოლს ფორმალურად გაეყარა, რათა ალიმენტი ღვიძლ შვილებს უხადოს და...

ესეც კი დაიკვეხა, ახლა ინვალიდობას გავიკეთებ და რასაც ფახურიძეები მიიღებენ, ამასაც ვნახავო...

ასეთ „კანონ-სამართალზე" ჯავრს ფახურიძის მეუღლე სულ მალე გადაჰყვა და... ხუთი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა უდედოდაც და, არსებითად, სრულიად უპატრონოდ, აკი არც სასოფლო საბჭომ და არც კოლმეურნეობის გამგეობამ ობლებს არათუ რაიმე მატერიალური დახმარება გაუწია, — უბრალო ადამიანური ყურადღებაც არ მიაქცია (ჰოდა, მოდი და იცხოვრე ასეთ ქვეყანაში!..).

ჯერ კიდევ დედა ცოცხალი ჰყავდათ, როცა, გავიფიქრე, ჩემი მცირე შესაძლებლობის ფარგლებში დავხმარებოდი პატარა ფახურიძეებს; რაკი ავადმყოფობის გამო თავად არ შემეძლო, ვთხოვე ორ ახალგაზრდა მწერალ ქალს გამგზავრებულიყვნენ სამტრედიის რაიონის სოფელ ახალსოფელში და გადაეცათ ათას ხუთასი მანეთი მატერიალურად და მორალურად გაუბედურებული ბავშვებისათვის... მაგრამ მათ ცივი უარი მტკიცეს, არა იმიტომ, რომ წასვლა დაეზარათ, — თქვენ რაც აქამდე გააკეთეთ-გაიღეთ, ჩვენი დროისათვის ესეც ზღაპარია, თქვენგან — კმარა, ჩვენ ახლა თქვენზე ბევრად-ბევრად დიდფულიან მწერლებს ჩამოვუვლითო...

დიახ, სწორედ ასეც ქნეს, ოღონდ... ოღონდ... მათდა გასაოცრად, ალილოზე მათ ჩამოვლას მინიმალური ფინანსური შედეგიც არ მოჰყოლია.

პირველმა, ვისაც წაუმღერეს, — „თქვენი ოჯახი აივსოს ბარაქით და კარაქითა!" — ილია-აკაკი-იაკობის პორტრეტებიან თავის კაბინეტში თბილი სალმით კი მიიღო, მაგრამ როცა ვიზიტის მიზეზი მოხსენდა, მოსულთ ცივად მოუჭრა: იმ ფახურიძეებზე სახელმწიფო იზრუნებსო...

რასაკვირველია, ცხადია, რა თქმა უნდა, ეს ყველამ ვიცით, სახელმწიფოს ჩვენზე დიდი ჯიბე აქვს, მაგრამ... ზურიკელა ვაშალომიძეს ამქვეყნად მარტო თვალით უხილავ, აბსტრაქტულად არსებულ სახელმწიფოს იმედად რომ ეტანტალა და მისი უდედმამო გული თვალხილულ, კონკრეტულ ილიკო და ილარიონს არ გაეთბოთ, — ცხოვრებაში ისეთი კაცი გამოვიდოდა, როგორიც გამოვიდა?!

გახსოვთ? ზურიკელა და ხატიას სიმინდზე გადასაცვლელად

ქურქი და ჩექმები რომ მიჰქონდათ, დამშეულებს სოფელ ნაბელღლავში შემოაღამდათ და სრულიად უცნობი გლეხკაცის ჭიშკართან...

„— ღამის გათენება გვინდა, ბიძია!“ „— მობრძანდით, ბიძიებო, მობრძანდით“, — შუბლგახსნილი შეეგება მათ ბაბილო ვაშაყმაძე... — „ამ ვირს რა ვუყო, ბიძია?“ — შეეკითხა ზურიკელა. „— მოხსენი კეხი და გღუშვი ეზოში... დილამდე ცოტას წაიბალახებს“...

მასპინძლებმა მარტო ვირზე როდი იზრუნეს, — ლუკმას მონატრებული ახალგაზრდები ავახშმეს-დააპურეს, ლოგინიც გაუშალეს, დილით კი იმ დროისათვის ჩხრიალა ყვითელი ოქრო-სიმინდიც გაატანეს და ამის სანაცვლოდ არც ჩექმები დაიტოვეს და არც ქურქი.

როგორ ვიფიქროთ, აქამდე უცნობი, ახლა კი მშობლებივით ახლობელი ადამიანების სიკეთე უფრო ნაკლებად აღიბეჭდებოდა ზურიკელა-ხატიას მეხსიერებაში, ვიდრე სახელმწიფოს ღონისძიება, თუნდაც ამას, სახელმწიფოს, მათს კარზე ერთი კი არა, — სიმინდი თუნდ ათი ბათმანიც გადმოეტვირთა?!

(უკვე ვგრძნობ — ვგრძნობ, რარიგ უხარია ჩემს მოძულე მკითხველ-აბორტმახერს, უმეცრებაში რომ დამიჭირა: ხატიას წამყვან-მომყვანი ზურიკელა ვაშალომიძე კი არა, — სოსოია მამალაძე იყოო...

ო, კი, მაგრამ... თითის მოკაკვას მაინც არ ვაპირებ: სოსოია მამალაძე ზურიკელა ვაშალომიძის ტყუპის ცალივით ზუსტი ანაბეჭდია)...

დიახ, მაგათზე სახელმწიფო იზრუნებსო... ნუ დაგვავიწყდება, რომ ეს ამბავი ზურიკელა—სოსოიას ომიანობისას გადახდათ, ჟამსა შიმშილობისას, ახლა კი, როცა ქონებრივად გალაღებულნი ვართ, სულიერად ასე რამ დაგვაგლახავა?!

„მე თქვენ განთავისუფლებთ სინდისისაგან“, — გამოუცხადა თავის ხალხს ევროპაში ერთმა, აწ უკვე კისერმოტეხილმა დიქტატორმა, მაგრამ იგი ამაში სხვა ხალხებისადმი გერმანელების დამოკიდებულებას გულისხმობდა, ჩვენთვის კი ჯერ, მგონი, არც ლეონიდ ბრეჟნევს და არც ედუარდ შევარდნაძეს

არ უბრძანებიათ — განთავისუფლებთ სიკეთის ქმნისაგანო, და ნუთუ ჩვენი თავი ამისგან ჩვენივე თაოსნობით გავითავისუფლეთ?

...ერთმა ცხრა შვილისა და მეათეზე ფეხმძიმე ქართველმა ქალმა, რევოლუციამდე თავადის ქალობით რომ შეეძლო ეამაყა, აუტანელი საბინაო პირობებით გამწარებულმა, შეამტვრია შუხიანში პირველ სართულზე ოთხოთახიანი ბინა და... რაკი ჩვენში ყველაფერი... მმ... კანონიერებაზეა დაფუძნებული და არასოდეს კანონი... მმ... არ ირღვევა, ამ წვრილშვილიან ორსულ ქალს კანონის ძალით გამოსახლება დაუპირეს...

...და გაიქცა ეს ატირებული, შეშინებული, თითქმის წკიპზე მისული ორსული ქალი ერთ ისეთ... აი, რომლის რანგის პირებზე დიდ, საზეიმო შეკრებილობაზე თავმჯდომარე ასე რომ აცხადებს, „სიტყვა ეძლევა ჩვენს სახელოვან მწერალს... ამას და ამას“.

(ჩვენში ხომ სულ უცნობს, საჭირო თუა, ცნობილად გვაცნობენ, ნამდვილად ცნობილს კი, ო, მის სახელ-გვარს მქუხარე ეპითეტი თუ არ წარუმძღვარეს, ისე, აბა, როგორ მოიხსენიებენ!

ერთ თეატრალურ ქრონიკაში ესეც კი ამოვიკითხე: „სპექტაკლს დგამს ნიჭიერი რეჟისორი... ესა და ეს“.

ჯერ სპექტაკლი არ დადგმულა, არ გვინახავს და... ნიჭიერების თამასუქს აძლევენ უკვე!).

...სწორედ იმ დღეებში ამ სახელოვანმა მწერალმა ვრცელი წერილი გამოაქვეყნა ჩვენი უნუგეშო დემოგრაფიული მდგომარეობის ირგვლივ და... ეს ცხრაშვილიანი და მეათეზე ფეხმძიმე ქალი, ამ წერილის წაკითხვით სიხარულისგან აფოფინებული, — თუ მიშველის, სწორედ ეს მიშველისო და...

ამანაც თავის ფართო კაბინეტში გულგაშლილად მიიღო, დიახ, მიიღო იმ სახელოვანმა კაცმა, რომელიც მწერლობას და თანამდებობას ერთდროულად ყოველთვის ღირსეულად არ-თმევდა თავს, და ახლა ქვეყანას არა მარტო ზოგადად იცნობს, — მის ბევრ ძლიერთანაც ახლო ურთიერთობაშია; ჰოდა, მწერლობა თუნდაც არ მოვიშველიოთ, მისი ახლანდელი თანამდებობის პირს, ანგარიშს აბა ვინ არ გაუწევს, მით უმე-

ტეს ისინი, ვისზეც დამოკიდებულია მუხიანში შესახლებისა და, იშვიათ შემთხვევაში, გამოსახლების ამბავიც...

...და მართლაც, არაგაფანტული ყურადღებით მოისმინა ამ დიახაც გაგანია ცეცხლში ჩავარდნილი ქალის სათხოვარი, ჩაქრობით კი... „რა ვქნა, ამ საქმეში მე ვერაფერს დაგეხმარებით, მე არაფერი შემიძლიაო"...

...და როცა ასეთი მანუგეშებლობით კიდევ უფრო გულზე ცეცხლმოკიდებული, ცხრა შვილის დედა და მეათეზე ფეხმძიმე, სკამიდან წელმოწყვეტილი მძიმედ წამოდგა და, ვიდრე კარამდე მივიდოდა, კაბინეტის პატრონში, როგორც ჩანს, თანამდებობის პირზე მწერლურმა მაძიებლობამ იძალა და ჰკითხა, კი, მაგრამ, ცხრა შვილს რას აპმეეთო, — ცეცხლსო, — მოკლე იყო პასუხი...

ეს ამბავი ამით არ მთავრდება: როცა აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ერთხელ კიდევ მუქარით მიადგნენ გამოსასახლებლად მეათე ბავშვზე უკვე მოლოგინებულ ქართველ ქალს, საიდანღაც და როგორღაც მისი წვალების ამბავი შეეტყო ერთ ისეთ უთანამდებებო და იმდენად უსახელო მწერალს, რომ მისი გვარი ამ ათშვილიანს არც ოდესმე გაეგონა...

და მაინც, იგი მის გვერდით დადგა და, ასე განსაჯეთ, ძალით, „უაჩალურად" შესახლების ამბავიც კი მოუწონა: — მაგრად დადექით, არც ერთი თქვენი გამომსახლებელი არ ღირს თქვენი მეათე ბავშვის შიბაქადაც კიო...

უფრო მეტიც: როცა ამ ათშვილიანს ერთმა გავლენიანი თანამდებობის ქალმა, დახმარების ნაცვლად, მძიმე ბრალდებასავით პირში მიახალა, შენ ამდენი შვილი იმიტომ გააჩინე, რომ ბინა გინდოდა მიგეღო, მაშინ ამ უსახელო ქალმოსანს ხიხინა ხმა ომახიანზე შეეცვალა:

— პრესა ჩვენ ხშირად მოგვაგონებს და ტრიბუნებიდანაც არაერთგზის გაგვიგონია, ბავშვები პრივილეგიური კლასიაო... და თუ თქვენ, მრავალი შვილის დედებო და მამებო, ამ პრივილეგიების მოსაპოვებლად გააჩინეთ ამდენი ბავშვი, — ვაშა თქვენს ქართველობას და დიდება თქვენს ეროვნულ ვაჟკაცობას! განა უკვე არ არის დრო, რომ ჩვენ ჩვენივე სამშობლოში მცხოვრები უმცროსი „ძმის" — ქურთებისგან ვისწავლოთ ჰკუა, რომლებიც უკვე ამთავითვე ემზადებიან სულ ახლო მო-

მავალში თავზე წამოგვაჯდნენ, როგორც რიცხოვნობით უფროსი „ძმა“, ჯერ თემქა-გლდან-მუხიანის მასშტაბით, მერე კი, სხვა ჩვენს „ძმებთან“ ერთად, წითელი ხიდიდან ფსოუს ხიდამდე...

(ნაწყვეტი ბარათიდან, რომელიც გაეგზავნა ედუარდ შევარდნაძეს:

...თოიძის ქუჩაზე (№ 41) ორ პატარა ოთახში ცხოვრობს 37 წლის თამარ ჩიქოვანი; ეს ქალი ჩემთვის, ცხადია, იმით როდი არის უნიკალური, რომ იგი 37 წლისაა, — ამ ქართველ ქალს შედარებით ასეთ ახალგაზრდა ასაკში უკვე ჰყავს ცხრა შვილი და ამჟამად მეათეზეა ფეხმძიმედ (მამა დაეღუპა ფრონტზე 1945 წლის... აპრილში, თვით თამარი კი დაიბადა იმავე წლის მაისში).

უკიდურესმა უხეირო საბინაო პირობებმა, რომლებიც წლობით გრძელდება, აიძულეს ეს გუგულივით მშვიდი, წვრილი შვილების დედა „იერიში მიეტანა“ მუხიანის დასახლების ერთ-ერთი მაღლივი შენობის პირველ სართულზე მდებარე ბინაზე, და ახლა მას, როგორც კანონის დამრღვევს, კანონის ძალითვე გამოსახლებას უპირებენ, მაგრამ ხომ არსებობს, როგორც ხშირად ამბობენ ხოლმე, მორალის დაუწერელი კანონიც!

მე არ მინდა ვისარგებლო ერთი, პირადად ჩემს თვალში, საკმაოდ სახელშერცხვენილი პირის გამოთქმით, მაგრამ, რა გაეწყობა, ამ შემთხვევაში ოქტომბრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე ბაკურაძეზე პირდაპირ ზედგამოჭრილია...

დიახ, ამ „როსტომ-ხანმა“, დახმარებისათვის მასთან მისულ ჩიქოვანის ქალს, ნახევრად ბრმისთვისაც კი შესამჩნევად ფეხმძიმეს, დასაჯდომად სკამის შუთავაზების ნაცვლად მის სიტყვაზე „გამიწიეთ ანგარიში, მე ქართველი ქალი ვარ“, მკვახედ მიახალა „ქურთი და ქართველი ჩემთვის სულ ერთია!“-ო.

რაკი ზედმიწევნით კარგად ვერკვევი ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ასავალ-დასავალში, — თანამდებობით აღჭურვილი, საჯაროდ ამგვარად მოლაპარაკე შეიძლება

დიდად მაინცდამაინც არც გავამტყუნოთ, აკი მას ასე, მისთვის ძვირად ღირებული სკამ-სავარძელი ალაპარაკებს, მაგრამ თუკი ის პრაქტიკულ საქმიანობაშიც ყოველთვის ამ საზომით მოქმედებს, მაშინ დაე, ნურავის ნუ გაუკვირდება, როსტომ-ხანის აჩრდილსაც თუ მოვიხმობთ და არც იმის თქმა მოგვერიდება, რომ საქართველო იყიდებოდა და იყიდება დღესაც!..

ამ რამდენიმე წლის წინათ რკინიგზელი, ექვსშვილიანი ოთიაშვილი, სამილიციო აქტის ენით თუ ვიტყვით, ძალით შესახლდა მტკვრისპირას მდებარე რკინიგზელთა სახლის ერთ-ერთ ოთხოთახიან ბინაში, რომელიც განკუთვნილი იყო უკვე ასაკოვან ერთშვილიან, თანამდებობის მქონე „ამხანაგისთვის", და როცა ოთიაშვილებთან მივიდნენ გამოსახლებლად, უსამართლობით ძუ ლომივით გამძვინვარებულმა დედამ თოთო, მეექვსე ღლაპი ესროლა კარში ჩამდგარ კანონის დამცველთ, — სხვა დროსა და სხვა სიტუაციაში კი არაერთგზის კანონის დამრღვევთ, — კიდევ კარგი, რაღაც ბედად მაშინ ყველაზე პატარა, ძუძუმწოვარა ოთიაშვილი გადარჩა და, საერთოდ, სხვა, ყველა ოთიაშვილიც გადაურჩა გამოსახლებას ვალენტინა ტერეშკოვას მზრუნველი ჩარევის წყალობით!

კი, მაგრამ...

ბატონო ედუარდ, საქართველოში ისედაც იშვიათობად ქცეულ ქართველ მრავალშვილიან დედებზე ვალენტინა ტერეშკოვა უნდა ზრუნავდეს მოსკოვიდან? —

საქმით, რასაკვირველია, საქმით, თორემ სიტყვით, ცარიელი სიტყვით ვინ არ „ზრუნავს" ჩვენში ახლა მათზე!

თამარ ჩიქოვანი მრავალშვილიანებისათვის ბინების მისაცემ სიაში რიცხვით მესამოცეა, და ამ სიაში, მ ი ს ა მ დ ე, იგი ერთადერთი ქართველი ქალია, — ცხრა შვილის დედა, მეათეზე ორსული (მეშვიდე თვეშია)...

ჰოდა, თუ ეს ტრაგედია დატრიალდა, რაღა რეალური ფასი ექნება ამის მერე თქვენს თბილ სიტყვებს ჩვენი ხალხის გასამრავლებლად?!?

თქვენი ერთი, არა ყველას გასაგონად, შეუმჩნევლად თქმული სიტყვა, — ოღონდ დროზე თქმული! — საკმარისი იქნება, რომ ეს ტრაგედია არ დატრიალდეს...

არ იტყვით ამ ერთ სიტყვას და... ქართველი ხალხის ისტორიაში ეს ისეთ ლაქად მოგეცხებათ, რომელიც არასოდეს არ ჩამოირეცხება.

კ. ბუაჩიძე.

8 ნოემბერი,
1982 წელი

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: ჯუმბერ პატიაშვილი, ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნობისას, მრავალშვილიანებს პატივით და გულისყურით ეპყრობოდა; მან, მაგალითად, მარტო ჩემი თხოვნით და შეტყობინებით, სახლები აუშენა ხარაგოულის რაიონში უჩა ხარაძეს, თერჯოლისაში — ოთარ ჯაბიძეს; ვრცელი ბინა მიაცემინა თბილისში ექვსშვილიან აზა მანჯავიძისთვის, აგრეთვე ხუთშვილიანი ღვთისმსახური მირიან იორამაშვილი იმ დროს შეასახლა ოთხოთახიან ბინაში, როცა რელიგია ხალხისთვის ჯერ კიდევ ნარკოტიკულ თრიაქად ითვლებოდა).

...მილიცია მუხიანში ჩიქოვანის ქალს არც ისე, არც ასე ალარ სწვევია, სამაგიეროდ ოქტომბრის რევოლუციის მორიგი თარიღის შემდგომ კვირას მას ტელევიზია ეწვია და, როგორც მოსალოდნელი იყო, ტელერეპორტიორების დარიგებით, დიდი მადლობა მიაგო კომუნისტურ პარტიას და საბჭოთა მთავრობას მრავალშვილიანებზე ასე თავდადებული ზრუნვისათვის...

მალე მას გმირი დედის წოდებაც უწყალობეს, ცოტა მოგვიანებით კი ქალთა ჟურნალმა იგი ბარტყებიანად, თავის ფურცლებზე გამოხატა, წერილიც დაურთო, საიდანაც ის შევიტყვეთ, რომ იმ ათასი მანეთით, რომელიც მიუძღვნია მისთვის ვიღაც ერთს (რომლის გვარი ვეღარ მომიგონებია), — ამ ფულით ჩემი შვილებისათვის ბიბლიოთეკას მინდა ჩავუყარო საფუძველი...

სხვათა შორის, მე ეს ღირსეული ქართველი ქალი გამოსახლების მუქარის ციებ-ცხელების დროსაც მოვინახულე და ამ ციებ-ცხელების გამონელების ჟამსაც; რაკი უკეთესი რამ არ მომეძევებოდა, და რაც უნდა იყოს, მაინც წიგნად ითვლება, — ჩემი წყალწყალა კომედიების კრებულიც მივართვი და, აბა, რას ვიფიქრებდი, რომ მისი ბავშვების ბიბლიოთეკაში ამ ჟურნალის ორი მესვეურის, ორი მართლაც ცნობილი პოეტის ერთ წიგნსაც ვერ წავაწყდებოდი, და ვერც ლექსთა კრებულებს იმ დიდი ერისკაცებისა და პოეტებისას, რომლებიც ჟურნალის ამავე ნომერში ჩასურათებული არიან თავიანთ მსუქანლოყება შვილიშვილებთან ჩახუტებულნი: **თვლას ვერ ავუვედი** — ორ ბაბუას სამი, სამი ბადიში!

ასეთ... ჰმ... სიმრავლისას, არც მათ და არც ჩვენ, მკითხველებს, ეშვი ნუ შეგვეპარება, რომ ქართველთა მომავალ თაობებში მათი პოეზია ახლანდელივით... ჰმ... ხელიხელთ იგოგმანებს!..

...გამომშვიდობებისას, როცა ერთხელ კიდევ თვალი შევავლე ცარიელ თაროებს, მუხიანელ წიგნის მოყვარულ — ამ გმირ დედას უტყუარი პრაქტიკული რჩევა მივეცი: სულ ცოტა, თუნდაც რაიკომის ინსტრუქტორობას თუ მიაღწევთ, მაშინ ნახავთ, თქვენი ბიბლიოთეკა რა სწრაფად აივსება არათუ ამ პოეტ-ერისკაცებისა და ერისქალების მიერ მოძღვნილი წიგნებით, არამედ ყველა იმათი ნაწერებითაც, ვინც...

„სიტყვა ეძლევა ჩვენს საამაყო“... ამას და ამას... „ერის მოამაგეს, დიდ მამულიშვილს, სამშობლოზე ზრუნვაში ძილგატეხილს“, და ამიტომაც დღე-ღამეში მხოლოდ 24 საათი რომ სძინავს (ბოლო ეს სიტყვები ფიქრით ვუთხარი)...

...დიახ, ყველას გვინდა ქვეყნის თვალი ვიყოთ, გვინდა თვალი ჩვენზე რჩებოდეთ, და თუ ამ დროს ვინმე ავთვალა გამოგვიხტა და გაგვთვალა იმით, რომ წინ ისეთი სარკე დაგვიდო, რომელიც არ გვეპირფერება, არ გველაქუცება, ფეხქვეშ არ გვეგება და თავს არ გვიქონავს...

ნუ, ნუ!..

რა დროს წყენაა, რისხვის ფრქვევაა,
როცა ბედი წყდება
საქართველოსი!

Иностранный язык есть оружие в жизненной борьбе.

К. Маркс

ახლა ისე, როგორადაც ივანე კერესელიძის „ცისკრის“ ავტორებს სჩვეოდათ მიემართათ, მეც მათებურად...

ჩემო სულგრძელო მკითხველო, მართალია, კი დაგღალე, მაგრამ მაინც, შენი ზნეკეთილი დასტურით ორიოდე ნაბიჯით უკან დავიხევ, რათა ხელმეორედ დავუბრუნდე და ამით საბოლოოდ მოვათავო კიდეც საუბარი იმ „სადავო მუხლის“ ირგვლივ, რომლის ჩემ მიერ შეფასებამ გულისწყრომა გამოიწვია დალაგებულ ჭკუისმქონე „კონსტიტუციონალისტთა“ შორისაც კი.

ასე, მაგალითად, ერთმა მათგანმა, ჭეშმარიტად გულმხურვალე პატრიოტმა, მისაყვედურა, თქვენი წიგნის პირველმა ნახევარმა ისე შემძრა, ბარათის მოწერა განვიზრახე, მაგრამ შემდეგ, როცა ჩვენი კონსტიტუციის მიღების ამბებს მივადექ., გადავიფიქრე, აკი ყოველივე ის, ჩვენის მხრივ, დიდი ვაჟკაცობა იყო, თქვენ კი ჯეროვნად არ შეაფასეთო.

კი, მაგრამ, ახლა ესეც ვიკითხოთ, ამ დიდმა ვაჟკაცობამ გამოიღო განა რაიმე ნაყოფი? დადებითი და ხელშესახები არაკითარი, ხიფათი კი დიდზე დიდი იყო.

(გვახსოვდეს, ჩვენში ცრემლსადენი გაზი არც მზადდება და არც იხმარება, და არც „ბრბოს“ გასაფანტავად წყლის მასხურებელ ავტოცისტერნებს მიმართავენ ხოლმე, და არც პლასტიკური ტყვიებით ტენიან ავტომატებს!).

შეიძლება მითხრან, ამას დრო უნდაო.

დრო კი, მაგრამ... აი მის მერე ბარემც ოთხი წელიწადი გავიდეს, და ეს ხანი თითქოს არცთუ ისე მცირეა, — ჰოდა, შეიცვალა კი რაიმე ამ ხნის მანძილზე უკეთესისკენ?

მხოლოდ ერთი მაგალითი, მარტივზე მარტივი: „ჩვენი“ ოსებიც კი, იმ დიდი საფაბერაკო ამბების შემდეგაც, თავიანთ

საქმიან და უსაქმო ქალაღდებს თბილისში — მათგან სულ რა-ღაც ასიოდე კილომეტრით დაცილებულ საქართველოს რეს-პუბლიკის სატახტო ქალაქში! — არათუ ქართულ ენაზე შედგენილს, ბლანკებზეც კი, მხოლოდ ოსურ-რუსულ ენებზე დაბეჭდილ ბლანკებზე გვიგზავნიან, და ასე, ამგვარად, როგორც ხედავთ, ჩვენი სახელმწიფო ენა არათუ წითელ ხიდამდე აღმოსავლეთით და ლესელიძემდე დასავლეთით, გორიდან სულ ცოტა მოშორებითაც კი უკვე ალარ „ხელმწიფობს“.

(მინი-ცნობა არა მარტო ტოპონიმიკოსების საყურადღებოდ: სამხრეთ ოსეთში ოსურ ენაზე დაბეჭდილ ყველა წიგნზე რცხილნარიდან წარმომდგარი ცხინვალი გვეცხადება როგორც Цхинвал).

ზოგმა წერილობით, ზოგმაც სიტყვიერად არ გაიზიარა ჩემი მოსაზრება იმის თაობაზე, რომ ბევრი არაფერი დანაშაული იქნება, თუკი ჩვენს ბავშვებს აქა-იქ, სპეციალურად, ქართველებისთვის განკუთვნილ რუსულ სკოლაში მივაბარებთ-მეთქი (ოღონდ მართლაც ა ქ ა-ი ქ, და არა ისე „აქა-იქ“, როგორადაც გაზეთებში წერენ ხოლმე საყოველთაოდ გავრცელებულ სიმახინჯეზე), თანაც იმ პირობით — იქვე აღვნიშნავდი, — თუ ეს არ მოხდება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში-მეთქი.

თქვენ კი ამბობთ „აქა-იქო“, მაგრამ ჩვენი დროის ქართველი „ივანიჩები“ — ისინი კი ათიათასობით დაითვლებიან — ამ „აქა-იქს“ ხელებზე დაიხვევენ, და ეს ერთი „აქა-იქ“ მე ვიყოო, და ასე, ამგვარად, საბოლოო ანგარიშით ყველას შვილები რუსულ სკოლაში ამოყოფენ თავსო.

მართალი გითხრათ, როცა ამ საკითხს ვეხებოდი, ჩემს სიტყვას მაგიურ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი (რასაკვირველია, არც ახლა ვანიჭებ), თანაც გამჭრიახი და გამგები მშობლები მყავდა მხედველობაში, რომლებიც შვილების „აქა-იქ“ რუსულ სკოლაში მიბარებით არც სამშობლოს სიყვარულს გაუნელებენ და არც მშობლიურ ენას დაავიწყებინებენ; თვალწინ გასული საუკუნის ჩვენი ცხოვრების ისტორია მეხატებოდა, როცა მრავალმა ქართველმა რუსული აღზრდა-განათლება კი მიიღო, მაგრამ ქართველობის მცირეოდენი ნიშან-წყალიც არ დაუკარგავს.

ახლა სხვა დროაო, მეუბნებიან, და ამას, როგორც ჩანს, არ

შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს. თუმცა ესეც არის, სხვა დრო კია, მაგრამ ამ სხვა დროშიც ყველა მშობელი ერთმანეთის ანაბეჭდად როდი გვევლინება; პარიზში დიდი ხნის წინათ გადახვეწილმა ქართველებმა და იქ დაბადებულმა მათმა შვილიშვილებმაც დღესაც საკმაოდ კარგად იციან ქართული, მოსკოვში მცხოვრებ ჩემს ზოგიერთ ნაცნობ, წმინდა ქართულ ოჯახში კი ბევრი ბავშვი ენობრივად გარუსებულია, მაგრამ, ამავე დროს, იმავე ქალაქში მცხოვრები იოსებ სტალინის შვილიშვილის შვილები — იაშა და ბესიკი — უწუნო ქართულით მეტყველებენ, თუმცა მათმა მამამ პაპისა და მამის მშობლიური ენა, რაკი სხვა გარემოცვასა და სხვა პირობებში იზრდებოდა. — არ იცის.

ასეა თუ ისე, თავზე მეხიც რომ დამატყდეს, მე მაინც ვიტყვი: ურუსულოდ ჩვენ, თუნდაც ჩვენი თავი ჩვენვე გვეყუდნოდეს, ჩიხში ჩაყენებულ მატარებელს დავემსგავსებით, მატარებელი კი მაშინ არის მატარებელი, როცა მოძრაობს, თანაც როცა მიიწევს წინ!

ჰოდა, რაკი მე ვერ მოვნახე, როგორც ირკვევა, სწორი და მოკლე გზა ამ ჩიხიდან ჩვენი თავის გამოსაძვრენად, — მონახონ სხვებმა, მხოლოდ არა იმათ, რუსულად квасной патриотებს რომ ეძახიან. აქვე ამასაც დავძენდი: ისინი ვერც მონახავენ.

საკავშირო მასშტაბით ჩვენ დიდი სახელმწიფოებრივი წარსული გვაქვს. დღევანდელი ახალგაზრდობისათვის ეს შორეულზე შორეული ამბავი უბრალო ამბავი როდი გახლავთ, იგი ბევრი რამის მთქმელია: 1923 წლის აპრილში გამართული რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-12 ყრილობის 59 კაცისგან შემდგარ ხელმძღვანელ ორგანოებში არჩეული იყო 6 ქართველი (შესადარებლად: სომეხი 1)...

(მინი-ცნობა: იმხანად ასეთ სამეთაურო ადგილებზე ადამიანებს ირჩევდნენ არა თანამდებობების მიხედვით, როგორც ახლა, — ირჩევდნენ გონებრივი მონაცემების გათვალისწინებით).

1931 წელს, თებერვალში, ანატოლი ლუნაჩარსკიმ „იზვესტიაში“ პატარა, მაგრამ საგულისხმო აზრებით დახუნძლული

სტატია მოათავსა, საქართველომ ჩვენ მოგვცა თანამედროვეობის არა ერთი და ორი გამოჩენილი პიროვნებაო; ვიაჩესლავ მოლოტოვს კი, 1937 წლის დასაწყისში, კრემლში ქართული ხელოვნების პირველი დეკადის მონაწილეებთან შეხვედრისას, როცა საქართველოს „ჩვენი დიადი ქვეყნის მარგალიტი" უწოდა, არა მარტო ჩვენი ქვეყნის იშვიათი კლიმატურ-გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა მხედველობაში, — ხალხიც, აკი თქვა კიდეც, ქართველთა ტალანტები მთელ საბჭოთა კავშირში ბრწყინავენო.

ალბათ, მარტო ობროდი არ დამეთანხმება: ის ტალანტები მოსკოვის ცისკიდურზე რუსულის უცოდნელად ვერ ამობრწყინდებოდნენ.

ახლა კი... ამ ტალანტებს, ცხადია, დროთა განმაელობაში თითქოს უნდა ემატა კიდეც, ნამდვილად კი თითქმის სულ არარაობამდე დავიდა, ჩვენი მეზობელი სომხებისა კი...

ო, ამაზე უკვე არაერთხელ მოგახსენე, ჩემო დიდად მომთმენო მკითხველო, და ვიდრე საყვედურს შემომკადრებდე სიტყვიერი ტკეპნისათვის, ვფიქრობ, სჯობს... მით უმეტეს, რომ ერთხელ უკვე ვიწვნიე კრიტიკული შოლტის სიმწვავე...

დიახ, გადმომცეს აკი, ერთმა დოცენტმა, რომელსაც „შავი წიგნი" ჩავარდნოდა ხელთ, დიდ ცოდვად ჩაუთვალა თურმე ავტორს, განმეორებები აქვსო.

მე დავინტერესდი, სხვათა შორის, ამ მეტად პატივსაცემი, ამჟამად დოცენტისა და ახლო მომავალში — ამაში ეჭვი ნუ შეგვეპარება! — პროფესორის მოღვაწეობით და... ჩემს წინ მისი უ-უდიდესი მეცნიერულ-ლიტერატურული სიმდიდრე გადაიშალა, თუმცა, ესეც უნდა მოგახსენოთ, ამ უნიკალურ სიმდიდრეს ბევრი ქექვა-წვალების შემდეგ მივაკვლიე: ორ დიდებულ შრომას, დაბეჭდილს — საკმაო ინტერვალებით — ერთსა და იმავე ფორმატ-მომცრო გაზეთში, რომლებიც — ორივე! — უაღრესად მტკივნეულ საკითხს ეხება: აი უკვე რამდენიმე თვეა (ეს პირველ ნაშრომში, მეორეში კი... „უკვე მთელი გრძელი წელიწადი გავიდა მის შემდეგ, რაც...") ამ პატარა, მყუდრო ქუჩაზე მთავარი მაგისტრალიდან მოძრაობა გადმოიტანეს, ეს კი საფრთხეს უქმნის... ამა და ამ საზოგადოებრივ... საზოგადოების... საზოგადოებას...

მივაკვლიე იმასაც, — ეს უკვე ძალიან იოლად, — რომ სწორედ ამ პატარა, მყუდრო ქუჩაზე ცხოვრობს თურმე ეს ჩვენი ამხანაგი დოცენტი და, ალბათ, უახლოეს მომავალში უთუოდ პროფესორი და, თუმცა ამას ცალკე აბზაცში არ გამოყოფს, მაგრამ ეს ისეც იგრძნობა, სწორედ მანქანების ხმაური უშლის მას ხელს კანტისებურ აზროვნებაში, მათი გამონაბოლქვი კი საფრთხეს უქმნის მის ტვინსა და ფილტვებს, რომელთა ყოველი ნერვი და უჯრედი მთლიანად და სავსებით, სავსებით და მთლიანად ეკუთვნის, ცხადია, საყვარელ დედასამშობლოსა და მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!

ეს ყველაფერი ჰო, მაგრამ... თუკი საგზაო მოძრაობის დ რ ო ე ბ ი თ შეცვლაზე, რომელიც არსებითად მხოლოდ შენს მუცლის გვრემასთან არის დაკავშირებული, დროის სულ მცირე მონაკვეთშიც კი შეიძლება, პრესის საშუალებით, ორჯერ ამცნო და მოაგონო საზოგადოებას, რატომ არ შეიძლება, ანდა რა გასაკიცხია, თუკი შენი მშობლიური ერის უბედურებაზე ორჯერ, სამჯერ და, თუ გნებავთ, უთვალავჯერაც ჩაგიკაკუნონ თავში, თუნდაც იგი, ვთქვათ, ცარიელი არც იყოს?!

როცა ტკივილი გაკვნესებს, იმაზე როდილა ფიქრობ, სხვათა ყურთასმენისათვის დამატკბობელ ხმაზე იკვნესო, — კვნესი ისე, როგორადაც გეკვნესება...

მე თეატრში დასადგმელ დრამას კი არ ვწერ, რომ მის არქიტექტონიკა-კომპოზიციას გულდასმით ვუკირკიმალო...

...სჯობს, რომ იმაზე ვიტიროთ,
მუდამ მთქმელი ვარ ამისა,
ნუ შეგაშინებსთ, არ გავნებსთ
მთიდან ყვირილი ხარისა...

ხშირად, როგორც უკიდურესი უბედურება, უკიდურესი ბედნიერებაც აბრმავებს კაცს, უბნევს სწორ გზას და მიპყავს ზნეობის დაცემამდე.

აკოკი.

მალიმალ მეკითხებიან ხოლმე, ეს თქვენი „შავი წიგნი" — ხელნაწერი „ზევით" თუ გაუგზავნე, „ზევით" თუ წაიკითხეს, „ზევიდან" რა პასუხი მიიღეთო...

არ გამიკვირდება, თუკი ჩემი წიგნის, მეორე, ამ ნაწილის მკითხველსაც აღეძრება სურვილი გაიგოს, რა ბედი მოელის იმას, რასაც ამჟამად კითხულობს.

რაკი მგონია, მომავალში ამაზე პასუხის გაცემის შესაძლებლობა ვაითუ აღარ მომეცეს, ამიტომ გადაუდებლივ აქვე მოგახსენებთ: ვფიქრობ, ისეთივე ბედი მოელის, რაიც პირველ ნაწილს ეწია, და მაინც, იგი დროულად გაიგზავნება „ზევით"...

„შავი წიგნი" ვინც წაიკითხა, მათ უკვე იციან, ჩემმა პირდაპირმა ადრესატებმა (აბაშიძე (გრიგოლი), დუმბაძე, თაქთაქიშვილი, ჭელიძე (ვახტანგი) „ზევით" რაიმის სათქმელად არათუ ენა დაისველეს, მის მომწერსაც კი არც ცოცხალი და არც მკვდარი (ესე იგი წერილობით) ერთი სიტყვითაც არ შეეხმიანენ, ხოლო მე თვითონ „ზევით"...

ო-ო, მინდოდა კი ჩამეტარებინა ერთი სასეირო ექსპერიმენტი — გამეგზავნა ჩემი წიგნი ნელი, სახმელეთო ფოსტით ტიბეტს, მაგრამ ამის გაფიქრებისთანავე, უმალვე მთელს ჩემს უკვე საფუძვლიანად მოფამფალებულ ორგანიზმში, კინკრიხოდან ფეხის ფრჩხილებამდე, შიშის ჟრუანტელმა დამიარა, ვაითუ, უცხოელებთან დანაშაულებრივი კავშირის გაბმის ცდა დამბრალდეს-მეთქი... ისე კი, ეჭვიც არ მეპარება, ამ ხნის მანძილზე სწორედ ტიბეტში მობინადრე დალაი-ლამას რეზიდენციიდან უფრო ადრე მივიღებდი რაიმე ცნობა-უწყებას, ვიდრე

ეს შეიძლება მიიღოს თურმე ჩემებრ უმნიშვნელო მოკვდავმა ჩიტაძის ქუჩის შემოგარენიდან.

მთავარი, რა თქმა უნდა, ის კი არ არის, რომ ფორმალური „მივიღეთო“ მიიღო, სრულ უპასუხობასაც არაფრად ჩააგდებ, თუკი ასეთ, თითქოს უპატივცემლო დუმილს სასიკეთო საქმეების პრაქტიკული განხორციელება მოჰყვება. „შავ წიგნში“ კი, როგორც ამას მკითხველთა ჩემდამი მოწერილი ბარათები ადასტურებენ, მრავალი ისეთი საკითხია წამოყენებული, რომელთა დადებითად და დროულად გადაჭრა ბევრ ხელშესახებ სიკეთეს მოგვიტანდა.

ამათგან ამ საკმაოდ დიდი დროის განმავლობაში მხოლოდ ერთი რამ განხორციელდა, ოღონდ... ნუ იფიქრებს მკითხველი, ავტორი იმდენად ლენჩი და დაბდურია, რომ მას თავის „შავ წიგნს“ მიაწერს: პეკინის ქუჩამ პეკინობა რომ კარგა ხანია ჭირი მოგვჭამა, ამას „ზევით“ უჩემწიგნოდაც ჩინებულად მიხვდებოდნენ, ოღონდ ეს კი არ ვიცი, გრძნობენ თუ არა ისინი, რომ, მაგალითად, თბილისისათვის ქაიროს ქუჩაც ისეთივე სიბრიყვეა, როგორიც იყო ერთ დროს ხრუშჩოვის მიერ ალყირელი ახმედ ბენ ბელას ჩვენი ქვეყნის გმირად გამოცხადება...

აბა ერთი მიბრძანეთ, რა ჩვენი თავსატეხი საზრუნავია საქართველოში ეგვიპტელი არაბების დედაქალაქის უკვდავყოფა (ფარაონების ეგვიპტე იყოს მაინც, — მაშინ ვინ მამაძაღლი!), იმ დროს, როდესაც იმავე საქართველოში აზრადაც არ მოსდით, ნიშნად ჩვენი დიდი ეროვნული მადლიერებისა, თბილისის ქუჩებისათვის გვეწოდებინა სახელები ჩვენი სამშობლოს დიდი და უანგარო, დაუცხრომელი მეგობრებისა — და-ძმა უორდროპებისა და კონსტანტინე ბალმონტისა, რომელმაც „ვეფხისტყაოსანი“ იმხანად თარგმნა, როცა არც რაიმე ჰონორარს გამოელოდა და არც რაიმე ლაპარაკი იყო რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვან ძმობა-მეგობრობაზე, უფრო მეტიც და უარესიც: ენა ჩვენი, ქართული, ძაღლის ენად მიიჩნეოდა.

ისე კი... ქუჩებისთვის მათი სახელების შერქმევა, აბა, რა ისეთი დიდი პატივია, — განა მათ ჩვენგან ვარდისფერი მარმარილოსგან ძეგლების აღმართვა არ ეკუთვნით? თუკი შესაძლებელია ჩვენს დედაქალაქში (იპოდრომის წინ) ძეგლი დაედგას

შეიძლება, საერთოდ დიდად პატივსაცემ, მაგრამ ჩვენი ხალხისათვის იმდენად სრულიად უცნობ პირს, რომ მისი გვარი მეც კი ვერა და ვერ ჩავიბეჭდე ჯერ კიდევ ობმოუკიდებელ მეხსიერებაში, ბალმონტი კი...

ჩემგან სომხების არცთუ სულ კარგად ხსენებას ისე შეეჩვია ჩემი მკითხველი, მათზე ახლა ისევ ჩემსავე ნათქვამ საქებარ სიტყვას, ყურადღებას, ალბათ, აღარც მიაქცევს, ამიტომ გთხოვთ ეს მაინც დაიხსომოთ: სომხები მადლიერების გრძნობის გამოხატვით, არა საერთოდ, — თ ა ვ ი ა ნ თ ი ჩ რ დ ი ლ ო ე ლ ი მ ე გ ო ბ რ ე ბ ი ს ა დ მ ი, ბევრად გვჯობნიან: თავიანთ სატახტო ქალაქში მათ ძეგლი აუგეს სომხური პოეზიის რევოლუციამდელ მთარგმნელს ვალერი ბრიუსოვს, მიანიჭეს ამისივე სახელი ერევნის პედაგოგიურ ინსტიტუტს; საშუალო პოეტის და თანამედროვე სომეხი პოეტების კარგი მთარგმნელის ვერა ზვიაგინცევას საფლავზე, მოსკოვის მახლობლად, პერედელკინოში, სომხეთის მწერალთა სახელით ძეგლი აღმართეს, ჩვენ კი...

ჩვენ კი რით დავაფასეთ დიდი პოეტი ბორის პასტერნაკი, დიდად ნიჭიერი ნიკოლოზ ზაბოლოცკი, რომლებმაც სახელი გაუთქვეს და დაამკვიდრეს რუსეთში ქართული პოეზია, რომლებიც — ეს „სხვათა შორის" კი არა, საგანგებოდ აღსანიშნავია! — მარტო ქართულიდან თარგმნიდნენ, და არა ჩვენი კავშირის, ერთ გუდურად შეკრული ყველა ენიდან, რომლის უკვე ნახევარსაუკუნოვანი ქართული დევიზი ასეთია:

ვთარგმნი ჯამბულს,
ვეჰამ ამით პურს!..

(ო, არა, ზემოთ ნიკოლოზ ტიხონოვი არ გამომრჩენია — მის სახელსა და საძვალეს სამთავრობო ორგანიზაციებიც კარგად უვლიან-პატრონობენ).

...მე პირადად პეკინის ქუჩას უფრო სხვა სახელით მოვნათლავდი, ვიდრე ახლა მიაკუთვნეს, მაგრამ ჩემს სუბიექტურ მიდგომას, აბა, რა მნიშვნელობა ექნება, ერთიც იმიტომ არა, რომ მ შ ვ ი დ ო ბ ი ს გ ა მ ზ ი რ ი არის მოსკოვში და ის, რაც მოსკოვში არის, როგორც წესი, ჩვენშიც უნდა იყოს, — და რაც, საერთოდ, ბევრი გვექნება მშვიდობის მიმანიშნებელი ქუჩები,

ჩიხები, პროსპექტ-გამზირები, ამით, ალბათ, უფრო იოლად ავიცდენთ ბირთვული ომით ამობუგვას; მეორეც, სულ დამთხვეული უნდა იყოს ადამიანი, ამ შემთხვევაში მე — თქვენი მორჩილი მონა, რომელსაც ყეენობა თუ არა, — წისქვილების მწკრივი კი ახსოვს მტკვარზე იმჟამინდელი ვორონცოვის და ამჟამინდელი კარლ მარქსის ხიდთან და აქამდე ვერ შეუგნია, რომ, მაგალითად, საპირველმაისო ანდა საოქტომბრო ზეიმის მეორე დღეს გაზეთები ასე ხომ არ დაწერენ, — მშრომელთა დემონსტრაციები ოპტიმისტური და ენერგიული ნაბიჯებით მოედინებიან კონსტიტუციის მოედნისაკენ მიხეილ ჯავახიშვილის გამზირიდანო, იმ ჯავახიშვილისა, რომელსაც, ესეც კი არ ვიცით, 1937 წელმა სად გაუთხარა სამარეო...

როცა „შავი წიგნისადმი" მკითხველი და, სამწუხაროდ, შემთხზველიც „ზევიდან" თუნდაც ცოტაოდენი გულისყურის მსგავსს რაღაცას მაინც მოველით, ამით ჩვენ, მკითხველსაც და დამწერსაც, ერთი დიდი შეცდომა მოგვდის. ეს შეცდომა მკითხველს თუ ეპატიება, სრულებითაც არ მიეტევება ავტორს: კაცმა ჭიანჭველასავით შენს წონაზე ორჯერ უფრო მძიმე ტვირთი წამოიკიდო და ის კი არ იცოდე, რომ მართლაც ჭიანჭველა ხარ, და როგორც ჭიანჭველამ ასე დაგვიანებით გაიგო და, საბედნიეროდ, შეიგნო კიდეც, რომ დემოკრატიული ცენტრალიზმი თურმე იმას ნიშნავს, რომ ყოველივე გონივრული, ყოველივე საჭირო და აუცილებელი „ზევიდან" უნდა მომდინარეობდეს, — და რომ ასეთი რამ „ქვემოთ" არ შეიძლება დაიბადოს და არც უნდა დაიბადოს ისეთი რამ, რაც „ზევით" ჯერ არ დაჰბადებიათ; შენი უპარტიო ჭიანჭველობა მუდამ უნდა გახსოვდეს და ისიც უნდა გახსოვდეს, შენი ორჯერ ორი არ შეიძლება იყოს ოთხი... ხუთიაო, გეუბნებიან და ამაში არც უნდა დაეჭვდე და შენი გონების განმანათლებელს არც უნდა შეედავო; თუნდაც გზას ამ შემთხვევაში შენი და მისი დიდი მასწავლებლის, კარლ მარქსის დევიზი გინათებდეს, ყველაფერს ეჭვის თვალით შეხედეო...

შეხედვით — კი, ბატონო, შეხედე, ოღონდ შეხედე მალულად და ამას საჯაროდ ნუ გაამხელ, და თუ ასე ჭკვიანურად მოიქცევი მანამ, ვიდრე თვითონ არ შეცვლიან თითქოს არასწორად მიღებულ ნამრავლს, მაშინ, ვინ იცის, ჭიანჭველობი-

დან შეიძლება ჯარისკაცობამდე აგამაღლონ (ესეც არის, თუკი ერთხელ „ჩესტის“ აღება დაუგვიანე, მაინც მარადის დარჩები მათს თვალში მაზარაგადაცმულ ჭიაღუად)...

ო-ო, აბა, ერთი ღენერალი იყო!

არა, სამხედრო გენერლობა სულაც არ არის აუცილებელი, მთავარია, ჩვენი ცხოვრების ღენერალი იყო, გნებავთ ვაჭრობის დარგში, გნებავთ პარტიის სარბიელზე, გნებავთ ლიტერატურის ასპარეზზე...

აი, მაგალითად, ერთი ასეთი ლეტარატურული ღენერალი ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკას ეწვია...

ალბათ დამეთანხმებით: ჩახვიდე ამერიკაში და ჩვენი საუკუნის საოცრება — უოლტ დისნეის დისნეილენდი არ მოინახულო, ეს იმას ნიშნავს, გურიაში ჩახვიდე და ნასაკირალის ობელისკი არ მოიხილო...

ნასაკირალი კი მას უკვე ნანახი ჰქონდა, თანაც არა ერთხელ და ორჯერ, ამიტომ წმინდა სინდისით მოინახულა კალიფორნიაში...

> რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა,
> ზეგარდმო არსნი სულითა ყვნა ზეცით მონაბერითა...

...კაცის მიერ ხელთქმნილი, მაგრამ თითქოს უშუალოდ ღმერთის მიერ ნახელავი სამყარო, სამყარო-სასწაული, გამაცეცებელი, გამაოგნებელი ყველასათვის, განურჩევლად ხნოვანებისა, სქესისა, ეროვნება-რასისა, განათლება-სიბნელისა, სიმდიდრე-სიღარიბისა...

...მერედა, მოეწონა? დავსვათ კითხვა ამგვარად, — ეს ნიშნავს, რომ შევბღალოთ და დავაკნინოთ მისი გრძნობები, ეშვი შევიტანოთ მის გემოვნებაში, — მოეწონა კი არა, ისე განცვიფრდა და იმდენად აღფრთოვანდა, რომ დათვალიერებისთანავე... მმ... მიჭირს შესაფერისი ზმნის მონახვა...

დიახ, იმ დღიდანვე აეკვიატა, აეტორღიალა, აებანიავა დიდებული, ბრწყინვალე, დიდად პატრიოტულ-მამულიშვილური აზრი, აზრი-ელვა, აზრი-რაკეტა...

და როცა მას, ჩვენდა საბედნიეროდ და სასიხარულოდ, ატლანტის ოკეანეზე იოსებ ჟორდანიას მუხთალი ბედი ააცილა ღმერთმა და შინ მშვიდობით დაგვიბრუნდა... რა დიდე-

ბული და რა მშვენიერება იქნებოდა საქართველოს ბავშვებსაც თავიანთი დისნეილენდი რომ ჰქონდეთ... თბილისშიო!..

ადგილიც შეარჩია, — პოეტური ენით თუ ვიტყვით, მდინარე, და თუ პროზაულ-რეალურით, — ღელე ვერეს მიდამოებში, სხვათა შორის, ასე ხელისგულივით რომ მოჩანს მისივე სახლის აივნიდან.

თქმა ამისა და დასტურის მიღებაც „ზევიდან", დიახ, „ზ ე ვ ი დ ა ნ", თითქმის ერთი იყო: აშენდესო, თქვეს, „მზიურიო, მზიურიო..."

(სახელი ესე, ამბობენ, სამუშაო ფსევდონიმიაო, ნათლობის სახელად კი, შეიძლება, „ზურიკეილენდი" შეერქვასო)...

...და დაჯდება იგი სულ რაღაც... ასი მილიონი! ანუ ძველი, ხრუშჩოვამდელი კურსით ათასი მილიონი, ანუ ერთი მილიარდი, იმდროინდელი ჩვენი რესპუბლიკის მთელი ბიუჯეტის თითქმის ერთი მესამედი!

ასიო, ამას ვიღაც-ვიღაცეები როდი ამბობენ, ითქვა ეს საქვეყნოდ, ტრიბუნიდან ერთი დიდი თანამდებობის პირის მიერ, ერთგვარი სიამაყითაც კი, აი ჩვენ ასეთი ვეებერთელა სახსრების გაღებაც არ გვენანება ბავშვებისთვისო...

ჰოდა, თუ ვინიცობაა ყურის აწევა დამიპირეს კრიტიკანობისა და პროვოკაციული ხმების გავრცელებისათვის, მხოლოდ მაშინ გამოვტყდები, სად, როდის და ვისგან მოვისმინე „აგი" ჯერ კიდევ აუწეველი ყურით...

თანაც ეს ასი მილიონი ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული, მშენებლობის პროცესში კი, ვინ იცის, ბოლოში კიდევ რამდენ ნოლს მიიწერს, რასაც წინასწარ მთელი საფინანსო ინსტიტუტიც ვერ იანგარიშებს...

დიახ, ჩვენ ასეთი უზარმაზარი თანხაც არ გვენანება „მზიურის" ბავშვებისათვისო...

მაშ, როგორ! თუკი ზოია რუხაძეს „მზიურში" არ ერბინა-ეთამაშა, იმიტომაც დაენანა თავისი ხალხის სადიდებლად სახრჩობელას ყულფში თავი გაეყო... ანდა შოთა გამცემლიძეს ბრძოლის ველზე... ან ჭიჭიკო ბენდელიანს ცის ტატნობზე... ლიანა ისაკაძესაც იმიტომ ვერ მოჰყავს აღტაცებაში უცხოეთის ყველა ის ქვეყანა, სადაც იგი ვიოლინოზე ხემს ჩამოჰკრავს და სადირიჟოროდ ხელს ამართავს!..

(კონტრასტისათვის: სრულიად ახალგაზრდა, 19 წლის ლეილა ნ-ძე, სამუსიკო სკოლადამთავრებული და უკვე ჩამოყალიბებული ნარკომანი იმიტომ დაადგა ამ „ლხენა-განცხრომის“ გზას, რაკი ქუთაისში ცხოვრობდა და ნარკოტიკებით მოვაჭრე დედამ თბილისის „მზიურში“ ერთხელაც ვერ გააკენტრუშ-გამოაკენტრუშა)...

ჩემი ხსოვნის არე, მხრებზე ზვავით ჩამოწოლილ წლებთან ერთად, ისე შემოისალტა, სულ ადვილი შესაძლებელია შევცდე, და მაინც: მგონი, არც ილია ვეკუა, ღარიბი გლეხის შვილი, არ მოსწრებია და არ დამტკბარა „მზიურის“ კარუსელ-ბილიკ-საჩრდილობლებით, და სწორედ ამიტომაც ვერ გაიკაფა და ვერ გაიკვლია გზები უმაღლესზე უმაღლესი მათემატიკის ლაბირინთებში და ვერ გაამზიურა ამ თავსატეხი მეცნიერების აქა-იქ კიდევ შემორჩენილი, ჯერ კიდევ წყვდიადით მოცული მართი და არამართი კუთხეები!

იაპონიაში ოდითგან მომდინარეობს კულტი ბავშვისა და კულტი მოხუცისა. ამ უკანასკნელზე აქ არაფერს ვიტყვი, პირველზე კი... იქ ბავშვი თუნდაც გააღმერთონ და ოქრო გარემოში ამყოფონ, ჩვეულებრივი კაცის გრძნობებს მაინც არ დაკარგავს და მისგან საბოლოოდ მაინც დადგება წესიერი, ზნეკეთილი, შრომისმოყვარე ადამიანი. ეს არის იაპონელთა ეროვნული თვისება. იქ ისე, როგორც ყველგან დასავლეთსა და ამერიკაში, მცირე და საშუალო შეძლებისიანებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ძნელად მოინახება გნებავთ მილიონერის დედისერთაც — არასრულწლოვანიც კი! — მშობლების მილიონებს შესჩერებოდეს და თავს აღარ იწუხებდეს ცხოვრებაში საკუთარი საქმიანობით ადგილის დამკვიდრებისათვის.

ჩვენში კი, საქართველოში... რაც უფრო მეტს ატკბობ და მეტს აყრი შენს მწირ მონაშენს, რაც უფრო „ამზიურებ“ მას და ცივ სიოს არ აკარებ, მით უფრო — არა, ამ სიტყვისათვის ბოდიშს არ ვიხდი! — ვირდება იგი და ისეც საგინებელი მშობლების („ბევრი ვაჭამო და ცოტა ვამუშაო!“) კიდევ უფრო მაგინებელი და გამამწარებელი ხდება!

რა გაეწყობა, იაპონელებისა და სხვა, კაპიტალისტურ ჯუნგლებში მცხოვრები, ჩამორჩენილი ხალხებისგან განსხვავებით,

ეს არის ჩვენი ეროვნული თვისება, რაც წინათ თითქოს სულაც არ გვახასიათებდა, ახლა კი, ერთსა და ორშვილიანობისას, უმეტეს წილად ათასგვარი მამაძაღლური, არაშრომითი გზებით მიღწეული გამდიდრების ჟამს თავი იმ მზესუმზირასავით მოიღერა, რომელიც, თავთავის უსაშველო სიმძიმის გამო, სადაცაა დაენარცხება მის გამომკვებ მიწაზე!..

არა, ჩვენი დიდი ეროვნული სატკივრის განსაკურნავად არ გამოგვადგება არც იაპონიიდან და არც ამერიკიდან გადმოღებულ-გადმოტანილი მალამო...

...ჰოდა, არც ახლა დარწმუნდები, ფარაჯიანო ჭიაღუა-ჯარისკაცო, რა სასიკეთო მადლი შეგიძლია მოჰფინო ქვეყანას, ღენერალი თუ გახდები?! და როგორც ღენერალმა, ამ ცოცხალი მაგალითის მიხედვით ხომ ხედავ, როგორ უნდა იზრუნო საქართველოს მომავალზე, საქართველოს ბავშვებზე, და რა ისეთი ციური იდეა მისცე დედასამშობლოს, რომლის ხორცის შესასხამად ათეული მილიონებიც არ დაიშურონ, რომლებიც, სხვა შემთხვევაში, შეიძლებოდა მოხმარებოდა გზებს, — უგზოობის გამო, თითქოს ჭირი გაჩნდაო, მთელი ოჯახებით რომ გამორბიან თვალმოხატული ქართული სოფლებიდან... მოხმარებოდა თუნდაც ჩვენს მზიურ თბილისში საბავშვო ბაგა-ბაღების მომრავლებას, სადაც ბალღის მოწყობა უფრო ძნელია, ვიდრე სიმწიფის ატესტატის მქონესი — უმაღლეს სასწავლებელში... აშენებულიყო ყაზბეგის რაიონის სოფელ ანჩხოტში ერთი პატარა სკოლის შენობა, მოსწავლენი წლების მანძილზე შეფარებული რომ არიან დაქირავებულ შენობაში, და ეს დაქირავებული შენობა თუ რა შენობაც იქნება, მართალია, იოლი წარმოსადგენი არ არის, მაგრამ მაინც ვეცადოთ წარმოვიდგინოთ...

ყოველივე ეს, და ასობით მსგავსნი მათნი, როგორც ჩანს, წვრილმანია, წვრილმანებს კი თავი მერეც მოევლება, ათიოცი წლის შემდეგ, ახლა კი მთავარი „მზიურია", — ჩვენი მზე, ჩვენი მთვარე, სუნთქვა ჩვენი და ჟანგბადი ჩვენი!..

„საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ..."

და მერე ნახეთ ჩვენი არქიტექტურული ხელოვნებით და მშენებლობის უბადლო ხარისხით თუ ჩვენ კუბოში არ გადავაბრუნებთ რაღაც სამიოდე „სამი გოჭისა", რაღაც ერთი „თა-

გუნია მიკი-მაუსისა“, „ბემბისა“ და კიდევ რაღაც-რაღაცეების შემქმნელ უოლტ დისნეის...

დიახ, ჩვენ!..

ჩვენ, რომლებსაც რუსთაველის ძეგლის წინაც კი ასფალტი ისე ვერ დაგვიგია, რომ წვიმასა და ნაწვიმარზე იქ გამავლელ ამერიკელ სტუმრებს, ნაკაშიძე-წუწუნავას ცხენზე მოჯირითე ისიდორესავით, ამერიკაში საკუთარი კალოშებით რომ გაემგზავრა, — ამასავით მაღალყელიანი რეზინის ჩექმები ნეტავ თან წამოგვეღოო...

ასეთივე აუხდენელი ნატვრა ძალ-ღონეს რომ აცლის სასტუმრო „აჭარაში“ დაბინავებულ უცხოელ სპორტსმენებს სპორტის სასახლის მიმართულებით, ავდარში, ქუჩის გადაცურვა რომ სჭირდებათ...

...ჩვენ... რამდენიმე თვე რომ მოვუნდით და ზუსტად დანიშნული დღის — თბილისობისთვის მაინც ვერ მოვათავეთ და ვერ გავხსენით მეტრო „რუსთაველის“ მახლობლად ორ სახლს შუა ჩაჩხირული, პატარა ერთდარბაზიანი და ერთსართულიანი სანაყინე, თუმცა იგი საგულდაგულოდ შენდებოდა და მისეული გვყავდა არა ერთი და ორი სამშენებლო ტრესტი...

დიახ, ბატონო! შენ ოღონდ საბჭოთა ცხოვრების ღენერალი იყავი, ოღონდ იდეა გამოიმეტე, „ზურიკეილენდისა“ არ იყოს და ასაწონ-დასაწონად სასწორზე მის დადებას, მოვიფიქრებთო, აბა, ვინ შეგკადრებს, — საამისოდ ვინ გალოდინებს, მაგრამ, როცა შენ ჩვენი ალალ-მართალი ცხოვრების მხოლოდ ღობემძვრალა ხარ, თან არაკომუნისტი, აბა „ზევით“ რა ყურადსაღებია შენი ფიქრები, „გინდ შავნი იყვნენ, გინდა თეთრები...“

...ამა და ამ ქუჩას გომართელის სახელი დავარქვათ და მისი სახლის ფასადზე მოსაგონარი დაფაც მივაკრათო, ფულზე გონებაშეშლილი, ერის ამომწყვეტი აბორტმახერები ავაგოთ ანძუხზეო, საქედან სამუდამოდ ჩამოვსვათ ორჯერ და სამჯერ შემჩნეული ლოთები მაინცო, მრავალშვილიანები წავახალისოთ და გავახაროთ ჩვენი სიკეთითაც — ორი თითი მაინც ჩავიყრთ მრავალნაირი შემოსავლით ჩვენს ასე გამოტენილ ჯიბეტომრებშიო და სხვა ამგვარი აბდაუბდები ხალხისათვის და სამშობლოსთვის საჭირო და სასარგებლო რომ ყოფილიყო,

როგორ ფიქრობ, ამაზე შენზე ადრე ჩვენი მთავარი ლიტერა-ტურული ღენერალიც ხომ გვეტყოდა და სხვა, მისი მომდევნო ღენერლებიცო (ფრონტის გენერლები არა გვყავს, თორემ... ზურგის ღენერლები?! თვლასაც ვერ ავუდივართ!).

...ხოლო რაც შეეხება შენ რაღაც სხვა ბუზანკალურ საეჭ-ვო და ხალხთა ძმობის დამარღვეველ აზრიკუნებს (мыслишки) — მაგ ბენტერა თავში თუ კიდევ გამოჩეკ, ყოველ შემ-თხვევაში გარეთ მაინც ნუ გამოაფრენ, თორემ... ნუ იფიქრებ, ჰამლეტის მამის აჩრდილი აწი მეტჯერ აღარ გამოჩნდება ჩვე-ნი ცხოვრების სარბიელზეო...

ჩემო ბატონო, დაახლოებით, ალბათ, ასეთი პასუხი უნდა მიმეღო „ზევიდან“, მაგრამ სინამდვილეში არც ასეთი მიმი-ღია.

როგორც იტყვიან, სრული იგნორირება!

თითქოს მე მათთვის არც არაფერი გამეგზავნოს და თით-ქოს არც მათ მიეღოთ ჩემგან რამე!

დიახ, სრული იგნორირება!

ერთმა ჩემმა სტუდენტობის დროინდელმა ნაამხანაგარმა გურულმა ქალმა, ფარმაკოლოგიის პროფესორზე გათხოვების შემდეგ სირსვალი ლობიოს შეკაზმვის, ჩვენი დინამიკური დროისათვის ბევრად უფრო ეფექტური, ახლებური რეცეპტუ-რა რომ შეიმუშავა, — ჩემი ნაშრომი (თუკი, მისი აზრით, იგი ნაშრომად შეიძლება ჩაითვალოს) საერთო შტრიხებში თუმცა მოიწონა, მაგრამ თან ისეთი არსებითი, მომაკვდინებელი შე-ნიშვნა მოაყოლა, ერთი ხელის აქნევით სულ ფურცლა-ფურ-ცლა გადამიყარა... არ ვიცი, მდინარე სუფსაში, არ ვიცი, ბახ-ვის წყალში!

მოკლედ უნდა დაგეწერაო, სადა აქვთ პასუხისმგებელ ამ-ხანაგებს მაგის კითხვის დრო და თავიო...

ვინ იცის, ეგებ მართლაც-მართლაც!.. არა, თავი კი აქვთ, მაგრამ დრო, დრო! მოცალება და დრო!

ასეთ განაჩენს თითქოს საგონებელში უნდა ჩავეგდე, მაგ-რამ როცა ჩავუფიქრდი, თითქოს გამეხარდა კიდეც: ჩემს ნა-წერში ზოგიერთი ისეთი აზრიც არის გამოთქმული, რომლის ორჯერ ორის ოთხობაში ეჭვის შეტანა არავის, და, თითქოს, არც პასუხისმგებელ ამხანაგებს სოკრატობაში არ ჩამოერთმე-

ვათ, და მათ „შავი წიგნი", სიდიდისა და ცენზურული თვითდაზღვევის გამო, რაც სულ უდროობასთან არ იქნება, ცხადია, დაკავშირებული, არც აქამდე წაუკითხავთ და არც აწი წაიკითხავენ, ეს ერთთავად ცუდი არც არის: როცა თვითონ, და არა — დაიფარონ ღმერთმა! — ვიღაც ლიტერატურული ჯარისკაცის მორიდებული კარნახით მივლენ ამ აზრთა აქსიომობამდე, მაშინ მათ, ალბათ, კიდეც განახორციელებენ.

და ჩვენ ახლა იმაზე უნდა ვიოცნებოთ, რომ ამ პროცესს ათეული წლები არ დასჭირდეს ისე, როგორც ეს დასჭირდა, მაგალითად, იმ დიდ აღმოჩენას, რომ რძეს თურმე ძროხა იძლევა, და რომ ბევრი კვერცხი გვქონდეს, ამისათვის თურმე საჭიროა ქათამი გვყავდეს მრავლად...

ერთსაც ვიტყოდი: ნუ. ვეცდებით (ცოტას ვცდილობთ თუ?!) ინდაურის საცივი უინდაუროდ გავაკეთოთ; უინდაუროდ ინდაურის საცივი არასოდეს არ გაკეთდება.

ერთმა ჩემმა ნაცნობმა „შავი წიგნი" როგორღაც ერთ ისეთ ყოფილ პასუხისმგებელ პირს წააკითხა, რომლის პირველკაცობის პერიოდში, შორიდანაც რომ გამოჩნდებოდა, იმ ბედის მომცემი და ბედის წამართმევი დაწესებულების კარგა მოზრდილი მუშაკებიც კი, თუ იმ წუთში დერეფანში აღმოჩნდებოდნენ, — ვაი, თუ ჩვენი დანახვა არ ეშაშნიკოსო, — მოკრიალებულ პარკეტზე შეშინებული ვირთხებივით გარბოდნენ და შერბოდნენ თავიანთ სოროებში... ბოდიში, კაბინეტებში!

ო-ო, ეს ნურც გაგვიკვირდება და ანლა მათ ასეთი სიფრთხილისათვის ნურც დავძრახავთ, აკი მას თითქმის იმდენივე შეეძლო, რამდენიც, ვთქვათ, კალიგულას, თავისი ირღა-ცხენის გაკონსულება რომ მოინდომა...

ჰოდა, თუ მის ახლობელს დაეჯერება, ასეთმა დიდმა კაცმა, თუმცა ყოფილმა, ჩემთან შეხვედრის ისეთი მორიდებული სურვილი გამოთქვა, აი, უხეირო რეჟისორი მსახიობს როლის ქვეტექსტს რომ უხსნის: თუ მიკადრებსო...

ჩემგან „უკადრობა", აბა რა საკადრისი იქნებოდა და... საუბრისას, სხვათა შორის, სიტყვა მემუარულ ლიტერატურაზე ჩამოვარდა...

მემუარები, მე ვუთხარი, მხოლოდ იმ შემთხვევაშია საინ-

ტერესო, თუკი მისი ავტორი გამოჩენილი პიროვნებაა, ანდა, შეიძლება თავად არ იყო გამოჩენილი, მაგრამ ისტორიულ პიროვნებათა შორის ტრიალებდა და ისტორიული ამბების თუ უშუალო მონაწილე არა, მათი უშუალო მომსწრე მაინც იყო-მეთქი.

რაკი გავბედე და ასეთი გაცვეთილი სიბრძნე ჩამოვღერღე, ამით გათამამებულმა მერე უკვე წმინდად ჩამოვფქვი, აი „ამას-ამას-ამას", რაც არც მაშინდელი და, მით უმეტეს, დღევანდელი თვალსაზრისით, მისი მოღვაწეობის პერიოდს არ ამშვენებდა და არ ამშვენებს, რატომ აკეთებდა...

მან ყოველივე და ყველაფერი „ეს-ეს-ეს" სტალინსა და მოსკოვს გადააბრალა...

კი, მაგრამ... ვითომ სულ ასე იყო საქმე?! მკვდარი, ლომიც კი, სიმართლეს ვეღარ აღგვიდგენს, მოსკოვი კი...

როგორ, მაგალითისთვის, იმ სახლზე რომ მემორიალური დაფა მიგვეკრა, სადაც ივანე გომართელი ცხოვრობდა, რომლის მთელი დანაშაული საქართველოსა და ქართველი ხალხის წინაშე ის არის, რომ მისი გული საქართველოსა და ქართველი ხალხისათვის ფეთქავდა, და ამ მოსიყვარულე გულმა შეიწირა კიდეც იგი, — დავიჯეროთ, ამას მოსკოვი დაგვიშლიდა?!

რასაკვირველია, მე სულ უბრალოზე უბრალო მაგალითი მომყავს, თორემ... თუნდაც ქუჩას და დაბა-ქალაქისთვისაც მიგვეკუთვნებინა ამ მართლაც სასიქადულო, ყოველმხრივ მისაბაძი მკურნალის სახელი, ესეც პატარაზე პატარა ამბავი იქნებოდა იმ სასიცოცხლო საკითხებთან შედარებით, რომელთა მოუგვარებლობა ისე დიდად გვაწუხებდა (ახლაც გვაწუხებს!) და რომელთა გადაჭრისათვის მოსკოვს უნდა დავკითხებოდით...

აი, თუნდაც... სულ აგერ ახლა, ვაგზლის მახლობლად ოქტომბრის ქუჩის საკმაოდ გრძელი მეორე შესახვევი საქელეხო სეფა-სუფრით მთლიანად რომ ჩახერგეს, და საერთოდ, ეს ახალი „ტრადიცია", ჩვენი სატრაბახო, დიდად ცივილიზებული დედაქალაქის მეტ-ნაკლებად მოფარებულ ქუჩებში რომ მკვიდრდება ორას-სამას-ხუთასკაციანი ღრეობები, ამის დროულად, ამთავითვე ამოსაშანთავად მკაცრ ზომებს თუ მიიღებენ, — როგორ, ამას დაგვიშლის მოსკოვი?!

ესეც ვიცოდეთ, გავა დრო და ეს ახალი „ტრადიცია" რომ დაძველდება, ჩვენი შთამომავლობაც მიიღებს, ალბათ, დადგენილებას მავნე ტრადიციების თაობაზე და, ვაითუ, ის დრო, რომელშიც ახლა ჩვენ ვცხოვრობთ ქელეხ-სეფა გაშლილ... ბოდიში, მხრებგაშლილ საქართველოში, იმ ზედსართავი სახელით მოიხსენიონ, რომლითაც ჩვენ ვიხსენიებთ ხოლმე წარსულს ახლანდელ დადგენილებებში...

ჰოდა, ნუ დავაწყევლინებთ თავს!

დადგენილებას პრაქტიკული შედეგი თუ არ მოჰყვა, რა ფასი აქვს ასეთ დადგენილებას?!

ჰოდა, ნუ ეგონებათ დღევანდელ ამა ქვეყნისა ძლიერთ, გამოტანილ დადგენილებათა მიხედვით შეაფასებს მათ ნაღვაწნამოქმედარს ხვალინდელი ისტორია.

რესპუბლიკის უმაღლესი ორგანოების დადგენილება უბრალო სამომჩივნო-საგაზეთო წერილი ხომ არ უნდა იყოს, რომელზეც, ამ შემთხვევაში უთანამდებებო, მაგრამ ფულით და კანონიერების არაერთხელ დაუსჯელი გათელვით გათამამებული, ჯოლოომოღლო ხალხი ნიშნისმოგებითაც პირში გვახლის, წერეთ და იკითხეთო...

ბუზი ბუზობისას უნდა მოკლა, თორემ... თუ მას სპილოდ გადაქცევა აცალე, მერე თვითონვე დაგტორავს.

დაკვირვებული მკითხველი, ვფიქრობ, მიმიხვდება, რისი თქმაც მინდა ამ ორიოდე სტრიქონით:

რა დროს „მზიურია",
როცა მზე იწურება
საქართველოსი!

რეგვენს ღმერთი გასაჭირში მოაგონდებაო.

ანდაზა

ამ რამდენიმე წლის წინათ მარჯანიშვილის თეატრი ერევანს ეწვია: დიდი პატივისცემით მიიღეს (სტუმართმოყვარეობის ყადრი სომხებმა ჩვენგან გადაიღეს, მაგრამ ახლა, ისე, როგორც ყველაფერში, ამაშიც გაგვისწრეს; საერთოდ, ჩვენში ადრე დამკვიდრებული წარმოდგენა კარაპეტა-ძუნწისა არ არის სწორი და მართებული. სომეხი იმდენად ძუნწი როდია, რამდენადაც მომჭირნეა და ყაირათიანი, რაიც ისევ მათ გონიერებაზე მიგვანიშნებს).

სპექტაკლი, ისე, როგორც თბილისში, საღამოს 8 საათზე უნდა დაწყებულიყო... და აი, დადგა ჟამი ფარდის ახდისა, მაგრამ მასპინძლები სთხოვენ სტუმრებს, ცოტა შეიცადონ...

იცდიან...

წუთის მანიშნებელი ისარი რვას, აი, ათი წუთითაც გადასცილდა, თხუთმეტითაც, მაგრამ... სპექტაკლს მაინც არ აწყებინებენ, რასაკვირველია, ერთობ მორიდებული თხოვნით...

პირველი საგასტროლო სპექტაკლის მონაწილე მსახიობები ნერვიულობენ, ფარდაში დატანებული სათვალთვალოდან დარბაზში იჭვრიტებიან: უცნაურია, უმაღლესი პარტიული ელიტა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის დემირჭიანის მეთაურობით უკვე თეატრშია, მაშ, აბა, რა არის მიზეზი, ასე რომ აგვიანებინებენ?

ეს მხოლოდ ცხრის ოც წუთზე გაირკვა, როცა ერთ-ერთ მეტად პატივსაცემ ლოჟაში ამალითურთ ყოველთა სომეხთა კათალიკოსმა ვაზგენ პირველმა შემოდგა ფეხი ჩაბრილიანტებული კვერთხითა და ძვირფასი ქვებით მოოქვილი საეკლესიო ორდენებით მკერდდამშვენებულმა...

აბა!

ამდენ ხანს თურმე დიდი და პატარა, ქალი და კაცი, პარტი-

ული და უპარტიო თავიანთი სულიერი მამის მობრძანებას ელოდებოდნენ!

აი, ასეთ პატივს მიაგებენ სომხეთში თავიანთ არა მარტო ყველაზე დიდ მღვდელმთავარს, — მის რიგით მსახურსაც კი, ჩვენ კი სრულიად საქართველოს კათალიკოსს...

ჰოდა, რით ჩამორჩება ჩვენი უწმინდესი და უნეტარესი სომხეთის უწმინდესს? ღვთაებრივი გარეგნობით, თავის ერისა და თავის სამშობლოს სიყვარულით, განათლებით და გონებით, თუ... წაიკითხეთ ილია მეორის ეპისტოლეები და, როგორც იტყვიან, მერე ვილაპარაკოთ.

ჯერ იმდენი გვირტყეს თავში და მერე იმდენი გვიჩიჩინეს, რომ ჩვენ, ჩვენდა საუბედუროდ, მდიდარი რელიგიური კულტურა თითქმის სულ პირწმინდად დავკარგეთ...

ეს რომ ასე არა, მაშინ ოდესღაც წმიდა ნინოს წილხვედრ საქართველოში, პრესაში ამას წინათ წმიდა ნინოდ ისეთ ნინოს არ შეასახელებდნენ, რომელმაც, თუ ხმებს დაეჯერება, „კომცომოლობისას“ ქრისტიანობის მქადაგებელ ნინოს ვაზის ჯვარის იმიტაცია ოთხად გადატეხა, და რომელიც, თუ ხმებს ესეც დაეჯერება, პაპიროსსაც აბოლებს, ვაზის ნაწურსაც გეახლებათ და დროდადრო, თუ გაგულისდა, „ნაკურთხი“ სიტყვების ლექსიკონშიც იხედება თურმე...

შარშან დეკემბერში ამაზრზენი ამბავი მოხდა: ერთ კვირა დღეს შიო მღვიმის მონასტერში საწირაოდ არქიმანდრიტი მამა იოაკიმე ჩავიდა, — ერობაში ცხრა შვილის მამა, კაცი ფრიად პატიოსანი...

ჯერ ადგილობრივმა და მერე მცხეთიდან მოხმობილმა მაშველმა ძალებმა მამა იოაკიმეს წირვის საშუალება არათუ მისცეს, — როცა ეს უკვე ხანში შესული ღვთისმსახური მუცლისკაცებს ვაჟკაცურად გაუძალიანდა, ეკლესიის კარი გარედან გამოუკეტეს და მთელი ღამე, ყინვაში მშიერ-მწყურვალი, სხვა ბუნებრივ საჭიროებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, აყურყუტეს, თითქოსდა შიო მღვიმის მონასტერი მათი საკუთარი ბოსელი თუ გომური ყოფილიყო.

ვინ იცის, ეს მცხეთური ლინჩის პარპაში რამდენ ხანს გასტანდა, რომ მეორე დღეს ტყვე იქ შემთხვევით მოხვედრილ ერთ ღ ვ თ ი ს ნ ი ე რ რუს სამხედრო პირს არ გამოეხსნა, რო-

მელმაც მხოლოდ ამის მერე შეიტყო ძველი ამბავი ოსმალების მიერ თევდორე მღვდლის ველური წამებისა, რაიც ბევრად არც აღემატება მცხეთელ „მამუკელაშვილების“ მიერ მამა იოაკიმეს დღევანდელ „ცივილიზებულ“ წამებას, რომელთაც სვეტიცხოველით და ჯვარით თავი ისე მოაქვთ, თითქოსდა ეს უნიკალური ტაძრები მათ აეშენებინოთ ანდა მათებრ მსგავს მათ წინაპრებს.

მაგრამ ამათ, აბა, რწმენის რა სიწმინდე უნდა მოსთხოვო, თუკი პოეტი კაცი, უკვე ხანში შესული ასაკითაც და პოეტური სტაჟითაც, ჩვენს დროში, ჩვენს დღეებში, ჯერ თუნდაც თავისთვის ანდა მეგობრების ვიწრო წრისათვის დაწერს და შემდეგ კი მოურიდებლად გამოაქვეყნებს პირდაპირ ქუჩური სიტყვებით აჭრელებულ სიბინძურეს იესო ქრისტეზე (იხილე „პოეზია“, 1981 წ.)...

ასეთი რამ იმ წლებშიც კი არ იწერებოდა, როცა დავით და კონსტანტინეს ძვლები ლამის ძაღლებს გადაუყარეს, როცა ქუთაისის მახლობლად, საღორიის ტყეში, იმ დროს ყმაწვილის, ახლა კი უკვე მოხუცის, ცნობილი მომღერლის მამა — მღვდელი სიმონ მჭედლიძე დახვრიტეს, როცა კათალიკოს ამბროსის („სული ჩემი ღმერთს, მძორი ჩემი კი თქვენ, ჯალათებო...“) განაჩენის გამოტანიდან მეცხრე დღეს სული აღმოხდა, როცა ცხინვალში ერთი დიდად სულგრძელი, ფანატიკურად მორწმუნე მღვდელი, გვარად ცქიტიშვილი, ანაფორის გახდაც არ დანებდა და ერთმა „კომცოშოლამ“ საკუთარი ხელით მოუსპო სიცოცხლე მას, ვინაც სიცოცხლე თავად მას აჩუქა, და იგი, მამის მკვლელობისათვის, „უფროს კომუნისტ ამხანაგებს“ ფორმალურადაც კი არ დაუსჯიათ.

ოციან წლებში ამერიკის ერთ-ერთ პატარა ქალაქში მოსახლეობის დიდზე დიდმა ნაწილმა უკიდურესად შეურაცხყოფილად იგრძნო თავი, როცა შეიტყო, ერთ სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებელს მოწაფეებისათვის აეხსნა, ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვაო...

...როგორ თუ ჩვენ — ადამიანი! — ბუნების გვირგვინი, სასწაული გონიერებისა, მთესველი სიკეთისა, გუშაგი სიწმინდისა, ბანჯგვლიანი და უწმინდური მაიმუნისგან წარმოვიშვითო...

ო, ნუ აჩქარდები, ძვირფასო მკითხველო, და ნუ გაამტყუ-

ნებ იმ ქალაქელთ, და ნურც უვიც, უმეცარ, ბრიყვ ბრბოდ ჩათვლი, — ისინი მ ო რ წ მ უ ნ ე ნ ი იყვნენ.

ახლა კი ყველა ჩვენგანს შეუძლია ჩაატაროს სულ მცირე, ყველასათვის იოლი, ხელმისაწვდომი ექსპერიმენტი: ჰკითხეთ ვისაც გნებავთ, — მამას, დედას, ბიძაშვილ-მამიდაშვილს, გნებავთ შემთხვევით გამვლელ-გამომვლელს, მგზავრს ტრამვაი-ავტობუსში, თუნდაც საჯაროდ კრებაზე, ტრიბუნიდან, — ამხანაგებო, მაიმუნი რა არის, თურმე ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, აფთრისა და ღორის ნაჯვარისგან ვყოფილვართ წარმოშობილიო, — აბა ერთს მაინც ვინმეს თუ ეწყინოს, აბა ერთი ვინმე მაინც თუ აღშფოთდება და შეურაცხყოფილად იგრძნობს თავს?!

ო, ასეთს მართლაც ვერსად მონახავთ იმიტომ, რომ... ყველა ჩვენ უ რ წ მ უ ნ ო ნ ი ვართ, და შეიძლება ეს არის მთავარი მიზეზიც იმისა, რომ ამ კეთილშობილ ცხოველებს ბევრ რამეში უკვე დავენათესავეთ და სულ მოკლე ხანში შეიძლება სულ ახლობელი ნათესავი — ბიძაშვილიც გავხდეთ მათი...

წინათ ხატს მაღლა, კუთხეში ჰკიდებდნენ, ეს იყო კუთხე მაცხოვრისა... გავსაბჭოვდით თუ არა, ეს რწმენის კუთხე ცეცხლითა და მახვილით მოვშალეთ და იგი წითელი, ლენინის კუთხით შევცვალეთ და, — ნუ შეშინდები, მკითხველო, მე თუ დავწერ და შენ წაიკითხავ, — ამის მერე ლამის საუკუნე გავიდეს, მაგრამ მაცხოვრის კუთხე... ლენინის კუთხემ ვერა და ვერ... მმ...

არა, კი, ამ კუთხემ ხალხში ქრისტეს რწმენა კი ამოშანთა, მაგრამ ამ ამოშანთვამ არათუ ვერ ამოწვა, — კიდევ უფრო გააძლიერა ის, რაიც ყველაზე ადრე უნდა ამოებუგა — კომუნიზმის შეუნიღბავი, პირდაპირი მტრები: ჰიპერტროფიული კერძო საკუთრების მომძლავრებული სული, ფულისა და ქონების დაგროვების გაუმაძღარი მადა, კარიერიზმი და ეგოიზმი („გძულდეს მოყვასი შენი და გიყვარდეს თავი შენი!"), საყოველთაო მეშჩანობა და ისეთი დანაშაულობანიც კი, რომლებზეც ძველი ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსს შორეული წარმოდგენაც არ ჰქონდა; მაგალითად, ერთ დიდ ქალაქში ზოგიერთ ადამიანზე ბევრად უფრო ჭკვიანი და კეთილშობილი სენბერნარის ჯიშის ძაღლი, — აი ის, მთაში თოვლის ზვავებში

ჩაფლულ და მიკარგულ ადამიანს რომ მიაკვლევს და თავდადებით გამოიყვანს სამშვიდობოზე! — ახალგაზრდა კომუნისტმა ახალგაზრდებმა ცოცხლად გაატყავეს, რათა მისგან ქუდები შეეკერათ...

...და ისინი დაუსჯელნი რჩებოდნენ, რამეთუ არც სოლონის, არც ძველი რომის, არც პეტრე დიდის, არც ვახტანგ მეექვსის, არც ნაპოლეონის და არც რომელიმე ჩვენი რესპუბლიკის კოდექსებს ამგვარი დანაშაული, მისი წარმოუდგენლობის გამო, გათვალისწინებული არა აქვთ...

და როცა აღშფოთებული მოწინავე საზოგადოებისათვის უკვე აღარ შეეძლო ანგარიში არ გაეწია, საბჭოთა მართლმსაჯულებამ ამ საბჭოთა მოქალაქეთ ხულიგნობის მუხლი მიუყენა...

ცოტა უცნაური კია, სად ხულიგნობა და სად წინასწარ განზრახული მკვლელობა მეფე-ძაღლისა, მისი ტყავით ურწმუნო კომუნისტური თავების შემოსვა-შებურვის მიზნით! (თუმცა ესეც არის, სხვა გამოსავალი, აბა, რა ეპოვათ: ძაღლის მკვლელობას კაცის მკვლელობასთან ხომ არ გააიგივებდნენ?!).

ჩემს ყმაწვილობაში, როცა რელიგიასთან საბრძოლველად ყველა ხერხი, ყოველგვარი ფანდი და ილეთი ნებადართული იყო, აი ისე, როგორიც ესაა დაშვებული ამერიკულ თავცხვირ-პირ სამტვრევ მსგავს ჭიდაობა-კეტჩში, როცა ამ ბრძოლის ერთადერთი დევიზი გახლდათ — მოსპე-გაანადგურე, -დაწვი-აღგავე! — მთავარი იერიში, რელიგიის გასაბახებლად, პერსონალურად მღვდლებზე მიიტანეს.

...კი, იყვნენ ისეთი მღვდლებიც, ნუნუა რომ უყვარდათ, და ამის გამო ცხვირიც ჰქონდათ გაბუშტულ-გაწითლებული და საქელეხო სუფრიდან დროულად რომ არ წამოდგებოდნენ; შეიძლება მათ წირვაც შეეკვეცათ, თუმცა ფეხბურთის მატჩზე არ აგვიანდებოდათ ზოგიერთი ახლანდელი ქირურგივით, ამის მომიზეზებით ზოგჯერ მაკრატელს რომ უტოვებს ნაოპერაციევს მუცელში; შეიძლება ჯვრისწერის წინ მექორწილეებთან გასამრჯელოზე ვაჭრობაც კი დაეწყოთ; შეიძლება ზოგიერთ მათგანს მოფარებულად დიაკვნისათვის მუჯლუგუნიც კი ეთავაზებინა, როცა ძეობით გახარებულთ, ნათლობისას, არა მის-

არამედ თ ა ვ ი ს ხურჯინს ავსებინებდა რჩეულ-რჩეული ხორაგით — ხაჭაპურებით, სათბილოთი, ბეჭით და სუკით...

კი, ბატონო, არათუ იმდროინდელ მღვდელთა ლეგიონში, ახლაც კი, როცა ეს ლეგიონი რაღაც ასეულამდე დაცოტავდა, — უღირსნი, საუბედუროდ, ამ ასეულშიც, ალბათ, გამოერევიან, მაგრამ რა დანაშაული მიუძღვის ამაში რელიგიას, როგორც რწმენის სიმბოლოს?

განა ცოტანი იყვნენ ქრისტიანობის ამ ოცი საუკუნის მანძილზე ისეთნი ღვთისმსახურნი, რომლებიც უდრტვინველად სიცოცხლეს სწირავდნენ თავის რწმენას, თავის ხალხს, თავის ქვეყანას?!

მოდით, ბატონებო, და ესეც ვიკითხოთ: თუკი ეღირს მღვდელს შეუძლია სახელი გაუტეხოს რელიგიას და შეურყიოს მორწმუნეს რწმენა, მაშინ რაიკომის მდივანს, წესდებით თავის რაიონში კომუნიზმის პირველ მგზნებარე კომუნისტმშენებელს, ყველაფერი საუკეთესო კომუნისტურის მაგალითის მიმცემს, თუკი იგი იმ გლახა, ანტიქრისტე მღვდელივით ცრუმარქსისტია, თავის ეჩო ვაიხელმძღვანელია, მოკლედ, გლახა რაიკომის მდივანია, და ამას რაიონის „მრევლი" თვალნათლივ ხედავს, შეუძლია თუ არა ხელი აგვალებინოს კომუნისტურ მრწამსზე და სახელი გაუტეხოს კომუნიზმს, რომლის გამოცხადებას, დასტურ, რა ხანია ველოდებით, ველოდებით და ასე უსაშველოდ იგვიანებს დალოცვილი, იგვიანებს, იგვიანებს?..

ო, რასაკვირველია. შეუძლია, მაგრამ ეს თითქოს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ ზნეწამხდარი, ცრუკომუნისტი რაიკომის მდივნის შემხედვარეებმა აღარ ვიწამოთ კომუნიზმი, საზოგადოებრივ ფორმაციათა შორის, ცხადია, მხოლოდ თ ე ო რ ი უ ლ ა დ, როგორც ყველაზე უკეთესი ფორმა საცხოვრებოდ და სასიცოცხლოდ...

ზუსტად ათი წლის წინათ საქართველოში დახსნეს და დაანიავეს ყველა რაიკომის ყველა მდივანი, უფრო მეტიც, მათ ცენტრალური კომიტეტის მდივნებიც მიაყოლეს...

რატომ? კომუნიზმის წუნკალი „მღვდლები" იყვნენ და იმიტომ! ერთ მათგანს, მაგალითად, ხალხმა „აბაზა" შეარქვა: ჭრთამად აბაზის — ოცკაპიკიანის — აღებასაც არ თაკილობსო

(სხვათა შორის, ამ „აბაზამ“ ახალი შენობით თავისი მმართველობა რომ გაეგრანდიოზებინა, ის უმშვენიერესი ცაცხვი მოაჭრევინა, რომლის ჩრდილის ქვეშ რაჭაში მოგზაურობისას აკაკიმ შეისვენა).

...ერთი ღაბაბ-ღიპიანი. რაიკომის მდივანი შემოდგომაზე ერთ საწყალ, ჩვენი დროის გოგია უიშვილს ფარღალალა ფიცრულ ქოხმახში შეუვარდა და კედლიდან „ბღარისთვის“ განკუთვნილი აკიდო ჩამოუგლიჯა, შენ ეს ყურძნის დამზადების გეგმისთვის დაგიკლიაო, მეორემ — ასეთივე აფხორილ-გადიდგინებულმა — ასეთსავე უიშვილს, ოღონდ არა გოგიას, — მაგდანას, გადანახული ერთი დოქი ტკბილი წაართვა, და როცა „დამნაშავემ...“ ბოვშებისათვის ფელამუში მინდოდა გამეკეთებინაო, — ბოვშებს ფელამუში კი არა, კამფეტი აჭამეო...

ჰოდა, რა გვექნა მაშინ, ამგვარების შემხედვარენი როგორ მოვქცეულიყავით? ჩაგვეკლა ჩვენში რწმენა კომუნისტური იდეალებისა, რწმენა კომუნიზმისა?!

ასეა რელიგიაც!

ამიტომაც არა აქვს ფასი და ძალა ჩვენს აგიტაციას, —

ქრისტეს ნუ იწამებ და ჭანუყვაძე იწამეო!..

(გვარი ესე კრებითია და იგი ავირჩიე, როგორც არცთუ მაინცდამაინც მთლად კეთილხმოვანი).

ქართულ ანბანს, როგორც ვიცით, მთავრული ასოები არ გააჩნია, ამიტომაც არსებითი და არაარსებითიც ერთნაირად იწერება, რუსულში კი...

ერთხანობას, თანაც დიდხანს, დიდხანს „ქრისტე“, როგორც არასულიერი, პატარა ასოთი იბეჭდებოდა, აი ისე, როგორც მაგალითად, веник, тряпка, горшок... თუმცა აქ არის, სწორედ, არსებითი განსხვავება: ცოცხი, ჩვარი, „გარშოკი“ ადამიანისთვის საჭირო და სარგებლობის მომტანი ნივთებია, христос კი... აბსოლუტურად არაფერიაო, ничто! არ იყო ასეთი კაცია, გამოგონილი მითიაო...

ამჟამად ქრისტე რუსულად უკვე დიდი ასოთი იბეჭდება ცენტრალურ პარტიულ პრესაშიც კი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ იგი საყოველთაოდ შეიწყალეს და აღიარეს. ფაქტად მისი, როგორც ისტორიული პიროვნების, არსებობა.

კი, მაგრამ... კაცობრიობის ისტორიისათვის ოცი საუკუნე

ვითომ რა ისეთი ხანგრძლივი პერიოდია, რომ მისი დასაწყისის პირველი რაღაც სამი ათეული წელიწადის ამბები ისე კუპრივით ბნელით იყოს მოცული, რომ მას დღევანდელი ადამიანის თვალი და გონება ვერ მისწვდეს?

დიახ, რა არის ოცი საუკუნე ისტორიისათვის? სულ მალე, ხუთიოდე წლის შემდეგ, ქართველი ხალხის ცოცხალ სათაყვანებელ, მკლავმოუღლელ და გონებაგაუცვეთელ აკაკი შანიძეს ასი წელი შეუსრულდება...

ჰოდა, ამ ოციდან თითოეულ საუკუნეს თუ პატივს დავდებთ და თანმიმდევრობით თითო-თითო აკაკის ჩამოვურიგებთ, რატომ არ შეეძლო, ოცი აკაკის წინათ, დღეს ჩვენში მითად გამოცხადებულ ქრისტესაც ეცხოვრა? რატომ არ შეეძლო იმქამინდელ ისტორიას მომავლისათვის შემოენახა ქრისტეს სახელი და მისი ცხოვრების მთავარი ფაქტები? აკი ისტორიამ ხომ შემოგვინახა იმდროინდელ სამყაროში მცხოვრებ, უშუალოდ ქრისტეს თანამედროვეთა და თითქმის მის თანამედროვეთა... აი, თუნდაც ციცერონის არა მარტო როგორც ცოცხალი პიროვნების ამბები, არამედ მის მიერ სენატში წარმოთქმული სიტყვებიც კი...

ძველი რომი თავისი კულტურით, კერძოდ დამწერლობითი კულტურით ვითომ ისე დიდად უსწრებდა წინ იმ ქვეყანას და იმ ხალხს, რომელმაც შექმნა ბიბლია?!

...ჰოდა, დაე, ამ შემთხვევაში იყოს ნება თქვენი, კერძოდ, ქართველო ათეისტ-პუბლიცისტებო (სხვათა შორის, ერთ ამათგანს ისე ხატოვნად ემორჩილება და ემარჯვება კალამი, მისი ნაწერის კითხვისას გული გწყდება, თავის, ალბათ, არა ცალმხრივ ნიჭს „ვთათხავ ქრისტეს, ვჭამ ამით პურს"-ზე რომ ახურდავებს), — კარგი, ბატონებო, ქრისტე არ იყო, ქრისტე ბითია, რომელიც უმეცრებმა შეთხზეს და მათზე კიდევ უფრო უმეცარ და ბნელ ხალხს თავზე მოახვიეს...

კი, მაგრამ... ეგებ ესეც გვითხრათ, კვლავ ბატონებო, მეტრედა, ამით რა დაუშავდა ადამიანებს და ადამიანობას?! ეგებ კომუნიზმის მწვერვალებისკენ ჩვენს გიგანტურ სვლას ეს ანელებდა და ანელებს, ა?!

კი, მაგრამ... ასტრონომიული ციფრითაც რომ ვიანგარიშოთ, ჩვენს თვალუწვდენ ქვეყანაში ეკლესიაში მოსიარულენი

მილიონზე მეტი ხომ არ იქნება და... დანარჩენი 169 მილიონი კი ნუთუ ფარულ ლოცვასა და პირჯვრის წერაშია, ნაცვლად, იმისა, რომ მთელ თავის დროს, რაშიც ხელფასს იღებს, შრომის ნაყოფიერების ზრდის საქმეს ახმარდეს?!

„არა კაც ჰკლა," „არა იპარო..." და სხვა ცნობილზე ცნობილი მცნებანი დღეისათვის, ჩვენი თანამედროვეებისათვის ეგებ მართლაც მოძველდა, ა? ან, უფრო უკეთ, მოვაძველ-დავაძველეთ ჩვენ მიერ ყველაფერში ახლის ძიებით და ყველაფერი ძველის საპირისპიროდ ყირაზე დაყენებით?!

ქრისტეს ნუ იწამებ, ჭანუყვაძე იწამეო, და ბევრიც, ძალიან ბევრიც სიგლახის მთესველისაგან უფრო მკვირცხლად იღებს მაგალითს, ვიდრე... შეიძლება სწორედ ამიტომაც აგერ ახლა ერთმა, სამეგრელოში, რაკი მავნე ოპიუმად მიიჩნია სახარებისეული — გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი, — ხელებაუკანკალებლად და მუხლებმოუკვეთლად, წარბშეუხრელად და გულმოდგინედ ცოცხლად ჩამარხა ცივ მიწაში თავისივე მეზობელი...

ასე წინა საუკუნეების სელჯუკი, მონღოლი, თურქი ქრისტიანს, რელიგიური ფანატიზმის ნიადაგზე, მოქცეოდეს, — ეს შეიძლება კიდევ გაგვეგონოს, მაგრამ ქრისტიანი ქრისტიანს, როცა საქართველოში ქრისტე ქრისტეობდა, — არავის გაეგონა...

ვინ იცის, ჩვენი დროის ამ ურწმუნოს ქრისტე-ღმერთი რომ სწამებოდა და ჯოჯოხეთში მოხვედრის შიში მისი ცხოვრების მუდმივი თანამგზავრი ყოფილიყო, ამგვარ არაადამიანურ საქციელს არ ჩაიდენდა (მე არ ვამბობ მხეცურს, — მხეცი ასეთ „ადამიანობამდე" არასოდეს დაეცემა)...

...და შეიძლება არც ქ ა ლ ი მოკლავდა ქ ა ლ ს, ვალი რატომ დამიგვიანეო, და არც მეცხრე კლასის მოწაფე გოგო თავისივე ამხანაგს უმნიშვნელო წაკინკლავების გამო, და არც მცირეწლოვანი მოუღებდა ბოლოს მცირეწლოვანს...

ჩვენ, ასე დიდად ჭკვიანებს, ნუ გვგონია, ვინც რელიგია შექმნა, — ბუდა იყო ის, მოსე იყო ის, კონფუცი იყო ის, ქრისტე თუ მაჰმადი, რაკი მათ ჰეგელი თუ ფოიერბახი არ წაეკითხათ ან კიდევ მარქსი და ლენინი, ანდა ჩვენიანები — თეიმურაზ ფანჯიკიძე თუ დავით გეგეშიძე, ჩვენზე უფრო სულელები

და ჩვენზე ნაკლებ გონებაგამჭრიახნი იყვნენ ადამიანის თანდაყოლილი ხინჯოვანი ბუნების შესაცნობად და არაფერი გაეგებოდათ, რა უნდა მოემოქმედათ მისი სრულყოფილობისაკენ წარმართვისათვის...

ჩვენ უკვე რა ხანია თავდაუზოგავად ვებრძვით რელიგიურ დღესასწაულებს (არ ვებრძვით მხოლოდ მუშად... კურთხევას!), დროდადრო ვაახლებთ და ვლესავთ და ვლესავთ ამ ჯერ კიდევ ამოუშანთავ ოპიუმთან საბრძოლო იარაღს, მალულად ვუსაფრდებით იმ კომკავშირელ ახალგაზრდებს, რომლებიც ეკლესიაში შესვლას დააპირებენ, — აბა, როგორ! კომუნისტური რწმენის გამაუკუღმართებელ სულიერ ოპიუმს სჯობს სადაც გინდა, იქ იყო, ოღონდ არა ტაძარში, და, თუ გინდა, ნამდვილ, ფიზიკურად ხელშესახებ ოპიუმსაც დაეწაფო...

აღდგომის წინა ღამეს ხალხი საერთოდ და, კერძოდ, ახალი თაობა, რომელმაც პაპებისა და მამების მიერ დაწყებული კომუნიზმის შენება უნდა დაამთავროს, ლიტანიობას რომ არ დაესწროს, ტელევიზია შრომის კანონების დარღვევასაც არ ერიდება და დილის ოთხ საათამდე ხან „ფანტომასს“ უჩვენებს, ხან „შვიდი ძმის შვიდ ცოლს“, ხანაც ბრაზილიურ ფეხბურთს, და ხან კიდევ რას...

...და მაინც, იმ ღამეს ვერც სიონში, ვერც ქაშვეთში არათუ ცხვირს ვერ შეჰყოფ, — მათ ახლომახლო ქუჩებში საცალფეხო გზასაც ვერ გაიკვლევ.

თუმცა ხელს ასაკიც მიწყობს და, წისქვილის ქვაზე რომ არის ნათქვამი, ცხოვრების იმდაგვარი გამოცდილებაც, მაგრამ მაინც მერიდება ვურჩიო ტელევიზიის თავკაცებს — ვაითუ შევცდე! — ვიფიქროთ-მეთქი, უფრო ეფექტიანი ხომ არ იქნებოდა, რომ ამ მიზნით, ესე იგი ჩვენი ქვეყნის მომავალი — ჩვენი უბიწო ახალგაზრდობა რელიგიამ რომ არ წარყვნას და შებილწოს, და ამიტომ აღდგომა ღამეს მის შინ დასაბმელად, ნაკლები შედეგიანობის მომცემ უცხოური სათავგადასავლო სურათების ნაცვლად ხომ არ აჯობებდა მათთვის უცხოურივე პორნოგრაფიული ფილმები გვეჩვენებინა?

მით უმეტეს, ჩვენს ორივე აკადემიურ თეატრს საამისო გამოცდილება უკვე საკმაოდ დაგროვილი აქვს, თანაც ისინი ამ ღონისძიებას წელიწადში ერთხელ როდი მიმართავენ, რაზეც,

სხვათა შორის, საკმაოდ ვრცლად მაქვს ნაამბობი „საით მიექანება ქართულ თეატრში“, სიდიდის გამო ამ ხელნაწერს რომ გამოეყო და ახლა ეულად მიდი-მოდის და არავინ არ ბეჭდავს, ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნებაც“ კი (მისმა რედაქტორმა, ნოდარ გურაბანიძემ... „მთელი ზიზღით არის დაწერილი ქართული თეატრის მიმართო“...).

წინააღმდეგ დასავლეთისა, სადაც პორნოგრაფია, პიროვნების სრული თავისუფლების საბაბით, კანონით თითქმის ნებადართულია, ჩვენში კი იგი, საბედნიეროდ, მკაცრად იკრძალება და ამგვარ გონივრულ შეზღუდვას პიროვნების თავისუფლებისა, მე პირადად ამისათვის ტაშის დასაკვრელად, ზოგიერთი სხვა ამბებისათვის, ცალი ხელი, ვითომ მტკივანი, დროდადრო კისერზე რომ მაქვს ხოლმე ჩამოკონწიალებული, ახლა თაბაშირშიც რომ მქონდეს გახვეული, როგორც მართლაც მტკივანი, არც იქიდან დავიზარებდი მის ამოღებას...

ცარიელი გუდა ადვილი გასაბერია!..
კაციც ასეა: რაც უფრო ცარიელი აქვს
თავი და გული, უფრო მალე იბერება და
თავის თავიც დიდ რამედ მოაქვს.

ა კ ა კ ი.

ახლა, თითქმის ერთდროულად, საქართველოს მოედო, ეგრეთ წოდებული ახალი ტრადიციების დამამკვიდრებელი დღეობები და ქართული ფუტკრის ამომხოცი ავადმყოფობა — ვაროატოზი.

ფუტკრის სენი ჩვენში გარედან შემოვიდა, დღეობები კი — ჩვენი თავებიდან, ბევრი უკვე გამოვიდა და ბევრიც, ალბათ, აწი გამოვა...

რელიგიური დღეობები წინათ თითებზე ჩამოითვლებოდა — ეს კვირიკობაო, ეს მარიამობაო, ეს პეტრე-პავლობაო, ეს გიორგობაო, ეს ღვთისმშობლობაო...

ახალი, ასე ვთქვათ, სამოქალაქო საბჭოთა დღეობები კი, როგორც ერთმა ოფიციალურმა პირმა გვაცნობა, ჯერ-ჯეროობით ასამდეა თურმე (საერთოდ, გვიყვარს ჩვენ სათვალავად ასი: ასი მილიონი, ასი დღეობა, ასი წლის იუბილე (რუსთაველის თეატრისა)!..

ღმერთო, ნუ შემრისხავ, მაგრამ ზოგიერთ ამ ახალ დღეობას ცოტა არ იყოს სასაცილო ელფერი დაჰკრავს და თავს ისე გაგრძნობინებს, თითქოს სადღაც, ცხრა მთას იქით, მხრეგაშლილ საქართველოში კი არა — მხრეჩამოყრილ ლილიპუტიაში იმყოფებოდე...

აბა მითხარით, გეთაყვათ, განა შესაძლებელია საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ, ჩვენდა საბედნიეროდ, მრავალზე მრავალი სოფელია, ყოველ სოფელს ისეთი საქვეყნოდ გამოჩენილი ადამიანი წარმოეშვას, რომ მისი სახელობის დღეობა დაწესდეს?! დარბიან ახლობლები, ნათესავები, ბევრნიც რაიონის თავკაცებიდან პრესტიჟისათვის და... -ამიტომაც იმ ასში

ცოტა რრდია „ნიკიფორობა“, „ეფროსინობა“, „ესტატობა“, „აგრაფინობა“...

არა, დაწესება ასეთების კი არა, უფრო უარესად გაუმართლებელისაც შეიძლება, მაგრამ, ეს მიბრძანეთ, მოაქვს და მოიტანს კი ეს რაიმე სარგებლობას? სარგებლობის რა მოგახსენოთ, სხვა მხრივ კი... განსაკუთრებით სექტემბერ-ოქტომბერში იწყება ხოლმე ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი სამზადისის ციებცხელება... იხარჯება სახსრები, ნიავდება სურსათ-სანოვაგე, ცდება ხალხი — დამხვდურნი და ჩამსვლელნიც, — უამათოდ კი, აბა, ჩეხოვის საქორწილო გენერლისა არ იყოს, დღეობა რა დღეობაა, და რა ფასი ექნება მას!..

და ესენიც, ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა, გულის კარნახის საწინააღმდეგოდ, დროგში შებმული ცხენებივით მიჯაგჯაგებენ ერთი რაიონიდან მეორეში, ბარიდან მთაში, მთიდან ბარში... მეტწილად ერთნი და იგივენი, აკი ამდენი ჩამოსარიგებელ-დამამშვენებელი, მართლაც საქვეყნოდ გამოსაჩენი მართლაც სასახელო-საპატივსაცემო ხალხი, — „ღენერლები“, აბა, სად მოგვენახება!

...და ყველგან კაზიონური ერთფეროვნება, დღეობა-ღონისძიება, რომლის დაწყებას არავინ გულაჩქროლებით არ ხვდება და არც მის დამთავრებას გულისტკივილით არ განიცდის...

არა, შატილობა, თუშეთობა, მესხეთობა, ტანძიაობა, შუამთობა და სხვა ამ ყალიბისანი, საჭიროც არის და აუცილებელიც, რათა ამ კუთხეებმა უშუალოდ იგრძნონ ჩვენი ყურადღება და სიყვარული, წელიწადში ერთხელ მაინც მოესმათ ჩვენი გადაძახილი, რათა არ იფიქრონ, რომ ისინი ობლად არიან მიტოვებული...

თუკი ყველაფრისადმი წუნკალ უმადურობას არ გამოვიჩენთ, რაიც, საერთოდ, თითქოს უცხო არ უნდა იყოს ღორისა და აფთრის ნაჯვარისთვის, ამ მხრივ ჩვენი რესპუბლიკის მეთაურს კაცი ვერ დაემდურება, მაგრამ მას სხვებმაც უნდა მიჰბაძონ, ცხადია, თავში ჩაუკაკუნებლად...

დიახ, ბოლო შატილობაზე დამსწრე ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა ჩემს შეკითხვაზე, სად გაათიეთ ღამე-მეთქი, მიპასუხა, რაკი დიდრუანები არ ჩემევიდნენ, გაქათქათებული კარვები პატატრუანებს დაგვრჩა რაღაც ორ მანეთადო...

ამ გურული მუშაკაცის ხსენებაზე... სულ აგერ ახლა საქართველოში ისეთი რაიონი ამოიწვერა, რომელმაც ბრმად არ მიჰ-ბაძა სხვებს და სხვათა და სხვათა კონკრეტული „ეფროსინობის" ნაცვლად, ასე ვთქვათ, აბსტრაქტული... თუმცა რატომ აბსტრაქტული? პირიქით, — დიდად პატრიოტული, დიდად მამულიშვილური დღეობა დააწესა...

ეს გახლავთ ჩოხატაურის რაიონი, რომლის დღეობის სახელწოდება კი... მმ... ღმერთო, გამახსენე... მმ... ო-ო, გამახსენდა, გამახსენდა! — ერისკაცობა, ერისკაცობა!..

გესმით? ხომ ამაყად და საამოდ ჟღერს, ა? ერისკაცობა!

ამას წინათ ერთ ქართულ გაზეთში „რეპლიკის" სახით ამოვიკითხე (ამოვეჭერი და შევინახე კიდეც, რათა დროთა განმავლობაში ცრუ ფაქტების შეთითხვნა არ დამწამონ)... არა, ამ „რეპლიკას" საკავშირო დეპეშათა სააგენტოს გრიფი თუ დამღა არ ახლავს, და არც სხვა რომელიმე წყაროა მითითებული და არც ავტორის სახელ-გვარი აქვს მიწერილი...

მოკლედ, ასეა თუ ისე, ეს ჩვენი ქართული გაზეთი შეშფოთებას სულაც არ გამოთქვამს ამის გამო, უფრო, თითქოს, ნიშნისმოგებითაც კი გვაუწყებს, უკანასკნელი წლებშიო საბჭოთა კავშირის მიმართ მტრულად განწყობილ ისრაელის სახელმწიფოში („მტრული" არ წერია — იგულისხმება!) შობადობა დაეცა 30 პროცენტიდან 22-მდეო...

ო, ღმერთო დიდებულო, ეს რა გაგვაგებინეს?! 30 პროცენტი, როგორც საქვეყნოდ ცნობილია, ეს უკვე დემოგრაფიული აფეთქებაა, 22 პროცენტი კი ამ აფეთქების მომდევნო ფაზაა და საშიში და საგანგაშო აქ არაფერია, თუნდაც მან უფრო შესამჩნევადაც დაიწიოს; საშიში და ტრაგიკული 10—12 პროცენტია, რაიც, განსაკუთრებით, პატარა ერისათვის სულ მოკლე ხანშიც კი მისი ფიზიკური სიცოცხლის გამქრობია, და ასეთი გამქრობი, და ამაზე უფრო მალე გამაქრობელი პროცენტიც კი... დღევანდელი ჩოხატაურის რაიონის შემამკობელია, და ასეთი რაიონი, რომელიც საქართველოში ერთ-ერთი პირველთაგანი ირტყამს დანას პირდაპირ გულში, — უზრუნველად იხდის და აპირებს ყოველ წელიწადს იზეიმოს... ერისკაცობა!

კი, მაგრამ, იცის თუ არა მან, ზრდის 9—10 პროცენტით კიდევ რამდენჯერ იერისკაცებს?!

კიდევ რამდენჯერ იცეკვებს ხორუმს და კიდევ რამდენჯერ ჩაუკრიმანჭულებს?!

შარშან მაისში ფილარმონიის დიდ დარბაზში ჩოხატაურის მომიჯნავე რაიონის ხალხური შემოქმედების საღამო შედგა, გურულები ჩამოვედით, გურულებიო...

მათს გამოსვლებს — დიდის თუ პატარასი, ქალის თუ კაცის, გლეხის თუ მოსამსახურისას — გაფაციცებით ვუყურებდი და თვალცრემლიანი გულს ვეხეთქებოდი, ნუთუ ასეთი, ათასეგისაგან გამორჩეული ხალხი უნდა აღიგავოს გურიის საედემო მიწისაგან და ის მიწა თავისივე ნებით, გაუძალიანებლად, ხელის შეუბრუნებლად უნდა დაუტოვონ შორსმჭვრეტელ სომხებს, რომლებიც გურიაში ახლაც უკვე ისე მომრავლდნენ, რომ დაუარსეს მათ პირდაპირი საავტობუსო მიმოსვლა მახარაძე-ბოგდანოვკა, და მალე, ალბათ, „ამირსპასალარ“ ვერმიშიანის ენაზე სკოლის გახსნასაც მოგვთხოვენ...

რაკი „ხალხთა ძმობის“ უღელში ხარ გაბმული, ბიჭი ხარ და უარს ეტყვი!

არა მარტო გურია, — სრულიად საქართველოც ჩვენი გულარხეინობით მალე, სულ მალე შეიძლება ინტერნაციონალიზმის საცდელ პოლიგონადაც კი გამოცხადდეს!

იმის იმედით, გონიერო მკითხველო, რომ სულ ცოტა ხნის მერე ნებას დამრთავ, კვლავ გურიასა და გურულებს დავუბრუნდე, აქ შევწყვეტ მათზე თხრობას, მანამ კი...

რა გემღერება, გურიავ,
როცა ბედი წყდება
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი!

როცა აწმყოში არაფერი აქვთ საამაყო,
გუშინდელი დღით ტრაბახობენ.

ციცერონი

გურულებმა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ნიკოლოზ პირველის 25 წლიანი სამხედრო ბეგარამოხდილი, მათს მიწა-წყალზე ჩასახლებული ხოხლოვები, რეშეტნიკოვები, გოგოლები, ზოგიც სხვა ისე ჩაყლაპეს და ისე გააგურულეს...

ეს კი მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვინც დიდად სჭარბობს უცხო უმცირესობაზე, მაგრამ, როცა თვითონ შენ აღმოჩნდები ამ უმცირესობაში, მოსულ-მოთრეულთათვის თავად შენ ბრძანდები უცხოც და ვილაც „აბდალაიც...“ შენი ნაპერწკალიუმორიანი საღამოები აღარ გაიმართება ფილარმონიის მცირე დარბაზშიც კი და აღარც იმის ძიებას დაიწყებენ, რა ნათესაობა გაკავშირებდა ბასკებთან...

დიახ!

და განა ეს მარტო პატარა და კოხტა გურიას ეთქმის, და არა, საერთოდ, მთელ საქართველოს, ასევე კოხტას და, სამწუხაროდ, ასევე პატარას, და ასჯერ და ათასჯერ ამაზე უფრო სამწუხაროდ, კიდევ უფრო დაპატარავების უნებლიე მოსურნეს, რომელიც ა რ უ ნ დ ა მ ო კ ვ დ ე ს თუნდაც იმიტომ, რომ მისმა ნიჭიერმა ხალხმა, რომ არ იცოდა, რას ქმნიდა, და მაინც, ეროვნული ინსტინქტით შექმნა ის, რაც ახლაც, მთვარეზე ადამიანის ფეხის დადგმის შემდეგაც კი, გაცეცებას იწვევს...

გთხოვთ ყური დაუგდოთ:

«Глубокими корнями уходит самобытная музыка Грузии в далекое прошлое. Как и почему именно здесь возникло многоголосие, почему грузинская музыка так непохожа на музыку соседних с ней народов — это до сих пор представляется удивительной загадкой».

(Газ. «Советская культура», № 34, 1982)

პარიზში, ძველი ქართული ხელოვნების გამოფენასთან დაკავშირებით, ერთი ჩვენი მინისტრი, რომელმაც სახელი, სხვათა შორის, ქართული ფოლკლორული სიმღერებითაც გაითქვა, ასე გადმოგვცემს შთაბეჭდილებას იქაური, ჩვენებურად თუ ვიტყვით, ხელოვნებათმცოდნეებისას, რომლებიც, მართალია, ასეთი შეუმცდარობის, პრეტენზიულ სახელს არ იწებებენ, მაგრამ დიდი ცოდნით, ფართო განათლებით, ხელოვნების აღქმის უტყუარი ალღოთი, არა მგონია, ბევრით ჩამოუვარდებოდნენ ამ დარგის ქართველ მცოდნეებს.

კიდევ ერთხელ დავუგდოთ ყური:

> «Я беседовал с инспектором Лувра мадам Д. Габори, которая детально ознакомилась со всеми экспонатами. Она восхищена ими и разделяет мнение о том, что эта выставка — одна из интереснейших, которые были во Франции».

(საფრანგეთში კი უცხო ქვეყნის რაც უნდა იყოს, თუ იგი დიდად საინტერესო არ არის, ხალხთა ძმობის საფანელით არც არავინ გამოაფენს! ჩვენი კი, ამ დიდად საინტერესოთა შორისაც, გამორჩეულად ჩანს თურმე).

კიდევ ერთხელ მათხოვეთ ყური, ყური:

> «А главный эксперт Лувра мадам О. Ланздорф сказала, что выставка древнего и средневекового искусства Грузии открыла ей новый мир. Сейчас она собирается посетить Грузию, чтобы еще ближе познакомиться с ее историей и культурой».
> (Газета «Заря Востока», № 101, 1982 г.)

ვინც ამ წიგნს კითხულობს და, ჩვენდა სატირლად, იმდენი რუსულიც კი არ იცის, რომ ამ ციტატებს ასავალ-დასავალი გაუგოს (დასავლეთში ოფიციანტები და ნოქრებიც კი პირველხარისხოვან რესტორნებსა და დიდ მაღაზიებში ორსა და სამ უცხო ენაზე თავისუფლად მეტყველებენ, ჩვენთან კი ბევრი პროფესორიც მარტო რუსულსაც ძლივს ღერღავს), მათ მისახვედრად გადმოვაქართულებ მთავარს: მსოფლიოს უდიდესი მუზეუმის ლ უ ვ რ ი ს მთავარი ექსპერტი ქალბატონი ლანს-

დორფი იმდენად გაცეცებულია ჩვენი ხელოვნებით, რომ საქართველოში ჩამოსვლას აპირებს, რათა უფრო ახლოს გაეცნოს ჩვენი ქვეყნის ისტორიას და კულტურას...

ჰოდა, რა კარგი, რა დიდებული იქნება, პირდაპირ ბედი გვეწევა, თუკი მადამ ლანსდორფის სტუმრობა ჩვენს იღბლად, თბილის-ქალაქობას დაემთხვევა...

თბილისობა ხომ ყველა ჩვენი დღეობის ფლაგმანია, მათი გვირგვინია, რომლის დასაწნავად საქართველოს ყოველი რაიონი, სულ ცოტა, ერთ თვეს მაინც ემზადება, თანაც შემოდგომისას, როცა მუშახელი მოსავლის ასაღებადაც კი ასე ჭირს, — ემზადება ზოგი ურმით, ზოგი ფაცხა-ნალიით, ზოგი — ჩურჩხელა-ტკბილისკვერით, საცივით და ღომით (ერთი ჭამს — ათასი უყურებს)!

თვითონ თბილისში კი თბილისობისთვის, აბა, ვიღა აღარ იღვწის: რეჟისორები და არტისტები, პოეტები და ჯამბაზები, შაჭანკალი ხანუმა და მეეზოვე სარე, ვირებიც კი...

(შარშან ერთი ქოჩორა ვირი, რომლის ჯერ კიდევ პრესტიჟაღუდგენელი ქართული ჩაის ფერის დიდრონ თვალებში მსოფლიო სევდა სფინქსივით ჩაწოლილიყო, სახელდახელო სასცენო მოედნიდან კუდით ძლივს გაათრია მისმა ჩაუქმა მხედარმა გივი ბერიკაშვილმა, რაიც არა მისი, ჟოკეის გაუწაფავობით აიხსნებოდა, არამედ ყურში და გულში ჩამწვდომი ჯადო-მუსიკით, რომელიც ამ დროს ირგვლივ იღვრებოდა...

ჰოდა, არც ახლა ირწმუნებთ ურწმუნონო? გიორგი ყანჩელის მუსიკამ ვირიც თუ გააბრუა და დაარეტიანა, მაშინ რატომღა უნდა გვიკვირდეს, თუკი „კავკასიურ ცარცის წრეს“ ადამიანებს შორისაც ხვდა უჩვეულო წარმატება — ყველგან, ყველგან! ერევანშიც და ევროპაშიც!).

მადამ ლანსდორფი ჩვენთან, ცხადია, ერთ დღეს ხომ არ დარჩება, თბილისობით მოხიბლული იგი მეორე დღესაც დაპირებს, ალბათ, გავლა-გამოვლას ჩვენს ულამაზეს და უმშვენიერეს, ასე დიდად კულტურულ დედაქალაქში!.. უცხოელებს კი, როგორც ეს საერთოდ ცნობილია, ადგილობრივი მხლებლების გარეშე უყვართ ყველაფრის თვალიერება და აუჩქარებელი სიარული...

ო-ო, ეს კი როგორმე თავიდან უნდა ავიცილოთ, უეჭველად უნდა ავიცილოთ, თორემ...

აი, მაგალითად, შარშან, ზაფხულში, პატარა ტანის, გარეგნობის მიხედვით, არცთუ ისე ხნიერი გერმანელი ტურისტი ქალი გამოვიდა სასტუმრო „აჭარიდან“ და მშვიდობის გამზირზე ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასვლისას წითელმა შუქმა შუა გზაზე მოუსწრო და... რაც საწყალმა შიში ჭამა არასახანძრო, მაგრამ სახანძრო მანქანების სისწრაფით მიმქროლ-მომქროლ მანქანებს შუა ჩახერგილმა, ეს მას ბერლინში ჩასვლამდე, არც დაავიწყდებოდა...

აქ გადასასვლელად თურმე 15 წამი (სეკუნდი!) ყოფილა დაწესებული, და ეს იმათ დაუწესებიათ, ვინც, საერთოდ, ქვეითად არასოდეს არ დადის და ვისაც, როგორც ჩანს, არც ფეხით მოსიარულე პატარა ბავშვიანი ცოლი ჰყავს, არც დედა და მამა ჰყავს ხნიერი და არც ბებია-ბაბუა ჰყავს მოხუცი... იმათ თურმე მერცხლებიღა ჰყოლიათ მოშინაურებული, რომელთათვის ამ მონაკვეთზე გადასაფრენად, მათივე ზუსტი გამოანგარიშებით, 15 კი არა, — 13 წამიც საკმარისია.

...მაგრამ ამით როდი დამთავრდა ამ შიშნაჭამი, ერთობ სიმპათიური გერმანელი ქალის გაცნობა ჩვენს დამსახურებულად მიჩნეულ საამაყო სატახტო ქალაქთან: რაკი მშვიდობის გამზირის მეორე მხარეზე, ასე თუ ისე, თავი მშვიდობით გააღწია, — გახარებულმა, თუმცა არაფრის ყიდვას არ აპირებდა, გასტრონომის მაღაზიის ვიტრინებს ცნობისმოყვარე თვალი მაინც შეავლო და, რაკი დემოკრატიული გერმანიიდან იყო და არა ფედერაციულიდან, ერთიორად გაიხარა იმით, რომ ამ ფართო და კრიალა შუშებს იქით ცოტა ეწყო თუ ბევრი, ყოველ შემთხვევაში რაც ეწყო, ეწყო ცოცხალი პროდუქტი, და არა ისე, როცა თავის ადრეულ ახალგაზრდობაში, ჩვენს ქვეყანაში პირველად ჩამოსვლისას, რომელ გასტრონომშიც შეიხედავდი, მულიაჟების სიუხვეს წააწყდებოდი: ძეხვის იმიტაციას ხისგან, ყველის იმიტაციას ხისგან, ღორის ბარკლის იმიტაციას... კვერცხები ხომ, მთებად რომ იყო აზვინული, ნამდვილისთვის ისე დაემსგავსებინათ... ახლა საალდგომო წითელი კვერცხი რომ გეპყრათ ხელთ და თქვენ ამ კვერცხზე დაგიკრან, მოგეცათ

ლხენა, ჩვეულებრივი კვერცხით კი არა, ურთიერთ ვერ გაგიტეხენ...

...ალბათ ამ ფიქრში რომ იყო ეს ჩვენი ძვირფასი, ჯერ კიდევ თმაშეუღებავი ქერათმიანი სტუმარი, მე კი ამ დროს იმ არემარეზე, ბოსტნეულის მაღაზიაში ფოჩებზე ტალახმიმხმარ საადრეო, თითქოს მწვანე, უფრო კი შეყვითლებულ ხახვს მიწონიდნენ, კივილისებური ერთი გერმანული სიტყვა მომესმა...

ო, მეპატიოს ეს მცირეოდენი გადახვევა, რამეთუ იგი ნათელს მოჰფენს ჯერ ჩემს განათლებას, მერე კი ამ განათლების დაბნელებას: რაკი მე დავამთავრე ომის გამოცხადების წელს გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტი, ეს ენა თითქოს ახლაც უნდა ვიცოდე, მაგრამ... უმაღლესის დამთავრებისთანავე ისეთ უმდაბლეს დაწესებულებაში მიკრეს თავი, სადაც არათუ გოეთეს, პუშკინის უმდიდრესი ენიდან, ყოველი მხრიდან და ყოველ დროს, ორად ორი უცენზურო სიტყვა ისმოდა, რომლებსაც, სხვათა შორის, ისე ატრიალებდნენ ყველა ბრუნვაში, მათში ჩაქსოვილი, ცხადია, არაკანტისებური, აზრი ყველასათვის მაინც გონებამისაწვდომი იყო...

ჰოდა, რა გასაკვირია, შვიდი წლის მანძილზე ასეთ გარემოცვაში მყოფს, გერმანულიდან ჩემს მეხსიერებას ასიოდეღა სიტყვა შემორჩა, და მათ შორის...

— **Hilfe! Hilfe!** (— მიშველეთ, მიშველეთ!..)

ამ სიტყვიერ გერმანულ კივილზე ჩემთვის უკვე აწონილ ხახვს ხელი აღარ დავტაცე და უმალვე გარეთ გამოვვარდი და, რას ვხედავ: ამ ჩვენს სტუმარს ამ ჩვენს მშვენიერ ქალაქში, იმ მშვენიერ მოედანზე, სადაც სულ ცოტა ხნის წინათ, 26 მაისს (უცნაური დამთხვევა კი იყო — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს!), გრანდიოზული ზეიმობა გაიმართა (მიუხედავად მაისისათვის უჩვეულო სიცივისა!) მთელი საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის ლეონიდ ბრეჟნევის თანდასწრებით, — მოდების ატელიეს წინ, მოდურ ფეხსაცმელში შემალული პატარა ფეხი ძირში გადაჭრილ, დიდი, ალბათ ელექტროლამპიონის რკინის ბოძის ამოუვსებელ, პირღია ორმოში ჩავარდნოდა...

როგორ შეიძლებოდა დამართოდა ეს, — რაკი ამის მერე

დრო საკმაოდ გავიდა, ახლა ამის შეუცდომლად დადგენა, ალბათ, ჟორჟ სიმენონის კომისარ მეგრესაც გაუჭირდება, ისე კი, კაცმა შეიძლება ივარაუდოს, რომ მას იქვე მდებარე პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან, ლექციებიდან გამოპარულმა, რომელიღაც შავგვრემანმა სტუდენტმა დაადგა თვალი, უფრო კი, ვინ იცის, მის ოქროს საყურეებს, ამ „ლორელაის“ ცოლიკოურის მტევნებივით რომ ჰქონდა ჩამოკიდებული, და რაკი ასეთი მამაკაცური ყურადღება ქალს ხანდაზმულობაში უფრო მეტად ახარებს („ოი, მე კიდევ მოვწონვართ, მე კიდევ მოვწონვართ!“...), მასაც ამ შემთხვევაში სიხარულით გული ისე აუჩქროლდა, ნაბიჯები ისე აერია, წინ აღარც კი დაიხედა, ანდა, აბა როგორ იფიქრებდა, ქალაქის შუაგულში, თანაც რა სახელობის მოედანზე, — პროსტიტუციის... ო, უკაცრავად, უკაცრავად, — კონსტიტუციის, კ ო ნ ს ტ ი ტ უ ც ი ი ს მოედანზე!!!

არა, მის ფიქრებში მეტს აღარ შევიჭრები, ვიტყვი კი, რომ ხაფანგიდან მისი ფეხის გამოსახსნელად, ჩემს გარდა, იმდენი თბილისელი ვაჟკაცი და ქალკაცი დაესია, მტკივანი ფეხი, მგონი, კიდევ უფრო ვეღრძეთ...

...და როცა იგი, როგორც იქნა, ამოვეღეთ, მინდოდა სასტუმრომდე მიმეცილებინა და ჩემი ასსიტყვიანი გერმანულით ჩვენი საამაყო ქალაქისთვის ნამუსი მომეწმინდა, აი თითქმის ისე, როგორადაც ლუარსაბ თათქარიძე იხდიდა ხოლმე ბოდიშს მას შემდეგ, როცა ვინმე მის ოღროჩოღრო ვითომ იატაკზე ფეხს წაიტეხდა, მაგრამ ეს საპატიო მისია არ დამანება ორმა, არათუ უგერმანულო, — ურუსულო ქალიშვილმა, ფეხდაშავებული სტუმრის მახერის კოფთით მოხიბლულმა...

არა, ჩემს ამ კეთილშობილურ განზრახვას ასე იოლად, ალბათ, არც დავთმობდი და, შეიძლება, მისი გულისთვის იმ ქალიშვილებსაც თავსაც შევაკლავდი, რომ სწორედ იმ წუთში, ჩემდა სამარცხვინოდ, ჩემს თავზე ეგოისტური აზრი მეხივით არ დამცემოდა: მე ხომ იმ პანიკური შეძახილისას, „ჰილფე — მიშველეთო“, გონება დამებნა და საშველად გამოქცეულს დახლზე სამასი გრამი ხახვი დამრჩა (ორასი გრამი ტალახი წმინდა წონას აღარ მივათვალე)...

ჰოდა, დღემდე მიკვირს, მაშინაც უკვე გადაღეჯუებულს, განგებამ მუხლებში ისეთი რა ძალა ჩამიყენა, რომ „კაპუსტა-

პეტრუშკას“ საფირმო მაღაზიისკენ ისე გავშპი და გავენთე, როგორადაც ამ ორმოციოდე წლის წინათ ელენე გოკიელი, ჯეირანივით რომ დარბოდა „დინამოს“ სტადიონზე (ფიზკულტურაო... ჩვენ კიდევ, საერთოდ, ცალკე დრო გვჭირდება საფიზკულტუროდ?!).

დიახ, გაფიქეცი, გავიქეცი, მაგრამ...

ო, თავო ჩემო, ბედი მართლაც არ გი-წე-რიაა: იქ აღარც ხახვი დამხვდა და აღარც მასზე მიმხმარი ტალახი; სულ ერთიანად, როგორც იტყვიან, კ ო მ პ ლ ე ქ ს უ რ ა დ ავცანცლა ფოჩიან-ლაფიანად ჩვენი საამაყო ქალაქის მოქალაქეობით მოამაყე რომელიღაც მოქალაქეს და...

საიდან სადაო, გულდათუთქულს როგორღაც მომაგონდა გაუნათლებელთათვის უცნობი და განათლებულთათვის ცნობილი რუსი პოეტი, ალექსანდრე პირველის იუსტიციის მინისტრი გავრილა დერჟავინი, რომელმაც კითხვაზე — რა ამბებია რუსეთის იმპერიაშიო, უპასუხა: „Все воруют, батенька, все воруют“...

როცა უკან გამოვბრუნდი ამ სტრესით წელს ზევით დაკოდილი და-კვლავ იმ ნაბოძარ ორმოს დავხედე, მაინც რა სიღრმისაა-მეთქი, ამ თვალიერებისას, მისგან ცოტა მოშორებით, ზედ ტროლეიბუსის გაჩერებასთან, სადაც მუდამ ჩოჩქოლია დიდისა და პატარასი, — ღმერთო, მეორე ასეთივე ორმო არ აღმოჩნდა!!!

რაკი ჩვენი დედაქალაქი, ალბათ, არანაკლებ მიყვარს, ვიდრე იმას, ვინც ვეებერთელა ასოებით გვიწერს ხოლმე „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტურ ქალაქადო“, თუმცა, მე თუ მკითხავთ, კომუნისტურად კი გადავაქციეთ, ოღონდ სანიმუშოდ ჯერ ვერა და ვერა, — იქვე, ახლოს მდებარე ორჯონიკიძის რაიაღმასკომს მივაკითხე და რაკი დიდთან არ შემიშვეს, ეს უმნიშვნელო რამეაო, მაშინ მასზე პატარას მივუკაკუნე...

ორი კვირის მერეც მივუკაკუნე... და როცა მესამეჯერაც შევახსენე, ვინ იცის, იფიქრეს, ეს ვილაც მოცლილი, შერეკილი უსაქმურია, აკი გუშინ წვეტიანი ჯოხითაც მოეთრა და არაფერი გვავნოსო და.. ერთ ორმოს, ტროლეიბუსის გაჩერებასთან, ფიცარი გადააკრეს, მეორე კი, ალბათ, ნაკლებ საბედისწეროდ

მიიჩნიეს და ისევ ხელუხლებლად დატოვეს: როგორც ჩანს, საამისოდ ან ხე-ტყის მასალა არ ეყოთ, ანდა ამ პრობლემა-საკითხის საბოლოო გადასაჭრელად რაიკომის პლენუმზე თუ აღმასკომის სესიაზე უნდა ემსჯელათ...

ჰოდა, მას შემდეგ აი, აგერ, უკვე წელიწადი გადის და ის ორმო... დიახ, ისევ თავდაუხურავია, მაგრამ ნუ შეშინდებით, თუ მასში ფეხი ჩაგივარდათ, არ მოგტყდებათ, არა: რაკი ბატონ ავლიპი ზურაბაშვილს, ფსიქიკის მხრივ, ჯერ კიდევ არ შევემოწმებინე და ვინმეს მოურჩენელ გიჟად რომ არ მივეჩნიე, რამდენჯერაც იმ მხარეს მომიხდა ყოფნა, მალულად, ფეხების არტისტული თრევა-როკვით, სვანური ცერულის საცეკვაო ილეთების მოშველიებით, ირგვლივ მიყრილ-მოყრილი შემოდგომის ფოთლებით, ასე თუ ისე, ამოვავსე...

ერთხელ, ასეთი საქმიანობისას, ერთ ნაცნობს, რომელსაც თანამდებობით მანქანაც ეკუთვნის და სხვა ტკბილეულიც, გადავაქციოთ თბილისი ასეთ და ასეთ ქალაქად, სხვებზე არანაკლები მგზნებარე ხმით რომ მოგვიწოდებს ხოლმე, შორიდან როგორღაც შევენიშნე და თავზე წამომადგა; ეს რა თქვენი საქმეა, თქვენ პიესები გვიწერეთ, რას იკლავთ თავს, ამას ჩვენ გავაკეთებთო...

მე ეს, რასაკვირველია, არ მომკლავდა, და არც ის მომკლავდა, ღმერთს ჩემთვის დაბადებიდანვე შესაშური ფიზიკური ძალა რომ მოეცა და ლენინის ქუჩაზე მდებარე სახლი № 69-ის წინ სატელეფონო ღრმა ჭა თავდაუხურავი რომ მიეტოვებინათ, — იქვე მიგდებული მისი რკინის მძიმე სარქველი მიმეგორებინა და...

მაშინ ოქტომბრის ერთ შეღამებულ საღამოს ხომ ასცდებოდა ხიფათს ის საწყალი ბეცი კაცი, რომელსაც სათვალის შუშების ძებნის სამი თვის მანძილზე მხედველობა კიდევ უფრო დაუქვეითდა და ახლა ხილიანის ქუჩაზე პანაშვიდზე რო მიიჩქაროდა, ლამის თავად გაუხდა საპანაშვიდოდ საქმე...

ეს რაღაც ორი კვირით ადრე მოხდა შარშანდელ გრანდიოზულ თბილისობამდე, თუმცა თბილისობის შემდეგაც შეიძლება მომხდარიყო: ასეთ თავდაუხურავ, იქვე სახურავმიგდებულ ტელეფონის თუ წყალსადენის ჭებს დიდი კულტურის ჩვენს ქალაქში არა ერთსა და ორს შეხვდებით, და რომ ერთსაც კი

არ შეხვდეთ, ამისათვის საჭიროა მოტორიზებულმა ამხანაგებმა თავიანთ სამწყსოში, ხანდახან მაინც, ფეხით გაიარ-გამოიარონ და თვალებიც ცოტა მეტად გაახილონ...

ჩ ა ნ ა რ თ ი:

! ბატონო გურამ!

შარშან, 15 დეკემბერს, საღამოს თერთმეტის ნახევარზე თქვენ, თქვენთან შედარებით მომცრო ტანის, სიმპათიური ქალის თანხლებით, ჩაიარეთ ბარნოვის ქუჩაზე, რამაც მე პირადად, ამის მნახველს გული სიხარულით ამივსო: გამახარა იმ გარემოებამ, რომ რაკი ქვეითად მობრძანდებოდით, არ შეიძლება არ შეგემჩნიათ (და, ალბათ, გონებაში არ ჩაგენიშნათ!) სახლი № 89-ის წინ მდებარე სატელეფონო ორმოს დამტვრეული თავსახურავი...

რამდენიმე დღის შემდეგ მასში, სკოლაში აჩქარებით მიმავალ პატარა ბავშვს ფეხი ჩაუვარდა და მის მოთქმა-ტირილს გამწარებული დედის წივილ-კივილიც დაემატა წყევლა-კრულვასთან ერთად: „ეს (აქ მის მიერ ნახმარ „ეპითეტს“ გამოვტოვებ, რადგან ერთობ შეურაცხმყოფელი იქნება ჩვენი ქალაქის მესვეურთათვის)... მილიონებს ხარჯავენ რაღაც თბილისობამასკარადებზე, ქუჩებში კი დამშვიდებით ბაღნებსაც ვერ გაუვლიათ...“

ის დამტვრეული, ნაპირჩამოტეხილი „სახურავი“ ახლაც, თქვენი ჩავლიდან ერთი თვის შემდეგაც, „ამშვენებს“ იმ სახლის წინ მდებარე ვიწრო ტროტუარს...

პლეხანოვის პროსპექტზე № 179 სახლის ეზოში შესასვლელთან ვეებერთელა ღია, სრულიად უთავსახურო ორმოა — მგონი წყალსადენის... ბნელში კი არა, მზეშიც კი ვერ მოჰკრავ მას თვალს, თუკი სტადიონის მხრიდან მოდიხარ და გულარხეინად მარცხნივ შეუხვევ ეზოსკენ...

ასეთი უპატრონოდ მიტოვებული ორმოები, ალბათ, სხვაც ბევრია თბილისში... ჰოდა, სწორედ ერთ-ერთმა ასეთმა ორმომ გამოათხოვა წუთისოფელს თავის დროზე დიდად ცნობილი ფეხბურთელი შოთა იამანიძე... ეს იყო — ზუსტარ აღარ მახ-

სოვს — მელაძის თუ ბუხრაშვილის ქალაქის მამობის დროს!.. ახლა კი თქვენ მაინც ნუ დაიდებთ უდანაშაულო „შვილების“ ცოდვას!..

ნიკო ნიკოლაძეს, გერცენისა და ოგარიოვის მეგობარსა და თანამებრძოლს, და თავადაც დიდ ადამიანს, ფოთის ქალაქის თავობისას, წესად ჰქონდა მიღებული, ხშირ-ხშირად, მზრუნველი თვალით შემოევლო ქალაქის უბნები, ახლა კი რაიონული აღმასკომების თავმჯდომარეების სამი მოადგილიდან (ამბობენ, მალე მეოთხესაც დაამატებენო!) თუნდაც ერთმა ხანდახან მაინც, კანტიკუნტად რომ ჩაიარ-ჩამოიაროს — ოღონდ ფეხით, ფეხით! — თავიანთი „სამრეველო“, როგორ ფიქრობთ, ამით ხალხის თვალში მათ დიდკაცობას ანდა კრისტალურ კომუნისტობას ვითომ ჩირქი მოეცხება?!

პატივისცემით კ. ბუაჩიძე.

18. 01. 81.

ეს ჩემი ბარათი თბილისის აღმასკომის თავმჯდომარემ, გურამ გაბუნიამ, საბედნიეროდ, უყურადღებოდ არ დატოვა და მოკლე დროში ერთს თავსახური გამოუცვალა და მეორეს სულ ახალი თავი დაახურა... ვიღაცამ მითხრა, ალბათ ხუმრობით, შეეშინდებოდაო, ვაითუ არ გავაკეთე, ბუაჩიძე-ამომრჩეველმა ხმა არ მომცეს და ის ხმა, 99,9 პროცენტს დაკლდესო.

ო, ღმერთო, ო, ნეტავ ასე „შეეშინდებოდეს“ სხვებსაც, და არა მხოლოდ ქალაქის მამებს, — „არჩევით“ თანამდებობათა ყველა მქონეთ, მაშინ ნახავდით, რა მერცხლის სისწრაფით წავიდოდა ჩვენი ცხოვრება წინ!..

დიახ, თუ ჩვენი ძმობით ქებული თბილისის მოქალაქეთა სიცოცხლე დიდად არაფრად გვიღირს, უცხოელ სტუმრებს მაინც გავუფრთხილდეთ, აი, თუნდაც ქალბატონ ლანსდორფს, ახლო მომავალში რომ გვეწვევა... .

ეს მით უმეტეს, რომ საფრანგეთის წინაშე ახლაც მიუტევებელი ცოდვა გვაწევს: სტალინის სიკვდილის ერთი კვირის სწორზე საბჭოთა ქვეყნის დიდი მეგობარი ივ ფარეი თბილის-

გორის გზაზე ფარშად რომ ვაქციეთ და კუბოიან თვითმფრინავთან მყოფმა მისმა თავზარდაცემულმა მეუღლემ აეროპორტში თანაგრძნობის გამოსახატავად მოსულ დიდ ამხანაგებს გამოწვდილი ხელები არც ერთს არ ჩამოართვა...

ლანდორფის სტუმრობასთან დაკავშირებით ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ ადვილი შესაძლებელია, ეს ქალბატონი მარტო არ ჩამოვიდეს, აი ისე, როგორც 1936 წელს ჯერ მოსკოვში და მერე კი საქართველოში, იმ დროის გამოჩენილი ფრანგი მწერალი, ანდრე ჟიდი ჩამოვიდა; მაშინ მას და მის თანმხლებ პირებს დიდი პატივი სცეს, და ისიც, ვიდრე საბჭოთა მიწა-წყალზე იმყოფებოდა, ჩვენს საქებად ფერადოვან სიტყვებს უხვად აფრქვევდა, მაგრამ თავი ამოყო თუ არა სამშობლოში, არა ერთი და ორი ვედრო ნარეცხი წყალი გადაგვასხა...

ეს რა ქვეყანაა, მოსკოვშიც კი, ამ უზარმაზარ ქალაქში, საზოგადოებრივ ტუალეტს ტანჯვა-წამების შემდეგ თუ სადმე წააწყდებიო, თანაც იქ შესვლაში აბაზს (ახლანდელი ორი კაპიკი) გახდევინებენო...

თბილისში იმ დროს ერთადერთი, ძველზე ძველი ფეხისადგილი იყო, საოპერო თეატრის ბაღის გვერდით გამოქვაბულში (ახლაც იქ არის და მალე, ალბათ, ისეთი ისტორიკოსიც გამოგვიჩნდება, რომელიც დაადგენს მის, შეიძლება, ასი წლის საიუბილეო თარიღსl), და ჩვენი ბედი, რომ თბილისი მაშინ ისე გაშლილი როდი იყო, როგორც ახლა, თორემ, საჭიროების შემთხვევაში, ჩვენს პარიზელ სტუმარს ოპერასთან, თეატრალურ შესახვევში, აბა, რა მანქანებით მივაფრენდით ვაკიდან ან საბურთალოდან, გლდანიდან ანდა ორთაჭალიდან, სადაც იმქამად კი არა, ამქამადაც კი, ამ მხრივ კატასტროფული მდგომარეობაა...

იცოცხლეთ, ანდრე ჟიდს, რაკი ქვეყნისა და ხალხის ცივილიზაციის ერთ-ერთ მაჩვენებლად საზოგადოებრივი ტუალეტის — ახლა რომ შემოდის ჩვენს სალაპარაკო და სამწერლო ენაში, თითქოსდა მისი შემცვლელი სიტყვა ქართულში აქამდე არც გვქონოდა — ფუნქციონირებაა...

დიახ, ფუნქციონირება ტუალეტისა, მისი სიმრავლე და სისუფთავე, და რაკი მოსკოვში უტუალეტობა შენიშნა, მაგრამ ახლად აშენებული, უზარმაზარი ქარხანა „შარიკოპოდშიპნიკი"

ვერ შეამჩნია, ზურგზე ტყავი აუწვეს სტატიით „პრავდა-ში": „Смех и слезы Андре Жида," სადაც, თუმცა ქარაგ-მულ-შენიღბულად, მაგრამ მაინც იოლად მისახვედრად, ის აზ-რი გამოსჭვიოდა, რომ ახლა უკვე ეს არცთუ ისე ანგარიშგასა-წევი ფრანგი მწერალი, საშუალოზე დაბალი ღირსების რომა-ნის „Фальшивомонетчики"-ს ავტორი... მამათმავალია, და ამიტომაც ჩვენს წმინდა მიწაზე თან ჩამოიყვანა ახალგაზრდა მწერლები, რომელთა შორის ქალი ერთიც არ ერია...

ჰო, მაგრამ ამ ამაზრზენი ამბავიდან ჩვენ, მკითხველებმა, ვერაფრით ვერ გავიგეთ, „ასეთი" იყო მუსიო ანდრე აქ ჩამოს-ვლამდეც, თუ ჩვენთან წამოსვლისას, პარიზ-მოსკოვის გზაზე, მატარებელში შეეყარა ოსკარ უაილდის ეს დამღუპველი და მომაკვდინებელი სენი...

(სხვათა შორის ჩვენს მიმართ ასეთივე უმადურობა გამოი-ჩინა ანდრე ჟიდზე ცოტა ადრე, წარმოშობით რუმინელმა, მაგ-რამ ფრანგმა მწერალმა პანაიტ ისტრატიმ, ბალკანეთის გორ-კად წოდებულმა, რომლის ერთი მოთხრობა „ქოჩორა თურინ-ჯი" თარგმნა მიხეილ ჯავახიშვილმა).

მოკლედ, ასე იყო თუ ისე, სტალინმა ამ სანიტარული ის-ტორიიდან, რომელიც პოლიტიკურში გადაიზარდა, ის დასკვნა გამოიტანა, რომ გააუქმა ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში რომის იმპერატორ ვესპასიანეს მიერ შემოღებული გადასახადი „ღა-მის ოქროზე" („ფულს სუნი არ უდის!"), და ბრძანა მოემრავ-ლებინათ... მმ...

და ახლა მოსკოვში ყოველ ნახევარ კილომეტრზე შეხვდე-ბით ყველა ჩვენთვის გასაგებ რუსულ ენაზე, უცხოელთათვის კი ინგლისურზე — სახელწოდებასა და გზა-მაჩვენებელს საჭი-როების შემთხვევაში ამ უსაჭიროესი „დაწესებულებისას"...

თბილისში საამისო მაჩვენებლები ჯერ არ შემოუღიათ, და ალბათ უფრო იმიტომ, რომ მათ იშვიათად თუ სადმე წააწყდე-ბით, მეორეც, — „თუ გიჭირს, ძამია", იქ ისეთი სისუფთავეა, მისგან რა შორსაც იყო, სულ ერთია სუნით მიაგნებ, — ასენი-ზატორად, აბა, რომელი ჩვენგანი დადგება, განათლების დიპ-ლომი, თავი რომ არ დავიმძიმოთ, ზოგს შარვლის უკანა ჯიბეში და ზოგსაც პორტფელში რომ გვიდევს („უმაღლეში იმიზა ვის-ტავლე, ფეხიალაგში დაგიდგე დორნიკად?!").

სავარაუდებელია, რომ ქალბატონი ლანსდორფი, თბილისის ძველი, გარედან ასე კოხტად განახლებული უბნების დათვალიერების შემდეგ, ქალაქის ახალი დასახლებების ნახვასაც მოიწადინებს...

რასაკვირველია, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრისა და თვრამეტი ლუდოვიკოს ხავსმოდებულ, ჟანგისფრად ქცეულ ნაგებობებთან შედარებით, მას, როგორც ხელოვნებათმცოდნეს, აღტაცებაში მოიყვანს ჩვენი ქათქათა თემქა და გლდანი, პლიუს მუხიანი, რომლებიც ტოლს არ უდებენ ბრაზილიის ახალ დედაქალაქს არქიტექტურული გონივრული სილამაზით და სამშენებლო ხარისხით...

...და მაინც, რატომღაც ვფიქრობ, თითქოს აჯობებდა, ეს თვალთუნახავი რაიონები ამ ქალბატონისთვის ვერტმფრენიდან გვეჩვენებინა, თორემ იქით ავჭალის გზატკეცილით ქვეითად თუ წავიყვანეთ, ვაითუ თვალში მოხვდეს ამ გზაზე სამად სამი მიწისქვეშა გასასვლელი და, ვაითუ, ეს ბევრში ჩაგვითვალოს, რად გინდოდათ ამდენიო; ვინ იცის, ეგებ ესეც გვკითხოს, რატომ აქვთ ასე შეწუხებული სახეებიო იმათ, ვინც, როგორც ეტყობა, ტრამვაიდან შემაღლებულ გაჩერებაზე კაი ხანია ჩამოვიდნენ და აქეთ, ქუჩის ნაპირას, ტროტუარზე ვერ გადმოსულან, და ამათაც — უიმედო ტრაგიკული გამომეტყველება, ვინც ახლა ტროტუარზე ბედის ანაბრად მიგდებული ლტოლვილებივით დგას და ტრამვაის მიუწვდომელ, საოცნებო გაჩერებისკენ ისე იყურება, როგორც უდაბურ კუნძულზე შეხიზნული, ჩაძირული გემის ძლივს გადარჩენილი მგზავრები ჩვენი დროის მხსნელის, ქართველი მოსეს მოლოდინში...

შეიძლება გვკითხოს, მიზეზი ამისა ამათ შუა უსასრულო ნიაღვარივით მიმდინარ-მომდინარე ავტომობილები ხომ არ არისო?

ო-ო, თუ ეს დავუდასტურეთ, ვაითუ, გადათქვას ადრე გამოთქმული აზრი, ხუთკილომეტრიანი გზისათვის, სადაც, სულ ცოტა, ტრამვაის ოცამდე გაჩერებაა, სამად სამი მიწისქვეშა გასასვლელი პირდაპირ წვეთია თბილისის ზღვაშიო, მით უმეტეს, რომ ამ მაგისტრალზე ისეთი ავტომობილისტები მიქრიმოქრიან, რომლებიც, როგორც ჩანს, ქვეითებს ისე არაფრად აგდებენ, როგორც მე-18 საუკუნეში ამერიკელი მონათმფლო-

ბელი პლანტატორები აფრიკიდან შემოზიდულ ზანგებს, თუმცა მაშინ ეს ბატონკაცები თავის უპირატესობას შავკანიანებზე იმით ამართლებდნენ, რომ ისინი თეთრკანიანები არიან...

კი, მაგრამ, ეს დაჩაგრული თბილისელები ხომ ყველა თეთრკანიანიაო, თუ სიტყვა ასე მოგვიჭრა, ჩვენ უნდა ვეცადოთ, ეს სიტყვა ბანზე ავუგდოთ, და თუ მაინც კიდევ ჩაგვაცივდა, ვუთხრათ, ქალაქში ასე თუ ისე ნორმალური, ადამიანური ცხოვრების დასაფუძნებლად ამდენი სახსარი არა გვაქვს, — და რაც გვაქვს, იმით, ქალბატონო, საშვილიშვილო საქმეს ვაკეთებთ, საქართველოს ბავშვებს „ზურიკეილენდს“ ვუშენებთ, რომელიც, თუ ახლო მომავალში ჩვენთან კიდევ ჩამობრძანდებით, დარწმუნდებით, ჩვენი „ლენდი“ ამერიკულთან შედარებით ისე გამოჩნდება, როგორც მაუზერი „დამსკი“ ბრაუნინგთან-თქო...

ჩვენ რომ სტუმრის მიღების ფაცაფუცში ვიქნებით, შეიძლება, ვილაც ციგანმა — ეროვნებით კი არა, ხასიათით! — ისიც ჩაუქირქილოს, რომ ჩვენმა ძმებმა, ქურთებმა, მომავალი „ლენდის“ ერთი ახლომახლო მიდამო ნაგვის საყრელ ისეთ მოედნად გადააქციეს, მილიონობით ბუზი რო მოამრავლა და ახლა ვაკელები, მათ შორის ჩვენი „ლენდის“ თეორიული პროექტის სულისჩამდგმელიც, მათი შემოსევის შიშით, საწყლები, ფანჯრებს ვეღარ აღებენო...

ამაზე იმგვარად უნდა ვუპასუხოთ, რომ... და საერთოდ, მადამ ლანსდორფს ისეთი ენაცქაფი და ყურცქვიტა თარჯიმანი უნდა მივუჩინოთ, ყოველგვარ ჩვენთვის საჩოთიროს შებრუნებით, პირუკუღმა რომ უთარგმნის... ასე, მაგალითად, თუ ვინმე ნერვებდაწყვეტილმა და მოთმინებადაკარგულმა დამთხვეულმა, აი, თუნდაც ეგერ, შუა ქუჩაზე რომ გაჩხირულა და ტუტუცი მძღოლების შიშით, პირი ვერც იქით უქნია და ვერც აქეთ, და იმ დუქიანი პირით გამკივანი ხმით რომ იწყევლება, ინფარქტი, ინსულტი, დიაბეტი და არგადარჩენა ყველა ჩვენს მწვალებელსო, ჰოდა, თუ იკითხა იმ ფრანგის ქალმა, რა აკივლებს ამ უბედურსო, უნდა ეთარგმნოს, — ეს ქალი, ილოცება, მადამ, დღეგრძელობა და მქუხარე ტაში ყველა ჩვენს გამხარებელს, რომლებიც ასე თავგამოდებით გვიცავენ ინსულტისა და ინფარქტისგან-თქო...

ქალბატონ ლანსდორფს, უეჭველია, ჩვენი საამაყო მეტროც დააინტერესებს და უნდა ვუჩვენოთ კიდეც, ოღონდ დროის მოგება თუ გვინდა, — ჩვენიც და მისიც, — პირველი რიგისას ნუ ვუჩვენებთ, ვუჩვენოთ შედარებით ახალი სადგურები („წერეთლის პროსპექტი", „პოლიტექნიკური ინსტიტუტი", „კომკავშირელი", „დელისი"), და თუ მისმა გამჭრიახმა ფრანგულმა თვალმა შეამჩნია, რომ არც ერთ ამ სადგურზე, არც თაღის სახით და არც ჩასასვლელი კიბის დასაწყისისას მაინც, სახელწოდება არ არის მინიშნებული, უნდა გავანათლოთ და ვუთხრათ, რა რომელი სადგურია, ამას მხოლოდ მაშინ გაიგებთ, როცა ორას მეტრ სიღრმეზე მის წიაღს ესტუმრებით და თავს პლატფორმაზე ამოყოფთ-თქო...

შეუძლებელია, ამ სიახლემ მადამ ლანსდორფი არ გააცეცოს და არ თქვას, ვიცი, მსოფლიოში მეტროს მქონე ქალაქი უკვე ორმოცდაათამდეა, ოცში მე თვითონ ვყოფილვარ და არსად, არსად ასეთ ორიგინალური, მგზავრობისათვის გაადვილებულ გადაწყვეტას ჯერ არსად შევხვედრილვარო...

რაკი მიწის ქვეშ უვადოდ ყოფნა გველაძუა მიქელ-გაბრიელის ულმობელი განაჩენით „მერეც, მერეც" გვეყოფა, ამიტომ იქ დიდხანს ნუ გავჩერდებით, და როცა ესკალატორით ცისკენ ამოვსრიალდებით და, თუ ვინიცობაა, ქუჩაში ქალბატონმა ლანსდორფმა თვალი მოჰკრა ნელი ნაბიჯებით ერთად მიმავალ სამ მეპატრულე მილიციელს — არაშავგვრემანთ და ჯერ კიდევ წვერულვაშუღინღლოთ, ფიზიკურად სუსტთ და სიმაღლითაც საკმაოდ მომდაბლოთ, უნდა ავუხსნათ, რომ ჩვენთან ეს სამი ვაჟკაცი არსებითად ერთ მილიციელად ითვლება; დიახ, სამნი მხოლოდ შესაშინებლად დააბოტებენ, რათა დღისით-მზისით სტუდენტებმა და სხვა ახალგაზრდებმაც არ განაიარაღონ ისინი და თავიანთი იარაღის ისეც მდიდარ კოლექციას კიდევ ახალი და ახალი არ მიუმატონ-თქო...

არ იქნებოდა ცუდი, თუ ამასაც დავძენდით: თქვენ, ქალბატონო, როგორც ჩანს, ჩამავალი მზის ქვეყანაში — იაპონიაში არ ბრძანებულხართ, თორემ უთუოდ გაგონილი გექნებოდათ, იქ პოლიციელისთვის განსაზღვრული სიმაღლეა დაწესებული, — თუ იმ სიმაღლეს ვერ აღწევ, პოლიციაში არც გამსახურებენ... გვიამბობენ, ერთ ათლეტურ, ბედკრულ ახალგაზრდა

იაპონელს სულ რაღაც ერთი სანტიმეტრიღა აკლდა ამ სიმაღლემდე და ვიდრე მრავალნაირი, პირდაპირ საწამებელი ვარჯიშით ეს ერთი სანტიმეტრი არ შეიმატა, მანამ ვერავითარმა მისმა ხვეწნა-მუდარამ ვერ გაჭრა...

ჩვენ კი, ქალბატონო-თქო, რაკი ჰუმანისტები ვართ და რაკი ამომავალი მზის ქვეყანაში ვცხოვრობთ... ისე კი, საერთოდ, მასთან საუბრის დროს, ჩვენ შორის საიდუმლოდ რომ ითქვას, ზედმიწევნით ფრთხილად კი უნდა ვიყოთ, საიდანღაც არ გამოხტეს ვიღაც ციგანი (ეროვნებით კი არა, — მოწოდებით!) და ჩვენს სტუმარს ოქროს საყურეები არ ააგლიჯოს, მერე კი, ეს ამგლეჯი, შეიძლება ჩქარი ნაბიჯით არც წავიდეს, მაგრამ... გამოტყვრება კი თუნდაც უამრავი ხალხიდან ერთი მაინც, მისი დამდევნებელი?!

მადამ ლანსდორფი ტაქსს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვანდოთ, ვინ იცის, რა სიამეს გადაეყრება...

განა ასე არ შეემთხვა მოსკოველ ზოლოტუხინას, აეროპორტიდან მომავალს, ტაქსში, მძღოლის თანხმობით, ორი ახალგაზრდა რომ შემოუჯდა, რომლებმაც ცოტა ხნის მერე, ღორის დასაკლავი გრძელი დანები ყელში ჯერ შოფერს მიუბჯინეს და ნავაჭრი ფული წაართვეს, მერე კი, მის მგზავრ ქალს, ჩვენი ასე დიდად სტუმართმოყვარე ქალაქის სტუმარს, რომელსაც, სხვათა შორის, კანკალატანილი უტყვი, მშრომელი ტაქსისტი უფრო შეებრალა, ვიდრე დაენანა თავისი ოქროს ბეჭდებ-საყურეები... მაგრამ... მმ... სულ მალე მისთვის ნათელი გახდა, რომ ეს ვითომ საწყალი, მშრომელი ტაქსისტი თვითონ ყოფილა თურმე ამ ვერაგული თავდასხმის ინსცენირების მოთავე და მისი ავან-ჩავანი, მძარცველები კი — მისი ძმაკაცები...

თბილისი, მართალია, ძმობის ქალაქია, მაგრამ ძმებშიც ხომ გამოერევიან ხოლმე ერთმანეთის აუგის მხსენებლები, და თუ ვინმე ჩვენი დროის კაენმა ჩაუფრანგულა ჩვენს ფრანგ სტუმარს, რა ყოჩაღიც არის თბილისი მკვლელობებში, ძარცვაგლეჯაში, საავტომობილო ავარიებსა და ამათგან გამოწვეულ მსხვერპლიანობაში, ბინების ტყაპატყუპად გაქურდვაში, უეჭველად დააპირებს შეიტანოს ჩვენი თავი გინესის რეკორდების

წიგნში... ვაჭრობაში ხომ... მარტო ერთჯერ ყიდვისასაც კი, სულ ცოტა, ოთხჯერ მაინც გვატყუებენ: ზომაში, წონაში, ფასსა და ხურდაში (ჩვენ კი არ ვტყუვდებით, მაგრამ, რას იზამ, როცა „ის“ მაინც შეუპოვრად გვტოვებს ხოლმე მოტყუებულს)...

ჰოდა, თუ გვინდა ჩვენი პრესტიჟი და რენომე დაეიცვათ, მადამ ლანსდორფს აქეთ უნდა შევედავოთ, ყოველივე ეს ცილისწამებაა-თქო, და ეს რომ ასე იყოს, მაშინ რა მორალური უფლება გექნებოდა ასე ზარ-ზეიმით გვედღესასწაულა თბილისქალაქობა; ჯერ ყოველგვარ სისაძაგლეს ცოტათი მაინც ამოვძირკვავდით და მერე მოვიცლიდით თავის შესაქებად; ჩვენ იმ დიდ პარტიულ მუშაკებს როდი ჩამოვგავართ, სათავეში ჩადგომისას პირველი ორი-სამი წელიწადი წარსულის კრიტიკის წლებად რომ გამოცხადდება და მერე კი იწყება მათივე ხოტბა-დიდების ოქროს ხანა-თქო...

ამასობაში, ალბათ, მოსაღამოვდება კიდეც, და რაკი ღამის გასათევად თელავში ვერ წავიყვანთ, სადაც, თურმე, წყალიც მუდმივად მოდის და ტელეფონიც არ წარმოადგენს ინკვიზიციის დროინდელი წამების იარაღს, და, მაშასადამე, ჰიპერტონიის მასაზრდოებელ წყაროს, — ჰოდა, რაკი წყალი მას ყოველთვის დასჭირდება და არც იმის გარანტია გვაქვს, რომ თბილისური ტელეფონი სწორედ იმ დროს არ გიმტყუნებს, როცა გადაუდებელია, ვთქვათ, თუნდაც სასწრაფოს გამოძახება, — ჯობს ყოველივე ეს მადამ ლანსდორფს პირდაპირ ვუთხრათ, რაკი ფრანგები იუმორის დიდი მოყვარულები არიან, ვუთხრათ სიცილ-კისკისით, თითქოს ხუმრობით: მუხათგკერდის სასაფლაო 50 წლისათვის იყო ნაანგარიშევი, მაგრამ იგი რაღაც ათ წელიწადში უკვე თითქმის შეივსო, და იქ ახლა, სხვათა შორის, ცოტანი როდი წვანან ისეთები, რომელთაც სიცოცხლის დღენი ჩვენი დიდად ცივილიზებული ქალაქის ტელეფონმაც შეუმოკლა-თქო...

არა, ბეირუთის სასაფლაოც უკვე ავსებულა თურმე, მაგრამ ეს თითქოს არც უნდა გვიკვირდეს: ბეირუთში სულ ხელჩარ-

თული ომი და ომია, თბილისი კი გერმანელების თავდასხმისგანაც კი აგვაცილა მამაზეციერმა, და მაინც, ამდენი ტელეფონ-განგმირულნი?!

რაკი ქვეყნის თავკაცები ჩვენს ნერვიულ სისტემას ისე უფრთხილდებიან, როგორც ძუძუგამშრალი დედა თავის ჩვილს, მხოლოდ ახლა ათეული წლების შემდეგ გაგვაგებინეს, რომ თბილისის სატელეფონო ქსელს ძირეული გადახალისება სჭირდება, ამისათვის კი დიდი ფინანსებია თურმე საჭირო...

— არა-არა, მადამ ლანსდორფ, ჩვენ ღარიბები არ გეგონოთ, — ფინანსები, რასაკვირველია, გვაქვს, გვაქვს, მაგრამ თუ ისინი „ალო, ალოსთვის" გადავყარეთ, ანდა უვარგისი ონკანების გამოსაცვლელად, თქურუშ-თქურუშით რომ გვიღვრის იმ წყლის თითქმის, თურმე, ნახევარს, რასაც ქალაქი საერთოდ ღებულობს (თბილისი კი, წყლის მომარაგების მხრივ, ერთ-ერთი პირველი ყოფილა ჩვენს ქვეყანაში), ანდა კიდევ, თუ ამ თანხებიდან თუნდაც მცირე ნაწილი მივახარჯეთ მიწისქვეშა გასასვლელებს, რათა მიწის ზევით ცოტათი მაინც შემცირდეს სიკვდილაძის თარეში, მაშინ „ზურიკეილენდს" ბახმაროდან ჩალვადრების მიერ ჩამოზიდული ჰაერით ხომ ვერ ავაშენებთ, ღირსპატივსაცემო ფრანგის ქალო-თქო...

თბილისობა სამჯერ უკვე ვიდღეობეთ, წელს ამას მეოთხე მოჰყვება, გაისად — მეხუთე...

არა, იქნებ დავფიქრდეთ, ხომ არ იქმნება იმის საშიშროება, რომ მისი გამომსახველი ფერები თანდათან გაფერმკრთალდება, ახალს ასე მალიმალ ვერაფერს იტყვი, ერთი და იგივეს, მსგავსის მსგავსის გამეორება კი ერთმანეთს ასე ახლოს, წლიდან წლამდე მომაბეზრებელი ხომ არ იქნებოდა? საპატიო მოქალაქეებად ასარჩევი მოქალაქეებიც, ალბათ, შემოგველევა, თუმცა იმ პრინციპს თუ დავადგებით — უძაღლო ქვეყანაში კატები ვაყეფოთ, მაშინ არა, არ შემოგველევა.

ეს მართალია, გასულ საუკუნეში ყეენობა (ყველიერიც!) ყოველ წელიწადს იმართებოდა, მაგრამ იმ დროს ხალხი და ჯამაათი მონატრებული იყო ყოველგვარ გასართობს: არც რა-

დიო იყო, არც ტელევიზია, თეატრალური წარმოდგენები კანტიკუნტად თუ იმართებოდა, იტალიურ ოპერაში კი, თუნდაც ბილეთი გქონოდა, საქოსა და სიკოს უსმოკინგებოდ იქ, აბა, ვინ შეუშვებდა... ფეხბურთი ინგლისშიც კი ის-ის იყო ისახებოდა; სპორტსმენებად მხოლოდ მამლები და ვერძები გვევლინებოდნენ ძიძგი-ძიძგი მამალოთი და მოკაუჭებული რქების ჯახაჯუხით...

ახლა კი... მარტო მუსიკამაც კი, მელოდიურმა და კაკაფონიურმაც, ლამის წაგვლეკოს, საიდან და რა დროს არ იჭრება მისგან ჩვენს უკვე სმენადაქვეითებულ ყურებში...

ჰოდა, ხომ არ აჯობებდა თბილისობა არა ყოველწლიურად, — აი, თუნდაც, სამ წელიწადში ერთხელ გამართულიყო? ამით მისი მომწყობ-გამმართველნიც დროით შეისვენებდნენ და ათიათასობით მანეთის მომჭირნეობასაც გავწევდით, მოქალაქე მაყურებლები კი... გლეხკაცი მეწლე ხილის ხეს არანაკლებ პატივს სცემს, ვიდრე ყოველწლიურად მსხმოიარეს: მეწლე უფრო მეტ ნაყოფს იძლევა თურმე და, მგონი, უფრო გემრიელსაც...

რასაკვირველია, როცა ამ „სწორუპოვარ სიბრძნეს“ გამოვთქვამ, არ მავიწყდება ჩემი უმწეობაც: მტკვარი უფრო გადაუხვევს ლიხ-ხაშურთან შავი ზღვისაკენ, ვიდრე ჩვენი რესპუბლიკის თავკაცები მიიჩნევენ ამას თუნდაც წამით ჩაფიქრების ღირსად („ჩვენ არასოდეს არ ვცდებით!“).

ოცდაათიან წლებში, ერთხანობას, მოსკოვში, „დინამოს“ სტადიონზე, ყოველწლიურად ეწყობოდა ფიზკულტურელთა პარადი, დროთა განმავლობაში, როცა ნათელი გახდა, რომ ეს ყოველმხრივ დიდად სამძიმოა და თანაც შტამპად იქცა, სტალინმა აღარ ცნო საჭიროდ მისი სისტემატურად მოწყობა.

უფრო მეტიც: სტალინმა მსოფლიოში უკვე სახელგანთქმული საავიაციო დღესასწაული მოსკოვის მახლობლად, ტუშინოში, აგვისტოს ერთ მშვენიერ მზიან დღეს, სულაც გააუქმა, — იყო შემთხვევები თვითმფრინავების დაღუპვისა: არ ღირს მშვიდობიანობისას ჩვენი მფრინავები ილუპებოდნენო...

ზუსტად არავინ იცის, ვინ თქვა ეს, ვარაუდით კი ჩერნიშევსკის მიაწერენ:

«Только дураки не меняют своих решений.»

ახლა აბა ვინ გაიგებს, იცნობდა თუ არა ამ ფრაზაში ჩათქმულ სიბრძნეს
ყმაწვილობაში — სოსელო, ახალგაზრდობაში — ჯუღაშვილი, მერე კი — სტალინი..
დიახ..

რა გვეთბილისება,
როცა ბედი წყდება
საქართველოსი!

ადამიანის საუკეთესო განმარტება იქნება:
უმადური ორფეხა.

ფ. დოსტოევსკი

ამას წინათ საქართველოს ტელევიზიამ გვამცნო, რა ზომებს ღებულობენ რესპუბლიკაში „ქურთი მოსახლეობის შემდგომი კეთილდღეობის ამაღლებისათვის“...

„აი ისტორიაც“:

გადმოხვეწილი ქურთები ქართველებმა გასაბჭოების პირველ წლებში შეივრდომა. შეივრდომა ისე, როგორც ეს ჩვენს, საბოლოო ანგარიშით, როგორც ირკვევა, ჩვენდა საუბედუროდ, სულელურ თანდაყოლილ ინტერნაციონალურ ბუნებას სჩვევია.

ყმაწვილობიდან მახსოვს, იმ დროს ქურთები, ეზიდები ჩუმი, წყნარი მორიდებულები იყვნენ. მამაკაცები ადრე დილიდანვე გამოეფინებოდნენ ხოლმე ქალაქის მთავარი ქუჩების მახლობლად ერთხელვე მონიშნულ „ბირჟებზე“ და ხშირად მთელი დღე ელოდებოდნენ თითო-ოროლა მუშტარს, ტვირთი რომ წაეღოთ...

ზურგით, რასაკვირველია.

სიმძიმის შედარებით შესამსუბუქებლად და უფრო იოლად წასაღებად ყოვლადნაცად კურტნებს ატარებდნენ.

...და როგორც ბევრ სხვა რამეს, ამ კურტნებსაც ბოლო სტალინმა მოუღო: 1935 წელს იოსები, უკვე დიდი იოსები, თბილისს ეწვია, შესაძლოა დედის სანახავადაც; და როცა მანქანიდან თვალი მოჰკრა რუსთაველის პროსპექტზე, ლაღიძის წყლის კუთხეში, ქურთებს, უსაქმობით მზეს რომ ეფიცხებოდნენ, „სათვალებიანს“ (ბერიას) გადაულაპარაკა უფრო, ალბათ, სიტყვის მასალად: ესენი კურტანს კიდევ არ გამოეთხოვენო?

უკვე იმ დროსაც სიტყვის თქმა კი არა, სტალინის წარბის ოდნავ შერხევაც საკმარისი იყო, რომ ჩვენი წილი დედამიწისთვისაც კი „უკუბრუნი გვექნა“, კურტანი კი, აბა, რა გადაუჭ-

რელი პრობლემა იქნებოდა: მეორე დღესვე, ტოტალური წესით, ყველას ჩამოართვეს კურტანი და...

დარჩნენ ქურთები უკურტნოდ, მაგრამ... ამის გამო ისინი, წარმოიდგინეთ, არ აჯანყებულან და არც ზემდგომ ორგანოებში მიუწერიათ ასე და ასეო, ჩვენ, იმპერიალისტებისგან განაწამებ და დაჩაგრულ ქურთებს, ქართველები, თავი საბჭოთა ადამიანებად რომ მოაქვთ, გვავიწროებენო...

მათ შეეძლოთ ამგვარი საჩივარი პირდაპირ ამხანაგ სტალინისათვისაც გაეგზავნათ, აკი აინუნშიც არ იყვნენ, რომ ისინი ამ მაჯლაჯუნა კურტნისაგან თავად ამხანაგმა სტალინმა გაათავისუფლა...

დიახ-დიახ, არ აწრიალდნენ და არ იჩივლეს, — მათ ჯერ კიდევ არ ჰყავდათ დიდი პოეტი თოგარე ბრო, მწერალთა კავშირში არ ჰქონდათ ქურთული სექცია, რადიოში არ იყო ქურთულ ენაზე გადაცემები, როგორც წინათ დაწიხლული და ახლა აღორძინების გზაზე შემდგარი ნაციონალური უმცირესობა არც ლიმიტებს მოითხოვდა სამუსიკო, სამხატვრო და უმაღლეს სასწავლებლებში...

იმხანად ქურთები თბილისში ხუთას სულამდე თუ დაითვლებოდნენ და ყველანი სარდაფებში ცხოვრობდნენ. თუმცა არა მარტო ქურთები ცხოვრობდნენ, დღევანდელობის თვალსაზრისით, ჯურღმულებში, — ბევრი, ბევრი ქართველიც (მათ შორის ამ ცრემლიანი სტრიქონების ავტორიც: მოწაფეობის ბოლო ექვსი წლის მანძილზე გრიბოედოვის ქუჩაზე, სახლი № 15-ში, რომლის „აპარტამენტების“ ფანჯრებიდან ტროტუარზე მოსიარულეთა ფეხები მხოლოდ კოჭებ-მუხლებამდე მოჩანდა... ერთხელ ბინაში მორიელიც კი შემოძვრა, შეშინებულ ბავშვებს მამამ, დამშვიდების მიზნით თეთრ „ტარაკანად“ რომ გჟუსალა, მაგრამ „ნომერი“ არ გაუვიდა: ზოოლოგიაში ჩვენ უკვე განსწავლულები ვიყავით).

ო, მას შემდეგ დიდი, დიდი დრო გავიდა... როგორც ამას წინათ გაზეთმა „თბილისმა“ სიხარულით უწოდა — „ქურთები, ჩვენი ძმები“ ერთობ მოღონიერდნენ, სარდაფებიდან ბევრ ქართველზეც ადრე ამოვიდნენ, გამრავლდნენ,

და მერე როგორ!

ჩვენ მათზე კინონარკვევიც გადავიღეთ — „Мы — кур-

ды!" — რუსულ ენაზე, ცხადია, — ქართული ამ „ჩვენს ძმებს" უკვე კარგა ხანია ეპატარავებათ; სხვათა შორის, ამ ფილმში ახლად დაქორწინებულს, ნეფეს ეკითხებიან: „Сколько детей будете иметь?" პასუხი წამიერი ფიქრის გარეშეც: „Десять!" დედოფალი კი თვალებდარცხვენით უპასუხებს: „Нет, двенадцать!"

რა თქმა უნდა, მათ საამისოდ მტკიცე პირობის ჩამორთმევა არცა სჭირდებათ, ამას უპირობოთაც შეასრულებენ, აკი ზურგი მაგარი აქვთ; მათ მშვენივრად იციან, რომ თანამდებობების მქონე ქართველები მათი პირველი ძმები არიან; აგერ ახლა ხომ წამოიძახა კიდეც რიხით, ბინების განაწილებისას, დედაქალაქის ერთ-ერთი რაიაღმასკომის თავმჯდომარემ, „ქურთი და ქართველი ჩემთვის სულ ერთია!"-ო.

თბილისში 6 ათასი ქურთია მეეზოვედ გაფორმებული, დიახ, გ ა ფ ო რ მ ე ბ უ ლ ი (ამათში თოთო ბავშვიც ბევრი ურევია!), ამიტომაც ასე „ბრწყინავს სისუფთავით" ჩვენი დედაქალაქი!.. მაგრამ ქურთებმა არა მხოლოდ სანიტარიის, უფრო სწორად — ანტისანიტარიის სფეროში, — სავაჭრო ქსელშიც ამაზე ნაკლებ როდი მოიკიდეს ფეხი: ქართველ დიდ ქურდებს ხელს უფრო აძლევთ სამატყუარო-საანგარიშო დარგში დაძმაკაცება მათთან შედარებით პატარა ქურდებთან... ბოდიში, ქურთებთან, ქურთებთან!

არა, ყველა ქურთი როდი გავაჭრებულა; ზოგიერთი მათგანი ორას მანეთად მეხუთე სართულზე პიანინოს ატანაზეც გაგირიგდება; თუმცა... მესამე სართულზე შეიძლება მიგიტოვონ, არ ვიცოდით ასე მძიმე თუ იქნებოდაო, და რაკი შენ მისი ამტანი არა ხარ და არც იმის იმედი გაქვს, რომ სხვა ქურთი გამოგიჩნდება ისეთი, ტყავი რომ შეგარჩინოს, იძულებული ხარ, გაქვს თუ არ გაქვს, ასი მანეთი კიდევ წაუმატო...

ო, რასაკვირველია, ერთობ დროულია, დროული!.. შეიძლება დავაგვიანეთ კიდეც „ჩვენი ძმები — ქურთების" შემდგომ კეთილდღეობაზე ზრუნვა და მეურვეობა.

...და მაინც, მე ვამჯობინებ, რათა უფრო მერწმუნოთ, ჩემი, შესაძლოა, ზერელე დაკვირვებანი განზე გადავდო და „ქურთების საკითხის" უფრო ობიექტურად ნათელსაყოფად რესპუბ-

ლიკის დიდი ოფიციალური პირისათვის გაგზავნილი მოხსენებითი ბარათი მოვიშველიო, რომლის ავტორს, თავისივე პროფესიის გამო, უშუალოდ და პრაქტიკულად არაერთხელ მოუხდა ამ მღვრიე ტბაში გაცურვა-გამოცურვა... ეს გახლავთ ვახტანგ ქვანია; იურისტი და ლიტერატორი (ტექსტი შედგენილია რუსულ ენაზე; კომუნისტ ქვანიას, როგორც ჩანს, არ შეშინებია, თუ მის ნაწერს მოსკოვიც გაეცნობოდა):

«...Большинство дворников и уборщиков оформлены на 4—5 работах, и каждый из них получает зарплату профессора.
...Я сталкивался с фактами, когда в документах домоуправлений были оформлены дворниками грудные дети...
...А если кто посмеет поднять голос об этих противозаконных, преступных деяниях, сразу же поднимается, со стороны курдов, организованный шум и поход многочисленных жалоб о национальном преследовании «маленького, бесправного народа».
...Количество курдов и езидов по сравнению с довоенным периодом в Тбилиси во многом возросло, и это не только за счет способности большого размножения, но и за счет массового экспортирования из Ахпаранского и других районов Армении «зятей» и «невест», которые за взятки беспрепятственно прописываются, а затем еще тянут за собой колоссальное количество родичей...»

(ჩემი მინი-კომენტარი: იყიდებოდა და იყიდება საქართველო, ოღონდ სამშობლოთი წინათ მარტო თავადაზნაურობა ვაჭრობდა და საქმეს მხოლოდ სომხებთან იქერდა, ახლა კი საქართველოთი ვვაჭრობთ ყველა ჩვენ, ვისაც „სკამი“ გვაქვს და ვინც ხელის ჭუჭყს შემოგვაძლევს, — ვყიდით ყველაზე, განურჩევლად ეროვნებისა!)

«...Об их невиданном «угнетении» единичные курдские писатели и малочисленная интеллигенция уже кричат таким зловещим голосом, будто их режут не турки, а грузины... Они же сочиняют то множество провокационных, клеветнических, анти-

грузинских жалоб — индивидуальных и коллективных. которые наводняют вышестоящие партийные и государственные органы... Клевета выдается за истину, и провокаторы добиваются своего...»

აი, ესეც „ჩვენი ძმები, ქურთები!..“

მაპატიოს კი მკითხველმა, თუ მის წინაშე არ მოვიხდი ბოდიშს ასეთი გრძელი ამონაწერისათვის, თანაც უფრო იმიტომ, რომ ეს მცირეზე მცირე ნაწილია იმ 18-გვერდიანი მოხსენებითი „უსტარიდან“, რომელიც „ზევით“ გაიგზავნა...

...და თქვენ ფიქრობთ, ერთი-ორი თვის წინათ? ანდა ერთი-ორი წლის წინათ? არა! ორიოდე თვის შემდეგ მისი გაგზავნიდან სრული ათი წელიწადი შესრულდება, პასუხი კი გამგზავნს, სულ უბრალოც — „თქვენი წერილი მივიღეთო“, ესეც არ მიუღია.

კარგი, ვთქვათ და პასუხისათვის შეიძლება მართლაც ვერ მოიცალეს, მაგრამ ბარათში დასმული მრავალი საკითხიდან ზოგიერთი მაინც, ყველაზე მტკივნეული, ეგებ მოაგვარეს და გადაჭრეს, ა? ვითომ ეტყობა კი ეს ჩვენი დედაქალაქის სინამდვილეს?! საამისოდ ათი წელიწადი განა ცოტაა?!

ერთმა თერთმეტშვილიანმა ქურთის ქალმა, რომლის რამდენიმე შვილი ჩემმა, აწ განსვენებულმა დამ, როგორც უბნის პედიატრმა, ზოგი წითელას გამოსტაცა, ზოგი — ყივანახველას, ზოგიც — ხუნაგს, — ერთხელ, როცა ფულის მიცემა დაუპირა მკურნალს და ამან კი არ გამოართვა (გჯერა კი ეს, მკითხველო, ჩვენი დროის ექიმისგან?!), საიდუმლოდ ჩაუჩურჩულა: „აიღე, თინა-ექიმო, ნუ გეცოდები... ჩვენ, ქურთებს, იმდენი ფული გვაქვს, გამოჩენის გვეშინია, თორემ ნახევარ თბილისს ვიყიდით“.

ეს იყო მჟავანაძის დროს, რომელიც, სხვათა შორის, როგორც შემდეგ დროთა ვითარებამ გვიჩვენა, თავისი თანამდებობისათვის არც ისეთი წყალწაღებული ქალაჩუნა და დაბდური იყო, რომ მასზე სრულად გაგვევრცელებინა მე-18 საუკუნის შოტლანდიელი რობერტ ბერნსის პოეტური სიტყვები:

ღმერთმა დამიფაროს, აუგით ვახსენო
მე კანონმდებლობა ინგლისის,
და ვთქვა, რომ არ გყოფნით ამ ერის მართვისთვის
სიბრძნე და მეფური სინდისი;
მაგრამ ის უნდა ვთქვა, ძლიერ მაკვირვებს,
ვის ანდეთ სიმართლის სადავე,
ცხენის ჩონჩორიკს რომ უნდა ხვეტავდნენ,
ისინი ქვეყანას მართავენ
ამ ძნელბედობის დღეს...

დიახ, ამ ბოლო ათ წელიწადში კი, ნუ იტყვით, „ჩვენი ძმები, ქურთები" იმდენად დაუძლურებულან თურმე ქართული კაციჭამია ნაციონალიზმით, რომ... მხოლოდ აგერ ახლა მივხვდით ამას და თავზე ხელი სასწრაფოდ შემოვიკარით (თუ შემოგვაკვრევინეს?!) და გამოვიტანეთ დადგენილება „ქურთი მოსახლეობის კეთილდღეობის შემდგომი ამაღლებისათვის", რომელიც, უნდა იმედი ვიქონიოთ, მრავალ სხვა დადგენილებასავით ქაღალდზე არ დარჩება და მას ხელებდაკაპიწებულნი შეასრულებენ.

რაკი ჩვენ, სამჭკუაშვილები და სამყურაშვილები (ჩემ მიერ შეთითხნილი გვარები არ გეგონოთ, — ნამდვილია!) თავით ფეხებამდე ინტერნაციონალისტები ვართ, ქურთები, მსგავსად ფერეიდნელი ქართველების რაღაც 18 ოჯახისა, კი არ დავსაქსეთ, ერთად, კოლონიებად ჩავასახლეთ, თემქასა და გლდანში...

ამან, რაღა თქმა უნდა, დიდებული შედეგი მოგვცა, რაშიც ყველაზე ადრე და ყველაზე პრაქტიკულად მილიცია დარწმუნდა მაშინ, როცა ერთხელ მანქანის გამტაცებელ ერთ ქურთ ახალგაზრდას დაედევნა, ამან კი, დრო იხელთა თუ არა, ერთ რვასართულიან შენობას შეაფარა თავი და... უმალვე იმ სახლის მრავალრიცხოვანი ფანჯრებიდან და აივნებიდან ქვემოთ მყოფ მილიციელთა. მისამართით არცთუ სულ მოძულებული საოჯახო ნივთების თქეში წამოვიდა, რასაც მალე მდუღარე წყლის ნაკადულიც მოჰყვა ჭრელკაბიანი ქალების ომახიანი შეძახილებთან ერთად: „გლდანი ჩვენია! გლდანი ჩვენია!.."

დაე, ნუ დავძრახავთ, ნუ გავამტყუნებთ, სიმხდალეს ნუ დავწამებთ: ასეთ საარტილერიო ზალპსა და ფსიქიკურ „ატა-

კას“ ორი მილიციელი კი არა, მთელი დივიზიონიც ვერ გაუძლებდა... ამიტომაც დაბრუნდნენ კიდეც ისინი უბანში ხელცარიელნი, ერთი მათგანი თავცარიელიც კი: ფორმის ქუდი ცოცხით წააცალეს და იმ ცოცხითვე აბურთავეს.

უკვე მოგახსენეთ, წინათ თბილისში ქურთები უტყვი, ბუნჩულა ხალხი იყო-მეთქი, ახლა... მოსამართლე ვახტანგ ჟვანიას ათი წლის წინათ მოწოდებული ცნობები ერთობ მოძველდა: დღეისათვის ქურთი დამნაშავეების რიცხვმა, მათ სულადობასთან ერთად, კიდევ უფრო იმატა, მაგრამ მათს გვარებს ქართველი დამნაშავეების გვერდით ამოყენებულთ, პრესაში იშვიათად შეხვდებით: ვაითუ, შევიჯავროთ „ჩვენი ძმები, ქურთები!“ (თუნდაც შეიჯავრე, ამით ბევრი არაფერი დააკლო: ის მოდის, შენ მიდიხარ... ის ყვავის, შენ ჭკნები...).

ჩემი თვალით ვნახე: საკოლმეურნეო მოედანზე, აფთიაქთან, დღისით-მზისით, მთელი ქვეყნის თვალწინ, ორმა ქურთმა ახალგაზრდამ ერთი ქართველი გლეხი, მისთვის ფული რომ წაერთმიათ, მაგრამ როცა იგი ამაზე იოლად ვერ დაიყაბულეს, როგორ წააქციეს და წიხლებით მოთელეს...

ერთმა, მედოევმა, ტყუილუბრალოდ მოკლა ქართველი მოწაფე... შეხვდით კი ამის გვარს გაზეთ „თბილისში“? მე მგონია, არ შეხვედრიხართ, სამაგიეროდ ამას კი: „ქურთები, ჩვენი ძმები!“...

ჰოდა, ამოცანა გვეკითხება, თუკი ქურთები თბილისში ახლა „მხოლოდ“ 30 ათასია (1977 წლის ოფიციალური, ცხადია, ამჟამად უკვე მოძველებული მონაცემებით) და უკვე თავს გრძნობენ, რუსები რომ იტყვიან, хозяином положения, რაღა იქნება მაშინ, როცა ისინი... მმ... და როცა ჩვენ კი...

ეჰ, ნუ გავიფუჭებთ გუნებას სტატისტიკური შედარებებით... თუმცა ესეც არის, ბევრ ჩვენგანს ვითომ გაუფუჭდება?!

მწერლისათვის მის მიერ შექმნილი პერსონაჟი, რა უარყოფითიც უნდა იყოს იგი, მაინც საყვარელი ქმნილებაა. ჩემთვის სარე, მეეზოვე ქურთი გოგონა — მხიარული, ცოცხალი, კეთილი, ზოგჯერ უხეირო ქართველს ჭკუასაც რომ ასწავლის, საყვარელზე საყვარელია, მაგრამ... მე დღეს მას აღარ დავხატავდი. მე ის შევქმენი ზუსტად 30 წლის წინათ, როცა ქურთებმა ჯერ კიდევ იცოდნენ თავიანთი მოკრძალებული ადგილი სა-

ქართველოში, კალთა მათ მაშინ რომ გადააფარა, როცა სხვები ასაკუწად სდევნიდნენ.

მოდი ახლა და სულ უსაფუძვლო პარადოქსად მიიჩნიე ცინიკოს-ფილოსოფოსთა დევიზი, ნურავის ნუ უზამ სიკეთეს, და შენც ბოროტებით არავინ გიპასუხებსო...

კავშირგაბმულობის სამინისტროს მუშაკი, მ. მ. შესვენებისას ყველის რიგში ჩადგა, და როცა ცოცხიანი ქურთის ქალი დაუკითხავად და თავხედურად რიგის თავში ჩაეჩრა, და მას შენიშვნა მისცა, ჩვენ თუ ვდგავართ, შენ რა. წითელი კვერცხი ბრძანდები, არ გეკადრებაო? ამაზე შეურაცხყოფილმა, მგონი, ყველაზე უფრო დეფიციტური პროფესიის ქალმა (ალბათ გაგებული ექნებოდა, თბილისს ორი ათასი შეეზოვე აკლიაო...), არც აცივა არც აცხელა, როგორღაც ელვისებური მიხვედრილობა გამოიჩინა და ერთგვარი შურისძიების მიზნით პირდაპირ მიახალა ქართველ ქალს ქართულ გულში: მალე თბილისი თქვენი აღარ იქნება, თქვენ გახდებით ჩვენი დორნიკები და მერე რამდენიც გინდა, იცეკვეთ და იმღერეთო...

და წაუმღერა კიდეც, ოღონდ სარესავით სიყვარულით კი არა, — გაანჩხლებით (ქურთულ ანსამბლში, როგორც ჩანს, მელოდიას ხელს არ ახლებენ, ტექსტს კი):

„თბ-ლი-სო, მტვრისა და ნა-გვის ქა-ლა-ქოო...“

დიახ, მალე თქვენი აღარ იქნებაო...

და ეს მხოლოდ ამ ერთი მეეზოვე ქურთი ქალის აზრი როდია, — ასევე ვარაუდობენ ასიათასობით არაქურთები და არამეეზოვეები, და არათუ ვარაუდობენ, — ამაში ეჭვიც არ ეპარებათ.

ამის დასადასტურებლად საკმარისია თუნდაც ისიც, რომ, მაგალითად, სომხებმა არამ ხაჩატურიანი მოსკოვიდან ერევანს ჩამოასვენეს, ჭოჩარიანი სურენიც, ამერიკიდან კი — უილიამ საროიანი (თუ მთლიანად არა, ნაწილი მაინც — გული...), მაგრამ მათი საფიცრის, მათი დიდი ეროვნული პოეტის, ოვანეს თუმანიანის ნეშტის თბილისიდან ერევანში გადასვენება ფიქრადაც არ მოსდით, მიუხედავად იმისა, რომ იგი საქართველოში არც მომკვდარა: გარდაიცვალა მოსკოვში, 1923 წელს, და

თუმცა მოსკოვში სომხებს საკუთარი სასაფლაო აქვთ, იქ არ დამარხეს, ამჯობინეს თბილისში დაეკრძალათ...

დიახ, თბილისში, იმ თბილისში, რომელიც... მალე ჩვენი იქნებაო...

(ვფიქრობ, მკითხველისთვის ერთგვარად ესეც საინტერესოა: დავითაშვილის ქუჩაზე მდებარე სახლი, რომელშიც ოვანეს თუმანიანი ცხოვრობდა, მისი ასლი სომხებმა ზუსტად გადაიღეს და ერევანში ააშენეს!).

ჭკვიანი, შორმსჭვრეტელი, გამჭრიახი ხალხის წინაშე, ის ქურთი იქნება, სომეხი თუ სხვა გადამთიელი, უჭკუო ხალხს მხოლოდ მუხლის მოდრეკა გვმართებს...

ერთ ამერიკელ პროფესორს, ფიზიკოსს, გრეგორი ბენფორდს, რომელიც ქართულ სტუმართმოყვარეობას მოუხიბლავს და, ალბათ, ქართველ ფიზიკოსებსაც, წერილობითი სიგელი დაუტოვებია, ქართველები არაჩვეულებრივი ხალხიაო...

ჩვენთან ათდღიანი სტუმრობისას, აბა, რას მიხვდებოდა ეს დალოცვილი, რომ ამ „არაჩვეულებრივი ხალხით“ თუ დაინტერესდება მისი შვილის შვილიშვილი და ჩამოვა ამ „არაჩვეულებრივი ხალხის“ სანახავად, იმხანად უკვე ეგრეთ წოდებულ საქართველოში, იგი აქ იმდენსავე ქართველს წააწყდება, რამდენიც ინდიელია ამჟამად ამერიკის სამიოდე რეზერვაციაში...

დიახ,

თუ საქართველო აღარ იქნება,
ნუღარ იქნება ნურც სხვა ქვეყანა!..

ჟეთი, თეგურ-ლენგი, კოსმოსა და სხვები...

სომხებს საკუთრივ სომხური სახელი უამრავი მოეპოვებათ, და ეს არა მარტო ჩვენთან შედარებით...

ქართველებს ბევრი სახელი ნასესხები გვაქვს ძველი ბერძნებისაგან, რომაელებისაგან, სპარსელებისგან, უფრო მეტად კი — ებრაელებისგან.

ზოგიერთს შეიძლება გაუკვირდეს კიდეც, მაგრამ ეთერ-აბესალომზე რომ აღარაფერი ვთქვათ, თამარიც კი ძველი ებრაულიდან მომდინარეობს.

აი, ლამარა კი წმინდა ქართული სახელია და, სხვათა შორის, საქართველოში ყველა ლამარა დაბადებულია 1926 წლის შემდეგ: სწორედ ამ წელიწადს დაიდგა რუსთაველის თეატრში გრიგოლ რობაქიძის „ლამარა" და... ისე, როგორც ყველა ანზორი დაბადებულია 1928 წლის მერმე, თუმცა ეს სახელი ალექსანდრე ყაზბეგთან გვხვდება „ელისოში" ჯერ კიდევ როდის, მაგრამ ხალხმა მაშინ იგი არ აიტაცა; ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, თეატრმა დაჯაბნა ლიტერატურა...

...კი, ასეთი ზედპირული გავლენა ადამიანებზე თეატრს მართლაც შეუძლია მოახდინოს, მაგრამ მას რომ შეეძლოს საზოგადოების სოციალური ჭრილობების განკურნება, თუნდაც ნება მოგეცეს ამ ჭრილობების გამომწვევი მიზეზების ჩვენებისა, — ამის მტკიცება ბავშვური გულუბრყვილობა იქნებოდა, მაგრამ ეს სხვათა შორის...

სამწუხაროდ, ჩვენში თეატრმა (და არა მარტო თეატრმა), გაუთვითცნობიერებელ, წამხედურა ადამიანებში სხვა სახელებიც თუ ჯერ კიდევ ლამარასა და ანზორივით მასობრივად ვერ დაამკვიდრა, ყოველ შემთხვევაში ისინი, უვიცობით, თავგამოდებით მიისწრაფვიან აქეთკენ...

მე „იმპორტულ" სახელებზე მოგახსენებთ, შეიძლება დიდად განთქმულსა და თანაც ერთობ მშვენიერზეც, მაგრამ ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი ყოფისთვის, როცა ეს სახელები სცენი-

დან კი არა, ყოველდღიურ ცხოვრებაში გვხვდება, მერწმუნე, ძვირფასო მკითხველო, ქართულ ყურთასმენას უსიამოდ ჭრის...

არაქართველებისთვის კი ისინი ხომ სიცილისა და დაცინვის უშრეტი წყაროა, ჩვენი პროვინციელობის, ზოგჯერ კი პირდაპირ საარაკო უკულტურობის დამადასტურებელი ბეჭედდარტყმული დოკუმენტი...

შენივე ერშიც კი თითქმის ყოველ ადამიანს სიამოვნებას ჰგვრის შენთან შედარებით უკეთესობით თუ გამოირჩევა, თუკი შენ სამასხარაო-საბურთავებელი ხარ, შერეკილობასა და ამაზე სხვა უარესობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ...

განა შეიძლება სახელად, მაგალითად, მაუგლი გერქვას ან ჯუნგლი? თურმე შეიძლება, და ჰქვიათ კიდეც, თქვენ წარმოიდგინეთ, ასე თუ ისე, საკმაოდ ცნობილ პირებსაც კი...

სახელი მუდამ თან დაგყვება, ისე, როგორც გარეგნობა, პირისახე... სახეს ვერ აირჩევ, მას ბუნება იძლევა, სახელი კი ჩვენს ხელთ არის, არჩევანიც დიდზე დიდია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, ქართველმა კაცმა, სპეციფიკური ქართული გვარის მატარებელმა, უცხოური, თუნდაც თავისთავად კეთილხმოვანი და საქვეყნოდ ცნობილი, მაგრამ შენი გვარისთვის და ჩვენი ეროვნული ყურისათვის უსაზომოდ მყვირალა სახელით თავი შეიმკო, უფრო სწორად — შეგამკონ...

და თუ ნაკლებად წინდახედულმა მშობლებმა მთელ სასიცოცხლოდ ასეთ უღელში შეგაბეს, — გამოიცვალე, ბატონო, ღვთის მადლით, ამას ახლა იმდენი ტანჯვა-წვალება არ სჭირდება, რამდენიც სჭირდება გვარის გამოცვლას ანდა, მაგალითად, სომხობიდან შენი ნამდვილი ეროვნების — ქართველობის დაბრუნებას...

„თავის მომჭრელ" უცხო სახელობიას ჯერ კიდევ ამ ორმოცი წლის წინათ, 1940 წელს დაწერილ კომედიაში გაეკარი კბილი:

ი ვ ა ნ ე: ...გლეხის ბიჭს, შე, გლახა, რომის პაპის შვილივით გზრდიდი.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი: ნუ მაყვედრი, რომის პაპს ბავშვები არ ჰყავს... რისთვის ჩამოხვედი, საჩხუბრად?

ი ვ ა ნ ე: ურემს რომ ტვირთი დააწვება — ჭრიჭინს დაიწყებს.

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი: თუ ასეა, შენ რომ ტვირთი ამკიდე, ოცდასამი წელიწადია კურტანივით მკიდია და სადაც წავალ, ექვანივით თან დამყვება, მაგრამ ჩემგან საყვედური ჯერ ერთხელაც არ მოგისმენია.

ი ვ ა ნ ე: რომელ ტვირთზე მეუბნები?

ნ ა პ ო ლ ე ო ნ ი: რომელზე და... ნაპოლეონი რომ დამარქვი, ჭკუა სად გქონდა? სირცხვილით ანკეტაც ვერ შემივსია. სად ჭინჭილეიშვილი, სად ნაპოლეონი?! ნაპოლეონის მაგივრად პუჭუჭიე დაგერქმია, არ მერჩია?!

ი ვ ა ნ ე: მე კეთილი გულით დაგარქვი, იცის ღმერთმა! სპირიდონმა თავის ბიჭს ბისმარკი შეარქვა და... მე რა, სპირიდონზე ნაკლები ვარ თუ?! ნაპალიონი ზარბაზანივით ქუხს, შენ კი არ გინდა მამის ამაგი დააფასო...

ვისაც იუმორის გრძნობა არ გააჩნია, ვთხოვ მენდოს და დამიჯეროს: შენ ჰამლეტ დადიანი იქნები თუ ჰამლეტ ჭიპაძე, სხვის თვალში, რა ლამაზიც იყო და რაგინდ ჭკვიანიც, მაინც სასაცილოდ გამოჩნდები...

ჩვენ ახლა რუსეთთან ხშირი მიმოსვლა გვაქვს, ზოგი ცხოვრობს და მსახურობს კიდეც იქ, ზოგიც სწავლობს... უმამისსახელოდ კი რუსები მხოლოდ „შანტრაპას“ მიმართავენ. ჰოდა, თუ ცოტათი მაინც პატივისცემის ღირსად მიგიჩნიეს, თქვენი ვინაობა გვიბოძეთ, როგორ უპასუხებ? „Гамлет Робинзонович...“ „Дездемона Гамлетовна...“ ჰმ! თან გვარიც, მათთვის ძნელად წარმოსათქმელი თუ მოგყვებათ...

საქართველოს ტელევიზიის ერთ-ერთი პროგრამა, ორ კვირაში, მგონი, ერთხელ რომ გადაიცემა და, აქვე ვიტყვი, ჩემი აზრით, ბევრად რომ არ ჩამოუვარდება მოსკოვის ანალოგიურ პროგრამას, — ერთ-ერთი მისი დარბაისელი მონაწილე მეორე დარბაისელ მონაწილეს მიმართავს:

— ჰამლეტ, ეგებ ცოტა რამ გვიამბოთ დანიაზე...

— სიამოვნებით, სოსო!... დანია საქართველოსავით პატარა ქვეყანაა...

...ჰო, მაგრამ... მე უკვე ყურადღება გამეფანტა და ტელე-

ვიზიის ჰამლეტის კარგი, ზეპირი ქართულით ნაამბობს უკვე ყურს ველარ ვუგდებ, რა ვქნა, ჩემს მეხსიერებაში შექსპირის ჰამლეტი შემოიჭრა: „ოფელიავ, წადი მონასტერში!“.

ჩემსა და ტელევიზორს შორის, ალბათ, კონტაქტი არც გაწყდებოდა, რომ...

— ბატონო ჯამლეთ, იქნებ ცოტა რამ გვიამბოთ დანიაზე...

— სიამოვნებით, ბატონო იოსებ! დანია...

როგორც ხედავთ, სულ რაღაც ერთ ასოშია განსხვავება, და ესეც უკვე საკმარისია იმისათვის, რომ თავი ვიგრძნოთ ჩვენს გარემოცვაში, ჩვენს მიწა-წყალზე და თანაც სახეზე ჩვენი უპირატესობის დამცინავი ღიმილი არ აგვესახოს.

აქვე შევნიშნავდი, რომ „სოსო და ჰამლეტი“ და კიდევ რამდენი არაჰამლეტი და არასოსო არა მარტო სატელევიზიო გამოსვლებ-საუბრებში, თითქმის ყველა სახის საჯარო ურთიერთობებში ერთმანეთს მიმართავენ... ო, რა ხანია „ამხანაგომ“ და „პატივცემულომ“ განდევნა...

არა, მგონი აჯობებს კვლავ ერთი შორეული „დოკუმენტი“ შემოგთავაზოთ — ნაწყვეტი ოცი წლის წინათ, 1962 წელს დაწერილი კომედიიდან:

ჰ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე: ეს უკვე თქვენი ბრალი არ არის, ლეონიდ... მმ... ეგებ მამის სახელი მიბოძოთ.

კ ა მ ა რ ე ლ ი: ალექსანდრე.

ჰ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე: დიახ, ეს უკვე ჩემი ბრალია, ლეონიდ ალექსანდროვიჩ!

კ ა მ ა რ ე ლ ი: გთხოვთ „იჩობით“ ნუ მომმართავთ. ეს ძალიან ცუდია, თუმცა ჩვენი ყური ამას ისე შეეჩვია, თითქმის აღარავის ეჩოთირება. მამის სახელით მიმართვა წმინდა სპეციფიკური რუსულია, რომელიც, სხვათა შორის, რუსებისაგან არ გადაუღიათ არც ჩეხებს, არც პოლონელებს, არც ბულგარელებს, და თითქმის არც ერთ სხვა სლავურ ერს. ჩვენ კი, ქართველებს, ისეთი რა ცეცხლი გვიკიდია, რომ ერთმანეთს მივმართავდეთ: „ყარამანიჩ“, „პილატეევიჩ“, „ძუკუევიჩ“, „ბურდღლიჩ“, „ქაიხოსროვნა“... ჩვენი ეროვნული სახე გუშინ არ ჩამოყალიბებულა. გეკითხებით: ასეთი რა დააშავა და რატომ უნდა მივცეთ დავიწყებას ჩვენი კეთილხმოვანი, ტრადიციული

„ბატონო?“ „ბატონო გედეონ!“.., „ქალბატონო ნინო!“.., ცუდია?

ჭ ი ჭ ი ნ ო ბ ე ლ ი ძ ე: ჩინებულია, მაგრამ ზოგიერთები ალბათ ფრთხილობენ, ფეოდალიზმისადმი სიმპათია არ დაგვწამონო.

კ ა მ ა რ ე ლ ი: ჰმ! განა ფეოდალურ ურთიერთობას „ბატონო“ აღადგენს? რაც მიიცვალა და გაიხრწნა, მას ვერც ღმერთი გააცოცხლებს და ვერც დიალექტიკა...

...„თუთახშიას“ ბევრმა მკითხველმა ალბათ არ იცის, რომ ამ რომანის ავტორის ნამდვილი, ნათლობისა და ახალგაზრდობის დროინდელი სახელი მზეჭაბუკია, და თუმცა იგი წმინდა ქართულია, მისმა პატრონმა, როგორც ჩანს, ზედმეტად პრეტენზიულად მიიჩნია და შეიცვალა ის „გლეხურ“ ჭაბუაზე; ამით მას, როგორც პიროვნებას, და არც მის რომანს, როგორც მხატვრულ ნაწარმოებს, სულაც არაფერი დაჰკლებია.

სხვათა შორის, მზეჭაბუკ ამირეჯიბი ერთ დროს, თურმე, მართლაც ამართლებდა ამ ბრწყინავ სახელს... თურმე-მეთქი, რამეთუ ვერ დავიტრაბახებ ამის მნახველობით, გადმოცემით კი ვიცი: როცა 1946 წლის მარტში ორთაჭალის შედარებით ადამიანური შრომა-გასწორების კოლონიიდან თავი მიკრეს ავჭალის კოლონიაში, რათა აქ უფრო მძიმე შრომით ძირფესვიანად გამოვესწორებინეთ, სწორედ მაშინ გავიგე, რომ წინადღით აქაური პატიმარი მზეჭაბუკი, როგორც ჩანს, შრომითვე უკვე ლოთიანად გამოსწორებული, დათასავით გაფირალებულიყო...

მე მხოლოდ იმას მივუსწარი, კოლონიის უფროსი, ტანად დავით აღმაშენებლის მტკავლის ოდენა კაცი, როგორ ყრიდა ამის გამო ცეცხლებს:

— დოყლაპია მცველებო, ყველას დაგხვრეტთ, თუ სასწრაფოდ არ მონახავთ და არ გაძაგრავთ... („კაცი, რომელიც დაეკლდა ციხეს!“).

(სხვათა შორის, ათიოდე წლის შემდეგ უკვე შერისხული ბერიას ეს ახლობელი, იმჟამად თამბაქოს ფაბრიკის დაცვის უფროსად ყოფნისას, ტომრობით პაპიროსების ქურდობა-გატანისათვის... „კაცი, რომელიც შეემატა ციხეს!“).

„შავ წიგნში“ უკვე ვწერდი, და ახლაც ამაზე კვლავ სიტყ-

ვის ჩამოგდება თითქოს აღარც ღირს, მით უმეტეს, რომ ამით სულ ერთია, მაინც არაფერი სწორდება, — ძაღლი ყეფს, ქარავანს ეს არ აშფოთებს, მაგრამ, რას იზამ, თუ ქართველს გული გიკვდება ჩვენი უგემოვნობის, ჩვენი უკულტურობის, ზოგჯერ კი პირდაპირ განუკითხავი სიტუტუცის დამადასტურებელი „ჟიგულით“ და „კლოზეტათი“ (ეს, ალბათ, ვიქტორ ჰიუგოს „განკიცხულნიდან“, ფრანგულ კოზეტასაგან მოწანწკარებს), „ნეგუსით“ და „კოსმოსათი“ („— სადა ხარ, ბიჭო, კოსმოს? კოსმოსა!..“), „ნორინგით“ და „ჯიუ“-თი; „ჟანჟაკარუსდთი“ და „ჯოულით“, „რენტგენით“ და „როდენით“, „შახით“ და „ტახით“, და ათობით ამისთანებით, რომლებითაც სასეიროდ ვიხდით თავს, მსგავსად „ალი კირპიჩ ბრასაი ოღლისა“, განსაკუთრებით არაქართველის თვალში.

მოზღვავდა, ამ ბოლო დროს მაინც, ისეთი „სახელები“, რომ იმ უმთავრესსაც ვერ გაიგებ, მისი მფლობელი ქალია თუ კაცი; თითხნიან სახელად რაღაც ასოებს, ანდა დედისა და მამის სახელების პირველ მარცვლებს აკოწიწებენ (ამით, ალბათ, ბრძენი მშობლების ბრძნული აზრით, თავიანთ თავსაც უკვდავყოფენ და თავიანთ, მეტწილად, ერთადერთ პირმშოსაც აბედნიერებენ დაბადებიდან აღსასრულამდე), ანდა უცხო სიტყვათა ლექსიკონიდან კრეფენ, — მორალი, ლომბარდი, დოტაცია (ყველა ესენი ამოწერილი მაქვს პრესიდან და სამგლოვიარო განცხადებებიდან)...

წინათ ასეთ სიმახინჯეს ერთი მედავითნეც კი მოუღებდა ბოლოს, ახლა ამას მთელი რესპუბლიკაც ვერ მორევია, ანდა, აბა, რას მოერევა, როცა მისივე სახელმწიფო დაწესებულება, ზოგჯერ უმეცრებით, მომეტებულად კი — „ვს არის ჩემი ხალტურის“ მოსაზრებით ანაგვიანებს სახელთა კრებულთაიგულს და უდანოდ ასახიჩრებს ადამიანებს.

(ამას წინათ სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი მმაჩის მუშაკი გამოიჭირეს, რომელიც თავისი „მოღვაწეობის“ 30 წლის მანძილზე უქრთამოდ უბრალო ცნობასაც არ იძლეოდა და ამ გზით დიდძალი ფული დააგროვა; განა ფიქრი უნდა, თუ მას ეტყოდნენ, მაგალითად, რაღაც უცნაურზე, ეს ჩამიწერეო, მთხოვნელს გაოცების ფართო თვალებით სახეში კი არ შეხედავდა, — ხელებში, ამისათვის რას მომცემო).

როგორც შეამჩნევდით, „კულტურულ“ ქართველებში დიდი მოთხოვნილებაა ბევრ ისეთ „სახელზე“, რომლებსაც ცოტათი გაგებული ადამიანიც კი ძაღლებსა და მაიმუნებს თუ შეარქმევს, ამავე დროს ათასში ერთხელ თუ გაიბრწყვიალებს ისეთი კოხტა, ქართული სახელები, როგორიცაა, მაგალითად, მზექალა, მზეონა, გულთამზე, გულისა, გულვარდი, თეა, ძიძია, მამისა, ცისნამი; ქართლოსი, თორნიკე, გულადი, ლომგული, ალუდა, ვეფხია, მინდია, ბარათა, მამამზე... შოთაც კი გაიშვიათდა, ცოტნეს კი შეიძლება მხოლოდ წამლად შეხვდეთ სადმე, მაშინ როცა „თემურმა“ ლამის წაგვლეკოს, და ახლა ამას ცალკე „ლენგიც“ ემატება...

დიახ, ნაცვლად იმისა, რომ ამ „თემურს“ და „ლენგს“ — საქართველოს შვიდჯერ თუ რვაჯერ ამაწიოკებელ-დამაქცევარ-ამაოხრებელს, ქართველების ასიათასობით ამომხოც-ამომჟლეტს დღენიადაგ წყევლა-კრულვით ვიხსენიებდეთ, ჩვენ მას, პირიქით, არსებითად უკვდაქვაყოფთ კიდეც.

ეს მოგვდის ისტორიაში გაუნათლებლობით, დაუფიქრებელი წამხედურობით და, თუ გნებავთ, პატრიოტული გრძნობის, უკაცრიელი პასუხია, ფეხებზე დაკიდებითაც, შეიძლება ჩვენი, საერთოდ სულელური გულმავიწყობით და მიმტევებლობითაც.

მართლაც რომ, სახელს შერჩევა უნდა, მთელი სიცოცხლის მანძილზე, იგი ყვავილივით უნდა ატარო, და არა კურტანივით, და თუ შენმა მზრუნველმა მშობლებმა თავიანთი სიბრიყვით თუ ცრუგანსწავლულობით ეს კურტანი აგკიდეს, გონიერების ასაკში შესვლისას მას თუ გადააგდებ, — ვინ იქნება შენი მძრახველი!

ოციანი წლების დასაწყისში, როცა ძველი ქვეყანა დაემხო და ახალი მოგვევლინა, მრავალი შემთხვევა იყო სახელის შეცვლისა, მომეტებულად ვლადიმერზე: ეს, ცხადია, ლენინის პატივსაცემად, და აგრეთვე იმის ნიშნადაც, რომ... „აჰა, ამით გაფურთხებ შენ, საზარელო ძველო ქვეყანავ!“.

(როგორც ცნობილია, ტიტე ტაბიძე და პავლე იაშვილი ჯერ კიდევ რევოლუციამდე „მოინათლნენ“ ტიციანზე და პაოლოზე).

რაღა შორს წავიდე, ჩემმა ძმამ მეფის მირიანობა ითაკილა და იუკადრისა, და იგი ბენიტოზე გადაცვალა, რამაც მერე და

მერე... არა, ამის თაობაზე მას ჩემთვის არაფერი შემოუჩივლია, — როგორც ნაბოლარას, ოჯახში მეცხრეს, დიდი არაფერი ფასი მედო, მაგრამ ჩემითაც ვხედებოდი, დროთა განმავლობაში ამ „ღამურობამ“ ბევრი სიმწარე აწვნია: თურმე ბენიტო იტალიის, იმ დროს ახლად წამოჩიტულ დიქტატორს, ბუსოლინსაც რქმევია...

ჰოდა, „რავალი“ საქმე იქნებოდა, იყო პროლეტარული მწერალი, იტალიის გარდა, ესპანეთში და სხვა ესპანურენოვან ქვეყნებში საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ მაინც ამ შემთხვევაში, იყო დიდი ფაშისტის სეხნია და თან ცხოვრობდე სტალინის სამეფოში?!

დასტურ, სტალინმა პაოლო იაშვილს პავლეობა დაუბრუნა, ნატა ვაჩნაძეს... ნატო ხარო.

აბა დავფიქრდეთ, ჩემი თაობის და ცოტა ამაზე მომცრო თაობის მკითხველებო, კერძო საუბარში, თუკი რაღაც სასწაულით სტალინის გვერდით მოხვდებოდი, რა უნდა ეთქვა მას ისეთი, რომ იგი ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, გულით და სულით არ მოგწონებოდა?!

ეთქვა თუნდაც კალმით ნახატი ქალისათვის, ჯულიეტა კი არა, შენთვის ბაჯაჯღანა უნდა დაერქმიათო... ჰოდა, ამის მერე, აბა, რომელი ჯულიეტა არ „გაბაჯაჯღანდებოდა?“ აკი მან იცოდა, ამიერიდან მთელი დარჩენილი სიცოცხლე ბელადისაგან სხივნატყორცნი თავაღერილი იქნიდა, სტალინმა შემარქვაო...

იმჟამად რომელი ერთი იფიქრებდა, ამ „ნათლობას“ როდისმე ყავლი გაუვიდოდა, ანდა სტალინი, საერთოდ, ოდესმე მოკვდებოდა, და თუ — დალახვროს ღმერთმა! — მოკვდებოდა, მის მიერვე დაფრთიანებული აღზრდილები აღმზრდელს ქვა და გუნდას დაუშენდნენ?!

ახლა ესეც წარმოიდგინეთ, ან გუნდაობისას რა დღეში ჩავარდებოდა ერთი ჩემი ნაცნობი, გვარად მურადოვი, რომელსაც, ბევრად ადრე ხრუშჩოვის გაკეისრებამდე, ერქვა... სტალბერ!

ეს ამხანაგი, სტალბერ მურადოვი, იძულებული გახდა თავის, ერთ დროს მქუხარე სახელისთვის ჯერ „ბერ(ია)“ ჩამოეკლო, და მერე, როცა ამ განახევრებულ „სტალ“-საც შეერყა, მარქსისტულ ტერმინს თუ ვიხმართ, ბაზისი, შემომჩივლა, არ

ვიცი, რა წყალში ჩავვარდე, კაცი მგონი, სულ უსახელოდ ერჩებიო...

დიახ, ერთხელ უკვე მოგახსენეთ, დროს არც უნდა გაუსწრო, და არც უნდა ჩამორჩე... ეს კია, მაშინ არ მითქვამს: გასწრებას მაინც, მგონი, ისევ ჩამორჩენა სჯობს. დასტურ, ასე რომ მოქცეულიყვნენ, არც სტალბერნი და არც ლენსტალნი უსახელოდ არ დარჩებოდნენ.

გარდა მეცნიერების ამ დარგის — ონომასტიკის — სპეციალისტებისა, ბევრს ეჭვი არ ეპარება, რომ, მაგალითად, ნატალია და ნიკიტა წმინდა რუსული სახელებია...

არა! რუსებს, ჩვენი არ იყოს, ალბათ როგორც მართლმადიდებლებს, ცოტა აქვთ საკუთარი სახელები: Вера, Любовь; Надежда; Святослав, Владимир, Владислав და კიდევ რამდენიმე სხვაც... ამ „რამდენიმე სხვაში" ლიუდმილა კი რუსულია, ოღონდ რუსლანი, ჩვენი გორგასლანისა არ იყოს, ცოტა გადასხვაფერებული სპარსული არსლანია (ლომი)... ნატალია ლათინურია და მშობლიურს ნიშნავს, ღვიძლს; ნიკიტა კი ბერძნულია და საწყისს გამარჯვების ღმერთ ნიკა-ნიკედან იღებს.

ნატა შემოკლებული ნატალიაა, და სრულიად ბუნებრივია ქართულისათვის. მიმართვა-დაძახებისას, უფრო მეტად სოფლად, ქართველებს მეტწილად გვეძალება-გვეადვილება „ო"-ზე დამთავრებული სახელები: ლადო, სანდრო, მარო, ზაქრო, სერგო... ამ მიზნით ზოგჯერ, კერძოდ იმერეთში, თანხმოვანზე დამთავრებულ სახელს მიმართვისას „ამრგვალებენ" ხოლმე: მირიანო, ნიკოლოზო, დავითო...

ნატოც ასეთი სახეცვლილებაა ნატასი; და თუ არ ვცდები, წინათ იგი ნათლობის სახელად არც იწერებოდა. ასე რომ, პოპულარობის უკვე ზენიტში მყოფს, უკიდეგანო საბჭოთა ქვეყნის ყველა ერისათვის საყვარელ ნატად ცნობილ ნატა ვაჩნაძეს არ უნდა შეეცვალა იგი ნატო ვაჩნაძეობაზე...

...და რომ სტალინი არა, რასაკვირველია, არც შეიცვლიდა, — ო-ო, აბა, ვის, ვიმეორებ, ვის არ გააბრიყვებდა, ვის არ წასძლევდა სული, რომ ამ უღმერთო ღმერთ-კაცს შენთვის წამიერი ყურადღება დაეთმო, და ეს არ დაგეფასებინა და არ გეგ-

რძნო თავი უ-უბედნიერეს ადამიანად მსოფლიოს ყველა ცოცხალთა შორის!..

(აქვე გზად იმასაც შევნიშნავდი, რომ კარგმა, დიახ, კარგმა პოეტმა ალიო მაშაშვილმა ბევრი რამ წააგო, როცა მაშაშვილს — იმ დროს ერთობ ცნობილ ფსევდონიმს — კუკუ ჰკრა და მკითხველებს უეცრად „ვიღაც" მირცხულავად გამოეცხადა).

ერთმა ჩემმა ახლო ნაცნობმა მითხრა, აი შენ ასე თავგამოდებით რომ ებრძვი საზოგადოებაში, პრესაში, ტელე და რადიოგადაცემებში გამოტანა-ხსენებას შინაურულ, კნინობითმოფერებით-საალერსო სახელების „გამოფენა-გაყიდვას", ოცდაათ-ორმოც-სამოცი წლისან ქეთინო-თამრიკო-მარიკებს, რეზოებს და დათოებს, გიებს და გიგებს, და კიდევ რამდენ ამისთანას, თან სერიოზულ არგუმენტსაც იშველიებ, — ასეთი ფამილარობა, ურთიერთობის გაუბრალოება, დისტანციის მოსპობა უმცროს-უფროსს შორის (ახლა არცთუ ისე იშვიათია, როცა მცირეწლოვანი შვილებიც კი მშობლებს და ბებია-ბაბუებს სახელით მიმართავენ და... ამათი მხრიდან არავითარი უარყოფითი რეაქცია, ვითომც აქ არაფერი!) კიდევ უფრო აქვეითებსო ზრდილობა-აღზრდილობის ჩვენში ისეც უკვე ძალზე ჩამოქვეითებულ, ასე ვთქვათ, რეიტინგს, — შენზეც თქვეს, კიტაც ხომ კნინობითი-მოფერებითი სახელია, და თუ ის კაი კაცია, რატომ თავადაც ნიკიტად არ იწერებაო.

ო, ეს, თქმა არ უნდა, ერთობ მძიმე ბრალდებაა, მით უმეტეს, თუ მართლაც „კაი კაცი ხარ", თანაც იმ კაცის მიმართ, რომელიც ყოველთვის ცდილობდა და ცდილობს, იცხოვროს ისე, როგორც წერს (ეს მისთვის სიძნელეს არ წარმოადგენს), და წეროს ის, რასაც ფიქრობს (ეს უკვე ძნელზე ძნელია, მაგრამ ნაწილობრივ მაინც ამას თითქოს ახერხებს და სულ ლაფში არ ისვრება).

დიახ, პასპორტის მიხედვით მე ნიკიტა გახლავართ, ოღონდ ისეთი ნიკიტა... ერთხელ, ალბათ, სახუმაროდ, თბილისიდან ჩემს სოფელში, ფარცხნალში, სადაც დავიბადე და ზაფხულობით იქ ვიზრდებოდი, წერილი გამომიგზავნეს, მიერთვას ნიკიტა ბუაჩიძეს საკუთარ ხელშიო... ფოსტალიონს კი ბარათი თა-

როზე ამოედო, ნიკიტა ხარაძე — კი, მაგრამ ნიკიტა ბუაჩიძე?.. ასეთი ჩვენთან არავინ არისო.

ჩემს ნიკიტობას მე არასოდეს არ ვმალავდი, და არც მერცხვინებოდა მისი: მწერალთა ცნობარში ნიკიტაც არის ჩაწერილი, რუსულად გამოცემული ყველა ჩემი წიგნის ბოლო გვერდზე სწორედ ასეც ვეცნობი მკითხველს...

(თითქოს სასაცილო დეტალი: როცა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი თავის ვულკანისებრ ენერგიას ეტნასავით თავზე გვაფრქვევდა, ნაცნობი მემანქანე მოსკოვში, ძველი ყაიდის რუსი ინტელიგენტი, ანა ივანოვნა კრავჩუნოვსკაია, ერთხელ შეცდა, ნიკიტა სერგეევიჩობით მომმართა და უმალვე ენაზე იკბინა:

— Ой, простите, простите, Никита Михайлович, ей-Богу, я не хотела оскорбить Вас!

...და ეს იმ წლებში, როცა ნიკიტას პოლიტბიუროს ეპვი არ ეპარებოდა, რომ მის მესაჭეს, სერგეიჩს, ხალხში დიდი ავტორიტეტი შეუქმნა).

მე იმ დროს დავიბადე, როცა საქართველოში კიტა აბაშიძეს ვეებერთელა სახელი ჰქონდა. მამაჩემმა სწორედ მის პატივსაცემად დამარქვა ეს სახელი, მაგრამ რაკი სახელთა საეკლესიო წიგნში იგი არ აღმოჩნდა, და აღმოჩნდა მსგავსი ამისა — ნიკიტა, ეს ჩაიწერა კიდეც მეტრიკაში.

დიახ, „კიტა“ არც კნინობითია და არც მოფერებითი; ნაძალადევად თუ გამოენახება მას ასეთი ფორმა, მაშინ... კიტიკო, კიტუნი, ანდა მსგავსად რუსული ნატაშა-პავლუშასი — კიტუშა...

რას გააწყობ, მეტი გზა არ არის, უნდა შევთანხმდეთ: კიტა ცალკე, დამოუკიდებელი სახელია, და რომ ეს ასეა, ამას ადასტურებენ ჩემი თანამოსახელენი, და რაც მთავარია, ჩემზე ადრე დაბადებულები: დიდებული ქართველი, საუბედუროდ, ნაადრევად დაღუპული ფილოსოფოსი კიტა მეგრელიძე და ასეთივე დიდებული ქართველი, საზღვარგარეთ ფართოდ ცნობილი ლექსიკოგრაფი და სამი შვეიცარიელი ქართველოლოგის აღმზრდელი კიტა ჩხენკელი.

ეჭვი არ მეპარება, რომ ეს „კიტებიც“ კიტა აბაშიძისადმი სიყვარულით გამოეცხადნენ სამზეოს, ოღონდ ეს კი აღარ ვიცი, მათმა მამებმა რა გზებით მოახერხეს შვილები არასაეკლესიო სახელით ჩაეწერათ საეკლესიო წიგნში...

სხვათა შორის, თითქოს უცნაური კია, თვითონ თავადი კიტა აბაშიძის ნათლობის სახელი ივანეა; უნდა ვივარაუდოთ, რომ, ალბათ, არც მას ჩაუწერეს 1870 წელს დაბადების მოწმობაში ის სახელი, რომლითაც შემდეგ ასე ფართოდ გაეცნო მთელ საქართველოს.

ისე კი, ბარემ ამასაც ვიტყოდი, ამ სახელს ჩემთვის სახარბიელო რამ არაფერი მოუტანია, სახარხარო კი — მრავალზე მრავალი: რამდენი შემთხვევა მახსოვს, სულ ბოლო დროისაც კი, როცა გამცნობს ჩემი თავის წარდგენისას უნებლიეთ წამოსცდენია: „იცნობდეთ, დრამატურგი კიტა აბაშიძე“... და ამასაც, ესე იგი გასაცნობელს, ცხადია, ნაკლებად გათვითცნობიერებულს, თუმცა, შეიძლება, უნივერსიტეტდამთავრებულსაც, ისეთი ამბით ჩამოურთმევია ჩემთვის ხელი, თითქოს იგი მთელი თავისი დღე და მოსწრება სულ ამას ნატრობდა, რომ ეს ღირსსაცნობი დრამატურგი კიტა აბაშიძე როგორმე ეხილა:

— გიცნობთ, ბატონო!.. სახელით, ალა, არ გიცნობთ?! არ შენახეთ, თვარა... კიტა აბაშიძეს?! თქვენ ვინ არ გიცნობთ!..

აი, ასე „იწიხლება“ ხოლმე პატარა კაცი, მისი „მონათესავე“ დიდი ადამიანის აჩრდილითაც კი...

ისე, ვისაც იუმორის გრძნობა მოეპოვება, ასეთი „დაწიხლვა“ მასში მხოლოდ თავშესაქცევ ღიმილს თუ გამოიწვევს: დრამატურგს, საერთოდ, შექსპირის გარდა, არა მგონია, იცნობდეს ვინმე...

ოღონდ... ღირდა კი ამდენი მიდებ-მოდება ჩემს „მოფერებით“ სახელზე, ანდა, საერთოდ, სახელებზე? მაინც ვფიქრობ, რომ ღირდა, აკი ჩვენ ისე უზომოდ „გაენათლდით და გაკულტურესნდით“, რომ ახლა ჩვენს ყურებს უფრო ჯემსი და პეპსი ელამუნება, ვიდრე...

ზოგიერთი მატრაკვეცა ამჟამად აღარც ქეთევანობას კადრულობს, მაგრამ ამაზე უფრო დასანანი ის არის, რომ თუ ეს მატრაკვეცა საზოგადოებაში ცოტათი მაინც რაიმეთი გამოირჩევა, წამხედურა მიმდევრები მას ლეგიონიც კი გამოუჩნდება ხოლმე...

დიახ, გარდა ქეთევანისა, სხვა დიდებული, გაუხუნარი სახელებიც იდევნება არა მარტო ქეთებით, მარიკებით, გიებით, დათოებით...

კი, მაგრამ... ნუთუ ჩვენს დროში ჩვენთვის ისე ხელწამოსაკრავნი, დასავიწყებელ-შემარცხვენელნი გახდნენ ქეთევან წამებული, წმიდა მარიამ, დავით აღმაშენებელი, წმიდა გიორგი?!

ზოგს, ალბათ, ღრმად სჯერა და ეჭვიც არ ეპარება მასში, თუ იგი, მაგალითად, ქეთევანის ნაცვლად ქეთის მიიტყუებს, ან მარიამი — მარიკას, ანდა უკვე ასაკოვანი დავითი დათოს არ მოეშვება, ან კიდევ სამოც წელს მიტანებული გიორგი — გოგის, რევაზი — რეზოს, გრიგოლი — გიგას, ბაკაი — კაკოს, იოსები — სოსოს, ზურაბი — ზურას, თენგიზი — გიზოს, ამით იგი ხალხის თვალში უფრო ლამაზიც გამოჩნდება, უფრო ნიჭიერიც და, რაც მთავარია, ორჯერ და სამჯერაც უფრო ახალგაზრდად მოგვეჩვენება...

ასეთი „მეტამორფოზი“.... ეჰ, ჩავიქნიოთ ხელი და ვთქვათ, არტისტს, კიდევ ჰო, ასე თუ ისე მიეტევება, მაგრამ იგი სულაც არ შეშვენის არამსახიობთ, — მეცნიერს („ვანიჩქა ჯავახიშვილი“, „სიმონიკა ჯანაშია“), მწერალს („კოწო გამსახურდია“, „გიგა რობაქიძე“)...

ო, სხვა პროფესიების ჩამოთვლით თავი რომ არ მოგაბეზრო, მკითხველო, თუ არ შემომწყრები და კითხვას თავს არ დაანებებ, ერთ „ისტორიულ უკანსელს“ კვლავ შემოგთავაზებ: ხანმოთეულისა და ხანმოუთეველის მცირე დიალოგს დიდი ხნის წინათ დაწერილი და დადგმული პიესიდან:

ბაჭულა: ბატონო ლეონიდე, აი. როგორც იქნა, დამიბეჭდეს ეპიგრამები!

კამარელი: მართლა? მომილოცავს, დიდად გამახარე... აბა! (კითხულობს):

წიგნების გროვას ისე უმზერდა,
თითქოს მგლებია შიგ გარეული, —

სამეცნიეროდ ემზადებოდა
კაცი ფეხბურთზე გადარეული...

უცნაური ჟურნალია, სახატავი რვეულის ოდენაა, სიმარ-თლე კი, რაკი სატირულია, ხანდახან მაინც გაეპარებათ ხო-ლმე...

გაცვია ფრენჩი და გაცვია კიტელი, —
მაინც ხარ ლენჩი და მაინც ხარ ტიტველი...

„ბაჭულა მაჭარაძე"... მმ...–ეს მითხარი... შენ ილიკო ჭავჭა-ვაძე გაგიგონია?

ბ ა ჭ უ ლ ა: ილიკო?! ჭავჭავაძე? არა.

კ ა მ ა რ ე ლ ი: ილია ჭავჭავაძე?... ო-ო, გატყობ, ჩემი შე-კითხვა ლამის შეურაცხყოფად მიიღო, მაგრამ ეს ორივე ერთი და იგივე პირია, სამოცდაათი წელიწადი ილიას თავისიანები, მარტო ძალზე ახლობლები, ილიკოს ეძახდნენ, მაგრამ იგი, როგორც ეს ჭკვიანსა და დაკვირვებულ პიროვნებას შეჰფერის, საზოგადოებას, როგორც პოეტი, ოცი წლის ჭაბუკიც კი, ილი-ად წარუდგა. ამით მას, სხვათა შორის, ნალხის სიყვარული ერ-თი ბეწოც არ დაჰკლებია... შენ კი, ბაკურის ნაცვლად, ბაჭულა მიგიწერია. დიდი უტაქტობაა, როცა ბეჭდვითი სიტყვის საშუ-ალებით მკითხველს ეცნობი იმ შინაურული, საალერსო, კნი-ნობითი სახელით, რომლითაც დედა აკვანში მოგმართავდა, ახ-ლა კი ცოლი ლოგინში გეძახის, თუმცა... აბა მაგალითი ვისგან უნდა აიღო, როცა ჩვენი პრესა, ეკრანები, აფიშები აჭრელე-ბულია რეზოებით, გოგიებით, სოფიკოებით...

ბ ა ჭ უ ლ ა: რა მექნა, ასე მიცნობენ და...

კ ა მ ა რ ე ლ ი: ასე გიცნობდნენ მთაწმინდაზე, როცა კოჭო-ბანას თამაშობდი. ამიერიდან სტრიქონს არ წაიკითხავ შენსას, თუ კიდევ...

...დიახ, გვარი და სახელი თავისთავად ვერა და ვერ აგამაღ-ლებს, ვერ გაგამშვენიერებს, ისინი თვითონ უნდა აამაღლო და გაამშვენიერო შენი კეთილი საქმეებით, შენი საერო ღვაწლით და რუდუნებით...

იყო დრო, ჩიბურდანიძე საქართველოში ერთობ საოხუნჯო გვარად ითვლებოდა, ახლა კი, როცა ეს გვარი შემოგესმება, მისდამი პატივისცემით იმსჭვალები...

ვისაც აკადემიკოსი დოლიძე ახალგაზრდობიდან ახსოვს, დამიდასტურებს, რომ მის მეფურ სილამაზეს სულ ოდნავაც ვერ ჩრდილავდა დღეს ასე სოფლურად მიჩნეული, გლეხუჭუური სახელი: ისიდორე...

სხვათა შორის, რეზიკო-თამრიკოებს და მრავალ მათ დაიკო-ძამიკოებს, ამ „გადასრულწლოვანებულ ალუებს", ავისა და კარგის გამრჩევო მკითხველო, ამჟამად ხელმეორედ ვახედებ საზოგადოებრივ სარკეში, მაგრამ, გულწრფელად გამოგიტყდებით, არა მგონია, ამან რაიმე შედეგი გამოიღოს, დადებითი, ცხადია.

აი, ჩვენ რომ დანია ვიყოთ, და რომ გვქონდეს დანიელების... ეე... მმ...

ერთხელ კოპენჰაგენში, მისმა მერმა თვალი შეასწრო, ზოგიერთი მოქალაქე, გზის შემოკლების მიზნით, ერთ მონიშნულ ადგილას, გაზონზე გადადიოდა... მეორეჯერაც შენიშნა... კვლავაც შენიშნა და... მაშინ ქალაქის მამამ იმ ალაგას საშუალო კაცის სიმაღლის სვეტი ამართა ასეთი წარწერით: „ბილიკი ვირებისათვის".

ჰოდა იმ დღიდან იმ ბილიკზე არც ერთ „ვირს" აღარ გაუვლია და არც ერთ „ვირს" სურვილი არ აღძვრია, რომ ის წარწერა ჩამოეგლიჯა და... ბილიკი ისევ მწვანე ბალახით შეიმოსა.

სამწუხაროდ, მტკიცედ არ ვიცი, სად არის დანია, გამიგონია კი, მგონი ევროპაში უნდა იყოს...

ვფიქრობ, შეამჩნევდით, აქამდე, სახელებთან დაკავშირებით, რადიო-ტელევიზიასთან ერთად პრესასაც ვკიცხავდი, ცხადია, ქართულ პრესას, რომელიც არათუ რევოლუციამდელი,— ომამდელი ჩვენი პრესისგანაც განსხვავებით, ამის მერე ჩვენი საერთო, ყოფითი კულტურის, ალბათ, უსაშველოდ „ამაღლების" გამო, თავის ფურცლებზე უხვად მასპინძლობს და ხელს უწყობს ათობით ქეთი-გიების შინაურულ კოპწიაობას...

ჰოდა, ვიფიქრებდი განა, რომ საქართველოს პირველი რუსული გაზეთიც, რომლის მუშაკები, რაც, ბუნებრივია, რუსული კულტურის სულით უფრო იქნებოდნენ გამსჭვალულნი,

ეიდრე ქართულით, — და მაინც, ამ სიგლახეს ქართულ გაზეთებს დაესესხებოდნენ?!

რუსუდან ფეტვიაშვილის სახელ-გვარი ახლა, აბა ვის არ გაუგონია, და იგი ჯერ თუმცა მხოლოდ 14 წლისაა, საზოგადოებას მაინც არ ევლინება, „მე პატალა ლუსიკო ვალო“, მაგრამ „Заря Востока“ მას მაინც დაჟინებით „რუსიკოდ“ წარმოგვიღგენს.

მაგრამ ეს არაფერი! უფრო „არაფერი“ ის არის, რომ ამავე გაზეთში შეგეძლოთ ამოგეკითხათ: „Заслуженный артист Авто Махарадзе“, „Режиссер Авто Варсимашвили..“

Авто, Авто...

ჯერ ქართულადაც კი უცნობილესი და უსაყვარლესი, შოთასეული ავთანდილის შეჭრა-შემოკლება, მე თუ მკითხავთ, საერთოდ, დიდი სირცხვილია, რუსულად ხომ კიდევ უფრო მეტი სირცხვილია, ავთანდილს „ავტომაშინასთან“ რომ აკავშირებენ...

ბევრი არაფერი დაუშავდებათ ჩვენი პრესის მუშაკებს, როგორც ქართულისას, ისე რუსულისასაც, 1980 წელს მოსკოვში გამოცემული ნ. ა. პეტროვსკის ჩინებული წიგნიდან ამოღებულ ამ ციტატას თუ დაიხსომებენ და იხელმძღვანელებენ კიდეც:

> «Уменьшительно-ласкательная форма в отличие от полного имени, носящего официальный характер, служит для называния человека в быту, в кругу семьи, в кругу друзей, товарищей.»
>
> („კნინობითი-მოფერებითი სახელობითი ფორმა სრული სახელისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი ოფიციალურ ხასიათს ატარებს, და მას მიმართავენ შინაურობაში, ოჯახში, მეგობრებისა და ამხანაგების წრეში“).

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: ჩემი ვარაუდი, სამწუხაროდ, გამართლდა: ამ „შეგონების“ გამოქვეყნების დღიდან საკმაოდ ბევრი დრო გავიდა, მაგრამ ამ ხნის მანძილზე არც ერთი ქართველი დედიკოს არც ერთმა ქართველმა შვილიკომ დანიელებისგან მაგალითი არ აიღო, ალბათ, ვაითუ ჩემს დიდ ჭკუასა და ჩემს გონივრულ არჩევანში ეჭვი შეიტანონო და... არა და არა, ვირიდან არ ჩამოხტა და ბედაურზე არ ამხედრდა... ასე რომ,

უნდა ვიმედოვნოთ, ამ მხრივ საქართველო მალე, შეიძლება, სულ ერთიანად გადაიქცეს სრულწლოვანთა საბავშვო ბაღად...

ერთ გაზეთში რომელიღაც სტატიის ავტორის გვარ-სახელი ამოვიკითხე: „ფილოსოფოსი გია კოდია". ჰოდა, თუკი ფილოსოფოსიც (!) ვერ ელევა „ბიჭო, ვისი ხარ, მალხაზის", სხვა არაფილოსოფოს „მალხაზებს" რაღა მოეთხოვება?!

ჩემს წერილს მართლაც მეცნიერი და მართლაც ცნობილი ლექსიკოგრაფი მიხეილ ჭაბაშვილი უმალ გამოეხმაურა:

„...მომიტევონ ჩვენმა ცნობილმა მწერლებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა, მეცნიერებმა, მაგრამ, როდესაც მათი სახელები შემხვდება ასე შემოკლებულად — ვანო, რეზო, გოგი, გია, გიგა, დათო, სოსო, ლადო, ქეთი, მარიკა, სოფიკო... — ყოველთვის მებადება კითხვა: რა უშლის ხელს, რომ გვარის წინ მათ მაგივრად ეწეროს: ივანე, რევაზ, გიორგი... ქეთევან და ა. შ.

უცნაურად არ მოგვეჩვენება, რომ ვინმემ ეკატერინე გაბაშვილი კატოდ მოიხსენიოს ან ივანე ჯავახიშვილი — ვანოდ, ხოლო ზაქარია ფალიაშვილი — შაქროდ? არადა, შინაურები ალბათ ასეც ეძახდნენ მათ". (გაზეთი „ახალი საქართველო", 23.11.90).

არა მგონია, ეს ანდა ამის მსგავსი სტრიქონები სადმე ან როდისმე წაეკითხათ, მაგრამ მაინც, როგორც ჩანს, ეს მშვენივრად იციან რუსუდან ფეტვიაშვილის მშობლებმა...

ო-ო, მათ განა მარტო ეს იციან!

მანანა და ვახტანგ ფეტვიაშვილების მსგავსთა საქართველოსათვის მოსავლენად მზად ვარ დღე და ღამე ორივე მუხლზე დაჩოქილმა შეუსვენებლივ ვილოცო, და თუ ისინი მრავლად მოგვეევლინებოდნენ, მაშინ ქართველების ბედს, მათივე სამშობლოში, ერთი გადამთიელიც ვეღარ დაჰყეფდა...

...რუსუდანი მათი პირველი შვილია, და თუმცა უკვე ორი წლისას გამოაჩნდა მას ხატვის ნიჭი, მშობლებმა, ასიათასობით სხვა უგუნური ქართველსავით როდი გადაწყვიტეს, მორჩა, გათავდა, ეს ერთიც გვეყოფა, თავისი ნიჭიერებით იგი ათ ბავშვსაც კი აიწონის და ახლა ავდგეთ და მარტო მისი ნიჭის გაფურჩქვნაზე ვიზრუნოთო...

არა!

პატარა რუსიკოს სამი და-ძმა კიდევ შემატეს და... სულ აგერ ახლა, ორიოდე წლის წინათ, მეხუთეთითაც გააბედნიერეს შვილები, საკუთარი თავიც და საქართველოც, თუმცა დედას თამამად შეეძლო „ხანდაზმულობა“ მოემიზეზებინა (სულ უფროსს და სულ უმცროსს ერთმანეთისაგან 12 წელიწადი აშორებს).

დიახ, მანანა აბრამიშვილი — აი, ვინ არის ჩვენი დროის ნამდვილი ქართველი მანდილოსანი,

და ვახტანგ ფეტვიაშვილი — აი ვინ არის ჩვენი დროის ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი!

კიტა ბუაჩიძე
1982 წელი

პ ო ს ტ ს კ რ ი პ ტ უ მ ი: მაშინაც, კი, როცა ეკლესიები ლამის ბოსლებად აქციეს და ანაფორიანი მღვდელი ქართულ მიწაზე ისეთივე იშვიათი სანახავი იყო, ვითარცა ქართულ ცაზე მფრინავი თეფშები, ბევრი ქართველი თავის ბავშვს ნათლავდა მაინც, მალულად ნათლავდა...

საბედნიეროდ უკვე დრო დაგვიდგა ისეთი, როცა ტელეეკრანზე მღვდელმსახურთ უფრო ხშირად ვხედავთ, ვიდრე რაიკომის მდივნებს...

ასე რომ, აწი შიშის გარეშე, საზეიმოდ მოვინათლებით ხოლმე, ოღონდ ამ ნათლობას წინანდელივით არაფრის მთქმელი ფორმალობის ელფერი არ უნდა დაჰკრავდეს: უპირველეს ყოვლისა, ნათლობის სახელს იურიდიული ძალა უნდა მიენიჭოს.

რასაკვირველია, საეკლესიო კალენდარი — სახელების დავთარი ახალი, კოხტა, გონმოსაწონი ქართული სახელებით უნდა შეივსოს და გამდიდრდეს.

1990 წელი

* *

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი დანართი (1990 წლის დეკემბერი): ვფიქრობ, მკითხველისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს. იმის გაგება, რომ წიგნის ეს ნაწილი, რომელიც გაზეთ „კომუ-

ნისტში" დაიბეჭდა (4.11.90.), არ არის სრული: მას დაბოლოება აკლია, ურომლისობაც, ავტორის მტკიცე აზრით, წერილს ახეიბრებს...

როცა ტელეფონით შეხმიანებისას („თქვენი „ქეთი" დიდად მომეწონა") შეიტყო ჩემი ეს გულისწუხილი „ლიტერატურული საქართველოს", ასე ვთქვათ, მეორე რანგის ხელმძღვანელმა, — გამოგვიგზავნეთ, ჩვენ დავბეჭდავთო... და მეც არ დავაყოვნე და უმალვე ვაფრინე ელიზბარ ჯაველიძის სახელზე

ბატონო რედაქტორო!

მიხეილ ჭაბაშვილის განმარტებით, კინოლოგია არის მეცნიერება ძაღლების შესახებ, კინოლოგი კი მეძაღლე—მეცნიერია...

სამწუხაროდ, ამჟამად თბილისში ამ დარგში ჩვენ არც ერთი მეცნიერი არ მოგვეპოვება (ჩემი ყმაწვილობის დროს კი იყო — პაჭუ ჟორდანია, რომელიც, მახსოვს, პაოლო იაშვილსა და მის სეტერს ემეგობრებოდა).

სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ვერა და ვერ დავადგინე, რა მეცნიერული მიზნით აჭრიან ხოლმე ზოგიერთი ჯიშის ძაღლს კუდს; კუდი ხომ ძაღლისათვის ასე დიდად საჭირო ორგანოა; კუდით აბეზარა ბუზებსაც იგერიებს და მისი ქიცინით რას არ გამოხატავს: პატრონისადმი თავდადება-ერთგულებას, სიყვარულს, ლხენას, ალერსს...

აი გუშინ, 4 ნოემბერს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა ერთი თავი გამოსაცემად გამზადებული, „სპონსორმაძიებელი" ჩემი „შავზე შავი წიგნიდან": „ქეთი, თემურ-ლენგი, კოსმოსა და სხვები"...

ჰოდა, მერწმუნეთ, კუდი რომ მქონოდა, წინადღით რედაქციაში, ზღვარს გადასული სიხარულით და პირთამდე სავსე მადლიერების გრძნობით მეც უეჭველად გავაქიცინებდი, როგორც უბედნიერესი ავტორი: აკი ეს იყო ჩემს უხანგრძლივეს, თუმცა დროდადრო წყვეტილ, ლიტერატურულ ცხოვრებაში პირველი შემთხვევა, როცა (გთხოვთ გამოიჩინოთ სულგრძელობა

და, როგორც რედაქტორი, ამისთვის ნუ გამინაწყენდებით და ნურც ამ სტრიქონს ამოშლით)... როცა ჩემს ნაწერს რედაქტორის, როგორც წესი, ქავილს მიჩვეული მარჯვენა ხელი (ცხადია, თუ ცაცია არ არის!) ამჯერად ჩემს წერილს სულაც არ შეხებია, და როცა საღამოს რვა საათზე კორექტურის გასწორების მერმე სტამბიდან შინ დავბრუნდი, ჩემს თვალს საოცარი კმაყოფილებისა და აღმაფრენის ცრემლი მხოლოდ განთიადისას შეაშრა.

...და როცა დილის რვა საათზე მე-9 საავადმყოფოს გაქუცულ ბაღში მდებარე ჟურნალ-გაზეთების კიოსკში თავმომწონედ მთელი ბღუჯა, სამ-სამ კაპიკიანი „კომუნისტი" შაურ-შაურად შევიძინე...

ო-ო, ცრემლის ნიაღვარი ახლა იკითხე, თურმე, ბედკრულო ავტორო: ღამის, ალბათ, პირველ-ორ-სამ საათზე, როდესაც რედაქტორის (ან მისი მოადგილის) გონება უფრო ფხიზლობს, ჩემი „ქეთ-თემურ-კოსმოსას" არცთუ ისე გრძელი (ორგვერდიანი!) „კუდი" სულ ერთიანად შეეჭრათ და ამოეგდოთ.

ასეთ შემთხვევაში დალოცვილებს ბარემ „თავიც" წაეჭრათ, აკი წერილის დასაწყისი — „სომხებს საკუთრივ სომხური სახელი უამრავი აქვთ, და ეს არა მარტო ჩვენთან შედარებით"... — უშუალოდ კავშირშია დასასრულთან.

აი, ეს შერისხული დასასრულიც (თუ თქვენც კრამოლად არ მიიჩნევთ, იმედი მაქვს, დაბეჭდვაზე უარს არ მეტყვით):

ალბათ შენიშნავდით, ჩემი ნაწერის ამ მონაკვეთში შავ ქვებსა და თეთრ კენჭებს ხან აქეთ ვისვრი, ხან იქით, ზოგჯერ პირდაპირი მისამართით, ზოგჯერ თითქოს უმისამართოდ, და თუ ეს ცოდვად ჩამეთვლება, რაკი დავაშავე, ბარემ მას ერთ ცოდვას კიდევ მივუმატებ და სახელებზე სჯა-ბაასს იმით დავამთავრებ, რითიც დავიწყე: სომხებს საკუთარი სომხური სახელები უამრავი აქვთ-მეთქი; ასე განსაჯეთ, მათი ეს სიმდიდრე ოთხ ტომსაც კი შეადგენს...

ჰოდა, სომხები რუსთაველის სომხობას სულ იოლად ამტკიცებენ: შოთა ოდნავ შებრუნებული აშოტიაო.

ამას, რასაკვირველია, ბევრი კრიჭინი არც უნდა, ეს ისეთივე „მეცნიერული" საბუთია, როგორიც არის მათივე ანეგ-

დოტური მტკიცება, ღვთაებრივი ჯუზეპე ვერდი-ს სომხობისა, რომლის ნამდვილი გვარი თურმე, ნუ იტყვით, ალახ-ვერდი-ანი ყოფილა.

ჩემი ბევრის მომთმენი მკითხველი ახლა მაინც, ოდნავ მაინც რომ შევასვენო, გასართობად, მხოლოდ, მხოლოდ გასართობად მინდა მათებური, სომხური ჭეშმარიტების დასადგენად მათივე ამ მეთოდით ვისარგებლო და მათ, სომხებს, ერთი დიდი კაცი „წავართვა"...

ეს გახლავთ ლორის-მელიქოვი, გრაფი, მეფის რუსეთის გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც თითქმის ზუსტად ასი წლის წინათ, სხვადასხვა გუბერნიაში გენერალ-გუბერნატორობიდან ვეებერთელა იმპერიის შინაგან საქმეთა მინისტრობამდე ამაღლდა, ერთხანს კი, მართალია, არცთუ დიდი დროის მანძილზე, მთელი რუსეთის დიქტატორი — სომეხი კი არა... ქართველი იყო.

დიახ, ქართველი!

საბუთი? ინებეთ: მელიქი არც სომხური სიტყვაა და არც ქართული, არაბულია და ნიშნავს გამგებელს, მმართველს სოფლისას, ქალაქისას, პროვინციისას... ლორე ერთ დროს სწორედ ქართულ პროვინციად ითვლებოდა... ლორის, ლორესი —ნათესაობითი ბრუნვაა ქართულში; მაშასადამე, ლორის მელიქი — ლორის გამგებელი.

მაგრამ ეს კიდევ არ არის მთავარი; მთავარი ის გახლავთ, რომ 1825 წელს დაბადებულ ამ ლორის-მელიქოვს სახელად მიხეილი შეარქვეს, — არათუ მაშინ, ეს სახელი ახლაც კი იშვიათია სომხებში, თუმცა ბოლო დროს მათთან, ჩვენი არ იყოს, ერთობ მოძალდა არტურები, ალბერტები, რობერტები, ედუარდები, — მიხეილს კი იშვიათად სადმე თუ წააწყდებით, ჩვენში კი მიხეილი ისეთივე ჩვეულებრივი, ფართოდ გავრცელებული სახელია, როგორც მათთან, ვთქვათ, არშაკი ან ტიგრანი.

ჰო, მაგრამ, სიცილის მოყვარულო ჩემო მკითხველო, არც ეს არის სულ მთავარი: მთავარზე მთავარი ის არის, რომ... ამ მიხეილის მამას ერქვა... ტარიელი!

ეს ტარიელი კი დაიბადებოდა, სულ ცოტა მე-18 საუკუნის მიწურულს...

მერე? სომეხი და ტარიელი?! თანაც რა დროს? როცა სო-

მეხი თვალისჩინივით უფრთხილდებოდა თავის გრიგორიანულ სარწმუნოებას და თავის გრიგორიანულ, ასარჩეიდან ასობით ასარჩევ სომხურ სახელებს!

— დიახ, Граф არა Трдат Смбытович Лорис-Меликов, არამედ... Михаил Тариелович Лорис-Меликов!

სავარაუდებელია, რომ მიხეილის მამის, რუსის ყურისათვის უჩვეულო სახელის წარმოთქმისას პეტერბურგის ჩინოვნიკები, მეფეების ალექსანდრე მეორისა და ალექსანდრე მესამის ჩათვლით, ენას ისე იმტვრევდნენ, როგორც დღევანდელი მოსკოველები მათთვის საყოველთაოდ სათაყვანებელი ანდრონიკოვის... Ираклий Лаур... Лоар... Лулу... Лу-ар-са-бович...

როგორც ხედავთ, ერთი კი არა, ბარემ ხუთი საბუთიც კი გამოვქექე მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვ-მელიქიშვილის ქართველობის დასამტკიცებლად, და მაინც, არ ვთვლი მას ქართველად, რაკი თავი თვითონ მას სომხად მიაჩნდა.

ვფიქრობ, არ იქნებოდა ცუდი, სომხებსაც ყველა სხვა „სომხის“ მიმართაც ანალოგიური დასკვნა გამოქონდეთ, მაგრამ, ვეჭვობ, რომ ეს შეძლონ; საერთოდ, ეროვნულ ბღინძვას, ქართველი იქნება ის, ჩუქჩი თუ სომეხი, — „ჩვენ ვართ, რაც ვართ!“ — ვერც წამალი კურნავს და ვერც გონიერული რჩევა-დარიგება....

ჩემდა სავალალოდ, მწერლების გაზეთის ამ ბატონო რედაქტორმა, ჩემთვის პირადად უცნობმა, მაგრამ წიგნებისა და ტელევიზორის შუამავლობით ახლო ნაცნობმა, არ მიიჩნია საჭიროდ თ ა ვ ი ს ი გაზეთის ფურცლებზე გამოენახა მცირეოდენი ადგილი იმ დროს უკვე აგონიაში მყოფისაც კი, „კომუნისტის“ მიერ ამ ძირში მიჭრილი „კუდისათვის“, თუმცა იგივე რედაქტორი დროდადრო და გეგმაზომიერად, ზოგჯერ ნომრიდან ნომერში („გაგრძელება იქნება“) მთელ გვერდებს უძღვნის ხოლმე იმის მტკიცებას, რომ...

მაგალითისთვის მოვიყვან მარტო ერთ ბოლოდროინდელ თავდასხმა-შესევას აწ განსვენებულ მერაბ მამარდაშვილზე, როგორც ეს ჩვენ, — მეპატიოს „მეიდანზე“ ნასესხები სიტყვის

ხმარება. — „ყურბანა“ ინტელიგენციამ მხოლოდ სიკვდილის შემდეგ შევიტყვეთ, ამ მსოფლიო მასშტაბის პიროვნებაზე, თანამედროვეობის უგანათლებულესი რუსი მეცნიერების მიერაც კი აღიარებულ „ერთადერთ ნამდვილ, ცოცხალ ფილოსოფოსზე საბჭოთა კავშირში“ იმის გამო, რომ იგი მოსკოვში ცხოვრობდა და რუსულად აზროვნებდა და რუსულად წერდა, ამიტომაც ის თურმე... მონათხრობს, უფრო სარწმუნო რომ იყოს, ვფიქრობ, დედანში წაკითხვა აჯობებს („ლიტერატურული საქართველო“, 26.10.90):

„ისევ და ისევ იმიტომ, რომ მამარდაშვილი არაა ქართველი.

მას ქართული სატკივარი არა სტკივა, ან გულში სიცარიელე აქვს.

ქართველობას ვინა ჩივის, მგონი აქვე ფილოსოფოსობაშიც შეირცხვინა თავი:

„ჩვენ ძლიერი, უკვე აშენებული დემოკრატიით შეგვიძლია გავეყაროთ ასევე ძლიერ და დემოკრატიულ რუსეთს“-ო— ბრძანებს ჩვენთან საგასტროლოდ სიბერეში ჩამობრძანებული რუსულ-საბჭოურ-სოციალისტურ ჟურნალებში ნარედაქტორალი მამარდაშვილი“.

დაე მკითხველმა თავად განსაჯოს თუნდაც ამ ერთი ციტატის მიხედვით პოლემიკური მსჯელობისა და თავაზიანობის დონე, და ისიც, იყო თუ არა მერაბ მამარდაშვილი ქართველი, და რამდენად შემარცხვენელია „ფილოსოფოსობაში“ წინასწარმეტყველება იმისა, რომ დემოკრატიული საქართველო თავს გამოიხსნის იმპერიალისტური რუსეთისაგან მაშინ, როცა თვითონ იგი გახდება დემოკრატიული...

მე კი მოხარული ვარ იმით, რომ, არაფილოსოფოსმა, ანალოგიური აზრი გამოვთქვი ამ „თავშერცხვენილი“ ფილოსოფოსის დამოუკიდებლად: განთავისუფლდება რუსეთი,—განვთავისუფლდებით ჩვენც-მეთქი.

ჩვენთან საგასტროლოდ სიბერეში ჩამობრძანდაო...

ო-ო, ეს „არაქართველი“, მამარდოვ-მამარდიან-მამარდ-ზადე, საქართველოს დაუბრუნდა ფიზიკურად და გონებრივად სულაც არაბერიკაცი, რადგან... „მთელი ჩემი სულით და სხეულით მე ქართველი ვარ“-ო, ხოლო რაც შეეხება „რუსულ-საბჭოურ-სო-

ციალისტურ ჟურნალებს", აი რას ამბობდა მათი „ნარედოქ-ტორალი" სიკვდილამდე ცოტა ადრე, 1990 წლის აგვისტოში:

„ტყუილი რუსეთის იმპერიის ელემენტი იყო და ეს ტრა-დიცია გაგრძელდა საბჭოთა ხელისუფლების დროს. ეს ჩვენ-თვის არაისტორიული და არატრადიციული, უნდა მოვიშო-როთ და დავუბრუნდეთ ტრადიციულს".

„...გვეუბნებიან ტყუილს და თვალსაც არ ახამხამებენ, გარ-თმევენ, გახრჩობენ, გთრგუნავენ და შენ თქმაც არ შეგიძლია, რადგანაც ბუნებრივი ენაც ოფიციალური და რიტუალურია".

„...გვაქვს სახელმწიფო, რომელიც სახელმწიფო არ არის. გვაქვს უცნაური საზოგადოება, რომელიც საზოგადოება არ არის და უცნაური ხელისუფლება, რომელიც ხელისუფლება არ არის... ხელისუფლება საბჭოეთში არის ამორფული. მართავს იმით, რომ ჩვენ ვმართავთ ერთმანეთს მის სასარგებლოდ. ჩვენ ადამიანურად „ეუგებთ" ერთმანეთს და ვაკეთებთ იმას, რაც სურს საბჭოთა ხელისუფლებას და ვიღებთ საბჭოთა იდეო-ტიზმს ეკონომიკაში, ხელოვნებაში, სამოქალაქო ცხოვრებაში".

„იმისათვის, რომ დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, უნდა მო-ვიცილოთ ეს ამორფული ხელისუფლება, რომელიც თავს მოგ-ვახვიეს, და დავუბრუნდეთ ისეთ ცხოვრებას, სადაც პურს პუ-რი ჰქვია, ჯარისკაცს ჯარისკაცი და არა მეომარ-ინტერნაციო-ნალისტი. ესე იგი დავუბრუნდეთ რეალობას და ამ რეალობა-ში ნაკლები სისხლი დაიღვრება იმიტომ, რომ ლანდები გაცი-ლებით მეტ სისხლს მოითხოვენ, ვიდრე ბოროტი სახელმწიფო ან ხელისუფლება. ეს ძნელი ამოცანაა. ან ამას შევძლებთ ქარ-თველები ან — არა ვართ ღირსნი ისტორიული ცხოვრებისა".

(სხვათა შორის, როცა „ლიტერატურულმა საქართველომ" პირველ წერილში, კრივის ტერმინს თუ ვიხმართ, ნოკდაუნიო ძირს დაანარცხა, მე აღარ დაველოდე „გაგრძელება იქნებას"— მეორე წერილ-ნოკაუტს და გავუგზავნე ჩემი „ასტაფიევი": „მოკრძალებით და რიდით პირწმინდა ქართველს—ბატონ მე-რაბ მამარდაშვილს".

და სულ მალე, მიღებისთანვე, ტელეფონში ჯერ არასოდეს გაგონილი და სრულიად უაქცენტო ქართული მომესმა: „დიდი, დიდი მადლობა გამხნევებისათვის"...).

მერაბ მამარდაშვილი ინფარქტმა მოცელა... ინფარქტი ადამიანს შეუმზადებლად არ ემართება: სულიერი აფორიაქების ნიადაგზე ნაჭდევს ნაჭდევი ემატება ხოლმე და... სულ ცოტა, ერთი ნაჭდევი მაინც, ჩვენც აღვბეჭდეთ იმ გამთათხავი, ორსეოიანი წერილებით ქართველობისათვის თურმე ასე საამაყებელ, დიდი ფილოსოფოსის მგრძნობიარე გულზე...

ო მოგვიტევე და შეგვინდე ჩვენ, თითქოს დიდად განათლებულ პროვინციელ ბრიყვებს, ბატონო მერაბ!..

...და მაინც, ყოველივე ეს რა ბრალისათვის? თუ ეს, „ლიტერატურული საქართველოს“ კვალიფიკაციით მართლაც დანაშაულია, მაშინ არც პეტრე იბერი უნდა მივიჩნიოთ ქართველად, არც ანთიმოზ ივერიელი, არც პეტრე ბაგრატიონი, არც ივანე რამაზის ძე თარხანოვი, არც ალექსანდრე ივანეს ძე სუმბათოვ-იუჟინი, არც ირაკლი ლუარსაბის ძე ანდრონიკოვი, არც გიორგი მელიტონის ძე ბალანჩივაძე — ჯორჯ ბალანჩინი... და არც მაყვალა ქასრაშვილი და ზურაბ სოტკილავა უნდა ცხოვრობდნენ მოსკოვში და მღეროდნენ დიდ თეატრში, და არც პაატა ბურჭულაძე დაწოწავდეს ევროპიდან ამერიკაში და ამერიკიდან ევროპაში, მილან-ლონდონ-ვენა-ნიუ-იორკში: სამივენი, თუ ნაღდი ქართველები არიან, უნდა ეგდონ თბილისში და უგალობდნენ ცარიელ სკამ-სავარძლებს ჩვენს სახელგანთქმულ, საქართველოს გარეთ მართლაც სახელგანთქმულ საოპერო თეატრში (წელს გერმანიაში საგასტროლოდ გამგზავრების წინ თბილისში გაცნობის მიზნით ჩამოსული დუისბურგელი მუსიკის პროფესორი გაცეცდა, როცა, მისი აზრით, დიდებულ „აბესალომ და ეთერზე“ დარბაზში ექვსად ექვსი მაყურებელი დათვალა, აქა-იქ ყვავებივით რომ ჩამომსხდარიყვნენ... ასევე, არა მგონია შეეცდე ვარაუდში, თუნდაც ჩვენს პატივსაცემ ქართველ თურქოლოგ რედაქტორსაც ანდა მის ნაფიც ავტორს, ყოველივე ქართულისთვის დამწვართ, ქუდიც რომ შეეუგდოთ... თუმცა რას შეუგდებ, — „ახალი თაობა“ ქუდს აღარ იხურავს!).

...ამ „ანტირუსული თეორიით“ ისე გამოდის, ჩვენ რუსეთში, კერძოდ მოსკოვში, მამარდაშვილ-სოტკილავა-ქასრაშვილ-ვირსალაძე-ანანიაშვილებით, და თუ გნებავთ, შევარდნაძეებით

კი არ უნდა გვიცნობდნენ, — ქართველ ხალხს უნდა ზომავდნენ მაღაზია-ბაზრებში მოთარეშე, ერის თავისმომჭრელი ვაჭრუკან-სპეკულანტებით და სინდისსა და სირცხვილზე ხელაღებულ რეკეტირ-ბანდიტ-ბინის ქურდებით, რიცხობრივად ამ „პროფესიის“ რუსებსაც რომ აჭარბებენ ახლა თურმე მოსკოვში...

როცა ჩვენი „ნაფიცი ავტორი“, გურამ პეტრიაშვილი, ამ გვიანდელ მინაწერს გაეცნობა, ეჭვი არ მეპარება, არტისტული მგზნებარებით ამოთქვამს ჩემზე:

— დედა-დედა, ეს რა უმადური კაცი ყოფილა!.. მე ხომ ისა ვარ, 1988 წლის ნოემბრის მღელვარე დღეებში ტელევიზიის შენობის კიბე-ბარიკადიდან, კომუნისტური რეჟიმის ბრალდასადებად რომ შესძახა, რატომ არ უნდა იბეჭდებოდეს, ხალხო, კიტა ბუაჩიძის „შავი წიგნიო“... ეგებ არ იცის, ა?

არა, ვიცი, იმ დღესვე მომიტანეს ეს ამბავი, მაგრამ გურამ პეტრიაშვილის მიერ მარტო ქართველებისათვის უკვე გამოთხრილ და აწ კიდევ უფრო ღრმად გამოსათხრელ „სუვერენულ“ გამოქვაბულში არც ამისთვის და არც სხვა რამისთვის, რა ვქნა, თავს ვერა და ვერ-შევყოფ და ჩემი ერისანის არც სხვებს ვურჩევ იქ შეხიზვნას: გარესამყაროსათვის საყურებლად ძალზე ვიწრო, ძალზე შეზღუდული სათვალთვალოთი აღჭურავს მას მისი მთავარი მშენებელ-არქიტექტორი...

ისე კი, საერთოდ, გარდა იმისა, რომ „შავი წიგნი“ უნდა დაიბეჭდოსო, სხვაც ბევრი რამ საგულისხმო უთქვამს და ბევრი რამ გონივრულიც დაუწერია და დაუბეჭდავს გურამ პეტრიაშვილს, მაგრამ მათში, პუბლიცისტურ წერილებში, სამწუხაროდ, ისეთ არაგონივრულსაც გამოურევს ხოლმე, კაცს ძალაუნებურად გაგახსენდება ერთი კასრი თაფლისა და ერთი კოვზი, არა ჩაის, — სუფრის კოვზი კუპრის ნაერთი...

გულწრფელად გაგანდობთ: მე ახლა შიში მზარავს, ვის ამოიღებს მორიგ სამიზნედ უკვე არასოციალისტური, არასაბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ეს, საბედნიეროდ, მგონი, არცთუ მთავარი იდეოლოგი, ვის შეესევა ან ვის შეუსევენ? ღმერთმანი, ჩემ თავს არ ვჩივი, ჩემი თავი ხონჩაზე მიმირთმევია და ჩემი უსამართლო განქიქებაც კი მისგან არც ისე მეწყინება, თუკი არ ჩხუტავს თავის წამახულ კალამს ლევან ხაინდრავას,—

ვერაგულად ჩინეთში დაბადებულს და 32 წლის ასაკში საქართველოში დაბრუნებულს, ქართულის სუსტად მცოდნეს, რომელიც რუსულად წერს და თავს მაინც ქართველ მწერლად თვლის, ორი კარგი ქართველი ვაჟკაცის მამას... და თუ მაინც გაიმეტებს, ამ გამეტებამდე წუთით იმაზეც დაფიქრდეს, საქართველოსა და ქართველების დასაცავად რომელი ჩვენგანი გამოაქანდაკებდა ისეთ ბარათ-ალიყურს, როგორიც მან მიართვა ჩვენი დროის რუსეთის ყველაზე დიდ მწერალს, ალექსანდრე სოლჟენიცინს?! (იხილე „Литературная газета", 24.10.90.)

საერთოდ, როგორღაც ვშიშობ, რუსეთისა და რუსული ენის მიმართ ახლა, როცა თითქმის ყველაფერში დარეტიანებულნი ვჩქარობთ, ვაითუ, მეორე უკიდურესობაში გადავვარდეთ, მსგავსად ოციანი წლების იმ „კომცომოლებისა", რომლებიც, ყველაფერი ძველის ნგრევის ექსტაზით შეპყრობილნი, ლაფში ანარცხებდნენ, კერძოდ, ეკლესიათა ჯვარ-გუმბათებს, სახარებას ცეცხლს უკიდებდნენ, მღვდელმსახურთ „ცოცხლივ" წვერს აგლეჯდნენ...

ჰოდა, ახალი, კომუნისტური ქვეყნის ამ „მშენებლობამ" თუ რა ნაყოფიც გამოიღო, ეს ახლა ვის არ მოეხსენება...

რუსული ენა უნდა ამოიძირკვოსო, გაიგონებთ ხოლმე ჩვენი დროის მიტინგებზე თითქოს იმ „კომცომოლების" მონათესავო, დაუდეღარი გონების მომაჭრო ახალგაზრდებისგან, ზოგჯერ უკვე დადეღებულ-დაღვინებულთა ჩაგონებითაც...

კი, მაგრამ... მაშინ, აბა, რა ენაზე უნდა ელაპარაკოს დამოუკიდებელი საქართველო ბალტიისპირეთის, შუა აზიის, კავკასიის ხალხებს, უკრაინელებს, ბელორუსებს, მოლდაველებს, ყაზანის თათრებს, თვით რუსებს? — ინგლისურად?

ო-ო, თავის მოტყუება იქნებოდა ამაზე ფიქრი, რომ, თუნდაც ოდესმე, რუსულის ნაცვლად საქართველოში ინგლისური დამკვიდრდება საყოველთაოდ... ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით მდებარე დიდი ბრიტანეთის კი არა, — პატარა ბავშვობიდანვე ჩაგვესმის მეზობელი რუსეთის ენა, და მაინც ის, უმაღლესი განათლების დიპლომის მიხედვით ინტელიგენტებად მიჩ-

ნეულებსაც კი, რიგიანად ვერ შეგვისწავლია და... ინგლისურს ავითვისებთ მასობრივად?!

დიახ, ამ დიდი ეროვნული გაწამაწიის დროს გონებაც თუ გვიმტყუნებს რუსეთსა და რუსულ ენას ზურგს შევაქცევთ, ეს სიკეთეს ბევრს არაფერს მოგვიტანს... რასაკვირველია, მე ლიგაჩოვ-იაზოვ-როდიონოვის რუსეთს როდი ვგულისხმობ,— ახალს, თავისუფალს, რომელიც რუსეთის დიდი შვილების ოცნებაც იყო მუდამ და რომელზეც ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი მიაბჯრე, იაკობ მანსვეტაშვილი წერდა:

„ნუ დავივიწყებთ, რომ ილიაც და ჩვენ ყველა მისი თანამოკალმენი გაზრდილნი ვიყავით რუსეთის მწერლობაზე. ვინ იყვნენ ჩვენი ჭკუისა და გონების გამწვრთნელნი? ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, პისარევი და რუსეთის მეცნიერნი. ვინ გვაძლევდა საკვებს გრძნობისას და გემოვნების გაღვიძების და განვითარებისათვის? პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, დოსტოევსკი, ტოლსტოი და სხვანი. ჩვენ ვიყავით იმათი ღვიძლნი სულიერნი შვილნი. და განა დასაგმობი არ იქნებოდა ისეთი შვილი, რომელიც შეაგინებს, შეურაცხყოფს თავის დედას, იმ დედას, რომელმაც იგი თავისი ძუძუთი გამოზარდა? ჩვენ ამას ვერ ვიზამდით, რადგან უმადურობა კი არა, უგუნურობაც იქნებოდა. არა, ჩვენ გვძულდა და ამ სიძულვილს არცა ვმალავდით, გვძულდა რუსეთის მთავრობა, გვძაგდა რუსეთის წესწყობილება, გვეზიზღებოდა ის წარმომადგენელნი ჩვენში, რომელნიც უხეშად, ბრიყვულად გვიფურთხებდნენ და ფეხქვეშ გვითელავდნენ ყველა იმას, რაც ჩვენთვის წმინდას შეადგენდა“.

დიახ, ჩვენც გვძაგს თანამედროვე რუსული წესწყობილება, გვძულს საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც მოგვახვია ხალხთა ძმობის კავშირად სახელშერქმეულმა საბჭოთა რუსეთმა, სამხედრო თვალსაზრისით უძლიერესმა და ადამიანურად ვერაგმა და ულმობელმა, და საქართველო, ეს ლიფსიტა თევჩი, დღეს თაეგამეტებით იბრძვის, რათა ამ გველეშაპს როგორმე დაუძვრეს და ცოცხალი თავიც შერჩეს...

ღმერთმა ქნას, ღმერთმაც ქნას, მაგრამ... მმ... ათასჯერ უფ-

რო მოხარული ვიქნებოდი, თუკი ეს ჩემი ნაღველნარევი პროგ-ნოზი არ გამართლდებოდა: ძალზე სათუოა, რომ არამოსაჩვენარ, ნ ა მ დ ვ ი ლ თავისუფლებას რუსეთისავე მძლავრი ხელის და-უხმარებლად მოვიპოვებთ; ჩვენი მონური ქვეშევრდომობის ჯაჭვების აყრა დამოკიდებულია ისევ და ისევ რუსეთის ხვედ-რზე.

დიახ, განთავისუფლდება რუსეთი — განთავისუფლდება საქართველოც!

მივაკითხოთ ისტორიას: განა ასე არ მოხდა 1917 წელს, რო-ცა თებერვლის რევოლუციამ გამოიხსნა ცარიზმისაგან რუსე-თი და მასთან ერთად გვიხსნა ჩვენც?!

ამიტომ მოდით...

თუმცა ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ერთმანეთის და-უნდობლობით უფრო წარმართებს ჩამოვგავართ, ვიდრე ქრის-ტიან მართლმადიდებლებს, მაგრამ მაინც, მუხლმოყრილებმა ვილოცოთ და ვეევედროთ უფალს მუსულმანებივით დღეში ხუთჯერ, რათა თვით რუსეთი დაუსხლტეს დროულად... საბ-ჭოთა რუსეთის ბოროტების იმპერიას!

ამ მიზნის მისაღწევად გაბედულად იბრძვიან კიდეც რუსე-თისავე გონებანათელი, დემოკრატი შვილები — ვასილიევები და სობჩაკები, ტრავკინები და სტანკევიჩები, კარიაკინები და ვლასოვები, აფანასიევები და ლიხაჩოვი...

დიახ, ლიხაჩოვი, დიმიტრი ლიხაჩოვი, უსპეტაკესი სინდისის მქონე ეს დიდი ინტელიგენტი და მეცნიერი, მარტო ერთია რუ-სეთში, მას გვერდით ტოლს ვერავის ამოუყენებ, ამიტომაც არ ითქმის და არ ვწერ ლიხაჩოვები-მეთქი...

ვაგლახ, ჩემგან მისთვის ასეთი დიდი ფასის დადებას არა და არ დაეთანხმება ჩვენი პატივცემული გურამ-მეხდამტეხი, აკი მან ერთხელ საკმაოდ უპატივცემულო ტლინკი ლიხაჩოვსაც ჰკრა, როგორც შოვინისტ რუსოფილს, რომელსაც თურმე პა-ტარა საბჭოთა ხალხები თვალში თითქოს კიდევ უფრო ეპატა-რავება და ბევრად არც არაფრად თვლის მათ; ამათში, თავის-თავად ცხადია, ქართველებიც იგულისხმება...

რამდენად მართებული და სწორია ყოველივე ეს, ამის და-სადგენად, სჯობს სიტყვა მივცეთ წერილობით დოკუმენტს — ლიხაჩოვის მიერ ჩემდამი მოწერილი სამი ბარათიდან მხოლოდ

ერთს, რომელიც მიღებისას ყველას წინაშე არც ამიფრიალე-
ბია, რადგან იმხანად ჩეკისტური ცენზურა კიდევ მძვინვარებდა
და შევშინდი, ვაითუ რაიმე ხიფათი შეემთხვეს ამის მომწერს-
მეთქი:



რაკი ეს ხელნაწერი ზოგმა შეიძლება იოლად ვერ გაარჩიოს:..

Дорогой Кита Михайлович!

Большая, большая благодарность Вам за чай.

Хотелось бы поговорить как-либо с Вами. Сейчас в муках рождается нечто совсем новое и спасительное не только для грузин, но и для России. Россия была прикована к захваченным ею территориям, и это было плохо прежде всего для нее самой, для её культуры, для свободного развития, для свободы политической ее самой.

Мучила других и тем самым мучилась сама в тисках оков, созданных ею для других.

Ну, да этого всего не объяснишь в письме.

Еще раз большое спасибо. Для меня он (чай) приятен еще тем, что подарен он грузином.

Любящий Вас

Д. Лихачев

29.III.90 г.

ახლა ხომ ხედავთ, მკითხველო, რა ყალიბის „შოვინისტი „დერჟიმორდა“ რუსიც ყოფილა აკადემიკოსი დიმიტრი ლიხაჩოვი?

ვინც რუსული სუსტად იცის და ეს ვერ იგრძნო, მათ ამ ისტორიული, დიახ, ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ბარათიდან ერთი ფრაზის თარგმანს მაინც მივაწვდი: რუსეთი „ტანჯავდა სხვებს და ამით თავადაც იტანჯებოდა მის მიერ სხვებისათვის შექმნილ მარწუხებში მოქცეული“-ო.

სხვათა შორის, თქვენს ყურადღებას მივაქცევდი აგრეთვე

დიდი რუსი მოქალაქის ალეგორიულ მინახატსაც: მზე ამოდის თითქოს არა მოსკოვ-ლენინგრადიდან, — თბილისიდან!

დასასრულ, ერთი პატარა ამონაწერიც იმის დასამტკიცებლად, თუ როგორ „ვძულვართ", კერძოდ, ჩვენ, ქართველები, საქვეყნოდ ცნობილ ამ აკადემიკოსს:

> «Благородство, рыцарственность, самопожертвование, сознание собственного достоинства, сознание своего служения высшей идее — вот, что в моих глазах стало главным в представлениях о грузинах».
>
> («Багратион русского искусства». «Партийное слово», № 10, 1981 г.)

ქართველ ხალხს ბოლო დროს ბევრი რუსი მეგობარი შემოაკლდა: ზოგი სიკვდილმა წაგვართვა, ზოგიც ჩვენზე არასწორი, სახელგამტეხი ინფორმაციის წყალობით ჩამოგვშორდა...

შემორჩენილ მეგობრებს უნდა გაეუფრთხილდეთ, დაუფიქრებელი, ავყია სიტყვით ისინი არ უნდა დავკარგოთ.

სადილის მიზანი სხეულის საზრდოობაა,
ცოლ-ქმრობის მიზანი კი— ოჯახი.

ლევ ტოლსტოი

თბილისის ერთ-ერთ გაზეთში ამოვიკითხე პარფიუმერიის ფაბრიკის არცთუ ისე ახალგაზრდა, გაუთხოვარ მუშა-ქალზე, სამაგალითოა და მისაბაძიო, ამა და ამ საამქროში გახდა იგი დამკვრელიო, ლენინის პარტიის წევრიო, აგიტატორიო, რომელსაც პარტიული სიტყვა მოაქვს ყოველ მშრომელთანო....

ო-ო, ყოველივე ეს დიდებულია!

ჩინებულია ისიც, რომ მას გულში ჩამწვდომი კომუნისტური სიტყვა მიაქვს მასებთან, მაგრამ... ახლა ესეც ვიკითხოთ, თვითონ მას რა მიაქვს, მშრომელსა და აგიტატორს, როცა შრომით და აგიტაციით დაღლილ-დაქანცული შინ ბრუნდება?

შეიძლება იგი მინისტრიც გახდეს, დეპუტატიც, მრავალგზის ორდენოსანი და პერსონალური პენსიონერიც, მაგრამ განა გამორჩეული საზოგადოებრივი მდგომარეობა, და თუნდ თავზე საყრელი მატერიალური ავლა-დიდებაც...

ო, ვერაფერი, ვერაფერი ამის მსგავსი რომ ვერ ამოუვსებს სულ პატარა გულის ერთ კუნჭულსაც კი, მით უმეტეს, როცა ახალგაზრდობა გაუფრინდება, გვერდით კი სისხლით ახლობლების სუნთქვას ვერ იგრძნობს...

თუშეთში ჩაუწერიათ, გაუთხოვარი ქალი და გაუსვენებელი მკვდარი ერთიაო. ჩვენ კი ამჟამად შვილიერების ასაკში მყოფი ათიათასობით გაუთხოვარი ქალი გვყავს, თანაც მათი გათხოვების პერსპექტივას როგორღაც უპერსპექტივობის ბურუსი ფხრავს, აკი უამრავია უცოლო ვაჟები, რომლებიც დაცოლშვილებას არათუ ჩქარობენ, ბევრი მათგანი არც კი ფიქრობს, ოჯახს საერთოდ მოეკიდოს.

ასე განსაჯეთ, „ზევით", ჩვენს მმართველ აპარატებში და ორგანოებში ცოტანი როდი სხედან ისეთი ბერბიჭები, რომლებსაც პარტიული სიტყვა კი მიაქვთ-მოაქვთ, ოღონდ თავად

მათ სიტყვას არავინ ეუბნება, ასე ეულად თუ კიდევ ივლი, აქედან გუდა-ნაბადს აგიკრავთო...

ისე კი, მერწმუნეთ, მომგებიანი ადგილიდან სავსე გუდისა და თბილი ნაბდის აკვრას დაქორწინებას, თუ გნებავთ, ჯოჯოხეთის მაშხალაზეც ამჯობინებს...

მომრავლდა ისეთი შემთხვევებიც, როცა, სოფლად თუ ქალაქად, ჯარში ნამსახურთ ჩამოჰყავთ შორიდან არაქართველი ქალები; მაგალითად, ჩემს შედარებით პატარა სოფელში ასეთი — ხუთამდე „მარფუშკა" დავთვალე (საუბედუროდ თუ საბედნიეროდ ორი მათგანი ვერ შეეგუა ჩვენებურობას, თუნდაც უაბანოობას, და უკანვე გაბრუნდა).

ერთხელ ერთმა ჩემმა აჭარელმა ნაცნობმა ისლამური სარწმუნოების „ეს, ეს, ეს" ჩამომითვალა და მკითხა, აბა რა არის ამაში ცუდიო...

ისინი, მართლაც, ქრისტიანული სარწმუნოებისგან კი განსხვავდებოდნენ, მაგრამ მკრეხელობად მაინც არ მომჩვენებია. მრავალცოლიანობაც, ალბათ, ისლამის სიბრძნის ნაწილს განეკუთვნება.

ნუ შემრისხავთ და... ხალხი, რომელიც დაღუპვის ნაპრალისკენ მიექანება, უმთავრესად მისი ქალების გადაგვარების გამო, ერის გადასარჩენად და თავად ამ ქალების ერთგვარად დასასჯელადაც... თუ მრავალცოლიანობის არა, — ორცოლიანობის „სტატუსის" დამკვიდრება, დროებით მაინც, უებარი წამალი იქნებოდა...

დიახ, მიზნის, და მერე როგორი მიზნის? — ერის სიცოცხლის შესანარჩუნებლად ყოველგვარი საშუალება გამართლებულია.

ამ ძნელბედობის დღეებში ამისათვის, ალბათ, არც იესო ქრისტე გაგვკიცხავდა და... იგნატი ლოიოლა, ვისაც ეს გამოთქმა ეკუთვნის, — ხომ არა და არა!

ერთმა კაი გულის ქალმა, მართლაც მეცნიერმა, ახლა უკვე ხანში შესულმა და, სამწუხაროდ, მარტოხელა შინაბერამ, ვაჟკაცურად გამანდო, ხუთ დიპლომს მივცემდიო ერთ პატარა ოჯახშიც კი; თქვენი „შავი წიგნი" ბევრად ადრე რომ წამეკითხა, რაკი, როცა საამისო დრო იყო, გათხოვებას არ ვჩქარობდი, მოგვიანებით კი მთხოვნელი აღარავინ გამომიჩნდა, —შვილს, ერთს მაინც, უქმროთაც ვიყოლიებდიო...

(ვინ არ იცნობს ელენე ახვლედიანს, ამ ხუთიოდე წლის წინათ გარდაცვლილ დიდებულ მხატვარს და დიდებულ ადამიანს, იგი ხომ მუდამ სხვების დასახმარებელ ფუსფუსში იყო... მოსაწყენი მას ამქვეყნად თითქოსდა არაფერი ჰქონდა, გარს უამრავი ნაცნობ-მეგობარი ეხვია; მისი საამო სითბოთი სავსე ბინა რომელ თბილისელ, მოსკოველ, ლენინგრადელ, ასე ვთქვათ, ინტელექტუალს არ იზიდავდა, ჩვენი დროის უდიდეს პიანისტად აღიარებულ სვიატოსლავ რიხტერის ჩათვლით, მაგრამ ყოველივე ეს, თურმე, ცოტა ყოფილა იმისათვის, რომ თავი ბედნიერად იგრძნო, მით უმეტეს მაშინ, როცა ხნოვანება კარზე და სახეზე მოგიკაკუნებს: ნუ იტყვით, ეს ჩვენი ძვირფასი ქალბატონი ელენე, ახლობლები რუსულ ყაიდაზე „ელიჩკას" რომ ეძახდნენ, როგორც ეს მის მიერ ერთისადმი მიწერილი ბარათიდან ახლახან შევიტყვეთ, თავისი ბედის დიდი მომდურავი ყოფილა; ქალი, რომლისთვისაც დეპრესიული განწყობილება გარეგნულად არასოდეს არავის შეუმჩნევია, შინაგანად ძნელად ასატან მ ა რ ტ ო ო ბ ა ს განიცდიდა თურმე...

სამწუხაროდ, ჩვენდა სამწუხაროდ, სამწუხაროდ...).

დიახ, ქალი 30 წლის, გათხოვებისათვის ამ ისეც უკვე ხანმოთეული, კრიტიკული მიჯნის შემდეგ შვილს „უკანონოდ" თუ გააჩენს, ეს არ უნდა იძრახებოდეს, და თუ ახლა აქეთ-იქით მივიხედ-მოვიხედავთ, გონიერი ადამიანებისგან ეს თითქოს აღარც იძრახება, უგონონთ კი, თუმცა ისინი „ნახირის" უმრავლესობას წარმოადგენენ, ანგარიში არც უნდა გაეწიოს, ოღონდ სავალალო ის გახლავთ, რომ ქართველ ქალს ასეთი ნაბიჯის გადადგმა უჭირს და უძნელდება, — ჯერ უკეთესზე. უკეთესი საბედოს მოლოდინში, მერე — უბრალოდ უკეთესისა, მერე და მერე — „იყოს, თუ არა უშავს რა"... „დიდი ვერაფერი შვილია, მაგრამ".. „ცოტათი მაინც თუ ჰგავს კაცს, — ჯანდაბას..."

დიახ, ასეთ ჭოჭმანსა და იმედების გაცრუებაში უღამდებათ თვალები და ეწრიტებათ წუთისოფელი...

მ ი ნ ი-ც ნ ო ბ ა: მკითხველი, გართობის მიზნით, ცოტა რომ შევასვენო, რაკი ჩემი ცალუღლობის გამო საყვედური არაერ-

თხელ მომისმენია, თანაც იმ ჩემი აზრის დასადასტურებლად, ზემოთ რომ მოგახსენეთ, — ქართველი ქალის წუნიაობასა და ცხვირაბზეკიაობაზე, უკეთესზე უკეთესის არარეალურ მომდინარეობაზე, — გულახდილად გამოგიტყდებით: ჩემი თავი საქმროდ, ასე ვთქვათ, ოფიციალურად, არასოდეს არავისთვის შემითავაზებია, მინიშნებით — კი; აი, ცხოვრების მეორე ნახევარში, 35 წლის შემდეგ, როცა კაი ხნის ნაპატიმრალი — „ხალხის მტერი", ასე თუ ისე, ფეხზე დავდექი და თვალებიც გამოვაჭყიტე, მაგრამ მათგან, ესე იგი ჩემი „სასაცოლეებისაგან" მონაბერი სიო იმდენად ცივი იყო, რომ ბუნებით, ჩვენი თავდრეკია დროისათვის, შეიძლება, ზედმეტად ამაყმა, მათ არათუ მივძალებივარ, — მერე მათკენ მოპუტული თვალითაც აღარ გამიხედავს.

თქვენ, ცხადია, გაიფიქრებთ...

ჰოდა, ვიდრე გაიფიქრებდეთ, დაგასწრებთ და აი, რას გიამბობთ: მოსკოვში ერთი ჩემი კომედია, იმხანად ერთ-ერთ იქაურ თეატრში რომ დაიდგა, უნდა გამოეცათ. მინდოდა ყდაზე მთავარი პერსონაჟი დაეხატათ. თხოვნა კი შემისრულეს, მაგრამ სურათი სულ ერთიანად დავიწუნე, რა არის, ქართველი ქალიშვილი, რომლის გულისთვის სამი ჭაბუკი ერთმანეთს თავს აკლავს, ასეთი შეუხედავია-მეთქი...

არც ხელახლა დახატული მოვიწონე, უფრო ლამაზი უნდა იყოს-მეთქი... ასე იყო თუ ისე, ჩემი გული ძლივს შეავსეს.

გავიდა ხანი და ჩემგან წამებული ეს მოსკოველი მხატვარი, წიგნის გამოსვლის შემდეგ, შავი ზღვისკენ-მიმავალი, გზად თბილისში მეწვია...

ერთხელ, სასეირნოდ გამოსულნი, ნახევარი ვაკე რომ ჩავიარეთ და რუსთაველის ძეგლს მივადექით...

— Никита Михайлович, дорогой, покажите мне, пожалуйста, красивую грузинку.

...ლენინის მოედნამდე ჩავიარეთ, მერე ისევ ამოვიარეთ, მერე ისევ ჩავიარეთ და...

ვაი შენს ქართველ დრამატურგ კიტა-ნიკიტას!..

მანამდე ნათქვამი მაინც არ მქონოდა მოარული ფრაზა, საქართველო ლამაზი ქალების ორანჟერეაა-მეთქი: არ ვიცი, მაისის იმ კვირა დღეს ლამაზმანები ჩემს შესარცხვენად მიი-

მალნენ თუ წინა ღამით სულ ერთიანად ამოიხოცნენ; ეს კია, გამზირზე ქალიშვილები და მანდილოსნები ასობით ერთმანეთში რომ ირეოდნენ, მათ შორის ერთიც არ შეგეხვდა ისეთი, თვალს რომ შეაჩერებდი...

რასაკვირველია, საერთოდ სილამაზე, ტალანტისა არ იყოს, იშვიათია, ამიტომაც ძვირად ფასობს კიდეც; საბჭოთა საქართველოში ქალის თვალტანადობა, ბუნების ბევრ სხვა მშვენიერებასთან ერთად, ესეც გაიშვიათდა...

გაუთავებელი, უსაზომო თქვლეფა-ჭამისგან სიმსუქნეში მცურავი, ქონმოკიდებული, გატიკნული, გარუმბული, დანდრაზა, ჩაგოდრებული „ტურფანი" წინათ ამდენი ვის ენახა?..

კარგი, ბატონო, ამ „ტურფებს" ნუ შეეურაცხყოფთ და მოვეშვათ, — აკი ისტორიაში ისეთი დროც იყო ხოლმე, როდესაც ქალი წონით ფასდებოდა, მაგრამ არასოდეს, დღიდან ქვეყნიერების დასაბამისა, არ ყოფილა ისეთი ხანა, როცა კაცის სიმსუქნე, მით უმეტეს სასწორის დამამტვრეველი სიმსუქნე-სპილოობა დაცინვის, აბუების, გამასხარავების საგანი არ ყოფილიყოს...

და რა გონების წამრთმევია და გულსშემომყრელია, როცა დღეს ჩვენში, ქალაქად და სოფლადაც კი, ამ უშველებელ — ღიპიო, ამაზე არ ითქმის! —ფაშვიან ქართველ „ვაჟკაცებს", „ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილთ", სათვალავი არ დაელევათ, თვით ახალგაზრდებსა, მოზარდებსა და ბავშვებშიც კი, და ისინი, ვითარცა ბუზები ნეხვზე, გამალებით მრავლდებიან და მრავლდებიან...

არანაკლებ შემზარავია ის ფაქტიც რომ მათ ამ არა დაბადებითი, არათანდაყოლილი, — შეძენილი ფიზიკური სიმახინჯე, ოდნავაც არ ეჩოთირებათ, არ ეუხერხულებათ, არ ერცხვინებათ...

და მალე, ალბათ, მსოფლიოს სარეკლამო ტურისტულ რუკაზე საქართველო გამოცხადდება იმ ქვეყნად, რომლის ნახვითაც ყველა ტურისტს...

შეგეძლებათო საკუთარი თვალით იხილოთ და დარწმუნდეთ, ღორზე უფრო მეტმა ღორმუცელობამ რას შეუძლია დაამსგავსოს არათუ ერთი ადამიანი, — მთელი ერიო...

— — —

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ჩანართი (1990 წ.): მიამბეს, ამ ბოლო ხანს ტრაპიზონ-სტამბოლს მასობრივად შესეულ, უსაშველო გაბარიტიან ჩვენს ოთხკუთხა „მაცივრებზე" როგორ იცინიან უბრალო თურქებიც კი და ჩასულთ უთითებენ თავიანთ „ჩამორჩენილ" ქალებზე, ტროტუარზე მსუბუქად რომ მიირხევიან...

ეს კი ცისფერ ეკრანზე საკუთარი თვალით ვიხილე: საქართველოში და, კერძოდ, ბათუმში ექსკურსიაზე ნამყოფ იქაურ „თურქ" ქართველს, ახალგაზრდას, ქუჩაში ეკითხება თბილისელი ტელერეპორტიორი, კიდევ თუ წახვალ გურჯისტანში, რა არ მოგეწონა ჩვენიო, — „სუ ჭამა, სუ ჭამა", დამცინავი ღიმილით პასუხობს იგი და ჰაერში ხელით ხატავს გამოშვერილ ლოყებს და უზარმაზარი მუცლის სილუეტს, და თან იცინის, იცინის...

სხვათა შორის... თუკი ეს, რა თქმა უნდა, სასხვათაშორისოდ ითქმის! — ამ ტრაპიზონელმა ქართველმა თბილისელ ქართველს ესეც უთხრა, თქვენი კაცები ქალებს აქეთ უქმრებოდ ნუ გამოუშვებენ, გვარცხვენენო... ალბათ ამან მისცა კიდეც ბიძგი ერთი სატირიკოსი პოეტის მუზას ჟურნალ „ნიანგში" ასე ამეტყველებულიყო:

სექს-ტურისტი

ტრაპიზონს მივეშურები, ვნახავ ხუფათს და რიზეს!..
თუ მკითხავთ, რა მიხარია, ახლავე გეტყვით მიზეზს:

„სექს-კლუბი!"—ვხედავ, ვკითხულობ, მივდივარ, კარებს ვაღებ,
ორიოდ დღეში „ვაკეთებ" ვიდეოსა და ჭაღებს!..

რა უშავს, ვის დავუწვები, ინტელიგენტს თუ ყასაბს?
დუბლიონკასაც დავირტყამ ჩემი ნამუსის ფასად!

აინუნშიაც ვერ მოვლენ ჩემი დები და ძმები
და ჩემს ბუნჩულა ქმარიკოს ჩავეხუტები ვნებით!

არა რევოლუციამდე, და არც ომამდე, — სულ ახლახან რომელიღაც გაზეთში ამოვიკითხე, ქართველი ქალის ბუნებაში დიდი სათნოებაა ჩაქსოვილიო...

ამ ფრაზა-აზრში, მგონი, დრო არის არეული: ნამყო თითქოს აწმყოში არის გადმოტანილი...

იმ უთვალავი პარტიიდან, რომლებიც ახლა საქართველოში ნაირფერ დროშებს აფრიალებენ, მე პირადად სხვებზე მეტად— თუნდაც იმიტომ, რომ ამ პარტიაში ქალებს, მით უფრო კაპარჩხანა ქალებს არ ღებულობენ.— მესიმპატიურება... აი ისინი, თავისთავს მორიდებულად ტრადიციონალისტებს რომ უწოდებენ, თუმცა კი მონარქისტები არიან, რაც ჩვენგან, „ფანატიკოს სოციალისტებისგან", არც უნდა დაეძრახოთ და არც უნდა გაიკიცხონ, აკი თანამედროვე ევროპის ისეთი უდემოკრატიულეს ქვეყნებშიც კი, როგორიცაა ინგლისი, ესპანეთი, ჰოლანდია, ბელგია, შვეცია, დანია, ნორვეგია, ახლაც, მეტნაკლებად, მონარქიული წყობილებაა, და თუ ჩვენც, აზია-ევროპის გადასაყარზე, მათ მივემატებით, ამით თუ მოვიგებთ, თორემ წაგებით, არა მგონია, რაიმე წავაგოთ.

...დიახ, მეც, აქამდე უპარტიობის სტაჟით თავი რომ მომქონდა, მზად ვარ ქართველ მონარქისტებს მივეკედლო, თუკი... მმ... თუკი საქართველოს სამეფო ტახტზე წამოსკუპდება არა ჯერ კიდევ რაღაც იღბლად შემორჩენილი, არაერთგზის მიტყეპილ-მიბეგვილი საბჭოთა ბაგრატიონი, არამედ დავითთამარ-ერეკლეს ტახტზე თუ აბრძანდება ამჟამად ესპანეთის ბინადარი გიორგი ბაგრატიონ-მუხრანელი, რომლის — ასე შორიდან ერთი თვალის შევლებით — დასანანი ნაკლი ის არის, რომ ქართული არ იცის, მაგრამ ამას გამეფებისათვის გამოუსწორებელ უბედურებად ნუ ჩავუთვლით; პირველ ხანებში არც გერმანელმა პრინცესა სოფია ფრედერიკა ავგუსტა ანგალტ ცერბსტელმა — ეკატერინე მეორემ იცოდა რუსული, მაგრამ მოექცა თუ არა თითქმის უკულტურო რუსეთის სათავეში, რუსულიც ისწავლა და, ასე თუ ისე, იმდენად გააკულტუროსნა თავისი საიმპერატორო, რომ მას მეცნიერებათა აკადემიაც დაუარსა და სხვათა ტერიტორიებიც იმდენი და-

იპყრო, რომ თვალუწვდენი რუსეთის სახელმწიფო კიდეე უფრო გაათვალუწვდენა...

ვინ იცის, ევროპაში დაბადებულმა და გაზრდილმა ბატონიშვილმა გიორგიმ რაღაც ღვთიური ძალისხმევით საქართველო ეგებ უშუალოდ დააახლოვოს ევროპასთან და გვაზიაროს კიდეც მის ყ ო ფ ი თ კულტურას, თუმცა... მმ...

...ამას წინათ ესპანეთს ჩასულ ქართველებთან საუბარში მის უმაღლესობას უთქვამს, მინდა ჩემი ქვეყანა — საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ დავიაროო...

რა დავმალო, მისმა ამ კანონზომიერმა, ბუნებრივმა სურვილმაც კი სულ ერთიანად ამაფორიაქა და სევდისამწეწმა შიშმა შემიპყრო...

ნაბიჯ-ნაბიჯო... ესე იგი ახლოს და ახლოს, დეტალურად მინდა გავიცნო ის ქვეყანა, სადაც, ალბათ, მეფობა მომიწევსო...

და თუ მართლაც მოუწია, მაშინ... ვიდრე გაპარტახებულ და გავერანებულ თავის წინაპრების ყოფილ საგვარეულო მამულებს მოინახულებს, მარტო რუსთაველის პროსპექტზე ერთხელ ჩავლისასაც კი, ვაითუ, იმდენ ფაშვიან, მომავალ თავის ქვეშევრდომთ მოჰკრას თვალი, საზეიმო გუნება-განწყობილება სულაც წაუხდეს, აკი მისი, და საერთოდ, ევროპელთა და ამერიკელთა აზრით, წონამეტი სიმსუქნე და ლაღი ინტელექტი ისე ვერ ეთავსება ერთმანეთს, როგორც ცეცხლი და წყალი: ქონი თრგუნავს აზრს...

ჰოდა, ვაითუ გაიფიქროს მომავალმა გიორგი მე-14-მ, ამ ხალხს, როგორც ჩანს გათენება ჭამისთვის უფრო უხარია, ვიდრე მზის დანახვისთვის და ამის სათქმელად:

— გმადლობ შენ, უფალო, რამეთუ სიცოცხლის ერთი დღე კვლავ მარგუნე შენს სამზეოში,

და არა

— გმადლობ შენ, უფალო, რათა გამაძღე მე!

...და განა მარტო ეს? ამ ნაბიჯ-ნაბიჯ გავლა-ჩავლისას, ვაითუ, თვალში მოხვდეს ისიც, რომ ბევრზე ბევრი შემხვედრი, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, უხნონი და ხნიერნიც, შეუსვენებლივ ღრანჭებს რომ ამოძრაევენ, — ზოგი „ქევა-ჟვაჩკას" იცოხნის, ზოგიც ქუჩის მტვერში ამოგანგლულ „სემიჩკას" იყ-

რის პირში და მისი ჩენჩოთი კიდევ უფრო „ასუფთავებს“ ისე-
დაც ნაგვის ბუნკერის მსგავსს, თითქოს სულაც უმეეზოვო სა-
ტახტო ქალაქს...

ვინ იცის, რაკი ქართველთა სახეებისთვის თვალი ჯერ კი-
დევ არა აქვს მიჩვეული, შეიძლება მისმა უმაღლესობამ ქართ-
ველებად მიიჩნიოს „ჟვაჩკა“—სიგარეტ—„პადვიაზკებით“ ფეხ-
ზე მოვაჭრე, მუდამ ფეხმძიმე ციგნის ქალები თავიანთი პირ-
დაუბანელი ბავშვებიანად, რომელთა ჯიშის ხალხი, სხვათა შო-
რის, წელს სექტემბერში, იაროსლავლში, დიდმა ინტერნაციო-
ნალისტმა რუსის ხალხმა, თ ა ვ ა დ ხალხმა, ხელისუფლებასთან
შეუთანხმებლად, რამდენიმე ათასი მოსახლე, მთელი უბანი,
დიდიან-პატარიანად, ერთი ხელის დაკვრით აყარა და გაყარა
ქალაქიდან, ამ სპეკულიანტ-ვაჭრუკანების თავხედობა-უტიფ-
რობის მომთმენი მეტი აღარ ვართო...

...და მაინც, საქართველოს ჯერ მხოლოდ სტუმარი და მო-
მავალში მეფე, შეიძლება ყველაზე უფრო მეტად განაცვიფ-
როს შრომის საათებში მდინარესავით შეუწყვეტლივ მომდინა-
რე-მიმდინარე ათასობით მანქანამ და თავის თანამგზავრ მე-
უღლეს ესპანურად გადაულაპარაკოს, ან ფრანგულად, ანდა
ინგლისურად, ეს ჩემი — როგორც თვითონვე ამბობენ — ძვე-
ლი და დიდი კულტურის ხალხი, ეს ჩემი მომავალი სამწყსო ნე-
ტავი როდისღა მუშაობსო?!

ამავე დროს, ვინ იცის, იქნებ მხედველობის უეცარ დაქვე-
ითებას მიაწეროს და თვალები ამოიფშვნიტოს, როცა მანქანე-
ბის ჯოჯოხეთურ ორომტრიალში, პროსპექტზეც კი, ყოველი
ფეხის ნაბიჯზე აქეთ-იქით გადამრბენ-გადმომრბენ, ანც გოგო-
ბიჭებს რომ თავი დავანებოთ, ხნოვან ქალებსა და კაცებს დაი-
ნახავს... და როცა დარწმუნდება, რომ თვალებს არა, არ უმ-
ტყუნიათ მისთვის, არ იტყვის განა, — ღმერთო მაღალო, ნუთუ
ამ დალოცვილებს ერთი ბატის ჭკუა მაინც არა აქვთ?! ევ-
როპის გარდა, რამდენი ქვეყანა მომივლია, მაგრამ არსად, არც
სამხრეთ ამერიკაში და არც აზია-აფრიკაშიც, არც კულტურულ
და არც აგერ ახლა კულტურის ბილიკებზე შემდგარ ხალხებ-
ში, არსად არ შევხვედრივარ, მანქანების კორიანტელში ადა-
მიანები მანქანებს არ უფრთხოდნენ, არ ერიდებოდნენ და...
ალბათ, ფიქრობდნენ, რომ... ეს მანქანებს უნდა ეშინოდეთ მა-

თი, და არა მათ — მანქანებისა... ასეთ დამთხვეულ მაგისტრალებზე წერაატანილ ავტომობილებს შორის კი არა, — ტყეში, ხეებს შორისაც არ ივლის გონებადაქვეითებული შეშლილიც კიო... და თუ ზედ მიწისქვეშა გასასვლელის თავზეც კი თვალს მოჰკრავს აქეთ-იქით ხელჩაკიდებულ ორ პატარა ბავშვიან დედასაც, განა უაღრესად შეძრწმუნებული არ წამოიძახებს, ღმერთო, ეს სადა ვარ, თვითწოდებულ დიდი ცივილიზაციის მქონე ქართველებში თუ... პაპუასებთან?! თანაც არა მე-20 საუკუნის, — მე-19 საუკუნის, იმ დროს თითქმის ველურებად მიჩნეულ პაპუასებში?! ვინ იცის, ეგებ კიდევ უფრო უარესებთანაც, აკი დღევანდელი მცირეწლოვანი პაპუასები ჩქარ მატარებლებს ქვებს არ უშენენ და ფანჯრებს არ უმტვრევენ, მათი ახალგაზრდები დანებს კი ატარებენ, მაგრამ ამ დანებს ერთმანეთის სისხლის ტბის დასაყენებლად როდი ხმარობენ,—ჯუნგლებში ლიანებისგან გზის გასაკაფავად და ნადირთან შესაბმელად, და არც მათი მამები, არც მიზეზით და არც უმიზეზოდ, ერთიმეორეს სიცოცხლეს არ უსწრაფავენ...

ჰოდა, ვაითუ, ვაითუ... მაგრამ რაკი „ვაითუს“ სათვალავი არ დაელევა და ბევრ მათგანს უკვე შევეხე შავი ფერის ორივე წიგნში, ამიტომ სჯობს მოკლედ მოვჭრა, წუთით გავკადნიერდე და ჩვენს ტრადიციონალისტ-მონარქისტებს მორიდებით ვურჩიო: ვიდრე დიდი გიორგი ირაკლის ძე ბაგრატიონი საქართველოს მეფის კვერთხს ხელთ აიღებდეს, წინასწარ აუწერონ—უამბონ და გააფრთხილონ, რა მხარეში და რა ხალხში მოუწევს მას მეფობა...

არ გააფრთხილებენ და... შეიძლება უფრო უარესად მოგვეჭრას თავი, თანაც სამსოფლიოდ: ერთი-ორი წლის შემდეგ როცა დარწმუნდება, რა მოურჯულებელ ფათერაკშიც გაყო სამეფო თავი, ვაითუ ერთ შავიან დღეს გამოგვიცხადოს, არც თქვენი (პაპუასების) ქვეყანა მინდა და არც თქვენი ტახტიო, თანდაყოლილი ბუნების გამო მე სტალინობა არც მინდა და არც შემიძლიაო...

...და მაინც, ჩვენ მას მადლობა უნდა მოვახსენოთ, თუკი ევროპაში დაბრუნებისას არ მიჰბაძავს სვეტლანა ალილუევას, რომელმაც თბილისში ორწლიანი ცხოვრების შემდეგ პრესას ამცნო: „Надоело жить среди дикарей...“

(წყაროს ვუთითებ, რათა ვინმეს ჩემი გამონაგონი არ ეგონოს: გაზეთი „Советская культура“, 20.04.89.

სხვათა შორის, აქვე შეგიძლიათ ამოიკითხოთ ჩვენთვის, ცოტათი მაინც, გულის მომხიბვლელი რამ: თავის ამერიკელ გოგონას „ნათელა ჯუღაშვილი“ „ველურების“ ენას, ქართულს მაინც ასწავლიდა).

ჩვენი საუკუნის დასაწყისში ერთ სერბიელ ქალს, რომლის ხშირი ულვაშები მას თითქმის ყურებამდე სწვდებოდა, კუპრივით შავი გრძელი წვერი კი ფართო გულმკერდს უფარავდა,— მთელ ევროპაში ქალაქიდან ქალაქში დაატარებდნენ და ამ საოცრება-სიგონჯის დემონსტრაციით მისი დამტარებლები დიდ ფულს აკეთებდნენ.

ჰოდა, თუ ის ქალი — წვეროსანი ევროპას მხოლოდ ერთ ეგზემპლარად მოევლინა, თვითონვე განსაჯეთ, რა იქნება მაშინ, როცა მსოფლიოს მილიონიანი ტურისტების წინაშე უამრავი ქართველი მასობრივად წარდგება მათთვის აქამდე არც ერთ ქვეყანაში არასოდეს ნანახი ვეება...

(ეღირება კი რამედ უცხოური ვალუტის მოპოვება-დაგროვება ამ გზით?..)

...აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა!
არა თქვენ, სადიაცენო,
რო ძროხებივით სძღებითა;
ღამე მაძღრები დასწვებით,
დილით მშივრები სდგებითა;
თავის ჯამს ჩასცქერით, საქვეყნოდ
არც როს არ გამოსდგებითა.

ვაჟა

ლუარსაბი: „ფაშვი კაი მსმელისა მაქვს, აქ თუნდა ოთხი ჩაფი ღვინო ჩავა“.

ილია

სარდიონი: „ან კი რას ავიდოდა ხეზე, მისი ფაშვის პატრონი!“

ვაჟა

...დიახ, თქვენ, ცხადია, გაიფიქრებთ, რომ მე საცოლეების უნაყოფოდ ძებნა-შერჩევისას, ალბათ, ვეპოტინებოდი მოსაწყენეტს თუ არა, — მოწყენეტილ ვარსკვლავებს მაინც, თორემ ისე, აბა, რომელი ერთი შეგაყრებდათო დაწუნებას, აკი თითქოს ახლაც არა ხართ ბრუციანი, ჩოლახი, მთლად დაშლილ-დაფეხვილი და, მგონი, არცთუ სულ გამოყეყეჩებულიცო...

შეიძლება-შეიძლება, და მაინც... თუმცა არც ერთი ჩემი „სასაცოლე“ არ გამოირჩეოდა არც რაღაც ნამეტნავი გარეგნობით, არცთუ, ძველად რომ იტყოდნენ, დიდგვარიშვილობით (მიახლოებით ყველა მათგანი — ზოგი მანჯია იყო, ზოგი — კუტალია, ზოგი—ჯღამაძე და ზოგიც ჯღარკავა), არც ჰარვარდ-სორბონ-კემბრიჯში მიღებული განათლებით და არც რაიმე იშვიათი, მაღალფასოვანი პროფესიით...

მართალი გითხრათ, ბევრ მათგანზე გული უფრო შებრალებით მიმიეიდა („ჩემთვის ბედი რატომ უნდა დამწვარიყო...“ „რა მაქვს დასაწუნი, გარდა იმისა, რომ მანქანა არა მყავს...“ „მე ვინ მითხოვს, გლდანელს? აბა ვაკეში ვცხოვრობდე!“)...

ორი მათგანი სულ უბრალო ექთანი გახლდათ, ვენაში შიშით შპრიცის შეყვანას რომ ერიდებიან... ერთიც — ისეთი რიგითი, შეუმჩნეველი მუშაკი, დაწესებულებაში მარტო ქვითრების გამოწერა რომ ევალება, მეორე კი... ბოდიში, მეოთხე— წიგნის არც სულ რედაქტორი და არც სულ კორექტორი... მეხუთე...

ეჰ, მოკლედ, აი ასეთმა უკვე მოწყენეტილმა თუ აწ მოსაწყენეტმა ვარსკვლავებმა არ ისურვეს თავიანთი თავით ჩემი თავი გაებედნიერებინათ, შენიღბული უარით მიმასპინძლეს ხოლმე, ზოგჯერ არცთუ თავაზიანითაც; აი, მაგალითად, როცა ცეტ ქალიშვილს კი არა, გათხოვებისათვის უკვე გადამწიფებულს საინტერესო სპექტაკლზე მიიპატიჟებ და ის წამოსვლის თანხმობას მოგცემს, და შენც, რვის ნახევრიდან რვა სა-

ათამდე, მის მოლოდინში თეატრთან, შამფურზე წამოგებული გოჭივით ცეცხლზე წინ და უკან, წინ და უკან ტრიალებ და... ის კი არ გამოჩნდება, არ მოვა...

ჰოდა, განა ღირს მეორე დღეს თუ თავად პირველი არ გეტყვის, თვითონ ჰკითხო მოუსვლელობის მიზეზი?

კაი ყმა, ვფიქრობ, თავს არ დაიმცირებს და არათუ ჰკითხავს, — არც შეიმჩნევს მის „ნარნარ“ ტუტრუცანობას არც იმ დღეს, არც სხვა დროს...

კაი ყმისათვის... სიყვარულიდან სიძულვილამდე მხოლოდ ერთი ნახტომია!

...უიმე-ე! ლამის მთავარი გამომრჩა: არც ერთი ჩემი „საცოლე“, შედარებით ერთის გარდა, ჩემზე იმდენად უმცროსი და ისე ქორფა და ნორჩი არ იყო, რომელიმე თანამედროვე მხატვარს გასული საუკუნის პუკირიოვის მსგავსად, ასეთ საქორწინო პათოლოგიურ შეუსაბამობაზე, ახალი „Неравный брак“-ი დაეხატა.

ბარემ ამასაც ვიტყვი: ამ ვარსკვლავებიდან დღემდე (!) მხოლოდ ერთს მოაკითხა საბედომ — გათხოვდა ჩვენი დროის პრინცზე, — გასტრონომიული მაღაზიის გამგეზე.

და როცა იგი, დიდი ხნის შემდეგ, ბაზალეთის ქუჩაზე შემომხვდა და, თითქოს დარცხვენით, თითქოს საქციელწამხდარმა მითხრა, რომ მას ძალიან, ძალიან მოეწონა ჩემი „ესა და ეს“ ახალი ნაშემოქმედარი, მინდოდა მეპასუხა ისე, რომ...

ო-ო, რაღაც ბედად ელვა-აზრმა უმალ გამომაფხიზლა: თუ ახლა მას გულს იმგვარად გადავუშლიდი, მუდამდღე დატრაბახების საბაბი მიეცემოდა („მე, იცით, ცოლად გაყოლაზე ვის ვუთხარი უარი?“), ამიტომ ენაზე უკვე მომდგარ სათქმელს ფიცხლავ ლაგამი ამოვდე:

— მერედა, შე კაი ქალო, თუნდაც შეცდომით ნიჭიერად მიჩნეული ქართველი მწერალი ბულგარულ ბრინჯაზე უნდა გაგეცვალე?!

დიახ!

ახლა კი, ამ აღსარების მოთავებისას, უმორჩილესად ვთხოვ ყველა ჩემს გულშემატკივარ მკითხველს, ჩემი მრავალგზის პერმანენტული მარცხიანი სასიძოობის გამო ნუ შემიცოდებენ:

ამჟამად ყველა ამ ჩემს, ასე თუ ისე, მაინც დამამცირებელ-დამამდაბლებელ ისტორიებს საკმაოდ იუმორისტულად ვუყურებ, თუმცა მათ არც იმ მღელვარე დღეებში განვიცდიდი მაინცდამაინც ისე ტრაგიკულად, რომ, თვითმკვლელობის მიზნით, სედუქსენის ოცი ტაბლეტი ერთდროულად, ტყაპატყუპით გადამეყლაპა...

(დიახ, ვერ გავიმეტე ჩემი თავი მოსაწამლავად უფრო იმიტომ, რომ ცოდვები ქალების წინაშე მეც მიმიძღოდა: არა მარტო ისინი მიწუნებდნენ, ბევრ-მათგანს, ხტუნვა-ხტუნვითაც რომ გამომყვებოდნენ, წუნი მეც დავდე...

ყველას არ ჩამოგითვლით — გრძელი სია გამოვიდოდა— მარტო ორიოდეს:

ერთი თამბაქოს წევისგან ისე ყარდა, მის გვერდით სტალინური რეპრესიებიც ვერ დამაწვენდა;

მეორე ისეთი ზომა-წონისა იყო, თუნდაც ჩვენი პირველი გაცნობისას სუფრაზე, მცირემჭამელობით რომ მოვეხიბლე, ცდუნებას მაინც ვერ გაუძლო და კაბაგადაცმული ლუარსაბივით ისე ლაზათიანად მიაძღა ხაჭაპურსა და ტყემლის საწებელს, ჩიხირთმასა და ჩაქაფულს, საცივსა და ღომს, ცხელ მწვადსა და ცივი ბეჭის ანაჭერთ, კუჭმაჭსა და ქათმის კურტუმოს, ზუთხსა და გადაზელილ ყველს, ხიზილალასა და ისპანახს, პამიდორსა და ზეთის ხილს, ატამსა და ჭანჭურს, გულაბსა და ყურძენს, ბისკვიტსა და ნიგვზის ტორტს, — ჩემი პატიჟი კავალერისა („მიირთვით, მიირთვით", „მე გადმოგიღებთ, ქალბატონო, მე გადმოგიღებთ"...) სულაც არ დასჭირვებია და... დესერტის შემდეგ კვლავ ჩაქაფულს მიუბრუნდა.

...მესამე, რომელიც, თუკი ვითხოვდი, მზად იყო განქორწინებულიყო, მაგრამ როცა ერთხელ შემთხვევით მისი თანამეცხედრე გამაცნეს, გულს შემომეყარა: ეს შედარებით ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი, ინდაურჩინჩახვიანი, წინაკბილებ აქაიქ ჩაცვენილი, თითქოს პირდაუბანელიც... ღმერთო, ამის ნაკოცნ ქალს რა მაკოცნინებს-მეთქი, გავიფიქრე და... მის სახლობაზე დაქორწინების სურვილ-ხალისი ჩემში იმ დღესვე სულ ერთიანად, ტერფით თხემამდე ამოიშალა.

მეოთხე... მეოთხემ შესვენებაზე ჩემ მიერ მირთმეული მო-

საკითხის — „ნაპოლეონის“ მირთმევისას დაუბანელი ხელები, და თუნდაც დაბანილი ჰქონოდა, დედის მიერ ჯერ კიდევ მყარად ჩაუგონებელი, მოუაზრებელი ბავშვივით თითები... მადიანად გაილოკა და... ამით კიდევ ერთი ჯვარი დაესვა ჯვრისწერის ჩემს საწადელს.

ვიცი-ვიცი, კარგა მოზრდილი თავხედობა და კადნიერებაა, შენი თავი ჭკვიანებში თვითონვე ჩაიწერო, მაგრამ რაკი ეამი დაგვიდგა ისეთი, როცა თავის ქება კიტრზე ოცჯერ უფრო იაფია, ამ ერთხელ მეც ავდგები და...

„ჭკვიანი ადამიანისათვის სიყვარული ისეთი ნაზი და რთული მექანიზმია, რომელსაც სულ პაწაწინა ხიწვიც დააზიანებს“.

ამ ფრაზაში გამოთქმული დაკვირვება მე-19 საუკუნის დიდად ცნობილ ფრანგ მწერალს გი დე მოპასანს ეკუთვნის).

ახლა, თქვენი ნებართვით, ფრჩხილებში მოქცეულ ჩანართამდე შეწყვეტილ აზრთა მდინარებას კვლავ დავუბრუნდები: დიახ, წინა გვერდების წამკითხველ ქალებში ცოტანი როდი აღმოჩნდებიან ისეთებიც, რომლებიც სიხარულით აყლოჭინდებიან და შანს მომიგებენ, აი, თურმე, ეს ვაჟბატონი, რაკი საქმროდ დავიწუნეთ, ამიტომ გვლანძღავს და გვაქიაქებს, ამიტომ გვემტერება ჩვენ, შვილიერების მოძულე კდემამოსილ ქართველ ქალებსო...

არა, ქალბატონებო, მისი მიზეზი რომ ეს იყოს, მაშინ ჩემი გულის კარს ასე ფართოდ არც გაგიღებდით და მის ხვეულებში არ ჩაგახედებდით.

დიახ, მე თქვენ გემტერებით...

და არა მარტო თქვენ, — ყველა ივერიელს, ქალი იქნება იგი თუ კაცი, ვინც მტრობს თავის ერს, სამშობლოს თვისას, ოჯახს თვისას, ერთსა და, თუნდ, ორ შვილს მისას!

მოდით, დროებით მაინც მოვეშვათ დაფდაფების სალხინო, უდარდელ ბაგაბუგს და ჩვენს პირქუშ სინამდვილეს წამიერად თვალი შევავლოთ: ქართველთ მხარე არასოდეს არ ყოფილა ისეთ კრიზისულ განსაცდელში, როგორშიც დღეს არის.

ჩვენი მომავალი, წინასწარმხილველ ვანგას დაუხმარებლადაც, უკვე შეგვიძლია შეუცდომლად განვჭვრიტოთ: რაღაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, რომელიც სულ დიდი ორი თაობის სიცოცხლის მანძილზე თითქმის შეუმჩნევლად გაირიხინებს,

აღმოჩნდებიან თუ არა ჩვენი შვილიშვილები არასასურველ სტუმრებად, როგორც უმცირესობა, იმხანად აქ უკვე მტკიცედ დამკვიდრებულ მოსულთა და მოთრეულთათვის, — ეს ახლა ჩვენზეა დამოკიდებული...

დიახ, საქართველოს მომავლის ბედის გამოჭედვაზე ზრუნვა ისედაც მოღალატურად დავაგვიანეთ, და ახლა მაინც, როცა „ინტერნაციონალს“ სულმოუთქმელად გვამღერებენ, ნუ გავუწევთ ანგარიშს მის ზუსტ მუსიკალურ ყღერადობას და მისი ეს სიტყვები უფრო ომახიანად შემოვძახოთ, რათა ყრუ ქართველთა ყურშიც შეაღწიოს:

„Нам не поможет ни бог, ни царь...“

დიახ, თუ ჩვენსავე თავს თვითონვე არ უშველეთ, არ ვუპატრონეთ, — ჩვენი გამკითხველი სხვა არავინ გამოჩნდება...

დასასრულ, მეპატიოს, თუკი ერთხელ კიდევ, ამჯერად — ღმერთმაც ქნას! — მართლაც უკანასკნელად გავიმეორებ იმ შეგონებას, რომლისთვისაც დაიწერა „შავი წიგნი“ და ახლა კი ეს მისი მეორე ნაწილიც იწერება:

— მხოლოდ მეტშვილიანობა და მრავალშვილიანობა გვიხსნის ჩვენ არა მარტო ფიზიკური გადაშენებისგან, — ბევრ ჩვენს გადამგვარებელ სიგლახესაც დათრგუნავს იგი და გამოაჯანსაღებს დახაშმულ ქალაქსა და სოფელს...

ამას უნდა ველტვოდეთ ყველა ჩვენ,—ერიც და ბერიც, დიახ, ბერიც კი...

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): მე ვემეგობრები ერთ მღვდელმთავარს, რომელიც ხუთ შვილს ზრდის თითქმის მალულად, რადგან ამას მისი სასულიერო თანამოღვაწენი მართლ-. მორწმუნეობის შელახვად უთვლიან და, ალბათ, კიცხავენ კიდეც...

ამაოდ, ამაოდ!

მე-17 საუკუნეში თევდორე მღვდელმა იხსნა საქართველო ოსმალთა შემოსევისგან, ახლა კი, მე-20 საუკუნეში, უარეს საფრთხეში ვიმყოფებით: თვითონვე ვესევით და ვმუსრავთ საქართველოს, აგრეთვე არათუ სხვადასხვა გვარტომის თურქი,— ქრისტიანი „თურქებიც“ კი, თუ სიტყვიერი მზაკვრობა-შარიანობით, თუ დატენილი თოფით, — თავს არ იზოგავენ, რათა ჩვენსავე სამშობლოში ცეცხლის რკალში მოგვაქციონ...

საუკეთესო საშუალება, შთაუნერგო ბავშვებს მამულის სიყვარული, ის არის, რომ ეს სიყვარული მათ მამებს ჰქონდეთ.

შარლ მონტესკიე

ვიცი წინასწარ, ჩემ მიერ ადრე ნახსენებ დოცენტს არ მოეწონება და არც გაიზიარებს ძველი რომაელების გამოთქმას,— განმეორება დედაა ყოველივე სწავლისაო, მე მაინც არ მოვერიდები და კვლავ მოვაგონებ მასაც და სხვებსაც მეფე-პოეტის არჩილის სიტყვებს: „თუ ამოსწყდეს გლეხკაცი, საქართველო დაძაბუნდაო“.

ჰოდა, თუკი ეს ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ესმოდა ქართველთა მეფეს, რომელსაც არათუ „უმაღლესები“, — ბაკურციხის „ორსართულიანი“ სკოლაც კი არ ჰქონდა დამთავრებული და არც საფრანგეთის რომელიმე ლუდოვიკოსავით სანაქებო შინაურული განათლება მიეღო, ჩვენ კი, მე-20 საუკუნეში; რატომ არ უნდა გვესმოდეს ამ გაფრთხილების სიბრძნე, ჩვენ, რომლებსაც თავები გამოტენილი გვაქვს აკადემიებით და უნივერსიტეტებით, ანდა, უნივერსიტეტი ეგებ მართლაც ვერაფერს მოგცემს და ვერც ვერაფერს გიშველის, გონება კაცს ბუნებით თუ არ დაგყვა?!

დიპლომის მიხედვით უმაღლესგანათლებულებიდან ნამდვილ განათლებას ასიდან ერთი თუ ამართლებს, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, საეჭვოდ მივიჩნიოთ ის სასიხარულო ფაქტი, რომ ის 99 უმაღლესდამთავრებული, ყველა, მესამეკლასელივით, ჯერ კიდევ დამარცვლით კითხულობდეს.

და რახან ასეა, წავიკითხოთ ერთად და ხმამაღლა და, რამდენადაც შესაძლებელია, გამოთქმით:

„თუ 50-იან წლებში სოფლად შობადობა ორჯერ მეტი იყო, ამჟამად იგი გაცილებით უფრო დაბალია, ვიდრე ქალაქად...“

გაიგონეთ? ვიდრე ქალაქადო, ვიდრე ქალაქადო... ჯერ ქალაქად რა არის და...

ჰოდა, გავიხაროთ თუ არა ჩვენც, საქართველოს დეპეშათა სააგენტოსთან ერთად, 1977 წელს მის მიერ მოწოდებული ცნობით იმის თაობაზე, რომ...

„ამჟამად საქართველოში 51 ქალაქია და 57 ქალაქის ტიპის დაბაა... დედაქალაქ თბილისში ახლა მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს, ხოლო ქუთაისში, რუსთავში, ბათუმსა და სოხუმში 180-დან 200—250 ათასი კაცი. 50—100 ათასამდე გაიზარდა უკანასკნელ წლებში გორის, ფოთის, ზუგდიდის, ცხინვალის, ზესტაფონის, მახარაძის, სამტრედიის, თელავის, რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქის მოსახლეობა“.

ჩვენც, ამ ზრდის სიხარულით ცას აწეულებმა, ხომ არ შევძახოთ ომახიანად, — ბარაქალა ჩვენს სწრაფვას უფსკრულისაკენ!

მით უმეტეს, რომ ეს ცნობები ამ ხუთი წლის მანძილზე უეჭველად დაძველდებოდა და ჩვენ, ალბათ, კიდევ უფრო წინ წავიდოდით, მხოლოდ წინ და მხოლოდ წინ!..

ჩვენი ეროვნული უბედურების დამადასტურებელი ჩემეული სავარაუდო მონაცემები, როგორც ეს პრესაში გამოქვეყნებულ ამ ბოლოდროინდელი წყაროებიდან ირკვევა, მართლაც არცთუ მცდარი გამოდგა და არც გადაჭარბებული, პირიქით— შაკი საღებავები მე, თურმე, ალაგ-ალაგ დამიკლია კიდეც...

აი ესეც ბოლოდროინდელი, გულშემზარავი სტრიქონები, ციფრები, პროცენტები (ვისაც ჯერ კიდევ პატრიოტულად უცემს გული, და თან მაღალი წნევა აწუხებს, ამ მონაკვეთს, ვთხოვ ნუ ჩაიკითხავს):

„უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ყოველი აბორტი სიცოცხლეს უსპობს არა მარტო იმ ბავშვს, რომელიც აბორტის მსხვერპლი ხდება, არამედ იმ ბავშვთა რაოდენობის ნახევარსაც, რომელთა შობასაც ქალები აბორტის გაკეთების შემდეგ მოინდომებენ“.

„საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ხელოვნურ აბორტს საქართველოში ყველაზე უფრო ხშირად ქართველი ქალები მიმართავენ“.

„მსოფლიოს უმრავლეს ქვეყნებში უშვილო ქორწინება ყველა ქორწინების 10%-ზე მეტი არ არის, საქართველოში მათი რიცხვი 16—17%-ია“.

(ერთ ძველ ანდაზას შეგახსენებდით: უშვილო ცოლის ყოლასა სულ უცოლობა სჯობიაო... თუმცა ბოლოდროინდელი გამოკვლევებით დასტურდება, რომ საქართველოში უშვილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი — როგორც ქალებში, ისე მამაკაცებში —უზომო ჭამა და აქედან მომდინარე აუწონავი სიმსუქნეა!).

„1955 წელთან შედარებით 1978 წელს ერთშვილიანი ოჯახების ხვედრითი წონა 23,9%-დან 54,7%-მდე გაიზარდა"...

დასასრულ, დასკვნისმაგვარი:

„თუ ეს პროცესი არ შეჩერდა და გაგრძელდა, მოსახლეობის „დაბერება" და საბოლოო ანგარიშში მოსახლეობის მკვეთრი შემცირება გამოიწვევს შრომითი რეზერვების შემცირებას..."

(გამოიწვევსო... ეს უკვე გამოწვეულია და ეს რეზერვებიც შემცირებულია და წლიდან წლობით სულ მცირდება და მცირდება, რის დამადასტურებელია ქალაქელ მოსამსახურეთა, სტუდენტთა და მოწაფეების თუნდაც დროებითი, საავარიო „გადასროლა" სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად).

ყოველივე ეს ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" შარშანდელ ოქტომბრის ნომერში ამოვიკითხე; ამ წერილის, როგორც ეტყობა, ფრიად განსწავლილ ავტორს, თუ არ ვცდები, იმდენად შრომის რეზერვების შემცირების საშიშროება როდი აწუხებს, რამდენადაც უგუნურება ქართველი ხალხისა, რომელსაც თავისსავე ყელთან თავისივე ხელით მიუტანია ყასბის დიდი, გრძელი, საგულდაგულოდ ალესილი დანა...

დაე ნუ გავამტყუნებთ ამ მკვლევარს, თუ „ა" ისე წარმოთქვა, რომელიც არცთუ სულ „ა" არის და არცთუ სულ „ბე" არის; რა ქნას, თუ ის ხნიერია, მაშინ ეცოდინება, და თუ ახალგაზრდაა, — გაგონილი ექნება, რა შავი დღეც დააყენა პროფესორ იოსებ ჟორდანიას ქართულ ენაზე გამოქვეყნებული მისი ერთი სტატიის გამო (უთარგმნიდა და „საქმის კურსში" ჩააყენებდა, ცხადია, ათასებიდან ერთი, რომელიმე კომუნისტი შადიმან ბარათაშვილი!) საბჭოთა „ნამესტნიკმა" კოვანოვმა, — ქართველები გამრავლდებიან თუ არა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, მთავარია საბჭოთა ხალხი მრავლდებოდეს და ვმრავლ-

დებით კიდეცო (ახლა, ოცი წლის შემდეგ, ამას, ალბათ აღარც იტყოდა: რუსების ნამრავლიც უკვე აღარ იძლევა თვითდამშვიდების შესაძლებლობას; ზღვა, რასაკვირველია, სწრაფად აღ დაშრება, მაგრამ საბოლოოდ დამშრალი დიდი ზღვაც არა ერთი და ორი ახსოვს კაცობრიობის ისტორიას).

მე ბოდიში უნდა მოვიხადო მკითხველის წინაშე იმის გამო, რომ თურმე, არაზუსტი ცნობა მივაწოდე მას ჩემი შრომის პირველ ნაწილში: ოფიციალურ დაწესებულებებში არავინ ეს „სამხედრო საიდუმლოება" არ გამანდო, ჩემი კუსტარული დემოგრაფიული სტატისტიკით კი ქართველი ერთშვილიანი ოჯახების რიცხვი 30%-ად ვიანგარიშე, მაშინ, როცა იგი, როგორც ზემოთ შევიტყვეთ, საერთოდ საქართველოში 55% ყოფილა; აქედან კი, თუ „სხვებს" გამოვაკლებთ, ჩვენი „წმინდა შემოსავალი", სულ ცოტა, 50%-ს მაინც მიაღწევს...

დიახ, პროცენტებიც შეიძლება იყოს თურმე თაეზარდამცემი, — და განა ეს მონაცემიც ამ სფეროს არ განეკუთვნება?!

(ახლა მაინც ხომ დავრწმუნდით, ზოგიერთი ჩვენგანი „ინტურისტის" ერევნელ გიდზე ტყუილუბრალოდ რომ გაცეცხლდა: როგორც ხედავთ, მან მხოლოდ უცილობელი ფაქტი აღნიშნა, ქართველები მალე ამოიხოცებიანო).

და კიდევ...

ბევრ სხვა დემოგრაფიულ უბედურებასთან ერთად, რომელთა წყაროც თვითონ ჩვენ ვართ, ქართველები, ბოლო ხანს სხვა უბედურებაც წამოგვეწია, — ეს უკვე არა ჩვენი მოთავეობით, — რაიც კიდევ უფრო დააჩქარებს საბოლოოდ ჩვენს სრულ გადაშენებას...

აგერ ახლა თბილისის ერთ-ერთი გაზეთის რედაქციაში, მრგვალ მაგიდასთან ბჭობა გაიმართა მიგრაცია-დემოგრაფიის საკითხებზე...

როგორც ცნობილია, მრგვალი მაგიდა იმას ნიშნავს, რომ მის ირგვლივ მსხდომნი თანაბარი უფლებებით სარგებლობენ სიტყვით, საქმით, რეგლამენტით...

სასიხარულო ის არის, რომ ამ საუბრის შინაარსი გაგვაცნეს, ოღონდ სამწუხარო ის არის, რომ ჩვენი ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტის, დემოგრაფის პაატა გუგუშვილის სიტყვა, გაზეთში ეამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით თუ ვიმსჯე-

ლებთ, მისი მოწაფეების სიტყვებზეც კი ბევრად მცირეა. შეიძლება მან მართლაც ცოტა ილაპარაკა, თუმცა ისიც შესაძლოა, — გამართული დიქციით ისე ნათლად წარმოთქვა „ა“, რომ გაზეთის ვიწრო სვეტში არ ჩაეტია...

ასეა თუ ისე, ქართველი კაცის ჯერ მხოლოდ ნახევრად დაესებული თვალი აქაც ბევრ საგულისხმო რამეს (გულისმომკვლელს!) ამოიკითხავს.

აი, ზოგიერთი მათგანი:

„სსრ კავშირის უმაღლესი განათლების ბევრ ცენტრში შევხვდებით ქართველ სტუდენტობას, რომელთა დიდი ნაწილი შემდგომში აღარ ბრუნდება რესპუბლიკაში. ასევე მნიშვნელოვანი რაოდენობით მიდიან საქართველოდან სხვა რესპუბლიკებში ახალგაზრდა სპეციალისტები — ინჟინრები, ექიმები და სხვ. მცირე როდია აგრეთვე სხვადასხვა სპეციალობის მუშახელის კონტინგენტები (განსაკუთრებით შშენებლები), რომლებიც მუდმივ ან დროებით სამუშაოდ მიდიან ქვეყნის ცენტრალურ და აღმოსავლეთ რაიონებში. საყურადღებოა ისიც, რომ დროებით წასულთა ნაწილი მკვიდრდება საცხოვრებლად ახალ ადგილებში“.

...და მერე, ვითომ ისინი იქ, აქა-იქ მიმოფანტული ეს ერთეულები, თუნდაც ათეულები, ამ ახალ სამოსახლო ადგილებში, თავიანთ ეროვნულ სახეს შეინარჩუნებენ? როცა აღარც ჯვარია და აღარც ხატი, აღარ არის რწმენა, სამშობლოს სიყვარული, სისხლის ძახილი, — ხსოვნა წინაპრებისა და გრძნობა ნათესაობისა?!

რომელი ებრაელები ჩვენა ვართ, რომელთა საკვირველმა ეროვნულმა გამძლეობამ სამი ათასი წელი მოინელა, შიგნიდან და გარედან თავს დატეხილი ათასი ჭირი აიტანა და დღემდე მოვიდა, მიუხედავად დაქსაქსულობისა, როგორც ერთიანი, მონოლითური ხალხი!

ნაწილობრივ, მხოლოდ ნაწილობრივ, ასევე შეიძლება ითქვას სომხებზეც, მაგრამ ერთისა და მეორის ბედნიერება მათს ამ უბედურებაში ის იყო, რომ ისინი სახლდებოდნენ (თუ ასახლებდნენ) მრავალრიცხოვან კოლონიებად სოფლად თუ

ქალაქად, შეეძლოთ ერთმანეთში მისვლა-მოსვლა, მშობლიურ ენაზე ლაპარაკი და, მაშასადამე, მისი შემონახვაც. და რაკი მათში ქალი და კაცი თანაბარი რაოდენობით მოიძევებოდა — თხოვა და გათხოვება მეტწილად თავისივე ერისაზე ხდებოდა...

ახლა კი... ამასაც დაუგდეთ ყური:

„...ყოველწლიურად 10 ათასამდე მუშა, ძირითადად ახალგაზრდობა, ორგანიზებული წესით იგზავნება მშენებლობებზე და სამრეწველო საწარმოებში სამუშაოდ მუდმივად ან განსაზღვრული ვადით“.

ჰოდა, რაღა ახლანდელი ორგანიზებული წესით და რაღა შაჰ-აბასის მიერ არაორგანიზებული წესით აყრა-წარეკვა...

ღმერთო, შენ შეგცოდე და... შაჰ-აბასის დაუფარავი, პირდაპირი ეგზეკუცია, მგონი, ჯობდა კიდეც, აკი ის ყველას მიერეკებოდა —დიდსაც და პატარასაც, ქალსაც და კაცსაც, ახლა კი... მხოლოდ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდები, მხოლოდ მამრობითი სქესისა, და თან ყოველწლიურად ათი ათასამდე, სულ დარჩეულები, და არა მუქთახორა უსაქმურები, კორუფციით გალაღებული დედ-მამის შვილები — ღიპ და ღაბაბდამშვენებულები...

...თუ დაეჯერება იმ დროის ისტორიას, როცა სტატისტიკური სამმართველოები ჯერ კიდევ არ არსებობდნენ, არ მოქმედებდნენ, ანუ, ამ სიტყვების ნაცვლად ახლა „უკეთეს ქართულს“ რომ გვთავაზობენ, — არ ფუნქციონირებდნენ, შაჰ-აბასმა აღმოსავლეთ საქართველოდან სპარსეთში ასი ათასამდე ქართველი წაასხა, ეს „გეგმა“ კი ახლა რაღაც ათ წელიწადში სრულდება და მომავალში — დრო ხომ არ ჩერდება ერთ წერტილზე! — რამდენი ასეთი „უხვმოსავლიანი“ ათი წელი გველის კიდევ და კიდევ!..

ფერეიდანში, ამ სამ საუკუნეში, სახით, უფრო მეტად, ვიდრე ნაკლებად, სპარსელებს იერითაც კი დავემგვანეთ და, აბა, რომელ ჩვენს იერსღა შევინარჩუნებთ, თუნდაც ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ვოლოგდაში, სმოლენსკში, პენზაში, ვიატკაში, ტიუმენში, კომიში, იაკუტიაში?..

ყვავს არ ჰქონდა, ბუს გაჰქონდაო...

რომელი 60-მილიონიანი იტალია ჩვენა ვართ ანდა 45 მილიონიანი თურქეთი, რომ ჩვენი მუშახელით უზრუნველვყოთ სხვა მხარეები, ახლებურად — რეგიონები, სადაც, თითოეულში, სულ ცოტა, ხუთჯერ მეტი ადგილობრივი მოსახლეობაა, ვიდრე ქართველები ვართ საერთოდ მთელ მსოფლიოში!

ქუთაისის საავტომობილო ქარხანაც კი მუშახელს სანთლით დაეძებს და.., რას არ ჰპირდება მის მოსაზიდად: ქალაქში ჩაწერას, ბინას, მანქანას, ხანმოკლე დროის გავლისას უმაღლესში მოწყობასაც კი (ჰმ! კიდევ უკვირთ, რატომ ცარიელდება, ამ შემთხვევაში დასავლეთ საქართველოს სოფლებიო)...

ასევე რუსთავის ქარხნებიც...

ყველაფერ სხვას რომ თავი დავანებოთ, ყოველწლიურად საქართველოდან ათასობით ტალიკ-ტალიკი ბიჭი თუ წავა ჩრდილოეთსა თუ აღმოსავლეთში, ციმბირსა თუ შუა რუსეთში, საცხოვრებელ-დასამკვიდრებლად, საცოლეებს ასე თათარიახნად აქედან ხომ არ წაიყვანენ? რა ქნას მაშინ ათასობით აქ დარჩენილმა ქართველმა ქალიშვილმა, ვისზე დათხოვდნენ? ერთმანეთზე?!

...არა, იმ ქართველი ჭაბუკებისათვის ჩვენი უფროსი რუსი დები სასიძოებისა და მათ შთამომავალთა ეროვნული სახის წასაშლელ-დასაკარგავად ხომ არა ჰყავთ გამიზნული?!

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ, როცა დაღესტნელმა აგაევმა „წინადადება შემოიტანა", უკვე დროა ერთ ენაზე, რუსულად ვწეროთო ყველამ, მაგრამ რაკი ის მხოლოდ დოცენტი იყო და თავისი „საბჭოთა პატრიოტული" შეძახილიდან არაფერი გამოუვიდა, ახლა კი მეცნიერულად გააზრებულ მიგრაციად მონათლულ, ამ დიდი მასშტაბით „ძმურ გადაადგილებაში" უკვე პროფესორ რიბაკოვსკების ოინბაზურად მოფიქრებული, მაგრამ მაინც სულ იოლად გასაშიფრავი მზაკვრული ხელწერა ხომ არ ურევია?!

აჰა, კიდევ ერთი სანდო ამონაწერი:

„მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა ზოგიერთი რაიონის სოფლებში, სადაც უკვე რამდენიმე წელია სიკვდილიანობა სჭარბობს შობადობას".

(ოფიციალური შერბილებული „ზოგიერთი“ ჩვენს ცენ-ზურაგაუვლელ ენაზე ნიშნავს, ცხადია, მ რ ა ვ ა ლ ს).

მე ამას სამი წლის წინათ, „შავი წიგნის“ წერისას, მხოლოდ ვვარაუდობდი, საუბედუროდ, სინამდვილე გამოდგა...

ჰოდა, ჩვენ კიდევ ხელოვნური დაქსაქსვა, გამეჩხერება, აყრა და ცხრა მთას იქით დასახლება-ათქვეფა შეგვინარჩუნებს ქართველობის ერთ მთლიან სახეს?!

და როცა შენ თვალწინ ასეთი საზარელი დემოგრაფიული სურათია გადაშლილი, განა გაგემტყუნება, თუ შეძრწუნდები და სასოწარკვეთილი წამოიკივლებ, —

არასოდეს,

ა რ ა ს ო დ ე ს,

მთელი ჩვენი არსებობის ისტორიის მანძილზე არასოდეს, დიდი ჭირიანობის დროსაც კი, არ ვყოფილვართ ქართველები ასეთი განსაცდელის წინაშე,

არასოდეს, არასოდეს არ შეგვიხედავს ასე ახლოს თვალებში სიკვდილისათვის,

და ჩვენ კიდევ ამ დროს ჰარი-ჰარალოს უნდა გავიძახოდეთ და ტაშ-ფანდურს ვუკრავდეთ?!

რუსთაველის თეატრის საზღვარგარეთის გასტროლები და „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდი, სუხიშვილის ცეკვის ანსამბლი და პრიმიტიული კინოსურათი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ გვიხსნიან ჩვენ და ჩვენს მიწასაც დაღუპვა-დასამარებისგან?!

ისე არ გამიგოთ, თითქოს მოვუწოდებდე, — არ ვიმღეროთ, არ ვიცეკვოთ, თეატრის კარიც გამოვიხუროთ და უკვე შავებით შევიმოსოთ და პანაშვიდიც გადავიხადოთ,

არა, მაგრამ...

Стыдно народу в годину горя
Красу небес, долин и моря,
Ласку милой воспевать.

(ამ სტრიქონებში მხოლოდ ერთი სიტყვა შევცვალე მეორით, — ნ. ნეკრასოვის უკვდავმა აჩრდილმა, არა მგონია, ამისათვის დამიცაცხანოს და გამკიცხოს).

ერთმა შედარებით ახალგაზრდა მწერალმა-ქალმა, გაუთხოვარმა და უშვილომ, სულაც არაბრიყვმა და არააფრაკმა, მითხ-

რა, რაკი მომავალი არ გვიწერია, ისტორიას მაინც რომ შემოვრჩეთ, ახლავე დავიხოცოთ როგორც რაინდებიო...

მე მას შუბლზე ხელი დავადე და ერთობ შევწუხდი, რაკი სიცხე არ ჰქონდა... ჰმ...

რა რაინდობაა შენი მიწა, შენი ცა, შენი კერა, შენი ეზოკარი შენი აღსასრულის მომლოდინე და მიდარაჯებულ მოძულეს დაუტოვო?!

თუ...

ისტორიას უფრო იმით შემორჩები და რაინდობაც ის იქნება, თუკი სიკვდილთან პირისპირ მდგომი ჯერ კიდევ შემორჩენილ ეროვნულ ენერგიას სატკბარუნო ცხოვრების ნუგბარზე არ დაახურდავებ და თავს არ დაიმშვიდებ უცხო მომსვლელ-წამსვლელთა შენი ქვეყნისა და შენი ხალხის თუნდაც გულწრფელი, მაგრამ უსაფუძვლო განდიდებით; არსებობის მიწურულს მაინც, გონებას მოიკრებ და საქართველოს მარად და მარად სასიცოცხლოდ წმინდა ვიორგის ლახვარს აღმართავ...

ღვთის მადლით, ამ ლახვარს, ქართველი ერის ძველად მრავალნაცადსა და უერთგულეს მეგობარს, ძებნა არ სჭირდება, თხოვება არ სჭირდება, ალესვა არ სჭირდება, იგი ჩვენს ხელთაა, მოიხმარე ოღონდ...

ჩვენს გამოსაღვიძებლად საამისო ზარი ადრეც არაერთხელ შემოვკარი, და თუ ერთხელ კიდევ ახლაც შემოვკრავ, ზოგისათვის მომაბეზრებელი გამეორებისათვის, არც პატიებას ვითხოვ და არც ბოდიშს მოვიხდი:

— ეს არის პირადი მაგალითი!!!

ყველგან და ყველა საქმეში პირადი მაგალითი გადარჩენახსნის ლამპარივით უნდა მიგვიძღოდეს წინ, უპირველეს და უზენაეს მიზნად ეს უნდა გვასულდგმულებდეს, —

ყველას!

ყველა ქართველს საქართველოში და მის გარეთაც, — აბაშიძე — ბუაჩიძე — გაბუნიათი დაწყებული შევარდნაძე—ჩოჩია—ჯიჯეიშვილით დამთავრებული!

ჩვენს ბედში მყოფთათვის სიკვდილის დამარცხება მხოლოდ სიცოცხლეს შეუძლია, ასიათასობით ჩვილი ბავშვის სიცოცხლეს!

სხვა არაფერს და არავის!

ყველას სიკვდილმა გვერდით ჩამიარაო,
შვილის სიკვდილმა გულს გამიარაო.

ანდაზა

ჯერ კიდევ 1967 წელს მოსკოვის ჟურნალის „Наука и жизнь"-ის მეექვსე ნომერმა გვაუწყა, საქართველოში ყოველწლიურად ნახევარ მილიონზე მეტი აბორტი კეთდებაო...

(სულ ახალი მინაწერი: მოსკოვის გაზეთ „Труд"-ის (1. 09. 90) ცნობით, ინგლისში ყოველწლიურად აღირიცხება 165 ათასი აბორტი (მოსახლეობა — 55 მილიონი); დასავლეთ გერმანიაში — 89 ათასი (მოსახლეობა —61 მილიონი); იტალიაში —200 ათასი (მოსახლეობა 57 მილიონი), კანადაში — 63 ათასი (მოსახლეობა — 25 მილიონი); ფინეთში — 13 ათასი (მოსახლეობა 5 მილიონი)...

ეს ციფრები მომყავს შესადარებლად: ხუთმილიონიან საქართველოში კი...).

...თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ამ ბოლო 15 წლის მანძილზე ქართველთა შობადობამ მკვეთრად და მკვეთრად იკლო, ზუსტი სტატისტიკური მონაცემების მოშველიებაც არ არის საჭირო იმ დასკვნის გამოსატანად, რომ ჩვენში ახლა აბორტების რიცხვი იმ ნახევარ მილიონსაც უკან ჩამოიტოვებს.

ამ ნიადაგზე რეალური საშიშროებაც კი იქმნება, რომ წინათ დიდად ქებული ქართველი ქალი საერთოდ დაკარგავს ქალის ფიზიოლოგიურ დანიშნულებას და გადაგვარდება არა მარტო როგორც ადამიანი, გადაჯიშდება როგორც დედაც — სიცოცხლის საწყისი...

ო, ბედო უბედურო, რამდენს ვიცნობ ისეთ ახლად მოლოგინებულს, რომელიც არც ბალერინაა და არც კინომსახიობი, თვალს რომ არ შეაჩერებ არც მის „ტანწერწეტა ფიგურაზე"

და არც მის კაზმულ სახეზე, მაგრამ საერთო მიბაძვა-წამხედურობით ჩვილისათვის ძუძუს მიცემას რომ გაურბის...

ერთი, 30 წლის ერთშვილიანი ქალი გამომიტყდა, უფრო კი, ალბათ, წამოსცდა, დღემდე 43 აბორტი მაქვს გაკეთებულიო... ბოლო დროს კი აბორტის საფასურმა ოცი-ოცდახუთი მანეთიდან ორმოცდაათს მიაღწია, და ეს სულ ერთია—კერძოსთან იკეთებ თუ „სახელმწიფოსთან", მათ შორის რაიმე განსხვავება არც არსებობს...

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.):... ახლა თურმე ას მანეთს მანეთსაც არ უკლებენ!).

გასავალი გასავლად, მაგრამ ოჯახისა და სამშობლოს პირდაპირ ღალატზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ამ „კეთილშობილური ოპერაციით" თავს რომ ისახიჩრებ, იმწარებ სიცოცხლესაც, რომელიც არ თავდება 35—40 წლის მიჯნაზე...

სწორედ ერთი ამათგანი იქნებოდა ის, რომელსაც ეჰვი არ ეპარებოდა, მისი დალხინების მზეს შავდღიანობის ღრუბელი არასოდეს გადაეფარებოდა, მაგრამ...

„მენატრები, დავიგვიანე, მეც მალე მოვალ..."

ადვილი შესაძლებელია, საფლავის ქვაზე ამას არ წააწერდა და არც იმქვეყნად წასვლას აიჩქარებდა, ამქვეყნად იმ ერთის გარდა სხვა შვილებიც რომ ჰგულებოდა...

ყოველდღიურ, ჩვეულებრივ ამბებად გადაგვექცა მკვლელობები, ავტოკატასტროფები, ლოთობა და ნარკომანობა, იმატა ახალშობილთა შორის გონებასუსტებმა, ფიზიკურად მახინჯებმა, კარი შემოგვიღო ავღანეთიდან თავდახურულმა თუთიის კუბოებმაც (ამ ნიადაგზე ერთი დედა ისე გადაქანდა, სამარის კარამდეც ვერ მიაცილა... „ჩემო ერთადერთო იმედო, ჩემო ერთად-ერთო სიცოცხლევ...").

ჩვენი ეს ბედშავობა კიდევ იმით ორკეცდება, რომ, რაც დრო გადის, ამ მხრივ ჩვენი „ცა-ფირუზი" კი არ იწმინდება,— იქუფრება უფრო...

და ასეთ დროში ერთი და ორი შვილის იმედად დადგომა, თუნდაც რვამილიონიან შვეიცარიასავით სტაბილური და ერთეროვანი ვიყოთ, არც ვიკლებდეთ — არც ვიმატებდეთ და, მა-

შასადამე, გათელვით არც არავინ გვემუქრებოდეს, მაინც საბედისწერო შეცდომაა, უწინარეს ყოვლისა, თვით მშობლებისათვის, აკი შენი ერთადერთი და, თუნდაც, ორი სასოება როდის და სად წამოჰკრავს სასიკვდილო ხიფათს ფეხს, — ეს მაღალმა ღმერთმაც არ უწყის...

ამ ბოლო დროს სხვა, ჩვენსავით მცირერიცხოვანი ხალხები ეროვნული თვითშეგნებით კიდევ უფრო და უფრო იმსჭვალებიან, ჩვენ კი ნაბიჯ-ნაბიჯ იმასაც ვკარგავთ, რაც ნაწილობრივ კიდევ შემოგვრჩენია.

ჩვენ თავი მოგვაქვს, — ზოგჯერ სამართლიანადაც, — საქართველოს გარეთ ჩვენი წარმატებებით თეატრალურსა და კინოხელოვნებაში, მხატვრობაში, სპორტში, ქალთა ჭადრაკში...

ჰოდა, თუკი მართლა „ყველაფერში" ვჩანვართ, ამიტომ განა დასაძინებელი ნანა უნდა ვუმღეროთ ჩვენს თავს, თუკი პირიქით — კიდევ უფრო უნდა შევწუხდეთ იმის გამო, რომ ასეთი გამორჩეული ერი — ერთი მხრივ უპკუობით, მეორე მხრივ ნიჭიერებით — თავისივე ნებით ეთხოვება სამსოფლიო საწუთროს...

აგერ ახლა ჩვენმა საოპერო თეატრმა „მთელი" მოსკოვი გააცეცა, და ეს რაღაც ორწლიანი გარჯის შედეგად ლეოპარდისებური ნახტომი გააკეთა გამოუქცევლად...

გამოუქცევლად-მეთქი იმიტომ, აკი ეს ცეცხლი ააგიზგიზეს 18 წლის მანძილზე საცოდავად და სავაგლახოდ მიმქრალ კერაზე...

ვის შეეძლო ეს? ამბობენ, მხოლოდ მირონცხებულ ხალხსო... და ჩვენ ამის შეგრძნება ყველას გვახარებს, ეს ჩვენთვის დიდი საერო დღესასწაულია...

ჰოდა, რა ბიჭი და რა ქართველი ხარ, ყელს თუ არ მოიღერებ .. მოიღერებ, ცხადია, თანაც უფრო მეტადაც, რაკი იცი, რომ ეს ქება, ჩვენთვის არცთუ უცხო „ილეთის" მეშვეობით, ღვინო-კონიაკის ძღვენით კი არ მოგიპოვებია, — ნამდვილი, ანკარა, პირწმინდა ხელოვნებით!

დიახ, ეს დღეს, დ ღ ე ს, ხვალ კი... ხ ვ ა ლ რა მოგველის? ხვალ რა დახლი დაგვიდგება?

ჩვენი ორმაგი ტრაგედიაც სწორედ ის გახლავთ, რომ თავისი ეროვნებით მოამაყე და თავმომწონე ხალხი თავისივე ერ-

ოვნული მოუსაზრებლობით, სიბეცით და უგუნური გულდამ-შვიდებით დღითი დღე შაგრენის ტყავივით ილევა და მცირდება, მცირდება და ილევა, ცულით და წერაქვით მისდგომია რა თავისივე საძირკვლის დედაბოძს და ურტყამს და ურტყამს, ურტყამს, რაც ძალი და ღონე აქვს...

თითქოს პირიქით უნდა ხდებოდეს: ჩვენი პატარა ქვეყნის მის საზღვრებს იქით ასეთი საყოველთაო მოწონება-აღიარება ჩვენს გულში ეროვნულ ცეცხლს კიდევ უფრო უნდა აძლიერებდეს, და ჩვენც ამ ცეცხლს სულს კი ვუბერავთ, მაგრამ არა იმდენად მის გასაღვივებლად, — უფრო ჩასაქრობად...

ისეთი შთაბეჭდილება გრჩება კაცს, თითქოს ახლა უფრო მეტს ვზრუნავდეთ პრაქტიკულად ჩვენი ისტორიული ძეგლების დაცვასა და რესტავრაციაზე, ვიდრე, მათი შემქმნელთა დღევანდელი შთამომავლების სამარადისო სიცოცხლის შენარჩუნებაზე...

კი, მაგრამ... თუკი ჩვენ აღარ ვიქნებით, ვისთვისღა გვინდა, თუნდაც ჩვენი გმირული ისტორია და თუნდაც ჩვენი ხელთუქმნელი ძეგლები? ბაგრატის ტაძარი და დიდგორის მემორიალი? ჩვენი „მზიური“ და ჩვენი განახლებული ძველი თბილისი? ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი და ქართული ენციკლოპედია? იმათთვის ხომ არა, რუსთავის ბაზარში ერთმა ჩვენმა მარნეულელმა „დამ“, შეკინკლავებისას, თავის ქართველ „დას“ პირში რომ მიახალა, შაჰ-აბასს თქვენ უფრო მეტი უნდა ამოეწყვიტეთო?!

მართალია, ეს ბაზარში ითქვა, მაგრამ,-აბა, რომელმა ეკონომისტ-დემოგრაფმა არ იცის, რომ ცხოვრების ბარომეტრს ბაზარი უფრო სწორად განსაზღვრავს, ვიდრე ფერადი ტელევიზორი, სადაც, დასტურ, ახლახან ერთმა ნაიუბილარმა, ერთ შვილიშვილიანმა პოეტმა, რომლის პოეზიამაც, როგორც გაზეთებმა გვამცნეს, „ჩვენს წინაშე უ დ ი დ ე ს ი პოეტური სამყარო გადაგვიშალა“, უყანწოდ შესძახა: „ჩვენს გამრავლებას გაუმარჯოს!“

პრესისა და ტელევიზიის შეგონებით, მათი მოწოდებებით დედაქალაქის ტროტუარებზე ასე ხშირად ადამიანების გამახეიბრებელ, თავღია ჭებისთვისაც სახურავებიც ვერ დაგვიხურავს ჩვენ, ქართველებს და... გამარჯვების შეძახილით გაემ-

რავალშვილიანდებით ანდა გავმრავალშვილიშვილიანდებით?! „სამშობლოზე ფიქრი ნუ მოგვეშალოსო“, — უბედურება ბედნიერებაზე ფიქრებით შეიცვლება?!

ქართველი ხალხის გასამრავლებლად და, მაშასადამე, საქართველოს შესანარჩუნებლად, ახლა ვერც ტიბაანით პირთამდე სავსე ყანწით სადღეგრძელოს შესმა გვიშველის და ვერც თუნდაც მოსეს ტოლა მესიაც მოგვევლინოს...

ერთი მესია, ე რ თ ი...

რუსთაველის აკვნის დამრწევ ქვეყანას თუ ყველა ჩვენ ე რ თ ა დ არ მოვევლინეთ მესიად, ჩვენი არსებობის უკუღმა დატრიალებულ ჩარხი წაღმა ვეღარ შეტრიალდება...

რას ვიფიქრებდი, სიტყვა ასე თუ გამიგრძელდებოდა...

თავდაპირველად „შავი წიგნისათვის“ სულ რაღაც ათიოდე გვერდის დამატებას ვაპირებდი, რათა ერთ აგრესიულ ბარათზე მეპასუხა... ამ პასუხს სხვა რამ მოჰყვა, იმ სხვას კიდევ სხვა და... როგორც ხედავთ, პირველ წიგნს გვერდით მეორე წიგნი ამოუდგა, რომლის კომპოზიცია-მორთვა-მოკაზმულობას, მართალი გითხრათ, განსაკუთრებულ ყურადღებას არც ვაქცევ: როცა სახრჩობელაზე თავი ყულფში გაქვს გაყოფილი, იმაზე როდიღა ფიქრობ, ამ ქვეყანას მელოტი ეთხოვები თუ თმახუჭუჭა...

ეს კი არის, „შავი წიგნის“ დაწერიდან სამი წლის შემდეგაც მის ამ მეორე ნაწილში —„შავზე შავ წიგნში“ კიდევ უფრო განმიმტკიცდა, გამისალკლდევდა პირველში გამოთქმულ-ჩამოყალიბებული ის აზრი, ის რწმენა, რომ ჩვენი მხსნელი, ჩვენი მშველელი, ჩვენი გადამრჩენი, ქვეყნისა და ერის ამომგდები წამხედურობის ამომშანთავი ისევ და ისევ და მხოლოდ და მხოლოდ

პირადი მაგალითია,

პ ი რ ა დ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ა,

პირადი მაგალითია!!!

და მრავალი სხვა ის ზომა, რომლებზეც არაერთხელ მოგახსენეთ, და რომელთა კიდევ უფრო შევსება-გამდიდრება-გა-

ფართოება, პირადი გამოცდილებისა და დაკვირვების მიხედვით, ყველა ჩვენგანს შეუძლია.

...და თუ სიბრძნე დაგვეთანამგზავრება და ასე მოვიქცევით, მერწმუნეთ, დიდი ილია ზეშთაგონებული შემოსძახებს:

„ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა!“

ვისთვის კვდები, ვერ მიხვდები. თუ
სოფელსა მოიძულებ.

რუსთაველი

ამ ხუთიოდე წლის წინათ ჩვენი დედაქალაქის პირველ გაზეთში ამოვიკითხე:

„21-ე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოს ქალაქებში იცხოვრებს დაახლოებით 3,8—4 მილიონი კაცი, ანუ რესპუბლიკის მოსახლეობის 60—65 პროცენტი.

21-ე საუკუნის დამდეგისათვის საქართველოში სოფლების რიცხვი 35 პროცენტით შემცირდება"...

ამ ცნობას სახელმწიფო დაწესებულება გვაწვდის და, სატირალი და სავალალო ის არის, რომ მასში გულისწუხილი როდია ჩაქსოვილი, პირიქით — ჩვენი დიდი ეროვნული ტრაგედია ერთგვარ ოპტიმისტურ ჩარჩოშია ჩასმულ-მოვარაყებული.

კი, მაგრამ, რით არის ეს სასიხარულო? ქალაქების ასეთმა მომძლავრებამ მოგვიტანა კი რაიმე სიკეთე? ვთქვათ, ჯანდარში ანდა კავთისხევში თუ არ აიმართება ჩარხსაშენი ქარხანა, ამით საქართველოს ვითომ ბევრი რამე დააკლდება? ჩარხებს ჩვენზე უკეთ სხვა რესპუბლიკებში დაამზადებენ, მაგრამ ვაზს იქ ვერც მოაშენებენ და ვერც მოუვლიან და ვერც ღვინოს დააყენებენ კახური წესით, ვერც ციტრუსებს გაახარებენ და ვერც ჩვენებურ ხეხილს ახეირებენ...

და ამას არა იმიტომ, რომ იქ ჩვენზე ნაკლებ გამრჯე ხალხია, — ჩვენ საამისოდ მიწა-ნიადაგიც გვიწყობს ხელს და ჰაეაც, აგრეთვე ძველისძველი ტრადიციებიც.

ეს ტრადიციები კი ახლა, სოფლის მოსახლეობის შეთხელების გამო, თანდათან ხელიდან გვეცლება, და აგრეთვე იმ საყოველთაო ნაძალადევი, თავის მოსატყუებელი სწავლა-განათლების გამოისობითაც; ამ „განათლებულებს", სოფლად ფე-

ხადგმულებსაც კი, — ძროხა უკვე ბიზონად ეჩვენებათ, მოწველით კი... ო-ო, თუნდაც თავი დაიმცირონ და იკადრონ, საიდან მიუდგნენ ჯიქანს და როგორ მობანონ, — ეს მათთვის თავსატეხი, ამოუცნობი გამოცანაა...

დიახ, თუ კიდევ ასე განვვითარდით „კულტურულად" (შეჩერებას კი როგორღაც პირი არ უჩანს!), მაშინ მომავალი საუკუნის დამდეგისათვის 35 პროცენტი რა არის, — უფრო გამაჩანაგებელ მაჩვენებელსაც უნდა ველოდეთ.

შეჰფერის და ეპატიება კი ქართველ კაცს სოფლის მიგდება-მიტოვება? არის კი ამაში გონიერების რაიმე ნასახი? მთელ საქართველოს რაღაც 8—10 საათის განმავლობაში აღმოსავლეთის საწყის წერტილიდან დასავლეთის ბოლო წერტილამდე გადასერავ... აი იმით, მე რომ ბორბლებიანი კუბო შევარქვი, და ეს კუბო უკვე ათიდან თითქმის ყოველმა ერთმა მოვიმარაგეთ და მალე ეს ათი, ალბათ, ხუთზეც ჩამოვა... თანაც ჩვენ ხომ ისეთი ჭკუადატენილი ვაჟკაცები ვართ, რომ არც ყოველსაათობრივი, საზარელი ავტოავარიები გვაფრთხობენ და არც უვარგისი გზები...

...და მაინც, შენ, რაჭველმა კაცმა, თბილისისათვის შენი მშობლიური, კურთხეული მხარე რომ მიატოვე, ვითომ არ შეგეძლო, იქ კერია არ ჩაგექრო და შაბათ-კვირაობით მაინც ცეცხლი ისევ გაგეჩაღებინა? საამისოდ იქით-აქეთ მისვლა-მოსვლაში რა ბევრი დრო დაგეხარჯებოდა, სამაგიეროდ შენს სიცოცხლეს ერთ კვირაში სულ ცოტა, დღე-ნახევარი მაინც შეემატებოდა...

...ანდა შენ, იმერელო, ქუთაისში რომ ცხოვრობ და პატრიკეთი და ქვიტირი შენს ყურის ძირშია... ან შენ, კახელო, ქართლელო, მეგრელო, გურულო, სამურზაყანოელო, სვანო, ლეჩხუმელო... რატომ ვივიწყებთ, რომ საქართველო ერთი ხელისგულის ოდენა ქვეყანაა!

წინათ ერთი მტკაველი სადავო მიწისათვის ძმა ძმას თავში კეტს უბაზუნებდა, ახლა კი აბიბინებულ ეზო-გარემოს თავის სახლებიანად ეშმაკებს ვუტოვებთ და გავრბივართ იმის იმედით, რომ ასფალტი გახდება ჩვენი დედამარჩენალი...

მარქსისტები ერთ დროს ასეთ მიგრაციას მშრომელი მასე-

ბის გალატაკებით ხსნიდნენ, საინტერესოა, ახლა მას რა ახსნას გამოუნახავენ?!

თავად კომუნისტური საზოგადოება ხომ არ არის ხელშემწყობი, რომ გლეხი გლეხურ შრომას გადაეჩვია და მიწის მალმერთებელმა მიწა შეიჯავრა? სულ აგერ ახლა გაზეთ „კომუნისტში“ ამოვიკითხე ბრალდებისებური, — თბილისის ახლომახლო სოფლებში ხალხი არც ძროხას და არც სხვა საქონელს აღარ ყოლიობს, ერცხვინებათ კიდეც თითქოსო...

ო, საწყალი ეს ხალხი!..

მბრძანებელი ერთეულები ჯერ ურემს გადააბრუნებენ და მერე ამ გადაბრუნებაში ბრალს ისევ ხალხს სდებენ, ამას კი თავის გასამართლებლად ხმაც ვერ ამოუღია: არა ვართ, ბატონებო, ჩვენ დამნაშავე, არა ვართ...

ისტორიკოსები კი ივიწყებენ, მაგრამ ხალხი არ ივიწყებს „კვადრატულბუდობრივი“ და „აგროგოროდების“ დიდ ხუროთმოძღვარს ნიკიტა ხრუშჩოვს... არც მის მოწოდება-ბრძანებას ივიწყებს, კერძო მესაკუთრეების ძროხა და ხარი, ცხენი და ვირი...

(სხვათა შორის, ეს ერთობ სულგრძელი, კეთილშობილი ცხოველი, რომელსაც ქართველი კაცი, შინაურობაში, საალერსოდ დიდყურას ეძახის, ლიტერატურაში კი, თითქოს ბოდიშის მოსახდელად, სახედრად იხსენიება, აღმოსავლეთ საქართველოში, ჯერ კიდევ ხრუშჩოვის ამ გამანადგურებელ დაყროყინებამდე, ჩვენი ადგილობრივი იმდროინდელი ბრძენი ხელმძღვანელების მიერ უკვე დიდი ხნის „მომსპარი“ იყო; მათი საყოველთაო ლიკვიდაცია კი ვირების სატახტო გომურიდან, წყნეთიდან დაიწყო, — ან კი, აბა როგორ გნებავდათ, ქვეყნის ტვირთმაშვრალნი საღამოთი აგარაკს ამობრძანდნენ და... გზა-ბილიკი მათ ვირებმა გადაუღობონ?!).

...დიახ, ძროხის ყოლა-მოვლით თავი რატომ უნდა აიტკივოთო, გვიფრთხილდებოდა ნიკიტა, — რძე გინდათ? „პაჟალუსტა“, მიაკითხეთ, როცა კი მოგესურვებათ, კოლმეურნეობას და უმალ ჩამოგისხამენ, ლიტრა რას მიქვია, გნებავთ ბიდონებითაცო...

ჩვენც მივაკითხეთ ხოლმე და რამდენჯერაც მივედით, იმ-

დენჯერ... რძე არა, — ტკიცინ-ტკიცინა დადგენილებები, ხრუ-შჩოვის ხელმოწერით, აგვაფარეს ტუჩებზე...

ჰოდა, სახელმწიფოს ასეთი მეთაური კიდევ სტალინს კი-ლავდა, სოფლის მეურნეობის არაფერი გაეგებოდაო...

სტალინს სოფლის მეურნეობის თეორიისა და პრაქტიკის რა გაეგებოდა და რა არა, ამაზე დაე გამოცდილმა ეკონომის-ტებმა გვიპასუხონ, მე კი ჩემდა თავად ვიტყოდი, სოფლის მე-ურნეობის ჩვენი მოდელი ზუსტად არც ერთ სოციალისტურ ქვეყანას არ გადაუღია და იქ სურსათის ნაკლებობა, ასე თუ ისე, არც იგრძნობა.

მეფის რუსეთი სახნისით მოყვანილი პურით მთელ ევრო-პას კვებავდა, ჩვენ კი ახლა, ტრაქტორ-კომბაინებით გალაღე-ბულთ, ამერიკა-კანადა, ცოტა არ იყოს, გვამადლის კიდეც, რომ პურს ყიდის ჩვენზე, თანაც მათივე მუხლმაგარი დოლარებით, და არა ჩვენი მომაკვდავი მანეთებით...

ყოველივე ეს იმის ბრალია, რომ მიწის მუშას პრესტიჟი გამოეთხარა და სოფელს — საძირკველი... იმდენად გამოეთხა-რა, რომ...

აი, ჩემი ძმისწული, ქალაქელი ახალგაზრდა და თავის დრო-ზე ცნობილი მამის შვილი, სოფლად დასახლდა, რათა რვა შვილის გამზრდელი ბებიისა და ბაბუის ნაფუძარი არ გაპარ-ტახებულიყო, და ეს მისმა მამიდებმა არათუ საზარელ, ოჯა-ხისათვის სამარცხვინო, თავმოსაჭრელ ტრაგედიადაც მიიჩნიეს („ბენიტოს შვილი მიწას უნდა ჩიჩქნიდეს?!"), თვითონ სოფელ-ში კი მითქმა-მოთქმა ატყდა, ალბათ რაღაცა დააშავა და ქალა-ქად ცხოვრება ეკრძალებაო...

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას უინსტონ ჩერჩილ-მა, დიდმა პოლიტიკოსმა და დიკენსისა და სომერსეტ მოემის ფონზე, ალბათ საშუალო რომანისტმა, ომი რომ მოიგო და პრე-მიერ-მინისტრად მაინც აღარ აირჩიეს, — ცხენები მოაშენა; ჟან გაბენმა კი, მსოფლიოში ცნობილმა ფრანგმა კინომსახი-ობმა, ამ რამდენიმე წლის წინათ მეძროხეობას მიჰყო ხელი და საქონლის სადგომიდან ფუნაც კი თავისი ხელით გაჰქონდა; ჩემმა ერთმა ნაცნობმა ქალმა კი, რომელმაც თეატრალური ინ-სტიტუტი დაამთავრა და ამ დამთავრების შემდეგ, უსაქმური, დიპლომს სულ მარაოსავით აფრიალებს, რომ ყველამ დაინა-

ხოს, თუ რა განათლებულია, — სოფლად შემთხვევით მოხვედრისას, ზიზღნარევი ხმით „წაიმონოლოგა“:

— ო-ო, ვერ ვიტან ეზოში ქათმებს, მათ სკინტლი იციან. მას უთხრეს-ურჩიეს, მაშინ ადექით და მოაშენეთ ანგელოზებიო...

აგერ ახლა ჩვენი გაზაფხულისათვის უჩვეულო თოვლი რომ მოვიდა, „მოამბეში“ დიქტორმა მხნე და სიამაყით აღსავსე ხმით გვამცნო:

„...და მაინც, კახეთში ერთი წუთითაც არ წყდება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები“.

და თუ თქვენ ამის არ გჯერათ, „პატივცემულო ტელემაყურებლებო“, მაშინ... აჰა თქვენ, კინოდოკუმენტიც: დათოვლილ ზვარს ბარავენ, და რა გასაკვირია, თუ წვალებით და ზედაპირულად ბარავენ თავსაფრიანი, შავებით შემოსილი, გამხდარი ხნიერი ქალები... იმ არემარეზე ერთი შარვლიანის ჭაჭანებაც არა ჩანს, ვაჟკაცს ვინ ჩივის, — არც ხანში შესულისა...

გულისა და გონების ეს დამთუთქველი კადრები არც ოპერატორს გადაუღია განგებ და არც ტელევიზიის ფხიზელ ცენზორ-რედაქტორებს გაჰპარვიათ, — მათი თვალები და მათი გონება ასეთ ამბებს უკვე იმდენად ნორმალურად აღიქვამენ, რომ მათში სულაც ვერ ხედავენ ჩვენი ხალხის დღევანდელ შემზარავ და ახლო მომავალში კიდევ უფრო საზარელ სურათს.

სხვათა შორის, იმ კახელმა შავოსანმა დედაკაცებმა, რომლებმაც, ცხადია, მშვენივრად იცოდნენ, მათ წინ გადაღმლები აპარატის სახელურს რომ ატრიალებდნენ, — თავიანთ გადაღლილ სახეებზე არაქალური შრომით გამოწვეული ენთუზიაზმი მაინც ვერ გამოხატეს და.. სევდამორეულს ძალუნებურად მოგონდა ერთი ზემოიმერელი, თითქმის საუკუნეს მიტანებული, თავის სიცოცხლეში გაზზე კი არა, — პირდაპირ ცეცხლის პირას კეცზე სამასი ათასამდე ჭადის გამომცხობელი, წერა-კითხვის მცირემცოდნე, ნააზნაურალი, მაგრამ ფაქტიურად გლეხის ქალი, გაზეთში ტრაქტორზე წამოსკუპული კაბიანი ასული რომ იხილა და თქვა:

— რა ქალის საქმეა ტრაქტორი? ქალს დიასახლისობა ამშვენებს... ქალს ექიმობა უხდება, მასწავლებლობა უხდება, არ-

ტისტობა... თანაც ზომიერად... თუ ასე ყველა ქალი საშოვარზე გავრეკეთ, რავა, ოჯახს ქალი აღარ უნდა?!

თუ რამდენად გამოჩერჩეტებული და სკლეროზმოდებული იქნებოდა ამის მთქმელი, საამისო დიაგნოზის დასმა მკითხველისთვის მიმინდვია, ჩემგან კი ნუ ელით, რომ მასზე ვიტყვი, ბებრუხანაო, ვისი მრავალი შვილიდან ერთიც არ გამოსულა ბანდიტი, და არც ქურდი, არც მექრთამე, არც მკვლელი, ლოთი და ნარკომანი...

ისე კი მათთვის, ჩვენ რომ ცხოვრებას გვიადვილებენ და ჩვენს ნაცვლად ფიქრობენ და აზროვნებენ, ვიღაც დედაბრის ნაბჭობ-ნაბოდვარი, აბა, რა ყურადსაღებია!

ანდა, ვინ იცის, ოჯახს ქალი შეიძლება მართლაც აღარ დასჭირდეს, ა? ეს თითქოს გარკვევითაც გამოსჭვივის იმ სამთავრობო სტატისტიკური მონაცემებიდან, რომელთა მიხედვითაც ამ საუკუნის ბოლოსთვის და, თუ ჩვენი საქმე საერთოდ კარგად წავიდა, მაშინ შესაძლოა ამაზე ათი წლით ადრეც, საბავშვო ბაგებსა და ბაღებში, ქალაქად აღზრდიან თურმე ბავშვების 80 პროცენტს, სოფლად კი—60 პროცენტს.

პროცენტი კი აბა რის პროცენტია, თუ არ იპროცენტა, ასე რომ, იმედი უნდა გვქონდეს, მერე და მერე იგი ასამდეც გაიზრდება!..

ჰოდა, ასეთ იდეალურ გარემოცვაში ქალი—დედა ვითომ მაქნისი იქნება კიდევ?!

მე კი, როგორც ჩანს, გონნაკლულსა და დროის სწრაფ მატარებელს დიდი ხნით ჩამორჩენილს, მეგონა და ჩემში ახლაც ვერ ჩამიკლავს ის რეგვენული აზრი, რომ არათუ ჩვეულებრივი, — არაჩვეულებრივი, ბრწყინვალეზე უბრწყინვალესი, განათლებულზე უგანათლებულესი, ადამიანურზე უადამიანურესი კრემლის საბავშვო-ბაგა-ბაღიც კი ვერ შეუცვლის ბალღს დედის გულის სითბოს და მის ფუნთულა ლოყებზე დედის ალერსიანი ხელის მოთათუნებას...

ის წიგნი, რომელიც ორჯერ წაკითხვის ღირსი არ არის, ის არც ერთხელ წაკითხვის ღირსია.

კარლ ვებერი
(გერმანელი კომპოზიტორი, 1786—1826)

საუკეთესო წიგნის შესახებ მკითხველი ფიქრობს, რომ მისი დაწერა მასაც შეეძლო.

პასკალი

დასავლეთ საქართველოში, მთებს შუა გამომწყვდეული მდინარის პირას მდებარე ორქუჩიან დაბაში რაიკომის ბიუროს მორიგ სხდომაზე ერთი ჩემი ახლო ნაცნობი მისთვის სანატრელ თანამდებობაზე დანიშნეს...

და აი ახლა მაჯა და ნაბიჯაჩქარებული მოემართება იგი სოფლის შარაზე, რათა დროულად მიახაროს შინაურებს მისი გადიდებულების ამბავი...

ჭიშკრის შეღებისთანვე... ღმერთო მაღალო, ამას რას ხედავს?! ცოლ-შვილზე ადრე ქივილ-ხივილით და ფრენა-ფრენით, თითქოს მოსალოცად, გარს შემოეხვივნენ ქათმები, ბატები, იხვები...

საკვირველი და გასაოცარი ჩემთვის ის იყო, — მიამბობდა მოგვიანებით იგი, — ამ ბენტერა ბატებმა მაინც ასე სწრაფად საიდან შეიტყვეს, პურ-ხორბლეულის საწყობში რომ გამამწესესო...

დიახ, დრო დაგვიდგა ისეთი, რომ ახლა ჩვენში არათუ ადამიანებს, როგორც ხედავთ, ქვეყნის ასავალ-დასავალი, თურმე, ბატებსაც აღარ გამოეპარებათ. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუკი არც ჩემთვის დაიმალა ახლობელ ქალთა წრეში ერთი გავლენიანი მანდილოსნის „შავ წიგნზე" კატეგორიულად ნათქვამი, შოვინისტური წიგნიაო.

რამდენადაც ვიცი, საბჭოთა სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, ომის მოსურნე-მქადაგებელი —კი, მაგრამ შოვინისტი თავისუფლების აღკვეთით, ყოველ შემთხვევაში დღესდღეობით, არ ისჯება; სამაგიეროდ ჩვენი ინტერნაციონალური საზოგადოებისგან სასტიკად იკიცხება, და ასეთ გაკიცხვას მერე და მერე, როგორც წესი სიკეთეთა ჩამოსაქვეითებელი ზომების მიღება მოჰყვება ხოლმე.

მე საპრივილეგიო თითქოს ბევრი არაფერი მაქვს, რომ მისი ჩამორთმევით გული დამეთუთქოს, და მაინც, აბა რა სიამის მომგვრელია, თუკი ქართველი კაცი ნაპოლეონის მათაყვანებელი ფრანგი ჯარისკაცის შოვინეს კამპანიაში აღმოჩნდე... ამიტომ, ვფიქრობ, არ დამეძრახება, თუკი შევეცდები თავი ვიმართლო უცხო სიტყვათა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა ლექსიკონის მოშველიებით, თანაც სულ ახლახან გამოცემულით, —ძველში, აბა, ვინ იცის, რა და როგორ წერია (მაგალითად, რევოლუციის შემდეგ მთელი ათი წელიწადი სიტყვა „სამშობლო“, „პატრიოტიზმი“, „პატრიოტულის“ ხსენებაც კი იკრძალებოდა; პრესაში მათ სარკმელი გაუღეს, თანაც ნელ-ნელა და ცოტცოტაობით, 1928 წლიდან, როცა საბჭოთა მფრინავმა ჩუხნოვსკიმ ჩრდილოეთის ყინულებში იტალიელი უმბერტო ნობილეს დაღუპული ექსპედიციის ერთ-ერთი წევრი გადაარჩინა):

> «Шовинизм — буржуазный национализм, проповедь национальной исключительности, противопоставление интересов одной нации интересам всех других наций, разжигание национальной вражды, чувства презрения и ненависти к другим расам и нациям». (Краткий словарь иностранных слов. Москва. 1978 г.)

ჰოდა, აბა ერთხელ კიდევ ქორის თვალი გადაავლეთ ჩემს ნაწერს და ბრძანეთ, განა მცხია მე რამე ბურჟუაზიულობისა, და განა მე ვქადაგებ, რომ ჩვენ, დღევანდელი ქართველები, ყველა სხვა ხალხისაგან გამორჩეული ერი ვართ-მეთქი?

განა „შავი წიგნით“ მე ვაღვივებ ეროვნულ შუღლს, სიძულვილისა და ზიზღის გრძნობას სხვა ხალხების მიმართ, თუკი, პირიქით, თავგამოდებული მომხრე ვარ იმისა, რომ ქართველად ჩავწეროთ ყველა ის, ვისაც გულით ქართველობა უნდა და ვი-

ძმოთ ყველა ისინი, ვისაც ჩვენდამი მოღალატეობის გრძნობა არ ასულდგმულებს?!

„შავ წიგნში“ ჩემი მშობელი ერის იმდენ ბიწსა და მწიკვლზე მაქვს საუბარი, როცა მას წასაკითხავად ვაძლევ ვისმე, თან ვაფრთხილებ, არაქართველს ხელში არ ჩაუგდოთ, ჩვენი სიგლახის ამოკითხვა მას სიხარულის ფრთებს შეასხამს-მეთქი (არაქართველებში ქართველ ებრაელებს, რასაკვირველია, არ ვგულისხმობ); დიახ, ეს წიგნი მაშინ იქნებოდა შოვინისტური, სხვა ერების შეშმა-ჩანთქმას რომ მოძღვრებდეს, მე კი ამის საპირისპიროდ, — ჩვენივე უმკუობით და წინდაუხედავობით მათ თავს ნუ შევაშმევინებთ-მეთქი...

შენი ერის სიყვარული თუ შოვინიზმად გამოცხადდება, მაშინ შოვინისტი ყოფილა ჩინებული რუსი მწერალი, ნაომარი თედორე აბრამოვი, ამას წინათ ოსტანკინოს საკონცერტო დარბაზში ტელევიზიით რომ გამოვიდა და არაერთხელ მკაფიოდ თქვა:

„Советская русская земля... Советская русская земля... Сколько русских гениев полегло в эту войну...“

როგორ? მათში ქართველი, სომეხი, უკრაინელი გენიოსი ერთიც არ გამოერეოდა? თუ პატარძლეულები ანდა ამტარხანელები უფრო მოვალენი იყვნენ მკერდით დაეცვათ სტალინგრადი, ვიდრე რიაზანელ-პენზელებს?!

იაკობ გოგებაშვილის აზრით, „რომელიმე ერის გაქრობა აღარიბებს და ასახიჩრებს თვით კაცობრიობას“ („ბურჯი ეროვნებისა“. გვ. 57).

ჰოდა, თუკი მე არ მინდა, რომ უკვალოდ გაქრეს, თანაც ასეთი კატასტროფული სისწრაფით, ნიჭიერი ქართველი ერი და და ამით სულ ცოტათი, ცო-ო-ოტათი მაინც არ გაღარიბდეს, არ დასახიჩრდეს კაცობრიობა, — განა ეს შოვინიზმია?! სად, რომელ გვერდზე, რომელ აბზაცში ამოიკითხა ამ მანდილოსანმა ჩემი ისტერიკული მიმართვა:

— ჰეი, თქვენ, ქართველებო! თუ გინდათ შეინარჩუნოთ სიცოცხლე და სამშობლო, ფიცხლავ ხელი ხმალს იკარით და დასცხეთ და გადარეკეთ მესხეთ-ჯავახეთიდან სატრაპ პასკევიჩის მიერ ჩამოთესლებული სომხები, კუდით ქვა ასროლინეთ რამ-

დანიმე საუკუნის წინათ ხიზნებად დასახლებულ ოსებსაც ცარიზმის დროინდელი გორის მაზრიდან გაძოყოფილ და სამხრეთ ოსეთად ხელოვნურად შერქმეული ქართული მიწა-წყლიდან, თათრებსაც — ქვემო ქართლიდან, ბერძნებსაც—თრიალეთიდან!..

როგორც ჩანს, თუ დავწერდი, ქართველებო, უკვე დროა, სულ ერთიანად ამოვწყდეთ და ჩვენი წალკოტი ქვეყანა უკვე მოსულებს და აწ მოსასვლელთაც, ჩვენს მესაფლავეებს დავუტოვოთ-მეთქი, მაშინ იგი ზოგიერთის ფხიზელ თვალს, ალბათ, შემაწუხებელ ბეწვად არ მოეჩვენებოდა.

დიახ, არა მგონია, რომ „შავ წიგნს" ეს ამჟამად ბევრისგან (უფრო ყოვლისშემძლე ქმრის წყალობით!) პატივსაცემად მიჩნეული მანდილოსანი, სხვა დროსა და სხვა სიტუაციაში, ამ ნაწერს შოვინისტურად მონათლავდა, ამიტომ დაე ვიყოთ სულგრძელნი და მიმტევებელნი, და ნუ მოვთხოვთ ნურც მას, ნურც სხვებს — მრავალი მიზეზით შებორკილთ — ილაპარაკონ ის, რასაც ფიქრობენ...

განა რომის პაპი გააჩერებს საკურთხეველთან თავის კარდინალს, თუ ის საჯაროდ ეპვს გამოთქვამს ზენაარსის ყოფიერებაში?!

ჰოდა, ნუ გავკილავთ და ნუ დავაბრალებთ მათ სიმხდალეს!.. კერძოდ, ნურც აი მას, გუნებაში არსებითად ისეთნაირ „კომუნისტ-ბოლშევიკს", როგორიც მე ვარ გასრულწლოვანებიდან, ოღონდ განსხვავება ჩვენს შორის ის არის, რომ იგი, როგორც ნომენკლატურის მუშაკი, არ გახლავთ ჯოლღომოლღო ხალხისათვის განკუთვნილი გასტრონომის ჩემსავით შემყურე... ამ ფრიად არაუმეცარ, ფრიად განათლებულ, ფრიად გონებაგახსნილ, იუმორის გამგებ არასქელი ჟურნალის რედაქტორს მე თვითონ მივართვი გასაცნობად „შავი წიგნი", და როცა დაბიბრუნა, ამანაც... შოვინისტურიაო, თუმცა, აქეთ-იქით მიხედ-მოხედვის შემდეგ (ვაითუ, ვინმემ გაიგონოსო) წამიჩურჩულა, ბევრს წააკითხე, ბევრს წააკითხეო...

ამ ჩემი ფრთხილი „თანამოაზრის" რჩევის გარეშეც მე მას არცთუ ისე ცოტას ვაკითხებ და ვავრცელებ, თუმცა მისი ქსეროქსზე გადატანა ძვირი ჯდება, თან ყოველივე ამას გარკვეული შიშიანობაც ერთვის...

კონტრასტისათვის, ვფიქრობ, არ იქნებოდა მიზანშეუწონელი, თუკი გაგაცნობდით ჩემი წიგნის „შოვინისტობის“ თაობაზე რამდენიმე ამონაწერს, აზრს სხვადასხვა პროფესიისა და სხვადასხვა ასაკის მკითხველთა წერილებიდან (მრავალწერტილებით შეცვლილი მაქვს ჩემი მისამართით გამოთქმული ჩემთვის მეტად უხერხული ქების სიტყვები):

ვ. კ. — ომის მონაწილე, გადამდგარი პოლკოვნიკი:

„თქვენი შესანიშნავი წიგნი დიდი ყურადღებით წავიკითხე და დიდი სულიერი კმაყოფილება ვიგრძენი... ასეთი წიგნის დაწერა ჩვენს დროში შეუძლია ნამდვილ ქართველ პატრიოტს, თავდადებულს, მეტად... და ერის სატკივრით გულდამწვარ, ადამიანს. წიგნი გატაცებით იკითხება პირველი ფურცლებიდანვე და ყოველი დასმული საკითხი ღრმა ინტელექტუალური ანალიზით არის დასაბუთებული.

სანამ ბოლომდე წავიკითხავდი, ვიფიქრე, ეს წიგნი უსათუოდ უნდა გაიგზავნოს ზემდგომ ორგანოებში, ბოლოს კი გამოირკვა, რომ იგი უკვე გაგიგზავნიათ კიდეც ამხ. ე. ა. შევარდნაძის სახელზე. დარწმუნებული ვარ, მთელი რიგი საკითხები დადებითად იქნება გადაწყვეტილი“.

ლ. გ. — ერთ-ერთი პრემიის ლაურეატი მეცნიერების დარგში:

„მივესალმები თქვენს გაბედულად რომ წამოჭერით ჩვენი მტკივნეული პრობლემები. ეს კია, მეეჭვება, რომ ცოტნე დადიანი გამოგვიჩნდეს, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო“.

ლ. ც. — ახალგაზრდა მწერალი:

„ვინაც არ უნდა წაიკითხოს თქვენი ხალასი ქართულით და სასიამოვნო სტილით დაწერილი წიგნი, დარწმუნებული ვარ, რომ იგი ყველას ჩემსავით ჩააფიქრებს და აღაგზნებს, გამოაფხიზლებს.

მე ჯერ გაუთხოვარი გახლავართ, მაგრამ, როდესაც მეყოლება საკუთარი ოჯახი, პირობას გაძლევთ, იგი ექვს

სულზე ნაკლები არ იქნება, რა პირობებშიც არ უნდა მომიწიოს ცხოვრება.

ჩემი სურვილია, თქვენი წიგნი რაც შეიძლება მეტმა ახალგაზრდამ წაიკითხოს, რომ სწორედ მათ იგრძნონ, თუ რა საშიშროების წინაშე ვდგავართ, რომ ყველამ უნდა იზრუნოს ერის გამრავლებისათვის, მისი მარადის არსებობისათვის. თქვენი წიგნი კი, როგორც ფასდაუდებელი განძი ოჯახისა, ყოველი ქართველის საოჯახო ბიბლიოთეკაში უნდა იდოს როგორც აუცილებელი და საჭირო ყველა ქართველისათვის".

ქუთათურების სახელით გამოგზავნილი, ახლანდელი დატეხილი პოეზიის თვალსაზრისით, პრიმიტიული ლექსიდან:

მარჯვენას ვუქებ, კალამს ვუქებ,
ვინც სწორად სჯის საუკუნეს,
ვინც ცხოვრებას შუბლგატეხილ
ვაჭრის თვალით არ უყურებს.
კაცი იყო, კაცად დარჩე,
ამ სიკეთეს, აბა, რა სჯობს,
ერის დარდით, ერის დარდით
დამწვარ შვილებს გაუმარჯოს!

დ. ჭ. — მათემატიკოსი:

„...მართალია, თქვენ ამ ნაშრომს თავმდაბლურად, უბრალოდ წერილს უწოდებთ, მაგრამ, სიმართლე მოგახსენოთ, მის ავტორობაზე... (სახელი და გვარი, — ~ კ. ბ.)... უარს არ იტყოდა, ჩვენი დიდი პუბლიცისტი... (სახელ-გვარი)... კი თავის რჩეულ ნაწარმოებებში პირველ ადგილს დაუთმობდა ამ ბრწყინვალე ნარკვევს. თქვენი გონივრული წინადადებები უსათუოდ დიდ დახმარებას გაუწევს ჩვენი ერის გამრავლებას.

...ამ საკითხების მოგვარებას დიდი შემწეობა შეუძლია გაუწიოს ამხანაგ შევარდნაძემ, თუ, რასაკვირველია, გულით მოინდომებს... და ნუთუ არ მოინდომებს? ნუთუ არ უნდა ძვირფას ედუარდ ამბროსის ძეს, რომ სამუდამოდ უკვდავყოს თავისი სახელი?"

რვა შვილის მშობლები, თბილისელი ზ. და მ. გ-ძეები:

„ვკითხულობთ თქვენს წიგნს და ვტირით. ნამდვილად

რომ სატირლად გვაქვს საქმე... მაგრამ ქართველი კაცი პესიმისტი ვერ იქნება, ჩვენ გვაქვს იმედი, დიდი იმედი, რომ ყველაფერი გამოსწორდება“.

ასეთი გ-ძეები თუ იმრავლებენ, მაშინ მართლაც რომ გამოსწორდება!

ლ. კ. — ომის მონაწილე, სამი შვილის მამა; პროფესიასაც დავასახელებდი, მაგრამ ვაითუ, ზოგიერთი მიხვდეს, აკი მის კოლეგებში სამი შვილი, რამდენადაც ვიცი, არავის არა ჰყავს:

„თქვენი წიგნი ჯერჯერობით წინ მიდევს და ვწუხვარ, რომ მალე წამართმევენ. თუ მოვასწარი, მინდა კიდევ ერთხელ წავიკითხო, უფრო გულმოდგინედ.

...არ შეიძლება არ მოეწონოს თქვენი ნააზრევი ქართველ კაცს, თუკი ჭეშმარიტი ქართველია იგი და თქვენსავით ფიქრობს საქართველოს ბედზე, მაგრამ ისიც უნდა ვთქვა... თუ არ ვცდები, ეს სიტყვები დენი დიდროს ეკუთვნის: „მე ბილწად ჩავთვლიდი ჩემს აზრს, თუკი იგი ყველას მოეწონებოდაო“. იქნებ ზოგიერთს მართლაც არ მოეწონოს თქვენი ნააზრევი სხვადასხვა, უფრო კი ეგოისტური მოსაზრებით...

...სულაც არ გამკვირვებია, რომ თქვენს წიგნს არ გამოეხმაურნენ ისინი, ვისაც თქვენ უშუალოდ მიმართეთ, აგრეთვე თანამდებობის სხვა პირნიც... ისინი მხოლოდ ტრიბუნიდან გვპირდებიან ხოლმე აშენებას პათეტიკური სიტყვებით, როგორც სიმთვრალეში გაცნობილ თანამესუფრეს ივიწყებს ხოლმე გამოფხიზლებული. ეს ბევრს შეეხება, გარდა ჩვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელისა.

... პირდაპირ თავზარდამცემია იმის გაფიქრება, რომ 50 წლის შემდეგ საქართველო, თუ არაფერი ვიღონეთ, ერთ მილიონამდე დავა“.

სხვათა შორის, ამ ბარათში ასეთი ფრაზაცაა, რომელიც არ ვიცი კი, რამდენად ესადაგება ჩემს „შოვინისტობას“: „თქვენ გონიერ, ნიჭიერ ხალხად იხსენიებთ სომხებს“.

ექთანი მ. მ-ძე:

„წავიკითხე თქვენი წიგნი მთელი გულისყურით, და როგორ ვინანე სამი შვილის დედამ, რომ 20 წლის წინათ არ მყავდა თქვენისთანა ჭკუისდამრიგებელი. მართლაც, ყვე-

ლა ქართველ ქალს მზითევში უნდა გაატანონ იგი, რომ უფრო კარგად ჩაუფიქრდნენ ჩვენი ერის ყოფნა-არყოფნის საკითხს".

შ. ნ. — ხანშიშესული კინომსახიობი:

„...ამ ჩვენი დიდი ეროვნული გასაჭირის დროს მთავარი მაინც ის არის, რომ ამ წიგნმა ჩვენი რესპუბლიკის ჭკვიან და ენერგიულ ხელმძღვანელამდე მიაღწიოს. გაგონილი მაქვს, როცა მას მოახსენეს — შინაგან საქმეთა მინისტრობისას, — ერთი საზარელი მკვლელობის ამბავი, მომიყვანეთ და შემახედეთ, ვინაა ამის ჩამდენი, კაცია თუ ნადირიო...

ის დალოცვილი, თუკი მკვლელით დაინტერესდა, ნუთუ ამის დამწერის ხილვით არ დაინტერესდება?"

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): არა, „ამის დამწერის ხილვით" არ დაინტერესებულა, და, შეიძლება, უფრო იმიტომ, რაკი იმ დროს, ი მ დ რ ო ს „შავ წიგნში" გამოთქმული ბევრი აზრი ოფიციალურ იდეოლოგიას არ ემთხვეოდა; ეს კია, 1981 წლის წინა ღამეს, კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში, როცა ახალგაზრდობას ახალი წელი მიულოცა, მართალია „შავი წიგნი" არ უხსენებია, — ან კი როგორ ახსენებდა, „ნაციონალისტურ-შოვინისტურ „სამიზდატს!" — მაგრამ საქართველოში დიდი ხნის დუმილის შემდეგ პირველად ჩამოაგდო ტრიბუნიდან სიტყვა ერის ამ დიდ სატკივარზე და მოუწოდა დამსწრეთ გამრავლებისათვის... ფაქტიურად სწორედ ამ დღიდან დაიწყო ამ საკითხზე წერა და ლაპარაკი ჯერ კანტიკუნტად, აქა-იქ, ზოზინ-ზოზინ, მერე და მერე კი ეს ამბავი იმდენად აზღვავდა, რომ ახლა, როგორც ყველამ ვიცით, ქ ა რ თ უ ლ ი დემოგრაფიული საზოგადოებაც კი დაარსდა და მოქმედებს კიდეც).

ახლა ერთ მოკლე ამონაწერსაც „შემოგაპარებთ" იმ ნ ა მ დ ვ ი ლ ი მეცნიერის და ნ ა მ დ ვ ი ლ ი ქართველი მოქალაქის ბარათიდან, რომელსაც მე, როგორც დრამატურგი, მთავარი პერსონაჟის პროტოტიპად თუ გამოვიყვანდი, იმ პიესას სათაურად ვერ დავარქმევდი: „მხდალი—ჩვენი დროის გმირი". („Трус — герой нашего времени").

„თქვენ დაწერეთ არაჩვეულებრივი წიგნი, რომელიც ღირსია იმისა, რომ ყოველი მამულიშვილის ოჯახში იყოს როგორც ძვირფასი განძი. ძალიან არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რამდენ ოჯახშიც ეს წიგნი შევა როგორც საკუთრება და მუდმივად საკითხავი წიგნი, იმდენივე (თითქმის იმდენივე) ბავშვი შეემატება ჩვენს ქვეყანას: ქართველები ერის გადარჩენის მიზნით, არაქართველები კი — ჩვენს ჯიბრზე.

განსაკუთრებული ზემოქმედება მოახდინა ჩემზე თქვენი უანგარო ქველმოქმედების ამაღელვებელმა ფაქტმა. რა თქმა უნდა, ასეთი რამ არც დაესიზმრებათ გააკადემიკოსებულ და გაგმირებულ მწერლებს — ერისადმი სამსახური შემოსავლის წყაროდ ან პირადი განდიდების წყაროდ რომ გადაუქცევიათ“.

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): სტრიქონები, რომლებიც ეს-ეს არის წაიკითხეთ, ამოღებულია მართლაც რომ უდროოდ გარდაცვლილი, ექვსი შვილის მამის, პროფესორ გელა ბანძელაძის წერილიდან).

კიდევ ერთი, ჩემი „შოვინისტობის“ დამადასტურებელი, ერთობ საქებარი სიტყვებისგან გაცხრილული, ასე ვთქვათ, განჩინება რესპუბლიკის ერთ-ერთი საზოგადოებისა, რომლის სამეცნიერო მიმართულებას ვერ გავამეღავნებ, — ვაითუ, მოხვდეს მის მესვეურს, მით უმეტეს, რომ იგი დაბეჭდილია ბლანკიან ქაღალდზე და ზედ მრგვალი ბეჭედიც აზის:

„თქვენი ფუნდამენტური გამოკვლევა „ღია წიგნი“ არის ქართველი ერის გადარჩენისა და ხსნის ნათელი პროგრამა. მასში გაანალიზებულია ჩვენი ხალხის აწმყო და მომავლის პერსპექტივები. თქვენ . თქვენი ნათელი აზრით . მწერლური ნიჭით და . . მეცნიერული რუდუნებით შესძელით ყველაზე დიდი ეროვნული გასაჭირის დროს . .“.

ყველა ეს ციტატა მომყავს ხელნაწერიდან, და როგორც ალბათ შეამჩნიეთ, ავტორების გვარებს არ ვასახელებ, არა

იმიტომ, რომ მათ ჩემთვის საამისო თანხმობა არ მოუციათ, — მე მაინც ვუფრთხილდები მათ რეპუტაციას, — ჩეხოვის ბელიკოვისა არ იყოს, ვაითუ, დროთა განმავლობაში „как бы чего не вышло".

ერთობ ვუფრთხილდები აგრეთვე ერთი თვალში საცემი თანამდებობის პირის სახელსაც; მან ხომ ჩვენი დროისათვის არნახული ვაჟკაცობა გამოიჩინა და ჩემს დაუბეჭდავ ნაშრომ— „სამიზდატს", „ამაღელვებელი ნაწარმოები" უწოდა არა კერძო ბარათში, არა ქუჩაში შეხვედრისას (სახით არც მიცნობს), არა ტელეფონით, — 50-ათასიანი ტირაჟით გამოცემულ თავის წიგნში!

მე უკვე ვწერდი, რომ ჩვენი ეროვნული ჭირის განსაკურნავად ჩემი „შავი წიგნი" თუნდაც ცოტათი, სულ ცო-ტათი მაინც წამლად ვისმე თუ გამოადგება, ღმერთმა ხელი მოუმართოს და მოახმაროს იგი, თუგინდ წყაროს მიუთითებლადაც, ოღონდ ამ წყაროს მხოლოდ თავისივე კერძო წისქვილის ღარზე მისაშვებად ნუ გამოიყენებს.

ჩვენმა საერთო წისქვილის დოლაბმა კი წმინდად და მეტი რომ ჩამოფქვას, სწორედ ასე მოიქცა ეს საკმაოდ ცნობილი, საკმაოდ დიდ თანამდებობაზე მყოფი ავტორი, და აი, მას შემდეგ უკვე წელიწადი გადის, და ამ დროში კვირა დღე ერთიც არ გამომრჩენია ისეთი, ზეცისკენ ხელები ვედრებით არ აღმეპყრო:

— ღმერთო, ჩემი გულისთვის მის დიდ უფროსებს ნუ დაასჯევინებ მას და რასაც მე მამაცურ მოქალაქეობაში ვუთვლი, რომელსაც ჩვენ, საწყალი ხალხი, ასე დანატრებულნი ვართ საერთოდ, მათ აჩქარებასა და უგუნურებაში ნუ ჩაათვლევინებ...

ამ მონაკვეთის დასასრულს მინდა შემოგთავაზოთ კიდევ ერთი ამონაწერი, დიამეტრულად განსხვავებული იმათგან, ზემოთ უკვე ასე მრავლად რომ გაგაცანით:

„ერი, რომელიც ამ ზომამდე მიიყვანს თავის თავს, ის არც არის სიცოცხლის ღირსი. როგორც ჩანს, აქ მოქმედებს ბუნების შერჩევის კანონი...

დროთა განმავლობაში ჩვენს მაგალითზე სხვა ხალხები მაინც გაფრთხილდებიან და ისტორია ქართულისას სხვას თუ

არაფერს, ამ ანდაზას მაინც შემოინახავს; რაც მოგვეა დავითაო, ყველა შენი თავითაო".

არ იფიქროთ, ამის მომწერი ვაზგენი იყოს ანდა ის ერევნელი გიდი, არასომეხ ტურისტებს „გულისწუხილით" რომ ანათლებდა, და არც ის ორი, უბრალოდ ჩაცმული სომეხი, მგონი ხელოსნები, ვაკეში, ტროლეიბუსში სომხურად ხმამაღლა რომ ქაქანებდნენ, რასაც წინათ ჩურჩულით თქმასაც ერიდებოდნენ (მითარგმნა ერთმა ჩემმა ნაცნობმა, სომხურის მცოდნე თანამგზავრმა):

— ახლა ამ ტუტუც-ვრაცებს ჩვენი სომხური გულს უხეთქავთ... ჰამაც, ბოლმა რაც მეტი მოაწვებათ, აღსასრულიც მათი უფრო მალე მოვა...

დიახ, „დავითაო... შენი თავითაო..." ამის მომწერი ჩვენი გაჩანაგებით სიხარულისგან აფოფინებული არც „ჩვენი ძმები ქურთებია" და არც საკუთრივ ჩვენი „დიდები", ჩრდილოეთს სიამაყის გრძნობით რომ უპატაკებენ ხოლმე, საქართველოში 100 სხვადასხვა ეროვნების მოსახლეა და ყველა ისინი ჩვენი ძმებიაო, — ამას მწერს არცთუ ახალგაზრდა, ნიჭიერი და განათლებული, სამწუხაროდ, გაუთხოვარი ქართველი ქალი, იწერება თითქოს ნიშნის მოგებითაც, მაგრამ, არა მგონია, ჩვენი საერთო უბედურებით ისიც არ იყოს გულდაკოდილი...

ესეც ადვილი სავარაუდებელია, რომ იგი ჩვენს ასეთ, საყოველთაო ეროვნულ პასიურობას უკვე შეურიგდა, და რომ, მისი თვალსაზრისით, ჩვენი მარადიული სიცოცხლის შესანარჩუნებლად უკვე ზედმეტია რაიმე მოქმედებაზე ფიქრი და ზრუნვა, და რომ სნეულ ერს აწი აღარაფერი ეშველება და... „სჯობს დავიხოცოთ როგორც რაინდები..."

ო, ამგვარი ბჭობა ძალიან წააგავს ლიანდაგზე გადამავალ იმ ადამიანს, ჯერ კიდევ შორიდან გრიალ-გრიალით მომავალ მატარებელს თვალი რომ მოჰკრა და უმალვე შიშმა ისე აიტანა და მუხლები მოეკეცა, რომ სიცოცხლის მხსნელი ერთი ნაბიჯი, მხოლოდ ერთი ნაბიჯიც ველარ გადაუდგამს...

არა და არა!

თუ არ გვინდა საქართველო, სულ ერთიანად მაინც, არ გადაიქცეს საქურთელოდ, თუ არ გვინდა ჩვენი შვილები, შვი-

ლიშვილები არ აღმოჩნდნენ თავისავე, მაშინ უკვე ყოფილ სამშობლოში საძულველ გერებად,—

ჩვენ ასეთი ნაბიჯი უნდა გადავდგათ,

უ ნ დ ა გ ა დ ა ვ დ გ ა თ,

უ ნ დ ა გ ა დ ა ვ დ გ ა თ!!!

ჩვენ არა მარტო უნდა შევაჩეროთ ჩვენი დღევანდელი საბედისწერო კლება, — ჩვენ უნდა ვიმრავლოთ და ამ სიმრავლით მოვერიოთ ყველა ჩვენი სიკვდილის მნდომთ!

ჰმ, ამოვიხოცოთო...

ამოხოცვა შენივე თავით, შენივე ხელით, თითქოს სატრაბახოდ, ისტორია რეგვენობად რომ ჩაგიწერს, ეს, ვიმეორებ, რა რაინდობაა?!

გუშინ დაწერილი ამის წინა ფურცლები გადავიკითხე უფრო სტილისტური, ვიდრე აზრობრივი დახვეწის მიზნით... აზრში, აბა, რა შემეშლებოდა-მეთქი, თავმომწონედ გავიფიქრე და... დახეთ, სწორედ რომ აზრში... მაინც, ეს რა დამიწერია, ა?! „თუ საქართველო აღარ იქნება, ნულარ იქნებაო ნურც სხვა ქვეყანა...“

სირცხვილი, ჩემი სირცხვილი!..

ჩვენი ბეყეირათობა-უთაობით შავეთისაკენ, გულარხეინად მიეექანებოდეთ და...

რას ვერჩი და ჩვენს შემდეგ რატომ აღარ იცოცხლოს საქართველოზე პატარაზე პატარა, თუნდაც ისლანდიამ, თითქმის უხმელეთო, ყინულოვანმა ისლანდიამ, რომელმაც არც კი იცის, რას ნიშნავს „არა იპარო“, „არა ქაც კლა?!“ (ამ სტრიქონების დაწერის დღეს მარტო თბილისში, მარტო ბენზინის რიგში, უკვე მესამე ქართველი მოკლეს ქართველებმა...).

რას ვერჩი და ჩვენს შემდეგ რატომ აღარ იდღეგრძელოს საქართველოზე სივრცით ორჯერ პატარა და მოსახლეობის მიხედვით სამჯერ მეტმა, თუნდაც ჰოლანდიამ, რომელმაც ხმელეთი ზღვასაც კი გამოსტაცა და ახლა, ეს „ქონდრისკაცი“, ამერიკის მერე, მსოფლიოს მეორე მარჩენალია?!

დიახ, რას ვერჩი გარჯილობითა და გონიერებით კურთხე-

ულ დანიას, შვეციას, შვეიცარიას, ნორვეგიას, ფინეთს, სინგაპურს და, თუნდაც ამათზე ბევრად დიდ ტაილანდს, სამხრეთ კორეას, იაპონიას და სხვა, და სხვა საკვირველებათა ქვეყნებს?

რაკი ჩვენ ალარ ვიქნებით, ნუთუ ამათი სულდგმულობაც უნდა ამოიშანთოს მიწისა ზედა?

ღმერთო, შემინდე და მაპატიე წამიერად გონებადაბნედილ ცოდვილს წამონარჩენი ჩემი!..

ერთშვილიანო ქართველო დედაბო,
ო, რარიგ მძულხართ!..

(ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ ეს ჩემი სიძულვილი ოდნავადაც არ ვრცელდება იმ ერთშვილიან დედებზე, რომლებმაც შვილი სამოქალაქო ქორწინების გარეშე იყოლიეს; ასეთ შვილებს გონიერების შვილები უნდა შევარქვათ).

ეს სტრიქონები და, საერთოდ, „შავი წიგნის" ეს მეორე წიგნი დავრდომილთა სახლში იწერება.

საცხოვრებლად აქ მოსვლა ბევრს დიდად ერცხვინება, მაგრამ რა ქნას? — თავი მოიკლას?

ზოგს საამისოდ ნებისყოფა არ ჰყოფნის, ზოგსაც ღონე: თავი რომ ყულფში გაჰყო, ჯერ მაღლობზე თოკი უნდა ჩამოაბა, მერე სკამი უნდა მიიდგა, შედგე ზედ და გაჰკრა ფეხი...

ამას კი ფიზიკურად დაუძლურებული, ღონემიხდილი, აბა, რას მოერევა, განსაკუთრებით ის, ვინც მარტო განცხრომამხიარულების მარყუჟში თავი ჯერ კიდევ ჯეელობაში გაჰყო, როცა ცხოვრება გასართობ კომედიად ეჩვენებოდა, მერე და მერე კი, წელთა მომატებასთან, ტრაგედიად რომ შეეცვალა...

...აქ ისეთი ცოლ-ქმარიც შეგხვდებათ, ახალგაზრდობაში რომ ამჯობინეს ერთადერთი გოგონას შემყურენი ყოფილიყვნენ, ის კი 17 წლის ასაკში წაართვა მათ ულმობელმა შემთხვევამ, რომლის მსგავსი ფათერაკი დღევანდელ საქართველოში ათასობით თავს გვატყდება...

და აი, თავისივე თავით გაუბედურებულებმა ვეღარ გაუძლეს ცისმარე დღე ეცქირათ შავარშიაშემოვლებული სურათისათვის და იმ ეზოსთვის, სადაც მათი ერთადერთი იმედი და დასაყრდენი დანავარდობდა და... მიატოვეს ეზო-კარიც და ის პატარა ქალაქიც, სადაც არა ერთი და ორი წელიწადი უცხოვრიათ...

...და ახლა აქ ცხოვრობენ, — არავითარი ინტერესი, არა-

ვითარი მიზანი, არავითარი პერსპექტივა, სადილ-ვახშმის მოლოდინში რომ ელევათ წუთისოფელი...

მართლაცდა, დავრდომილთა სახლი, თუნდაც მას პერსონალურ პენსიონერთა პანსიონატი შეარქვი, და თუნდაც იგი სანატორიუმსაც არ ჩამოუვარდებოდეს, მაინც დავრდომილთა სახლია, და რაკი ცხოვრება ცხოვრებაა, სიცოცხლე აქ მაინც გრძელდება, „მარა" „რავალი" სიცოცხლე?..

აი, საინვალიდო ურიკაში, ბუდეში ჩხიკვივით ჩამჯდარი, წელსქვემოთ კიდურებწართმეული „კაი გვარის" ქალი, —ახლო ნათესავებმა უყოყმანოდ, ეკალშესობილი, ჰაერდაჩუტული ბურთივით აქ რომ შემოაგდეს და ახლა ის გამკივანი ხმით სანიტრებს დღე-ღამეში ბარე ოცჯერაც რომ გასძახის, და რატომ მეტჯერაც არა, — აკი ცოცხალ ადამიანს, თუნდაც მარტო წელს ზევით მგრძნობიარეს განა ცოტა რამ სჭირდება ადამიანური?..

— ა?.. რა ბრძანეთ?

ო, გმადლობთ, რომ მომაგონეთ...

კი, ნამდვილია, ფრანკლინ დელანო რუზველტიც წლობით გახლდათ ამ დღეში, მაგრამ მას ხუთი შვილი თავს დასტრიალებდა, — არა როგორც ამერიკის პრეზიდენტს, — როგორც მამას...

ამ „თავადის ქალ მაიას" კი შვილები არ აკითხავენ, ანდა რას მოაკითხავენ, როცა მანიკიურ-პედიკიურ, თანამედროვე ფერ-უმარილზე გადაყოლილმა ერთის მეტი არც იყოლია, და ის ერთიც, ლოთობის ნიადაგზე, ციროზმა იმსხვერპლა, პირმშოზე დარდმა კი — მამა და ქმარი...

ეს ზეზეურად ჩამომხმარი ხნიერი ქალი კი უფრო ფსიქიატრიულში უნდა იმყოფებოდეს, ვიდრე აქ „ნებივრობდეს", აკი ის ჭკუაზე გვარიანად გადასულია, თუმცა ადრე, როგორც ამბობენ, საღ გონებაზე გახლდათ; შეპრეტილობა მხოლოდ მის შემდეგ დაეტყო თურმე, როცა ერთ მშვენიერ მთვარიან ღამეს, მარტოხელას, ბინაზე მისი ვაჟის სამი ამხანაგი გამოეცხადა და „დეიდა ვარდო", როგორც გაზეთებში წერენ ხოლმე, ძვირად ღირებულ არაბულ დივანზე მ ხ ე ც უ რ ა დ წამოაქციეს და გაუპატიურება დაუპირეს... კანონის მიხედვით!

დიახ, კანონის ძალით, რომლის ეს მუხლი თურმე გონების მიღმა არსებულ კოდექსში მოიხსენიება: ერთადერთ ნარკომან

შვილს დედა ზარში ამ პირობით გაუთამაშებია და წაუგია... რას იზამ, ძველი რომაელები აკი ამბობდნენ — კანონი მკაცრია, მაგრამ მაინც კანონიაო.

(ალბათ შეამჩნიეთ, ზემოთ სიტყვა „მხეცურად" გამოვაცალკევე... დიახ, საწყალი მხეცები! რას არ ვაბრალებთ მათ! ისინი წელიწადში რაღაც ერთხელ ახურდებიან, ისიც ბიოლოგიური სახეობის შენარჩუნებისა და გაგრძელების მიზნით, ასეთი ორფეხა მხეცები კი...).

ერთ არაქართულ იუმორისტულ ჟურნალში ისეთ სიუჟეტურ კარიკატურას წავაწყდი, რომელიც, ჩემი ფიქრით, პედაგოგიკის დარგში სულ ცოტა ათ დისერტაციას უკან მოიტოვებს, თუკი მათ ამ თემაზე ჩვენებურები დაიცავენ: „ფუფუნება, როგორც ქართველი ახალგაზრდობის გარყვნისა და დაღუპვის უპირველესი მიზეზი".

ეს კარიკატურა, ერთმანეთისგან მიყოლებით, რამდენიმე ნახატისაგან შედგება: მშობლებმა ჩვილს აკვან — „კალიასკაში" პატარა სათამაშო ავტომობილი მიუგორეს; ცოტა რომ წამოიზარდა და „კალიასკას" გამოეთხოვა, — სამბორბალა ველოსიპედი; მერე — ორბორბლიანი; მერე — მოტოროლერი; მერე — ავტომანქანა „ფიატ-ჟიგული".. ბოლო სურათში კი, უკვე აქა-იქ ჭაღარაშერეულს, — ლიმუზინი „ვოლგა" მიართვეს, რომლითაც აი, ახლა მან, ერთადერთმა შვილიკომ, ნაამაგარი დედ-მამა სწორედ იმ სახლთან მიაგდო, რომლის კარის თავზე აწერია: Дом престарелых — აბა, გამობრძანდით მანქანიდან და აქ შებრძანდითო...

ახალგაზრდობიდან შუახნობასა და სიბერეში ისე შეუმჩნეველად სწრაფად ვისკუპებთ ხოლმე ოცდაათ წელს უკვე გადაცილებულნი, ახლო ნაცნობებიც კი, ხუთ წელიწადში ერთხელ მაინც თუ ვერ ვნახეთ და ვერ შევხვდით ერთმანეთს, მერე ერთიმეორე, შეიძლება, ველარ ვიცნოთ.

ეს ჩემი ძველისძველი ნაამხანაგარიც ისე გადაეხატა წლებს (მისთვის ასევე მეც, ცხადია), რომ ძლივს შევიცანი, თანაც უფრო ხმით, ვიდრე სახით. მე იგი ბინაზე გამომეცხადა და, ჯერ ხეირიანად გამარჯობა-გაგიმარჯოც-არ გვეთქვა, რომ შეუპატიჟებლად ჯიქურ სამზარეულო მოინახულა, მერე სააბაზანოში შეიხედა, მერე...

თქვენ ჯვარი გწერიათ, ჩემთან თურმე დიდ უბედურებას მოუყვანია: ერთადერთი, 25 წლის ვაჟი ავარიაში დაღუპვია (მის მანქანას ტაქსი დაეჯახაო, სხვებმა კი სხვა თქვეს, გახეთქილი მთვრალი ტაქსს თვითონ შეასკდაო)... ამ ნიადაგზე დედა ლამის ჭკუაზე შერყეულა და შვილის გასვენების შემდეგ დიდებული ბინა, რაკი მისი ყოველი კუთხისა და იქ მდებარე ყოველი საგნის დანახვა მასში აუტანელ კრუნჩხვებს იწვევდა, აუძულებია და გაქცეულა, და ახლა ხან ვისთან ათევს ღამეს და ხან ვისთან; მაგ ჯოჯოხეთში ვერ დავბრუნდები, გადაცვალეო...

და აი, ახლა ეს ჩემი ნაამხანაგარი, თუმცა გრძნობს, რომ ეს შესაძლო გარიგება მის საზარალოდ ერთი ათს დაედრება, მაინც მთავაზობს გასაცვლელად თავის „ბარსკაია კვარტირას", ნუ იტყვით, ცისფერი უნიტაზით, რომლის შოვნა მას, ალბათ, არცთუ გაუჭირდებოდა, რადგან მთელი თავისი დღე და მოსწრება სამშენებლო ტრესტებში მუშაობს...

ძნელია, უფრო კი ყოვლად შეუძლებელია, რომ ადამიანს თავს დატეხილი ასეთი უბედურება სიტყვით შეუმსუბუქო, — ცდაც კი ამის, ჩემი მხრივ, უსაშველო ცბიერება იქნებოდა, არადა, ვაი, რომ ვერც საქმით ეშველი, — ჯერ ერთი იმიტომ, რომ ბოდიში მომიხდია, უნიტაზი რა ფერისაც უნდა იყოს, — იყოს თუნდაც ცისფერი, პირადად ჩემთვის აბსოლუტურად სულ ერთია; მე ის მახარებს, როცა ზესკნელს ვხედავ ცისფერს, თორემ ,ყველავ ბოდიშს გიხდით, უნიტაზი, თუნდაც კუპრივით შავიც იყოს, თავის პირდაპირ დანიშნულებას უნაკლოდ შეასრულებს; მეორეც იმიტომ, რომ მისი სახლი ისეთ შელმართზეა წამოჭიმული, — ხნიერი კაცი ფეხით ვერც მიხვალ; მე კი, შინიდან ყოველი გამოსვლისას და შინ დაბრუნებისას, ქირის მანქანა ყოველთვის სად ვეძებო, ანდა რა ჯიბე´ გაუძლებს ამას...

(სხვათა შორის, ამ ბედშავიანებს ეზოში მანქანა ორი ეყენათ: მამას თ ა ვ ი ს ი, შვილსაც თ ა ვ ი ს ი... დიახ, სამსულიან კომუნისტურ ოჯახზე „სულ რაღაც" ორი მანქანა!).

ეს გულისგამპობი ამბავი უფრო იმიტომ გაუწყეთ, რომ გეგრძნოთ, რა ტრაგიკულია ერთშვილიანობა, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, ორშვილიანობა კი მასზე ბევრად ნაკლებტრაგიკულია?!

ერთ ქართველ კაცს თავისი გვარი — თურქაძე — ეჩოთირებოდა და იგი ქართველიშვილზე გადაიკეთა...

რა დაგიმალოთ, მისი ეს ნაბიჯი მაინცდამაინც დიდ გონივრულ ნაბიჯად არ მეჩვენება. შენი წინაპრები თუ ოდესღაც თურქია-თურქაძეები იყვნენ ანდა სომხიშვილი-ბაღდასარაშვილები ან კიდევ რუსია-რუსიშვილი, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ შენ ახლაც თურქი ხარ ან სომეხი ანდა რუსი... ამა თუ იმ პიროვნების პატრიოტული სულისკვეთება, მისი ჭეშმარიტი მამულიშვილობა გვარით, აბა რა გასაზომია! „მამელუქის" ავტორი — უიარაღო — გვარად თათარაშვილი გახლდათ, მაგრამ სამშობლოს სიყვარულში მას, აბა, რომელი დიდებულიძე, რომელი ერისთავი შეეცილებოდა!..

ამ ყოფილი თურქაძისა და აწ ქართველიშვილის ორმა ვაჟმა კი სამარცხვინოდ და საბედისწეროდ შეაფურთხეს თავიანთ მშობლებსაც, თავიანთ თავსაც და... საქართველო ხომ არ დაინდეს და არ დაინდეს!

.რანაირი პატრიოტი ხარ, დალოცვილო, და რანაირი ქართველიშვილი ბრძანდები, თუკი სამშობლოს სალსა კლდეებსა გაცვლი „თათრების სამოთხეზედა", მით უმეტეს, როცა ეს ოდნავაც არ არის გამოწვეული სახელმწიფოს მიერ შენი მოსალოდნელი შერისხვით, რასაც თავისუფლების ხანგრძლივი აღკვეთა მოჰყვება.

არათუ ეს, — ორივეს, ერთხელ კიდევ დალოცვილებო, ისეთი უნივერსიტეტი დაგამთავრებინეს, სადაც უარს უფასო სწავლაზე მსოფლიოს არც ერთი ზანგი არ იტყოდა და არც ხელმოკლე ინგლისელი ან ამერიკელი...

ორივეს ხელთ საშურველი პროფესია უკვე გიჭირავთ, თქვენმა ასაკმაც ჩამოჰკრა უკვე საამისოდ ზარი და... ადექით და გაბედნიერეთ ორი კარგი ქართველი ქალიშვილი, ივაჟკაცეთ და იყოლიეთ თითოეულმა ოთხამდე მაინც პატარა ქართველიშვილი და... საბოლოოდ ამით თქვენც გაბედნიერდებით — მეუღლეები, თქვენი მშობლებიც, თქვენი შვილებიც და საქართველოსაც მამულიშვილურ სამსახურსაც გაუწევთ...

...და არა იმით, რომ დედ-მამის მიერ ფეხისწვერებზე დღენიადაგ ვერცხლის ხონჩაზე მორთმეული ტკბილსიროფცხოვრება უკვე ისეთ დამტკბარ ფუფუნებად აღარ მოგეჩვენებათ და

მის შესაცვლელად სახიფათო მრუდე გზებს აირჩევთ, თითქოსდა არ იცოდეთ, რა ქვეყანაში ცხოვრობთ და რა შინაწესს უნდა დაემორჩილო, თუ გინდა, რომ ცოცხალი თავი შეგრჩეს...

ესეც არის, უცხოეთში საამური ცხოვრების ახალგაზრდა მაძიებლები, ყველანი როდი ირჩევენ ასეთ მოლიპულ გზას... ერთმა ჩემმა ახლო ნათესავმა თავისი ვაჟკაცური, წმინდა ქართული გარეგნობა ანაცვალა რუს ებრაელ ქალს, რათა ამ ქორწინებით თავი ამოეყო ამერიკაში...

ო, არა, იგი სამუდამოდ არ დაგვეკარგება, სიბერეში უეჭველად დაუბრუნდება იმ ბუდეს, საიდანაც აფრინდა, — მინდა გულზე ქართული მიწა დამეყაროსო და... შეიძლება ბერიკაცურად დაგვმოძღვროს კიდეც, თუ როგორ უნდა გვიყვარდეს ჩვენ, ქართველებს, საქართველო...

...დიახ, ერთშვილიანო ქართველო დედებო, ო, რარიგ მძულხართ, რარიგ მძულხართ!..

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: ამ ბოლო დროს ამ „კდემამოსილებმა" თითქოს პირი შეკრესო, თავის გასამართლებლად ერთიანი „ტაქტიკა" გამონახეს: „არ მიჩნდება, ბატონო და... რა ვქნა?..").

ბედნიერისთვის იოლია,
ჰკუა ასწაელოს უბედურს.

ესქილე.

ამას წინათ საღამოს გაზეთი ეკითხებოდა ერთ თავმდაბალ მამას, როგორ გამოზარდეთ ორი შვილი, ორივე სახელოვანი აკადემიკოსიო...

მამის პასუხი აღარ მახსოვს, ჩემი პასუხი კი ამაზე ასეთი იქნებოდა: არა, არ გამოუზრდია ისინი მამას აკადემიკოსებად, და ასეთი რამის მიღწევა არც ერთ მამას არ შეუძლია; ამ შემთხვევაში კი, მართალია, ყოველმხრივ ხელი კი შეუწყო, მაგრამ შვილებს დაბადებიდანვე ფართო გონებრივი და ჯანსაღი ფსიქიკური მონაცემები რომ არ დაჰყოლოდათ, — მამის შემწეობით და მას, თუ გნებავთ, დედაც წახმარებოდა, ისინი, ჰა, ასე, ტაატ-ტაატ, პატარა დოცენტებად თუ გამოიზრდებოდნენ (ჩვენი ქვეყნის საერთო, დაბალი მეცნიერული მასშტაბით)...

სომეხ ძმებს, ლეონ და იოსებ ორბელებს, მამა მეჯღანე ჰყავდათ, ისეთი „უბედური“ მეჯღანე, რომელსაც თავის დღეში სიტყვა ფიზიოლოგი, ფიზიოლოგია არც გაეგონა და არც ოდესმე ენახა არც ილია რეპინის და არც მარტიროს სარიანის ერთი სურათიც კი, და მაინც, მისი ერთი შვილი ლირსშესანიშნავ ალმოსავლეთმცოდნედ და ერმიტაჟის დირექტორად გამოიზარდა, დიახ, გამოიზარდა, მეორე კი — ივანე პავლოვის მარჯვენა ხელად, თვალსაჩინო ფიზიოლოგად.

საერთოდ, ასეთი საოცრად იღბლიანი შემთხვევები მრავალმილიონიან ერებშიც კი იშვიათია და ჩვენი პრესა, მით უფრო ამ ჩვენი ჭირიანობის ჟამს, ჩვენ, ჭკუათხელიძეებს, დამაძინებელ ნანას არ უნდა გვიმღეროდეს და არ გვაიმედებდეს, აი, კაცმა სულ ორი შვილი იყოლია და ორივე აკადემიკოსი გამოიყვანაო.

ან კიდევ... გაზეთებმა და ტელევიზიამ დიდი სარეკლამო

ბათქაბუთქით რომ მოგვაწოდეს ხუთი ძმა — პროფესორის, ომიდან ხუთივესივე ცოცხლად დაბრუნების ამბავი...

ეს, რასაკვირველია, იშვიათზე იშვიათი იღბალია, სასწაულთ სასწაულია, მაგრამ ის კი, საუბედუროდ, უფრო ჩვეულებრივი ამბავი იყო, როცა ამ ომში სხვა ხუთი ძმაც — ქართველები, ქართველები! — იღუპებოდა, რომლებზეც ახლა, დროდადრო, თვითონაც ნაომარი მიხეილ დავითაშვილის „სოფლის ცხოვრება“ მოგვითხრობს ხოლმე...

...დაღუპვას ხუთივენი რომ გადაურჩნენ, თქმა არ უნდა, დიდად სასიხარულოა, მაგრამ ეს ხუთივე, ხ უ თ ი ვ ე ძმა ამჟამად ყველა რომ პროფესორია, — ამას საკვირველებად თუ მივიჩნევთ, ყოველ შემთხვევაში სარეკლამო საგნად ნუ გავხდით და კინოფილმს ნუ მივუძღვნით, თორემ ჩვენ, ჭკუათხელიძეებს, ისეც დაბნეული გონება სულ დაგვებნევა:

— რა გვარი იყო აი ის, იმანო... ხუთი ძმა, ხუთი ძმა... ტელევიზორში რო გამოაფინეს... ხოდა, იმ იმანომ ხუთი შვილი თუ გააპრაფისორა, მე რა, იმაზე ნაკლები მოვჩერჩეტდი ამქვეყნად თუ, რაღაც ორით მაინც თავი ვერ მოვიკოხტავო?!

საერთოდ, კმარა! კმარა, მოვეშვათ საყოველთაო განათლება-მეცნიერების პროპაგანდა-აგიტაციას, ნამდვილსაც კი, მით უმეტეს ცრუმეცნიერება, ცრუგანათლება დღითი დღე აჩანაგებს, აქცევს საქართველოს...

მილიონ ორასათასიან თბილისში სულ რაღაც რვა მეშუშეა, თანაც ქართველი მათ შორის ერთიც არ არის (ვასახელებ მარტო მეშუშეს, ცხადია, მხოლოდ მაგალითისთვის).

დასასრულ, არცთუ სასიხარულო მინი-ცნობა: როგორც შევიტყვე, იმ ხუთი ძმა — პროფესორიდან ერთიც ვერ დაიტრაბახებს შესაშური შვილიერებით, შედარებით კი ამ სფეროში „აკადემიკოს“ მამამათივით...

ესეც, ვფიქრობ, იმის ნათელი დასტურია, ერის მთლიანი „გაპრაფისორება“ რა შემმუსვრელ როლს ასრულებს ერის ამოწყვეტაში...

ხმალსა არ უშლის სიმოკლე,
ფეხ წადგი, წაემატება,
არცა ვაჟკაცსა—სიდაბლე,
თუ თავი გაემეტება.

ხალხური

ერთი ჩემი მეგობარი ქალის მამას „შავი წიგნი" წაეკითხა და ჩემი ნახვა-გაცნობის სურვილი გამოეთქვა; რაკი იგი მეცნიერების იშვიათი დარგის ნამდვილი პროფესორი ბრძანდებოდა, ამავე დროს წესიერი და პატიოსანი მოქალაქე, და თან ხნოვანებით ჩემზე უფროსიც, — შინ თავად ვეახლე...

...და როცა კალათბურთელისთვის ამ საშუალო სიმაღლის კაცმა ჩამოსართმევად ხელი გამომიწოდა და ზემოდან— მეტი რა გზა ჰქონდა! — დამხედა (ჩემი სიმაღლე „უქუსლებოდ", ვიდრე ჯერ კიდევ არ მოვხრუკულვარ, 168 სანტიმეტრია), ღიმილნარევი გაკვირვებით მითხრა, მეგონა, უფრო ვაჟკაცური შესახედაობისა იქნებოდითო...

— რატომ, ბატონო? — ვკითხე მე.

— ო, თქვენ ისე გაბედულად წერთ...

მერე, სუფრასთან, როცა ჩემს ხელში ნაინკუბატორალი, ფერმის ქათმის კანჭს ხორცი ძვალს, კბილისა და დანა-ჩანგლის მოუშველებლად, იოლად და სწრაფად გამოეთხოვა, მე, არაპროფესორმა, მასპინძლის ეს პროფესორული აზრი მაინც არ დავინდე და...

— ისე, როგორც ქმნა სიკეთისა არ არის დამოკიდებული ქონებაზე, ასევე სულიერი ვაჟკაცობის წყარო არც ფართო მხრებია და არც ცადაწედილი ტანი; ამის მექანიზმი მოცულობით სულ პატარა ორგანოში — გულში მდებარეობს...

ნუთუ არ გეშინიათო, სწორედ ამ ფრიად პატივსაცემმა პირმა მითხრა, ჩემი მომავლით, სათუო ბედით შეწუხებულმა...

ო, მეშინია, რასაკვირველია, მეშინია, მე ხომ სტალინური ეპოქის ღვიძლი შვილი ვარ და ძველი შიშიანობის კომპლექსი

ძვალ-რბილში მაქვს გამჯდარი და განუკურნავი სენივით დღემდე მომყვება...

მეორე მხრივ, მე ის მამხნევებს, რომ ჩემი ეს, ეს ნაწერი მიკროსკოპული ოდენობითაც თითქოს არ ეწინააღმდეგება ჩვენი დიადი ქარტიის — კონსტიტუციის არც ერთ მუხლს; ამას ახლა ისიც ემატება, რომ მიმდინარე წლის 12 თებერვლის „პრავდაში" სათაურისთვისაც კი ჩვეულებრივზე უფრო მოზრდილი ასოებით დაბეჭდილი რამ ამოვიკითხე:

«УПРАВЛЯТЬ ГОСУДАРСТВОМ ДОЛЖЕН КАЖДЫЙ»

ბუნებრივია მე, როგორც არცთუ სულ უჭკუომ, ჩინებულად ვიცი, ჩემი შეუმჩნეველი, პაწაწინა ქინქლას ადგილი საბჭოთა სახელმწიფოში და, აბა, გულშიც როგორ გავივლებ, მის მართვა-გამგეობაში ცხვირი თუნდაც ოდნავ შევყო, ოღონდ ურვა-დარდი ჩემსავე სამშობლოში ჩემი პატარა ხალხის ყოფნა-არყოფნაზე სულს თუ მიხუთავს და ამის ირგვლივ, თუნდაც წერილობით, ჩემს ღარიბულ აზრს გამოვთქვამ, ამისათვის შავი დღე არ უნდა გამითენონ, მით უმეტეს, რომ ახლა ნამესტნიკი კოვანოვები დამსახურებულ პენსიაზე იმყოფებიან და დამსახურებულადაც ისვენებენ...

ესეც არის, ჩვენს ცხოვრებაში მცირე დიაპაზონის ქართველ კოვანაშვილ-კოვანაძე-კოვანაიებს, აბა, რა გამოლევს და... პროფესორ წიბახაშვილის ბედი, ვინ იცის, ეგებ მეც მელის, ა?!

მართალია, ეს ჩემი, ასე ვთქვათ, თხზულება სულაც არ არის „ანონიმკა", მაგრამ რაკი იგი ოფიციალურ თვალსაზრისს ასოასო არ ემთხვევა, მისი „ანონიმკად" და მავნე ნაბოდვარად, მისი ავტორის კი თუნდაც ნარკოტიკების საიდუმლოდ მოვაჭრედ გამოცხადება ვითომ-ასე დიდად გაუჭირდებათ მოსისიანებულ ახალ ნინიძეებს?!

მოსისიანებულს-მეთქი, რადგან ისინი თავისით, ზემოდან დაუვალებლად, არც არაფერს წერენ და არც არაფერს აკეთებენ, ამიტომ, ცხადია, მეშინია, როგორ არ მეშინია, მაგრამ მაინც, იმის იმედი ნურავის ექნება, ამ შიშის გამო „შავ წიგნსა" და მის ამ მეორე ნაწილს, ჩემი სიცოცხლის ბოლო ორმოცი

წლის ნატანჯ ნაფიქრ-ნააზრევს, თუნდაც რა „მოსარჯულებელი ნემსებიც“ გამიკეთონ, როდისმე წიხლი ვკრა, თავზე ნაცარი დავიყარო და საქვეყნოდ, ანდა ცალკე, ერთი ერთთან, ავწკმუტუნდე, — შევცდი, დიდად პატივცემულო დიდო უფროსებო, მივქარე, მივეთ-მოვეთე, მოვჩმახე და... ამიერიდან მეც იმ ულტრაინტერნაციონალისტად მიგულეთ, რომელსაც სხვა ხალხი და სხვა ქვეყანა ურჩევნია-მეთქი თავის ხალხს და თავის სამშობლოს...

მე მწამს ჩემი მოქალაქეობრივი პოზიციის ალალმართლობისა, და ეს მანიშნებს ერთგვარ გამბედაობას...

ფარულს, მალვით, ანონიმურად, ანტისახელმწიფოებრივს, ძველად რომ იტყოდნენ, არალეგალურს მე არაფერს ვწერ... და თუ ვისმე ასეთად ეჩვენება ან მოეჩვენება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სიცრუეს, ორპირობა-გაორებას, მლიქვნელობა-პირმოთნეობას, სტანდარტულ-დაპრესილ ესპერანტო-ფრაზებს ისე შევეჩვიეთ ჩვენ — ნილბოსნები, ცოტა გადახვევაც კი ამ ყოველდღიური საცხოვრებო ნორმებიდან უკვე მძიმე დანაშაულად, იურიდიული ენით თუ ვიტყვით, კვალიფიცირდება, ქართულით კი — ინათლება...

ისე კი, თუ ზოგჯერ, ნაუცბათევად ფეხი ამიცდება ამ ლარივით სწორ გენერალურ გზაზე, დაე, ეს პოლიტიკურ ცოდვად ნუ ჩამეთვლება, და თუ მაინც ჩამითვლიან...

ოღონდ ქართველების საქართველომ მარად იცოცხლოს როგორც ქართველების საქართველომ და...

თქვენი ავტომატი და ჩემი გულისფიცარი!

ერთს კი ვითხოვდი: ამ სასიამოვნო პროცედურას არაქართველებს ნუ დაავალებენ, — ო-ო, ისინი სახელმწიფოს ზარალს არ მოერიდებიან და ტყვიას ბევრს მომახარჯავენ...

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: ერევანში რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთ „Эпоха“-ს 1990 წლის 11 ოქტომბრის ნომერში ქართველი მეცნიერების მეცადინეობით მეცნიერად ფეხადგმული პარუირ მურადიანი „შავ წიგნზე“ წერს: „Чуловищная книга...“).

მარტო კნავილი, მარტო ჩხავილი...

აკაკი

ერთმა „უცხოეთში“ მცხოვრებმა, არცთუ ანთიმოზ ივერიელივით მოღვაწე ჩვენმა თანამემამულემ, უშვილომ, — ამას წინათ ჩვენ რომ ცხარე ცრემლით დავიტირეთ, იმ „უცხოეთში“ კი, სადაც იგი თითქმის ნახევარი საუკუნე შემოქმედების ჭაპანს ეწეოდა, და რომლის ხსოვნას სტანდარტული „Слово прощания“-ც არ მიუძღვნა იმ 24-გვერდიანმა გაზეთმაც კი, რომლის სარედაქციო კოლეგიის წევრიც ის გახლდათ, და არც კომისია გამოიყო განსვენებულის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესაგროვებელ-შესასწავლად, რაკი იგი, როგორც ჩანს, მდარედ და უმნიშვნელოდ მიიჩნიეს, — მთელი თავისი, შვიდნიშნიანი მემკვიდრეობა „ღარიბ“ ახლობლებს დაუტოვა (მათ შორის მეღვინეს და იმ პროფესიის ქალს, რომელიც მე ასე „მიყვარს“)...

ეს იმ დროს, როცა მის მშობლიურ სოფლის სკოლას ქარი არწევს, გზა კი ისეთია იმ სოფლიდან რაიონულ ცენტრამდე, — სამშობიაროდ ზარდარეკილი ქალები ჩქარ, მაგრამ მოჯაჯაჯე ავტობუსს მამაპაპური ურმით მგზავრობას ამჯობინებენ, რათა გზად მუცელი არ მოეშალოთ...

არ ვიცი, იცოდა თუ არა მან, — რა კაი კაციაო რომ თქვან შენზე, მარილიან მომხიბლავ ღიმილს, რომელიც არსებითად არაფრად გიღირს და მარცხნივ და მარჯვნივ ხელგაშლილად არიგებ, — ამას ხელშესახებ სიკეთესაც თუ დაამატებდი, ო, რა დიდად გაახარებდი იმათ, ვინც ამის ღირსია და მონატრულია კიდეც ამისა...

სხვათა შორის, როცა მან ჩემი „ფულების“ ამბავი შეიტყო,— ის ფარა ჩემთვის უნდა მოგეცა, ბაბუაჩემს შვიდი შვილი ჰყავდაო... რასაკვირველია, მითხრა ეს სალაღობოდ და სიცილით, ბევრმა კი, ვინც ფულით გამოტენილ ლეიბზე განცხრომით წევს,

ჩემი საქციელი გუნებაში და ერთმანეთთან საუბარშიც, ზოგმა ჩემს გასაგონადაც, მაიმუნობა-მატრაკვეცობად მიიჩნიეს, უფრო მეტიც — შერეკილობაში ჩამიწერეს...

ვთქვა, ამან გული არ მატკინა-მეთქი, გულწრფელი არ ვიქნებოდი...

(დ ა ნ ა რ თ ი: ორი ბარათი აკადემიკოსს ზურაბაშვილს:

ბატონო ავლიპი!

ორი წლის წინათ თქვენ წერდით:

„სინდისი ნიშნავს შინაგან განწყობას, რწმენას, ცოდნას, რომ ადამიანი-მოწოდებულია იზრუნოს სხვაზე და უყვარდეს ადამიანი“.

„სინდისისა და მოვალეობის ადამიანი ამავე დროს არის ზუსტი, მართლის მთქმელი, სიმართლის მაძიებელი, შრომისა და გარჯის პატივისმცემელი და მოხვეჭის სასტიკი მგმობელი“.

ბევრად ადრე, ვიდრე ამ სტრიქონებს გაზეთ „თბილისში“ ამოვიკითხავდი, საქართველოს სხვა და სხვა სოფელსა და ქალაქში ათამდე მრავალშვილიან ოჯახს, ცხადია, ქართველთ და ხელმოკლეთ, მე, პენსიონერისა და უმნიშვნელო მწერლის, მაშასადამე, მცირეშემოსავლიანი კალმოსნის კვალობაზე, ფულადი დახმარების ხელი გავუწოდე...

ამას ისიც მოჰყვა, რომ ზოგიერთმა, ჩემი აზრით, ბევრი არაფრით გამორჩეულმა, მათი წარმოდგენით კი ყოველმხრივ ბევრად გამორჩეულმა და, რაც ჩემთვის უფრო საკვირველია, ერისკაცებად ცნობილებმაც კი, ჩემი ეს ნაბიჯი მეტიჩრობაში ჩამითვალეს, უფრო უარესიც — შექანჯალებულობაში...

დიახ, სულ გიჟად ჯერჯერობით თითქოს არ მნათლავენ. მაგრამ სიგიჟის დაწყებითი ფორმით რომ ვარ თურმე შეპყრობილი, ეს მათ არ აეჭვებთ.

სხვათა შორის, ახალგაზრდობის დროინდელ ერთ ჩემს ნაამხანაგარ ქალს, ამჟამად კი თქვენს უმცროს კოლეგა-თანამშრომელს, დიდი ხნის წინათ გაკანდიდატებულს და ახლა,

მგონი, უკვე დოქტორს, როცა გაეგო ჩემ მიერ „ფულების განიავების“ ამბავი, მწუხარებით ამოეთქვა, ო, კი, ეს გონზე გადასვლის უთუო მაუწყებელიაო...

...ვინ იცის, შეიძლება ისინი მართლაც არ ცდებიან და ვცდები მე: ჩემზე უკეთ, რასაკვირველია, თქვენ მოგეხსენებათ, გადარეულს თავი გადარეულად თუ მიაჩნია, ის არც იქნება გადარეული, მე კი ჩემი თავი სრულ გონზე მყოფი მგონია, უფრო მეტიც: თქვენს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს თუ დავესესხები, ჩემს თავს, ასე თუ ისე, „მართლის მთქმელად“ და „მომხვეჭის სასტიკ მგმობელადაც“ ვთვლი და...

ეგებ ვტყუვდები, ა?

ამაზე სწორი და მართებული პასუხის გაცემა, რა თქმა უნდა, შეგიძლიათ მხოლოდ თქვენ, საქვეყნოდ აღიარებულ დიდ ფსიქიატრს.

ამიტომაც გიგზავნით ჩემს „შავ წიგნს“ და გთხოვთ, სწორედ ამ თვალთახედვით გულდასმით გადაიკითხოთ იგი; და თუ ვინიცობაა უტყუარი დიაგნოზის დასასმელად ის არ იყმარებს და საჭიროდ დაინახავთ, მე მზად ვარ გეახლოთ, პირადად გეჩვენოთ და, თუ ინებებთ, ხანგრძლივი დროით სარეცელიც კი გავიშალო ფსიქიატრიულ სტაციონარში (ეს ერთთავად ჩემთვისაც იქნება საინტერესო, რათა შევამოწმო: ამბობენ, თუ წინათ გიჟებს თავი ნაპოლეონად და მეფეებად მოჰქონდათ, ახლა თავი კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებად მოაქვთ!).

ჰოდა, ბატონო ავლიპი, ჩემი ამ ნაშრომის გაცნობისა და თქვენი ჩემზე უშუალო დაკვირვებების შედეგად შეპრეკილად თუ არ მოგეჩვენებით და პაწაწკინტელა ეჭვიც არ შეგეპარებათ ჩემს ჰომო საპიენსობაში, — **გთხოვთ მომცეთ ამის დამადასტურებელი ოფიციალური ცნობა.**

ფრაზის ამ ბოლო სიტყვებს ხაზს ასე თავგამოდებით იმიტომ ვუსვამ, რომ ამ შემთხვევაში ჩემს მიმართ მარტო სიტყვიერი შეგონებით თუ შემოიფარგლებით, რა ბრძნული და გულსა და გონებაში ჩამწვდომიც უნდა იყოს იგი, მე მაინც ვერ დამამშვიდებს...

და თუ ჩემი ამ თხოვნის პასუხად, საერთოდ, დუმილს აირჩევთ, ამისათვის მორიდებულ საყვედურსაც არ შემოგკადრებთ:

აკი ვიცი, ჰკუაზე გადასულს ამის დამამტკიცებელ ცნობა-მოწმობას ფსიქიატრები ხელზე არ აძლევენ.

პატივისცემით

კიტა ბუაჩიძე

15 ოქტომბერი,
1984 წელი

ბატონო ავლიპი!

ერთობ გამაოცა იმ ამბავმა, რომ თქვენ ჩემი „შავი წიგნი" არათუ წასაკითხად დაიტოვეთ, — თითქოს მასში დინამიტი დებულიყო, უბრალო ცნობისმოყვარეობამაც კი ვერ წაგძლიათ, რომ იგი აქა-იქ მაინც გადაგეფურცლათ.

თქვენი დანაბარები სიტყვა კი ზუსტად მომიტანა ჩემმა „ფოსტალიონმა" და მეგობარმა ვაჟა ჩინჩალაძემ:

— გადაეცით ბატონ კიტა ბუაჩიძეს, რომ მე ცენზურაგაუვლელ წიგნებს არ ვკითხულობ...

ჰოდა, რაკი თქვენ, დიდად პატივცემულო ავლიპი, მხოლოდ ცენზურის მიერ ნებადართულ წიგნებს კითხულობთ, გიგზავნით ამჯერად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, ამხანაგ კონსტანტინე უსტინის ძე ჩერნენკოს რჩეული სიტყვებისა და სტატიების ქართულ ენაზე ამას წინათ საგულდაგულოდ თარგმნილ, 512-გვერდიან კრებულს:

პარტიული და სახელმწიფო
აპარატის
მუშაობის საკითხები

იკითხეთ და დატკბით!

კვლავ პატივისცემით
კიტა ბუაჩიძე

18 ოქტომბერი,
1984 წელი

...დიახ, ვთქვა, ამან გული არ მატკინაო, გულწრფელი არ ვიქნებოდი...

არა, შეიძლება არც მტკენოდა, რომ მაშინ, და არა ახლა, სამი წლის შემდეგ, დიდად ნიჭიერი ჟურნალისტის, ტატიანა ტესის „Зазвучали в ответ голоса“ წამეკითხა; მასში ერთი პატარა, თითქოს უმნიშვნელო ისტორიაა მოთხრობილი: მოსკოვის ერთ-ერთი კვლევითი ინსტიტუტის მოსამსახურე ქალი ხანგრძლივად ავად გახდა, და ვიდრე იგი საავადმყოფოში იწვა, მარტოდმარტო დარჩენილი, მისი მოხუცი დედის მოვლა-პატრონობა ინსტიტუტის თანამშრომლებმა ითავეს.

ამ ნარკვევის გამოქვეყნებისთანვე რედაქციამ და ავტორმა მრავალი წერილი მიიღო. ბევრი იწონებდა იმ კეთილი ადამიანების გულისხმიერებას, მაგრამ ცოტანი როდი აღმოჩნდნენ ისეთებიც, რომლებსაც...

> „У них просто вызывал раздражение сам факт чужой доброты. Они с гневом обрушились на отзывчивых сослуживцев, искали в их поступках тайный расчет... Упрекали в желании выслужиться, выгодно отличиться, чего-то не по праву добиться“
> („Известия“, № 164, 1982 г.)

ჰოდა, თუკი ჩვენმა დრომ წარმოშვა ისეთი საბჭოთა ჰუმანისტები, რომლებსაც გულზე ეკლად ესობათ ისიც კი, მავანი და მავანი უმწეო მოხუცს თავისი ყურადღების მცირეოდენ ნაწილს თუ დაუთმობს, მით უმეტეს დიდფულიანი კომუნისტ-ჰუმანისტების გულს ხომ გახურებული შანთით დაწვავდა იმის გაგება, რომ ერთმა პენსიონერმა თავისი მართლაც დანაზოგი არ დაინანა საერო საქმისათვის...

...და განა გული უნდა დაგეკოდოს, თუკი ესენი შენზე იტყვიან, ამ ბითურმა სახელი სხვა გზით რომ ვერაფრით გაითქვა, ახლა ამ მიზნით ფულები ჩამოარიგა და, ამით, არსებითად, ჩვენ ჩაგვიყო ჯიბეში ხელი, რაკი ნამუსზე შეგვაგდოო...

კი, მაგრამ, გინახავთ კი სადმე. ანდა გაგიგონიათ, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში სახელის მოხვეჭისათვის ვინმეს ათასები მიეფანტოს? თუ ის უფრო გსმენიათ და, ვინ მოთვლის, რამდენჯერაც გინახავთ, როცა სახელის გატეხას სულაც არ მორიდებიან, ოღონდაც ამის საფასურად „ლენინის სურათები“ მოეხვეჭ-მოეხვეტათ?!

ერთმა ისეთმა ახლო ნაცნობმა, რომელსაც თავი მოაქვს ჩემთან შედარებით იმ უპირატესობით, რომ იგი არ არის ბოთე და ლენჩი, და მე კი ბოთეც ვარ და ლენჩიც, როცა შეიტყო ჩემი დამთხვეულობის კიდევ ახალი დამადასტურებელი — ჩიქოვან-ფახურიძე-ფანქველაშვილ-ჯაბიძისა და სხვების დასაჩუქრების ამბები, ამჯერად უკვე თანაგრძნობით მისაყვედურა კიდეც და მირჩია.კიდეც:

— შენსას მაინც არ იშლი?! იყავი, კაცო, ისეთი, როგორიც ყველა ჩვენა ვართ!

მე არ ვიცი, როგორი არიან ყველანი სხვანი, ოღონდ ეს კი ზედმიწევნით ვიცი, როგორიც არის ჩემი ჭკუის ეს დამრიგებელი, და თუ საყოველდღეო ცხოვრების მოდელს მისგან გადავიღებ, მაშინ მეც მასსავით თუნდაც მშრომელთა ინტერესების დაცვა მევალებოდეს, მშრომელთა წარმომადგენელს, ჩემს პერსონალურ შოფერს, უნდა ვეპყრობოდე ისე, როგორც ძველი დროის მოჯამაგირეს (ეს კია, ამის საკომპენსაციოდ დროდადრო „გარე-გარე სიარულის“ ნებას ვაძლევდე), პიონერთა ბანაკებში ბავშვებს „მანი კრუპას“ ვპარავდე, საგზურების დიდ ნაწილს „ვაიმასქნებდე“, ცოლის გარდაცვალებისას ჩემზე უშუალოდ და არაუშუალოდ შემომყურეთა შორის ჩემს ხელქვეითებს იმოდენა ბეგარისებურ შემოწირულებათ ავაკრეფინებდე, რომლებიც ერთ ცოლს კი არა, სვაზილენდის მეფის, სობხუზ მეორის ას ცოლსაც კი დიდებულად დამარხავდა და, საერთოდ, შუა საუკუნეების არაბ თუ თურქ დამპყრობელივით ხარკს ვადებდე ამათ, ამათ და ამათ... ამისათვის და ამისათვის... და მრავალი, მრავალი სხვაც, რაც „გვამშვენებს და რაც გვამაღლებს!“...

ამას წინათ ტელევიზიით ერთი კარგი მწერალი გამოვიდა. მე იგი კიდევ უფრო უკეთეს მწერლად მომეჩვენა იმის გამო, რომ გაბედა და თქვა... თუმცა, რა იცი, მადლობა, შეიძლება, უფრო იმათ ეთქმით, ვინც ეს „გაბედული აზრი“ არ ამოჭრა და საშუალება მოგვცა ჩვენ, „ძვირფას ტელემაყურებლებს“, მოგვესმინა იგი...

ეს აზრი კი სულ უბრალოა, და არც ახალია, მისი ჭეშმარიტების დასამტკიცებლად პირის ერთხელ გაღებაც საკმარისია, მაგრამ რაკი მოხდა სასწაული და საჯაროდ გადმოიცა... შეუძ-

ლებელია ცხრაშვილიანი ოჯახი დალხინებულად ცხოვრობდე-სო...

დიახ... არა, ეს კი არ უბრძანებია, მრავალშვილიანებს, ამ-ჟამინდელ საქართველოში ასე გაიშვიათებულ ერის ბურჯთ, მა-ტერიალურად ხელი მოვუმართოთ, დავეხმაროთო... ეს ან არ ათქმევინეს, ანდა ამის თქმას თვითონაც მოერიდა, მაშინ ხომ რაიმე თავადაც უნდა მოემოქმედა, მით უმეტეს, რომ საამი-სოდ მას ფართო ფულადი გასაქანი მოეპოვება...

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი: საიუბილეო თარიღის აღსანიშ-ნავად („იუბილე მერე, მერე!..."), 1990 წელს ამ უშეღავათოდ ნიჭიერი მწერლის ერთი პატარა მოთხრობა გაზეთში დაიბეჭ-და, რომლის ჰონორარი (სულ დიდი, ალბათ 40—50 მანეთი) იმავე გაზეთში გამოცხადებით, ვაუკაცურად დემოგრაფიულ ფონდს გადაურიცხა...

საერთოდ, ბოლო დროს, ფონდების მომრავლებასთან ერ-თად, მომრავლდნენ გაზეთებში, მხოლოდ გაზეთებში დაბეჭდი-ლი წერილების ისეთი პატრიოტი, გულუხვი ავტორები, რომ-ლებიც თავიანთ ჰონორარებს, რასაკვირველია, პრესის გზით,— შემიცანით რა დიდი ქველმოქმედიც ვარ, — სწირავენ ამა თუ იმ საზოგადოებას: ზოგი 3 მანეთს, ზოგი 5 მანეთს, ზოგი თუ-მანსაც კი...

ჩემდა სამარცხვინოდ, ამ მხრივ თავს ვერ მოვიწონებ; ვერა და ვერ ავიღე ამათგან მაგალითი: გაზეთში დაბეჭდილი წერი-ლების გასამრჯელო, ნაცვლად იმისა, მთელი ქვეყნის წასაკითხ-გასაგონად რომელიმე ფონდში გადამერიცხა, კაპიკ-კაპიკ შინ წავაძანძალე...).

...არათუ ორიათასმანეთიანი ყურადღებით, — ორმანეთიანი შენი წიგნითაც შეგიძლია, თურმე, გაახარო შენი ერის ჯერ კი-დევ აქა-იქ ამართული დედაბოძნი...

წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვემო მესხეთში მცხოვრებ ლამარა და რომან მარგველაშვილებს რვა, ათ და თორმეტოთა-ხიან კაპიტალურ სახლებში მიკარგული ორშვილიანი თანასოფ-ლელები, ზოგი პირდაპირ, ზოგიც პირსუკან დასცინოდნენ, კი-ლავდნენ, კბენდნენ...

შერედა, რისთვის, არ იკითხავთ? თუკი, საერთოდ, მესამე შვილის მომლოდინეზეც კი მესხეთელები ენაკვიმატობდნენ, ნუ იტყვი, კიდევ ფეხმძიმედ არისო: ჰოდა, თვითონვე განსაჯეთ, რაღას იტყოდნენ მაშინ, როცა ჯერ კიდევ ახალგაზრდა ლამარამ მეშვიდე შვილი შობა?!.

მე, რა თქმა უნდა, დიდად ალმაშფოთა დიდად „კულტურული“ მესხეთელების ამ დიდმა „სააბორტო კულტურამ“ და „მგზნებარე პატრიოტიზმმა“, და რაკი იმ დროს სხვა არაფერი მომენახებოდა, ცოლ-ქმარ მარგველაშვილებს ჩემი პიესების კრებული გავუგზავნე, — „სასიქადულო მამულიშვილთ, მისაბაძ ქართველთ სიყვარულით და პატივისცემით“...

დიახ, მხოლოდ წიგნი, წიგნი! და მარტო ამ წიგნმაც კი...

„კიდევ მრავალჯერ გაგეხარებინოთ მრავალშვილიანთა ოჯახები, როგორც ჩვენ გაგვახარეთ და დაგვაფასეთ. აქამდე ჩემთვის რომ ვინმეს რაიმეთი ყურადღება მოექცია, ალბათ დღეს 9 შვილის დედა ვიქნებოდი“.

ზუგდიდის რაიონის სოფელ აბასთუმანში მცხოვრები, 14 შვილის მშობლები თინა და არჩილ გულუები კი...

„დიდ მადლობას გიცხადებთ მთელი ჩვენი ოჯახით, ასე რომ შეგვაფასეთ და გამოგვიგზავნეთ სამახსოვროდ თქვენს მიერ დაწერილი წიგნი, რომელმაც დიდი სიხარული მოიტანა ჩვენს ოჯახში.

თქვენი ჩვენი დაფასება არასოდეს არ იქნება დავიწყებული, თქვენი წიგნი კი მუდამ გვექნება შემონახული“.

„მაგათზე სახელმწიფო იზრუნებსო...“

სახელმწიფო მრავალშვილიანებზე შეიძლება, ასე თუ ისე, ზრუნავს კიდეც... მაგრამ მაინც... ხედავთ? — თვალით დასანახავი, ხელით შესახები, კონკრეტული კაცის სულ უბრალო ყურადღებაც კი რარიგ ახარებთ მათ?!

ზოგჯერ თურმე ამგვარი ნაბიჯის გადადგმას მეტის გაკეთებაც კი შეუძლია... მარგველაშვილების თანასოფლელმა, ვისაც „ძღვენი“ გავატანე, მიამბო: რომანმა, ქმარმა, მეზობლები შეჰყარა და თქვენი წარწერიანი წიგნი, გახარებულმა, ყველას სა-

თითაოდ შეახარბა, მოდით ერთი, დახედეთ, მე და ლამარა თქვენი მასხარად ასაგდები თუ ვართო...

...და ეს ვიღაც კიტა ბუაჩიძის წიგნის გამო...

ზოგჯერ მოსაჩვენებელი თავის დამცირებით არსებითად თავს უფრო იქებენ. არ იფიქროთ, ამ „ვიღაცობით“ მეც ასე ვიქცეოდე, ადრეც ვწერდი, დრამატურგს, შექსპირის გარდა, აბა, ვინ იცნობს-მეთქი...

ჰოდა, ახლა თავად წარმოიდგინეთ, ვთქვათ და, მათ მიეღოთ რადიო-ტელევიზიის, პრესის და მრავალი სხვა საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებათა მიერ განდიდებული, ზოგიერთისა კი — მართლაც ნამდვილი შემოქმედებით ცნობილზე ცნობილთა ავტორისეული თხზულებანი — მათს ოჯახებში რა ამბავი დატრიალდებოდა! -

აი, თუნდაც ნოდარ დუმბაძის, ჭაბუა ამირეჯიბის, გრიგოლ აბაშიძის, ირაკლი აბაშიძის ანდა, კერძოდ, წყალტუბოელ მარგველაშვილს წყალტუბოელი ოტია იოსელიანისგან, ან კიდევ მეორე წყალტუბოელი შოთა ნიშნიანიძის დიდტანიანი ერთტომეული, რომელშიც, სხვათა შორის, გაუმართავ ლექსს ერთსაც ვერ წააწყდებით, — ხომ შესძახებდა მაშინ, პოეტთან ერთად, შვიდი შვილის მამა რომანი, უფრო კი, გაულამაზებლად, ქართულად, რომანოზი:

„აი, ასეთი მწამს კომუნისტი!...“

ჰოდა, თქვენ ჰეი, დიდნო მამულიშვილნო, დიდნო ერისკაცნო, დიდნო ქართველნო, დიდო კომუნისტებო, გესმით თუ არა ჩემი?..

ო-ო, ეს ვინ მომეპარა და იდუმალი ხმით ყურში ვინ ჩამძახის? — მათ თქვენი სიტყვა ისე ესმით, როგორაც ბუზის ბზუილი, როცა რაიკომის მესამე მდივანსაც მქუხარე ტაშს უკრავენო...

...წუხელ, გვიან, როცა ეს სტრიქონები ჩამოვკენჭე და შავფიქრებგასივებული თავი ბალიშზე მივდე და ის-ის იყო თვალებიც მივლულე, მაჯლაჯუნა ყვავ-ყორნების სახით საშინელი სიზმარი დამაცხრა თავს:

მცირეშვილიან და მცირეშვილიშვილიან ნოდარ დუმბაძეს, ერთშვილიან და ჯერ უშვილიშვილო ზურაბ წერეთელს თავიანთი ლენინური პრემიებისგან, ერთშვილიან და ჯერ უშვილიშვილო შოთა ნიშნიანიძეს თავისი სახელმწიფო (ყოფილი სტალინის) პრემიისაგან, მცირეშვილიან და მცირეშვილიშვილიან გრიგოლ აბაშიძეს და ერთშვილიან და ერთ შვილიშვილიან ოთარ თაქთაქიშვილს მრავალი, მრავალი წლის მანძილზე მიღებული თავიანთი სადეპუტატო ორას-ორასმანეთიანი საზღაურისგან და ბევრ სხვა დიდ ქართველსაც, რომლებიც წელში წყდებიან ხოლმე თავიანთი ფულოვანი მთა-გორების მწვერვალზე ასვლისას, —

ვითომ გადაეწყვიტათ ზურგს მოკიდებული ეს მძიმე ტვირთი შეემსუბუქებინათ და განბანილიყვნენ უკვე მოვლინებული ან აწ მისავლინებელი პატარა ქართველთა სასიხარულოდ და აღსაზევებლად და თავად კი — ოი, უბედურნი! — დარჩენილიყვნენ ხაჭაპურმშიერნი და ღვინომწყურვალნი, ტანთუცმელნი და ფეხთუცმელნი, უბრილიანტონნი და უმანქანონნი...

ამ კოშმარით შეძრწუნებული ის-ის იყო საფრთხობელა ყვავ-ყორნების კლანჭებს თითქოს თავს ვაღწევდი, როცა ანგელოზის სახით გამომეცხადა კიდევ ერთი ცნობილი ლოყებლაჟღაჟა— ტრიბუნაზე ერისკაცი, შინაურობაში მუცლისკაცი — და მომაძახა, მეც მინდა განვიბანო ჭუჭყისაგან, მაგრამ, რა ვქნა, ცოლი და ჩვენი ერთადერთი შვილი არ მომიწონებენო, და სწრაფად თავი შეყო თეთრ „ვოლგაში“...

მე მას ხტომა-ხტომით დავედევნე და მივაძახე, მეც არავინ მყავდა მომწონებელი, მაგრამ არავისაც არ მოვერიდე, 28 წლის უჯიათობის „ლურჯაზე“ შემჯდარ ვაჟს, რომელიც ოჯახს არ ეკიდება, უკვე ამთავითვე მოვუსპე ყოველივე სამემკვიდრეო და ახლა გარეთაც გავუძახებდი, საბინაო კანონი ამის ნებას რომ იძლეო...

სიტყვის დამთავრება აქ ჩამაწყვეტინა უჯმაჯური ყვავ-ყორნების საზარელმა ჩხავილმა, საქართველოს პანაშვიდი მოთავებულია და უკვე დადგა ქამი, მიცვალებულის გამოსატანად თადარიგი დაიჭიროთო...

ამით დარეტიანებულ-ზარდაცემულს, ჭირის ოფლში გაწუ-

რულს, მოზეიმე ყვავ-ყორნებთან ჭიდილში პერანგშემოხეულს, გამომეღვიძა კი, მაგრამ ვაი ასეთ გამოღვიძებას!..

ფოთში, უკვე ერთშვილიან ოჯახში სამი ტყუპის ცალი დაიბადა, სამივე ბიჭი, და მათ შოთას გმირების სახელები ჩამოურიგეს... ეს დიდად სასიხარულო და, თანაც, ქართველებში საიშვიათო ამბავი პრესამ კი მოგვახარა, მაგრამ თავად ჩვენ გავახარეთ კი ისინი რამეთი? სულ მცირედი კი მაინც გავუგზავნეთ ჩვენ — დიდ ერისკაცებად, დიდ მამულიშვილებად წოდებულებმა, — ტარიელ-ფრიდონ-ავთანდილის დედას, ან მათ მამას სასიყვარულოდ ყური მაინც ავუწიეთ?!

არა... ვითომც აქ არაფერი, ვითომც აქ არაფერი!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წ.): სულ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს — მელიქიძეს და მერაბიშვილს — სამი ტყუპი შეეძინათ, რაც ჩვენმა პრესამ ტექსტითაც გვამცნო და ფოტო-სურათითაც. უბინაობის გამო დროებით ისინი საბავშვო საავადმყოფომ შეიფარა... მე ისინი განგებ ცოტა მოგვიანებით მოვინახულე და ვკითხე, ვინმე თუ იყო თქვენთან-მეთქი... კიო, მოვიდნენ წითელი ჯვრიდან, დემოგრაფიული საზოგადოებიდან, აღმასკომიდან... ახლა ასე უთვალავად მომრავლებული „მამულიშვილებიდან“ — კერძო პირს ერთსაც არავის შემოუხედავს. ასე იოლად მისაგნებ, ყოფილ ათარბეგოვის ქუჩაზე მდებარე მათს თავშესაფარში!)

იმედი დიდ ცეცხლად თუ გესახებოდა, რეალობაში კი მხოლოდ ნაპერწკალიღა შემოგრჩა, ამით გაბრაზებულმა იმ ნაპერწკალს ნაცარი კი არ უნდა მიაყარო, პირიქით — სული უნდა უბერო და უბერო, ვინძლო მოღონიერდეს, ნაკვერცხლად იქცეს და კვლავ ცეცხლად აგიზგიზდეს!..

მე უკვე გიამბეთ საშინელ სიზმრებზე ყელში დასახრჩობად რომ მებჯინებოდნენ, წუხელ კი ერთსერიიანი ისეთი საამო სიზმარი ვნახე, არ მინდოდა გამღვიძებოდა, რა იცი, იქნებ იგი მრავალსერიიანად გადაიქცეს-მეთქი:

ვითომ პროფესორ შალვა ამონაშვილს; რომელსაც სხვისი ბავშვები თავის ორად ორ შვილზე არანაკლებ უყვარს, რის და-

ბადასტერებლად თენდაც ისიც იკმარებს, რომ სულ ახლახან მოსკოვში, ჯერ არნახული და არგაგონილი ოთხასი ათასი ტირაჟით გამოცემულ მის წიგნს „გამარჯობათ, ბავშვებო!“ — ჰქვია და, თურმე, ასეთი ტირაჟიც კი, როგორც წინასიტყვაობაში ერთი დარბაისელი აკადემიკოსი წერს, ჩვენი დიდი ქვეყნისათვის წვეთი იქნებაო ზღვაში, და მართლაც იგი, „გამარჯობათ, ბავშვების“ მშობლებმა რუსეთში, რაღაც რამდენიმე საათში ისეთი წეწვა-გლეჯით დაიტაცეს, ვინ ვის მიუმტვრია გვერდები, ეს ახლა ისევე ძნელი გასარკვევია, როგორადაც შარშანდელ თბილისობაზე ვინ მიულეწა ბორტები წითელწყაროდან გასაყიდად ჩამოტანილ ყველით სავსე სატვირთო მანქანას...

მაგრამ ეს ჩემი სიზმარი მარტო ამით როდი იყო საამურად სახილველი: თითქოს ბატონმა შალვამ თავისი ამ წიგნის ერთობ დიდი ჰონორარის ლომისწილი მრავალდაძმიან ლომგულა ქართველ ბავშვებს, გასაზრდელ-დასავაჟკაცებლად, „დედაენის“ ავტორივით, ისე უჭოჭმანოდ მიუძღვნა, იფიქრებდით, ეჭვი არც ეპარებაო, რომელიმე მათგანი მის ასაკში ასეთსავე საინტერესო (აქა-იქ, შეიძლება, სადავო) წიგნს დაწერს, ოღონდ სხვა სათაურით:

გამარჯობათ, კეთილო ძია!

უკვე რა ხანია ამდენი ლაპარაკია ქართველი ხალხის გამრავლებაზე (გამრავლებას ვიღა ჩივის, — არსებული დონე მაინც რომ შევინარჩუნოთ). ამდენივე ხანია ჩემი „შავი წიგნი“, ქსეროქსზე გადატანილი ხელნაწერის სახით და მიკროსკოპული ტირაჟით, ნამალეად თუ აშკარად, ამოწყდომის გზაზე შემდგარ სამმილიონიან ხალხში აქ-იქ დადის მაინც...

ეს კია, მას უკვე კარგად იცნობენ გაზეთებისა და ჟურნალების, თეატრის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები, მაგრამ... თითქოს მისი დაწერით რაღაც დიდი პოლიტიკური ცოდვა ჩამედინოს, არც ერთ მათგანს ჩემთვის, თუნდაც ყასიდად, ფორმალურად ერთხელაც არ მოუმართავს, ეგებ ამ თემაზე გაზეთისათვის რამე დაგვიწეროთ, ეგებ პიესა შექმნათ თეატრისათვის, ანდა იქნებ გა-

ესაუბროთ ჩვენს მსმენელ-მაყურებლებს ამ საგოდებელ საკითხზე, რომელსაც თქვენ, თითქოს, სხვებზე ნაკლებად არ იცნობთ და სხვებზე ნაკლებად არ გიკლავთ გულსო...

არასოდეს!..

არ იფიქროთ, ამ ფუტკრებისგან ჩემი ბუზადაც კი ეს ჩაუგდებლობა მოსვენებას არ მაძლევდეს, სულს მიფორიაქებდეს, ასიათასობით ნერვისგან ერთს მაინც მიწეწდეს, — ოღონდ საქართველოს ეშველოს რამე და...

სწორედ ეს ბოლო ფრაზა, ოღონდ სრულად, ვუთხარი კიდეც ერთ მართლაც ცნობილ მწერალს, როცა მან მთხოვა, მისთვის ნება დამერთო, ზოგი რამ ესარგებლა ჩემი ამ ნაშრომიდან, და თან დასძინა, წყაროსაც მივუთითებო...

თუკი ჩემი ეს ნაწერი სულ ცოტათი მაინც გამოდგება საქართველოს გამოსაღვიძებლად, დაე იგი სარგებლობის მომტან ფიანდაზად გაშლოდეს ყველა ავტორს, წყაროს მიუთითებლადაც-მეთქი, მივუგე მე მას... (სხვათა შორის, ამ ავტორმა წყარო კი მიუთითა, მაგრამ იგი ამოუგდო ვ. ჭელიძის „ლიტერატურულმა საქართველომ“, „სამიზდატიაო“).

...ოღონდ ბატონო ავტორო, დიდო ბატონო ავტორო, თავს ისე ნუ მოგვაჩვენებ, თითქოს შენ ის არათუ წაგიკითხავს, — მის მოარულ არსებობაზეც კი ვითომ არც არაფერი გსმენია, და თუ ამით ერთგვარ ზიანსაც მიაყენებ წმიდა საერო საქმეს, სახეზე სიწითლე არც მოგერევა...

ჟურნალ „მნათობში“ (№ 2, 1984 წ.) ერთი ქართველი ლიტერატორის... რაკი ამ შემთხვევაში ამას არსებითი მნიშვნელობა აქვს, მის კუთხურ „ეროვნებასაც“ დავაზუსტებ: სვანი ლიტერატორის ერთობ დაკვირვებულად დაწერილი სტატია გამოქვეყნდა: „სადამდე ივლის ქარავანი?“ იგი გვაცნობს, გვისახელებს კიდეც მესტიის რაიონში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთა შორის ერთი რვაშვილიანიცაა დასახელებული, მაგრამ მათ შორის ვერ შეხვდებით სასიქადულო და სამაგალითო ქეთევან ნიგურიანს, რომელმაც მეთორმეტე შვილი მაშინაც კი შობა, როცა... შვილიშვილი უკვე სამი წლისა ჰყავდა!

ჰოდა, რას გვიბრძანებთ, დავიჯეროთ, რომ მთელი სვანეთისათვის ცნობილი ეს ამბავი ამ სვანი ჟურნალისტის, ყოვლისმცოდნე ჟ ურ ნ ა ლ ი ს ტ ი ს უნაპირო თვალსაწიერს გამო-

ეპარა და მის მახვილ ყურამდე ვერ მიაღწია?! ან ეგებ მიაღწია კიდეც, მაგრამ ქალბატონ ქეთევან ნიგურიანის „და მრავალ სხვაში“ მოხვედრის მიზეზი, მისი დანაშაული ის არის, რომ იგი ახლოს იცნობს კ. ბუაჩიძეს, რომელთანაც სტუმრადაც გახლდათ თბილისში ქმართან და უფროს ქალიშვილთან ერთად, მერე კი, ეს ყოფილი მასპინძელი თვითონ ეწვია მათ სვანეთში...

ამ ნარკვევ-წერილში პირადად ჩემთვის საინტერესო უფრო ის არის, რომ მასში, პირველად ჩვენს, ასე ვთქვათ, ლეგალურ პრესაში მიუკიბ-მოუკიბავად ნათქვამია:

„მართლაც საოცარია პირდაპირ, ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა აღეძვრას მიწაში ფულების მფლობელსა და ოქროს კრუხისა და წიწილების მქონებელ ჩვენებურ კაცს ძველქართული მოვალეობის გრძნობა ქვრივ-ობოლთა, გაჭირვებულთა, მრავალშვილიანთა დახმარებისა“?..

ო, რა თქმა უნდა, რასაკვირველია, დასტურ, რომ ოქრო სიტყვებია, ოქროზე უფრო ოქრო სიტყვებია!

ეს კი, მაგრამ... ნუთუ ეს მირონ... მირონცხებული სვანი პუბლიცისტი იმდენად „გადასვანდა“, რომ მისი მშობლიური კუთხიდან თუ ვერ ჩამოაღწია თბილისამდე ამ ხმამ, სვანეთში ასვლისას მაინც, ნუთუ ყური ვერ მოჰკრა, რომ 6—7 წლით ადრე, ვიდრე შენი თხზულება გამოქვეყნდებოდა, გამოჩნდა ქვეყნად სწორედ ისეთი თანამოკალმე შენი, რომელიც არ დაელოდა საამისო სახელმწიფო დადგენილებებს და მთლიანად დაეყრდნო მხოლოდ თავის მოქალაქეობრივ სინდისსა და პიროვნულ ენთუზიაზმს, და თუმცა არც მიწაში ჰქონდა ჩაფლული ფულები და არც ოქროს კრუხი უდებდა ოქროს კვერცხებს (ამის გაგება სულ იოლად შეიძლება საავტორო უფლებათა სააგენტოში), და მიუხედავად ამისა...

იქნებ ახლა მაინც გადავხედოთ მესტიის რაიონული გაზეთის ერთ-ერთ ადრინდელ ნომერს, სადაც შეუძლია, რასაკვირველია, თვალხილულს ამოიკითხოს ასეთი სათაურიანი „გმადლობთ ძმური დახმარებისათვის“...

ო-ო, ქეთევან ნიგურიანის უღლის გამწევი, ამ მადლობის მთქმელი ილია ნიგურიანი, ალბათ, ამიტომაც არ მიიჩნია ჩვენმა შორსმჭვრეტელმა და მიუკერძოებელმა მკვლევარმა ხსე-

ნების ღირსად, აქაოდა, არავინ იფიქროსო, თითქოს ვიღაცასი რაღაც „შავი წიგნი“ იყო ჩემი „ქარავნის“. ბიძგის მიმცემიო— მასში გამოთქმული ყველა აზრიც ჩემია და მათი პირველი ამღაღადებელიც მე გახლავართ და არავის არაფერს დავსესხებივარო...

ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად!

...ოღონდ ამ საგოდებელ-საგონებელს ერთიანი ძალით და საერთო შემართებით როგორმე თავი დავაღწიოთ, ოღონდ მომავალს ნურც შევიმოკლებთ და ნურც მოვისპობთ, ოღონდ ქართველების, ცოცხალი ქართველების ხსენება ნუ ამოიძირკვება და მერწმუნეთ...

ო, ძნელი კია, როცა დღეს ცინიზმს, ორპირობას, სიცრუეს, თვალთმაქცობას, სიყალბეს, ავკაცობას ასეთი თვალუწვდენი სამოქმედო ასპარეზი აქვთ, კაცი ვინმეს გულწრფელობას ენდო, და მაინც...

მზად ვარ დღესვე ფერფლად ვიქცე ჩემ „შავ წიგნებიანად“, ოღონდ საქართველო ნუ დაიფერფლება...

Всякий неработающий человек — негодяй.

Ж.-Ж. Руссо

Освобождение себя от труда есть преступление.

Л. Толстой

ერთმა თბილისელმა გურულმა ქალიშვილმა, ახლახან უმაღლესი სასწავლებელი რომ დაამთავრა და სამ და-ძმას გვერდს უმშვენებს, რაც იმისი დამადასტურებელია, რომ შრომისმოყვარეობით და მამულიშვილობით საქები ოჯახიდან გახლავთ, ბევრად უფრო გონივრული ბარათი მომწერა, ვიდრე ჩვენი ხალხის მესიობის პრეტენდენტმა, ამ წიგნის დასაწყისში სტრიქონ-სტრიქონ რომ გაგაცანით.

ცხადია, თქვენ უკვე გაიფიქრეთ, მე მას ხოტბას ვასხამ, ალბათ, უფრო იმიტომ, რომ მე-18 საუკუნის ერთი ბრძენი ფრანგის — ლაროშფუკოსი არ იყოს... „როცა სულელი გვაქებს, ჩვენ ის უკვე არცთუ ისე სულელად გვეჩვენება“.

არა, ეს რომ ასე იყოს, მაშინ მე მას ჩემი იმ გამჭიქებლის გვერდით არ მოვიხსენიებდი, — ეს ქალიშვილი თითქმის მიწასთან მასწორებს... თითქმის-მეთქი, რადგან ჩემგან ცოტა რაღაცას მაინც ტოვებს მიწის ზემოთ:

„თქვენ გინდათ, კიდევ ერთი საქრთამო ადგილი დააარსონ“...

„თქვენ გავიწყდებათ, რომ ცხოვრების წესად სიყალბე გავიხადეთ, ყველგან და ყველაფერში სიყალბე! გინახავთ კი, როგორ კრეფენ ამ ბოლო დროს ჩაის? ეგებ არ დამიჯეროთ, მაგრამ მაინც გეტყვით — ხის ცულებით“.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას, რომ „ცულების“ ამბავი გაგონილი ბევრად ადრეც მქონდა, რაიც მერე, საკმაოდ მოგვიანებით, ჩვენ ყველამ ეგრეთ წოდებული მაღალი ტრიბუნი-

დანაც მოვისმინეთ. ეს კია, იმ ტრიბუნიდან და არც რომელიმე სხვა ტრიბუნიდან აი, ამის მსგავსი ჯერ არაფერი გვსმენია:

„...ანდა, აბა რა ქნან მეჩაიეებმა, როგორ შეასრულონ ეს გრანდიოზული გეგმები? და განა მარტო მეჩაიეები არიან აქ დღეში?"

აქ თითქოს პატარა კენჭი კი არა, მოზრდილი კოლბოხია ნასროლი ვენახსა და ზვრებში, და ბევრგან სხვაგანაც...

ჰო, მაგრამ... ეს მეც მომეხსენება, გენაცვალე! ჩვენში ხარისხი და რაოდენობა ძალიან ხშირად ერთად რომ არ მიდიან და შეხმატკბილებულად არ მიიმღერიან,—ამაში რომ ერკვეოდე, ამისათვის არ არის აუცილებელი კაცმა უნივერსიტეტი დაამთავრო, თანაც სულ უწიგნური არც მე გახლავართ,—დამთავრებული მაქვს სტალინის სიკვდილამდე სტალინის სახელობის (და არა ივანე ჯავახიშვილის!) თბილისის უნივერსიტეტის კულინარიის ფაკულტეტი პირველი ხელის მზარეულის დიპლომით, და თუმცა ხუთწლიანი სწავლის პერიოდში თეორიულად არაერთხელ შევამზადეთ, პრაქტიკულ ცხოვრებაში კი, რა თავპირიც არ ვიმტვრიეთ, ვერც მე და ვერც ჩემმა თანაკურსელებმა ერთხელაც, ე რ თ ხ ე ლ ა ც ვერ გავაკეთეთ ინდაურის რიგიანი საცივი... ნიგოზიც ვუყავით, მიხაკ-დარიჩინიც, ზაფრანაც და ზოგი რამ სხვა საკმაზიც, გვერდით ღომიც მივუდგით, მაგრამ ინდაურის საცივს მაინც ვერ დავამსგავსეთ, რამეთუ ამ კერძის, მთავარი რამ, ასე ვთქვათ, ბაზისი გვაკლდა, — ინდაური!

რამდენიმე დედაკაცმა „შავი წიგნის" გაცნობის შემდეგ, მისაყვედურა, ასე თავგამეტებით რატომ გვესხმით თავს, მშვენიერ სქესსო...

ბუნებას ამის გასამართლებლად რაღაც მოსაზრება, ალბათ, უეჭველად ექნებოდა, როცა აწესებდა: ქალების თუნდაც რომელიმე ერთი ფენა აუგად რომ მოიხსენიო, მთელი მდედრობა, თავდაცვის მიზნით ბზიკივით გეცემა, რაიც, სხვათა შორის, მამაკაცებში მიახლოებითაც არ შეინიშნება.

ჩემდა სასიხარულოდ, ეს ჩემი უცნობი ქალი-კორესპონდენტი ამ მხრივადაც იშვიათი გამონაკლისი აღმოჩნდა... აბა, მოვუსმინოთ:

„გეთანხმებით, დღეს საქართველოს უპირს უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, და ეს გაპირვება — ო, როგორ მიმძიმს ამის დაწერა! —ჩვენი ერის სულიერი დაკნინებაა, ხოლო დაკნინების ყველაზე უფრო საზარელი გამოხატულება აბორტები და აბორტმახერების ასე ბელურებივით მომრავლებაა. ამ სიტყვების უკან დგას ათასობით გაზარმაცებული ქართველი ქალი, რომლებიც თავიანთ უნიათობას და სიზარმაცეს იმით ამართლებენ, რომ... „რა ვქნა, ბატონო, ოჯახს ეუვლი, ვმუშაობ, მესამე როგორღა გავაჩინოო“...

ახლა ესეც გავარკვიოთ, მუშაობენ კი? მსგავსი ქალებით გამოტენილია კვლევითი ინსტიტუტები და საპროექტოები, ლაბორატორიები და გამომცემლობები... ჰოდა, ვინ რას აკეთებს? უფრო ერთობიან, ვიდრე მუშაობენ, სამსახური მათთვის ალიბია, სიზარმაცის ალიბი!“

არა, საქმე სულ არც ასეა, როგორც ამას ეს ფრიად დაკვირვებული ახალგაზრდა ქალბატონი გვიხატავს, მაგრამ ამ სურათში სიმართლის, სულ ცოტა, 80 პროცენტი მუქი ფერი რომ ბრეყვიალებს, ამას სოციოლოგიური არც გამოკითხვა სჭირდება, არც გამოკვლევა.

დასტურ, საერთოდ გვჭირდება კი ჩვენ რაიმეში სოციოლოგია, როგორც საკვლევაძიებო მეცნიერება? ბრმებისთვისაც კი ნათელს, ყველასათვის თვალხილულს და სულ იოლად გონებამისაწვდომს განა კიდევ სჭირდება რაიმე კირკიმალი და კირკიტი ჩვენს სარკესავით კრიალა სინამდვილეში?!

ერთხელ ცირკში, არენაზე, კლოუნმა პატარა, მინიატიურული—მუხლებამდე რომ სწვდებოდა — ჭიშკრის მაკეტი გამოიტანა, ასეთი წარწერიანი: „შესასვლელი სამოთხეში“.

ჰოდა, რა ხერხს არ მიმართა, რამდენი არ იწრიალა, რათა სამოთხეში შესულიყო, მაგრამ ვერა და ვერ შეაღწია, —უბრალოდ ჭიშკარში ვერ ეტეოდა... მერე უეცრად, თითქოს მის თავზე ცა გაიხსნაო და სამოთხეში უკვე მყოფმა, ალბათ თვით ალბერტ აინშტაინმა სტყორცნაო თითქოს ეს გენიალური აზრი, ადგა და „ჭიშკარს“ გადაალაჯა და უსაზღვროდ გაიხარა, რაკი საოცნებო ედემში თავი, ბოლოს და ბოლოს, მაინც ამოყო.

შეიხედეთ ჩვენს რომელიც გნებავთ დაწესებულებაში და თვითონვე დარწმუნდებით, რამდენი ქალია... ზოგი ქსოვს, ზოგი თვლემს, ზოგიც, პირში სიგარეტგაჩრილი, ცისა და ბარისაზე ლაპარაკობს, მოკლედ, — საქმეს ერთი თავი რომ გააკეთებს, იმას ცხრას „აკეთებინებენ“.

(მინი-ცნობა ანეგდოტების მოყვარულთათვის: თბილისში არსებობს ერთი მუზეუმი... ჩვენი პირველი, სახელმწიფო მუზეუმი კი არა, არც ხელოვნებისა, და არც ენთოგრაფიული და არც ზაქარია ფალიაშვილისა... და ეს შედარებით პატარა, არცთუ ცნობილი, უმნახველებო მუზეუმი, რომლის საქმიანობა მარტო „ფუნქციონირობით“ იფარგლება... 77 თანამშრომელს ითვლის!).

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მინაწერი (1990 წლის სექტემბერი): ჩემი ოპონენტი — ქალიშვილი, რომლის მღელვარე ბარათიდან ამონაწერები ეს წუთია შემოგთავაზეთ, ამ შვიდი წლის წინათ როგორღაც გავიცანი: იგი აღმოჩნდა სასიამოვნო გარეგნობის, უნივერსიტეტდამთავრებული არა მარტო დიპლომით, — მართლაც ცოდნით და მართლაც განათლებით... და რაც უფრო სასიხარულოა ჩემთვის დღესაც, სიტყვანი მისი და საქმენი მისი, მით უმეტეს, ეროვნულ სფეროში, ერთმანეთს არასოდეს არ შორდებიან: გათხოვდა და... თუმცა პირველზე ერთობ მძიმედ იმშობიარა, მეორე ბავშვის ყოლას მაინც არ მოერიდა... არც მეორემ ჩაიარა პირველზე ნაკლებ გაუწვალებლად, და მაინც... ახლა მესამეზეა ორსულად და, როგორც მითხრეს, გეგმაში მეოთხეც ჰყავსო, და ეს არც გამიკვირდება, აკი მას ქმარიც ღირსეული შეხვდა, თანამოაზრე...

მიამბეს ესეც: როცა იგი, ფეხმძიმობით შეუძლოთ მყოფი, ერთმა მასზე ადრე გათხოვილმა თანაკურსელმა, ყოველდღიურად ორი „პაჭკა“ სიგარეტმომსუნთქავმა, ყოველდღიურ ცხოვრებაში კი ერთშვილიანობის პრინციპზე სალ კლდესავით მდგარმა, მოინახულა და უსაყვედურა, რას იკლავ, სულელო, თავს, ჯერ მეორე რა იყო და... ეს მესამე მაინც რაღა ჯანდაბად გინდაო, ამაზე ბრალდებულმა მბრალმდებელს მიუგო:

— ზოგი დედად იბადება, ზოგი ბოზად... მე დედად დავიბადე, და ამისთვის ღმერთს უზომო მადლობას ვწირავ.

დედაო ღვთისავ, გვიმრავლე ქართველებს ასეთი დედები, ისეთი „დედები“ კი... მმ...

კიდევ ერთი, ზემო მინაწერზე ცოტა უფრო გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი: გუშინ, 10 ოქტომბერს, ჩვენს ტანმომცრო, სულით და სახით ამ ლამაზ ქალბატონს, ღ ი რ ს ე უ ლ ქალბატონს ბიჭი შეეძინა: საბა!

ვინ იცის, საბას შეიძლება სულხანიც მოჰყვეს! ასეთი ქართველი დედისგან ყველაფერი „ავია“ მოსალოდნელი!..

დაუდევრები ვართ ქართველება,
და კიდეც ეგ მოგვიღებს ბოლოს.

ილია

არ არსებობდა და არ არსებობს ქვეყნად ძეხორციელი, რომელიც არასოდეს არ შემცდარა. გენიოსებიც კი. ბევრი მათგანი ამას თვითონვე აღიარებს და ეს მათ გენიალობას ჩვენს თვალში ჩრდილს სრულებითაც არ ჰფენს, პირიქით — უფრო ამაღლებს.

ერთი გადამდგარი პოლკოვნიკი მწერს (გადაუმდგარი, ალბათ, ჯერ კიდევ შემორჩენილი შიშიანობის გამო, არ მომწერდა):

„თუ ეს ყოველივე მართალია, რასაც თქვენ ვაზგენზე წერთ, მაშინ ის გასახლებული უნდა იქნას საბჭოთა კავშირიდან".

ამ ორი სტრიქონის ჩემეული კომენტარით კაცმა კურდღელი შეიძლება ორიც კი დაიჭიროს:

ჯერ ერთი, — ჩემს ნაშრომში არაფერი მოგონილი არ არის, შეიძლება ზოგი რამ, თანაც ძალიან ცოტა რამ, უფრო მეტ დაზუსტებას საჭიროებს და ეს, მგონი, უნდა მეპატიოს, მე ხომ უმაღლესი მათემატიკის დარგში სადოქტორო დისერტაცია არ დამიწერია, თუმცა, აბა, რომელმა ოპონენტმა არ იცის, —შესაძლო შეცდომებისგან არც ზუსტი მეცნიერების ეს წარმომადგენლები არიან დაზღვეულნი, და თუ ეს ასეა, მაშინ რაღა უნდა მოეთხოვოთ „ემოციურ სიტყვათა მსახურთ"...

და მაინც, ერთმა კანდიდატმა, რაკი მისი სტანდარტული, მაგრამ ოფიციალურად დაკანონებული პედაგოგიური აზრის წინაშე მუხლი არ მოვიყარე, ამ ჩემს „დისერტაციაში" მიუტევებელი შეცდომა მიპოვა და შემომწყრა, მე ოთხი კი არა, სამი შვილი მყავსო, — შევცდი, ბატონო და ამისათვის მოწიწებით ბოდიშს გიხდით; ეს სტატისტიკა თქვენმა ერთმა ახლო

ნათესავმა მომაწოდა, რომელსაც, მართალია, ფიზიკა-მათემატიკურზე არ უსწავლია, კაცი ფილოლოგია, მაგრამ მაინც, განა ვიფიქრებდი, რომ მას თვლა ოთხამდეც არ ეცოდინებოდა?!

(რა ზნისა და რა გონის ადამიანს არ შეხვდებით ჩვენს თვალგაუზომავ პლანეტაზე და, მით უფრო, მის მუხუდოს მარცვლის ოდენა საქართველოში! „ამან", სამი შვილის მამამ, ოთხი შვილის მამობა რატომ მომაწერეთო, „იმან" კი, გურიის სოფელ აკეთიდან, სპეციალურად მომაკითხა და ორი შვილი ოთხად შემომატყუა, რათა „შავი წიგნი" ავტორისაგან სამახსოვრო წარწერით მიეღო).

მეორეც, — არავინ ვაზგენს არ გაასახლებს, და თუნდაც, ვთქვათ, გაასახლონ კიდეც, მაშინ მას სხვა, რომელიმე ნერსესი შეცვლის, და ისიც პირწმინდად თავის წინამორბედივით მოიქცევა, — კვლავ ისარგებლებს რა ჩვენი უჭკურ უდარდელობით, თავის საერო საქმეს, ცქვიტად და გეგმაზომიერად, იმავე რელსებზე შეაყენებს.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ვერავითარი ვაზგენები — არ ვიცი კი, ამ გამოთქმისათვის ბოდიშის მოხდა მევალება თუ არა,— ფეხებსაც ვერ მოგვჭამენ, თუკი თავად ჩვენ, ქართველები, ყველანი გამოვფხიზლდებით და გონს მოვალთ...

(აქაც და ყველგან ვაზგენი ჩემთვის კრებითი სახელია, რომელშიც ჩვენი ამოწყდომის ყველა მოსურნეს ვგულისხმობ).

...და განა უკვე დრო არ არის, რომ გონს მოვიდეთ?

უკანასკნელი გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ჩანაწერი (1990 წლის დეკემბერი): ტელევიზიამ გაგვაცნო ერთი ცხინვალელი ახმახი ოსი, რომელსაც ქართულმა მილიციამ ხელყუმბარა აღმოუჩინა... როცა ჰკითხეს, რად გინდოდაო, მან უტიფრად უპასუხა: „მე ვიცავ ჩემს მიწა-წყალს!.."

ეჰვი ნუ შეგვეპარება, ასეთი ოსი „ეროვნული" ბანდიტები წელს არ დაბადებულან, იმათ ნაფი ჯუსოითები ხანგრძლივი დროის მანძილზე ზრდიდნენ და ჯერ სულიერად აიარაღებდნენ, ახლა კი ხელყუმბარები ჩამოურიგეს საძულველი ქართველებისგან „საკუთარი მიწა-წყლის" დასაცავად: ჩოჩიევების მამა და მოძღვარი, დღეს უკვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტობით დამშვენებული ნაფი ჯუსოი-

თი ჯერ კიდევ 1972 წელს წერდა სამაჩაბლოზე, სამხრეთ ოსეთი ჩემი მშობლიური მხარეა, ხუთი ათასი წელიწადი ცხოვრობს ჩემი ხალხი ამ მშვენიერ მიწაზეო... (იხ. „შავი წიგნი", გვ.28).

...როცა შევიტყვე, რომ „შავ წიგნს" სხვადასხვა ასაკისა და სხვადასხვა პროფესიის ადამიანები გაფაციცებით დაეძებენ, მთებში მოსიარულე გეოლოგებიც კი, გავიფიქრე, წესით, მათზე ადრე გინეკოლოგები (ცხადია, არა შუბლგარეცხილნი!) უნდა გაეცნონ, უწინარესად კი — ქალის ფიზიოლოგიის ინსტიტუტი, აკი პოპულაციის (გამრავლების) ხაკითხები სხვებზე უფრო მას უნდა აწუხებდეს, — დიდებულმა მამულიშვილმა იოსებ ჟორდანიამ განა სწორედ ამ მიზნით არ დააარსა იგი?!

ჰოდა, მეც ბევრი აღარ დავაყოვნე და თვითგამოცემის ის წიგნი ჩემეული მიძღვნა-წარწერით...

ო, რა ძლიერ შეეცბუნდი, როცა მხოლოდ იქ მისელისას გახდა ჩემთვის ცნობილი, რომ ახლა ჟორდანიას სახელობის ინსტიტუტს სათავეში უდგას არაქართველი სპეციალისტი, რომლის ქართულის ცოდნა, დღეს-დღეობით მაინც, მარტო „გენაცვალეთი" ამოიწურება, ამიტომ მისი კაბინეტის კარი აღარც შევაღე და სახტად დარჩენილმა ჩემი საბოძვარი, გამოუკითხავად, იქვე მდგომ ერთ თეთრხალათიანს დავუტოვე, რომლის გარეგნობაც მის ქართველობაში ეჭვს არ იწვევდა... რაკი ქართველი კაცია, გავიფიქრე, სანიტარიც რომ იყოს, ამ ხელნაწერ წიგნს, უეჭველია, სათანადო გზას მოუნახავს-მეთქი.

და აი, გადის მარტის იმ შეტემუტა დღიდან თვე-ერთი, თვე ორი, თვე სამი... ნახევარი წელიწადიც, მაგრამ იქაური მედიკოსებიდან ბაიბურიც კი არ ისმის — გაეცნენ — არ გაეცნენ; ამ ამბავს, ვფიქრობდი, თუ კაცი არა, ჩიტი მაინც გამომიტანდა-მეთქი, მაგრამ...

რის ჩიტი, რა კაცი, ან ერთს, ან მეორეს რა საბაბით უნდა დაემდურო, როცა იმ თეთრხალათიანს, როგორც მოგვიანებით დავადგინე, ჩემი „ნობათი" თურმე, სულაც არ გამოუჩენია; შინ წაიღო და საკუჭნაოში შეაგდო, თუ ინსტიტუტის რომელიმე გაუქმებულ უჯრაში ჩაკეტა-დაამწყვდია, ეს დღემდე იდუმალებით არის მოცული.

ალბათ შეამჩნევდით, ამ ჩემს ნაწერში გვარით იშეიათად თუ ვიხსენიებ ვისმე, ამ შემთხვევაში კი... რაკი არ მინდა ეჭვი აიღოთ ამ ინსტიტუტის რომელიმე, ამჯერად, სრულიად უცოდველ თანამშრომელზე, აი თუნდაც პატივსაცემ, ოთხი შვილის მამა ჯამბაკურ ბაქრაძეზე, ეს თეთრხალათიანი, როგორც გაიჩქვა, გვარად ბეგიაშვილი ბრძანებულა... სანიტარიო, მასზე რა სათქმელია, — ექიმი, უფრო მეტიც: დირექტორის მოადგილე...

ჰოდა, ასეთი მოადგილეები რომ გვეყოლება ჟორდანიას ინსტიტუტშიც კი, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!?

ტიკჭორაია...

მამაძაღლური გზებით მოსაპოვებელი შემოსავლის მრავალხვრელიანი პატარა დაწესებულების პატარა უფროსი, დიახ, პატარა უფროსი, მაგრამ მაინც უფროსი, ხელქვეითების მიერ დამზადებული პროდუქციის ღირებულების 70 პროცენტს თვითონ რომ მიითვლის, მწარმოებელ-შემსრულებელს კი დანარჩენ 30 პროცენტს აძლევს და ამასაც ამადლის... რაკი მას „შავი წიგნის“ არსებობის ამბავი გაეგო, და თან ისიც, რომ მასში ნახსენებია ერთი ღირსეული მისი ახლობელი, „წიგნის“ თხოვებაზე უარი ვერ ვუთხარი...

დიახ, ვათხოვე და როცა დამიბრუნა, ვკითხე, შენს გარდა თუ ვინმემ წაიკითხა-მეთქი, — არაო, მიპასუხა, ჩემი სახლიდან გარეთ ერთი საათითაც არ გასულა, არ მინდა თქვან, კომუნისტი ტიკჭორაია ასეთ წიგნებს კითხულობს და ავრცელებსო...

ასეთი კომუნისტები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამდენიც დაგვეთელება, ჰოდა, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!?

ნუ იტყვით, ბედისწერა არ არისო... მთებში დაიღუპა უებრო ალპინისტი... დარჩა პატარა ბიჭი... როცა გაიზარდა, სათაყვანებელი მამის გზას დაადგა, უნდოდა ამით მამის ხსოვნა ერთგვარი შარავანდედით შეემოსა და თავისი მამაცობით სამშობლო ესახელებინა, მაგრამ...

ო, ბედო მუხთალო, — შვილიც მამასავით ყინულოვანმა მთებმა შეიწირეს... ახალნათხოვი ცოლი ორსულად დარჩა... ბუნებრივია, თავზე დატეხილმა უბედურებამ ფეხმძიმობის პერი-

ოდი ერთობ გაართულა, მაგრამ ზნეობრივად და სულიერად სპეტაკი ახალგაზრდა ქალი („ქვრივის“ ხმარებას ვერიდები, რაკი ეს დარბაისლური სიტყვა ჩვენი სალაპარაკო ენიდან ამოაგდეს, ალბათ, აქაოდა, წყეული წარსული არ მოგვაგონოსო!) სიძნელეებს არ შეუშინდა და, თუ ეს საჭირო იქნებოდა, მზად იყო თავისი სიცოცხლე მსხვერპლადაც გაეღო, ოღონდ დაეტოვებინა ამქვეყნად საყვარელი ქმრის სახსოვარი და მისი გვარის გამგრძელებელი...

და აი, წევს იგი თბილისის ერთ-ერთ სამშობიარო სახლში და ვაქკაცურად იბრძვის ნაყოფის შენარჩუნებისათვის, მთავარი ექიმი კი...

არა, ცოდვა იქნებოდა ამის უთქმელობა, — მკურნალობით კი მკურნალობს, და მკურნალობს, ალბათ, ყოველმხრივ სათანადო ყურადღებითაც, მაგრამ როცა მშობიარის სარეცლიდან თავის კაბინეტში გადაინაცვლებს, ცინიკურად ეუბნება კოლეგებს:

— სულელი არ არის ახლა ეს ქალი? რად უნდა აწი ამას ბავშვი?!

გინეკოლოგიის დარგში ასეთი ლოგიკით შეიარაღებული, შუბლგაშლილი მთავარი ექიმები და, მით უმეტეს, რიგითი ექიმები, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, რამდენიცა გვყავს ამჟამინდელ, როგორც გვარწმუნებენ ხოლმე, მხრებგაშლილ საქართველოში, ჰოდა, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!?

ეჭვი არ არის, ჰიპოკრატეს ფიცის დამდებთ და არასოდეს (?) მის დამრღვევთ უფრო გაახარებდათ ერთი საკმაოდ ცნობილი მოსიმღერის ახალგაზრდა რძლის საქციელი, რომელსაც ქორწინებიდან სულ მალე ავარიაში ქმარი დაეღუპა და მას, ახლა სრულიად ძირფესვამოგდებულმა მამამთილ-დედამთილმა რა ვედრებით არ მიმართეს და რა სანთლები არ დაუნთეს, რომ მუცელი არ მოეშალა და ნაყოფი მათთვის ეჩუქებინა („ჩვენ გავზრდით, ჩვენ გავზრდით!..“), მაგრამ არა და არა, ჩანს, უფრო მანქანაზე, ვიდრე საყვარელ ადამიანზე მითხოვილმა „კდემამოსილმა“ ქართველმა ქალმა არარად ჩააგდო მათი ცრემლი და ვიში და მალბორო-სიგარეტიდან ნაფაზი „სვეტსკად“ დაურტყა...

საინტერესოა და დამახასიათებელიც, რომ ამ სამშობიაროში ერთი ექიმიც არ მოინახება ისეთი, ერთზე მეტი შვილი ჰყავდეს; ამას თეორიულ სარჩულსაც კი უდებენ: ერთმა მათგანმა, რომელმაც ჩინებულად იცის, რა ზოოლოგიური სიძულვილითაც ვარ გამსჭვალული მათს საძრახისობამდე გამრუდებული პროფესიისადმი, — ამაყად და ნიშნის მოგებითაც კი მითხრა, ახლაც კი, ხანდაზმულობაში, არავინ ამას არ ვდარდობთ და თავსაც ბედნიერად ვგრძნობთო...

ცხადია, იგრძნობენ-იგრძნობენ, აკი ამ „მანდილოსნებისთვის“ რა არის ქართველი ერის მარადიული სიცოცხლე და რა არის მათთვის საქართველო? — ერთი ნაჭერი იმპორტული საპონია — ინდური მაჰარანი, — რომლის სუნიც ჩაურეცხავი უნიტაზის სუნს თუ მოგაგონებს, შეგიძლია სააბაზანოდან ღია აივანზე გაიტანო...

ამათთვის ბედნიერების საზომი ხომ ზვინებად დაწყობილი ათასებია, რომლებითაც ოქროც შეგიძლია მოიმარაგო, „ნორკაც“ მოიგდო ჯორკო ტანზე, ბინაც გადაცვალო: რიგიანი — „ექსტრაზე“ და საამისოდ 70.000 მანეთიც არ დაგენანოს, აკი მას შენს ერთადერთ, 40 წლის გაუთხოვარ და აწ გათხოვების ყოველგვარ იმედს მოკლებულ ქალიშვილს უტოვებ საბედნიეროდ...

...და როცა ამ „ბედნიერს“ დედა გარდაეცვლება, მაშინ ის კიდევ უფრო მეტად იგრძნობს, თუ რა „ბედნიერების“ ქერის ორმოში ჩააგდო ცხონებულმა: თუ ვერავინ მონახა ისეთი, რომელიც სამადლოდ მასთან გაათევს ღამეს, „ვერსალის სასახლის“ პატრონი ახლობლებში იდებს სასთუმალს, აკი შიშის ზარი იპყრობს ხოლმე მარტოკას ასე ძვირად ღირებულ, უსაზომო სამკვიდრებელში...

ალბათ თვითონაც გულში, და მისი შემხედვარე სხვებიც (რასაკვირველია, არა ბრჯგუ გონების პატრონნი!) ერთმანეთში ამბობენ, დალოცვილს უძრავი ქონების ნაცვლად მოძრავი ქონება — და-ძმები დაეტოვებინა, არა სჯობდაო?..

უხერხულად და, ცოტა არ იყოს, თავაგდებულ უზრდელობათაც კი მივიჩნიე, რომ „შავი წიგნი“ არ გამეცნო საშუალო თანამდებობის მქონე ერთი პირისათვის, რომელსაც სხვა მოვალეობასთან ერთად გამრავლების პროპაგანდის წარმართვაც

ევალება აი, იმის მეშვეობით, ეე... იმის... ადრე, გამოგონებისას, უმავთულო ტელეფონი რომ შეარქვეს.

გაცნობისას მან ჩემზე ერთობ სიმპათიური შთაბეჭდილება მოახდინა და, ვიფიქრე, წაიკითხავს და, ალბათ, ჩემთან მეორედ შეხვედრის სურვილიც აღეძვრება, თანაც, აბა, ისე როგორ იზამს, მისდამი დაქვემდებარებული გამრავლების საბჭოს სხვა წევრებსაც არ წააკითხოს-მეთქი...

ო, არა! არც მათ წააკითხა და აღარც მე გამომესაუბრა, ორიოდე დღის შემდეგ უკანვე დამიბრუნა შიკრიკის, შ ი კ რ ი კ ი ს ხელით.

ჰოდა, ეს, საერთოდ, წესიერი და პატიოსანი კაცი, რომელსაც ასაკგადასულობის გამო უკვე მოთავებული აქვს თავისი პარტიული და საზოგადოებრივი ცხოვრება, და არც უდიდეს სიმდიდრეს — კილო ხორცსა და ამდენივე ყველს ღებულობს კვირაში ერთხელ დახურულ მაღაზია-განმანაწილებელში, — თუკი ასეთი „გზნებით" მოექცევა თავისი ერის სატკივარს, რომლის ერთ-ერთი მკურნალი — ყოველ შემთხვევაში თანამდებობით მაინც — ისიც უნდა იყოს, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!?

(ისე კი, „სახიფათო-საშიში" წიგნი ამ ნაომარმა ჟურნალისტმა ბოლომდე რომ ჩაიკითხა, ამაში დავრწმუნდი მაშინ, როცა იგი ჩემს ერთ ახლო ნაცნობს და თავის სანდო მეგობარს ქებით გამოუტყდა, რა დაწერილია, რა დაწერილიაო...

კი, ბატონო, ეს „კაია", „მარა..." დაწუნებით „შავი წიგნი" არც სხვა ამხანაგ კომუნისტს, ტიკჭორაიას დაუწუნებია, პირიქით, სურვილიც კი გამოთქვა რა ძვირიც უნდა ღირდეს, მაინც სიამოვნებით შევიძენდი და შ ე ვ ი ნ ა ხ ა ვ დ ი შვილიშვილებისთვისო).

სოფელ ხორშაში მცხოვრებ ნელი ღვამბერიას შებინდებისას უშიშროების სენაკელი წარმომადგენელი „ეწვია" და 13 შვილიან გმირ დედას ავტორის მიერ მიძღვნილი „შავი წიგნის" წართმევა დაუპირა, და თუმცა ამ; ერთი შეხედვით, თითქოს ღონემიხდილმა, ტანხმელმა ქალმა საპროტესტო პირმოხეული კივილით კუდი უშიშრად კი ამოაძუებინა შიშიანობის მთესველს, და მაინც...

კონსტიტუციის თაობაზე ჩემზე ნაწყენმა ერთმა „კონსტიტუციონალისტმა", ერთხელ მასზე უკვე რომ გიამბეთ, პროსპექტზე შემთხვევით შეხვედრისას, საყვედურს კეთილი და იმედიანი ლიმილიც მოაყოლა, — რამდენი ქალიც შემხვდა, ვისაც თქვენი წიგნი წაეკითხა, ყველამ მითხრა, ისეთმა სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, გავიფიქრე, ახლავე გავაჩენო...

ასეთი სიტყვების გაგონებისას, დიახაც რომ, ყურებს ვცქვეტ და ფრთებიც მესხმება, აკი „შავი წიგნი" სწორედ ამგვარი გრძნობების გასაღვიძებლად იყო ჩაფიქრებული და დაწერილი, მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს სასოწარკვეთა, რაკი ის ქართველური სასოწარკვეთაა, არც დიდხანს გრძელდება და არც საერთო-სასარგებლო პრაქტიკულ საქმიანობაში იჩენს თავს და, კვლავინდებურად, ისევ და ისევ ერთმანეთის პასიურ შემყურედ ვრჩებით.

ერთმა, ხალხის ფართო წრეებისათვის ნაკლებად ცნობილმა, მაგრამ მისი პროფესიის სფეროში მომუშავეთა შორის მსოფლიო მასშტაბის მეცნიერად მიჩნეულმა, ჰიდროტექნიკოსმა, ჩემი ნაშრომის გაცნობის შემდეგ მითხრა: რაც საქართველოს სადიდებელი სადღეგრძელო დაგვილევია, ყველა ჩვენგანს მის ნაცვლად საერო მშენებლობაზე თითო-თითო აგური რომ მოგვეტანა, საქართველო ახლა ზღაპრულ ქვეყანას ემსგავსებოდაო.

ამ აგურებში იგი, რასაკვირველია, შვილიანობასაც გულისხმობდა.

ჰაი-ჰაი რომ, ჩვენდა უკვე საბედისწეროდ, თუკი ვინმე მიიტანს აგურს ამ მშენებლობაზე, ეს კი მოგვწონს, მაგრამ თავად ჩვენ მის ასაღებად არც დახრა გვეხალისება და არც ხელი გვემორჩილება...

სტალინის სახელობის, ახლა ყოფილის, ქარხნის მრავალტირაჟიანი გაზეთის, მგონი, რედაქტორი, ერთშვილიანი ტაბატაძის ქალი, არაერთხელ დაემუქრა და ახლაც ემუქრება ხოლმე ყაჩაღანა მრავალშვილიან ქეთევან დათიაშვილს. შენ მაგ ან-

ტისაბჭოთა „შავ წიგნს“ აქეთ-იქით დროშასავით ნუ დააფ-
რიალებ, თორემ... მერე ნახავ, სადაც ამოყოფ თავსო...

ჰოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!

ერთმა ჩემმა ყოფილმა თანაკურსელმა, სხვათა შორის, იმ ფეხბურთელის ახლო ნათესავმა, რომლის გვარიც ამჟამად საქართველოში ქართველი ერის ისტორიის დამწერის გვარზეც კი უფრო ცნობილია, გვიან ღამით დამირეკა, ეს-ეს არის დავამთავრე შენი წიგნი და ისეთ მოწამლულ გუნებაზე დავდექი, ახალგაზრდა რომ ვიყო, უეჭველად ათ შვილს გავაჩენდიო...

გესმით?

ახალგაზრდა რომ ვიყოო... დაუბრუნებელს — წლებს — რომ ვეღარ დაიბრუნებს, ეს მან საუცხოოდ იცის და, ალბათ, ამიტომაც გვპირდება ცაში წეროს, და არ გვპირდება, — რაც ბევრად უფრო რეალური იქნებოდა, — ჩემს ორივე შვილს აწი გაგანია ცეცხლს შევუნთებ და მანამდე არ გამოვუნელებ, ვიდრე მესამე ბავშვს კალთაში არ ჩამიგორებენ, და არც საქვეყნოდ ცნობილ იმ ფეხბურთელს, ჩემი დის შვილიშვილს მოვეშვები, რომლის პირადი მაგალითი ახალგაზრდებზე ძალზე შთამბეჭდავად იმოქმედებსო.

ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ ამ, საერთოდ, კარგ ქალს დედისათვის მართლაც საამაყო ვაჟი ჰყავს, გონიერი და წესიერი; არა მგონია, საქართველოს უნუგეშო მომავალი მასაც არ აფიქრებდეს, და მაინც, ამის მიუხედავად ჩემთან საუბრებში, ერთხელაც არ დასცდენია, რომ მესამე შვილს იყოლიებს, თუმცა საამისოდ ასაკიც უწყობს ხელს, ბინაც და ბევრი სხვა სიკეთეც.

ჰოდა, თუკი ეს ყოველმხრივ მოსაწონი ქართველი ახალგაზრდაც კი ასე ყრუდ და მყარად დგას მისი მშობელი ერისათვის დამღუპველ ფიცარნაგზე, მაშინ რაღას უნდა მოველოდეთ ათიათასობით ზნედაცემული ადეიშვილებისგან, ერთ-ერთმა მათგანმა სწორედ ფეხბურთის მატჩის მსვლელობისას სანატრელი დრო რომ იხელთა და „ფინტით“ აუარა გვერდი მგლის სინდისსაც კი და „ოსტატურად დაურტყა კუთხური“, — გაქურდა თავისივე კბილა, 80-ათასიანი სტადიონის ძალდაუტა-

ნებელი, გულიდან ამოხეთქილი ტაშის ლუარეატის, გარემარბ რამაზ შენგელიას ბინა?!

(მინდა ბოდიში მოვიხადო ზემოხსენებული გვარის კრებითი ფორმისათვის, რომელთანაც საერთო არა აქვს რა ჩინებულ ახალგაზრდას, მოფარიკავე ადეიშვილს, სწორედ ნაძირალებმა რომ მოუსწრაფეს მამაცი სიცოცხლე...).

პრესაში ხშირად წაიკითხავდით და რადიო-ტელევიზიითაც, ალბათ, არაერთხელ მოგისმენიათ, ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავსო...

დღევანდელ ახალგაზრდობას მე, სამწუხაროდ, მარტო, ასე ვთქვათ, გარეგნული საქციელით თუ ვიცნობ და მასზე ჩემი მსჯელობა, რასაკვირველია, არც სრული იქნებოდა და არც შეუმცდარი, ამიტომ მკაცრი განმსჯელის უფლებას, ბუნებრივია, ჩემს თავს ვერ მივცემ.

ისე კი, რასაც ქუჩაში ვხედავ ხოლმე და ტრანსპორტში ვუკვირდები, ამის მიხედვით ვერ ვიტყვი, ვისაც ასეთი ახალგაზრდობა ჰყავს, შეუძლია დიდებული აწმყოთი და მასზე კიდევ უფრო დიდებული მომავლით თავი დაიმშვიდოს-მეთქი...

ეჰ, ვინ მოთვლის ტროლეიბუს-ავტობუსში რამდენჯერ ვყოფილვარ მოწმე, — შუახნის ხალხზე ხომ აღარაფერს ვამბობ!— ქართველი ახალგაზრდები, მათ შორის ქალიშვილებიც კი, რომლებიც, დღეს თუ ხვალ, თვითონაც დედები უნდა გახდნენ, — თუ საერთოდ მიაქციეს ყურადღება, როგორ ჭოჭმანობენ, როგორ ებრძვიან თავს, თითქოსდა დიდი სასიცოცხლო პრობლემის წინაშე იდგნენ, თითქოს ოპერის თეატრიდან ლენინის მოედნამდე კი არა, — ზესტაფონს მიემგზავრებოდნენ, პატარა ბავშვიან ქალს, ზოგჯერ ხელში აყვანილ თოთოიანსაც კი, — დაუთმონ თუ არა ადგილი, —

ჰოდა, ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!

(სხვათა შორის, ერთხანობას საცდელ-საექსპერიმენტოდ, უფრო სასეიროდ, ფეხი თვითონაც გადავდგი: როცა თეატრი თეატრობდა და მარჯანიშვილის თეატრში ბილეთები „ავ ძაღლზე" ძნელი საშოვარი იყო, თან დამქონდა ხოლმე კონვერტით (რა თქმა უნდა, მომრთმევის ვინაობის გაუმჟღავნებლად) ორ-ორი ბილეთი ჯილდოდ მისთვის, ვინც თავს გასწირავდა და გულ-

მოწყალებას გამოიჩენდა — „დავბერდი, დაეჩაჩანაკდი, წვერი შემექმნა ჭაღარას“ მიმართ...

სამწუხაროდ, ამ „აქციამ“ ვერ გამაღარიბა: მთელი სამი სეზონის მანძილზე ასეთი სიკეთით სავსე, თავგამოდებულ ძალგულოვანს მხოლოდ სამიოდე პირს გადავეყარე).

უნივერსიტეტის ერთ-ერთი ფაკულტეტის ჩასათვლელ გამოცდაზე პროფესორ „ამას და ამასთან“ შედის მესამე კურსის სტუდენტი „ესა და ეს“...

— მაგ ფორმაში ჩემთან მოსული მეორედ არ გნახო, — მუქარით შეფერილი ტონით მიმართავს მას გამომცდელი, რომელსაც პირველი დანახვისთანვე თვალში არ მოუვიდა ამ ახალგაზრდა ქალის „ფორმა“...

ახლა ესეც ვიკითხოთ, მაინც რა ასეთ სასირცხვილო ფორმაში გამოეცხადა იგი მას? ეგებ გულმკერდი ისე გადაუშვლეპია, რომ ძუძუები ნახევრად მაინც უჩანდეს, ანდა იქნებ ჯინსის ისეთ ეიწრო შარვალში გამოსალტულა, რომ, მიბრუნ-მობრუნებისას, ჯერ კიდევ ამ მხნე მამაკაცს სექსუალურმა გრძნობებმა გონება ისე დაუბნიოს, რომ დადებითი ნიშანი სულაც არცოდნისთვისაც დაუწეროს, ა?!

ო-ო, არც ერთი, არც მეორე: ამ სტუდენტი ქალის საძრახისი ფორმა თურმე... ორსულობა ყოფილა, განიერ კაბაშიც რომ ვერ მიუმალავს, ჩასაბარებელი დისციპლინის, რომელიღაც მოძმე ხალხის ლიტერატურის ისტორიის, ასათვისებლად კი აუცილებელია, თურმე, „ერთსულობა“ და არა დედობა...

ჰოდა, ჩვენს პირველ ეროვნულ ტაძარშიც კი ასეთი მოაზროვნე გინდ ერთიც თუ გამოერევა, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი ჩანაწერი (1990 წ.): რუსუდან ჯ-ლი, უკვე სამი შვილის ახალგაზრდა დედა, ღვთისმორწმუნე („რამდენსაც გაიმეტებს ჩემთვის განგება, იმდენს ვიყოლიებ“), მიუყვანს ბინაზე თავის ძუძუმწოვარს ვაკეში მცხოვრებ პედიატრ ი. მ-ს და დიდ მადლობასთან ერთად უტოვებს ათმანეთიანს ცნობილ მკურნალს, რომელიც შეავლებს თუ არა თვალს გასამრჯელოს, ცივი ხმით დაადევნებს უკვე კართან მისულს:

— შენ ეი, ქალო, მობრუნდი!.. არ იცი, რომ მე ვიზიტში ოც მანეთს ვიღებ?!

— ბოდიშს ვიხდი... მეტი არა მაქვს, ბატონო... მე, საერთოდ, მიჭირს... ვიშოვი და მოგართმევთ... არ დაგეკარგებით... ღმერთმანი, არ დაგეკარგებით... არ დაგეკარგებით... უეჭველად მოგიტანთ...

ჰოდა, თუკი ასეთი „ივანე გომართელი", თანაც ბავშვის ექიმი, საქართველოში თუნდაც ერთი გვეყოლება, —

ჩვენ გავმრავლდებით და ჩვენ მოვერევით ვაზგენს?!)

„Грузины — вымирающая нация", — ვფიქრობ, გეხსომებათ, ვინც ამ ფრაზას, უცხო მოგზაურთა გასანათლებლად, „თანაგრძნობით და გულისწუხილით" აღმოთქვამს ხოლმე, — ვიყოთ მიმტევებელნი და შურისსაძიებლად ნუ მივახლით მას, შენს ენას მუწუკიო...

სულ ერთია, ჩვენი წყევლა მაინც არ მიუვა... მიუვიდოდა კი, რომ ეს იყოს ცილისწამება...

...დიახ, ერთი შვილი, ერთი... თუნდაც ორი... განა მყარი იმედია ჩვენს ფათერაკებით აღსავსე დროში და ჩვენს პატარა სამშობლოში, სადაც ტრიბუნისა და რადიო-ტელევიზია-პრესის გარდა, ცხოვრების თითქმის ყველა სფეროსა და კუნჭულში შეძახილი — რა გვეშველება? — ყურში გოდების ზარივით ჩაგვესმის ხოლმე?..

და განა გაგვემტყუნება? როცა დიპლომიანი ექიმი, და არა ჯარა-ექიმი, რუსეთში „костоправ"-ის სახელით რომ არის ცნობილი, ყმაწვილს ბრმა ნაწლავის ნაცვლად უვიცობით საშარდე ბუშტს ამოაჭრის, როცა ანესთეზიოლოგი, ქირურგ-პროფესორის დასტურით, საოპერაციოდ მომზადებულ, ნარკოზით მძინარე ქალს ოქროს ბეჭედს წააძრობს; როცა აბორტმახერები ერის სისხლის მორევში ათუული წლების განმავლობაში — ნეტარებით იბანავებენ, განა უმართებულო და უსაფუძვლო იქნება, თუ მოთქმა-გოდების ზარს შემოვკრავთ და სასოწარკვეთილნი წავიშენთ თავში ხელს და ავღრიალდებით, — ღმერთო, რა გვეშველება?..

როცა ერთადერთი შვილი, ჯერ სულ ყმაწვილი, ფულისთვის დედას თავში ჩაქუჩის რტყმევით წამებით მოკლავს, აკუწულ გვამს კი ხის ტახტში ჩაყრის და მასზე გაშლილ ლეიბ-

საბანზე, ვითომც აქ არაფერიო, არხეინად წამოწვება („ვეჩერნი ტბილისი", 15.06.82); როცა მოზარდი მოზარდს დანით სიცოცხლეს მოუსწრაფავს; როცა მეცხრეკლასელი გოგო თავის თანაკლასელ გოგოს სამართებლით სახეს დაუსერავს, — გაგვემტყუნება განა, თუ გლოვის ზარს შემოვკრავთ და წავიკივლებთ, — ღმერთო, რა გვეშველება?

როცა ბურთით თამაში გამოცხადდება „იმედად ერის არსობისა"; როცა შენი პატარა ქვეყნის პირველ თეატრში სქესობრივი აქტის თუნდაც შენიღბული დემონსტრაცია მიიჩნევა ხელოვნების გამოვლინებად და ასეთ სპექტაკლს ბავშვებსაც კი უჩვენებენ; როცა სამიოდე უღიმღამო მოთხრობის ავტორი ისარგებლებს ცნობილი პირის გარდაცვალებით და საკუთარი თავის განდიდებისათვის დაწერს მასზე მოგონებას და გაზეთი კი დაბეჭდავს, — „იგი უდიდესი ყურადღებით ექცეოდა ჩემს შემოქმედებასო", რომელ „შემოქმედებასაც" ამ გაზეთის ათიათასობით მკითხველთან ერთად მისი რედაქტორიც არ იცნობს, — განა უნდა გვიკვირდეს, თუ მწუხრის ზარს შემოვკრავთ და მისუსტებული ხმით წავიკვნესებთ, — ღმერთო, რა გვეშველება?..

როცა შენს მცირერიცხოვან ერში სიკვდილიანობა უკვე ზეიმობს შობადობაზე; როცა შენს ეროვნულ პრინციპად იქცევა— ჩემს შემდეგ, თუ უნდა, ქვა ქვაზე დადუღებულა და წარღვნაც მოსულაო; როცა დამთხვეულები, თითქოს ავტომატებით შეიარაღებულები, მანქანით უმოწყალოდ ხოცავენ დიდსა და პატარას, სახელოვანსა და უსახელოს; როცა ნახევარი საუკუნისათვის გაანგარიშებული მუხათგვერდის სასაფლაო რაღაც 10 წელიწადში ამოივსება, — ყოველივე ამის შემდეგ გულშეწუხებულნი თუ წავილუღლუღებთ, —ღმერთო, რა გვეშველება, ვიღუპებითო, ნუთუ ამისათვის საქვეყნოდ უნდა გაგვიცხონ, „ჩვენი ნათელი სინამდვილის გამუქებისათვის?!"

ო-ო, მარტო გაიცხვა თუ გვაკმარეს, თითქოს მეორე სიცოცხლე გვიბოძესო და... მჩუქნელს ათასი ჩვენი მადლობა, ათასი, ათასი!..

კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა

სახარება

ახალგაზრდებო,
შუახნისანნო,
ხნიერებო და მოხუცებო,
დანო და ძმანო,
ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო!

მრავალი ჩვენი ოჯახური უბედურება გამოწვეულია ჩვენი მცირეშვილიანობით, ერთი თუ ორი ხელიხელ საგოგმანებელი, ხატად ქცეული, სათაყვანო პირმშოებით!..

ვიცოდეთ და გვახსოვდეს:

— მამაკაცებო, მცირეშვილიანობით ცოლებს ძალაუნებურად თავად თქვენვე უწყობთ ხელს საძრახის გზაზე დადგომაში!

დიახ, როცა ქალს ერთსა და ორ შვილზე ფიქრი და საზრუნავი გამოელევა, მის თავში თქვენი შემარცხვენელი აზრები იკიდებენ ფეხს!

— ცოლებო, ერთი და ორი შვილია მთავარი მიზეზი იმისა, კერია რომ გენგრევათ და მიტოვებული რჩებით; სამი შვილიც კი უკვე ფრთებს უკვეცავს გასაფრენად შეღერებულ ქმრებს!

საერთოდ, გიხაროდენ, ქალებო, თუ დედად დაიბადეთ და არა ბოზად, და ხელოვნურად ნუ ჩაკლავთ ფქვენში საამაყო დედობის ამ მადლცხებულ გრძნობას!

დედებო და მამებო, სიხარულით კვიცივით ნუ ავკუნტრუშდებით ხოლმე და 18-20 წლით ადრე თავს ნუ დავიმშვიდებთ და ნუ გამოვიტანთ იმ სანეტარო დასკვნას, რომ ჩვენი ერთადერთი სასოება და იმედი უთუოდ ნიჭიერი და ქვეყნის თვალი გამოვა, რაკი უკვე ახლაც ორი-სამი წლის ასაკშიც კი ტიტინებს — „რაო, ბატონო, მელაო...“

გულს ნურც იმით გავიკეთებთ და უდარდელ შვება-ლხენას ნუ მივეცემით იმ იმედით, თუკი ნორჩობაში თქვენი იიკო თუ

ციიკო „პირდაპირ კუკლაა“, დაქალიშვილებისასაც ასეთივე „კუკლა“ იქნება...

— ნუ დაიზარებთ, — წაბრძანდით ზოოპარკში და შეათვალიერეთ: პატარაობაში ბეჰემოტიც კი ლამაზი და მიმზიდველია!

კოზაკიც!

ბულდოგიც!

...და როცა მშობლების ეს ვარაუდი მეტწილად არ მართლდება, მათი ერთადერთი „ნაკუკლარი“ რჩება მწარე ბედის მომდურავი, და დედ-მამის ცხოვრებიდან წასვლის შემდეგ კი სულაც მიუსაფარი: გვერდით არც ძმა, არც და... ახლა დრო დაგვიდგა ისეთი, ბიძაშვილ-დეიდაშვილებსაც აღარ სცალიათ საანთესავოდ...

ნუ იქნებით სულელურად გულდაჯერებული და თავს ნუ მოიტყუებთ იმ უნიადაგო რწმენით, რომ ასეთი ბედი შეიძლება ეწიოს თქვენს ნაცნობს, თქვენს მეზობელს, თქვენს ახლობელს, თქვენს მტერს, მაგრამ არა და არა — თქვენს ერთას!..

ახლა ხშირად ამოიკითხავთ, ანდა გაიგონებთ საქებრად ნათქვამს, ესა და ეს ამდენ და ამდენ შვილს უზრდის მამულსო...

კი, მამულსაც, მაგრამ... ეს შორსმჭვრეტელი, გონიერი ადამიანი, უწინარესად, მათ თავის თავს უზრდის, და-ძმებს უზრდის, ოჯახის საძლიეროდ ზრდის...

ჰოდა, სადაც ოჯახი ძლიერია, იქ მამულიც ძლიერია!

...მიიხედ-მოიხედეთ, ბოლო ხანს ამ ჩვენს სიტყვით სათაყვანო მამულში როგორ მომრაველდნენ ქართველი მათხოვრები, — წინათ მათ ანთებული კვარითაც ვერ ნახავდით...

ყველა ისინი ეულები არიან.

რაკი ამ ფრაზაში ჩაქსოვილი აზრი ორივე შავი წიგნის საფუძველთა საფუძველია, და თუმცა იგი არაერთხელ უკვე ითქვა, მე მას მაინც ერთხელ კიდევ მოგაგონებთ:

— შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია: ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახა... ჭკუითაც, გარეგნობითაც, საქციელითაც!

ეს ბუნების სიბრძნეა, დიდი სიბრძნე, რომელიც არც პროფესორს უთქვამს და არც აკადემიკოსს, არც მწერალს, არც მინისტრს...

ამ გონიერებით სავსე დასკვნამდე ერთი ისეთი მრავალშვი-

ლიანობის პრაქტიკოსი ქალი მივიდა, რომელსაც სკოლის პირველ კლასშიც კი არასოდეს ფეხი არ შეუდგამს...

მიიხედ-მოიხედეთ: თვითონ ცხოვრება გვიდასტურებს, რომ ხშირად, ძალზე ხშირად მშობლებს ათი შვილიც არ გაამწარებს ისე, როგორც ერთი, მამისა და დედისერთა!

დიახ!

მაშ ასე: გულით საყვარელო, ჩემო მკითხველო, მოაწია დრომ, როცა უნდა დაგემშვიდობო და ერთხელ კიდევ მოგმართო: ის „შავი წიგნი" და ეს „შავზე შავიც" თეთრად რომ იქცნენ და ჩვენმა მძიმე სატკივარმა არ შეგვიწიროს, ეს დიდად არის შენზე დამოკიდებული, და არა, მარტო შენზე, —ჩემზეც, მასზეც, ყველა ქართველზე, თუკი იგი, ცხადია, ჯერ საკუთარი თავისა და მერე კი თავისივე ქვეყნის რეგვენი მტერი არ არის...

მე მოგმართავთ თქვენ, ქართველებო, არა სიტყვიერი, გატლეკილი ენით გამრავლებისკენ...

პაპა ხარ თუ ბებია, შვილიშვილზე იმოქმედე, მამა ხარ თუ დედა, შვილებზე იმოქმედე, ახლად შეუღლებულნი თუ ხართ— ერთმანეთზე იმოქმედეთ, თუ ასაკი ხელს გიწყობთ და ჯერ არ შეუღლებურხართ, — იჩქარეთ, ნუ გადასდებთ...

საქართველო განსაცდელშია, ახლა წყდება ბედი მისი...

ვიხსნათ, ვიხსნათ ჩვენი სამშობლო აღგვისა და მოსულ-მომსვლელთა წალეკვისაგან!

ტსს...

აბა ყური მიუგდეთ... გესმით? ქართველების სასაფლაოზე ქართველების მესაფლავენი — მიკიჩ-აბდულ-ზაურბეკ-კუმფი— ამ სამი წლის წინათ გულში თუ ღიღინებდნენ, ახლა უკვე მოურიდებლად ნახევარი ხმით მღერიან და...

ნუ, ნუ!..

ნუ მივცემთ მათ ჩვენი ბედოვლათობით,
ჩვენი უდარდელობით,
ჩვენი დაუდევრობით,
ჩვენი უქნარობით,
ჩვენი უჭკუობით
გახარების საბაბს, რომ მთელი ხმით ამღერდნენ:

საქართველო მალე თქვენი აღარ იქნება—ა...

10 მარტი — 25 ივნისი,
1982 წელი,
თემქა, დავრდომილთა სახლი, ოთახი № 321

დამატებანი

საქართველოს კომუნისტური
პარტიის ცენტრალური
კომიტეტის პირველ მდივანს
ე. შევარდნაძეს

ბატონო ედუარდ!

ხატზე თუ არა სიტყვით მაინც დავიფიცებდი, რომ სწამდეს ჩვენში კიდევ ვისმე ძალა ფიცისა, და მაინც, გთხოვთ მენდოთ, ამ ბარათს წინამდებარე ქაღალდის მეტი, არავინ იცნობს, და თუ მას ხელით ნაწერს გიგზავნით, ესეც იმით აიხსნება, რომ მისი შინაარსი საბეჭდ მანქანასაც არ გავუმხილე.

არაფერი არ იმალება ამქვეყნად, და არც ჩემთვის დაიმალა ის ამბავი, რომ თქვენ, ამ რამდენიმე ხნის წინათ, საკმაოდ მწვავედ შეახურეთ ერთი მნიშვნელოვანი საპროპაგანდო-სახელოვნო დაწესებულების ხელმძღვანელი, — რა არის, რა ვაი-უშველებელი ატეხეთ ბუაჩიძის „პადაჩკის“ გამოო.

და როცა ეს შეიტყო სხვა ხელმძღვანელმა ამხანაგმა, თბილისის ერთ-ერთი დიდი გაზეთის რედაქტორმა, სარედაქციო კოლეგიის სხდომაზე გულშემოყრილმა განაცხადა:

— ...ხედავთ, რაოდენი სიფრთხილეა თურმე საჭირო?! ჩვენ კი საგანგებო სტატიის მიცემასაც ვაპირებდით, ეს „პადაჩკა“ და მისი წამომწყები რომ გამოგვეჩინა... ო, რა საზარელ სკანდალს წავაწყდებოდით!

ღვთის მადლით, მან დროულად აიცდინა ეს საჯაჟი სკანდალი, ოღონდ სავალალო ის არის (მხოლოდ ჩემთვის, რა თქმა

უნდა!), რომ ამ რედაქტორს მე არც სახით ვიცნობ და არც ხელის ჩამორთმევით, და არც იგი და არც რედაქციის სხვა რომელიმე მუშაკი არც ოდესმე შემიწუხებია, გამომაჩინეთ-მეთქი.

როგორც ჩანს, მისთვის ძნელი წარმოსადგენია, ჩვენს დროში და ჩვენს ქვეყანაში კიდევ შეიძლება მოინახებოდეს თუნდაც ერთი ისეთი ადამიანი, პირადი კეთილდღეობის მომტან სახელ-დიდების მოსაპოვებლად ათასგვარ ხერხსა და ფანდს რომ არ მიმართავს, მეტწილად, რასაკვირველია, ისეთს, წინათ საძრახისად რომ ითვლებოდა, ახლა კი ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება-საქმიანობის ნორმად იქცა.

მე არ შემოგეხვეწებით მერწმუნოთ, რომ ჩემს ხანგრძლივ სიცოცხლეში რაიმე თავის გამოჩენაზე — გარდა დრამატურგიისა, და ისიც პროფესიული თვალსაზრისით, — არ მიზრუნია და არც მიფიქრია, თუმცა ამასაც ვიტყოდი, თუკი ვინმე, თუნდაც თავის გამოსაჩენად საქვეყნო, სასიკეთო საქმეს გააკეთებს, ეს ჩემი უბადრუკი აზრით, არაფერი დასაგმობი და დასაძრახია, აკი ობიექტური შედეგი ამისა, საზოგადოებისათვის მხოლოდ სარგებლობის მომტანია.

ლიტონ სიტყვას აბა რა დაეჯერება, ამიტომ თავს ნებას მიეცემ ერთი-ორი ფერით დავხატო-დავასურათო, თუ როგორ ვძერებოდი ტყავში მე, თვითრეკლამისა და თავის გამოჩენისათვის:

პირველი „პადაჩკა“, 2.000 მანეთი, კაი ქართველქალობის დაფასების ნიშნად, ათშვილიან სოხუმელ ნათელა შელეგიას გავუგზავნე, — გავატანე სხვას, მე მზეზე კი არა („ერთი შემომხედეთ, რა კეთილი, მოწყალე გმირი ვარ!“), ჩრდილში ყოფნა ვამჯობინე, თანაც გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ რედაქტორის მოადგილეს, ზურაბ ნაყოფიას, საგულდაგულოდ ბარათი მივწერე, რომ ამის ირგვლივ სტრიქონიც არ დაებეჭდათ, და ეს მან, ჩემი „უცნაურობით“ გაკვირვებულმა, შეასრულა კიდეც.

ასევე, ჩემი, როგორც „კაი კაცის“ მისვლით არ ამიფორიაქებია არც ღვამბერიები სენაკში, არც ლომიძეები ქარელში, არც ნიგურიანები სვანეთში, არც ფახურიძეები სამტრედიაში... თბილისელ გელაძეებს — შვილებს კი, მაგრამ მშობლებს სულ შორიდანაც არ ვჩვენებივარ. ვიყავი მხოლოდ ჭიათურის

რაიონის სოფელ კაცხში, სოციალისტური შრომის გმირ შურა ახობაძესთან; არ მჯეროდა გაგონილის და მინდოდა დავრწმუნებულიყავ და, ნეტამც არ დავრწმუნებულიყავ: იმხანად ეს ხელებწართმეული, ინვალიდი გმირი, ოთხი შვილის დედა შეუუეული იყო ეგნატე ნინოშვილის დროინდელ, გოგია უიშვილის ქოხში (მეზობლად მდებარე, სოფლის პირობაზე ორსართულიანი სრა-სასახლე ეკუთვნოდა ჩვენი დროის დავით დროიძეს— ადგილობრივ ავტოინსპექტორს!).

ნიგურიანები მესტიიდან თავად, დაუპატიჟებლად, მესტუმრნენ თბილისში, — დედა, მამა და ათი შვილიდან ყველაზე უფროსი — გასათხოვარი ქალიშვილი, — სამი სულის ალბათ იფიქრეს, მათთვის „პადაჩკის“ გამლები დიდი მდიდარი კაცია, სულ ცოტა ხუთი ოთახი მაინც ექნება, ისე, როგორც ეს აქვთ იმავე სახლის მარჯვენა მხარეს მდებარე აპარტამენტებში მცხოვრებ პროგრესულ ამხანაგებს... სინამდვილეში კი სვანი სტუმრები ღამით რომ მომესვენებინა, ვაჟის, სამხედრო პირის არათუ შევიწროება, — სულაც მისი „გაგდება“ მომიხდა „პაგონებიანად“...

დიახ, მსგავსად იმ ქათმისა, ერთ წრიპა კვერცხს რომ დადებს და გაუთავებელი კაკანით მთელ ეზო-გარემოს აიკლებს,— თავის გამოჩენის სურვილს მოსვენება რომ არ მოეცა ჩემთვის, ისე ავიკლებდი რადიო-პრესა-ტელევიზიას, რომ სვანეთის მთავარი თერაპევტის ლუბა ნიჟარაძის თვალსა და ყურამდეც მიაღწევდა, რომ მე „პადაჩკა“ შვიდ ოჯახს „გადავუგდე“, და იგი მაშინ თავის სიტყვაში პროფკავშირების ბოლო ყრილობაზე სათვალავში არ შეცდებოდა:

„...ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ ჩვენი სასიქადულო დრამატურგი კიტა ბუაჩიძე, რომელმაც თავისი დანაზოგი მოახმარა ორი მრავალშვილიანი ოჯახის კეთილდღეობას ცხაკაიას და მესტიის რაიონებში“.

...კიდევ ორიოდე „მსხვილმანი“ იმის დასადასტურებლად, თუ როგორ ვღვრიდი ოფლს მე, „პადაჩკების“ მეშვეობით, სახელისა და დიდებისათვის:

პირველი კორესპონდენცია — „მწერლის გულის სითბო“, — გაზეთმა „თბილისმა“ ლოტკინის მთაზე მცხოვრებ რვაშვილიანი გელაძეების დაჟინებული თხოვნით მოათავსა („ტრამვაიში ვინმეს დამტვრეული ზონტიკი რომ დარჩეს და იგი ვატმანს ჩააბარონ, ჩვენ ესეც გვიკვირს და ჩამბარებელს, როგორც დიდად პატიოსან გმირს, გაზეთში მადლობას ვუხდით და...“). რაკი ჩემი, შედარებით, ახლო ნაცნობი, რედაქტორის მოადგილე ადრე გაფრთხილებული მყავდა, არაფერი ამის შესახებ არ დაებეჭდა, და მაინც მიგვერდა, მე წაკითხვისას წნევამ სახიფათოდ ამიწია, მაგრამ ჩხუბს მაინც არ მოვერიდე, მან კი თავი ისე იმართლა, გული ვეღარ დავიმორჩილე, რომ მისი კაბინეტის კარი გამომეჯახუნებინა:

— მე გაზეთის საქმე გავაკეთე, საერთო საქმე, თქვენი კი არა... რა არის ამდენი ნეგატიური, ნეგატიური, სულ ნეგატიური, — პოზიტიური ვერაფერი მონახეთ? — გვეუბნებიან ზევიდან. ჰოდა, ასეთი პოზიტიური ფაქტი ჩაგვივარდა ხელთ და თქვენს ახირებულ თხოვნას გავუწევდით ანგარიშს?!

აბა რა იცოდა დალოცვილმა, რომ ორიოდე წლის შემდეგ ეს „პოზიტიური“ ნეგატიურ „პადაჩკად“ თუ გამოცხადდებოდა და ამ ამბის ერთგვარი პოპულარიზაციისათვის მისი, საერთოდ, ფრთხილი კოლეგა საყვედურსაც დაიმსახურებდა, და მერე ვისგან? ვისაც მისი გარედაქტორება თვალის დახამხამებაში შეეძლო... სცოდნოდა ეს, რასაკვირველია, ამ პოზიტივს უმალვე ნეგატივად მონათლავდა; მე თქვენ გეტყვით და, საამისოდ ემბაზი დასჭირდებოდა, ბარძიმ-ფეშხუმი თუ მირონ-საკმეველი?! ან ეგებ დიდი ჭკუა, ანდა დიდი ჯაფა!..

ახლა მეორე „მსხვილმანი“:

დოკუმენტური ფილმების სტუდიაში ერთი რეჟისორი მუშაობს, აი ის, რომლის ჭაბუკობის მომსწრე და თანამედროვე გახლდით, და სწორედ იმ დროს, ჯერ კიდევ უფრო წალენჯიხელს, ვიდრე თბილისელს, ჩიქოვანების ნამოჯამაგირალს ყოფილი თავადის ტანწერწეტი ასული გააფთრებით რომ შეუყვარდა, ეს კი პასუხად არათუ გულს, — ხელსაც არ უწვდიდა, და ამით შეძრწუნებულმა, რაკი იფიქრა, ამ ზვიად, ნათავადარ ქალიშვილს კომუნისტურ ჭკუაზე „ზაკკრაიკომი“ თუ გადმოიყვანსო, და ბერიას ბარათი მისწერა:

„ქართველი ხალხის საამაყო შვილო, ძვირფასო ლაკრენტი პავლეს ძევ! რომანიულ ნიადაგზე თავის მოკვლას ვაპირებ და, როგორც პარტიის წევრს, გთხოთ მაპატიოთ“-ო,

ბერიამ კომუნიზმის მშენებლისათვის ეს ყოველად შეუფერებელი განზრახვა პატიებით კი აპატია, მაგრამ ამის შემდეგ თავად მას, როგორღაც, მხედველობის მინუსი პლიუსად შეეცვალა და პოტენციური თვითმკვლელის სიყვარულის მუზა თვითონ „მიიმუზა...“ ჰოდა, ამ რეჟისორმა, უკვე კარგა ხანია ღვაწლმოსილად შემოსილმა, ჩემს „პადაჩკებთან“ დაკავშირებით, მით უმეტეს, რომ იმ მრავალშვილიანებში სამი მეგრელი დედა ერია, ბარემ ორჯერაც მომმართა, შენზე სურათი უნდა გადავიღოო, მე კი, როგორც თქვენ უკვე იცით, თავის გამოჩენის სულსწრაფმა მაძიებელმა და მოტრფიალემ, პირველაც ცივი, მეორედ კი ცივზე ცივი უარი ვუთხარი.

ალბათ შენიშნავდით, ვინც მე, თქვენამდე, „მეპადაჩკედ“ არ ჩამთვალა, მათი გვარები არ გამიმეღავნებია, რადგან არ მინდა, მათზე გული მოგივიდეთ (ვუფრთხილდები როგორც თქვენს, ისე იმათ გულსაც!), თანაც ყველა ზემოთ მოთხრობილი ისტორიების ისტორიული სიმართლის დადგენა ახლა თქვენთვის შეიძლება უხერხულიც იყოს და არცთუ საინტერესოც, ამიტომ ამათი მომდევნო, მთავარი და, ამავე დროს, უახლესი ისტორიის სიმართლე რომ უფრო ირწმუნოთ, მისი ჩარხის დამტრიალებლის სახელ-გვარს მიუკიბ-მოუკიბავად დავასახელებ:

ამ სამიოდე თვის წინათ მე, ასეთ პატარა კაცს, უპარტიოსა და უთანამდებობოს (რაც არც არასდროს მიძებნია და არც ახლა ვეძებ), ბინაზე მეწვია არათუ სახელის ძიების პროცესში მყოფისთვის, არამედ ყველა სახელმორჭმულთათვისაც კი ასე დიდად სასურველი და საჭირო პირი — გიორგი ლებანიძე, „პრავდის“ კორესპონდენტი... (არ დავფარავ, ერთთავად არც მესიამოვნა, რომ იგი ტელეფონით გასაუბრების სულ რაღაც ნახევარი საათის შემდეგ, ისე ჯიქურ დამესხა თავს, რომ ველარც კი მოვასწარი ბინაში შემოსასველელი, დიდებული მუხის კარების გამოცვლა ფანერისაზე, და ვერც საბაზანოსა და სამზარეულოს კაფელით შემმოსვა, და ვერც იაპონური მაგ-

ნიტოფონისა და ფერადი ტელევიზორის გადამალვა, და ვერც 15 ათასად ღირებული ჭაღის ჩამოღება და ვერც უნგრული „ტიულპანის“ კარადაში სამუზეუმო, ანტიკვარული ფინჯნების, ბაკლების, სევრის ფაიფურისგან სკულპტურული ნაკეთობათა კოლექციისათვის გაზეთ „Труд“-ის გადაფარება; სამაგიეროდ უშპალერო კედლის სამალავში, „სტენკაში“, დროულად მიეუჩინე ადგილი ჯერ კიდევ მცხეთაში არსებული ასანთის ფაბრიკის წუმწუმის კოლოფში დამალულ ერთ გამოხრულ ოქროს კბილს!).

უნდა ვთქვა, რომ ჩვენ შორის, საუბრის დაწყებისთანავე, სწრაფად და იოლად დამყარდა აი ის, ახლა რომ კონტაქტს ეძახიან, და ეს მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თანამოსაუბრე სახითაც და ხმითაც პირველად ვიხილე.

და რარიგ დამენანა, რომ ასეთი იშვიათი სტუმარი, რომელმაც არა მარტო თავისი სტუმრობით, — შემოთავაზებული წინადადებითაც ეგზომ დიდი პატივი დამდო, — ცოტა არ იყოს, ნაწყენი წავიდა ჩემგან...

მისი წინადადება კი, ამნაირად გამოიყურებოდა: გაზეთ „პრავდის“ 70 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით მზადდება სატელევიზიო ფილმი, რომელშიც, სხვა რესპუბლიკებთან ერთად, საქართველოსაც ეთმობა, ცხადია, არცთუ ისე დიდი ადგილი, და იმ პატარა ადგილშიც დაეთმობა „პრავდის“ კორესპონდენტის ინტერვიუს... ჩემთან! დიახ, ჩემთან!..

რასაკვირველია, მე იმდენად არ გაგითამამდებით და არ შეგეკითხებით, წარმოგიდგენიათ-მეთქი?! არა, მე ეს თავად უნდა წარმომედგინა, და წარმოვიდგინე კიდეც: ერთი პატარა დრამატურგი (რომელიც კიდევ უფრო იმით არის დაპატარავებული, რომ მის კომედიებს არ დგამენ, რაც იმითაც აიხსნება, რომ იგი ჩვენს გმირულ პირფერულ-მლიქვნელურ დროში იმდენად სულელურად ამაყია, რომ, როცა მისი, როგორც დრამატურგის, მეუფე-რეჟისორები სიგარეტს აბოლებენ და საფერფლის ძებნაში უკმაყოფილოდ, სულთან აბდულ-გამიდიეთ შუბლშეკმუხვნილნი მიიხედ-მოიხედავენ, ეს, სხვა ავტორებივით, წელში ორად მოხრილი, ხელისგულს არ უწვდის მათ და არ წკმუტუნებს: „ამაზე დაყარეთ, ბატონო, ამაზე დაყარეთ!“)... დიახ, ეს არად მისაჩნევი დრამატურგი, რომელმაც წვერი რომ მოუშვას, ალბათ იტყოდნენ, ვინ არის ეს მათუსა-

ლაო, და ამ ასაკშიც უორდენო, უმედლო, უსიგელოც კი (და კიდევ რამდენი „უ"-ა ასეთი, ვინ მოთვლის!), — უეცრად და რაღაც ზღაპრულ ბედად, შეიძლება, მილიონ ტელემაყურებლების სახილველ და გამორჩეულ კაცად იქცეს, — ხაბაროვსკიდან დაწყებული მის მშობლიურ ხარაგოულამდე.

და მაინც, სახელ-დიდების მოპოვების მიზნით ფულების ეს გამნიავებელი არც კი შეყოყმანებულა და წამითაც არ უფიქრია, რომ თავისი ფეხით კარზე მომდგარი ბედნიერების გამო, სიხარულით სამი თვის ბოჩოლასავით აკუნტრუშებულიყო... მან, პირიქით, როგორღაც დამნაშავის მორიდებული, სევდიანი ღიმილი შეაგება მის კეთილმოსურნე კორესპონდენტს:

— რა ვქნა... მაშინაც კი, როცა სადმე ხალხით სავსე შეკრებილობაში მოვხვდები და პროექტორებსა და ტელეკამერებს მაყურებელთა დარბაზისკენ მოაბრუნებენ, — თავს დაბლა ვხრი ანდა სახეზე გაზეთს ვიფარებ, რომ ეკრანზე არ გამოვჩნდე, თუმცა, როგორც ხედავთ, არცთუ სულ კვაზიმოდოს ოღროჩოღრო სიფათით შემოგყურებთ... აი, აგერ ახლა ვახტანგ ესვანჯიამ ორსართულიანი სახლი რომ აუშენა თერთმეტშვილიან ღვამბერიებს სოფელ ხორშაში, მეც მიმიწვიეს იქ, ახალმოსახლეობაზე, — პირველი სადღეგრძელო, როგორც ბალავრის ჩამყრელის, თქვენი უნდა დაილიოსო, და სწორედ ამიტომაც, და აგრეთვე იმიტომაც, რომ ვიცოდი, ტელეოპერატორი უკვე იქ იყო, — არ წავედი, მოსალოცი დეპეშა კი, ცხადია, გავუგზავნე ყველა ქართველისათვის ამ მისაბაძ ოჯახს...

და მაინც, ჩემს სტუმარ-ჟურნალისტს რომ არ ეფიქრა, რომ მე უეჭველად წასაყვანი ვარ საბურთალოში, ასათიანის ქუჩაზე, გონგადასულთა გონზე მომყვან ავლიპი ზურაბაშვილთან, ეკრანზე გამოჩენაზე, ასე თუ ისე, კიდევ დავთანხმდებოდი, რომ მას მეორე, ჩემთვის ერთობ დიდად პრინციპული წინადადება არ მოჰყოლოდა:

ამ ინტერვიუში, თურმე, როცა შემეკითხებოდნენ, რატომ ჩამოვარიგე ეს ჩემი დანაზოგი, უნდა მეპასუხა... არა ის, რასაც მე ვფიქრობდი და მართლა რისთვისაც გავისარჯე (თუნდაც ერთი ქართველი რომ გამომეღვიძებინა), არამედ ის, რასაც ამხანაგი კორესპონდენტი ფიქრობდა და ჩემი პასუხიც უკ-

ვე გაემზადებინა: — ...მე მინდოდა ამით მომხვეჭელობას შევ-ბრძოლებოდიო...

ო-ო, ეს რა გაიგონა ჩემმა მარცხენა ყურმა (მარჯვენა ამ ორმოცი წლის წინათ გამიუქმეს ერთი სტალინური სიფხიზლის (бдительность) მდარაჯებელ დაწესებულებაში)?! მე ხომ ეს შორეულ აზრადაც არ მომსვლია, აკი მომხვეჭელობას მთელი ჩვენი უზარმაზარი, დედამიწის ერთ მეექვსედზე გადაჭიმული სახელმწიფო ებრძვის და ჯერ ამ ბრძოლის პოზიტიური შედეგი ცხოვრებაში, ცხოვრებაში ბევრი არაფერი შეიმჩნევა და, მე ვისი ტიკი-ტომარა ვარ, რომელი მეცამეტე გოჭი მე გამოვ-ხტი, რომელი... კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირიო!

ჩემი მომავალი ინტერვიუერი... არ ვიტყვი, რომ მტკიცედ და დაჟინებით, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ეცადა დავერწმუნე-ბინე, რომ ჩვენში მრავალშვილიანი ოჯახებიც კარგად ცხოვ-რობენ და, საერთოდ, მატერიალურ მხარეზე სიტყვის ჩამოგ-დება, ცოტა არ იყოს, უხერხულიაო...

ჰოდა, ნურც ჩვენ ჩამოვაგდებთ-მეთქი, ბატონო!

ისე კი, გულახდილობა პოლიტიკურ დანაშაულში თუ არ ჩამეთვლება, მე მაინც რატომღაც მეეჭვება, რომ ათშვილიანი ოჯახი, მით უმეტეს მათში პატარები თუ სჭარბობენ, ერთ და ორშვილიანი ოჯახებივით დალხინებულად იცხოვრებენ. ასე რომ იყოს, მაშინ კარლო და დუშა ლომიძეები, ქარელის რაი-ონის სოფელ ფცადან, ჩემი „პადაჩკით“ ძროხას აღარ იყიდიდ-ნენ და მეზობლებს სიხარულით არ გადასძახებდნენ, ახლა ჩვენს შვილებს რძე აქვთო, და არც თოთხმეტშვილიანი ვარდო და ჯინჯიკო ხასაიები წლობით არ იქნებოდნენ წალენჯიხის რაიონის ჯვარზენის კოლმეურნეობის გამგეობის დანაპირების შემყურენი, როდის გვიყიდიან სამასმანეთიან ტელევიზორსო...

შეიძლება ვცდები, მაგრამ მაინც, როგორღაც გუმანით ვგრძნობ, რომ ჩემი ეს „ურჩობის“ ამბავი, რომელსაც პირველ-წყაროდან შეიტყობდით, დიდად არაფრად მოგეწონებოდათ და, ალბათ, გაგაგულისათ კიდეც, აკი...

ო-ო, „ჩვენ“ ისე შევეჩვიეთ ყველაფერზე თავი გვიქნიონ, თავი გვიქნიონ და... აი, გამოტყვრა ვიღაც, რომელსაც საუფ-ლისწულო პატივი დასდეს, ის კი...

უცნაურია, მართლაც, მაგრამ... წინათ იმერეთში ასეთ ან-

დაზას გაიგონებდით: თურქაძის გლეხს საბან-ბუმბულში აწვენდნენ, ის კი ჭილოფს იშლიდაო.

ვინ იცის, მე, როგორც უბირს, ეგებ მეპატიოს ეს კადნიერება, მე ხომ ისე კარგად როდი გამეგება, როგორც ბევრ სხვა, სამიკროფონოდ განკუთვნილ მწერლებს, ქვეყნის დღევანდელი პოლიტიკა-იდეოლოგიაში რა არის მთავარი, შეიძლება მომხვეჭელობასთან ბრძოლა იყოს მართლაც მთავარი... ისე, ესეც გულახდილად რომ გითხრათ, საყოველთაოდ ფეხგადგმული მომხვეჭელობა მე, რა თქმა უნდა, მაწუხებს კიდეც, მაგრამ არა იმ ზომით და არა იმ მასშტაბით, როგორც ჩვენი, ქართველი ხალხის დიდი ეროვნული უბედურება, — ჩვენივე ხელით რომ ვისწრაფავთ სიცოცხლეს.

ამის ირგვლივ სამოდე წლის წინათ მე დავწერე „წამხედურობამ ქვეყანა ამოაგდოო“, რომელიც თუმცა მოკლე დროში კი დაიწერა, მაგრამ მასზე ფიქრი არა ერთი ათეული წელიწადი მაწვალებდა და, ცხადია, მაწვალებს ახლაც... ჰოდა, ის „შავი წიგნი“ (საბოლოოდ ასეთი სახელი შეერქვა მას), ბევრი საფათერაკო თავგადასავლის შემდეგ, როგორღაც მოვახერხე თქვენთვის გადმომეგზავნა, ოღონდ დღესაც არ ვიცი, მიიღეთ თუ არა და წაიკითხეთ თუ არა... მე მაინც მგონია, რომ მიიღეთ და, ყოველ შემთხვევაში, თვალი მაინც გადაავლეთ, და თუ ამის შესახებ ჩემამდე ჩამიჩუმმაც ვერ მოაღწია, ეს არც უნდა მიკვირდეს. მე არც ისეთი ბოთე ვარ არ ვიცოდე, რომ ყოველივე ის, რაც ოფიციალური თვალსაზრისის თუთიყუშური გამეორება არ არის, თქვენი თანამდებობის პირს, როგორც მინიმუმი, უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, გამოხმაურებაზე კი (დადებითზე!), რასაკვირველია, ფიქრიც ზედმეტია.

თქვენ ჩემზე ნაწყენი იქნებით იმის გამოც, რომ ჩემი ეს ნაშრომი, ასე თუ ისე, ხალხში გავრცელდა, — იგი არათუ ხელიდან ხელში გადადის და მის კითხვაში ღამეებს ათენებენ, ზოგიერთი, საკუთრივ რომ ჰქონდეს, თითქმის ორასამდე გვერდის ხელით გადაწერასაც არ ეპუება...

ეს კი არ მოხდებოდა, რომ მათ, თქვენთან ახლო მდგომ პირთ, ვისაც ჩემი ეს ნაწერი თავდაპირველად გავუგზავნე თხოვნით, რომ მისი მოკლე შინაარსი მაინც ეცნობებინათ თქვენ-

თვის (რასაც მთელი წელიწადი ველოდე), — არათუ ეს გააკეთეს, მეც არ ჩამთვალეს რაიმე პასუხის ღირსად, — არც სიტყვიერის, არც წერილობითის (როგორც ჩანს, ყველაფერი ჭკვიანური და, მით უმეტეს, საერო საქმე მხოლოდ მათგან უნდა მომდინარეობდეს!)... დიახ, ჩაიგუბეს პირში წყალი და, თუ ჩულურეთელ მკითხავ აღათი ნინუას დაეჯერება, ცოტა არ იყოს, თითქოს კურარეთი გაუღენთილმა ისარმაც გაუარათ გულში, როცა იმ გვერდებამდე მივიდნენ, სადაც ვწერდი, თქვენისთანა საქვეყნოდ ცნობილი, დიდი ადამიანების ყურადღება, ო, რა დიდად გაახარებდა მრავალშვილიან ოჯახებს... ამ გახარებაში მე, ცხადია, მატერიალურ მხარესაც ვგულისხმობდი, რაც მათ სულ იოლად გაშიფრეს და... გულს შემოეყარათ!

მერედა, უნდა შემოყროდათ კი?! თუკი მე, მარტო პენსიისა და ერთი სპექტაკლის შემყურემ (იმ დროს თემურ თორელი ჯერ კიდევ არ იყო მარჯანიშვილის თეატრის აღმაღორძინებლად მოვლენილი და „ავი ძაღლის“ ბოხი ყეფა მას მხატვრულ ძილს არ უფრთხობდა!) შევძელი ეს, თუნდაც მცირე მასშტაბით, ათეული წლობით ყოველმხრივ გალაღებულ დიდ ერისთავებს — გრიგოლ აბაშიძეს, ნოდარ დუმბაძეს, ოთარ თაქთაქიშვილს, ვახტანგ ჭელიძეს განა ეს არ შეეძლოთ?!

ანდა, შეიძლება ისინი წინასწარ გრძნობდნენ, რომ თქვენ— რესპუბლიკის ხელმძღვანელი — ამას მათ საძრახის საქციელში, „პადაჩკაში“ ჩაუთვლიდით, ა?!

კი, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, არის კი ეს „პადაჩკა“, რომელიც ამცირებს, აკნინებს, თავმოყვარეობას ულახავს „პადაჩკის“ ამღებს? თუ ეს, ასე თუ ისე, მაინც სიკეთის ქმნაა?

აბა ერთი ჩავიხედოთ ოჟეგოვის „Словарь русского языка“-ში:

«Подачка, 1. Кусок еды, брошенный животному. 2. переносное. То, что дают кому-нибудь из милости, из снисхождения (презрительное)».

როგორ, მე, ვინც იმის ფიქრშია, ყველის ფერი რომ არ დამავიწყდეს, ბაზარში მას, დროდადრო, შორიდან ვუცქერი, რადგან ჩემთვის მის საყიდლად 6 მანეთი მენანება და, ამავე დროს არ მენანება თხუთმეტი ათასი (შედარებით წვრილმანი „პადაჩკების“ ჩაუთვლელად) სრულიად უცნობ, მაგრამ სამაგალი-

თო ქართველებისათვის, — მე ამას, თქვენი აზრით, მათ დასამცირებლად, ზიზღით და სიძულვილით ვაკეთებ?!

მესტიაში მრავალშვილიან დედებს, რაიონულ შეკრებაზე, ისეთმა მდიდარმა „ვაჭარმაც“ კი, როგორიცაა ცეკავშირი, ხუთმანეთიანი თავსაფრები მიართვა, ზუგდიდში კი, ასეთივე შეკრებაზე, საჩუქრებად რაიონის ხელმძღვანელობამ ადგილობრივი წარმოების ფაიფურის ლარნაკები ჩამოურიგა (თუნდაც ბროლის ყოფილიყო!), — ეს არ მიგაჩნიათ „პადაჩ...“ ჰმ!..

შარშან სამტრედიის მახლობლად მდებარე ახალ სოფელში ანზორ ფახურიძის ოჯახში საზარელი ტრაგედია დატრიალდა: თვით იგი მანქანამ გაიტანა და სინდისგარეცხილმა, ბოროტმა გამტანმა იმდენი იმამაძაღლა რაიონის „მართლმსაჯულების“ ხელის შეწყობით, რომ უმამოდ დარჩენილი მცირეწლოვანი ბავშვებისათვის მასზე შეწერილი სულ მცირე პენსიის გადახდისგანაც შეეცადა თავი დაეძვრინა. მალე ჯავრისგან დედაც მიიცვალა და დარჩა ხუთი, ხ უ თ ი პატარა ობოლი, რომლებსაც არც ერთმა სულიერმა კაცმა არც სოფელში, არც რაიონში, კოლმეურნეობის გამგეობამაც კი, დახმარების ხელი არ გაუწოდა, არც მორალურის, არც მატერიალურის... ერთმა ამით გულდამწვარმა ახალგაზრდა მწერალმა, ჩემი „პადაჩკების“ გამგონემ, მიმართა ამის თაობაზე თქვენთვის კარგად ცნობილ ერთ დიდ, ნიჭითა და ფულით სავსე მწერალს, უებრო საზოგადო მოღვაწედ მიჩნეულს, კომუნისტს, მან კი მოკლედ მოუჭრა, იმათზე სახელმწიფო იზრუნებსო...

ერთმა უშვილძირო, აგრეთვე კომუნისტმა, აკადემიკოს ჯიბლაძის კლასიფიკაციით, მსოფლიო მნიშვნელობის ხელოვანმა, რომელიც აგერ ახლა მიიცვალა და, სამწუხაროდ, მიცვლისთანავე აღმოხდა სული ხელოვნება-ლიტერატურაში მის ნამოქმედარსაც, თავისი რამდენიმე მილიონი (ძველი კურსით) თავის ერთშვილიან აბორტმახერ დას და მეღვინე სიძეს დაუტოვა...

რაღაც არც ის გვსმენია, რომ ამ უდავოდ კარგ, ერთშვილიან კომუნისტ—პოეტს, რომლის ჰონორარებმა სულ ბოლო წლებში თუ საბუღალტრო უწყისებიდან გამომდინარე ხმებს დაეჯერებათ, ორასი ათასს მიაღწია, — მხოლოდ მეტროთი მგზავრობისათვის გამოსადეგი შაურიანის გაღებაც არ მოსვ-

ლია ფიქრად, მოძველებულ სიტყვას თუ ვიხმართ, მოყვასთა სასარგებლოდ.

კარგი, ბატონო, დაეხმარო ფულადად აქა-იქ, წამლად შემორჩენილ მრავალშვილიან ქართველებს, — ეს გარდა იმისა, რომ ნაციონალიზმია, შეურაცხმყოფელია საბჭოთა სახელმწიფოსათვის და ამისათვის, თუ არ დაგვსჯიან, ყოველ შემთხვევაში არც მოგვიწონებენ, მაგრამ როგორღაც არც ის გაგვიგონია, რომ, მაგალითად, ჩვენმა თანამემამულე, ლენინური პრემიის ლაურეატებმა თავიანთი პრემიებიდან რაიმე შეიტანეს მათი მშვიდობიანი ცხოვრების დამცველ მშვიდობის ფონდში, რისთვისაც, საქვეყნოდ, არათუ წერილობითი მადლობით, — მხურვალე ტაშითაც კი გვაჯილდოებენ (ეს ტაში მოიმკეს კიდეც მიკოლა ბაჟანმა კიევში და ბორის პოლევოიმ მოსკოვში!).

ჰოდა, დაე ეს მწერლები იყვნენ თქვენს თვალში ეგრეთ წოდებული მაღალი ზნეობის მატარებლები, მე კი დაბალის...

ჩვენში რა ხანია წეს-კანონად იქცა, პატარა „ურჩი“ კაცი, რომელიც თუ სულ შენი აზრების მატარებელი არ არის და, საერთოდ, ის შენ, დიდ კაცს, როგორღაც თვალში არ მოგდის, შეგიძლია პრესაში გამოლანძღო, უფრო სწორად კი, —გამოალანძღვინო, რის შედეგაც თავს არხეინად გრძნობ, აკი გალანძღულს არავითარი საშუალება არ მოეპოვება თავი იმართლოს და, სულ ცოტა, თუნდაც მასზე მიკრული ობივატელის იარლიყი მაინც ჩამოირეცხოს, — ჰოდა, თუ მეც ეს სასჯელი არ მელის, „ვივაქკაცებ“ და ამ სიმართლეში გამოგიტყდებით:

ამ ჩემი „პადაჩკებით“ მე არც თქვენი წყენა მინდოდა და არც თქვენი გახარება, მე ეს გავაკეთე ჩემი სინდისისა და გულის კარნახით, მე მხოლოდ ნამდვილი ქართველი მამულიშვილების გახარებაზე ვფიქრობდი, ამ მიზანს კი იმდენად მივაღწიე, რომ ზოგიერთმა მათგანმა გაცეცებისა და მოჭარბებული სიხარულისგან მადლობის თქმაც ვერ მოახერხა (ნაწილობრივ სწორედ ეს დაუდო საფუძვლად ჩემთვის პირადად უცნობმა რ. მიშველაძემ თავის მოთხრობას „ქველი“, —„ცისკარი“, № 6, 1981 წ.).

დიახ, ჩვენ ხშირად აჩქარებით და დაუფიქრებლად, ზოგჯერ, ალბათ, შეუგნებლადაც, ცხოვრებაში ბევრ სიგლახეს ვნერგავთ, მერე კი, როცა ურემი იმ ზომაზე გადაბრუნდება, რომ

ეს ბრმებისთვისაც თვალხილული ხდება, თვითონვე ვიწყებთ ბრძოლას მათ წინააღმდეგ, მაგრამ, ვაი რომ, სიგლახის დანერგვა იოლია, მისი ამოძირკვა კი მეტწილად შეუძლებელიც...

ასე, მაგალითად, არათუ საქმით და საქციელით, — სალაპარაკო ენიდანაც კი განვდევნეთ ბევრი ისეთი რამ, რაც ადამიანად ხდიდა, ამკობდა და ალამაზებდა მას.

ამის საილუსტრაციოდ, რაკი ვიცი, სოკრატედაც რომ გადავიქცე, ჩემს სიტყვას ფასი მაინც არ დაედება, ამიტომ სულ ბოლოდროინდელი მოსკოვის პრესიდან მრავალზე მრავლიდან მხოლოდ რამდენიმე ამონაწერს მოვიშველიებ:

„Очень жаль, что у нас забыто и даже произносится с презрением слово „благотворительность". Творить благо необходимо. Это нужно не только детям, но и тем взрослым, которые согреются рядом с ними".

(„Литературная газета", № 19, 1982 г.)

„Не слишком ли много разума и эгоизма в наше время? А добро? А сочувствие к ближнему, сострадание к нему?"

(„Лит. газета", № 2, 1982 г.)

„...Самое бескорыстное и самое бесценное, что было и есть на свете, — это она, доброта, и сколько бы ни пытались исказить, обезобразить ее смысл и суть — ничего не выйдет: добро со злом несовместимо", как „гений и злодейство".

(„Комсомольская правда", № 131, 1982 г.)

„...Доброту надо не только получать, но и давать. И что ваша доброта долго еще жила после вас".

(„Неделя", № 24, 1982 г.)

„...Доброта — вещь удивительно ценная. Как нынче выражаются, дефицитная вещь. По знакомству ее не добудешь, а люди так в ней нуждаются..."

(„Неделя", № 7, 1982 г.)

Черствость

„...Каленым железом надо выжигать из нашего высокогуманного советского обихода, где милосердие должно стоять на первом плане".

(„Известия", № 24, 1982 г.)

„Сестра милосердия.
Рассказ о женщине, которая стала матерью для десятерых детей, обездоленных войной".
(„Комсомольская правда", № 56, 1982 г.)

ჰო, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა ამ ბავშვებზე სახელმწიფოს ეზრუნა და პატარა ფახურიძეებივით ინტერნატში გაზრდილიყვნენ?!

ამ კითხვაზე ჩემზე უფრო ავტორიტეტულ პასუხს „Неделя" (№ 25, 1982) გასცემს:

„Люди высокого нравственного долга не будут все перекладывать на плечи государства".

დაბოლოს ერთიც („Лит. газета", № 1, 1982):

„...Доброта — лучшее из человеческих качеств. Урок доброты—поступок, а не пустые разговоры".

ალბათ არ იქნებოდა ურიგო, ამდენ რუსულთან ერთზე მაინც, ქართულ წყაროზეც თუ მივუთითებდი, აი თუნდაც...

თქვენთვის კარგად ცნობილი ვერა ქემაშვილი, სოციალისტური შრომის გმირი:

„ქართველი კაცი ყოველთვის უწვდიდა მეგობრულ ხელს სახსარმოკლებულ ან ობლად დარჩენილ ოჯახს, მორალურად ამხნევებდა და მატერიალურად ეშველებოდა. ეს დიდებული ჩვევაა და მას მეტი განმტკიცება სჭირდება.
(„თბილისი", 14.01.81.)

დიახ, ქმნა სიკეთისა, — მატერიალიზებული, ხელშესახები, და არა ცარიელი სიტყვებით ბრახაბრუხი („ჩვენს გამრავლებას გაუმარჯოს!" „საქართველოზე ფიქრი ნუ მოგვეშალოს!"),— მით უმეტეს, თუკი შენ, კომუნისტ კაცს, აღარც კი გახსოვს ფულით დატენილი ტომრების სათვალავი (მე აქ, ცხადია, კანონიერი გზით დაგროვილ ტომრებს ვგულისხმობ)...

ალბათ გაგეგონებათ, არის ასეთი დიდად ნიჭიერი ჟურნა-

ლისტი — ტატიანა ტესი, „იზვესტიის“ მუდმივი თანამშრომელი, მხოლოდ მორალის საკითხებზე რომ წერს და რომლის ყოველი წერილი მკითხველთა მილიონების ყურადღებასა და ინტერესის არეში უმალვე რომ ექცევა; იგი გულისწუხილით გვიზიარებს:

„Есть у нас люди, у которых даже чужая доброта вызывает неодобрение и раздражение“.

(ეჭვი არ შეგეპაროთ, სწორედ ასე წერია, და არა ისე, როგორადაც ჩვეულებრივად იწერება ხოლმე უარყოფითის შესარბილებლად: „Есть у нас ЕЩЕ люди...“).

თავს არც ადრე ვიმართლებდი, როცა სწორედ ამ ტიპის ადამიანები, ჩემს „პადაჩკებთან“ დაკავშირებით (თითქოს მათს ჯიბეში ჩაეყავი ხელი!), ცდილობდნენ ჩემთვის, აქეთ მოეცხოთ მათთვის ხელსაყრელი ცილისწამების მური, — ამიერიდან — მით უფრო, ოღონდ, ჩემი სულიერი, ასე თუ ისე, სიმშვიდისათვის სჯობდა კი, ტესის ეს „Зазвучали в ответ голоса“ („Извсетия,“, № 164, 1982) ბევრად ადრე რომ დაბეჭდილიყო.

მე, რა თქმა უნდა, ჩინებულად ვიცი, რომ არათუ თქვენ,— რომელიც გნებავთ რაიკომის მესამე მდივანიც კი, არ არის ჩვეული და ამიტომაც ვერ მოითმენს, რომ ვინმემ, თუნდაც სიტყვა ოდნავ შეუბრუნოს, მით უმეტეს წერილობით (აქ „ვინმეში“, ცხადია, ჩვენი მრავალსართულიანი იერარქიის კიბის ქვედა საფეხურზე მდგომი იგულისხმება).

როგორც ხედავთ, მე ამას, მეტად თუ ნაკლებად, ასე თუ ისე, მაინც გიბედავთ, და ეს თქვენ, დაე, ნუ გაგაგულისებთ: როცა ჩვენი, მშობელი ხალხის ბედი ყოფნა-არყოფნის სასწორზეა შეგდებული, ერის სასიცოცხლო ინტერესები პირად ნაწყენობაზე მაღლა უნდა დავაყენოთ. მით უფრო ეს ერის წინამძღოლს მართებს და, სწორედ აქ გამოჩნდება მისი, ან კაცუნას წვრილმანი ბუნება ან მისი სახელმწიფოებრივი, საერო სიბრძნე.

შეიძლება იცოდეთ, შეიძლება არა, — ფაქტი კი არის: რაც საქართველოში ყოველდღე, ყოველთვე, ყოველ წელს ხდება, ავიც და კარგიც, ხალხი თქვენ გაწერთ... ხახვი გამოჩნდება ბოსტნეულის მაღაზიაში, — ეს თქვენი დამსახურებაა,

ხახვი გაქრება იმავე მაღაზიაში, — ესეც თქვენ გეთვლებათ უგერგილობაში...

რა თქმა უნდა, ასეთი განსჯა-მსჯელობა სასაცილოა, მაგრამ, თითქოს, არც ხალხია ამაში დამნაშავე: სწორედ ასეთი სიბრძნით აღჭურვეს იგი მრავალ წელთა მანძილზე.

ჰოდა, თუ ამ ლოგიკით, უფრო სწორად — ანტილოგიკით ვიმსჯელებთ, მაშინ ჩვენი დღევანდელი ასეთი სწრაფი სვლა თვითამოხოცვისკენ, — თქვენ უნდა მოგეწეროთ, აკი ბოლო ათწლეულში ეს ამოხოცვა სულ უფრო და უფრო ინტენსიური გახდა (1940 წელს საქართველოს მოსახლეობის ბუნებრივი ზრდა ყოველ ათას მოსახლეზე 19 სულით განისაზღვრებოდა, 1970 წელს იგი 12-მდე შემცირდა, 1980 წელს კი 9 სულამდე დაეცა... და ეს „ნამატიც" პირწმინდად არაქართველებზე მოდის).

რასაკვირველია, თქვენთვის ასეთი ბრალდების წაყენება მტკნარი სისულელე იქნებოდა: თქვენს ნაცვლად, ამ ათი წლის მანძილზე, ვინც უნდა ყოფილიყო რესპუბლიკის სათავეში, ეს პროცესი მაინც ამგვარად განვითარდებოდა. პირიქით, თქვენ შეებრძოლეთ კიდეც ქართველი ერისათვის სიცოცხლის ამ მომსწრაფავ პროცესს, შეებრძოლეთ და ბრძოლას აგრძელებთ კვლავაც, ოღონდ...

ბრძოლის ეს გზა, საუბედუროდ, ვერა და ვერ გაგვიყვანს სამშვიდობოზე; სულ ზერელე დაკვირვებაც კი საკმარისია, რომ დავასკვნათ, ამ ბრძოლას ჯერჯერობით არავითარი ხელშესახები, დადებითი შედეგი არ მოაქვს და, მერწმუნეთ, რა ხანგრძლივადაც უნდა გაგრძელდეს ეს „ჯერჯერობით", არავითარ, ჩვენთვის სასურველ ნაყოფს არ გამოიღებს, აკი ამ ბრძოლის მეთოდი და საშუალებანი, ჩვენდა სატრაგედიოდ, ფუჭი სროლის დარი არიან, მსგავს რამეებს თქვენამდეც მიმართავდნენ, და რომ მათ რაიმე სარგებლობის მოტანა შესძლებოდათ, მაშინ დღეს უარეს დღეში არ ამოვყოფდით თავს...

ნუ გეწყინებათ და... პრესით, ტელევიზიით, რადიოთი, ტრიბუნიდან სიტყვიერი გამოსვლებით ხეირიანად სამეურნეო საკითხებიც ვერ მოგვარებულა და, შედარებით, ისეთი ინტიმური, წმიდათაწმიდა ამბავი, როგორიც ერის გამრავლებაა, საჯარო მოწოდებებით მოგვარდება?!

კარგი, ბატონო, მოვიტყუოთ თავი, ოღონდ უსაშველოდ დიდი ხნით მაინც ნუ მოვიტყუებთ!

წინათ, რევოლუციამდე, ჯერ კიდევ შემორჩენილი პატრიარქალური ყოფის დროს, განსაკუთრებით მთაში, ეგონათ, ესა თუ ის ადამიანი თუ შენზე ხნიერია, მაშასადამე იგი შენზე ჭკვიანია და ამიტომაც უნდა ყველაფერში ერწმუნო, ენდო და დაუჯერო მას; ჩვენმა დრომ ყველაფერი უკუღმა შეაბრუნა,— შეაბრუნა ჭკუის ამგვარი საზომ-გამზომიც; სხვა „შებრუნებულებზე", თუ რამდენად მართებული იყო მათი შებრუნება, არაფერს ვიტყვი, — ეს კი მართლაც მართებულია და სწორი: ახალგაზრდობაში უჭკუო, სიბერეშიც უჭკუო იქნება; წლები ადამიანს მხოლოდ გამოცდილებას მატებენ, თანაც, გამოცდილებით რომ აღიჭურვო, ჭკუა ამასაც სჭირდება, ცოტაოდენი მაინც...

თუ ჩემს მტრებს ყურს ათხოვებთ, ამ ცოტაოდენ ჭკუას მე მოკლებული არა ვარ, თანაც თქვენზე უფროსი ვარ თითქმის მთელი „ეპოქით", — მაშასადამე, ერთგვარი ცხოვრებისეული გამოცდილებაც მომეპოვება, ასე რომ, თითქოს ცოტა რამ მაინც, მეც უნდა დამეჯერებოდეს...

დიახ, ჩვენი ერის უკვდავების შესანარჩუნებლად, მით უმეტეს მისი არსებობის მთელი ისტორიის ყველაზე კრიტიკულ მომენტში, რომელშიც ჩვენ ახლა ვიმყოფებით, ყოველგვარი საშუალება გაამართლებს მიზანს, — ასე განსაჯეთ, თქვენთვის ასე საძულველი „პადაჩკებიც" და, რომ ეს შესაძლო იყოს — ნუ გაგეცინებათ! — მრავალცოლიანობაც...

ჩვენი ხალხის თუ გამრავლებაში არა, მის ოდნავ გამოფხიზლებაში მაინც, თითქოს „შავ წიგნსაც" შეუძლია ერთგვარი სარგებლობის მოტანა, ამიტომაც იგი არ უნდა წაერთვას სტუდენტ-ახალგაზრდობას, როგორც კრამოლა (აკი წაართვეს კიდეც!), მით უმეტეს რომ... „ყოველგვარი დისიდენტობა, ქართველობის მხრივ, დიდი უჭკუობაა, მთელი ჩვენი „დისიდენტობა" უნდა წარიმართოს პრაქტიკული ნაბიჯებისკენ ერის გასამრავლებლად".

გასართობად მოგაგონებთ, რომ ნიკოლოზ პირველმა პუშ-

კინის ერთ ლექსს, რომელიც თვითმპყრობელობის საწინააღმ-
დეგოდ მიიჩნია, წააწერა:

„Печатать нельзя, а распространять можно".

გასართობად-მეთქი, აკი ჩვენ — ჰუმან კომუნაძეები — ნი-
კალაი პალკინს ხომ არ წავბაძავთ! ისე კი, იმ „შავ წიგნშიც"
შეიძლება ამოიკითხოს კაცმა ზოგიერთი ისეთი რამ საგულის-
ხმო, რაც ქართველი ხალხის ამ დიდი სატკივრის მოსაშუშებელ
მალამოდ, ცოტათი მაინც, რომ გამოდგებოდა, მაგრამ უბე-
დურება ის არის, რომ მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა და
ბევრი ცდისაც, იმ წიგნმა თქვენამდე თუ საერთოდ მოაღწია,
ყოველ შემთხვევაში დროულად ვერ მოაღწია და ამიტომ ახ-
ლა, როცა მას, ხელნაწერი ნაშრომის პირობაზე, საკმაოდ ბევ-
რი გაეცნო, თქვენ მასში ტკივილების დამაყუჩებელი მალამო
კი არა, კიბოს მომრჩენი რადიკალური საშუალებაც რომ აღ-
მოაჩინოთ, ამაზეც უარს იტყვით, და ეს თითქოს ბუნებრივიც
იქნება, აკი ჩვენი დემოკრატიის დაუწერელი კანონით, სინათ-
ლის შუქი დემოსს მხოლოდ და მხოლოდ ზემოდან, მაღლიდან
უნდა ეცემოდეს, თუმცა...

სამ მილიონში ერთხელ შეიძლება იშვიათმა გამონაკლისმაც
გაიელვოს! ასე მაგალითად, ეჭვიც არ მეპარება, ის „შოვინის-
ტური" წიგნი თანამედროვეობის მარადისობის კანონის აღ-
მომჩენს რომ დაეწერა, — თქვენ მას, რასაკვირველია, კეთილი
თვალითაც შეხედავდით და მასში გამოთქმულ მოსაზრებებსაც
გულთან ახლოს მიიტანდით.

და რარიგ დასანანია, რომ თქვენთან დაახლოებული დიდი,
ბრძენი მწერლები, უბადლო მამულიშვილ-ერისკაცებად უვა-
დოდ ჩამანდატებულნი, უფრო საკუთარი თავის მარადისობა-
ზე ფიქრობენ, და ამ ყოველდღიურ საზრუნავ გაწამაწიაში აეი-
წყდებაათ ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ მათი მარადისობა
შერწყმულ-გადაჯაჭვულია მათივე მშობელი ერის მარადისო-
ბასთან.

ახალგაზრდობის ოქროს წლები სტალინის სახელობის საპა-
ტიმრო ადგილებში გავატარე, უფრო სწორად — გამატარები-
ნეს სისხლის სამართლის კოდექსის 58 მუხლის მე-12 პუნქტით

გათვალისწინებული დანაშაულისათვის (недонесение). ჰოდა, თუკი მაშინ არ დავაბეზღე, მით უმეტეს ახლა, სიბერეში ასეთ ცოდვას რა პირით ჩავიდენ, რომ თავად ეს „დასაბეზღებელი“ საკუთარ თავს თვითონვე არ აბეზღებდეს: ჩემი „შავი წიგნის“ გაცნობის შემდეგ, ამ თქვენთვის საკმაოდ კარგად ნაცნობმა, ჩემ სახელზე გამოგზავნილი „ღია წერილი“ ვინ იცის, ვის არ ჩამოურიგა, ცხადია, იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენი თავით მაღლა დგას იგი, როგორც უებრო პატრიოტი, კიტა ბუაჩიძისთანა გონებადახშულ, ვითომ პატრიოტზე... ამ, არსებითად, გამომლანძღველ, ყველასათვის წასაკითხად განკუთვნილ წერილში ავტორმა ერთ-ერთ სერიოზულ ბრალდებად ის წამომიყენა, რომ მე თქვენ, როგორც რესპუბლიკის პირველ კაცს, ჩემს წიგნში პანეგირიკით გმოსავთ და გემლიქვნელებით...

ჰოდა, რაკი „გემლიქვნელებით“ და „როსტომ-ხანებს ვაკისრებ ცოტნე დადიანობას“, ერთხელ კიდევ, პირდაპირ და მოურიდებლად, გეტყვით იმას, რაც ღრმად მწამს:

მალამო, რომელსაც, პროპაგანდა-აგიტაციის არხების მეშვეობით, თქვენ ახლა ხმარობთ ჩვენი ერის განსაკურნავად, საბოლოო ანგარიშით მძიმე სენით შეპყრობილი ერის მომრჩენი ვერ აღმოჩნდება.

იყოს, ბატონო, ესეც, მაგრამ...

ახლა ჩვენს განსაკურნავად ყველაზე მთავარი, ყველაზე ეფექტური მალამო მხოლოდ და მხოლოდ პ ი რ ა დ ი მ ა გ ა ლ ი თ ი ა!

და კიდევ ზოგი რამ სხვაც, უხმაუროდ და მხურვალე გულით რომ უნდა გაკეთდეს!

როცა თემქის დასახლებაში, 17—კვადრატულ მეტრიან ოთახში მცხოვრებ, მაგრამ ცენტრში მემანქანედ მომუშავე ორშვილიანმა ახალგაზრდა ქალმა მთხოვა მეჩუქებინა მისთვის „შავი წიგნი“, მე კი ამის სანაცვლოდ, ხვეწნის სიტყვებით, მესამე შვილის გაჩენა მოვთხოვე, მან ასე მიპასუხა:

— კი, ბატონო, ვიყოლიებ, ორი ბიჭის პატრონს თვითონაც მინდა მესამე, გოგო მყავდეს, მაგრამ სად დავაწვინო? მატარებლის ორსართულიან კუპესავით მაინც მომიწყვეთ ოთახი, სადაც ხუთი სული ვცხოვრობთ...

თან ესეც მოაყოლა დაუფარავი საყვედურით:

— მე რომ მეუბნებით, იყოლიე-იყოლიეო, შვილები კაპიტალიაო, საქართველოს რომ თავი დავანებოთ, ამას ისევ თქვენი და თქვენი შვილების სამომავლო-სასიკეთოდ ვამბობო, ამ სასიკეთოს რატომ მინისტრებს არ ეუბნებით და არც მათს. თავმჯდომარეს, პატარიძეს, თვითონაც ერთი შვილი რომ იყოლია და ამდენი ხანია ერთადერთი შვილიშვილის შემყურეა?! როგორ, მათ საამისოდ, ბინა აკლიათ, ფული თუ შებოლილი სულგუნი?!

აი, თურმე, რა ძალა ჰქონია პირად მაგალითს, და რა იოლად გამოეთხარა ძირი ჩალის ფეხებზე შემდგარ ჩემს უბადრუკ მოწოდება-აგიტაციას!..

მაგრამ ყოველთვის როდი განვიცდი ასეთ მარცხს, და თუ მეც კი, მაშინ თქვენ...´ თქვენ...

მერწმუნეთ, თქვენს სიტყვას, მით უმეტეს თხოვნით შეფერილს, არა ტრიბუნიდან, საჯაროდ თქმულს, — კერძო საუბარში, პირად ურთიერთობაში „ჩუმად" ნათქვამს, კვლავ მერწმუნეთ, უფრო მეტი ძალა ექნება, ვიდრე ძველად მეფეთა სიტყვას ჰქონდა, — აკი ხალხი იმ დროს თუმცა მეფის ქვეშევრდომად კი ითვლებოდა, მაგრამ მაინც არ იყო მეფეზე ისე დამოკიდებული, როგორადაც ახლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანზეა!

ჰოდა, რაკი ასეა, ისარგებლეთ ამ თქვენი სუპერმეფური უპირატესობით და ნუ დაინანებთ არა პრესისათვის განკუთვნილ თქვენს სიტყვას, თუ მოსამრავლებლად არა, ყოველ შემთხვევაში დღევანდელ სავალალო დონეზე „ნამრავლის" შესანარჩუნებლად მაინც, რაფა ეს საშინელი სიკვდილიანობა არ სჭარბობდეს სასიცოცხლო შობადობას!

ნაპოლეონს სტალინიც კი აფასებდა და, მე მგონია, არც თქვენ უნდა მიგაჩნდეთ ის ახირებულ ობროდად, და თუ ეს ასეა, ნაპოლეონიც კი იჩენდა დაინტერესებას მასთან ახლო მყოფ პირთა დაოჯახებით... თუკი მეც კი ვიცი, რომელიც უფრო ახლოსაა დალაი-ლამას საპატრიარქოსთან, ვიდრე ცენტრალურ კომიტეტთან, თქვენ, აბა, როგორ არ გეცოდინებათ, რომ თქვენს აპარატში არა ერთი და ორი მუშაობს, რომელთაც ჟამი ამისა თუმცა კარგა ხანია დაუდგათ, ოჯახს მაინც არ ეკიდებიან; თუ არ ვცდები, ერთ-ერთი განყოფილების გამგე უცო-

ლოა (მეორისამ, მგონი, შეირთო), უცოლოა აგრეთვე N რაიკომის მდივანი და N ქალაქკომის მდივანიც... ვინ დაიჯერებს, რომ თქვენ ისინი ამისათვის ბაბუაწვერასავით სულ ოდნავაც შეარხიოთ, განა უმალვე „გვირგვინს არ იფსკვნიან?!“ ცეკას მდივნები იქნებიან ისინი თუ პარტიის რაიკომების, ანდა, კომკავშირის, მინისტრები თუ სხვა, თქვენზე უშუალოდ დამოკიდებული ათასები, — მივცეთ პატარა ხალხს მაგალითი, იყოლიეთ მესამე და მეოთხე შვილიცო, როგორ, ისინი თქვენ მიერ დასახულ „გეგმას“ უდრტვინველად არ შეასრულებენ?!

და ასე შეიძლება აგორდეს ტალღა, ტალღა, რომელიც თანდათან გამოგვიყვანს გადაგვარების იმ ჭაობიდან, რომელშიც ახლა გულის ფიცრამდე ვართ ჩაფლული, აქედან ყელამდე კი სულ ერთი მტკაველი მანძილია!..

დიახაც, თქვენ ამ მხრივ, რომ ეს არ მოხდეს, ბევრი, ბევრი რამის გაკეთება შეგიძლიათ, და უნდა ეცადოთ კიდეც!

სხვა არა იყოს რა, ნუთუ სამარცხვინო არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ თუკი, თქვენი აზრით, გეორგიევსკის ტრაქტატმა შეუნარჩუნა ქართველ ხალხს ფიზიკური არსებობის შესაძლებლობა, საბჭოთა წყობილების დროს ისე შეთხელდეს ეს ერი, რომ გეორგიევსკის ტრაქტატის 250 წლის თავზე ჩვენს შვილიშვილებს, როგორც სამშობლოს გერებს, ქურთი და სომეხი ურტყამდეს თავში, თუნდა ერთიც და მეორე საბჭოთა ქურთი და საბჭოთა სომეხი იყოს, იმავე ტრაქტატის 300 წლის თავზე კი, ქართველებს სულაც ვეღარ ეზეიმოს ეს თარიღი, უკვე ფიზიკურად არარსებობის გამო.

იაკობ გოგებაშვილი ბრძანებს:

„რომელიმე ერის გაქრობა აღარიბებს და ასახიჩრებს თვით კაცობრიობას“. („ბურჯი ეროვნებისა“. გვ. 57).

ჰოდა, აღუდექით ვაჟკაცურად წინ ამ ტრაგედიას, და მაშინ თქვენი სახელი არა მარტო ქართველი ხალხის ისტორიაში, — შეიძლება ბოლო დროის მსოფლიო ისტორიაშიც მოიხსენიონ, ოღონდ, ცხადია, არა იმ კონტექსტით, რომ თქვენი მმართველობის დროს ცხრაჯერ მიიღო საქართველომ გარდამავალი წითელი დროშა ჩაისა და ყურძნის დამზადების გეგ-

მების შესრულებისათვის, არამედ კაცობრიობა რომ ააცდინეთ გაღარიბება-დასახიჩრებას.

ამ ბარათს ვამთავრებ თქვენდამი დიდი იმედით და ერთი პოეტის, რევოლუციამდე გაზეთ „საქართველოს“ რომ რედაქტორობდა, სტრიქონებით:

იყო ხალხი, ბრძენი ჰყავდათ მმართველი,
მიტომ შერჩა ამ ქვეყანას ქართველი.

უფრო მეტი პატივისცემით, ვიდრე თქვენ გამოიჩინეთ ჩემდამი:

კიტა ბუაჩიძე

მარტი, 1982 წელი.
თბილისი, თემქა,
პერსონალურ დაერდომილთა
სახლი

ქალაქი ფულუქიძე. გამარჯვების ქუჩა, 70
ბიბლა ბელიძეს

პატივცემულო გიგლა!

ჩვეულებრივ, ვინც ბავშვობის სახელით თავს არ „იმშვენებს“, მე მათ, როგორც წესი, ყველას ბატონობით მივმართავ ხოლმე.

თქვენ უკვე ოცდათვრამეტის ბრძანებულხართ და, ცხადია, „ბატონო“ უფრო შეგფერით, ვიდრე...

ოღონდ გიგლა და „ბატონო“, ყოველ შემთხვევაში ჩემს წარმოდგენაში, ერთმანეთს როგორღაც ვერ ეწყობა, ამიტომაც „პატივცემულო“-მეთქი, თუმცა... საქართულოდ მიმართვის ამ ფორმას გამორჩეული პატივისცემით მაინცდამაინც არცთუ ვეპყრობი.

მაგრამ ეს საერთოდ...

მწერთ, მარნეულში მივლინებაში ყოფნისას ერთმა აზერბაიჯანელმა სუფრაზე, სადღეგრძელოში მითხრაო,

ეს ჩემს მარნეულს და თქვენს საქართველოს გაუმარჯოსო,

რამაც გული მოგიკლათ...

ალბათ იცით, მარტო მარნეულის რაიონში ასი ათასამდე მუსულმანი მცხოვრებია, მაშინ, როცა, მაგალითად, ყაზბეგის რაიონში ქართველობა შვიდ ათასამდე ძლივს დაითვლება.

...იწერებით, რომ ორი ბიჭის მამა ხართ და ჩემი „შავი წიგნი“ ცოტა ადრე რომ წაგეკითხათ, უეჭველად ოთხს მაინც იყოლიებდით, ახლა კი იმედი შვილებზე გადაგაქვთ, ჩემს შეცდომას გამოვასწორებინებო...

ო-ო, გიგლა ჩემო, გიგლა ჩემო,

ყველაფერი ეს ზღაპარია, ცრუიმედები და თავისმოტყუებაა!

როცა დღევანდელი ჩვენი მცირეწლოვანი შვილები ჩვენი საბედისწერო შეცდომების გამოსწორებას შეუდგებიან (ესე-

ცაა, შეუდგებიან კი?!) მაშინ წულიკიძე-ხონს „მათმა მარნეულ-მა“, შეიძლება, შემოაღწიოს კიდეც.

ალბათ გახსოვთ, ჩემს წიგნში, რომელსაც თქვენ ასე გაუტაცნიხართ, რომ ერთ ღამეში თავაუღებლივ წაკიგითხავთ, ეწერ, — ჩვენ ყველას საქართველო თითქოს გვიყვარს კიდეც, ოღონდ სამოთხეში შესვლა ყველას სხვისი ფეხით გვინდა-მეთქი...

ამ მხრივ, როგორც ჩანს, არც თქვენ უნდა იყოთ გამონაკლისი...

კაცი ჯერ ორმოცი წლისაც არ ბრძანდებით, თქვენი მეუღლეც, არა მგონია, თქვენზე უფროსი იყოს და... ვითომ ასე ხანდაზმულნი ხართ მესამე შვილი, თანაც გოგო, თქვენს ბიჭებს რომ მოუვლინოთ, და აგრეთვე თქვენივე თავსაც, — განა არ შეგიმჩნევიათ, მოხუც მშობლებს ქალიშვილები უფრო გულისხმიერებით და მზრუნველობით რომ ეპყრობიან?

ვინ იცის, ეგებ იმის გერცხვინებათ, რომ თქვენი უმცროსი ბიჭი უკვე თერთმეტი წლისაა?!

ჩემი მშობლები თქვენზე ხნიერები იყვნენ, როცა მე ამ ქვეყანას კნავილ-ღნავილით გამოვეცხადე, — შვილებში სათვალავით მეცხრე...

ნაბოლარასა და სულ უფროს ქალიშვილს შორის ასაკობრივი განსხვავება თითქმის ოც წელს აღწევდა.

ვიცი იტყვით, იმ დროს ქართველი ხალხი ჩამორჩენილი და გაუნათლებელი იყოო, ახლა კი ყველანი გავნათლდით და დროშიც ათასჯერ უფრო ბედნიერში ვცხოვრობთო, და სხვა ამისთანები...

ჰო, მაგრამ...

ჩემს ნაშრომში მოხსენებულმა 46 წლის ქეთევან ნიგურიანმა მეთორმეტე შვილი მაშინ შობა...

არა, კი არ გაპარვია, როგორც ამას ზოგჯერ გულისწუხილით აღნიშნავენ, — სრული შეგნებით იყოლია მეთორმეტე შვილი მაშინაც კი, როცა პირველი შვილიშვილი... უკვე სამი წლისა ჰყავდა!

აი, ვინ არის საამაყო ქართველი ქალი, და არა გადაგვარების გზაზე შემდგარი ის ერთშვილიანი და ორშვილიანი დღევანდელი ქართველი ქალები, რომლებიც ასეთი მცირეშვილია-

ნობით საკუთარ თავსაც მტრობენ და თავისივე პირმშოებსაც.

ახლა ჩვენში რადიო-ტელევიზორიდან ხშირად გაიგონებთ და ასევე ხშირად პრესაშიც ამოიკითხავთ უკვე ტრაფარეტად ქცეულ, გაცვეთილ ფრაზას, ესა და ეს ამდენსა და ამდენ შვილს უზრდის მამულსაო, ამან და ამან ამდენი და ამდენი შვილი მამულს აჩუქაო...

არა, ბატონო, მამულს კი არა, — თავის თავს აჩუქა, თავისივე შვილები გააბედნიერა...

დიახ, მრავალი შვილი ეს, უწინარეს ყოვლისა, და-ძმების, მშობლების, ოჯახის ძლიერებაა,

მერე კი, რაც აქედან ბუნებრივად გამომდინარეობს, ეს ერისათვის, საქართველოს სამარადჟამო სასიცოცხლოდ ნაბოძები ნობათიცაა!

თქვენ გეამაყებათ, რომ შვილებს მურთაზი და ჯამბული კი არ დაარქვით, არამედ გიორგი და ზურაბი...

ეს თავისთავად, რასაკვირველია, კარგია და მოსაწონი, ოღონდ, ნუ ვიფიქრებთ, რომ უკვე ახლაც ათი ათასობით მოზღვაეებულ ალიასა და მიკიჩასაგან თითო-ოროლა ზურაბი და გიორგი გვიხსნის...

დიახ, „მარნეული“ და „ახალქალაქი“ დღითი დღე სულ უფრო და უფრო გვიახლოვდებიან, და თუ გინდათ, გიგლა ჩემო, თქვენი ზურაბი და გიორგი და მათი შვილები და შვილიშვილები თავისივე სამშობლოში, ჩვენს შემდეგ, ლაღად და გულოვნად ცხოვრობდნენ, ამთავითვე უნდა იმოქმედოთ მათივე სასიკეთოდ.

ეს, რასაკვირველია, მარტო თქვენ როდი გეხებათ, — ასი ათასობით თქვენებრ ქართველთ!

გვახსოვდეს: ჩვენი მხსნელი მხოლოდ პირადი მაგალითია!

ამას, მგონი, მეასეჯერ ვიმეორებ და მისი გამეორებით, თუკი ეს ჩვენს ეროვნულ საქმეს ოდნავ მაინც წინ წასწევს, არც ოდესმე დავიღლები, ოღონდ ესეც არის...

ამას წინათ ჩემთან სტუმრად მოსულმა თერთმეტშვილიანმა სვანმა, დავითიანმა, გულდაწყვეტით მითხრა, ბრიყვსა და უგუნურს გინდა შავი წიგნი უკითხე, გინდა თეთრი, სულ ერთია, მაინც აბორტმახერთან გარბისო.

თქვენი წერილის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, უგუნურთა სიაში თქვენი ჩაწერა ჯერ ნაადრევი იქნებოდა...

ღმერთმაც ქნას, ამ სამარცხვინო სიაში არც მერე შემეტანეთ.

კიტა ბუაჩიძე.

16 თებერვალი, 1986 წელი.
თბილისი.

P. S. რაკი ჩვენი ფოსტის მუშაობას სულ მთლად ვერ ვენდობი, გთხოვთ ამ ბარათის მიღების ფაქტი თუნდაც სულ ერთი სიტყვით დამიდასტუროთ: „მივიღე".

სხვათა შორის, ჩვენში ვისაც თავი დიდთავა ინტელიგენტად მოაქვს, წერილზე პასუხისათვის, ჩვეულებრივ, თავს არ იწუხებს, ვისაც კი საამისო პრეტენზია არ გააჩნია, მეტწილად უფრო ისინი იძლევიან პასუხს.

თქვენ კი...

„მე ერთი უბრალო გურული კაცი ვარ", აკი ჩემდამი მოწერილ ბარათს ასე იწყებთ.

გიგლა ჩემო!

თქვენი ბარათი მივიღე.

მის საპასუხოდ გიგზავნით ჩემს „შავ წიგნს" საჩუქრად, რაკი მას თქვენზე იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია, რომ, როგორც იწერებით, მე და ჩემს მეუღლეს კი არა, ღრმა მოხუცებსაც კი ჩააფიქრებსო.

მაგრამ მარტო ჩაფიქრება და სინანულით გულზე ბაგუნი სულაც არ ეყოფა ახლა ჩვენს ერთსა და ორ შვილს, და ჩვენც სამომავლოდ, როგორც მშობლებს, და არც ჩვენს პატარა ქვეყანას ქართველურად სასიცოცხლოდ...

მოხარული ვარ, რომ არ გსურთ მოხვდეთ „ბრიყვთა და უგუნურთა სიაში", და რომ თქვენ და თქვენი მეუღლე ყოველ-

თვის იქნებით ერთგული იმ მოწოდებისა, რომ არ გადავშენდეთ და პრაქტიკულად ეცდებით წვლილი შეიტანოთ თქვენი ოჯახისა და ჩვენი ერის სიძლიერის საქმეში.

თქვენი ეს სიტყვები მე იმგვარად გავიგე, რომ მესამე შვილს უეჭველად იყოლიებთ, და როცა ის გეყოლებათ და ამ სასიხარულო ამბავს შემატყობინებთ, მე თვითონ ჩამოვალ ხონში და სამადლობელ სიტყვებს წაგიწერთ ამ წიგნის თავფურცელზე...

მინდა იცოდეთ, რომ ავტორისეული წარწერით ერთ ან ორშვილიანისათვის ჯერ ეს წიგნი არავისთვის მიმიძღვნია და არც ოდესმე მივუძღვნი, თუნდაც იგი ქვეყნის მპყრობელი იყოს და ამის საფასურად მეორე სიცოცხლეც მაჩუქოს.

კიტა ბუაჩიძე.

6 მარტი, 1986 წელი

P. S. სიახლისა და პროგრესის მტრობაში ნუ ჩამითვლით, რაკი წულუკიძე ხონად მოვიხსენიე...

რა ვქნა, თუმცა ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა, რაც ზოგიერთ ქართულ ქალაქს სახელი გვარებზე შეუცვალეს, მე კი ამას დღემდე ვერ შევგუებივარ, რადგან ასეთი რამ ქართული ენის ბუნებიდან არ გამომდინარეობს.

ქალბატონო მზია!

მადლობას მოგახსენებთ ბარათის გამოგზავნისათვის და მოხარული ვარ იმის გაგებითაც, რომ თქვენ და თქვენი მეგობარი ქალები ჩემმა „შავმა წიგნმა“, ასე თუ ისე, სულიერად აგაფორიაქათ და ცოტათი მაინც გამოაღვიძა თქვენში პატრიოტული გრძნობა.

ეს ერთობ კარგია, ოღონდ ცუდი ის იქნება, თუკი თქვენი გულისწუხილი მხოლოდ წუთიერად გაიელვებს და წიგნის დახურვისთანავე აორთქლდება და გაქრება.

ამჟამად ქართველ ერს მარტო სიტყვიერი მოთქმა-კვნესა „ვაი ჩვენს თავს, რა გვეშველება!“ — როდი უშველის, ყველა ჩვენგანმა, პირველ ყოვლისა კი ქალებმა, ჩვენი ეროვნული ტაძრის უკვე ასე ძალუმად მორყეული საძირკვლის გასამაგრებლად, სულ ცოტა, თითო-თითო აგური მაინც მივიტანოთ.

მაგრამ ჩვენი დიდი ეროვნული უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ ამის გაკეთება თითქმის არავის გვინდა, არ გვინდა საკუთარი და, ამავე დროს, სასამშობლო საქმისათვის გავისარჯოთ და თავი შევიწუხოთ.

ეი, თქვენ ახალგაზრდა ქალი ბრძანდებით, მხოლოდ ორი შვილი გყავთ, თანაც ორივე ბიჭია (ხანში შესვლისას, და მით უმეტეს სიბერეში, როგორც წესი, ვაჟები მშობლების მიმართ უფრო ნაკლებ გულის სითბოს იჩენენ, ვიდრე ქალიშვილები)...

ჰოდა, აბა ისეთი რა დაგიშავდებათ, რომ ამ ჩვენი დიდი ეროვნული განსაცდელის ჟამს მესამე შვილიც იყოლიოთ და ამით ცოცხალი მაგალითი მისცეთ ნათესავებს, ახლობლებს, ნაცნობ-მეგობართ და, თუ გნებავთ, მეზობლებსაც; დრო რომ გაივლის, მაშინ კი მიხვდებით, რომ ამით საკუთარი თავიც გაიბედნიერეთ, შვილებიც გააბედნიერეთ და, საერთოდ, სამშობლოსაც მხარში ამოუდექით.

მე ჩემს წიგნში ხაზგასმით ვწერ და ახლა პირადად თქვენთვის ვიმეორებ, რომ ჩვენ, როგორც ერს, იმ ტრაგიკული ჩიხიდან, რომელშიც უკვე კარგა ხანია ვიმყოფებით, შვილიერების პირადი მაგალითი თუ გამოგვიყვანს.

და თუ ჩვენ უკვე კარზე მომდგარ უბედურებას თავს დავაღწევთ, მაშინ თქვენს შვილებს, 30—40 წლის შემდეგ, თავში ვეღარ ჩასცხებენ, როგორც ნაციონალური უმცირესობის წარმომადგენლებს (თავისავე სამშობლოში!) ვერც სომეხი და ვერც ქურთი, ვერც ოსი და ვერც აფხაზი, და ვერც თათარი-აზერბაიჯანელი...

და მაშინ თქვენ და თქვენისთანებს აღარ დაგჭირდებათ სინანულით ლოყაზე ხელის შემორტყმა, როგორადაც ახლა ირტყამენ კიდეც შვილიერების ასაკს გადაცილებული, მცირეშვილიანობით შეწუხებული, გვიან გონს მოსული ქართველი „მანდილოსნები-სიგარეტოსნები“...

მე პირადად ამ ბოლო დროს ასეთები ბევრი შემხვედრია, ჰოდა, ნურც თქვენ გაიხდით მომავალში სადარდებლად მსგავს საქციელს.

ამას წინებზე ავთანდილს, თქვენს მეუღლეს, სიტყვა ჩამოვუგდე, რა დაგიშავდებათ, მესამე შვილი. რომ იყოლიოთ-მეთქი...

არა, მას ქვა არ აუგდია და მისთვის თავი არ შეუშვერია, ეს კი ბრძანა ლამაზ თვალებზე ცრემლმორეულმა, ცოლს ხომ ვერ დავჩაგრავო...

გამეღიმა, სიმწრით, ცხადია... თქვენ ის სხვა მხრივ ნუ დაგჩაგრავთ, თორემ ეს დაჩაგვრა კი არა...

დედაჩემმა ცხრა შვილი შობა და, ღრმად ვარ ამაში დარწმუნებული, ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო, რომ მან 95 წელიწადი იცოცხლა, და იცოცხლა არა როგორც ცოცხალმა გვამმა, — სულ საქმით მოფუსფუსემ, შვიდშვილიანმა დეიდაჩემმა კი — 97!

მშობიარობა ქალის ორგანიზმს მხოლოდ აახალგაზრდავებს, აბორტები კი ხშირად „აკიბოებს“ კიდეც მას.

ერთხელ თქვენმა ქმარმა ესეც მითხრა... ამით უნდოდა, ალ-

ბათ, თავის ორშვილიანობისთვის, ჩემს თვალში, საბოლოოდ ლოგიკური წერტილი დაესვა, — მე კაი ბიჭები მყავსო.

ეჭვი არ მეპარება, რომ თქვენ „კაი ბიჭებით" ხშირად იღერებთ ყელს, და ეს ბუნებრივიცაა, აბა, ეს რომელ დედას დაეძრახება, ოღონდ...

ღმერთმაც ქნას, თქვენი ბუთხუზა ბიჭები ბუთხუზებად დარჩენილიყვნენ — ამ სიტყვის იდეალური გაგებით — ჭაბუკობასა და მოწიფულობაშიც, და მერეც, მაგრამ ამით თავის დამშვიდება მეტწილად ნაადრევია ხოლმე და ხშირად იგი საბოლოოდ თავის მოტყუებით მთავრდება; ბავშვობაში, ვიდრე ჩვენ დედის კალთაზე ვართ ჩაფრენილი, ყველანი „უი, დედა, რა კარგები" ვართ, მერე და მერე კი... ალბათ გაგიგონიათ, რაც უფრო იზრდება, მით უფრო ვირდებაო. მით უფრო ახლა, ამ ჩვენს უკულმართ დროში, — აბა ერთი, ირგვლივ მიიხედ-მოიხედეთ, თითქმის მასობრივად რა თავისმომჭრელი ამბები ხდება, თავისმომჭრელი საკუთარი თავისა, თავისმომჭრელი მშობლებისა და თავისმომჭრელი შენივე სამშობლოსი!..

დიახ, რა სრულყოფილადაც უნდა ზრდიდე — მუსიკასაც ასწავლიდე და ინგლისურსაც, ცეკვაზეც დაგყავდეს და ცურვაზედაც, — მაინც არავინ არა ვართ ამისგან, ე. ი. სიგლახისგან დაზღვეული, ამიტომ დედაჩემის აზრი, რომელიც მან საკუთარი შვილების „გააანალიზებისას" გამოთქვა, არც ახლა კარგავს ერთგვარ პრაქტიკულ სიბრძნეს: შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია; ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახაო.

ადამიანის ავი და კარგი, მისი ხასიათი დედის საშოშივე ჩანასახთან ერთად ისახება, და მერე, დიდობაში, იგი აღზრდისა და სოციალური გარემოს ზეგავლენით, შეიძლება ცოტათი გაფუჭდეს, ან ცოტათი გაუკეთესდეს, მაგრამ მხოლოდ ცოტათი...

თქვენ პედაგოგი ბრძანებულხართ და როგორც პედაგოგს, მე ვფიქრობ, არ გაგიჭირდებათ, აი თუნდაც, თქვენი ქმრისა და თქვენი მაზლის ხასიათი შეადარ-შეაპირისპიროთ. განა ისინი ერთმანეთს ყველაფერში ემთხვევიან? არადა, ხომ აბსოლუტურად ერთნაირ პირობებში და ერთნაირ გარემოცვაში იზრდებოდნენ?!

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთშვილიანი ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ნინო და ვანო ყიფიანები მესტუმრნენ, და მე იმ დღეს, ავადმყოფ კაცს, გულის გასამხნევებლად წამალი აღარ დამჭირვებია, ნიტროგლიცერინის მაგივრობა სიხარულმა გამიწია: არათუ ჩემთვის, ღვთის მადლით, ჯერჯერობით კარგად მხედველისთვის კი არა, ნახევრად ბრმისთვისაც ქალის ორსულობა ადვილად შესამჩნევი იქნებოდა: უკვე მეცხრე თვეში იდგა და მე როგორღაც ანაზდად მომაგონდა სახარებიდან: „კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა...“

შემოსვლისთანავე ვაჟმა ცოტა ზეაწეული ტონით მომმართა, თითქოს უნდოდაო, რომ ეს ცოლსაც გარკვევით გაეგონა:

— ეს სულ თქვენი წიგნის წყალობაა, ბატონო, და თუ ახლო მომავალში მესამესაც არ იყოლიებს, თქვენი თანდასწრებით ვუცხადებ, — სხვასთან გავაჩენ.

ო, ღმერთო!..

გვიხსენ, ღმერთო, საქართველოში ახლა ასე მომრავლებული „გადედლებული“ ქართველი კაცუნებისგან გვიმრავლე ასეთი „მამალი“ ქართველი ვაჟკაცები!..

რაღაც ბედად, მეორე დღემაც დიდი სიხარული მომიტანა: მივიღე თემქაში მცხოვრებ 160-ე საშუალო სკოლის მასწავლებლის, სამშვილიანი ლიანა მარსაგიშვილის ბარათი, რომელშიც ასეთი რამეც ამოვიკითხე:

„თქვენი წიგნის წაკითხვისას ჩვენმა პედაგოგმა ნანა კაპტაძემ გადაწყვიტა, აღარ დაღუპოს ნაყოფი და მესამე შვილის შემდეგ, რომელიც შვიდი თვის მერე დაიბადება, მეოთხეც იყოლიოს“.

დიახ, მე ის როდი მახარებს ხოლმე, როცა წერილობით თუ სიტყვიერად სულელურად მაქებენ, თითქოს მე დიდი მამულიშვილი ვიყო, რომ დადგება დრო და წმინდანებში შემრიცხავენ, რომ „შავი წიგნი“ ჩვენი დროის „ევფხისტყაოსანია“ და სხვა ამისთანები, — მე მახარებს მხოლოდ ჩემი წიგნის პრაქტიკული ნაყოფი, რაც ასე გადაუდებლად გვჭირდება ყველა ჩვენგანს — გასათხოვრებსა და უცოლოებს, ერთ-

სა და ორშვილიანებს, თავად ამ ჩვენს შვილებს და, საერთოდ კი ახლა გადაშენების გზაზე შემდგარ ჩვენს სამშობლო-საქართველოს!..

იმედით და პატივისცემით
კიტა ბუაჩიძე.

25 დეკემბერი,
1983 წელი.
თბილისი

გვიანდელი მინაწერი (1990 წ.): ამ ბარათმა ბევრი ვერაფერი გაჭრა: ავთანდილმა ცოლი არ „დაჩაგრა" და არც მზიამ „დაიჩაგრა". თავი... ყიფიანების ქადილიც სულ ფუჭი გამოდგა...

საით მიექანება ქართული თეატრი?!

(„შავზე შავი წიგნის“ ერთი ნაწილი, რომელიც შეიძლება ცალკე იკითხებოდეს)

Театр — высшая инстанция для решения жизненных вопросов.[1]

А. Герцен

თეატრის დანიშნულება ხალხის ცხოვრებაში ასე განსაზღვრა ალექსანდრე გერცენმა...

აუ, ჯერ კიდევ როდის!

როცა ნიკოლოზ პირველმა გოგოლის „რევიზორი“ ნახა, სამეფო ლოჟის სავარძლიდან წელი ძლივს აითრია და ნაღვლიანად წარმოთქვა: „Попало всем, и прежде всего — мне!“

სხვათა შორის, თუმცა „попало и ему“, იმპერატორს გულში ფიქრადაც არ გაუვლია, რომ მისი რეჟიმის გამაბახებელი კომედია აეკრძალა.

და მაინც, ისეთი „თავისუფლების“ დროსაც კი თეატრს არ შეეძლო გადაეწყვიტა ცხოვრებისეული საკითხები, და ვერც ვერასოდეს გადაწყვეტს იგი ასეთ საკითხებს. თეატრს მხოლოდ მათი დასმა-წამოყენება შეუძლია.

ესეც არის, თუ წამოაყენებინეს, თუ საამისოდ გზა არ გადაუღობეს!

ცოტა არ იყოს, მეუხერხულება საკუთარ თავზე ლაპარაკი, მაგრამ ჩემი ამ აზრის გასამაგრებლად სხვა, უფრო დამარწმუნებელი მაგალითი, თანაც დოკუმენტურად შემონახული, არ მეგულება.

თითქმის ოცი წლის წინათ მე დავწერე სატირული კომედია „პლატონი“ („ფორმულა პლატონისა“), რომელშიც, მგონი, პირველმა ავსახე ჩვენი იმდროინდელი ცხოვრების ზოგიერთი მახინჯი მხარე, უფრო შერბილებულად ნეგატიურ გამოვლენებს რომ ვეძახით, და რომლებიც არ გვალამაზებდა (არც ახლა გვალამაზებს).

ეს მაშინ საკმაოდ შესამჩნევი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი გამბედაობა იყო, რაიც, ჩვენს დროში —ეს ბევრს

[1] ციტატები მომყავს ამ ენაზე, რომელზეც ამოვიკითხე.

მოეხსენება, — მაინცდამაინც დიდი მოწონებით არ სარგებლობს, და ეს იყო, ალბათ, მიზეზი იმისა, რომ ჟურნალ „ცისკრის“ ჯერ ძველმა რედაქტორმა მისი დაბეჭდვა გააძაღლა, მერე კი, ახალმა, ქალაქის დასუფთავების ტრესტის მსახურთა მეთოდით, როცა რედაქციის დანაგვიანებულ უჯრებს ასუფთავებდა, ერთი ახალგაზრდა მწერლის ხელით უკან გამომიგზავნა — მადლობა მას! — არა როგორც ნაგავი, არამედ... ეს რომ დავბეჭდოთ, დაგვიჭერენო.

დაჭერით, არა მგონია, დაეჭირათ, მან უფრო ის იანგარიშა, რომ მისთვის უცნობი, ხანდაზმული ავტორის გამოსამზეურებლად არ ღირდა დეფიციტური საჟურნალო ქაღალდის განიავება, აჯი იგი, მისი დანიშნვით გახარებულ თავის უახლოეს მეგობრებსაც არ ეყოფოდა... და არც აუტკივარი თავის — ვინ იცის! — შესაძლო ატკივებაც მიიჩნია სავაჟკაცო საქმედ.

შემდეგ კი, როცა საქართველოში 1972 წლის მიწურულს ახალმა სიომ დარის დადგომა გვაუწყა, მე გავიფიქრე, ეს ძველი, ჩამოხუთული ჰაერის გასაფილტრავად დაწერილი პიესა ეგებ ახლა მაინც დაიდგას, აი იმ დიდი ავდრიანობის ამსახველი, თუნდაც როგორც უკვე ისტორიული ნაწარმოები-მეთქი...

თქვენ არ იცით, რა არის პროფესიონალი დრამატურგისათვის დაუდგმელი პიესა, — მკვდარია, რომელიც დროზე, დანიშნულ დროზე უნდა გასვენდეს...

ახსოვს კი ვისმე, ჭირისუფლებს განცხადება გამოეკრათ, უამინდობის გამო გასვენება გადადებულიაო?!

ჰოდა, რაკი ასეთ შავ დღეში არა ერთი და ორი წელიწადი ვიყავი, ჩემი მკვდარი რომ დამარხულიყო, რანგით არცთუ ისე დიდი, მაგრამ მაინც საკმაოდ მოზრდილი კაცის შ ე გ უ ლ ი ა ნ ე ბ ი თ, იმ მართლაც უმაღლეს ინსტანციას მივაკითხე, რომელიც წყვეტს ჩვენში არა მარტო დიდ ცხოვრებისეულ საკითხებს, — სულ პატარასაც კი...

იმ ხანებში იქ, ამ მოზრდილი კაცის ხელქვეითად მუშაობა დაიწყო ერთმა ნამდვილმა ლიტერატორმა, პროფესორმა... პირველ დავალებად მას თურმე ჩემი პიესა მისცეს ზეპირ სარეცენზიოდ და, როგორც ჩანს, თავის უფროსს ისე შავად მოახსენა მისი ავ (-კარგის გამოკლებით!), რომ მას, რაღა გასაკვირია, სულ დაეკარგა სურვილი დამხმარებოდა, და თუმცა

პირველად თავად წამაქეზა, ახლა კი, ვითომ აქ არაფერ შუაში ვარო, თვლსაწიერს გაპონივით მიეფარა, — ჩვენ ვერ ვეტყვით თეატრს, ეს დადგი, ის დადგი, ეს თვითონ თეატრის საქმეა, ჩვენ არ ვერევით თეატრის ფუნქციებშიო...

გამეცინა, რა თქმა უნდა, სიმწრით გამეცინა, აკი მკვდრის გასვენების გზა ამით სულ მეკეტებოდა, და მაინც, რომ არ ეფიქრა, მე ის გულუბრყვილო ფერეიდნელი რეპატრიანტი ვარ, რომელიც ჩვენს ქვეყანაში არც დაბადებულა, არც გაზრდილა და არც დაბერებულა, — ცოტა მკვახედ მივუგე, უთქვენოდ თეატრი კი არა, მღვდელიც არ ინიშნება სულ მიყრუებულ ეკლესიაში-მეთქი...

კარს აბა რას ვერჩოდი, ამიტომაც უხმაუროდ გამოვიხედე და... ამასობაში ეს ჩემი (და არა ჩემი მკვდრის) დამმარხავი პროფესორიც შემომეყარა: მარმარილოს კიბეზე ვორონცოვ-დაშკოვის დარბაისლური ნაბიჯებით ამოდიოდა და ოდესღაც შევატყვე, წინათ რომ იტყოდნენ 14 მაურად და ახლა რომ ამბობენ, 70 კაპიკად ღირებული მშვენიერი სადილი მიეტანა მახლობლად მდებარე დახურულ, „წითელ“ სასადილოში და მშვენიერ გუნებაზეც იყო; ჩემს საყვედურზე, თქვენისთანა დიდმა ლიტერატორმა, ძველი ბერძნული და ლათინური ენების მცოდნემ, ჩემისთანა პატარა ლიტერატორს ასე ერთი ხელის დაკვრით, თითქოს ბზიკს კლაედეს, კალამი რატომ უნდა გააგდებინოს ხელიდან-მეთქი, — მიპასუხა, აბა როგორც შეიძლება სცენიდან გაკიცხვით წარმოითქვას, აი თუნდაც ასეთი ფრაზა: „ჩვენდენი დიპლომი არავის არა აქვს მსოფლიოშიო...“

ჰაი, დედასა!

თავად მას დიპლომი მართლაც დამსახურებულად უდევს თავშიც და ჯიბეშიც... ჰოდა, მით უარესი, — შენ რომ ნამდვილი პროფესორი ხარ, არც ყოველდღიურ 70 კაპიკზე და არც დიდ ოქროულზე უნდა გაყიდო შენი მოქალაქეობრივი სინდისი, და თუ ასეთ, სხვათა ბედის გადამწყვეტ თანამდებობაზე დადგები, — ლომობას ვინ მოგთხოვს, მაგრამ არც სულ ტახიკარდიით შეპყრობილ ბაჭიას უნდა ემსგავსო, რომ ბელიკოვის „Как бы чего не вышло“-ს აჩრდილივით თან დაგდევდეს და მოზომილი ხორცის ნაჭრის დაკარგვის შიში კოშმარულ სიზმრებს გგვრიდეს!

რასაკვირველია, ასეთი ბელიკოვების წყალობითაც თეატრმა ჩვენში რა ხანია დაკარგა უმაღლესი „ინსტანციობა“, ის აღარც ტრიბუნაა, აღარც კათედრაა და არც უნივერსიტეტი...

ანდა რა კათედრაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ჩემი თაობისთვის არცთუ ისე დიდი ხნის წინათ — ამა თუ იმ პიესის დადგმა-არდადგმის საკითხს ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე იხილავდნენ. მახსოვს, რა ყვითელი ციებ-ცხელებით შეპყრობილვით ეხეთქებოდა აქეთ-იქით გენო ქელბაქიანი, რომლის ერთი „საქარხნო“ პიესა დაიწუნა მრეწველობის დარგის მდივანმა თოფურიძემ მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ავტორს ადგილკომის თავმჯდომარის გამოყვანა დავიწყებოდა (ადიულტერი — ქმარი, ცოლი, საყვარელი — იმ დროს პიესებში საწარმოო სამკუთხედმა შეცვალა: დირექტორი, პარტკომის მდივანი, ფაბკომ-ქარხკომის თავმჯდომარე, და ყველა ამათ რაღაც სიყვარულობიაზე არც უნდა ეფიქრათ და არც უნდა ელაპარაკათ, — მხოლოდ გეგმებზე! მოგეცათ ლხენა, სცენაზე, „საწარმოებში“ გეგმები იოლად სრულდებოდა, საწარმოებში კი...).

საბედნიეროდ, ეს ანეგდოტური წამოწყება დიდხანს არ აბოგინა ვალერიან ბაქრაძემ, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბუნებისაგან მომადლებული ინტუიციის წყალობით, — რა ჩემი საქმეა პიესების კითხვა, ან საამისოდ დრო სადა მაქვს, ანდა, დროც რომ მქონდეს, მე პიესას რა უნდა გავუგოო...

ნათელი დაადგეს მის ხსოვნას, სხვა, მისი რანგის კოლეგები განა ასე მსჯელობდნენ, — რაკი ერთხელვე ძალაუფლება ჩაიბარეს, ეშვიც აღარ ეპარებოდათ, რომ მათ ყველაზე უკეთესი თვალთახედვა აქვთ, რომ მათ ყველაზე უკეთესი ყურთასმენა აქვთ, რომ მათ ყველაზე უფრო დახვეწილი გემოვნება აქვთ, რომ ყველაფერი, ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი იციან და არასოდეს არაფერში, ა რ ა ფ ე რ შ ი არ შეცდებიან, მეიხვეობიდან ბალანჩინის ბალეტამდე!

1955 წელს აკაკი დვალიშვილმა რუსთაველის თეატრში ერთი ადამიანური პიესა — მ. ჯაფარიძის „ჩვენებურები“ — ფსიქოლოგიური სიმართლის ამსახველი ფერებით დადგა და, მასაც და დრამატურგსაც რა ცოდვა არ შესწამეს!

ცენტრალური კომიტეტის იმდროინდელმა მდივანმა (იდე-

ოლოგიის დარგში) ბარემ ხუთჯერაც დაადგა მას ცერბერის თვალი, — გაეშვა-არ გაეშვა; გაეშვა და... ვაითუ ამით საბჭოთა წყობილებას საძირკველი შერყეოდა, მაშინ?!—აკი საამისო გაფრთხილება-სიგნალები მის ყურს უხვად მოესმოდა თეატრის ფოიეში, ანტრაქტების დროს მოფუსფუსე სახეაწითლებული ფადეი ბულგარინებისაგან; ერთი მისი ყოფილი წინამორბედი, იმჟამად თეატრალური ინსტიტუტის რექტორი, ავტორიტეტულად იმასაც კი ამტკიცებდა, ჩემი მდივნობის დროს (სწორედ იმ დროის ერთი სოფლის ცხოვრებას ასახავდა ეს უკვე ჯვარზე ჩამოცმული დრამა!) ბევრად უკეთესი კოლმეურნეობები გვქონდაო.

„ყვარყვარეც", გაშვებამდე, რამდენჯერმე შეამოწმეს თვითდაზღვევის შეუდარებელი ოსტატის ბელიკოვის შავი სათვალეებით შეიარაღებულებმა, სულ აგერ ახლა კი ილია ჭავჭავაძის სამი ნაწარმოებისაგან შემდგარი სპექტაკლი ერთ დიდ, გავლენიან პირს რომ არ ეხსნა, — თითქმის განწირული იყო პატარებისგან...

მერედა, მოჰყვა კი რომელიმე ამ სპექტაკლს რაიმე ექსცესი მაყურებლის მხრივ? ვინმემ თუნდაც ერთხელ მაინც, ყრუ ტაში კი შემოჰკრა მოხევის შემოსვლისას ან გასვლისას? აკი ყველაზე მეტად ბელიკოვებს ამისა ეშინოდათ, ვაითუ... ვაითუ...

ფიქრი კი „ვაითუზე" სულ ზედმეტია, თითქმის აღარავის აღარ აინტერესებს, რას იტყვიან სცენიდან, თანაც ისიც იციან, რომ საგულისხმოს ამ „კათედრიდან" ბევრს არაფერს იტყვიან, ამიტომ განა ის არა სჯობს, თეატრის დარბაზშიც კი, იმაზე იფიქროს, ხვალ რა იშოვოს, რა დაითრიოს, რა მოიპაროს, ანდა თავად მას არაფერი მოჰპარონ: ვინ მოატყუოს, არადა, ფრთხილად იყოს, რომ თვითონ ის არ მოაღორონ?!

დიახ, თეატრმა დაკარგა არათუ იდეური ზემოქმედების ძალა, — მხატვრული ზემოქმედების ძალაც! იდეური ზემოქმედება კი შესაძლებელია მხოლოდ მხატვრული ზემოქმედების გზით! ახლა კი... ზიხარ შენთვის ტომარასავით საავარძელში და არავითარ ემოციას, არვითარ გრძნობებს არ აღვიძებს შენს გულში სცენიდან მონაბერი ქარი, აკი ის ნამდვილი ცხოვრე-

ბისეული როდია, — ხელოვნური, ვენტილატორით გამოწვეული ქარიშხალია ჭიქა წყალში.

საქმე ის კი არ არის, რომ მე პირადად ყველაფერი კლასიკური მხიბლავს—მუსიკაც და არქიტექტურაც, მხატვრობაც და ტრადიციული თეატრიც, და რომ ისინი არასოდეს არ დაძველდებიან, ყოველივე დღევანდელი მოდური დროთა განმავლობაში გაქრება, კლასიკური კი დარჩება...

საქმე საერთოდ ის არის, რომ ყოველგვარი სანახაობა, ფეხბურთიც კი და საცირკო წარმოდგენაც, თუ იგი ემოციურ სამოსში არ არის გახვეული, მაყურებლის გულს ვერ დაიპყრობს და ვერ მოინადირებს. მით უმეტეს, თეატრი, ადამიანის სულიერი სამყაროს ეს ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენთაგანი, უგანცდებოდ დიდი არაფერია. თუ სხვით არა, თეატრი ამით მაინც ხომ უნდა განსხვავდებოდეს საჯარო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზისაგან!

მით უფრო ახლა გვჭირდება ჩვენ ეს, როცა ადამიანის ბუნება გაველურების გზით მიიმართება, როცა ცრემლი აღარც თავად გვდის და აღარც სხვისი ცრემლი მოქმედებს ჩვენზე...

ინტელექტუალური თეატრიო...

სისულელეა!

ნამდვილი ხელოვნება, ნამდვილი თეატრი არასოდეს არ იყო მოკლებული აზრს, გონებრივ საწყისს, ეგრეთ წოდებულ ინტელექტუალობას, ოღონდ მაშინ ახლა უკვე ამ მოარულ სიტყვას არ ხმარობდნენ, ეს თავისთავად იგულისხმებოდა...

როგორ, იბსენი, ჰაუპტმანი, ჩეხოვი, გორკი, რომელთა პიესები სულს (და გონებასაც) უფორიაქებდა იმდროინდელ საზოგადოებას, — უინტელექტონი იყვნენ? რევოლუციამდე მცირე თეატრს მოსკოვის მეორე უნივერსიტეტს ეძახდნენ და... ჩვენ შევეჩვიეთ ყველაფერი ძველის გაქიაქებას, მაგრამ ამას მაინც ნუ ვიტყვით, რომ წინათ უნივერსიტეტებში მხოლოდ რიკ-ტაფელას თამაშობდნენ.

ჩვენი ახლანდელი, აღარც თუ ისე ახალგაზრდა რეჟისურა (ახალგაზრდა ხარ 30 წლამდე!) ტყავში ძვრება და რა ხერხებს არ მიმართავს, რომ ინტელექტუალობის სამოსელში მოგეევლინოს, ანდა, უფრო უკეთ, თავი მოგვაჩვენოს ასეთად...

ბევრია კი მათში, ასე თუ ისე, შესამჩნევი ინტელექტით მი-
რონცხებული?

იყო დრო, როცა ფორმალიზმთან ბრძოლის საბაბით, ფორმა-
ლისტობას აბრალებდნენ სრულიად უვიც „ხელოვანთ“, მაშინ,
როცა, თუ გნებავთ იცოდეთ, ნამდვილი ფორმალისტი მხოლოდ
დიდი კულტურის ადამიანისაგან შეიძლება წარმოდგეს.

ჩვენი ამჟამინდელი „ინტელექტუალი“ — რეჟისორები
არსებითად ანტითეატრის მებაირახტრედ გამოდიან, უფრო მე-
ტიც — ნამდვილი თეატრის მესაფლავედ, ოღონდ იმ განსხვა-
ვებით, რომ საფლავის სანიტარული ნორმა ორი მეტრია, ისი-
ნი კი თეატრს საფლავს მხოლოდ ერთ მეტრ სიღრმეზე უჭრი-
ან...

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ რუსთაველის თეატრში და-
იდგა ა. კ. ტოლსტოის დიდად ცნობილი ტრაგედია „იოანე
მრისხანეს სიკვდილი...“ წარმატება მას, მით უმეტეს ისეთი,
როგორიც ტრაგედიას უნდა ახლდეს, სულაც არ ჰქონია... ან
საიდან ექნებოდა, როცა ტრაგედიის მთავარი გმირი, მრისხანე
მეფე იოანე, ტრაგიკულ სიტუაციაში, ტრაგიკული მონოლოგის
წარმოთქმის უმალვე, სცენის ადგილმდებარეობის შესაცვლე-
ლად, სცენის მუშებთან ერთად, მაყურებელთა თვალწინ, მა-
გიდებსა და სკამ-ლოგინს აქეთ-იქით თვითონვე ეზიდებოდა,
და მერე, ამ დაწყობა-დალაგების შემდეგ, კვლავ იწყებდა ტრა-
გიკულ აბობოქრებას, რაც, ბუნებრივია, სიცილს უფრო იწვევ-
და, ვიდრე ჩვენს თანაგრძნობას მისი მუხთალი სახელმწიფო-
ებრივი ბედისადმი...

და ამის დამდგმელს სურდა დავერწმუნებინე მე, მაყურე-
ბელი, რომ ის ნოვატორი რეჟისორია, და რომ ეს დაბალი რან-
გის მაიმუნობა კი არა, — მაღალი რანგის ინტელექტუალობაა!

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, სცენის, ე. ი. (უნდა ვი-
გულისხმოთ!) ოთახის ჭერზე მიკიდებ რკინის „კრაოტს“, —
მე რომ არაინტელექტუალი მაყურებელი ვარ, მოწიწებით გე-
კითხები, — რატომ, რისთვის? რა გამართლება და რა დანიშ-
ნულება აქვს? აკი „ვარიაციები“, მგონი, არ ასახავს გერმანელ
შილდბიურგერელ და ჩვენებურ მოხისელთა ცხოვრებას, ძრო-
ხა დასაკლავად სახლის სახურავზე რომ აიყვანეს, დანა იქა გვა-
ქვსო?! ან, ეგებ, ეს ისეთი ღრმა ინტელექტულობაა, რომ მე,

ბეჩავი, გაგრია მაყურებელი ამის აღსაქმელად ჯერ კიდევ არ მოვმწიფებულვარ და, ცხადია, არც უნდა მიკვირდეს, თუკი მას ვერ ჩავწვდები, ა?!

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, მოქმედ პირთ, რაც არ არის ნაგულისხმევი პიესის, მოქმედების მიხედვით, — აკი ის არ ხდება არც მინდორზე და არც პლიაჟზე, — იატაკზე გაშოტილთ ალაპარაკებ, მწოლიარეთ უდგამ წინ ღვინოსა და ღვინის ჭიქებს, — რატომ, რისთვის? ადამიანს მილიონი წლები დასჭირდა მაიმუნის წახრილი მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო და ვერტიკალური პოზა მიეღო, ახლა კი მას ისევ მაიმუნობისკენ რომ აბრუნებ, — ეგებ გვითხრათ, ბატონო, რატომ, რისთვის, და რა ინტელექტუალობაა ამაში ჩაქსოვილი, რომლის ამოსახსნელად ჩემი ღატაკი ინტელექტი, როგორც ვრწმუნდები, საკმარისი არ არის?

როცა შენ აუქმებ ფარდას და მე, მაყურებელს, ფარდის ახდის მომლოდინეს, მართმევ იმ საიდუმლოს შეგრძნების სასიხარულო ინტერესს, თუ რა იმალება მის იქით, და რა აღმოჩენა და რისი ხილვა მომელის მის ახდისას, — რა გამართლება აქვს, ჩემო დიდო ბატონო, ამ ინტელექტუალობას, რომლითაც შენ თავი ასე დიდად მოგაქვს ჩემისთანა გამოყრუებულის წინაშე?! ცირკი რომ ცირკია, ფარდას არენაზე ცირკიც კი იყენებს: უნიფორმისტი გასწი-გამოსწევს მას და ჩემდა სასიხარულოდ და ჩემდა მოულოდნელად მეცხადებიან ორფეხი თუ ოთხფეხა არტისტები...

აბა, როგორ გავკადნიერდე და შევეპასუხო, უთვალავი მაყურებლის სახელით, ამ ჩვენს დიდ ინტელექტუალებს, თორემ... ჩვენი უბადრუკი აზრით, მოულოდნელობა, ანაზდეულობა ერთი მთავარი პირობათაგანია ყოველგვარი სანახაობისა, მათ შორის სცენური ხელოვნებისაც.

როცა შენ, ნოვატორი-რეჟისორი, სრულებით უგულებელყოფ გრიმს, რითაც, ჯერ ერთი, ისეც არტისტული საქმიანობისადმი პროფესიულ დამოკიდებულებას გადაჩვეულ მსახიობს კიდევ უფრო აზარმაცებ, მეორეც, — დილით ბაზარში რომ ვნახე თავისი სახით, უგრიმოდ, — სცენის ეს ოსტატი მარნეულელ ყიზის პამიდორსა და ტარხუნას რომ ევაჭრებო-

და, — საღამოთი, თეატრში მოსულმა, იმავე „გრიმში“ მყოფი, როგორღა ვიწამო ინგლისის მეფედ?!

როცა შენ, ინტელექტუალი-რეჟისორი, პირველ ქართულ თეატრში, თითქოს ქართულ სპექტაკლში მოქმედ პირთ ნახევრად ქართულად ალაპარაკებ და ნახევრად რუსულად, და როცა შენ ავტორის სრულიად ბუნებრივ, ნორმალურ ჩანაფიქრს — ჰყავდეს მთლიანი, ერთი ისტორიული პერსონაჟი, შენ კი მას სამად აქუცმაცებ და მაბნევ მე, შენი ინტელექტუალური სპექტაკლებით, ბოლოს და ბოლოს უკვე „გაინტელექტუალებულ“ მაყურებელსაც კი, — რატომ, რისთვის?! თუ ეს ბრეხტის გაუცხოების მეთოდით აიხსნება?! მე რომ თეატრის დიდი მოტრფიალე ვარ, მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მაყურებელი ვარ, და რომლის მსგავსთა მოუსვლელობითაც შენი თეატრი, დოტაციად მთავრობისაგან მილიონიც რომ მიიღო, მაინც ვერ იარსებებს, — არც ვიცი და არც მაინტერესებს არც გაუცხოების არსი და არც სხვა თეატრალური თეორია, მე თეატრში მოვდივარ არა რებუს-კროსვორდების ამოსახსნელად, მე მოვდივარ იმიტომ, რომ ვიხილო მხატვრულ სახეებად ჩამოქნილი ცხოვრება, წინანდელი და ახლანდელი, ოღონდ სიმართლის თვალით დანახული...

და თუ შენ მართლაც ნიჭით სავსე რეჟისორი ხარ, სცენიდან თვალის დამაბრმავებელი პროექტორები კი არ უნდა მომანათო და წამდაუწუმ თავში კი არ უნდა მიკაკუნებდე შესახსენებლად, რომ მე თეატრში ვიმყოფები, სადაც ყველფერი მოგონილია და ყველაფერი ილუზიების ოჩოფეხებზეა შემდგარი, პირიქით, — შენი ნიჭის წყალობით, მე თავი უნდა მაგრძნობინო ცხოვრების შუაგულში, ამ ამბების უშუალო მონაწილედ, რომლებიც ჩემ თვალწინ გადაიშლება...

მე არ ვიცი, რას ქადაგებს თავისი თეორიებით ბრეხტი, ოღონდ ეს კი ვიცი, ხშირად, ძალიან ხშირად სიტყვით ქადაგებენ ერთს, საქმით კი აკეთებენ სხვას, უფრო სწორად, — ინტუიცია მათ, უნებლიეთ, სულ სხვას, უკეთესს აკეთებინებს (პირიქითაც ხდება ხოლმე, ცხადია!)...

გოგოლი მონარქისტი გახლდათ, მაგრამ, რომელიც გნებავთ მისი ნაწარმოები, ძირს უთხრიდა მონარქიას. ბრეხტის „სამგროშიანი ოპერა“ „ბერლინერ ანსამბლის“ თეატრის დადგმით—

ეს იყო წმინდა წყლის რეალისტური სპექტაკლი, რაღაც გაუცხოების ნატამალიც არ იგრძნობოდა მასში; მე ის ამ ათიოდე წლის წინათ ვნახე, ამ თეატრის თბილისში ჩამოსვლისას, და მიუხედავად გერმანული ენის სუსტი ცოდნისა, მეხსიერებაში ისე ჩამებეჭდა, მაშინ მიღებული შთაბეჭდილება დღესაც არ წამშლია. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვი ამავე პიესის რუსთაველის თეატრისეულ დადგმაზე... ჩვენი და მათი მსახიობების შესრულების, თამაშის დონე ისე განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან, როგორც ძველი დროის სასწორი, რომლის ერთ თეფშზე ოყა დევს, მეორეზე კი — გირვანქა... თეატრი კი, არსებითად, იმდენად არა რეჟისორით, — მსახიობით სულდგმულობს და, მეპატიოს ეს თავხედური აზრი, — მგონი, დრამატურგითაც, ა?!

მზისა და მთვარის ქვემოთ მოქცეულ მათს საბრძანებელში რეჟისორის ხსენება არც იყო, მაგრამ იყო თეატრი და იყვნენ სოფოკლე და პლავტი, შექსპირი და მოლიერი, ბომარშე და შერიდანი, ტალმა და კინი, ელეონორა დუზე და სარა ბერნარი, ლადო მესხიშვილი და ვასო აბაშიძე... ნამდვილად კარგ პიესას ნიჭიერი მსახიობები ურეჟისოროდაც შეასხამენ ხორცს და ჩაუდგამენ სულს, სიტყვასაც ააელვარებენ უმუსიკოდაც, ახლა კი, განსაკუთრებით რუსთაველის თეატრისათვის სახელის მომტანი სპექტაკლების, განსაკუთრებით „კავკასიური ცარცის წრის“ წარმატების, სულ ცოტა, 40 პროცენტი მუსიკას უნდა მიეწეროს, მაგრამ ეს ვითომ დიდ ღირსებად უნდა ჩაეთვალოს დრამატულ თეატრს?!

— — —

ტელევიზიაში „თეატრალურ შეხვედრაზე“ საერთაშორისო ასპარეზზე ბოლო დროს ქართული თეატრის წარმატებამ ათქმევინა, ალბათ, ამ შეხვედრის „თამადას“, თავად მსახიობს,— ჩვენ მსოფლიოში ყველაზე უკეთესი მსახიობები გვყავსო.

შენი ერის გულწრფელად მოყვარულ ადამიანს პირდაპირ გული აგერევა ასეთი უკიდეგანო ტრაბახისაგან. რასაკვირველია, ქოსატყუილასავით ასე რომ გააფრინო, საამისოდ, ცოტა არ იყოს, საზღვარგარეთული პრესაც გათამამებს. ის კი გვა-

ქებს და გვაქებს, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა გვქონდეს ანალიზის, საკუთარი თავისადმი მიდგომის უნარი?! უპირველეს ყოვლისა არ უნდა ვივიწყებდეთ, რომ იქაურმა თეატრალურმა კრიტიკოსებმა ჩვენი მსახიობები იხილეს ერთ თუ ორ სპექტაკლში, აბა ერთი ნახონ ჩვენსავით ათობით სპექტაკლში, თანაც წლების მანძილზე, მაშინ ვნახავდით, როგორ შეგვაფასებდნენ.

ესეც არის, სულ არც მაშინ გაგვწირავდნენ... აბა თვითონვე წარმოიდგინეთ, მოზამბიკელებმა რომ ჩამოგვიტანონ „დარისპანის გასაჭირი..." როგორ შეეხვდებოდით და რას დავწერდით?! ცივ წყალს გადავასხამდით და არც ტაშს დავუკრავდით?! ეს კი არა, როცა ჩვენი მომღერალთა გუნდები საზღვარგარეთის დიდ ქვეყნებში გამოდიან, მათ სიურპრიზად მომზადებული აქვთ საგასტროლოდ ჩასული ქვეყნის სულ ერთადერთი ხალხური სიმღერა, რომელსაც, იქაური მაყურებლის მოულოდნელად, კონცერტის დასასრულს ასრულებენ და... დარბაზი ინგრევა ხოლმე ტაშისაგან, თუმცა, არა მგონია, მათ სიმღერას მათზე უკეთ ჩვენ შევასრულებთ, და მაინც... რას იზამ, ეროვნული გრძნობა დიდ ერებსაც ისე აქვთ სისხლში გამჯდარი, როგორც პატარებს. ჩინეთიც კი, ჩვენ რომ კომუნისტური გვეგონა, მილიარდიანი ჩინეთიც კი, საბოლოო ანგარიშით, ისეთივე ნაციონალისტი აღმოჩნდა, როგორადაც ერთმილიონიანი ბასკეთი.

რასაკვირველია, „გარეთ" ეს არ ითქმის, მაგრამ შინ, ჩვენ შორის ამის უთქმელობა, ისეც ყოველმხრივ თვითკმაყოფილებით შეპყრობილ ხალხს მხოლოდ უკან დაგვწევს: ამჟამად საქართველოში რიცხობრივად თეატრი უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე გვყავს ნამდვილად ნიჭიერი მსახიობები, დიდი მსახიობები კი ერთი ხელის თითებზეც არ ჩამოგვითვლება...

და ასეთი მწირიანობის დროს რა ათმაგად გულსაკლავია ეროსი მანჯგალაძის გაუჩინარება!

მე ბევრი სახალხო არტისტის გასვენებას მოვსწრებივარ, ვანო სარაჯიშვილის გასვენებაც კი არცთუ სულ ბუნდოვნად მახსოვს ,მაგრამ ეროსი მანჯგალაძის...

ასე გაასვენა პარიზმა ჟერარ ფილიპი, ასე გაასვენა ლენინგრადმა ნიკოლოზ ჩერკასოვი, ასე გაასვენა თბილისმა...

(მე არ ვწერ, მთელმა თბილისმა–მეთქი... თეატრთან მოზ-

ღვავებულ ხალხში ერთს შაუმიანის მოედნისაკენ გზა ვერ გაეკვლია და ბურდღუნებდა:

— მამაძაღლი, ერთი ვინმე მოკვდა და... ამდენი ამბავი?! კაცი შინ ვერ მისულხარ...

ამის გაგონებისას რომელიღაც თვალცრემლიანმა ახალგაზრდამ მოაკერა კიდეც მას ყურისძირში და მეორისთვისაც ემზადებოდა, რომ არ შემეკავებინა:

— თქვენი ვინმე რომ მომკვდარიყო, ხაჩატრიანი თუ ხაჩმანუკიანი, — ის ხომ ვინმე არ იქნებოდა?..).

ეს გრანდიოზული და ნამდვილად ეროვნული გლოვა ხალხმა გულიდან აღმოხეთქილი ტაშით შეამკო, და ეს მსახიობს, მიცვლილსაც კი, თითქოს შეჰფერის კიდეც, ოღონდ მტკიცედ არ ვიცი, საქართველოზე ადრე ამას ვინ და სად მიმართა, და თუ ეს პირველად ჩვენში მოხდა, თბილისელებმა იგი ბათუმელებისგან გადმოიღეს.

(მინი-ცნობა: საერთოდ, ბათუმი ბევრი კარგი რამის წამომწყებია. მაგალითად, ამ ოციოდე წლის წინათ, იქაური ახალგაზრდები, სწორი ქართულით ლაპარაკის დასანერგავად, ვისაც ჩიქორთული სიტყვა, რუსიციზმები წამოსცდებოდა („ვობშჩემ, ნაგლია, გრუბია, დაჟე" და ასობით ამისთანები!), ერთმანეთს აჯარიმებდნენ, რაც „Известия"-ს თბილისელმა კორესპოდენტმა ზ. ზვიაგინმა ნაციონალიზმად მონათლა და „რაზაბლაჩიტელნი" სტატიაც გამოაცხო; ეს იმ დროს, როცა თვით რუსეთში ტომები გამოდის თუნდაც იმის გასარკვევად, წარმოსათქმელად რომელი სიტყვა უფრო მართებულია ანდა სად უნდა იყოს მახვილი: **желчь** თუ **жёлчь**, **звóнит** თუ **звонúт**, **бытиё** თუ **бытиé**, **Кижú** თუ **Кúжи**...

...დიახ, ასე დიდებულად გაასვენა თბილისმა ეროსი მანჯგალაძე...

რატომ?

სიტყვა მივცეთ ჯერ პოეზიას:

ეიფელის კოშკს შენ გერჩია ჯვარი და გრემი,
უცხოთა „ბრავოს" — აღტაცების ქართული ცრემლი
დიდებისათვის არ წასულხარ არსად სალაშქროდ,
ამერ-იმერში მაინც ქუხდი გაღმა-გამოღმა...

მე-19 საუკუნის დიდმა იტალიელმა ტრაგიკოსმა თომაზო სალვინიმ, რომელმაც ვერ განსჭვრიტა, რომ დადგებოდა დრო, როცა რუსთაველის თეატრის სცენაზე ინტელექტუალური რეჟისურა მიკროფონს დიდ პატივს დასდებდა, თქვა: „Актер — это голос".

მსახიობი — ეს არის დიქციაც, — დავძენდი მე, — რაკი მხედველობაში მყავს ქართველი მსახიობი, თორემ, მაგალითად, იტალიელი თუ რუსი მსახიობისათვის ეს უბრალო, ასე ვთქვათ, საყოველდღეო, პირველი მოთხოვნილების ჭეშმარიტებაა, მათს ქვეყნებში არათუ დრამატულ თეატრში, ოპერაშიც კი უნაკლო ფრაზირებაზე, ო, რა დიდად ამახვილებენ ყურადღებას!

საიუბილეო-საზეიმო დღეებში ერთი იუმორისტი პოეტი სულაც არ იყო ხუმრობის გუნებაზე:

შოთა რუსთველის თეატრო,
ქართული სიტყვის დიდო ცავ...

ქართული სიტყვის რა დიდი ცაც არის, — ამ შემთხვევაში დიქციის მხრივ! — თუნდაც რუსთაველისა და სხვა ჩვენი თეატრები, ამ საყოველთაო უბედურებაზე მე უკვე ვწერდი და მის გამეორებას არც ახლა დავიზარებდი, რომ ვიცოდე, ვინმე კეთილი გამკითხავი გამოჩნდება და ამ წაქცეულ საქმეს თუ ვერ წამოაყენებს, ყოველ შემთხვევაში შეეცდება მაინც, რომ წამოაყენოს.

ეროსი მანჯგალაძე კი თანამედროვე ქართველ მსახიობთა შორის (დაე, ცოცხლები ნუ მიწყენენ!) პირველი იყო, ვინც შემკობილი იყო იშვიათი ხმით, იშვიათი დიქციით და იშვიათი სცენური მომხიბლაობით.

მე, როგორც, ასე თუ ისე, მაინც გაგებულ მაყურებელს, რომელსაც თეატრმცოდნეობის პრეტენზიები არ გააჩნია, მანჯგალაძის ოიდიპოსს უფრო მაღლა ვაყენებ, ვიდრე დანარჩენი სამი ტიტანისას (ხორავა, ზაქარიაძე, ვასაძე)...

და ასეთ ბაჯაღლო ტალანტს, მართლაც სტიქიურ, და არა ორგანიზებული წესით მიღწეულ ხალხისათვის სათაყვანოს, არ გავუფრთხილდით და, უფრო მეტიც, გული დავუჭიანეთ...

და როცა ასეთი მარგალიტი ხელიდან გამოგვეცლება, მხო-

ლოდ მაშინ შემოვირტყამთ ხოლმე თავში ხელებს და, ბევრიც მშობელ დედასავით ავქვითინდებით, ზოგიც — რიჩარდივით (იმ შავ დღეებში „ერთი“ წერდა: „მე გეთხოვებით, ბატონო ეროსი, დიდი გულისტკივილით, რომ ბოლომდე ვერ გაგიზიარეთ ჩემი სიყვარული, და დიდი სინანულით, რომ ვეღარასოდეს ვიმუშავებ დიდებულ მსახიობთან — ეროსი მანჯგალაძესთან“).

ზოგიერთი ადამიანის და მით უმეტეს მსახიობის გული ერთობ მგრძნობიარეა, სულ უმნიშვნელო ჩხვლეტასაც კი ხანჯლის დარტყმასავით განიცდის.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თუკი შეიძლებოდა, როგორც რეჟისორს, ნამდვილად კი თეატრალურ ადმინისტრატორს, საბჭოთა ქვეყანაში არტისტისათვის დაწესებული უმაღლესი წოდება მიეღო, რაც ყველასათვის მოულოდნელი და განსაცვიფრებელი იყო („რა არ იკვაჭება ამქვეყნად!“), თუკი შეიძლებოდა ილიუზიონისტ კიოსთვის, რომელსაც საქართველოსთან, გარდა გასტროლებისა, არაფერი არ აკავშირებდა, არც დაბადება და არც მოღვაწეობა, — ჩვენი რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება მიგვერთმია (მივაქცევ თქვენს ყურადღებას, რომ, ამავე დროს, მე სადავოდ და სათუოდ არ მიმაჩნია ჩვენი მადლობის გამოხატულება მოსკოველი კლავდიუს პტიცასა და ლუდმილა ერმაკოვასადმი, — მათ მართლაც მიუძღვით ღვაწლი ქართული მუსიკის წინაშე), რატომ არ შეიძლებოდა გაგვეხარებინა ეროსი მანჯგალაძე, რომელსაც საამისოდ ყველაფერი უწყობდა ხელს — ცინცხალი ნიჭი, შემოქმედებითი სტაჟი, ხნოვანება (ხორავას და ვასაძეს თიოქმის ბალერინებისათვის დაწესებულ ასაკში მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტობა!)...

ეს კი სულ სხვა საკითხია, რომ ოფიციალური გამორჩეულობისათვის ნამდვილად ნიჭიერი, მართლაც შემოქმედი კაცი — რა დარგშიც უნდა იღვწოდეს! — გულს არც უნდა იტეხდეს; დასავლეთში წოდებებით არტისტების დახარისხება არ არსებობს, მაგრამ იქ მაინც ყველამ იცოდა, და იცის, ვინ იყო ჩაპლინი, ანა მანიანი, ჟან გაბენი და ვინ არის ლოურენს ოლივიე, სოფი ლორენი, გრეგორი პეკი... პიტერ ბრუკს არაფერი არ ემძღვარება გვარის წინ, მაგრამ...

(კონტრასტისათვის, ამონაწერი გაზეთ „კომუნისტიდან“:

„სპექტაკლი დადგა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა და დირექტორმა, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, საქართველოს კომკავშირის პრემიისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის „ხუთწლედის მატიანის“ ლაურეატმა გოგი ქავთარაძემ“.

გავწიოთ ქალალდის ეკონომიაო, მას კი, საერთოდ, რაში ვხარჯავთ?! — ვიდრე დამდგმელის გვარამდე მიაღწევდე, 29 (ოცდაცხრა!) სიტყვა უნდა ჩაიკითხო! სხვას რომ თავი დავანებოთ, ეს ნიჭიერი რეჟისორი საქვეყნოდ დირექტორადაც, ე. ი. არსებითად სამეურნეო მუშაკადაც რომ არ მოვიხსენიოთ, ამით მის რეჟისორულ ნიჭს რამე დააკლდება?!).

სხვათა შორის, არც ჩვენი ლადო მესხიშვილი იყო მთავრობის განკარგულებით „დამსახურებულიც“ კი, მაგრამ მის სახალხოობაში თავად ხალხს ეჭვი არ ეპარებოდა...

(კურიოზული მინი-ცნობა: 1930 წელს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით ვლადიმერ (ლადო) სარდიონის ძე ალექსი-მესხიშვილს მიენიჭა რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება...

კი, მაგრამ ჩვენი „უკაზი“ მენშევიკების დროისათვის შეიძლებოდა ყოფილიყო უფლებამოსილი?! აკი მესხიშვილი 1920 წელს გარდაიცვალა! ამას უფრო ის ხომ არ აჯობებდა, რომ მისი საფლავისათვის მიგვეხედა, რომელიც, ფიროსმანისა არ იყოს, როგორღაც მიიკარგა...

ისე, კაცმა რომ თქვას, უნათესავებო, მიუსაფარი ფიროსმანის — კიდევ ჰო, მაგრამ... ლადო მესხიშვილის?! ლადოს შვილებმა მამის სიკვდილის შემდეგ კიდევ კარგა ხანს იცოცხლეს, შვილიშვილები კი სულ ახლახან მიიცვალნენ!..

აი ესეც ჩვენში ვითომ არსებული მიცვალებულის კულტი!).

დიახ, ნიჭიერ ადამიანებს ბუნება ძუნწად იძლევა, დიდად ნიჭიერთ კი — მეტისმეტად ძუნწად. მათ, რასაკვირველია, უნდა გავუფრთხილდეთ, კრიზისულ სიტუაციაში კიდევაც მოვე-

ფეროთ და მივუალერსოთ, ოღონდ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, რომ თავხედი ნიჭიერი თავზე დავისვათ და „შენ გენაცვალე, შენი ჭირიმეს“ შეძახილებით მუდამ თავზე დასმული ვატაროთ, მონად ვექცეთ და ერთხელაც არ ვაგრძნობინოთ, რომ უტიფრობა და თავგასულობა ნიჭიერს მით უფრო არ ამშვენებენ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ესა თუ ის რეჟისორი შეიძლება მართლაც ნიჭიერი იყოს, მაგრამ ეს კიდევ იმას როდი ნიშნავს, რომ ყველა ნიჭიერი რეჟისორი გამოდგება მთავარ რეჟისორად და რომ ის თეატრს ღირსეულად წარუძღვება...

ვასილ ყუშიტაშვილი მარჯანიშვილის თეატრს მხოლოდ რამდენიმე თვე ედგა სათავეში, ის კი დიდი რეჟისორი იყო, და თუ დღეს ასეთად არ იხსენიება, — მარჯანიშვილისა და ახმეტელის შემდეგ არათუ მესამედ, საერთოდაც თითქმის არ იხსენიება, ეს იმით აიხსნება, რომ, ზოგიერთ სხვა გარემოებას რომ თავი დავანებოთ, მას, საწყალს, გულშემატკივარი ნათესავები არ დარჩენია, რომლებიც, მაგალითისთვის მოგახსენებთ, თუნდაც ნებას არ მისცემდნენ პატარა რეჟისორს და საკუთარი კეთილდღეობის მრავალწლიანი გეგმების ყოველთვის წარმატებით დიდ შემსრულებელს, — თავის დროზე, ერთ-ერთი ჩვენი საზოგადოების თავმჯდომარეობისას, მისი (ყუშიტაშვილის) დაბადების მე-80 წლისთავი თუნდაც სულ მცირე შეკრებილობით მაინც აღენიშნა. და ეს მხოლოდ იმიტომ მოიმოქმედა, ურთიერთობაში პირდაპირობით ცნობილი, „ენაგესლიანი“ ყუშიტაშვილი არასოდეს მისი — არც კაცის და არც შემოქმედის— მაქებარი არ ყოფილა...

— — —

წარმოშობით ირლანდიელმა, მაგრამ საყოველთაოდ დიდ ინგლისელ დრამატურგად აღიარებულმა ბერნარდ შოუმ ერთხელ თქვა:

«Пьесы создают театр, а не театр пьесы».

ჩვენი დროისა და ჩვენი პატარა ქვეყნის წვრილფეხა და მსხვილფეხად მიჩნეული რეჟისორები, როგორც ჩანს, ამ აზრს არ იზიარებენ, — ზოგიც, ალბათ, უვიცობის, ყოველ შემთხ-

ვევაში დრამატურგიის სფეროში უვიცობის გამო, ზოგიც — ფუღის იოლი შოვნის იმ წყურვილით, რომელმაც ჩვენი ცხოვრების ყველა კუნჭულში შეაღწია და მას წინათ ხელოვნების წმიდა ტაძრად მიჩნეულმა თეატრმაც ვერ გადაუკეტა კარი.

თეატრისა და დრამატურგიის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ერთი შემთხვევაც არ მოიპოვება, — მსოფლიოს რომელიმე თეატრში დაწერილიყო თუნდაც ერთი პიესა, რასაკვირველია, მხატვრულ ღირსებათა მქონე ისეთი პიესა, რომელსაც დროის თუნდაც სულ მცირე მონაკვეთისათვის გაეძლო.

ვერც ჩვენი თეატრალური ინსტიტუტის რექტორი და პრორექტორი, ორივენი პროფესორ-დოქტორები და ვერც მათ მიერ შებრაწულ-გამოცხობილი თეატრმცოდნეები დამისახელებენ, არათუ საქართველოში, — მის გარეთაც ერთ რეჟისორსაც კი, რომელსაც ოდესმე, თუნდაც ერთი ხეირიანი პიესა დაეწეროს (ბერტოლდ ბრეხტი თავდაპირველადვე ლიტერატორი და დრამატურგი გახლდათ, და მხოლოდ ამის შემდეგ ჩაუდგა სათავეში საკუთარ თეატრს, რაღა სხვებმა დაასახიჩრონ ჩემი პიესები, მე თავად დავდგამ მათ ისე, როგორც დამიწერიაო; ესეევე ითქმის ედუარდო დე ფილიპოზეც).

ისეთმა ვეებერთელა კულტურის მქონემ, როგორიც იყო ვლადიმერ ნემიროვიჩ-დანჩენკო, „მხატის" ერთ-ერთმა დამაარსებელმა და დიდმა რეჟისორმაც ფეხი მოიტეხა დრამატურგიის სარბიელზე. მისი ყველაზე საუკეთესო პიესაც კი — „Цена жизни" — რუსული თეატრის დღევანდელ ისტორიკოსებსაც ადარ ახსოვთ და თითქმის აღარც ახსენებენ, ამ ბუმბერაზ თეატრალურ მოღვაწეს ჩრდილი რომ არ მიაყენონ...

რაკი ჩრდილზე ჩამოვარდა საუბარი, ბარემ იმასაც ვიტყვი, რომ ამ რამდენიმე წლის წინათ წიგნის ბაზარზე გამოჩნდა „მარჯანიშვილი როგორც დრამატურგი..."

ჩემს აზრს ამ ნაშრომზე არ გამოვთქვამ, — მე მგონია, ბევრად უფრო დამარწმუნებელი იქნებოდა აზრი მასზე ერთი ჩვენი დიდად პატივსაცემი, მართლაც ღვაწლმოსილი მეცნიერისა, რომელიც პირადად იცნობდა მარჯანიშვილს და მის მაღმერთებლად დარჩა დღემდე: „გამოსცე წიგნი „მარჯანიშვილი როგორც დრამატურგი", ეს იგივეა, გამოსცე... „მარჯანიშვილი როგორც

დურგალი", ანდა, „მარჯანიშვილი როგორც კალატოზი..." სწორედ ამას ჰქვია დათვური სამსახური..."

(სული მისწრებს, რომ „ამის" გვარი დავასახელო, როგორც სარწმუნო ავტორიტეტისა, მაგრამ რაკი მან ეს თავისი მსჯავრი ჩურჩულით გამანდო, ვაითუ, ეწყინოს და სიბერეში თუნდაც ერთი წამით გული ვატკინო, მან ხომ მთელი თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი სიცოცხლე „არავის ვაწყენინოს" დევიზით განვლო და, ღმერთმა ხელი მოუმართოს, გზა კიდევ ელის წინ!).

სიკვდილამდე ორიოდე წლით ადრე რუბენ სიმონოვს, ვახტანგოვის სახელობის მშვენიერი თეატრის ხელმძღვანელსაც წასძლია სულმა და დაწერა პიესა „Жизнь..." წაიკითხა კიდეც დასში და, რა გასაკვირია, ზარ-ზეიმით მიიღეს — თეატრი ხომ ყოველთვის იყო და, ახლა მით უმეტეს არის პირმოთნეობის, ფარისეველობის, შენიღბული ვერაგობის ბუნაგთა ბუნაგი... მაგრამ აი, დაიწყო რეპეტიციები და ეს ჩვენი სამართლიანად ქებული რეჟისორი და უსამართლოდ ნაქები დრამატურგი მსწრაფლ დარწმუნდა, რომ მისი ეს შედეგრად მიჩნეული ნაწარმოები სხვა არაფერია, თუ არა დამწყები (დ ა მ წ ყ ე ბ ი!) დილეტანტის კალმის ნათხუპნი და... როგორც ჭკვიანმა სომეხმა თავი ბოლომდე არ შეირცხვინა და რა ბრძანებითაც დაიწყო რეპეტიციები, იმავე ბრძანებით შეწყვიტა ისინი...

დიახ, რეჟისორების გადრამატურგება თვალუწვდენ რუსეთში, სადაც ოთხასამდე დრამატული თეატრია, ცხადია, ხდება ხოლმე, მაგრამ ხდება ეს იქ შედარებით მაინც იშვიათად, ჩვენში კი, საქართველოში, რამდენიც თეატრია, თითქმის იმდენივე რეჟისორი-დრამატურგი მოგვეპოვება!

ეს სენი ისე მოედო ჩვენს თეატრალურ სამყაროს, რომ იმის გაგებაც კი აღარ გვიკვირს, — ამა და ამ რუსული თეატრის მთავარი რეჟისორი წერს თურმე, ცხადია, თავის თეატრისთვის პიესასო.

აქ ორმაგი უბედურება ის არის, რომ ეს მთავარი რეჟისორი მწყარალად არის გრიბოედოვისა და ოსტროვსკის არათუ სამწერლო, — სალაპარაკო ენასთანაც კი და, საერთოდ, პირწმინდად ქართველი რეჟისორის ამ თეატრში მიყვანა, რაც გასაკვირი არც უნდა იყოს, აღინიშნა თეატრის ისეთი მკვეთრი დაქვეი-

თებით, რომ ახლა უკვე ბევრმა ისიც კი არ იცის, რომ თბილისის ამის და ამის სახელობის, ოდესღაც ცნობილი თეატრი კიდევ არსებობს თუ არა, თუმცა, საგაზეთო რეცენზიების მიხედვით, არათუ არსებობს, — შემოქმედებით ზენიტშია...

ისე კი, რეცენზიების მიხედვით, აბა რომელი თეატრი არ არის მხრეგაშლილ საქართველოში მხებჩამოყრილი?!

ერთმა (შ. მაჭავარიანმა) ოციანი და ოცდაათიანი წლების ქართული თეატრის ისტორია იმდროინდელ პრესაში გამოქვეყნებული, სწორედ რეცენზიების მიხედვით შეადგინა. ის რეცენზიები, ასე თუ ისე, შედარებით მაინც, ობიექტური იყო, მერე კი, ორმოცდაათიანი წლებიდან მოყოლებული დღევანდლამდე და, ეს საეჭვო არც უნდა იყოს, რომ მომავალშიც...

მოსკოვის ერთ-ერთ დიდ თეატრში ერთი ქართული პიესა დაიდგა. დადგა დიდად ცნობილმა ქართველმა რეჟისორმა ქარაქუცა ქაქუცაძემ... ბოდიში, ქაქუცა ქარაქუცაძემ.

მე გახლდით პრემიერაზე და, როგორც ქართველი კაცი სირცხვილით ვიწვოდი, თანაც გულის რომელიღაც კუნჭულში თითქოს მიხაროდა კიდეც, რომ ბუნებამ ერემია წარბას გარეგნობა არ მომმადლა, რომ რუს საზოგადოებას ერთბაშად ვეცნე ქართველად...

დიახ, სცენაზე იატაკი არ ჩანგრეულა, თორემ ამაზე უარეს ჩავარდნას ძნელად თუ წარმოიდგენდა თეატრის რომელიმე მოყვარული, რაც, ნაწილობრივ, იმის ბრალიც იყო, რომ თვით პიესაც არ შეეფერებოდა ამ თეატრის მხატვრულ ტრადიციებს, — მაგრამ ქართულ გაზეთებში ამ უხეირო სპექტაკლის ირგვლივ ისეთი ბუკი და ნალარა დასცხეს, თითქოს მარჯანიშვილი და ახმეტელი ერთდროულად მკვდრეთით აღდგნენო და... პირველი „ურიელ აკოსტას“ ახლებურად დადგმას შეუდგა, მეორე კი — „ლამარასი“...

ამაზე უფრო ადრე კი, მოსკოვში მუდმივად მცხოვრები, ერთი ჩვენებური მეწვრილმანე ჟურნალისტი, მოსკოვის სხვა თეატრში და სხვა ქართული პრემიერის „არაჩვეულებრივ წარმატებას“ იმითაც გვიტკიცებდა, რომ... სპექტაკლის დამთავრების შემდეგ ქუჩაში გამოსული აღფრთოვანებული მაყურებლები ტკბილ ხმაზე მღეროდნენ თურმე სპექტაკლიდან გამოყოლილ ქართულ სიმღერას...

გჯერათ კი ამის, ჩემო სულგრძელო და არცთუ ყველაფრის ჩამყლაპავო მკითხველო? „ეუეუნა წვიმა მოვიდას“ დასწავლას თვით პროფესიონალი მსახიობებიც კი ორ თვეს მოუნდნენ და... თეატრში ალალბედად მოსულმა მოსკოველებმა სპექტაკლში ერთხელ ნამღერი და ერთხელ მოსმენილი ქართული სიმღერა რა ჯადოთი დაიხსომეს ისე, რომ პუშკინის მოედანზე, გვიან ღამით (პიესა სამმოქმედებიანი გახლდათ!), დეკემბრის 30-გრადუსიან ყინვაში დააგუგუნეს, ა?!

ამიტომაც...

შთამომავალნო! ამ და სხვა მრავალზე მრავალთა ცაში ამყვანი თეატრალური რეცენზიების არაფერი დაიჯეროთ და არ ენდოთ მათ! ამ ქება-დიდების ნიაღვარში წმინდა წყლის მხოლოდ ერთი-ორი წვეთი თუ გამოერევა, — მეტი არა! უსაშველო სიყალბე და უსირცხვილო ტყუილი, რაც დაფუძნებულია „აქედან რას გამოვრჩების“ პრინციპზე, —მათი მამოძრავებელი ძალაა, ბევრ შემთხვევაში კი ამ „თხზულებათა“ არაგულწრფელობას და წინასწარ გამიზნულ პირმოთნეობა-მლიქვნელობას ავტორების უვიცობა და უგემოვნობაც ემატება.

(ღმერთო დიდებულო, რას ვიფიქრებდი, თუ ამ სტრიქონების დაწერიდან სამიოდე თვის შემდეგ მომიხდებოდა ამ გვერდის შევიწროება და მიწევ-მოწევა, რომ რამენაირად მომენახა ადგილი უახლესი პრესის ბადეში გაბმული ღლაკისათვის:

„აგერ ოცი წელია გასული იმ ამბიდან. გვიან ღამით მოსკოვის მეტროთი ვმგზავრობდი. გაჩერებაზე ვაგონში ახალგაზრდების მოზრდილი ჯგუფი შემოვიდა. სიცილით, ხმამაღლა ლაპარაკით ერთბაშად მიიქციეს ყურადღება. გატაცებით ყვებოდნენ მხიარული სპექტაკლის შესახებ, რომელიც ახლახან ენახათ ოპერეტის თეატრში. საუბარში ქართული სახელები მომესმა. ერთმა ქართული მელოდიაც წაიღიღინა. გულმა არ მომითმინა და საუბარში ჩავერიე. როცა გაიგეს, ქართველი ვიყავი, ერთმანეთს არ აცლიდნენ, ისე

მიამბობდნენ ქართული ოპერეტის შინაარსს, აღტაცებას გამოთქვამდნენ, რატომღაც მე მიხდიდნენ მადლობას.

პიესის ავტორი ვიკითხე და, ჩემდა გასაკვირად ერთმაც ვერ მითხრა.

— რაღაც უცნაური გვარია... ხან... ხუნ... — ენა წაიტეხა ერთმა". (გაზეთი „თბილისი", № 135, 1982 წ.).

არ ვიცი, მკითხველო; ამ გრძელ ამონაწერში რომელ გრძელფეხებიან ტყუილზე შევაჩერო თქვენი ყურადღება...

ახალგაზრდები სიცილ-კისკისით ხმამაღლა ლაპარაკობდნენო (ხმამაღლა ლაპარაკს თბილისის მეტროშიც კი ერიდებიან ჩვენი თავგასული ბიჭბუჭები!)...

ერთმა ქართული მელოდიაც კი წაიღიღინაო (ეს არაფერი, რომ გლინკასავით ასე უცბად დაიხსომა, ოღონდ ამღერება მოსკოვის მეტროში... არა, ეგებ იტალია-რომში მოხდა ეს ამბავი, ა?!

თანაც, როცა გაუგიათ, რომ ეს შემთხვევითი მათი თანამგზავრი, თურმე ქართველია, ო, ისე გაიხარეს, თავიანთი გაჩერებებიც გადაავიწყდათ და...

არა, მე მგონია, ჩვენი მემუარისტი, ზედმეტ თავმდაბლობას უნდა იჩენდეს, თორემ შეუძლებელია, რომ მოჩინურო ხან...ხუნის მეგობარი ამ აღფრთოვანებულ მელომან ჭაბუკებს და ქალიშვილებს სასტუმრომდე არ მიეცილებინათ და იქ, რესტორანში, მის გასამასპინძლებლად მთელი თავიანთი სტიპენდია არ მიეფშვნათ!

მკითხველს არც იმას დავუმალავ, რომ მიუხედავად ჩემი სიმპათიისა კომპოზიტორ „ციბ...ცაბისა" და ლიბრეტისტ „ხან... ხუნისადმი", ჭეშმარიტებას მაინც ვერ ვუღალატებ და ვიტყვი, — სინამდვილეში ეს ოპერეტა, სამწუხაროდ, ისე „გახმაურდა", რომ შეიწირა კიდეც მისი დამდგმელი, ცნობილი მომღერალი ვლადიმერ კანდელაკი; მოსკოვის ოპერეტის თეატრის მთავარი რეჟისორობიდან იგი, „რბილად" რომ ვთქვათ, გადააყენეს, „მაგრად" რომ ვთქვათ, მოხსნეს.

ასე რომ, ძვირფასო შთამომავალნო, თქვენი დღევანდელი წინაპრების მოგონება-მემუარებსაც თვალი ეჭვით შეავლეთ ხოლმე!).

— — —

მე არ ვიზიარებ იმ დებულებას, თითქოს დრამატურგად უნდა დაიბადო...

არა, დიდ დრამატურგად, ისე, როგორც დიდ პოეტად, დიდ ორატორად, დიდ მსახიობად, დიდ მუსიკოსად, დიდ მხატვრად, რასაკვირველია, უნდა დაიბადო, მაგრამ...

რაკი საუკუნეში ასეთები ერთეულები იბადებიან, მარტო მათ იმედად, ცხადია, ხალხი ვერ დადგება. ამიტომ რაკი მოთხოვნილება შობს მიწოდებას, ცხადია, პატარებიც ეცდებიან (და ცდილობენ კიდეც) დიდების ადგილი დაიკავონ (იკავებენ კიდეც!).

რუსთაველის თეატრის ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით...

ბოდიშს ვიხდი, რომ ამ ფრაზას არ ვამთავრებ, აკი ამ იუბილეს ჩატარების დღიდან დრო თუმცა საკმაოდ ბევრი გავიდა, მე მაინც ახლაც მეხამუშება ეს... რუსთაველის თეატრი ასი წლისაო!

საიდან სადაო, წმინდა საბაო!

ახმეტელმა 1934 წელს იზეიმა მისი მხოლოდ ა თ ი წლისთავი, სულ რაღაც ორიოდე წლის წინათ კი საზღვარგარეთ გასტროლების გამო გამოსულ ბუკლეტ-პროსპექტებში გვეუბნებოდნენ, რუსთაველის თეატრი თავის დასაბამს იწყებს 1922 წლიდანო და, მაშასადამე, წლეულს შეუსრულდებოდა მას სამოცი წელი, როგორც მუდმივ, უწყვეტ, ერთიან თეატრალურ ორგანიზმს და, თუ გნებავთ, ჩვენთვის ყველასათვის ნაცნობ და საყვარელ შენობაში მყოფს...

ეს მიბრძანეთ, ხელოვნურად რომ არ დაგვემრგვალებინა ეს ასი წელი და სულ ცოტა ხნის შემდეგ გვედღესასწაულა მისი მესამოცე წლისთავი, ამით რუსთაველის თეატრის სახელსა და დიდებას ვითომ რამე დააკლდებოდა?! ერთგვარი შეჯიბრების სურვილმა ხომ არ გვიბიძგა და მაგალითი მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტის პროფესორ გეორგ გოიანისაგან ხომ არ ავიღეთ, რომელმაც რაკი იცოდა, რომ მის დიდტანიან ნაშრომს არასომეხი მკითხველი თავს არ მიამტვრევდა, — წიგნის მაღაზიების ვიტრინებში სათაურს ხომ მაინც წაიკითხავენო და... „2000 лет армянского театра“ შეარქვა?!

ისტორია უნდა იყოს მართალი, მით უმეტეს გუშინდელი

დღის ისტორია, რომლის თანამედროვენი ბევრი ახლაც ცოცხალია.

აი, ეკითხოთ, თუნდაც, როგორც ადრე მოგახსენებდით, ამჟამადაც გონებაგაუცვეთელ 95 წლის ბატონ აკაკი შანიძეს, რომელი წლიდან ახსოვს რუსთაველის სახელობის თეატრი?

ისტორია არ უნდა იწერებოდეს იმის იმედით, ჩვენ ჩვენი ვთქვათ, და... აბა, შედავებას ვინ გაგვიბედავსო; ეს დღეს კი, მაგრამ... ხვალინდელი ისტორია ამას გაბედავს, რის დამადასტურებელი ფაქტები ათობით შემიძლია დავასახელო, მაგრამ საამისოდ ენგურის ქაღალდი, რომელზეც ეს სტრიქონები იწერება, არ გამოდგება: იგი სირცხვილით არ წითლდება.

დღესასწაული, აბა, რის დღესასწაულია, თუ იმ დღეს რამე სასწაული არ მოხდა!.. შარშანდელი ფაზისობაც ვერ ასცდა ამ „ღვთის რისხვას“:

„— მე ვალში ვარ ჩემი ქალაქის წინაშე, — თქვა გრძნობამორეულმა პროფესორმა პავლე...“

კონსერვატორიის ამ პატივსაცემი პროფესორის გვარს გამოვტოვებ და იმ ჟურნალისტი ქალის გვარსაც არ დავასახელებ, რომელიც ასევე ჭარბად გრძნობამორეული განაგრძობს, თავის მხრივ, კალმის მოსმას:

„პატივცემული პავლე ახლა არქივში მოძიებულ მასალებზე მუშაობს, რომლებითაც ირკვევა, რომ პირველი საბავშვო თეატრი რესპუბლიკაში ფოთში ყოფილა“.

ასე რომ, იუბილეებისაგან დაღლილ-მოქანცულო ძვირფასო მკითხველო, ჯერ ნუ ჩაიმუხლებ და მოსვენებას ნუ მიეცემი, ერთი დიდებული იუბილეც, როგორც ჩანს, კარზეა მომდგარი: ქალაქ ფოთის არქივში უკვე აღმოუჩენიათ საქართველოში პირველი საბავშვო თეატრის არსებობის დამამტკიცებელი სიგელ-გუჯრები და ახლა ისღა დარჩენიათ დაადგინონ, როდის — ასი, სამასი, ხუთასი, ათასი თუ ორი ათას ხუთასი წლის წინათ აიხადა ამ თეატრის ფარდა, ფაზისელი გოგონბიჭუნებისათვის რომ ეჩვენებინათ „კომბლე...“

ჰო, „კომპლე“, ოღონდ ნახუცრიშვილისა კი არა, — ხუციშვილისა!..

ო-ო, თქვენ არ იცით, ფოთის არქივის დამტვერილი თაროები რამდენ საიდუმლოს იტევს, — აი, ნახავთ, ასეთი დრამატურგიც თუ არ აღმოჩნდეს, ოღონდ...

ეძიებდე და პოვებდე! ეძიებდე და პოვებდე,

და მაშინ ვალი მოხდილი გექნება შენი მშობლიური ქალაქის წინაშე!..

ჩვენი დროის თუკიდიდებმა და პლუტარქებმა ყველაფრის უარმყოფლის იარლიყი რომ არ მომაკრან, ვჩქარობ იმის თქმასაც, რომ ჩვენი თეატრალური საზოგადოება მართლაც რომ ასი წლისაა, ამაში ნატამალი ეჭვიც არ მეპარება, აკი გარდა ცოცხალი მოგონებებისა, ამის ისტორიული დოკუმენტიც არსებობს, რომელსაც არქივებში არავის ქექვა არ სჭირდება.

— — —

რუსთაველის თეატრის ასი (!) წლის იუბილესთან დაკავშირებით თავად რუსთაველის თეატრიდან ერთი ისეთი ფრთიანი ორიგინალობის პრეტენზიის მქონე ფრაზა გადმოისროლეს, რომელსაც, ჩემი ფიქრით, მომაბეზრებლადაც ისე ხშირად იმეორებდნენ, თითქოს რაღაცაში ვიღაცას ბრალი დასწამეს და ახლა თავს იმართლებსო:

„თაობა მიდის, თაობა მოდის!“

რაიმე ახალი ამით თითქოს არაფერი თქმულა, ეს ბუნების წესია, რომ თაობა მიდიოდეს და თაობა მოდიოდეს, ოღონდ ეს კია, ადამიანებისთვისაც და ბუნებისთვისაც, ცხადია, დიდად სამწუხარო და დასანანი იქნებოდა, თავიანი თაობა თუ წავიდოდა და უთავო მოვიდოდა, ანდა თავიანი თაობის წასვლას უთავო თაობა თუ დააჩქარებდა...

ანალიზის ნიჭი თანდაყოლილია და, დავფარავდი კიდეც, რომ ეს მოსახერხებელი იყოს, — მე საამისო უნარი არ დამყვა, ამიტომ გადაჭრით ვერც იმას ვიტყვი, მაგალითად, ახმეტელის, როგორც თაობის წასვლა, რა „თავის“ თაობამ დააჩქარა („1935 წელს ახმეტელი ტოვებსო თეატრს“, — არა, ახმეტელს თეატრი დაატოვებინეს!), ანდა, მიხეილ თუმანიშვილის წასვლა და,

შემდეგ, მისი შესაძლებელი დაბრუნება რომელმა თაობამ... შეაბრუნა?!

ჩემი თაობის დრამატურგები, ამ მხრივ, ბედნიერები ვართ: ჩვენ არავითარი თაობა, არც თავიანი და არც უთავო, წინ არ გვისწრებდა, სამაგიეროდ ჩვენ ერთი ისეთი თავი გვყავდა, რომელიც, — როგორც ხშირად გვაყვედრიდნენ, ჩვენი ჭიაღუობა რომ არ დაგვეიწყებოდა, — მთელ ჩვენს თაობას იწონიდა: თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში გრანიტის კვარცხლბეკზე შემდგარი ეს დიდი თავი, რომელიც, სხვათა შორის, თავისი უმცროსი — ნიჭით და სახელით! — თანამოძმეებისას არც არაფერს კითხულობდა და არც არაფერს ნახულობდა, ერთს კი, სულ პატარას (ტანით!) ისიც კი უთხრა, შენი ნაგავიც უნდა იდგმებოდეს, აბა მარტო მე ხომ ვერ ამოვავსებ ქართული თეატრის რეპერტუარსო...

ამის თქმის უფლება, ალბათ, ჰქონდა კიდეც, აკი მთელი მსოფლიო დრამატურგიის ძველსა და ახალ ისტორიაში იგი პირველი იყო, რომელიც სიცოცხლეშივე, თანაც ადრეულ, 35 წლის ასაკში, მესამე პიესის დაწერისთანავე გამოაცხადეს ცოცხალ კლასიკოსად...

არ ვიცი, რამდენად არის ეს კანონზომიერი, ეს კია, სიცოცხლეში დადგმული ძეგლები სიკვდილის შემდეგ როგორღაც ნაცემივით გამოიყურებიან. რუსთაველის თეატრმა ორი მისი ადრინდელი, სახელგანთქმული კომედია დადგა, ორივე დადგეს ნიჭიერებით. დიდად სახელგანთქმულმა-რეჟისორებმა, მაგრამ ორივეში ღიმილს მხოლოდ რეჟისორების მიერ ჩართული სცენები იწვევდნენ: პირველში — უსიტყვო, ქალების ჩხუბი, მეორეში კი... მეპატიოს გამეორება: საიდან სადაო, წმინდა საბაო! — სულ სხვა ავტორის — ეროვნებითაც და დრამატურგიული ხელწერითაც, — პიესიდან ამოღებული დიდი სცენამონოლოგი!

ძველად ამბობდნენ, ყველა გზა რომისკენ მიდისო. მე ვფიქრობ, რომაელები ცდებოდნენ: ყველა გზა მიდიოდა (და მიდის!) სასაფლაოსკენ!

და ჩემი თაობის დრამატურგები, — მით უმეტეს მის მერე, როცა ჩვენმა დიდმა წინამძღვარმა დაგვაობლა, რის შედეგადაც კიდევ უფრო დაეცა თეატრალურ ბაზარზე ჩვენი, ჭიაღუა

დრამატურგების, მაზანდა, — უკვე დროა თითქოს, რომ უკანასკნელ გაჩერებას თვალს ვუსწორებდეთ, მაგრამ...

მაგრამ არა!

და ამის მიზეზი ის გახლავთ, რომ ჯერ კიდევ არ ჩანან მესამე ზარის ჩამომკვრელნი!.. აკი სამიოდე მეზარე — ეს კიდევ არ არის მთელი თაობა, სამიოდე მეზარე სულაც არ კმარა პანაშვიდის გადასახდელად, და არც წესის ასაგებად, რათა ერთს გზა დაულოცო საიქიოსკენ, მეორეს კი მიულოცო — სააქაოსკენ!..

მაგრამ ვინც უკვე მოვიდა, და მათაც, ვინც უკვე გზაშია და მოდის, მე მათ მთელი გულით მივესალმები, — წრფელი გულით მივესალმები, — წრფელი გულით იმიტომ, რომ ყოველივე ქართული, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ კარგი და მოსაწონი, მე გულით მახარებს, მე ამით ვცოცხლობ.

ცხოვრების ყველა სფეროში, და არა მარტო დრამატურგიასა და თეატრში, — ახალი, გონებით და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდობა თუ არ მოვიდა, ეს ნიშნავს ერის, ამ შემთხვევაში, ჩემი საყვარელი ერის დაბერებას, ორივე ჩემი „შავი წიგნი" კი, ალბათ დამეთანხმებით, ამ დაბერების, რომლის ბუნებრივი დასასრული სიკვდილია, — თავიდან ასაცილებლად არის მიმართული.

ყოველ დროში ახალგაზრდობას ახალი სუნთქვა, ახალი სურვილები, ახალი მგზნებარება შემოჰქონდა ცხოვრებაში, კერძოდ, იმ დარგებში, რომლებიც ამ წუთში ყველაზე მეტად გვაინტერესებს, — თეატრსა და დრამატურგიაში...

ასეა, ალბათ, ახლაც, ყოველ შემთხვევაში ასე უნდა იყოს, ოღონდ ყველაფერი ახალი როდია ახალი, თანაც არსებობენ, კერძოდ, მორალის მარადიული კანონები, რომლებიც არავითარ გადახედვასა და განახლებას არ საჭიროებენ, ადამიანის ბუნებაში მათ დანერგვასა და დამკვიდრებას კაცობრიობამ მილიონი წლები შეალია და ახლა მათი შეცვლა-დამხობა, ახლის ძიებისა და პიროვნების თავისუფლების მომიზეზებით, ვერაფერი ნიჭიერებისა და ვერაფერი ორიგინალობის მაჩვენებელია.

რუსებს აქვთ ერთი მშვენიერი სიტყვა... უფრო სწორად, ის სიტყვა თავისთავად მშვენიერი კი არ არის,— მშვენივრად

გამოხატავს ნაბეჭდი ან ცოცხალი სიტყვით უკვე უხსოვარი დროიდან გაადამიანებული ადამიანის, და მერე კი პირუტყვის დონემდე დასულ მოქცევას სექსუალურ სფეროში — пошлость, пошлятина. ჩვენ მას უხამსობას ვეძახით... ფსიქიატრიაში იგი ექსჰიბიციონიზმის ტერმინით არის ცნობილი და, საერთოდაც, იგი მთლიანად და სრულად ფსიქიატრიას მიეკუთვნება და არა ლიტერატურას და მით უმეტეს თეატრს, სადაც ათასი თვალი და ათასი ყური მიდარაჯებულია, რას იტყვი და რას აჩვენებ...

მე არ ვიცი, რა ხნისაა „შეშლილი ახალი წლის" ავტორი, ვვარაუდობ, რომ ახალგაზრდაა, აკი დიდ აფიშაზე მისი გვარი პირველად გამოჩნდა, სამაგიეროდ დანამდვილებით ვიცი, რომ ეს პიესა ჩვენს უპირველესი სახელგანთქმული, აკადემიური, ასი (!) წლის ისტორიის მქონე რუსთაველის სახელობის თეატრის სცენაზე იდგმება, და რომ ის, ცხადია, ბევრი კირკიმალის შემდეგ, ჯერ თვით თეატრის რაფინირებული გემოვნებით ცნობილმა ხელმძღვანელმა არათუ მიიღო, — ალბათ შეასწორა-შემოასწორა კიდეც, და მერე კულტურის სამინისტრომ მისცა ვიზა, და რომ მერე მას ეძღვნა აღფრთოვანებული რეცენზიები...

ასეთი საერთო მოწონების ღირსი არის კიდეც, ალბათ, ეს სპექტაკლი, აკი ის თითქმის დღეგამოშვებით იდგმება, მას დილის წარმოდგენადაც უშვებენ ბავშვებისათვის (იხილე განცხადება 1982 წლის 5 იანვრის გაზეთ „ნორჩ ლენინელში".)...

პიესის ავტორზე მტკიცედ და გადაჭრით ვერაფერს ვიტყვი, აკი პიესა ჯერ დაუბეჭდავია და არ წამიკითხავს, ამიტომ არც ვიცი, რაში სცოდავს იგი და რაში სცოდავს თეატრი, მაგრამ სპექტაკლის დამდგმელ, მიმღებ და სიხარულით აყლოჭინებულ რეცენზენტთა გასაგონად კი ვიტყოდი:

— დარბაისელნო! დასავლეთში უკვე კაი ხანია მოთავდა ეგრეთ წოდებული სექსუალური რევოლუცია, რომელმაც თურმე მრავალსაუკუნოვანი ბორკილები აჰყარა ადამიანს წელს ქვემოთ, სქესის სფეროში და მიალწია საუკუნოვან ოცნებას — გაეთანაბრებინა იგი პირუტყვთან, და ის სექს-ფილმები, რომელთა სანახავად,

უცხოეთში მოხვედრილი ზოგიერთი ჩვენებური ტურისტი, მის ხელთ რაც არის — იმ მცირეოდენ ვალუტასაც არ იშურებს, და რომელთა სანახავადაც იმ ქვეყნის მკვიდრნი კი საღამოს დროსაც აღარ კარგავენ, ა რ ● ფ ე რ ი გ ა დ მ ო ს ა ტ ა ნ ი ა ჩვენს მიწა-წყალზე, მით უმეტეს თეატრში, ორჯერ მით უმეტეს — ჩვენს პირველ თეატრში, ეროვნულ ტაძრად რომ უნდა ითვლებოდეს!

ეჭვი არ მეპარება, რომ ეს „წამყვანი ამხანაგები" ამ ჩემს ნათქვამს ყოვლად ჩამორჩენილობასა და ბერიკაცულ ბუზღუნში ჩამითვლიან...

არა, ასეთი „დედლური" მოსაზრება, ახლა როდი მწვევია, სიბერეში, რომელსაც უკვე აღარ ეთანამგზავრება ერთი მწერლის სხარტული გამოთქმა, — როცა სისხლი ღელავს, ენა ფიცით არ იღლება. არა, მე ეს ჯერ კიდევ ცხოვრების გარიჟრაჟზე, ადრიან ახალგაზრდობაში ციცერონმა ჩამაგონა:

«Делать не постыдно, а говорить и показывать непристойно».

„შეშლილ ახალ წელიწადში" კი სქესობრივი აქტი... თუნდაც მისი შორეული იმიტაცია ისე უგვანოდ და ურცხვად არის ნაჩვენები, იფიქრებ, აქამდე რომ გვეგონა, ეს ორი ადამიანის, ქალისა და ვაჟის საიდუმლო სერობას უნდა წარმოადგენდესო და მისი საჯაროობა კი...

ჰო, მაგრამ, მატებს კი მაინც რამეს ასეთი „მხატვრობა" პიესის სიუჟეტს, ამდიდრებს და ამრავალფეროვნებს კი პერსონაჟების ხასიათს?!

დაბოლოს, ეს უნდა გავხადოთ, ეს უნდა ვაქციოთ ხელოვნების საგნად? მაშინ ძაღლებზე უკეთეს ხელოვანთ ადამიანებში განა მოვნახავთ?!

ამ სპექტაკლის უნახავი მკითხველი, ვფიქრობ, ახლა უკვე მიხვდება, რატომ აჩვენებს თეატრი მას თითქმის დღეგამოშვებით, და რატომ იყიდება მასზე ბილეთები პირდაპირ სალაროში, და არა ბილეთების გამავრცელებლების ძალდატანების წყალობით (ურომლისოდაც, სხვათა შორის, ჩვენი დიდი თეატრებიც კი, მე-19 საუკუნის მიწურულს მოქმედი, დიდი ჯიხაიშის სცენისმოყვარეთა ფაციას თ ი ა თ რ ი ს დღეში ჩავარ-

დებოდნენ და მათი ხელმძღვანელებიც არ დააყოვნებდნენ პროფესიის გამოცვლას).

კი, მაგრამ... აქვს კი რაიმე ფასი ასეთი „სანახაობით“ თეატრში შემოტყუებულ მაყურებელს? ამას ჰქვია „Высшая инстанция для решения жизненных вопросов?“

ეს არის თეატრი-ტრიბუნა, თეატრი-კათედრა?! ამის ჩვენებაღა აკლია ჩვენს ახალგაზრდობას, რომლის ზნეობრივი დონე არასოდეს ყოფილა ისე დაცემული, როგორიც არის ამჟამად?!

ეს ჩემი „ცილისწამება“, უეჭველია, არ მოეწონება ერთ ჩვენს მეცნიერს, რომელმაც ტელევიზიით გვამცნო, ჩვენ შესანიშნავი ახალგაზრდობა გვყავს, ოღონდ მასში ერთი-ორი ზარმაციც ურევიაო...

კი, მაგრამ თუკი სანატრელად და საოცნებოდ გადაგვექცა, რომ ჩვენი შვილები არ გახდნენ ხულიგნები, ლოთები, მორფინისტები, ქურდები, ავაზაკები, მკვლელები — ერთ-ორ ზარმაცზე ღირს კი ყურადღების შეჩერება?! ანდა ეს... „ჩვენ შესანიშნავ აწმყოში ვცხოვრობთ და მერმისი მასზე უფრო დიდებული გველოდებაო“.. რაკი ასეა, განა არ აჯობებდა, შესანიშნავ აწმყოში მცხოვრებთ დიდებულ მერმისზე ფიქრით ტვინი აღარ დაგვექანცა?!

(გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი მ ი ნ ა წ ე რ ი: 17 აგვისტოს საღამოს ათის ნახევარზე (მოსკოვის დროით) ოსტანკინოს საკონცერტო დარბაზში ლენინგრადელი ნაომარი მწერალი დანიელ გრანინი შეხვდა მრავალრიცხოვან მკითხველთა აუდიტორიას; თუ რა მასშტაბის მწერალია თავად გრანინი, ამის მიხვედრა თუნდაც იმითაც შეიძლება, რომ რუსი მწერლებიდან ამ დარბაზში პატარას და საშუალოს კაციშვილი არ გააჭაჭანებს!

ჰოდა, ერთ-ერთ შეკითხვაზე, როგორ უყურებთ თანამედროვე ახალგაზრდობასო, გრანინმა ასე უპასუხა:

— Как я смотрю? Ну, как вам сказать... Не очень спокойно... Посудите сами: мы плохо работаем, о-очень плохо работаем. Второе... Не знаю, как у вас в Москве, а у нас, в Ленинграде, каждый второй брак оканчивается разводом... В-третьих, — пьянство...

როგორც ხედავთ, ამ მოკლე პასუხში მოურიდებლად არის ხაზგასმული არცთუ სახარბიელო მდგომარეობა შრომის, ზნეობის, „სულიერი გართობის“ სფეროებში... და თუ ვისმე ეჭვი შეეპარება გრანინის სიტყვების ჩემ მიერ გამუქებაში, — შეუძლია შეამოწმოს, ამიტომაც მივუთითებ კიდეც ასე ზუსტად თარიღსა და დროს, თანაც იმასაც დავძენდი, რომ ეს არ იყო პირდაპირი გადაცემა, მსგავსად ფეხბურთის მატჩისა, რომლის სტიქიურობა ცენზურის მიღმა რჩება ხოლმე).

— — —

მარჯანიშვილის თეატრის ახლად დანიშნულმა ხელმძღვანელმა თემურ ჩხეიძემ, მე და ჩემისთანა დრომოჭმულ-დახავსებულნი დიდად გაგვახარა პრესაში გამოქვეყნებული იმ საპროგრამო აზრით, რომ მას უნდა შექმნას ფსიქოლოგიური თეატრი. მაგრამ თეატრი არსებითად ხომ ახალგაზრდობისათვის არის განკუთვნილი, და არა ხანდაზმულთათვის, და რა ბედნიერება იქნებოდა, თუ მას, ფსიქოლოგიური თეატრის მეშვეობით მოვაქცევდით ფაქიზი და ხალასი გრძნობების, დიდი, საერო ფიქრების სამყაროში, შევძრავდით მის სულსა და გონებას, რასაც ვერ შეძლებს, უკვე თავისი ჟანრობრივი პროფილის გამო, ვერც ცირკი და ვერც მუსკომედია, ვერც გამაყრუებელი ელექტროგიტარა და ვერც მეცო-ხრინწოს ხმის მფლობელი მიკროფონაძე...

ისე კი, ამასაც შევნიშნავდი, ყოველი ნამდვილად დრამატული თეატრი არ შეიძლება არ იყოს ფსიქოლოგიურ საწყისებზე დაფუძნებული, ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ერთ დროს მოსკოვის სამხატვრო თეატრი და ასეთი იყო, კერძოდ, მარჯანიშვილის სახელობის თეატრიც...

ცხადია, ორი-სამი, დაწყებითი სპექტაკლით ფსიქოლოგიური თეატრი ასე ერთი ხელის დაკვრით არ შეიქმნება, საამისოდ, უპირველეს ყოვლისა, სათანადო რეპერტუარია გამოსაძებნი.

ამ მხრივ კი, ცხადია, აბა, ვინ შეიძლება უკეთესი ავტორი მოინახოს, ვიდრე ილია ჭავჭავაძეა?! ილიას კი ძებნა არც სჭირდება, კაცი-მთა, დიდი მთა მარად აზიდულია ჩვენ თვალწინ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მყინვარი, აკი მყინვარს დროდადრო

ნისლი ფარავს, ილიას კი ვერც ნისლი და ვერც ღრუბელი მუხლებამდეც კი ვერ უბედავენ დაჩრდილვას.

მით უმეტეს, თეატრმა არ უნდა შეჰკადროს ეს, თანაც ისეთმა ხელოვანმა, რომელიც, თითქოს, მის ყოველ სიტყვას საკუთარი თვალისჩინივით უფრთხილდება (ჩვენი ქართული, ლიტერატურული, ნაბეჭდი ქართული ამ ორმოც წელიწადში, მთელი ჩვენი ხალხის საბედნიეროდ, ისე დაიხვეწა და ისე ჩამოყალიბდა, რომ ახლა აღარც ილია დაგვიწერდა „ასის წლის წინათ" და არც „თარგმანს ინგლისურიდამ"), მაგრამ, თუკი მაინცდამაინც არჩევანზე მიდგება საქმე, როგორც ჩანს, უფრო აჯობებს დიდი მწერლისას აზრს უფრო ვუფრთხილდებოდეთ, ვიდრე ცალკეულ სიტყვას...

როცა შენ კლასიკურ ნაწარმოებში, რომელიც ყოველმა ჩვენგანმა ზეპირად იცის, ლუარსაბის რძლის, ელისაბედის როლს თანამედროვე კოსტუმში გამოწყობილ მსახიობ-ვაჟს ათამაშებ, რომლის ქალობაში გინდა დამარწმუნო მისი ჰიპერტროფირებული ქალური მანჭვა-გრეხიაობით, ბაკენბარდებიან თავზე კოპლებიანი თავსაფრის მოხურვით, — რად მივიღოთ, ბატონო, ეს, ილია ჭავჭავაძისადმი ფანატიკურ ერთგულებად თუ ილია ჭავჭავაძის ნოვატორულ, ახლებურ წაკითხვად, ან ეგებ, იმ ღრმა ფსიქოლოგიზმად, რომელსაც ჩვენი შიდაწნევით გამხმარი თავის ქალა ასე იოლად ვერ ჩასწვდება?!

შეიძლება ამ მსახიობმა-ვაჟმა, ქალების როლის უბადლო შესრულებით, თქვენი ყურადღება ჯერ კიდევ თეატრალურ ინსტიტუტში მიიქცია და არ გინდათ ასეთი ნიჭი დაიკარგოს და გინდათ, რომ ის გამოჩნდეს თეატრის ბოყვარულთა სასიხარულოდ...

ამ კეთილშობილურ განზრახვას, აბა, ვინ ერთი დაგიწუნებთ, მაგრამ... დაგედგათ, ბატონო, მაშინ, სპეციალურად მისთვის, წარსულში დიდად ცნობილი ინგლისური კომედია „ჩარლის დეიდა" და არა „კაცია-ადამიანი?!"

(სულ უახლესი მინი-ცნობა:

[1] Протест драматурга

Сэмюэль Беккет наложил авторское вето на постановку его пьесы «В ожидании Годо» в западногерманском городе Касселе. Режиссер этого театра

вознамерился провести эксперимент и отдал мужские роли актрисам. Протест драматурга был удовлетворен. Спектакль не состоится.

«Сов. культура», 21 сентября 1982 г.

ალბათ, არ იქნება ჩვენთვის ძნელი წარმოსადგენი, თუკი აბსურდული დრამატურგიისა და აბსურდის თეატრის მამამთავარი სამუელ ბეკეტი აღაშფოთა რეჟისორის ხელყოფამ — შეეცვალა სქესი მისი პერსონაჟებისათვის, მაშინ როგორღა მიიღებდა — ცოცხალი რომ იყოს, — ქართული რეალიზმის მამამთავარი ილია ჭავჭავაძე, ჯერ კიდევ არცთუ სულ აბსურდულ მარჯანიშვილის თეატრში მისი ელისაბედის... გაელიზბარებას?!).

ამ სპექტაკლშივე, ამაზე ბევრად უფრო სამწუხაროდ (რა თქმა უნდა, მხოლოდ ჩვენთვის — გადაღჯუებულ-ჩამორჩენილთათვის!) „სექსუალური რევოლუციის“ მონაწილედ გვეცხადება... ღმერთო, ნუ მიწყენ და... დარეჯანი!

როცა თავის თანამეცხედრე ლუარსაბს იოლად მისახვედრი ქარაგმებით ბრალს სდებს უშვილობაში და, შესაძლოა, ცვედნობაშიც, იატაკზე (ალბათ უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს „კრაოტია“) ფეხებგაჩაჩხული ისეთ პოზას იღებს, რაც არც რეჟისორის ფანტაზიას ეკადრება, არც მის თეატრს, არც სიწითლემორეულ უხერხულობაში ჩავარდნილ მაყურებლებს, ილია ჭავჭავაძეს კი — ხომ არა და არა!

და არც მსახიობმა, მით უმეტეს საქვეყნოდ ცნობილმა მსახიობმა, არ უნდა იკადროს იაფფასიანი „პოშლიატინის“ დემონსტრაცია! ალექსანდრე იუჟინი იქნებოდა თუ ალექსანდრე წუწუნავა, განა ამაზე დაითანხმებდნენ მარია ერმოლოვას თუ ნუცა ჩხეიძეს?!

ვიცი, საამისო პასუხი „ნოვატორებს“, ისე, როგორც ყოველთვის, ახლაც მზად ექნებათ:

საერთოდ,

„ეგრეთ წოდებული „საშუალო“ მაყურებელი ძნელად იღებს ახალს... მას სურს ყოველთვის ნაცნობი, ტრადიციული...“

(იხ. „სკოლა და ცხოვრება“, № 3, 1981 წ. გვ. 66).

კერძოდ,
მაშინ სხვა დრო იყოო...

დრო კი სხვა იყო, მაგრამ ზემოთაც მოგახსენეთ, არსებობს მორალის, ზნეობის მარადიული კანონები, რომლებზეც დრო ხელს ვერ აღმართავს, თუკი, რა თქმა უნდა, სირცხვილის გრძნობას არ ამოვშანთავთ ჩვენში და სულ არ დავეშვებით იმ ჩვენი-წინაპრების დონემდე, ზოოპარკის გალიაში, მზეზე, წელს ქვემოთ, „საჯაროდ" რომ იქექებიან და ჩვენ, მათ შთამომავალთ, თვალის წუთიერი შეჩერებაც რომ გვერიდება, თუნდა იმ დროს მარტონიც ვიყოთ...

შარშან ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნებაში" (№ 7) დაიბეჭდა „გარეუბნის მარტოსახლი". ამ პიესის ავტორი, როგორც მითხრეს, ახალგაზრდა დრამატურგია, უფრო სტაჟით, ვიდრე ასაკით. მიუხედავად ამისა, მე მგონია, იგი მაინც უნდა მივაკუთვნოთ იმ თაობას, რომელიც მოდის, სამწუხაროდ, მეტად ნელი ნაბიჯებით რომ მოდის და ასე დიდად იგვიანებს...

ახალგაზრდა შილერს „ყაჩაღები" უკვე დაწერილი ჰქონდა, და ის მაინც, საგონებელში ჩავარდნილი, გულს ეხეთქებოდა:

«22 года, и ничего но сделано для бессмертия!»

სხვათა შორის, „მარტოსახლშიც" მოქმედებენ ყაჩაღები, ყოველ შემთხვევაში მოყაჩაღო ყაჩაღები, თუმცა არა იმ ზომისა და არც იმ სულის ყაჩაღები, როგორნიც იყვნენ გერმანელი დრამატურგისა; შეიძლება ესეც იყოს მიზეზი იმისა, რომ „მარტოსახლის" ენობრივი ქსოვილი, სიტყვიერი მასალა, შილერთან შედარებით, სულ სხვა შედგენილობისაა. სადეგუსტაციოდ მხოლოდ ერთ გვერდზე (112) დაბეჭდილს (დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ს!), მაღალფარდოვნად რომ იტყვიან ხოლმე, შემოგთავაზებთ:

„ა ლ ე ქ ო. ისეთ შავ დღეში ვარ, ჩემო მაგდა... გაჩაჩხული ვარ გაგლეჯამდე. გაგლეჯილი მაქვს შარვლის უბე. კუტუ გარეთა მაქვს გამოვარდნილი. ყვავი მაზის მხარზე. ქვემოდან ნაგაზი ცდილობს ამოხტომას. კუტუს მოკვმას მიპირებს.

მ ა გ დ ა (თავგამოდებით). მოვუხმობ საშველად ყველას.

ა ლ ე კ ო. ...ასე გაჩაჩხული ვარ მე დღეს! რადგან კუტუს მოქმას მიპირებს კავკასიური ნაგაზი... მაგდა, რად უნდა ყვავს მაგნიტოფონი? რად უნდა ძაღლს ჩემი კუტუ?

...უთხარი დოდონას: ალეკოს რომ ფისი მოუნდესთქო, არ დასჭირდება შარელის შეხსნა, გამოვარდნილი აქვს-თქო გარეთ კუტუ".

ალბათ დაინტერესდებით მოქმედ პირთა წლოვანებით... მოვიშველიოთ ავტორი: ალეკო „შუა ხნის წარმოსადეგი მამაკაცია", მაგდა „მოწიფული ქალიშვილია", დოდონა „ბებიაა მაგდასი, ას წელს მიტანებული", თუმცა მოძრაობასა და სიტყვაპასუხში სულაც არ ეტყობა, რომ იგი იმ წელს მოევლინა ამ ქვეყანას, როცა სანკტ-პეტერბურგის ყოფილი გენერალ-გუბერნატორის ქალიშვილმა, სოფიო პეროვსკაიამ სანკტ-პეტერბურგშივე გააგორა იმ დროისათვის ბევრი პროგრესული რეფორმის შემომღები ალექსანდრე მეორე...

ისიც მინდა შევახსენო მკითხველს, თუ ის მამაკაცია, რომ ათი-თორმეტი წლის შემდეგ შვილები თანდათან შორდებიან მშობლებს, ცალკევდებიან, ბიჭი ამ ასაკში დედას ტანს უკვე აღარ აბანინებს, ერცხვინება...

ახლა კი, ყოველივე ამ მიხვეულ-მოხვევის შემდეგ, გთხოვ, მკითხველო, ერთი წუთით მაყურებლად გადაიქცე და თავად წარმოიდგინო, რა ამაღლებული, რა შთამაგონებელი, რა სულისა და გონების გამწმენდი სანახაობა გელის, თუნდაც ამ პატარა სცენისა და დიალოგის მიხედვით, როცა „მარტოსახლს" მთლიანად იხილავ რუსთაველის თეატრის სცენაზე, — დიახ, ეს პიესა თავის „კუტუებიანად", „მთლიანად და სავსებით" არათუ ჟურნალის დიდად დახვეწილი გემოვნების მქონე რედაქტორმა დაბეჭდა საუცხოო ცარცის ქაღალდზე, იგი აგრეთვე „მთლიანად და სავსებით" მიიღო კულტურის სამინისტრომ, და ახლა მას ამზადებს ჩვენი სახელგანთქმული, რუსთაველის სახელობის, ჩვენი პირველი ეროვნული თეატრი დიდად დახვეწილი გემოვნების მქონე რეჟისორის რობერტ სტურუას ხელმძღვანელობით; ამზადებს, ცხადია, „მთლიანად და სავსებით",

რაც, რასაკვირველია, ბევრად არც გაუჭირდება ჯერ „რიჩარდში“ ქვედა საცვლების გაუხდელად, მერე კი „შეშლილში“ დიდი ოსტატობით დადგმულ იმ სცენის შემდეგ, რომლისთანებზე დასავლეთის პორნოფილმების უნახავმა და ამიტომ უბედურმა ციცერონმა ოცი საუკუნის წინათ თქვა: „...показывать непристойно“-ო.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათაც კი, აბა, სცენაზე ვინ იტყოდა „ნიფხავსაც“ კი; „ნიფხავი“ კი არა, ერთმა ჩემმა საყვარელმა მსახიობმა-ქალმა კუპრის ცრემლებით მატირა, როცა ფრაზაში — „ვიდრე მაგას ბარძაყს არ გამოაჭამს, მანამ არც დაიჯერებს, რომ მისი ძალლი იკბინება“, — „ბარძაყი“ ამომიგდო, როგორც უცენზურო სიტყვა და თავი რომ მემართლებინა, ვერც ილია მომეშველა და ვერც აკაკი („შე არდასაცალებელო, რისთვის მოუცია ღმერთს ეგ ბარძაყისოდენა მკლავები!“ „ცხელი მჭადი მომედვა ბარძაყზე და მეცხუნა“).

ახლა კი, იმავე თეატრის სცენაზე, თანაც ქ ა ლ ი — ავტორის პიესებში ისეთი „ანტიკა“ სიტყვებია მიმობნეული, დიდუბელ ფხაჭი-კოლასაც რომ შეშურდება...

რას იზამთ, განათლდა ხალხი, საოცრად განათლდა!.. ერთმა, როგორც ჩანს, თავზე საყრელად განსწავლულმა მოდრამატურგო დრამატურგმა შარშან, მოსკოველთა ღირსსახსოვარ გასტროლებს მხოლოდ ცალი თვალი რომ შეავლო, პირად საუბარში, ქედმაღლურად წაუაფორიზმა: „მართლაც მ ც ი რ ე თეატრი ყოფილა მცირე თეატრი“.

მე კი მეორემ, გ. ტოვსტონოგოვის „ცხენის ისტორიის“ პირველი მოქმედების ნახევითაც უკვე გაბრუებელს, ანტრაქტის დროს, ისე დამცინავად გადმომხედა, რომ შევატყვე, ცოტათი შევეცოდე კიდეც და ამიტომ სულ ერთიანად არ გამწირა და არ მომახალა — „რა გესმით თქვენ ხელოვნებაში?!“ — მან მხოლოდ სასწორზე შემაგდო: „ნუთუ ეს მოგწონთ?!“

ალბათ გსურთ იცოდეთ, ამ „მეორის“ ვინაობა, — რუსთაველის თეატრის წამყვანი რეჟისორი გახლდათ (ეს თითქოს ჩვენს თემას არ ეხება, მაგრამ მაინც... რა ენობრივი უბედურებაა ეს... „წამყვანი“, „წამყვანი...“

პროგრამის წამყვანი — კიდევ ჰო, წამყვანი ორთქლმავა-

ლიც, მაგრამ „წამყვანი შემოქმედი?“ „წამყვანი უნივერსიტეტი?“ თუ მოწინავე?!

ეს „წამყვანი“ რუსულიდან კი მოდის პირდაპირი გზით, მაგრამ რუსულ-ქართულში ნუთუ ვეღარ გავიწაფეთ ოციანი წლების შემდეგაც, როცა „подпольщик“-ს უსატყვისებდნენ ჰერქვეშელს... ჰერქვეშელი რევოლუციონერიო. ჰერქვეშ ცხოვრობს ყველა მოდგმა ადამიანისა, რევოლუციონერები და კონტრრევოლუციონერებიც. იატაკქვეშ კი იმალებოდნენ და ბეჭდავდნენ პროკლამაციებს მხოლოდ რევოლუციონერები!).

...დიახ, თაობა მიდის, თაობა მოდის! მე ვფიქრობ... ვფიქრობ, ცხადია, გაუბედავად და რა სამწუხაროა, როცა თაობა მიდის, და რა სასიხარულოა, როცა თაობა მოდის, ოღონდ... ორმაგად სასიხარულო იქნებოდა, თუ ეს თაობა თავის სამწერლო, სახელოვნო მოღვაწეობას... ბოდიშს მოვიხდი, — „კუტუთი“ არ დაიწყებდა, რომელიც, როგორც „საბავშვო, სალაღობო“ სიტყვაც კი, შეტანილი არ არის ჩვენი ეპოქის დიდ ძეგლში — „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“.

(ა ნ დ ე რ ძ ი ს ე ბ უ რ ი: თუკი ასი წლის შემდეგ საქართველოში ქართველობა კიდევ იქნება შემორჩენილი იმ რაოდენობით, რომ მას კვლავაც ექნება ქართული შრიფტი და ქართული სტამბა, თანაც ვითარებაც იქნება ისეთი, რომ შეეძლებათ დაბეჭდონ ჩემი „შავი წიგნი“, ჩემი თხოვნა იქნებოდა, მთელი ეს „სექსუალური“ ნაკვეთი ამოიღონ როგორც ქაღალდის ფერის გამშავებელი და ადამიანში ადამიანურობის შეურაცხმყოფელი!).

— — —

ნალბანდი რომ უნდა ნალბანდობდეს და ხაბაზი — ხაბაზობდეს, — რაც ადრეულად შეიგნო ნემიროვიჩ-დანჩენკომ, რუბენ სიმონოვმა კი — მოგვიანებით, ამის ჩინებული მაგალითია რეჟისორ რობერტ სტურუას დრამატურგიული საქმიანობა. მე, რასაკვირველია, ძალიან შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ პიესების წერა, რაკი მათი გათრევა მისთვის, როგორც თეატ-

რის „მთლა უფროსისთვის“, სულ იოლია, — ერთგვარი გეშეფ-ტი იყოს.

არა! რაკი მას ქართული დრამატურგია არ აკმაყოფილებს და მასზე ბევრად უფრო გელმანის სპეკულანტური პიესები ხიბლავს (მაშინ, როცა მეჭურჭლეობის მინისტრიდან შიკრიკამდე ყველა შოვნაზეა გადასული, მუშა უარს ამბობს პრემიაზე... არ დამიმსახურებიაო!), განა გაემტყუნება ამ დიდად ქებულ ხელოვანს, ავტოკალამს თუ მოჰკიდებს ხელს და... „დაჯდეს პიესის წერადა?!“

ეს კია, საუბედუროდ, არც ერთ იმ ქვეყანაში, სადაც რუსთაველის თეატრი საგასტროლოდ ბრძანდებოდა, არც ინგლისში, არც საფრანგეთში, არც მექსიკაში, ჯერ ისეთი ავტოკალამი არ მოუგონიათ, რომელიც პიესებს ავტომატურად წერდეს, — კარგ პიესებს, ცხადია, თორემ ცუდი ჩვენი, უბრალო, თბილისური პასტითაც იწერება, და ბევრიც იწერება...

რატომ?

გადაშალეთ ანტონ ჩეხოვის „Записные книжки“, 1927 წელს მოსკოვში გამოცემული, გვერდი 89, და ამის პასუხს იქ ამოიკითხავთ:

„Всякий человек может написать пьесу. которую можно поставить“.

ამ აზრის დამადასტურებელი სულ პატარა მაგალითიც:

„ნ ა ზ ი კ ო (სიხარულით, ეხვევა და კოცნის). უი, მადონას ვენაცვალე. სადა ხარ, ქალო, სად დეიკარგე?

მ ა დ ო ნ ა (დაღლილი ხმით). პაკუპკებზე ვიყავი, მოსკოვში... (უცბად, ცოცხლად). დედა, რა სერვანტესები ჩამევიტანე, რო იცოდე, ცეკავშირის ჯულეტაც დააფჩენს პირს!“

განა არ შეიძლება ეს სცენა-გადალაპარაკება გათამაშდეს თეატრში?! შეიძლება, ცხადია. ჰოდა, ამას კიდევ სხვა მიუმატე, იმ სხვას კიდევ სხვა და...

მოთხრობა-ლექსისაგან პიესის მთავარ განმასხვავებელ ნიშნად ხომ ერთმანეთში ლაპარაკი ითვლება, ამაღლებულად დიალოგს რომ ეძახიან დრამატურგთმცოდნეები, ადამიანები კი, ენის ადგმისთანავე სულ ერთმანეთში ვლაპარაკობთ, ჰოდა,

ამაზე ადვილი რა უნდა იყოს, — ვალაპარაკებ მეც, ხან ქალს, ხან კაცს; ვალაპარაკებ დედას მამასთან, ბებიას შვილიშვილთან, მექრთამეს სამსახურის მაძიებელთან, პატარას დიდთან, ავადმყოფს ექიმთან, მინისტრს მდივანთან, მდივანს სათხოვნელად მოსულთან („თათბირი აქვს") და ასე შემდეგ და ასე ამგვარად... სხვა რაღა ჯანდაბა უნდა პიესას, ახლა ადექი დ ითამაშე, ოღონდ ეს კია, ცოტა ძნელი ყოფილა სცენამდე მიღწევა, მაგრამ „შანციან "კაცს არც ეს გაუჭირდება, და არც უჭირს თურმე!..

„შანციანმა" ისიც კი იცის, თურმე, რომ ჩვენი თეატრები პიესებს უფრო იმის მიხედვით იწონებენ და იწუნებენ, თუ ვისი დაწერილია იგი; ფაქტიურად უფრო დამწერს, კაცს დგამენ, ვიდრე ნაწარმოებს, ამიტომაც არის, რომ ახლა დრამატურგია აღარ ითვლება ლიტერატურის ყველაზე რთულ, უძნელეს ჟანრად, და არათუ უძნელეს, — საერთოდ, ლიტერატურადაც აღარ ითვლება; „ერთმანეთში ლაპარაკი ორ ნაწილად" უკვე პიესაა, თუნდაც სახეები მასში უსახური იყოს, ენა გონჯი და მხატვრულ ალღოს მოკლებული, დასაწყისი და ბოლო დაუსაბუთებელი...

თუმცა, რის დასაწყისი, რის ბოლო, როცა მეტ-ნაკლებად მწყობრი სიუჟეტიც კი სულაც აღარ არის სავალდებულო და, მაშასადამე, არც ექსპოზიციაა საჭირო და არც კვანძის შეკვრა, არც კონფლიქტის გამძაფრება, რომელსაც მოჰყვება კატასტროფა და გაიხსნება ნასკვი...

ყოველივე ეს სოფოკლეს, შექსპირის, მოლიერის, შილერის, ოსტროვსკის, შოუს უკვე წყალში გადასაყრელი ხერხები ყოფილა. თანაც ამ ძველმოდური კანონებით პიესა რომ დაწერო, ამას ერთი ისეთი რაღაცა უნდა თურმე, რომელსაც „შანცი" არ იძლევა, მას, თურმე, ბუნება იძლევა, ისიც ძალზე ძუნწად, მის გასაღვივებელ-გასამდიდრებლად კი საჭიროა, თურმე, მთელი ცხოვრება კვარივით იწვოდე...

ვიყავი მხოლოდ დრამით მდიდარი,
არ მიძებნია მე სხვა ქონება,
პიესის გარდა არავითარი
მე არ მხიბლავდა სხვა შთაგონება.

(ვალერიან გაფრინდაშვილის ამ ტაეპში შეცვლილია მხოლოდ ორი ერთი და იგივე სიტყვა: „ლექსი“, „ლექსები“).

დიდება და მადლობა ღმერთს, რომ დრამატურგიაში დაგვიდგა დრო, როცა არათუ კვარიევით, — ექვსშაურიანი სანთელიევითაც რომ იწვოდე, ესეც ზედმეტია, და რომ ყველა ეს „თურმეც“ ბალასტია თურმე!

დიახ, დიდებული რამ ყოფილა დრამატურგობა, თანაც, თურმე, ო, რა უბრალო, იოლი და ადვილი!

(მინი-ცნობა: ოცზე მეტი პიესის, მათ შორის „მდაბიონის“, „მოაგარაკენის“, „ფსკერზეს“, „მზის შვილების“, „ეგორ ბულიჩოვის“ ავტორს თავი დრამატურგად არ მიაჩნდა, და ამით მაქსიმ გორკი ცრუ თავმდაბლობის სამოსელში როდი ეხვეოდა, მე უფრო ბელეტრისტი ვარო...

> «Наконец, я обязан сказать кое-что и о себе, ибо есть опасность, что моя «драматургия», ныне чрезмерно восхваляемая, способна соблазнить молодых людей на бесполезное изучение ее и — того хуже — на подражание ей».
>
> «О пьесах».
> Полное собр. сочинений. Том 26, стр. 423.

მივაქცევ მკითხველის ყურადღებას ბრჭყალებს, რომლებშიც გორკიმ თავისი დრამატურგია მოაქცია, როგორც, მისი აზრით, მდარე ღირსებისა...

ანტონ ჩეხოვი (ჩ ე ხ ო ვ ი ც!) შეწუხებული სწერდა ა. ი. სუვორინს „თოლიაზე“ („Чайка“):

> «...Читая свою новорожденную пьесу, еще раз убеждаюсь, что я совсем не драматург».
> Полное собр. сочинений. Том 16, стр. 285.

კონტრასტისათვის მხოლოდ ერთი მაგალითი იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ გავიზარდეთ ჩვენ, დრამატურგები, ჩეხოვისა და გორკის შემდეგ:

ჩვენი დროის ისედაც ყოველმხრივ სახელგანთქმული ბელეტრისტი, რომელსაც დრამატურგიასთან იმდენივე კავშირი აქვს, რამდენიც პურის ცომს გამომცხვარ პურთან (მის ნაწე-

რებს რომ სხვები ასცენიურებენ, ეს მთელმა მილეთმა იცის, ლენინგრადელ ალამირზიანიდან თბილისელ ლორთქიფანიძემდე!), თავს მაინც დრამატურგად გვაცნობს:

«Прозаик, драматург, поэт» (იხილე Справочник Союза писателей СССР, Москва, 1981 г.).

ნუ ვიტყვით, რომ ასეთ ცნობარში შემდგენელი, ჩვენ მიერ ცნობის მიუწოდებლად, ჩვენდა დაუკითხავად, ზედმეტ „ჩინმენდალ-ტემლაკს“ მოგვაკერებს).

სტურუას ორად ორ პიესას, თუ საანგარიშოზე ჩამოვკრავთ და არ შევცდებით, მისი ჩათვლით ხუთი ავტორი ჰყავს!

პირველ პიესას, „ბრალდებას“ ბრალს არც წავუყენებთ, რადგან იგი ჭაბუკობაში დაიწერა, დაიწერა იმ ასაკში, როცა ცეცხლთან თამაში უბრალო გართობა ჰგონიათ, მეორე კი — „ვარიაციები თანამედროვე თემაზე“ — სულ აგერ ახლა, ჩვენ თვალწინ, ასაკობრივ და შემოქმედებითს ზენიტში მყოფობის დროს!

მართალია, რუსთაველის თეატრისა და მისი მთავარი რეჟისორისთვის საგულდაგულოდ, მისი კრედოს სრულყოფილად წარმოსაჩენად დაწერილი ეს პიესა სამ ავტორს — თითქმის მთელ ბრიგადას ეკუთვნის, მაგრამ მათი ბრიგადირი, კალმით თუ არა, სულით მაინც, — ხომ სტურუაა და, მაშასადამე, ის არის მისი პირველი და მთავარი ავტორი, რასაც, სხვათა შორის, არ უგულებელყოფს ნაბეჭდი ქაღალდის არც ერთი ნამცეციც, რომ ალარაფერი ვთქვათ აფიშა-პროგრამებ-ბუკლეტებზე და ფინანსურ მხარეზე.

ისე კი, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ მსოფლიო დრამატურგიაში არ მოიძებნება თუნდაც ერთი, ასე თუ ისე ცნობილი დრამა თუ კომედია, ტრაგედია თუ ვოდევილი, სამ ავტორს რომ ერიოს მასში ხელი, — ორის კი, მაგრამ მხატვრული ღირებულებით დიდად არც ისინი გამოირჩევიან. როგორც ჩანს, დრამატურგიაში არსებობს რაღაც კანონზომიერება, რომლითაც რაოდენობა არ გადადის ხარისხში, თუმცა, ესეც არის, „ვარიაციები“ მარტო სტურუასაც რომ დაეწერა, ხარისხობრივად მაინც იმავე ხარისხში იქნებოდა (და, შესაძლოა, უფრო

დაბალზეც, — ახლა ავტორებში ერთი ჟურნალისტი ქალი მაინც ურევია)... მთელ ამ „ვარიაციებში“ კი, გულთან მისატან, გულის გაშხარებელ ერთ ვარიაციასაც, ერთ ახლად დანახულ პერსონაჟს, ერთ ფრაზას, მწერალ კაცს რომ შეგშურდება, ნეტავ ამაზე ადრე მე დამენახა, მე მეთქვაო,—ვერ წააწყდებით.

დიახ, „ვარიაციები“, როცა რეჟისორს არც ერთი მისთვის საძულველი ცოცხალი დრამატურგი თავზე არ ადგა, ხელს არ უშლიდა და არ უსაყვედურებდა, დამწყები თერძივით პიესას ასე უგვანოდ ნუ მიჭრი, ნუ მიჩეხავო.

და მაინც,

„ვარიაციები“—პიესა და სპექტაკლი, რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა თავის გემოზე დაწერა და რომლისთვისაც შეარჩია — აბა ხელს ვინ შეუშლიდა! — თავისივე თეატრის ყველაზე საუკეთესო მსახიობები (ეროსი მანჯგალაძის გამოკლებით!) და დადგა, — მაინც ვერ იქცა საეტაპო, საპროგრამო სპექტაკლად, და მან ვერაფერი სიხარული მოუტანა ვერც თეატრს და ვერც მაყურებელს!

ასე რომ, აქედანვე ვურჩევ მათ, როცა დროთა განმავლობაში დღევანდელ თეატრალურ ოჯახებში შემორჩენილი, უკვე გაყვითლებული ქაღალდების მქექავები გამოჩნდებიან (ქათამი უკან-უკან იქექება, საქმე კი თავისი წინ მიჰყავს!, ნუ გაირჯებიან ნაშრომზე—„სტურუა როგორც დრამატურგი“,— რადგან, ვინ იცის, ეგებ მაშინაც მოეელინოს საზოგადოებას, ახლა რომ 10—15 წლისაა, იმ დროისათვის კი ოთხმოცს მიტანებული დოქტორ-პროფესორი, რომელიც თავს გადააქნევს და იტყვის: „...ეს იგივეა, გამოსცე წიგნი „სტურუა როგორც მებათქაშე“ („Стуруа как штукатур“-, მით უმეტეს, რომ ჩვენს სახელოვან რეჟისორს თავის დადგმებში ერთობ უყვარდაო „შტუკებისა და შტუჩკების“ მიმობნევა, ზოგი — საკუთარის, ზოგიც — ნასესხების... მაგალითად, „დამწყებ როლში“ ლაპარაკი სიტყვების წამღერებით ახლა ბევრისათვის უკვე მივიწყებულ, მშვენიერი ფრანგული ფილმიდან — „შერბურის ქოლგებიდან“ არის, როგორც იტყვიან, „რბილად“ რომ ვთქვათ, წამოღებული... „ვარიაციების“ მთავარი დრამატურგიული საყრდენი კი, აქაც „რბილად“ რომ ვთქვათ (ო-ო, სიტყვა პლაგიატს არ ვიხმართ!), ცივ-ცივად არის აღებული ინგლის-

ში საკმაოდ ცნობილი ერთი პიესიდან, რომლის ავტორია ფეი უელდონი და რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ დაიდგა...

არ ვიცი, ეს სხვათა შორის უნდა ითქვას თუ მტკიცედ და გარკვევით, რომ ამ პიესის სათაურიც ინგლისურად „ვარიაციებად" იკითხება (Fay Weldon, „Action Play") და აქაც ისე, როგორც ქართულ „ვარიაციებში", რამდენჯერმე თამაშდება სხვადასხვა გარემოცვაში სცენები, რომელთაც სხვადასხვა დაბოლოება აქვთ.

(მე აღარაფერს ვამბობ გერმანელი დრამატურგის პეტერ ვაისის დიდად ცნობილ პიესაზე „მარატ სადზე", საიდანაც ქართულ, სამავტოროვან „ვარიაციებში", ყოველგვარი მობოდიშების გარეშე, „ნასესხებია" სიუჟეტური აღნაგობის პრინციპი, და არც ს. ალიოშინის პიესაზე „Тема с вариациями").

სტალინი, რომელიც სინამდვილეში ხალხს არავითარ ანგარიშს არ უწევდა, მაინც ხშირად იმეორებდა, ხალხი ბრძენიაო („Народ мудр").

ჰოდა, ბრძენ ხალხს უთქვამს, ნალბანდი უნდა ნალბანდობდეს, ხაბაზი უნდა ხაბაზობდესო.

ახლა ესეც ვიკითხოთ, რამდენად არის რობერტ სტურუა ქართველი... ნალბანდი, ან ქართველი ხაბაზი, ესე იგი ქართველი რეჟისორი?

ნუ გაიკვირვებთ, შემოქმედების სფეროში შარტო გვარი არ განსაზღვრავს ეროვნებას და, საერთოდ, ეროვნების მისაკუთვნებლად გვარი ყოველთვის როდი გამოდგება; მაგალითად, უკრაინაში დღესაც არიან ოდიშელიძეები, ჭყონიები, ცინარიძეები, წარმოიდგინეთ—ორბელიანებიც კი (ეს დიდებული გვარი კი საქართველოში, საუბედუროდ, უკვე გადაშენდა), მაგრამ ისინი ისეთივე ქართველები არიან, როგორიც ჩვენი ბოგოლები — უკრაინელები.

მარჯანიშვილი სულ ათიოდე წელი ემსახურა ქართულ თეატრს და, მაინც, მიუხედავად იმდროინდელი ქართული დრამატურგიის მწირიანობისა, ამ ხნის მანძილზე „გარუსებულმა მარჯანოვმაც" კი დადგა, ზოგიც ძველი და ზოგიც ახლად დაწერილი, 17 ქართული პიესა (პანტომიმა „მზეთამზისა" და „არსენას ლექსის" ჩაუთვლელად!); არც აზმეტელს დასცალდა მასზე ბევრად მეტხანს ეგიზგიზებინა ცეცხლი რუსთაველის

თეატრის სცენაზე, მაგრამ მანაც მოასწრო დაედგა 15 ქართული პიესა (გადმოქართულებული „ანზორისა“ და „ნაბიჭვრის“ ჩათვლით!). დიახ, ახმეტელმა, მარჯანიშვილისა არ იყოს, მიუხედავად იმდროინდელი ქართული დრამატურგიის სიღატაკისა, აკი იმ წლებში ჩვენი დრამატურგია, როგორც ლიტერატურის განცალკევებული ჟანრი, მხოლოდ ყალიბდებოდა.

თავისი რეჟისორული მოღვაწეობის ო ც ი წლის მანძილზე რობერტ სტურუამ წარმოგვიდგინა 27 სპექტაკლი, აქედან დამოუკიდებლად, მარტო მან, ქართული პიესა დადგა მხოლოდ... ექვსი! (მათ შორის „ღალატი“ ისე დაასაჭურისა, რასაც თვითონ საჭურისი აღა-მაჰმად-ხანიც ვერ მოახერხებდა, ყვარყვარეს კი, ნაცარქექიას, არტურო უის ფერ-ხორცი შეასხა, ბრეხტმა მსოფლიოს ამამტუტებელ-დამაქცევარ ადოლფ ჰიტლერად რომ წარმოგვიდგინა!).

თანაც — ეს როგორღაც ნიშანდობლივია! — ქართული პიესა (და არც უცხოური!) ერთიც არ დაუდგამს ისეთი, რომელიც სადმე უკვე დადგმული არ ყოფილიყო („მზიანი ღამე“, როგორც რომანი, უკვე აპრობირებული იყო და მისი ინსცენირება არ იყო რაიმე სიახლესთან თუ რისკთან დაკავშირებული).

ზოგიერთმა ეს, შეიძლება, ამ ვეება რეჟისორის მორიდებულობით აგვიხსნას,—არ უნდაო ძველი ფეოდალივით პირველი ღამის უფლებით ისარგებლოს მასზე დაქვემდებარებულ დრამატურგიის ლატიფუნდიებში, თუმცა კი ამ უფლებით, მისი წინამორბედნი, მარჯანიშვილი, როგორც „დურგალი“ და ახმეტელი, როგორც „ხურო“, როგორც კი „სპექტაკლ-სკაგის“ მზადებას შეუდგებოდნენ, უშიშრად და ფართოდ სარგებლობდნენ: ისინი ერთი წაკითხვით... ბოდიში, ერთი ხელის მოსმით, ერთი თვალის გადავლებით უკვე ხვდებოდნენ, რა ჯიშის ხის მასალასთან ჰქონდათ საქმე: ეს იყო ძვირფასი მუხა თუ ბზა, თუ, მათთან შედარებით, დაბალი ღირსების თელა თუ წიფელი...

მაგრამ, როცა შენ თავად დიდი შთამომავალი ბრძანდები, ყველა წინამორბედისაგან ხომ არ აიღებ მაგალითს, მით უმეტეს, რომ მათ არ მოსწრებიხარ და მათგან მხოლოდ რაღაც რეცენზიები და რაღაც გახუნებული მაკეტები შემორჩენილა. რომლებიც. აბა, რა შედარებაა ედინბურგისა და ლონდონის

რეცენზიებთან და შენს უმაკეტო, თუ თითქმის სულ გაშიშვლებულ არა, — ყოველ შემთხვევაში მარტო სცენის სხვენზე, „კოლისნიკებზე“ ჩამოკიდებულ რაღაც საფრთხობელებთან, ამიტომ მათ — ვინ იცის, დიდებ-ად შერქმეულ წინამორბედებს, — მებიკოს ორი ათასი მეტრი სიმაღლიდან ჭიანჭველებად რომ გეჩვენებიან, დამცინავად რომ გადმოხედო,—ამისათვის „დიდები“ საყვედურს როგორ შეგკადრებენ, „პატარებისა“ კი, თუნდაც რისხვა, აბა, რა ყურადსაღებია...

(იმით, რაც „ფართო“ მაყურებელმა იხილა 1981 წლის 30 ოქტომბერს ფილარმონიის დიდ დარბაზში, რუსთაველის თეატრის ა ს ი (!) წლისთავის იუბილეზე—„თაობა მიდის, თაობა მოდის!“ — საბედნიეროდ, ოდნავაც არ იგრძნობოდა, რომ მომავალი თაობა პანღურით აცილებდა მიმავალს; რამდენიმე დღით ადრე კი, რუსთაველის თეატრში „ვიწრო“ მაყურებელი, ამ საზეიმო პროგრამის ჩვენება-გასინჯვის დროს, მოწმე გახდა ისეთი ცინიკური წიხლ-პანღურ-ტლინკებისა წინამორბედთა სამადლობლად, რომ ალექსანდრე ახმეტელის ერთ ახლო ნათესავს ლამის გული შეუღონდა, არანათესავებს კი... დარბაზში, საერთოდ, ისეთი სულისშემხუთველი სევდა ჩამოწვა, როგორც მთელ ქალაქ თბილისში 1934 წელს, როცა მაშინდელ ციციანოვის და ახლანდელ ბარათაშვილის აღმართზე — ზემოდან მომავალი ტრამვაი, მუხრუჭების მოშლის გამო, ღვინიასავით გადაიჩეხა...).

— — —

საქართველოს გარეთ ქართული თეატრისათვის ისე არავის გაუთქვამს სახელი, როგორადაც ალექსანდრე ახმეტელმა გაუთქვა.

და ისიც რა დროს? როცა მატარებელი თბილისიდან მოსკოვამდე ჩასვლას ოთხ დღეს უნდებოდა, როცა უჩინმაჩინის ქუდი უფრო რეალური ამბავი იყო, ვიდრე ტელევიზია...

1930 წლის მოსკოვის თეატრალურ ოლიმპიადაზე რუსთაველის თეატრმა არა მარტო ჩვენი დროის ყველაზე დიდი ესთეტი ლუნაჩარსკი განაცვიფრა („რუსთაველის თეატრი მსოფლიო თეატრების პირველ რიგში წინაურდება“) და აგრეთვე

ბევრი სხვა, თითქმის მისი ტოლი რუსი თეატრალური მოღვაწე და უბრალო მაყურებელი, არამედ მრავალი უცხოელიც...

ამერიკელებმა მიიწვიეს კიდეც ქართული თეატრი საგასტროლოდ თავის ქვეყანაში, და თუ ეს გასტროლები არ შედგა, ამაში ბრალი მხოლოდ იმ დროს დასში მყოფ ზოგიერთ ჭკუამოკლე და ენაგრძელ, თანაც ნიჭით პატარა მსახიობებს მიუძღვით („თუ მოგვეწონა ამერიკა, დავრჩებით იქ, აპა რას ვიზამთ".—ახლაც მახსოვს, საკუთარი თვალებით როგორ ამოვიკითხე ჩემი სკოლის ამხანაგის მამის—საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის ანდრო დოლიძისადმი გამოგზავნილ საიდუმლო ბარათში; იმ ხანებში ბევრი საიდუმლო ჯერ კიდევ არ იყო ასკეცად გასაიდუმლოებული და, როგორც ჩანს, მათ, დიდი თანამდებობის პირთ, ბინებზეც უგზავნიდნენ).

როგორ ფიქრობთ, ეს გასტროლები რომ შემდგარიყო, უფრო ნაკლები წარმატება ექნებოდათ მათ, ვიდრე ახლანდელ რუსთაველის თეატრს ჰქონდა მექსიკაში?! ანდა „ურიელ აკოსტას", რომლის დეკორაციული გაფორმება დღემდე ინარჩუნებს სიახლეს და გვაოცებს მუსიკით, „სტურუასებურად" რომ იყენებს მარჯანიშვილი, რაც ეგზომ აძლიერებს სპექტაკლის ემოციურ ზემოქმედების ძალას?! ან კიდევ მისივე, მარჯანიშვილისავე, „ბეატრიჩე ჩენჩის"—საუცხოო სპექტაკლს, რომელიც მაშინ მხოლოდ იმიტომ გააქრეს, რომ ამორალურად მიიჩნიეს?! (ეს თუ ასეა, — „ოიდიპოს მეფე", მასთან შედარებით, ათჯერ უფრო ამორალურია).

იმდროინდელი რუსთაველის თეატრისა და მისი ვაჟკაცი ხელმძღვანელის ალექსანდრე ახმეტელის სასახელოდ და სადიდებლად ხმამაღლა უნდა ითქვას, რომ მათ ქართულ თეატრს სახელი ქართული პიესებით გაუთქვეს, „ლამარა" და „ანზორი", — აი, რა იყო მათი თეატრალური თავბრუს დამხვევი სავიზიტო პარათი! სწორედ ამ სპექტაკლებში ბობოქრობდა ქართული სული და ქართული ბუნება!

— დიახ, შეიძლება სცენაზე ქაროულად მეტყველებდნენ, მაგრამ თეატრი მაინც არ იყოს ქართული!..

— — —

მიხეილ ჯავახიშვილი ავტორის სათქმელს ერთ თავის პერსონაჟს ათქმევინებს:

„ზოგჯერ სახელიც ისე ადვილად რყვნის მწერალს, როგორც სილამაზე ქარაფშუტა ქალს“.

პროზაულ ნაწარმოებში ვერ ჩამოთვლიდა, თორემ ისე, რასაკვირველია, ჯავახიშვილი ამ შემთხვევაში მხოლოდ მწერალს კი არ გულისხმობდა, — არტისტსაც, რეჟისორსაც, პროვიზორსაც, სახელმწიფო მოღვაწეებსაც კი...

მართლაცდა, დიდი ნებისყოფის პატრონი უნდა იყო და დიდი ჭკუისაც, რომ ხოტბა-დიდებამ, თუნდაც დამსახურებულმა, ტვინი არ აგიმღვრიოს, მით უმეტეს დამსახურებულმა... ასეთები კი, დიდი ნებისყოფისა და დიდი ჭკუის გამგებლები, კერძოდ, ხელოვნების დარგში, არათუ იშვიათად არიან, მე მგონია, სულაც არ არიან, ამიტომ მათ მიმართ, ვინც ქების სალაროს განაგებს, უფრო მეტი სიძუნწე მართებს გენიოსობის ერთხელ და სამუდამოდ ბეჭედდარტყმულ მოწმობების ჩამორიგებაში.

ნუ გაასულელებენ და ნუ გაათავხედებენ მით უფრო იმათ, ვისაც ბუნებამ საამისო მონაცემები უხვად მიაფინტა, — თუნდაც პროფილაქტიკური მოსაზრებით ნუ შეუწყობენ ხელს, რომ თავში მათ სისხლი აუვარდეთ, რაც პირველი, მაგრამ მეტად საშიში ნაბიჯია, გადადგმული ტვინის სისხლძარღვთა სისტემის მოსაშლელად.

უმადურობა ყოველთვის ითვლებოდა ადამიანისათვის დიდ სიმახინჯედ და არც ახლა, როცა „ქვეყანა გამოიცვალა, ჩარხი უკუღმა ტრიალებს“ (აკაკი), არ უნდა იყოს, თუ არ ვცდები, მისი შემამკობელი და დამამშვენებელი.

ჩვენი ხალხის დიდმა მეგობარმა, საზღვარგარეთ ქართული ხელოვნების თავგამოდებულმა მაქებარ-აგიტატორმა, არ იქნებოდა გადაჭარბება, თუ ასეც ვიტყოდი, ჩვენი დროის უორდროპმა თეატრალური ხელოვნების არეში, გერმანელმა რეჟისორმა ჰერმან ვედეკინდმა რუსთაველის თეატრში მე-17 საუკუნის თავის თანამემამულე დრამატურგის გრიფიუსის „ქეთევან ქართველი“ დადგა...

მტკიცედ ამის თქმის უფლებას ჩემს თავს არ მივცემ, ისე კი, რეპეტიციების დროს ქალაქში არცთუ ისეთი ხმები გამოდიოდა, რომ თეატრში ჩვენს მოამაგე უცხოელ რეჟისორს ყოველმხრივ ხელს უწყობდნენ მოთამაშენი და არამოთამაშენიც, თუნდაც უბრალო თავაზიანობისა და ზრდილობისათვის...

ასე იყო თუ ისე, შედგა მაინც პრემიერა, რომელმაც შრავალი ხელისშემშლელი სიძნელე გადალახა და მაინც რიგიანად ჩაიარა, და მაინც, მეორე დილით გაფრინდა თუ არა თბილისიდან ვედეკინდი, ახლა უკვე მეორედ ნაწამები „ქეთევან წამებული" სასწრაფოდ ამოიღეს რეპერტუარიდან, როგორც... ნუ იტყვით, როგორც მხატვრულად არასაკადრისი რუსთაველის თეატრის სამსოფლიო სახელისა!..

ეს, რასაკვირველია, არ გაკეთებულა თეატრის დირექტორისა და მთავარი რეჟისორის უნებართვოდ, რომელნიც, ამ შემთხვევაში, ერთსახეობაში გვეცხადებიან...

(მინი-ცნობა: არსად, არც „პროვინციულ" ბაქოსა და ერევანში, მოსკოვსა და ლენინგრადში ხომ არა და არა, — არ არსებობს თეატრი (გარდა საბავშვო საოპერო თეატრისა), რომლის მთავარი რეჟისორი ერთდროულად დირექტორიც იყოს; ეს კია, ასეთი გაერთიანებული, „სამაღალპრესტიჟო" პოსტი, საქართველოს გარდა, ლილიპუტიაშიც ყოფილა თურმე, მსგავსად „Директор — капитан рыболовного траулера").

კი, მაგრამ... ასეთი რა უბადლო რეპერტუარი მოეპოვება ამჟამად რუსთაველის თეატრს, რომ გრიფიუს-ვედეკინდის „ქეთევან წამებული" შავ ლაქას მოსცხებს მის თოვლივით თეთრ სამოსელს?!?

ჩამოვთვალოთ...

„მშვენიერი ქართველი ქალი?" — ყელგამოღადრული და გულგამოცლილი, გაოპერეტებული გოლდონი?

თუ საერთოდ დაიდგმებოდა ეს პიესა, მაშინ ყველაზე მეტად საჭირო იყო დაეცვათ ორიგინალი, რომ გაგვეგო, როგორ და რას წერდა ჩვენზე დიდი იტალიელი დრამატურგი...

ეგებ შატროვის „ლურჯი ცხენები წითელ ბალახზე?" — აქაზე წინა ერთ გვერდზე ქარაგმულად უკვე მოგახსენეთ...

ანდა, ეგებ სტურუა—ვარსიმაშვილ—ფოფხაძის „ვარიაცი-

ები თანამედროვე თემაზე?" — ამაზე კი, ასევე წინა ერთ ბვერდზე, ყოველად უქარაგმოდ მოგახსენეთ...

თ. ჭილაძის „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის?" — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, და ისიც — გულში, და არა საჯაროდ (ვინ გაბედავს?!), მკითხველისთვის მიმინდვია.

ველიეხოს „ოცნება?" — ხანდაზმული მაყურებელი შემიძლია დავამშვიდო,—ასეთი რამ სპექტაკლი თუ იხილა კიდეც და მის მეხსიერებას სათაურიც არ შემორჩა, სკლეროზს ნუ დააბრალებს,—ოცი-ოცდაორი წლისანნიც ვეღარ ეგონებენ ახლა მას...

ჰიგინსისა და კარიერის „ჰეროლდი და მოდი?" — მკითხველს ვთხოვ ორი სტრიქონით უკან დაიხიოს და კვლავ წაიკითხოს „ოცნება", „ოცნება..."

„ტარტიუფი?"—მოლიერს რომ ასწავლიან 350 წლის შემდეგ, როგორ უნდა დაეწერა და დაედგა თურმე მას „ტარტიუფი?!"

ან ეგებ ლიუსის „ამჰერსტის მშვენება". ერთი ამერიკელი პოეტი ქალის ცხოვრებას რომ ასახავს?..

ვისაც არ ვკითხე, მათ შორის განათლებულ ფილოლოგებსაც, თითქმის არავის არ გაეგონა, შესაძლოა, დიდად ნიჭიერი დიკინსონის გვარი...

ჰოდა, რით უნდა დაიპყროს მან, ეით უმეტეს „საშუალო" ქართველი მაყურებლის გულისყური? ამავე დროს თვით პიესაც არ გამოირჩევა შეუდარებელი ღირსებებით...

არა, შეიძლება არც ჩვენ გვაქვს სრულყოფილი პიესები ბარათაშვილზე, ილიაზე, ფიროსმანზე, მაგრამ ჩვენ მათ მაინც ინტერესით ვუყურებთ. რადგან მათს სახილველად ბავშვობიდანვე მომზადებული ვართ და ჩვენი წარმოსახვითაც ვამატებთ და ვამდიდრებთ ამ დიდებულ სახეებს, დიკინსონი კი... ასეც არ იყოს, ნუთუ თეატრმა წინასწარ ვერ უნდა აუღოს ალღო, რომ ერთპერსონაჟიანი ორსაათიანი სპექტაკლი ქართველი მაყურებლის ტემპერამენტიანი ბუნებისათვის მოსაწყენი და მომაბეზრებელი იქნება, თუნდაც მის ერთადერთ გმირ-ქალს ყველა დროისა და ყველა ხალხის პირველი მსახიობიც კი — ელეონორა დუზე ასახიერებდეს?!

ანდა „შეშლილი, შეშლილი... ახალი წელი?!" — ძველი

ბერძნები კათარსისს რომ ეძახდნენ, — თეატრის მეშვეობით სულის განწმენდას, როგორ, ეს „შეშლილი ახალი წელი“ უფრო განწმენდს ჩვენს გაბინძურებულს სულს, ვიდრე „ქეთევან წამებული“, თუნდა სულ ცუდადაც იყოს იგი დადგმულ-გათამაშებული?!

მე, რა თქმა უნდა, ყველა თეატრალურ ინსტიტუტდამთავრებულსავით თეატრის უცილობელ მცოდნედ თავი არ მოვაქვს, მაგრამ რაკი ამ უამინსტიტუტოდაც უკვე ვასხვავებ ამპლუას ამპლუასაგან, თეატრალური ხელოვნების სფეროში გაზეთი „Советская культура“ არ მიმაჩნია მაინცდამაინც ისეთ ურყევ ავტორიტეტად, რომ ჩემი აზრის გასამაგრებლად იგი მოვიშველიო; მაგრამ ამჯერად, რაკი — ვინ იცის!—ეს ჩემი ღარიბი ნააზრევი შეიძლება შემთხვევით „დიდებმაც“ წაიკითხონ, და რომ ეს ცილისწამებად არ ჩათვალონ, ამიტომ მოვიყვან მოსკოვის ამ გაზეთიდან ამონაწერს, რომელიც სპექტაკლის მოხსნის დღიდან საკმაო დროის გასვლის შემდეგ დაიბეჭდა:

«В спектакле ярко и образно раскрыты мужество, гордость, стойкость грузин, которые в кровопролитных боях с иноземными захватчиками защищали родину».

თავად ვედეკინდმა სპექტაკლზე მუშაობის პროცესში ასე განაცხადა:

„მე მიყვარს საქართველო მთელი ჩემი არსებით, მინდა მას, ამ სიყვარულის ნიშნად, ვაჩუქო ეს სპექტაკლი“.

(იხ. ჟურნალი „პარტიული სიტყვა“, № 10, 1981 წ.)

ჰოდა, ეს არის ჩვენი ქებული ქართველობა, რომ ვედეკინდს, თუნდაც იგი ბოლო დროს, ვთქვათ და მართლაც შეშლილიყო, ასე უვანოდ და უპატივცემულოდ მოვპყრობოდით?!

დარჩა კიდევ რამე რუსთაველის თეატრის რეპერტუარიდან? — დარჩა-დარჩა: „კავკასიური ცარცის წრე“ და „რიჩარდი...“

(ამ თერთმეტი სპექტაკლ-პიესიდან, რომლებიდანაც სხვა-

თა შორის, თუ დავთვლით, ქართველ ავტორებს მხოლოდ ორი ეკუთვნით,—ერთ-ერთი ამათგანი, რაკი იმ საღამოს არც „რიჩარდი“ გადიოდა და არც „ცარცის წრე“, თბილისელი რუსი პედაგოგის სტუმარმა, მოსკოვის მახლობლად მდებარე ქალაქ კოლომნის პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ვ. ინგერმა ნახა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს თეატრზე, „ცარცისა“ და „რიჩარდის“ წყალობით, ბევრი ქება გაეგონა, ლამის გულს შემოეყარა: „И это есть театр Руставели?!“).

„ცარცის წრე“ — კი, ბატონო, მშვენიერი სპექტაკლია, ოღონდ... შეიძლება გაიფიქრო კაცმა, რომ ის როგორღაც მაჰავარიანის „ოტელოს“ ჩამოჰგავს: უჰაბუკიანოდ ოტელო უკვე აღარ იყო ის სულისშემძვრელი „ოტელო“, რომლიდან გამოყოლილი შთაბეჭდილებაც, სასიამოვნოდ ნერვებაწეწილთ, ღამის სამ საათამდე აღარ გვაძინებდა, ასევე, ყანჩელის უმუსიკოდ „ცარცის წრე“ ვერა და ვერ შემოხაზავს დიდ, გაშლილ წრეს, რა თქმა უნდა, ესეც ნიჭიერების დამადასტურებელია, მუსიკა ისე მოარგო დრამას, რომ ჩინებული სპექტაკლი გამოგივიდეს.

თუკი ტექსტუალურ მხარეს არ გამოვედავებით, „რიჩარდი“ ერთიანი სტილის, ყოველმხრივ გამართული, და რაც მთავარია, წმინდა დრამატული სპექტაკლია, სადაც შექსპირის სუნთქვა, თუმცა ზოგჯერ არითმიული, მაინც გარკვევით იგრძნობა...

შეიძლება მკითხველებიდან ზოგიერთი გამოერიოს ისეთი, რომელიც თუ პირში არ მეტყვის, გულში მაინც გაიფიქრებს,— ახლა მოხვედი ამ აზრზე, ბიძიკო, როცა მთელმა ევროპამ, და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით უფრო საამაყოა, კრომველის, გლადსტონის, ჩერჩილისა და მარგარეტ ტეტჩერის ინგლისმა უკვე იწამა ქართული „რიჩარდი?!“

არა, ამ აზრზე ახლა არ მოვსულვარ; იმ დროს, როცა „რიჩარდი“ აგონიური მშობიარობის კრუნჩხვებში იმყოფებოდა, და მის მიმღებ ბებიაქალებს კულტურის სამინისტროდან ეშვი არ ეპარებოდათ, რომ იგი მკვდარი დაიბადებოდა, და მერე კი, სულ ვიწრო წრისთვისაც საცდელად რომ ეჩვენებინათ, რაკი ყოველმხრივ დღენაკლულ და უდღეურად იყო მიჩნეული, ამაზეც კი ჰოჰმანობდნენ,—მე როგორღაც მომიხდა დავსწრებო-

დი ბოლო რეპეტიციებს, და ერთადერთი მე ვიყავი, რომელსაც გამბედაობა ეყო გამოეთქვა საპირისპირო აზრი, რის გამოც აქედან და იქიდან, ცხადია, ჩურჩულით, ერთგვარად საიდუმლოდ (თუ გაგვიგო, არც როლს მოგვცემს და არც საზღვარგარეთ წაგვიყვანსო), — არა ერთმა და ორმა გამიცხა: „რას ამბობთ?! როგორ გეკადრებათ?! ეს მოგწონთ?.. რობიკა ამ სპექტაკლში პალოზე მიბმული იმ თხას ჰგავს, რომელმაც სადამდეც თოკი გასწვდა, მოჩირკნა მთელი ბალახი და ახლა ისევ, უკვე ხელმეათედ, ნაძოვნს უბრუნდებაო“.

არა მგონია ახსოვდეს — „თათარი“ ხომ „ქრისტიანისას“ კარგს არაფერს იხსომებს, — მაშინდელი დირექტორის თანდასწრებით დამდგმელი რეჟისორი გავამხნევე, რომელსაც, უკლებლივ ყველას აზრით, თითქმის მთელი წლის ნაბუშევარი წყალში უნდა გადაეყარა, თანაც არა მდორე ტემზაში,— მღვრიე მტკვარში!..

და მაინც, „რიჩარდმა“ პირველ ხანებში ვერ ირგუნა ქართული ტაში; ვიდრე თეატრი ინგლისში პირველი საგასტროლო მოგზაურობიდან არ დაბრუნდა, „რიჩარდზე“ პარტერიც ძლივს იესებოდა. მერე და მერე კი... წამხედურობას შეუძლია არა მარტო ქვეყნის ამოგდება, ზოგჯერ იგი შეიძლება სასიკეთო საქმეშიც გადაიზარდოს, ყველასათვის სარგებლობის მომტან მიმბაძველობაში.

და ახლა „რიჩარდი“ ერთადერთია რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის რეპერტუარში, რომელიც მის აკადემიურობას ამართლებს და რომლის სანახავადაც მაყურებლის შემოყვანა ქამანდით, ანდა კოვბოები, ამერიკაში, გაგარეულებული ცხენების დასაჭერად, ლასოს რომ ეძახიან, — საჭირო არ არის.

კი, მაგრამ... როდემდე იკმარებს ეს ერთი „რიჩარდი“, თუნდაც ჩინებული, განა მარტო ერთი სპექტაკლი ეყოფა წლების მანძილზე სულიერ საზრდოდ ათიათასობით ქართველ მაყურებელს?! მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის დრამატულ თეატრებს მიმდინარე რეპერტუარში ოცზე მეტი დასახელების სპექტაკლი აქვთ. იქ, წარმოდგენას, რომელზეც დასწრება 90 პროცენტამდე დაეცემა,—უმალვე ხსნიან (თუმცა იყო ერთი შემთხვევა, როცა ჩვენდამი, ქართველებისადმი განსაკუთ-

რებული პატივისცემის ნიშნად, „მხატმა“ რამდენიმე ხანს შეინახა დიმიტრი ალექსიძის დადგმა „Я вижу солнце!“ და მერე, როცა „Комсомольская правда“-ს უმცროსმა ძმამ „Московский комсомолец“-მა არ დაგვინდო და მოათავსა კრიტიკული წერილი სათაურით — „А где солнце?“, მაშინ „მხატმა“ იფიქრა, ცარიელი დარბაზი უფრო სახელის გამტეხია პიესისა და სპექტაკლისათვის, ვიდრე მისი საერთოდ არარსებობა რეპერტუარშიო და...).

ჩვენც რომ დასწრების, თანაც ნებაყოფლობითი დასწრების პროცენტებით ვიხელმძღვანელოთ, მაშინ ორივე ჩვენი აკადემიური თეატრი უნდა მივხუროთ, — ამას, რასაკვირველია, რესპუბლიკა არ დაგვანებებს, მაგრამ არც ის არის სულ სინდისიერი საქციელი, როცა შენ, „დირექტორ-კაპიტანი“, სახელმწიფოს იმედით ლოგინს ფართოდ იშლი და რაკი ფინანსური გაკოტრებისა არ გეშინია, მხატვრული გაკოტრების ამბავი ბევრად არც განაღვლებს..

„თეატრში იმან უნდა იაროს, ვისაც სურს ეს, ვისაც ამის შინაგანი მოთხოვნილება აქვს, ვისთვისაც თეატრში ყოფნის ყოველი დღე დღესასწაულია“, —

ეს ოქროს სიტყვები მარჯანიშვილის თეატრის ახალ ხელმძღვანელს ეკუთვნის, და რარიგ მოხარული ვიქნებოდით, თუ მათ ოქროს საქმედაც აქცევდა.

გვახსოვდეს კი: სადღესასწაულო განწყობილება ადამიანს თეატრში უბრალო, ფიზიკური ყოფნით როდი შეექმნება, — მხოლოდ და მხოლოდ კარგი სპექტაკლებით, და თუ მათ შორის, თუნდა ხუთ-წელიწადში ერთხელ მაინც, სადღესასწაულო სპექტაკლიც გამოერევა, ეს უკვე დიდი დღესასწაული იქნება არა მარტო ხელოვნებისთვის, — მთელი ქვეყნისთვისაც.

მაყურებლისათვის თეატრში სასიარულოდ შინაგანი მოთხოვნილების გაღვიძება-გაღვივება, რასაკვირველია, ისევ და ისევ თეატრზეა დამოკიდებული; მაკავარიან-ჭაბუკიანის „ოტელომ“ იმ დროს უმაყურებლოდ გამოყრუებული ოპერის თეატრი კვლავ ააბმიანა და რამდენიმე სეზონით გამოაცოცხლა; „კავკასიურმა ცარცის წრემაც“ ააფორიაქა ჩვენი უტახტო სატახტო ქალაქი და გაგვახსენა „ესპანელი მღვდლის“ დროინდელი რუსთაველის თეატრი; მარჯანიშვილის თეატრის

ამასწინანდელმა ერთმა სპექტაკლმაც, რომლის სათაურში ერთი შინაური ცხოველის სახელია ჩართული, რომელიც, ადამიანებისა არ იყოს, შეიძლება ავიც იყოს და კეთილიც, — გამოიწვია მაყურებელთა ცხარე ინტერესი და, მიუხედავად ტელევიზიით მისი უმოწყალო ექსპლოატაციისა, ეს ინტერესი, შეიძლება, ორასი ანშლაგის შემდეგაც არ დამცხრალიყო, რომ... ქათმის გოდებისა არ ეყოს, ნუ დამკლავთ და მაშინ ვნახოთ, რამდენ წელიწადსაც ვიცოცხლებო... ჰოდა, რა იმ სპექტაკლის ბრალია, თუკი ის მოსვლისთანავე დაკლა (ამოიღო რეპერტუარიდან) თეატრის ახალმა მხატვრულმა ხელმძღვანელმა, როგორც ანტიმხატვრული...

კი, მაგრამ, თუკი ის ანტიმხატვრული ნაკეთობაა (ნაწარმოებიო, ამის თქმას ვერ ვბედავ, ვაითუ ტრაბახში ჩამითვალოს ხელოვანმა ხელოსანს), მაშინ როგორღა გამოძერწეს მისმა მშობლებმა ისეთი მხატვრული სახეები (ჩინჩახელი, სარე), რომლებიც, თითქმის 30 წლის შემდეგაც, ახსოვს ახლაც ბევრს?! ეგებ ეს მარტო მათი ხალასი ნიჭიერებით აიხსნება და დრამატურგი მათ თავისი ნაცოდვილარით სულაც არ დახმარებია, ა?!

ვინ იცის, ეგებ ასეა მართლაც, მაგრამ... მაშინ რამ შეუშალა ხელი მათს ტალანტს, ასევე გაბრწყინებულიყვნენ თითქმის საბენეფისოდ, სპეციალურად მათთვის დადგმულ „სარეველასა“ და „სიტუაციაში?!“

ჩვენ უკვე ვიცით, რომ თაობა მიდის, ისიც ვიცით, რომ თაობა მოდის...

ჰოდა, ალბათ, რა დიდად ეფონება გულს, და რა ამაყად მოიღერებს ყელსა, როცა ერთდროულ გაზეთ „ქართული თეატრის დღეში“ ამოიკითხავს ერთ, აწ უკვე მოსულ-მობრძანებულ კრიტიკოს-დრამატურგის წერილში:

„თ. ჩხეიძემ უდიდესი რისკი გასწია — მან „ოიდიპოსი“ გაიაზრა, არა როგორც ტრაგედია, არამედ როგორც ფსიქოლოგიური დრამა“.

ხედავ, თვალბრიალა მკითხველო, დამდგმელ რეჟისორს რა რისკი გაუწევია, თანაც რა უდიდესი (величайший!)? ამ რისკთან შედარებით ნიაგარაზე გაჭიმულ ბაგირზე გავლა განა შეიძლება, სართოდ, რაიმე რისკად მივიჩნიოთ?!

ესეც არის, დაახსომდა კი ვისმე, ნახვის შემდეგ დაძინებამდე მაინც, ამ უდიდესი რისკის შედეგი — „ოიდიპოსი", როგორც ტრაგედია ან როგორც ფსიქოლოგიური დრამა?!

მკითხველის ყურადღებას იმასაც მივაქცევდი,—როგორ ფიქრობს იგი, ეს მშფოთვარე „ფიქრები თეატრზე" ამ კრიტიკოს-დრამატურგს ანგარებამ აფიქრებინა („ხომ ხედავ, როგორ გაქებ, — არც ახლა დამიდგამ პიესას?") თუ უვიცობა-უგემოვნობამ?!

და საერთოდ, ღირდა კი ალექსიძის დიდებული „ოიდიპოსის" მერე, ქართულ სცენაზე დროის ასეთ მცირე მონაკვეთში, სხვა „ოიდიპოსების" გამომზეურება?!

— — —

ეს არაფერია, თუ სხვებმა ისე არ იციან, როგორც ჩვენ გვინდა, სამაგიეროდ, ჩვენ ხომ ვიცით, რა „დიდი კულტურის ხალხიც" ვართ ქართველები, განსაკუთრებით კი თეატრალური ინტელიგენცია პირად და საზოგადოებრივ ურთიერთობაში; როგორ ვუფრთხილდებით ერთმანეთს, როგორ ვაფასებთ ერთმანეთს, როგორ ვუხანგრძლივებთ სიცოცხლეს თითქოს უკვე სიცოცხლემოსწრაფებულთაც კი... ამის დამამტკიცებელ, მხოლოდ ერთ „ნივთიერ საბუთს" შორეული წარსულის ჩემი მახსოვრობის არქივიდან წარმოგიდგენთ:

ეს იმ დროს მოხდა, როცა ჩვენს ოპერის თეატრს ხალხი ისე აწყდებოდა, როგორადაც ახლა უნივერმაღს მიაწყდება, თუ გაიგეს, რომ „გაყიდვაშია დუბლიონკები..."

ამ ზღვა მაყურებელში უბილეთო ღარიბ ყმაწვილს შეგეძლო საკონტროლო ბარიერის ფეხებში გამძვრალიყავი, ანდა,— ტოლებში ეს უფრო ვაჟკაცობად ითვლებოდა, — ზედ ბარიერზე გადაშვებულიყავი. ერთიც და მეორეც მოსახერხებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მთავარი კონტროლიორი, სათვალიანი, ზორბა ტანის ტრუსევიჩი და მისი თანაშემწე, ესეც ზორბა ტანის მისივე ქალიშვილი და წინა ფოიეში მოფუსფუსე ტანმაღალი მთავარი ადმინისტრატორი (შემდგომში რეჟისორი) კვალიაშვილი როგორღაც ყურადღებას და სიფხიზლეს მოადუნებდნენ... სწორედ ამ მომენტის მომლო-

დინე და შემჩერე ვიყავი, როცა ტრუსევიჩის მჭექარე ხმა გაისმა ირგვლივ:.

— Я ничего не знаю! Мне приказано не впускать Вас в театр!.. Отойдите! Вам говорят! Не мешайте людям проходить...

მის წინ კი გაცეცხლებული, და თითქოს ცეცხლმოდებულიც, პატარა ტანის გურული კაცი იდგა, რომელიც აღშფოთების გამომხატველ სიტყვებს, დიდი ხნის შემდეგ გამოგონილი ავტომატივით ისროდა და სულაც არ აპირებდა „ატაიდის...“

დღესაც არ ვიცი, რა დააშავა, ანდა, უფრო გარკვევით რომ ვთქვათ, რა უნდა დაეშავებინა ისეთი „ქეთო და კოტეს“ შემქმნელ კომპოზიტორ ვიქტორ დოლიძეს, რომ მისთვის — თითქმის საკუთარ სახლში! — ოპერის თეატრში შესასვლელი გზა დაეხშოთ, თანაც ასე თავმოსაჭრელად, საჯაროდ?!

ეგებ ესეც იმით უნდა აიხსნას, რომ „თაობა მიდის, თაობა მოდის?“

ვინ იცის — ვინ იცის, ოღონდ ეს კია, ამ ამბის შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა, მაგრამ ვიქტორ დოლიძის ღირსეული შემცვლელი — კომიკური ოპერის ჟანრში — ჯერ არავინ მოსულა.

სიცოცხლეში ჩადენილი სიგლახე არც სიკვდილის შემდეგ უნდა ეპატიოს მის მქმნელს: არ ვიცი, ვის მიუძღვის კონკრეტულად ბრალი ზემოთ აღწერილ სიგლახეში, ეს კი ვიცი, იმ ხანებში ოპერას ინტელიგენტად მიჩნეული ლელი ჯაფარიძე დირექტორობდა...

— — —

ო, უკვე მოაწია დრომ, რათა ბოდიში მოვიხადოთ ასე მრავალგზის გადახვევ-გადმოხვევისათვის და, როგორც იტყვიან, მადლობაც მოვახსენო მკითხველს ყურადღებისათვის, მაგრამ ჯერ, ცოტათი მაინც, კვლავ მინდა ვისარგებლო მისი ყურადღებით და სამიოდე გვერდის უკან შეწყვეტილ აზრს დავუბრუნდე...

...დიახ, საბედნიეროდ, რუსთაველელებს, „რიჩარდის“ გარდა, „ცარცის წრეც“ მოეპოვებათ, დიდხანს რომ ემსახურა თე-

ატრსაც და მაყურებელსაც, მაგრამ მან ხომ უკვე კარგა ხანია საგასტროლო რეპერტუარში გადაინაცვლა...

ო, ეს გასტროლები!..

თუ ჩვენი ქვეყნის ქალაქები, თუ ბებერი ევროპა, თუ ჭაბუკი ამერიკა!..

როგორც ქართველ კაცს, რასაკვირველია, გიხარია შენი პატარა ქვეყნის გაფრენა წითელ ხიდს იქით, და თან, როგორც იმავე ქართველ კაცს, გულს ჟანგი გედება, — ჩვენი პირველი ეროვნული თეატრი „ციგნების ხოროს“ ხომ არ უნდა ემსგავსოს,—სულ მოგზაურობაში იყოს, სულ დაწოწავდეს?! ამით ჩვენ, როგორც ერს, ვითომ ბევრი რამე გვემატება? აი წუხელ, ბოშური სიმღერის კონცერტზე რომ ვიყავით და დიდი ესთეტიკური სიამითაც გავიმსჭვალეთ, დღეს კი, ნაძალადევისკენ გადასასვლელ ხიდზე „კეკა-ჟვაჩკას“ გამყიდველ ბოშა-ქალებს რომ ჩავუარეთ, ზურგზე რომ ერთი ღლაპი ჰკიდიათ და „მეორე“ კი, თოჯინისებურად, თავიან-ფეხიანად ბინძურ ჭინჭებში გახვეული — მილიციის დასაფრთხობად, ბიჭი ხარ და ხელი მახლეო! — ცალ მკლავზე „მიუძინებიათ“, — როგორ, ჩვენ მათდამი, წუხანდელი საღამოს ეშხით, უფრო მეტი სიყვარულით გავიმსჭვალეთ?! (მე ამას უფრო ჩვენი ქვეყნის შინა გასტროლებზე მოგახსენებთ, საზღვარგარეთ კი ასე „ფართოდ“, საბედნიეროდ, ჯერ არ გვიცნობენ).

არც ერთი დიდი, სერიოზული თეატრი თავის ადგილსამყოფელს იშვიათად თუ ტოვებს დიდი ხნით, და თან ხშირ-ხშირად... ასე რომ იყოს, როგორ ფიქრობთ, მოსკოვის ტაგანკის თეატრს, ვახტანგოვის თეატრს, სატირის თეატრს, ტოვსტონოგოვის თეატრს ლენინგრადში, უკრაინის ფრანკოს სახელობის, ლიტვის პანევეჟისის, ესტონეთის „ვანემუინეს“ თეატრებს საზღვარგარეთ მიმპატიჟებლები არ გამოუჩნდებოდნენ და იქ, თუნდაც დიდი ხნით დარჩენილიყვნენ, მაყურებლები მოაკლდებოდათ?!

რასაკვირველია, არა, მაგრამ ისინი უფრო იმაზე ზრუნავენ და დღენიადაგ იმაზე ფიქრობენ, რა გზებით გაახარონ საკუთარი, თავისი მაყურებელი და რით მოხიბლონ (ცხადია, ამ გზებსა და ამ მოხიბლვაში კარგი სპექტაკლები იგულისხმება).

ჰოდა ჩვენ, ქართველ მაყურებლებს კი რით გვახარებს

ჩვენი პირველი, „საგასტროლო“ რუსთაველის თეატრი? ჩვენ ხომ მისი, ასე ვთქვათ, მაინც ძირითადი, მთავარი მაყურებელი ვართ?! იგი ხომ ათასჯერ უფრო ჩვენზე უნდა ეყრდნობოდეს, ვიდრე ცხრა მთას იქითურ მექსიკელებზე?!

ნუ მოგვერიდება და ვთქვათ გულახდილად: ჯერჯერობით მაინცდამაინც ბევრით ვერაფრით გვახარებს. საამისოდ, ერთი შეხედვით, თითქოს პრიმიტიულ საბუთს მოგიყვანთ: რემონტის გამო რუსთაველის თეატრმა, მთელი თავისი რეპერტუარით („ცარცისა“ და „რიჩარდის“ გამოკლებით), დროებით ბინა საბურთალოში დაიდო, სადაც ათიათასობით ქართველი მოსახლეობაა, მაგრამ აქაც კი, მათთან ახლოს გადმოსული თეატრის კარებს მტვრევა არცთუ ბევრმა დაუწყო და ხელოვნების ახლა უკვე ამ მოძრავმა კერამ ამჯობინა ადგილი გამოეცვალა...

და აი, რამდენი ხანია რუსთაველის თეატრი თბილისში არ იმყოფება, და არავის ამის გამო გული არ შესტკივა, არავინ არ კითხულობს, სად არის, ან როდის ჩამოვა, მომენატრაო.

დიახ, ერთი პოეტის ცნობილ სტრიქონს სახე რომ ოდნავ ვუცვალოთ... თეატრი, რომელიც ქალაქს აკლია, — ეს რომ არ იგრძნობა ხოლმე, ამაზე უფრო გულსაწვავი თავად თეატრისათვის შეიძლება იყოს სხვა რამე?!

ამის მიზეზი ბარე ათამდეც შემიძლია დავასახელო, ზოგიერთი მათგანი, ოღონდ პირდაპირ მიუთითებლად, ადრეც მოვიხსენიე, ახლა კი მხოლოდ ერთზე, დასკვნისებურ მიზეზზე შევჩერდები:

გზა, რომლითაც რუსთაველის თეატრი მიდის, არ უნდა იყოს ჩვენი პირველი, ეროვნული თეატრის მთავარი გზა: სტილური აღრევა, მომაბეზრებელი და გაუთავებელი მოხისური „ექსპერიმენტები“; ცოტა პანტომიმა, ცოტა პიროტექნიკა, ცოტაც „მიკროფონიკა“, „ტანცები“ და, საერთოდ, დრამატული თეატრისათვის შეუთავსებელი და მისი დამაკვირებელი არცთუ ცოტა ოპერეტულობა, და ამავე დროს სრული უპატივცემლობა სიტყვისა და მისი გამომხატველი საშუალებებისადმი. საერთოდ, დრამატურგიული მასალისადმი თვითნებური, დამწყები ყასბის — ჯერ კიდევ რომ ვერ გარკვეულა, ჩალაღაჯი სად არის და სუკი სად, — დანით მიდგომა დრამის,

პიესისადმი, რომელიც მუდამ იყო და დარჩება თეატრის საფუძველი. თუკი, ცხადია, გვინდა, რომ დრამატული თეატრი ჰგავდეს დრამატულ თეატრს, და არა მოცირკოლ-მოოპერეტო-მობალაგანო სანახაობას.

რაკი მე. როგორც შინაურ მღვდელს, ვიცი, შენდობა არ მექნება, ჩვენი რეჟისორ-ნოვატორების (!) თვალთახედვასა და ყურთასმენას ვთავაზობ „გარეულ", თანაც არათუ რიგითი „მღვდლების", — „ეპისკოპოსებისა" და „არქიეპისკოპოსების" ნაქადაგებს, თუმცა ესეც ვიცი, — კარგ მთქმელს კარგი გამგონე უნდა, კარგად დაწერილს კი კარგი წამკითხველი:..

კონსტანტინე სტანისლავსკი:

«Театр живет идеями драматурга».

ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟინი:

„გადამეტებულ მიმიკას, მოქმედებას, მოძრაობას შეუძლია ზიანი მოუტანოს ს ი ტ ყ ვ ა ს, რომელიც დრამატურგიისა და სცენური ხელოვნების დ ე დ ა ბ ო ძ ი ა".

რეჟისორი გიორგი ტოვსტონოგოვი:

„ჩვენი პროფესიის კეთილშობილური სიდიადე, მისი ძალა და სიბრძნე ის არის. რომ ნებაყოფლობით და შეგნებულად შეიზღუდო თავი. წარმოსახვის საზღვრებს ხომ ავტორი გვიდგენს. და ამ საზღვრებიდან გადასვლა უნდა ისჯებოდეს კიდეც, როგორც ავტორის მიმართ ჩადენილი ღ ა ლ ა ტ ი და ვ ე რ ა გ ო ბ ა; მონახო ერთადერთი სწორი, ზუსტი და მხოლოდ ამ პიესისათვის გამოსადეგი პირობითი ხერხი — აი. რეჟისორის უმაღლესი და უძნელესი ამოცანა".

დრამატურგი ვიქტორ როზოვი:

«Еще и еще раз я убеждаюсь: если театр ставит пьесу так, как ее замыслил автор, впечатление наиболее сильное».

(«ЛГ», № 23, 1982 г.)

როლფ ხოხუტი, ჩვენში ჯერ კიდევ ნაკლებად, მაგრამ დასავლეთში დიდად ცნობილი გერმანელი დრამატურგი:

«Обычно в возрасте сорока лет многие режиссеры переходят к постановкам лишь классических пьес, видимо, полагая, что таким путем и сами они станут классиками. Между тем, история культуры сохранила

имена только тех режиссеров, которые работали с авторами—своими современниками.

Постановка произведний современных, живых драматургов предполагает наличие у режиссера мужества, которое присуще подлинному служению в искусстве. Музейные отношения с давно признанными авторами, произведния которых никого более не беспокоят, удел посредственностей». («Театр», № 12, 1981 г.).

— — —

(...27 სექტემბერი, 1982 წელი, საღამოს 8 საათი: ეს-ეს არის ტელევიზიით გადასცეს „რუსთაველის თეატრი შორეულ აღმოსავლეთში"; გვესაუბრნენ თეატრის ერთპიროვნული ხელმძღვანელი და სხვა პატივსაცემი პირები.

ჩვენება დაიწყო იმ ქართულ-რუსულ-ინგლისურ ენოვან ემბლემით, რომელიც — ამას ხაზი უნდა გაესვას და არ უნდა ითქვას ეს სხვათა შორის — ჯერ კიდევ თეატრის შარშანდელ იუბილეზე შემოგვაპარეს, რაც, ცხადია, ჯაჭვის იმ ერთ-ერთი რგოლთაგანი იყო. თავდაპირველადვე წინამორბედთა მიმართ სამადლობელი ტლინკებისგან რომ იყო ასხმული...

რუსთაველის თეატრს მშვენიერზე მშვენიერი ირაკლი გამრეკელისეული ემბლემა აქვს და მისი შეცვლა იმდენჯერვე, რამდენჯერაც თეატრში განდიდების მონატრული („ისტორია ჩემით უნდა დაიწყოს!") ესა თუ ის „დირექტორ-კაპიტანი" მოვა, არ უნდა იყოს მის ხუშტურზე დამოკიდებული... ორი ემბლემა კი — ერთი შინ სახმარად, მოკვდავთათვის და მეორე გარეთ გასატანად, უკვდავთათვის, — არათუ მოსკოვის სამხატვრო თეატრს, რომლის ფარდას, აფიშებს და პროგრამებს თითქმის დღიდან დაარსებისა თოლია ამშვენებს, — აფრიკის ეგრეთ წოდებული განვითარებადი ქვეყნების, ჯერ კიდევ ძიებაარჩევანში მყოფ არც ერთ თეატრს არ მოეპოვება, — ერთი ჩვენთვისო, ზანგებისათვის, მეორე თეთრებისათვის!

ამ გადაცემაში ჩემთვის ერთდროულად სამწუხაროც იყო და სასიამოვნოც რობერტ სტურუას ბაგეთგან გაგონება იმ სიტყვებისა, რომ ამ გასტროლების დროს „ნაკლები წარმატება ჰქონდა „ვარიაციებს" და „როლს დამწყები მსახიობისათვის..."

სამწუხარო იყო იმიტომ, რომ შორეულ ხაბაროვსკშიც მე ქართველი კაცი ვარ და იქაც კი ყოველგვარი ღირსეული ქართული საქმის წაფორხილება („И это есть театр Руставели?!“) ცხადია, დამაღონებს, მეორე მხრივ კი სასიამოვნო იყო იმიტომ, რომ ამ სპექტაკლების ჩემი შეფასება არ გამოდგა სუბიექტური და მცდარი...

დამდგმელმა გვამცნო აგრეთვე, რომ ერთ-ერთი ამ სპექტაკლის პირველი მოქმედება ახლებურად გადაამუშავა, მეორე მოქმედება კი, დროის სიმცირის გამო, ვერ მოასწრო...

დაე, ყოველისშემძლე მელპომენა იყოს ამ სანაქებო საქმეში დირექტორ-რეჟისორ-დრამატურგ რობერტ სტურუას მფარველი. ისე კი, ვფიქრობ მაინც, ფუჭად ჩაივლის „ფიქრნი მისნი, შავად მღელვარნი“... ამ პიესებს არათუ ხელახალი დადგმა, — ხელახლა დაწერაც ვერაფერს უშველის).

— — —

მკითხველო, მით უფრო არათეატრალი მკითხველი, ალბათ, იკითხავს, ასე კუპრში ამოვლებული ფუნჯით რომ დაგვიხატეთ ჩვენი საუკუნოვანი, ეროვნული თეატრის სურათი, თუკი აქედან სულ ცოტა რამეც არ ღალატობს სინამდვილეს და ზოგი რამ მაინც, ასე თუ ისე, მართებულია. მაშინ სად არის, რატომ არ იჩიჩქნის ყურებს და არ აქცევს ყურადღებას კულტურის სამინისტრო, მისი კულტურული მინისტრიო...

ო-ო, ჩვენი კულტურული მინისტრი!..

ის ბევრად უფრო მეტია, ვიდრე კულტურული: ნიჭიერი, გონიერი, განათლებული, მართლაც გამოსაჩენი, „საგასტროლო-საექსპორტო“ კაცია, რომელზეც ენა ვერ მოგიბრუნდება თქვა — **У кого нет вкуса, ему нечего делать в искусстве!** ალბათ ამიტომაც არის იგი შეუცვლელი მინისტრი აი უკვე 18 წელიწადია და. როგორც ჩანს, რევოლუციის პირველი წლების ერთი პლაკატისა არ იყოს... **«Царству рабочих и крестьян не будет конца!»**

ჰოდა, თუკი ასეა, მით უმეტესო,—მეუბნებით თქვენ, რის პასუხადაც ერთი პაწია კუდმოკვეცილ ზღაპარს გიამბობთ:

იყო და არა იყო რა, მინისტრობაზე უკეთესი, აბა რა იქნებოდა!..

იყო ერთი პატარა ვაიმარის საჰერცოგო.

ჰერცოგს დიდად ესახელებოდა, რომ მას კულტურის მინისტრად გერმანიის ყველაზე დიდი პოეტი ჰყავდა — იოჰან ეოლფგანგ გოეთე.

და არც გოეთე თაკილობდა ჰერცოგის მინისტრობას: იყო თავისთვის საჰერცოგოში, არაფერზე გული არ შესტკიოდა (თუმცა იმ მშვიდ საუკუნეში არცთუ ბევრ ვინმეს ჰქონდა გული აბატკივებელი), ნელა და დინჯად, უშიშრად და აუჩქარებლად თავის საქმეებს აკეთებდა და არც ის მოსდიოდა აინუნში. ზოგ-ზოგებმა მას, სალონებში, საკუთარ საქმეთა მინისტრიო — რომ შეარქვეს.

აბა, ჩემო პატარებო,

ლხინი იქა, ჭირი აქა!.. ოი, შემცდა, ჩემო პატარებო,

ჭ ი რ ი იქა, ლხინი აქა..

მარტი, 1982 წ.

P. S. წინამდებარე ნაწერით ორ-ბეჭდვით ორგანოს დავურღვიე მყუდროება, მაგრამ არც ერთმა არ მიიჩნია დაბეჭდვის ღირსად, თუნდაც დისკუსიის წესით მაინც; ერთგან კი მთხოვეს და წამაქეზეს კიდეც. გვიჩივლეო, ჩვენ ეს დამსახურებაში ჩაგვეთვლებაო, სწორედ ამიტომაც არ ვამჟღავნებ მათს ვინაობას, — არ მინდა ჩემი წყალობით მათ მადლობა უწყალობონ.

სექტემბერი, 1982 წ.

გ ვ ი ა ნ დ ე ლ ი დ ა მ ა ტ ე ბ ა:

1982 წლის 23 ოქტომბრის რადიოგადაცემიდან:

„მიკროფონთან არის რესპუბლიკის სახალხო არტისტი მედეა ჩახავა:

„...სარეს როლი ჩემი საყვარელი როლი გახლავთ; იგი ისე კარგად აქვს დაწერილი ავტორს, ყოველი მსახიობისათვის მისი თამაში უბრუოდ ბედნიერებაა.

მე დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ კიტა ბუაჩიძეს, რომელმაც, როგორც ერთხელ თვითონ მითხრა, ეს როლი თავიდანვე ჩემთვის გაიაზრა. მე მას ყოველთვის დიდი ხალისით ვასრულებდი ხოლმე და დღემდე გამომყვა

მისადმი სითბო და სიყვარული; აქვე ისიც მინდა შევნიშნო, რომ ამ როლს, მერე და მერე, ჩემზე უკეთესი შემსრულებლები გამოუჩნდნენ".

პიესის ავტორი კი ფიქრობს. მეეზოვე სარე, მედეა ჩახავას შესრულებით, ყველაზე უნაკლოა მათ შორის, რომლებიც მას უნახავს, უნახავს კი მას თითქმის ყველა სარე ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ სცენებზე.

ავტორი ფიქრობს აგრეთვე, რომ მსახიობი — დედის ამ რადიოგამოსვლას, რომელიც დასათაურებული იყო „ულიმილოდ ვერ მოისმენთ", — თუ საერთოდ უსმენდა მისი შვილი — რეჟისორი, — უსმენდა. ეჭვი არ არის, ირონიული ღიმილით.

რა გაეწყობა,

„თაობა მიდის, თაობა მოდის!.."

საქართველოს კომუნისტური პარტიის
ცენტრალური კომიტეტის
მდივანს გ. ენუქიძეს

ბატონო გურამ!

თქვენ, ცხადია, ათეისტი იქნებით, ამიტომ ამ ბარათში არა ღმერთს, — ნეიტრალურ ზეცას ვწირავ მადლობას, რაკი თქვენი სიტყვა თეატრალური საზოგადოების პლენუმზე შარშან, სექტემბერში, დაინფარქტებულს, არ მომასმენინა და, რაღაც ბედად, არც იმ დღეებში და არც მერე, ამის ირგვლივ არც ერთ მნახველ-ნაცნობს ჩემთან კრინტიც არ დაუძრავს.

თქვენს სიტყვას სულ ახლახან შემთხვევით თვითონ წაეწყდი ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში":

„ამასწინათ გავეცანი ერთ-ერთი თეატრალური მოღვაწის წერილს, სადაც ჩვენს რეჟისორებს ბრალად ედებათ ათასი რამე. კიდევ კარგი, წერილს აქვს მინაწერი, სადაც ავტორი ერთ-ერთ მსახიობს შესჩივლებს: თქვენმა რეჟისორმა შვილმა ჩემი პიესა არ დადგაო. ე. ი. მისი კრიტიკის მამოძრავებელი ძალა გახლდათ არა ობი-

ექტურობა, არამედ პირადი განაწყენება. წყენა კი, დამერწმუნეთ, ცუდი მეგობარია".

ასეთი შექებისათვის მადლობის მეტი, აბა, რა მეთქმის: კაცი ტიკი-ტომარად კი არა, მოღვაწედ გამომაცხადეთ, მაშინ როცა თავად ჩემი თავი მოღვაწედ სრულებითაც არ მიმაჩნია. დრამატურგად — კი, მოღვაწედ — არა...

მოღვაწე დიდი ცნებაა, სხვათა შორის, ასევე მეცნიერიც, ახლა ამა თუ იმ დარგში საშუალო მომუშავეს, ზოგჯერ ცუდად მომუშავესაც კი, მართლაც ტიკი-ტომარას და გაქნილ საქმოსანსაც რომ მიაკერებენ ხოლმე.

ისე კი...

აბა, რა მოღვაწეა ის „მოღვაწე", რომელიც მართალ ადამიანებს ფუთობით ცრუბრალდებას წაუყენებს, — იგი უფრო ცილისმწამებელია.

ისე კი, კვლავ ისე კი...

თქვე დალოცვილო. „ათასი რამე" თუ დავაბრალე „ჩვენს რეჟისორებს",—ნუთუ ამ ათასიდან მართებულად ერთიც არ მიიჩნიეთ? აი, თუნდაც, ის, რომ „კუტუ-კუტუები" სცენიდან არაფერი სახსენებელია და არც სქესობრივი აქტი, თუგინდ მისი იმიტაცია, არაფერი საჩვენებელია?

როგორ ფიქრობთ, ჩვენს ისეც სირცხვილდაკარგულ ახალგაზრდობას ასეთი რეჟისორული „ნახოდკები" ზნეობრივად კიდევ უფრო გააფაქიზებენ?!

თქვენ ხშირად დაბრძანდებით ხოლმე პრემიერებზე და... აბა, ერთი, გულის სიღრმეში საკუთარ თავს დაეკითხეთ, „კალიფორნია". „ნადირობა", „ანა კარენინა", „სამოთხის ჩიტი", „სიყვარულის მზე" და ბევრი სხვაც, — რამდენად დადგმის ან ა მ გ ვ ა რ ა დ დადგმის ღირსნი იყვნენ,—ამას რომ სულაც თავი დავანებოთ, ნუთუ ჩვენი თეატრალური ინსტიტუტისა და ჩვენი რეჟისორების მიერ გაწვრთნილი მსახიობების მეტყველებამ ცოტათი მაინც არ შეგაძრწუნათ?! ანდა ნანახმა მოგანიჭათ კი რაიმე ესთეტიკური სიამოვნება? აღძრა კი თქვენში სიხარული (ისეთი კი არა, გაზეთებისათვის რომ არის ხოლმე განკუთვნილი), რაიმე ა დ ა მ ი ა ნ უ რ ი სიხარული, და ეს

სიხარული, ვიდრე თეატრიდან შინ მიაღწევდით, გზად მაინც გეთანამგზავრათ?

ეგებ თქვენს -მოადგილეს, ნოდარ ჯანბერიძეს გამოჰყვა ამ და მრავალი სხვა სპექტაკლიდან აღმაფრენა და ენთუსიაზმი? აკი ისიც, თქვენი არ იყოს. ერთობ ნაწყენი ყოფილა, თურმე, ჩემზე, „საით მიექანება ქართული თეატრის" გამო...

...და მაინც, როგორც იტყვიან, შეენდოს!

შეენდოს უფრო იმიტომ, რომ... მახსოვს, დაახლოებით ათი-თორმეტიოდე წლის წინათ ბატონი ნოდარი მსახიობის სახლში ერთ რომელიღაც შეკრებილობაზე გამოვიდა, როგორც უბრალო, რიგითი, მგონი, შემთხვევით იქ დამსწრე და კეთილი. დასაცავი სიტყვებით მოიხსენია იმ დროს ბევრისგან (კომპოზიტორ-მინისტრის, „მეკარკაცი" თაქთაქიშვილის მეთაურობით!) უსამართლოდ და ტუტუცურად ჭიტლაყამოკრული ვახტანგ ჭაბუკიანი...

საგულისხმო ის არის, რომ ეს არც იმ კრების თემა-დანიშნულებას შეადგენდა და არც ორატორის მაშინდელი საქმიანობის პროფილიდან გამომდინარეობდა, მაგრამ მან, როგორც იმ დროს პატიოსანმა მოქალაქემ, საამისოდ მაინც მონახა ჭეშკრუტანა და...

ჰაი-ჰაი, რომ პროფესორი ჯანბერიძე — ამაში პაწაწკინტელა ეჭვიც არ მეპარება—„ზევით" რომ არ მუშაობდეს, ჩემი იმ „ნაჯღაბნის" წაკითხვის შემდეგ, ქუჩაში შეხვედრისას, მოწონების ნიშნად, ხელსაც მაგრად ჩამომართმევდა და, ვინ იცის, შეიძლება მადლობითაც დამასაჩუქრებდა, როგორადაც ეს ჭკუით მასზე არანაკლებ სხვა პროფესორებმა მოიმოქმედეს, — და საერთოდ, ყველამ, ვინც კი მასში კბილგაკრული არ არის, — თქვენ დაწერეთ ის, რაც ყველა ჩვენგანს გულში გექონდათ.

დიახ, სწორედ ეს გახლავთ, ბატონო გურამ ნამდვილი მწერლობა, — თქვა ის, რაც ხალხს აწუხებს და, სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგს ვერ უთქვამს, ზოგსაც ვერ გამოუთქვამს, ჩაიხედო მის გულში და ამოიკითხო და შენად მიიღო მისი სატკივარი.

. ამას კი დიდი არაფერი მნიშვნელობა აქვს „პირად განაწყენების" საფუძველზეა იგი ნათქვამ-დაწერილი, თუ...

ვიცი, არ დამერწმუნებით, მაგრამ მაინც გეტყვით: კარგი და სანაქებო, საერთოდ, არაფერი არ იწერება აუღელვებლად!

აუღელვებლად დაიწერა ოცდაათიან წლებში, მაგალითად, ფხაკაძის პოემა „შრომადღეები“, რომელიც იმხანად ერთმა სახელმორჩმულმა პირმა, მალაქია ტოროშელიძემ, თუმცა „ჩვენი დროის „ვეფხისტყაოსნად“ გამოაცხადა, მაგრამ... ახსოვს კი ახლა ვისმე ეს... „შრომატყაოსანი?“ აი, თუნდაც, თქვენ, გაგონებით კი მაინც გაგიგონიათ?!

და თუ არ გაგიგონიათ, არ შეწუხდეთ, ამის უცოდინარობა თქვენს განათლებულობას ჩრდილს ვერ მოჰფენს, მაგრამ ის კი თუ არ მოგეხსენებათ, რომ მსოფლიო ლიტერატურა ათობით დიდებულ მხატვრულ ნაწარმოებს და სატევარივით ბასრ პუბლიცისტურ-კრიტიკულ სტატიო-წერილს ითვლის, რომლებიც სწორედ „პირადი განაწყენების“ ნიადაგზეა აღმოცენებული, — ეს კი, ცოტა არ იყოს, საწყენია.

მე შემეძლო ამ აზრის დასადასტურებლად, თვალსაჩინოებისათვის, დამესახელებინა რამდენიმე მათგანი, მაგრამ ამას თუ არ ვშვრები, მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ უტაქტობად მიმაჩნია „ნუცას სკოლა“ გაგიხსნათ, ეს ერთი, და მეორეც, —მათი სათაურები ისე ლომივით ბრდღვინავენ, ჩემი კატის კნავილის მათს გვერდით ამოყენება, ვიცი, მე თავად ჩამაგდებს, თქვენდა სასიხარულოდ, სასაცილო მდგომარეობაში...

თქვენ ბრძანებთ:

„ავტორი ერთ-ერთ მსახიობს შესჩივლებს: თქვენმა რეჟისორმა შეილმა ჩემი პიესა არ დადგაო“..

ბოდიშს კი ვიხდი დაეჭვებისათვის, მაგრამ...

თქვენ ჩემი ნაწერი დღევანდელ ქართულ თეატრზე მართლა საკუთარი თვალებით წაიკითხეთ, თუ... სხვისი მონაყოლით ბრძანებთ — უკაცრავული პასუხია — ასეთ მონაჭორს?

მე საამაყოდ საფუძველი, შეიძლება, სულაც არ გამაჩნდეს, მაგრამ ჩვენი დროისათვის და მისთვის ზედმიწევნით ზუსტად ფეხაწყობილ და ხმაშეწყობილ მუცელ და სახელგაბერილი ავტორების მსგავსად, ჯერ კიდევ როდიდან, ჩამოფასებული სიამაყის გრძნობას ახლაც არა ვარ მოკლებული: შედეა ჩახავასთვის არათუ წერილობით,—პირად საუბარშიც კი

ა რ ა ს ო დ ე ს შ ე მ ი ჩ ი ვ ლ ი ა, თქვენი შვილი პიესას არ დგამს-მეთქი, — მე მხოლოდ მისი აზრი მოვიყვანე. რაც მან საქვეყნოდ თქვა რადიოთი; ეს ჩანაწერი, ვინ იცის, ეგებ კიდევ ინახება ხელუხლებელ ფონდში, ასე რომ, თუ რამეს ვაყალბებ, ამის დადგენა თქვენს აპარატს არ გაუჭირდება:

„ნე დიდ მადლობას მოვახსენებ ბატონ კიტა ბუაჩიძეს, რომელმაც, როგორც ერთხელ თვითონვე მითხრა, სარეს როლი თავიდანვე ჩემთვის გაიაზრა. მე მას ყოველთვის დიდი ხალისით ვასრულებდი და დღემდე გამომყვა მისადმი სითბო და სიყვარული".

სად აღმოაჩინეთ აქ, ბატონო ჩემო, ჩემის მხრივ, ჩივილი, ბუზღუნი, „წყენა"?

ჰოდა, და თუ თქვენ „თეატრის" უკანასკნელი გვერდი მართლაც ჩაიკითხეთ, რატომ იმასაც არ მიაქციეთ მცირეოდენი ყურადღება მაინც, ჩვენი „ერთ-ერთი რეჟისორის" მსახიობი დედის გულიდან ნათქვამს, 30(ოცდაათი!) წლის წინათ ნათამაშები როლი ახლაც მახსოვს და „მისადმი სიყვარული და სითბო" აქამდე შემოვინახეო?!

სხვათა შორის, ეს ის კომედიაა, რომელიც დავით მჭედლიშვილის დღევანდელ თქვენს პოსტზე ყოფნის დროს, ვიდრე დაიდგმებოდა, კარგა ხანს აწამეს, როგორც „ანტისაბჭოთა პასკვილი"...

ერთხელ „დავით ვასილიჩმა", როგორც ცეკას მდივანმა, პათეტიკური ტონით საჯაროდაც კი განაცხადა: „მე ამ პიესის შინაარსი მიამბეს, ამხანაგებო, და, ვინც მას იცნობს, გეკითხებით, განა მისი დადგმა შეიძლება?!"

კი, მაგრამ... ამოდენა თანამდებობის კაცმა სხვისი (რამდენი მტერი ჰყავს, საერთოდ, ყველა ჩვენგანს!) ნაამბობით უნდა გამოუტანო მწერალ კაცს (თუგინდ მწერალი არც იყოს!) თუნდ ნახევარი სიკვდილის განაჩენი?! (იმ დროს ჩვენს ქვეყანაში კიდევ დაძრწოდა სტალინის მტარვალი აჩრდილი!).

...და მაინც, აფერუმ მჭედლიშვილის ვაჟკაცობას: როცა, დიდი მოგვიანებით, ეს სპექტაკლი რუსთაველის თეატრში ნახა, ირგვლივ მყოფთ უთხრა, როგორ შემაცდინეს, რა კარგი პიესა ყოფილაო.

ამას კი მტკიცედ ვერ ვიტყვი, თავისი ცოდვა უფრო იმიტომ მოინანია, რომ უკვე გრძნობდა, იორღადან მალე გადმოსვამენ, თუ...

ეს კი არის, ყველაზე შეუმცდარმა და მკაცრმა მსაჯულმა — დრომ აჩვენა, რომ „იმ“ პიესის დროულად გადაფასებაში მჭედლიშვილი არ შემცდარა.

აი, ამის სულ ახალი, ცინცხალი მაგალითი: შარშან მოხდა იშვიათი სასწაული (მსგავსი რამ ჩემს ცხოვრებაში, საშუალოდ, ათ წელიწადში ერთხელ ხდება ხოლმე!), რომლის წყალობითაც ერთი ახალგაზრდა რეჟისორი როგორღაც შეცდა და ჩემი „ავი ძაღლი“ აირჩია სადიპლომო სპექტაკლად...

ამ სამოიოდე კვირის წინათ სოხუმის ქართულ თეატრში მისი პრემიერა გაიმართა, და თუ თბილისამდე მოღწეულ ხმებს დაეჯერებათ, „არაჩვეულებრივი წარმატებით წავიდა...“ „ანშლაგს ანშლაგი მისდევს...“ „დიდად გაიხარა თეატრმა და სოხუმის ქართველობამაც...“

შეიძლება ეს პარადოქსად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ სოხუმსა და ცხინვალში თბილისზე არანაკლები თეატრები უნდა გვქონდეს: „უცხო ქვეყანაში“ ერის შემაკავშირებელ დუღაბად თეატრი ყოველთვის პირველ როლს თამაშობდა.

მე მგონია, თქვენს აპარატს არც ამ მოარული ხმების შემოწმება გაუჭირდება, და თუ ისინი დადასტურდნენ, მაშინ თქვენს თანამშრომლებს, ყოველმხრივ განსწავლული ნოდარ ჯანბერიძის მეთაურობით, ესეც დაავალეთ: დაგისახელონ სხვა რომელიმე, ერთი პიესა მაინც, საბჭოთა წყობილების დროს საქართველოში რომ დაიწერა და მას. დღიდან დაწერისა, 32 წლის გასვლის შემდეგაც, მჩქეფარე სიცოცხლის უნარი შერჩა...

და თუ ვერ დაგისახელებენ, მაშინ, წუთით მაინც, იმასაც ჩაუფიქრდით, — ნუთუ მე, პროფესიონალი დრამატურგი, რომლისთვისაც თეატრი, უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია, ფიზიკური და სულიერი ცხოვრების ერთადერთი წყაროა, — ჩემთან ერთად ჩემი კომედიები „ჩვენი რეჟისორების“ მიერ ასე აგდებულად უნდა იწიხლებოდეს?

თქვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ მათ, კ ე რ ძ ო ს ა უ ბ ა რ შ ი მ ა ი ნ ც, მოუწოდოთ მწერალთან ურთიერთობაში სულ

უპრალო, ელემენტარული ინტელიგენტურობისათვის (интеллигентность) — პირიქით, ისეც ყოველმხრივ გალაღებულთ (და გათავხედებულთ!), მფარველობის კიდევ უფრო ფართო ქალთას აფარებთ, მაგრამ...

განა მათ, „ზემოდან", ისევ რაღაც დაცვა ესაჭიროებათ ჩემი „კრიტიკისაგან", „რომლის მამოძრავებელი ძალა", თურმე, „არა ობიექტურობაა?!"

რამდენად მართებული ბრძანდებით თქვენ ჩემ მიმართ და რამდენად მტყუანი ვარ მე „ჩვენი რეჟისორების" მიმართ, ამას განსჯის ისტორია (არცთუ ისე შორეული)!

მხოლოდ ისტორია (ცხადია ნამდვილი, აკი გაყალბებული ისტორიებიც, ჩვენში კარგა ხანს ბოგინებენ ხოლმე!)... დიახ, მხოლოდ ი ს ტ ო რ ი ა ადგენს უტყუარ სიმართლეს, იგი ხელისუფალის ყოფილ ძალას და არც მის ყოფილ მაღალ ტრიბუნას, თეორისა და შავის გამოსამზეურებლად, არავითარ ანგარიშს არ უწევს.

ჰოდა, რაკი ასეა, თუნდ ამიტომაც არ უნდა ვიცხოვროთ მარტოოდენ დღედღეობით და ყოველმხრივ ვცდილობდეთ, სულ ცოტა შვილიშვილებს მაინც დარჩეთ საამაყოდ ჩვენი სახელი!..

— — —

გიგზავნით გასაცნობად „ერთი ცალმხრივი მიმოწერის პატარა ისტორიას".

რა დაგიმალოთ, გიგზავნით ფრიად დაინტერესებული: ამ ნაწერისთვისაც გამომლანძღავთ (ქარაგმულად!) მაღალი ტრიბუნიდან, თუ... გასცემთ განკარგულებას, რათა მისი პირველი ხუთგვერდ-ნახევარი („რუსთაველი!") დაიბეჭდოს...

აქვე ვურთავ შარშანდელ „თეატრალური მოამბის" მეოთხე ნომრიდან ამობეჭდილ, ჩემთვის პირადად სრულიად უცნობ თ. ბიბილურის წერილს დღევანდელი ქართული თეატრის მდგომარეობის შესახებ.

თუ დაითელით, თქვენი ნომენკლატურის ეს მუშაკიც კი, ჩემსავით „ათასს" არა, მაგრამ „ასიოდე ბრალდებას" უყე-

ნებს „ჩვენს რეჟისორებს“, თუმცა მათზე, როგორც არადრამატურგი, არაფერი პირადულით განაწყენებული, მგონი, არ უნდა იყოს.

აქედან სულ უბრალო დასკვნა: არა მარტო განაწყენებულები წერენ, თურმე, მწარე სიმართლეს!..

ამისათვის, როგორც ჩანს, საჭიროა არ გაბრუვდე მექსიკისა და „რანდჰაუზის“ ილუზორული ტაშით და, თანაც, სულ ცოტათი მაინც გქონდეს შემორჩენილი, დღეს ასე მივიწყებული და დათრგუნვილი მოქალაქეობრიობის გრძნობა.

ამ წერილს ხელნაწერის სახით მხოლოდ იმიტომ გიგზავნით, რომ არ მინდა მის შინაარსს, თუნდაც მემანქანე გაეცნოს.

ეს კია, ასლს ვიტოვებ: აბა სად არის იმის გარანტია, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ამ დაუბეჭდავ წერილსაც იმგვარადვე თავუკულმა არ შეატრიალებენ, როგორადაც წინანდელს და...

საწყალ კურდღელს აქლემად არ დაგვედავენ.

მერე კი, მე შენ გეტყვი, მაღალ ტრიბუნას შემოგთავაზებენ, რომ თავი იმართლო.

კიტა ბუაჩიძე

24 თებერვალი,
1984 წელი

ᲐᲘ. ᲕᲘᲡ ᲕᲣᲪᲝᲕᲔᲑᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ

ᲛᲝᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗ, ᲛᲝᲒᲕᲘᲮᲐᲠᲘᲐ

— სა-ქარ-თვე-ლო
მა-ლე თქვე-ნი
ა-ღარ იქნებაა-ა!..

СМЕРТЬ ГРУЗИНАМ

ასეთი მოწოდება იკითხებოდა ადრე დილით 1983 წლის 18 ოქტომბერს თბილისის ქუჩების მიწისქვეშა გასასვლელების კედლებზე და აქა-იქ მიწის ზემოთაც...



ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲦᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ

სტალინი, ორჯონიკიძე, ელიავა, კიროვი და სხვები,

ამათთან შედარებით წვრილფეხობა...

მოსკოვი, 1925 წელი.

აი, ამისთანებს უნდა ვუტოვებდეთ საქართველოს...

ქეთევან და ილია ნიგურიანები
და მათი ათი შვილი.
სვანეთი, სოფელი მულახი.

ივნისი, 1983 წელი.

თამაზ კვაჭანტირაძეს
როგორც ლიტერატორს და როგორც მინისტრს

ერთ დროს ჩემო ნამეგობრალო თამაზ!

მარჯანიშვილის თეატრში ერთ მსახიობს, რომელიც გაცნობოდა „ჩემი" რეჟისორის მიმართ, სათვალავით პირველ, მოურიდებელ, „კბენია" უსტარს, სინანულით ეთქვა:

— კიტა ბუაჩიძე დრამატურგი კაია, პოლიკარპეს მერე მეორეა, მარა რა გინდა, პირადი წერილების წერა იცის გლახისო...

ჰოდა, ახლა ამ განჩინებით შეშინებული, იმაზე ვფიქრობ, ეს ბარათიც „გლახა" არ გამომიეიდეს, მით უმეტეს, რომ ამის წინა ბარათმა, რომელიც 1989 წლის იანვრის პირველ დღეებში გამოგიგზავნეთ, თქვენი თავი დამაკარგვინა: ჩემზე ხელი აიღეთ, როგორც ახლო ნაცნობზეც კი, არადა, იმ წერილში გულმოსასველელი თითქოს ისეთი არაფერი იყო რა: რაკი მთელი ჩემი ცხოვრება ფილოსოფოს ზენონის იმ ერთი შეგონების მიმდევარი ვარ, რომ სიგლახე არ უნდა შერჩეს არავის, და არც სიკეთე არ უნდა დაეკარგოს არავის, მეც აედექი და ბერიკაცმა თქვენ, შედარებით ახალგაზრდა კაცს, თანაც იმხანად ხალხში განათლების ჯერ კიდევ არა მთესველ მინისტრს, მამაშვილურად გისაყვედურეთ, ისეთს, აბა, რას დაკარგავდით, თუ მე ახალი წლის მოლოცვით გამახარებდითმეთქი.

ო, თქვენ ეს ისე იწყინეთ, მას შემდეგ ჩემთან უბრობა არჩიეთ, მაგრამ აი, კარზე მომდგარ 1996 წლის წინა დღეებში სასწაულსავით, სრულიად მოულოდნელად ჩამესმის ტელეფონში თქვენი სასიამოვნო, დრამატული ტენორი, ლაპარაკის დასაწყისში თუ კარგად გავარჩიე, უძღები შვილის თაობაზე...

ჩემთვის ორმაგად სასიხარულო უფრო ის იყო, რომ სწორედ შემოქმედებითმა იმპულსმა — გაზეთ „მთაწმიდაში" გამოქვეყნებულმა ჩემმა ორმა პუბლიცისტურმა ნაშრომმა, რაკი გულით მოგეწონათ, — ჩაგაგონათ, ძველ წყენაზე ვაჟკაცურად

ხელი ჩაგექნიათ და გადაწყვიტეთ შემხმიანებოდით, თუმცა „გამოფიტულ ნიორში“ ჩემთვის უპალსტუხობის, თქვენთვის კი „უხამუტობის“ გამო, ცოტა არ იყოს, „გაგწკეპლეთ“ კიდეც.

სხვათა შორის, „ნიორი“ თავდაპირველად „ლიტერატურულ საქართველოს“ გავუგზავნე, მაგრამ თამაზ წივწივაძემ, „დიდიას“ მომიზეზებით, უკან დამიბრუნა, უფრო კი, ალბათ, იმიტომ, რომ მასში რედაქტორის არა ერთი ახლო ნაცნობი თუ მეგობარი ნიორწყალში მყავდა განბანილი, რომელთა წყენასაც, შეიძლება, მოერიდა, მათ შორის თქვენისასაც; დასტურ, ჩემი ეარაუდით, მხოლოდ ვ ა რ ა უ დ ი თ, — რასაც თქვენს უპალსტუხობაზე ეწერდი, იქნებ სწორედ თქვენმა სეხნიამ გაცნობათ, აკი ზუსტად ამის შემდეგ, იანვარსა და აპრილში, ტელევიზორში ორჯერ გიხილეთ ყელსახვევით, რა „სამოსელშიც“, თუ არაბულ „ლამაზს“ კი არა, ქართულ სიტყვას მოვიშველიებ, დიახაც, რომ პირმშვენიერი წარმოჩნდით, მაგრამ მერე და მერე, რაკი ჩვეულება, როგორც ჩანს, მართლაც რჯულზე უმტკიცესია, კვლავ ბედაურზე ამხედრდით, რისი დამადასტურებელი საბუთი ამასწინანდელ „საქართველოს რესპუბლიკაში“ ახალი მინისტრების სურათების გამოფენაა, საიდანაც „ჩაგალსტუკებულნი“ შემოგვცქერიან ყველანი, გარდა... გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს მინისტრისა!

გეტყვით იმასაც, რომ დიდ ვერაფერ სიხარულს მგვრის, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი უცხოელებს, მიღებისას, პალსტუხით კი, მაგრამ მუქ პერანგში ხვდება ხოლმე.

აბა ერთი, აწი მაინც დააკვირდით, ამერიკის პრეზიდენტ ბილ კლინტონს, საფრანგეთისას — ჟაკ შირაკს, ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჯონ მეიჯორს, გერმანიის კანცლერ ჰელმუტ კოლს, რომელიმე ამერიკელ კონგრესმენს ანდა იაპონიის რომელიმე დეპუტატს ასგთ შავებში როდისმე თუ ნახავთ გახვეულს? სუდარა რომ სუდარაა, ისიც კი თეთრია. დიახ!

გნებავთ ობივატელად ჩამთვალეთ, მაგრამ, რა ვქნა, სილამაზისთვის კი არ ამირჩევია, მაგრამ ჩემი არჩეული პრეზიდენტი, რამდენადაც ეს შესაძლებელია მის ასაკში, მაინც მინდა ყოველთვის ლამაზად გამოიყურებოდეს, და არა ისე, როგორადაც ახალი წლის მოლოცვისას, ამ საყოველთაო და არ-

სებითად ზეაწეულ, სამხიარულო, სადღესასწაულო წუთებში ფერად ტელეეკრანზე ბაიყუშურად შავ კოსტუმში, თალხ პერანგზე შავი ჰალსტუხით რომ გამოგვეცხადა.

ამბობენ, რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა ამერიკიდან პირველად დაბრუნებისას, სადაც პრესამ იგი ამ მხრივ არ დაზოგა და გაკილა, მრჩეველი აიყვანაო, როდის რა ჩაიცვას და როგორ გაიღიმოსო...

ჩვენ „ღიმილის მრჩეველი" თითქოსდა არ გვჭირდება, ისე კი, კაცმა რომ თქვას, ამ არჩევნებისას ქუჩებში გამოფენილი ორი დიდი სურათიდან პრეზიდენტობის ორი მთავარი კანდიდატი ისეთი ფართო, გულარხეინობით აღსავსე, გაბადრული ღიმილით გვიმზერდნენ, თითქოს მათ ეს დაგლახაკებული, გამათხოვრებული ქვეყანა თავზე კი არ ემხობათ, — ასე განსაჯეთ, იგი ვითომ უკვე ოაზისად აქციეს და ააყვავეს და ააყვავეს!

ასე რომ, ჩვენი პრეზიდენტი, თუკი, უფრო, ალბათ, დასაქმების მიზნით, ვინმეს მაინც შეარჩევს ასე ეგზომ საპატიო, ჭკუისდამრიგებლურ, სახელმწიფო თანამდებობაზე, ყოველ შემთხვევაში ახლაც ისევ იმ „მეცნიერს" ნუ შეიწყალებს, — იყო დრო! — საკანდიდატო დისერტაცია თბილისის უნივერსიტეტში მიახლოებით ამგვარ თემაზე რომ დაიცვა: „ქუთაისის ბოლშევიკები გრიგოლ ნარსიას რაიკომის მდივნობისას".

სხვათა შორის, მე წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, თუ ედუარდ შევარდნაძეს, თითქოს ხუმრობით, გააცნობდით ჩემს „კრიტიკულ სჯას" მის საახალწლო „გარდერობზე", ოღონდ ეს სხვას უნდა მიაწეროთ და არა მე, რადგან მე მისთვის, საერთოდ, ისეთი „ავტორიტეტი" ვარ, ასეც რომ ვუთხრა, მამათქვენს ამბროსი ერქვა-თქო, არც ამაზე დამთანხმდება და არ დამიკრავს კვერს.

ტელეფონით ჩვენი საუბრისას დაგპირდით, რომ გაზეთ „შანსს" გამოგიგზავნიდით, სადაც დაუძახინჯებლად დაიბეჭდა ჩემი „არავითარი საუპირატესო სტატუსი!", აგრეთვე წინა წერილების იმ გვერდებსაც, რომლებიც „მთაწმიდის" მიერ ამოგდებულ იქნა, რაც მეორე დღესვე მოგართვით კიდეც და გთხოვეთ, რაკი მათ წაკითხვას დრო ბევრი არ დასჭირდებოდა, სამი დღის შემდეგ დაგებრუნებინათ, მაგრამ, აი, მის შემ-

ლეგ უკვე ათ დღეზეც მეტი გავიდა და... როგორც იტყვიან, არ შეგჭამოთ, არ შეგჭამოთ რუხმა მგელმა!

მაშინ კი, ისევ თქვენ გასამართლებლად გავიფიქრე, ალბათ ახალი წლის დადგომას ელოდება, და თუ რამდენიმე წლის წინათ არა, ახლა მაინც, წინანდელთან შედარებით კიდევ უფრო დასევდიანებულს და გასაცოდავებულს, საახალწლო მოლოცვით გამახალისებს და თან წაკითხულის გარშემო თავის შთაბეჭდილებას გამიზიარებს-მეთქი, მაგრამ...

მაგრამ არც პირველში და არც ორში ხილიანის ქუჩიდან ჩემგან გაფაციცებით მიდარაჯებულ ტელეფონში... „არსაიდან ხმა, არსით ძახილი!..“

სამში კი, საღამოთი, რაკი დილიდანვე ხანგრძლივ მერყეობას და ჭოჭმანს ჰამლეტივით... დანიის პრინც ჰამლეტივით (და არა ახლა ჩვენში ასე პანტაპუნტად მიმოფენილ ჭოპორტ-მოხის-აჯამეთელ ჰამლეტებივით!), როგორც იქნა ვძლიე და, რაკი წერილის მოწერა არა და არ მინდოდა ხმის შიშით, ჩემი ბრიყვული პირდაპირობით, მასში რაიმე „გლახა“, ვაითუ ამჯერადაც გამეპაროს-მეთქი და უბის წიგნაკში დღემდე სასოებით შემონახულ თქვენი ტელეფონის ნომერს (36-59-29) ხელის პარკინსონისებური კანკალით დავწედი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ და ათჯერაც კი, მაგრამ... ამ შესაძლო შეების წყარიდანაც „არსაიდან ხმა“, არსაიდან ხმა...

ბოდა, ბოლოს, ამ უსასრულო სატელეფონო წამებისას, თითქოს უფალმა უეცრად გონების გზა გამიკვლია და ცნობათა ბიუროს მივმართე, მაგრამ ვაი ჩემს თავს — აბონენტს და ვი მათ პასუხს: ჩვენ მინისტრების ტელეფონებს არ ვიძლევითო...

ალბათ იმიტომ, რომ თქვენ, უსაქმურებმა, არ შეაწუხოთო...

ო, დიდი საქმის კაცი, თქვენც იცით, არც მე ვარ, მაგრამ, თუ ეს საქმეა, უკვე მეორე დღეა საგონებელს მიცემულ თავს ვიმტვრევ, ახლა მაინც რა ისეთი ვაწყენინე ერთ დროს ჩემს ნამეგობრალ თამაზ კვაჭანტირაძეს, ამჟამად უკვე ბატონ მინისტრს, რომ ჩემთვის, ტვინის ორივე ნახევარსფეროზე სკლეროზმოდებულისთვის, შეეხსენებინა 1996 წლის მობრძანება არა მაპმადიანურ სელჩუკ-მონღოლ-ოსმალებისგან, არა შაჰ-

აბა — აღა-მაჰმად-ხანისაგან, — ქრისტესმიერი ძმებისგან, გამსა-ხურდია-ქობალიასაგან გაუბედურებულ დღევანდელ ქრისტიანულ საქართველოში...

არადა, ვინ იცის, ეგებ ის გეწყინათ, რომ... გურამ ფანჯიკიძისა არ იყოს, როგორც გადმომცეს, ჩემი „საუპირატესო სტატუსი" დაწუნებით არ დაუწუნებია, ოღონდ საყვედურშეფერილად ესეც უთქვამს, „შანსში" არ უნდა მიეტანაო.

ჰო, მაგრამ, აბა, რა მექნა, როცა მის დაბეჭდვაზე უარი მითხრეს „ჩემმა" გაზეთებმა, „საქართველოს რესპუბლიკამ", „ლიტერატურულმა საქართველომ", „კავკასიონმა", დაბოლოს, „ჩემმა" ჟურნალმა „მნათობმაც", რომელსაც, დასტურ, ჩემს ლიტერატურულ ცხოვრებაში, ათეული წლების მანძილზე, მოკრძალების გამო, პირველად მიეკითხე ემზარ კვიტაიშვილის თაოსნობით და როგორც მალე დავრწმუნდი, მისთვისაც, თურმე, ვინმე მომწერლო ვყოფილვარ, და როგორც ასეთს, ახლა მადლობის მეტი, აბა, რა მეთქმის, მხოლოდ ერთგან ერთ ფრაზაში, ჩემი ენობრივი ქსოვილის კაპიტალური რემონტისათვის; მე მეწერა:

„მთელი ორი საათი, როცა ჩვენ ორნი, მამაკაცები, ვსაუბრობდით, თამარ ჩხეიძე თათრის ქალივით სკამზე გახევებული იჯდა, სიტყვა ერთიც არ ამოუღერღავს, სიტყვა ერთიც არ დასცდენია," — გადამისწორეს: „ერთი სიტყვაც არ დასცდენია"-ო.

(ისე კი, საერთოდ, 1995 წლის პირველი ოთხი ნომრის მიხედვით, რომლებიც ხელთ მომხვდა, მგონი, თითქოს უფრო უპრიანი იქნებოდა, „მნათობს" სახელი თუ შეეცვლებოდა: „მამა-შვილის მანათობელი მნათობი").

...მაპატიეთ, რაკი ახალი რამ ჩავამატე, თხრობის ძაფი გამიწყდა, არადა, იმას გიამბობდით, რომ... მე ხომ რედაქტორებს არავის არ ვეძმაკაცები, მინდოდეს კიდეც, — არც არავინ დამიძმაკაცდება, — აბა, ვის რაში უნდა, რაში გამოადგება, დაწყებული კომკავშირული ასაკიდან პარტიის ვეტერანობამდე, რომლის პატივი მას არც ოდესმე ჰქონია და არც როდისმე უძებნია, — მუდამ უთანამდებობო განდეგილი, გრძელი წუთისოფელი ისე რომ გალია, სიტყვით ან კალმით „არავის ვაწყენინო, თუნდ არამზადაც იყოს", საბჭოთა და პოსტსაბჭოთა

ცხოვრებაშიც ამ დიდად მომგებიანი დევიზით ერთი დღეც არ დაუღამებია და ყოველივე ამასთან ერთად იგი არათუ ოთხნაირი გვარის თევზისა და პირში ოხრახუშგაჩრილი, შამფურზე შემწვარი გოჭის სუფრის გამშლელია, რაც ჩვენი საუკუნის საქართველოში, მათ მიერ მიჩნეულ ჩემისთანა მ ა რ ა დ დ ა მ წ ყ ე ბ ი ავტორისათვის, შემოქმედებითაც ხინჯია უკანდამწეი...

არადა, თუნდ ასეც არ იყოს, გატიალებულ ეკონომიკაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ქართველი ხალხის ზნეობრივად კიდევ უფრო გამათახსირებლის, ბოროტი მანიაკის გამსახურდიას მოძულემ, ჩემი ნააზრევი გოცირიძის „იბერია-სპექტრში“ ხომ არ მიმიტანია ანდა ჯაველიძის „სამრეკლოში?!“

კი, ვიცი, „შანსი“ არ არის შევარდნაძის მაქებ-მადიდებელი, მაგრამ ეს მაინც ის გაზეთია, ომიანობისას, აფხაზეთში მთელი რედაქცია რომ წავიდა და იქ, ქვემეხების სროლა-გრუხუნში და ავტომატების ბათქაბუთქში ჩვენს მებრძოლებს ნაბეჭდი სიტყვით ამხნევებდა, ყოველ შემთხვევაში ამას ცდილობდა მაინც... ისიც მიიღეთ მხედველობაში, რომ... არ ვიცი კი, მე დამდეს პატივი თუ შევარდნაძეს, ეს კია, ჩემი სტატიიდან, შევარდნაძის მისამართით თქმული ერთი საქები სიტყვაც არ ამოუგდიათ.

კიდევ ერთი „აი, ისტორიაც“: ამ რამდენიმე ხნის წინათ, როცა „გამოფიტული ნიორი“ არც ერთმა ჩემმა — თეორიულად! — თანამოაზრე რედაქტორმა არ ჩათვალა გამოქვეყნების ღირსად, ვიფიქრე, რომელიმე დიდი კაცის ჩაურევლად ჩემისთანა პატარა კაცის მიერ წამოწყებულ, თუნდაც წმინდა საზოგადოებრივ, საქვეყნო, საერო საქმეს რაკი გვირგვინი არ დაედგმევა, — ავდექი და გურამ ფანჯიკიძეს მიემართე წერილობითი თხოვნით, იქნებ თამაზ წიფწიფაძესთან გამიწევდა „პროტექცია“-რეკომენდაციას, — რაღაც ორ ნაბიჯზე, პურის მოედნიდან მაჩაბლის ქუჩაზე მოიხმობდა და მიახლოებით, ჩემი ვარაუდით, ასეთ საუბარს გაუბამდა:

— რვიდან შვიდი არცთუ ცუდი კომედიის, „შავი წიგნისა“ და „ასტაფიევის“ დამწერი მართლაც დამწყები მწერალი ხომ არ არის, რომ მის მიერ გამოთქმულ, თუნდაც სადავო აზრზე პასუხს ჩვენ ვაგებდეთ და არა ის, თანაც მისი დღეები, უფალ-

მა თუნდ ცოტა კიდეე გაუხანგრძლივოს, მაინც დათვლილია და დათვლილი, და ნუთუ ჩვენ მხოლოდ ნეკროლოგში უნდა მივაყაროთ, მიწასთან ერთად, ადრეც მუდამ ჩალის ფასად ღირებული და ახლა ხომ, ფასიანი ნეკროლოგების პრესაში დამკვიდრებასთან დაკავშირებით, სულ ერთიანად გაუფასურებული... „კაცი ის იყო, მისი სიკვდილით ჩაქრა მზე, დაობლდა მთვარე...“

ჰოდა, საწყალი, ვიდრე კიდევ ბარნოვის... ო, ბოდიში, უკვე გადარქმეულ ირაკლი აბაშიძის ქუჩაზე ჯერ კიდეე დაღოლავს და სიცოცხლეს არ მოუკლავს (აკი უთქვამს თურმე: ზამთრის ასეთი თვეები თბილისელებს არ უნდა ეთვლებოდეთო სიცოცხლეში!), ავდგეთ და გავახაროთ, დავუბეჭდოთ „გამოფიტული ნიორი...“ ო-ო, ახლაც ნუ ვეტყვით, დიდიან... მის ავტორს არა მგონია გამოპარვოდა, თითქმის ერთი წელიწადი „ლიტერატურულ საქართველოში“ მთელი რომანი იბეჭდებოდა გაგრძელებებით... ახლა „მინაწერები სატელეფონო წიგნზე?!“ დასტურ, ამ საყოველისო საქებ-სადიდებელმა „მინაწერებმა“ ჩვენს კონსულტანტებს, ო, რარიგ გაუადვილეს, ვინც უკვე წავიდა, მათი განეკროლოგება და... რას იზამ, რაკი განგებას სიცოცხლე მარადის არავისთვის უბოძებია, გაუადვილდებათ, ცხადია, მომავალშიც, აკი, ყოველგვარი დამატება-გამოკლების გარეშე, შეგიძლია პირდაპირ გადმოიტანო მზამზარეული, ოღონდ აწმყო უნდა ნამყოში მოაქციო... ო, არც ის მგონია, ეს ბატონი „ნიორი“, როგორც დრამატურგი, ამ ბოლო დროს ისე მალიად გამოფიტულიყო, ვერ შეენიშნა ჩვენი ერთი საერთო მეგობრის, ასაკობრივად ასე მოგვიანებით, მოულოდნელი გადრამატურგება, რომლის დიდი მოცულობის, ალბათ ორიგინალობისათვის, ჟანრობრივად ცოტა უცნაურად შესახელებული

„ᲐᲠᲐᲞᲔᲠᲝᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲘᲔᲡᲐ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲐᲚᲛᲐᲨᲔᲜᲔᲑᲔᲚᲖᲔ,
ᲡᲐᲛ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐᲓ,“

გაზეთის ᲔᲠᲗ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ რომ დაგებეჭდა, მისი გვერდების სათვალავი თექვსმეტიდან ოცდაოთხამდე გაზარდე კიდეც, რასაც, იმქვეყნიურისა არა ვიცი რა, ამქვეყნად კი არასოდეს, არასოდეს არც ერთი დრამატურგი არ მოსწრებია, არც შოუ, არც ბრეხტი, არც კაკაბაძე... თუმცა იყო ერთი

შემთხვევა, 1942 წელს, როცა ომი გერმანელებთან თითქმის წაგებული გექონდა, სტალინის ბრძანებით, დიახ, სტალინის... „პრავდაში“ დაიბეჭდა ალექსანდრე კორნეიჩუკის პიესა „Фронт“, ოღონდ არა ერთ ნომერში (სხვათა შორის, მასში ერთი კარგი ქართველი სამხედროცაა გამოყვანილი, — გომელაური)... ისე კი, ჯანსულ ღვინჯილიას „ახალი ცაც“, ახლებურად თუ ვიტყვით, სამამულო ომის ფონზე იშლება, ჯითარდება და, რაც ჩემთვის, როგორც მწერლისთვის, უფრო მნიშვნელოვანია, დაწერილია ჩინებული ქართულით, ოღონდ მეუხერხულა კი, როცა მასში, ალაგ-ალაგ, „ლაბირინთი“, „ფლანგი“, „ცენტრი“ ამოვიკითხე, — აბა, რომელი იმდროინდელი ქართველი, მიხეილ ჭაბაშვილივით, ასე ბერძნულ-ფრანგულ-ლათინურად იმეტყველებდა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულ პატარა ამბავია, დიდი ამბავი ის იქნება, თუ ამ „არაჰეროიკას“ დამდგმელი რეჟისორი გამოუჩნდება, არადა, შეიძლება ბუნებით ნიჭიერი, მაგრამ აგრეთვე ბუნებითვე მოტუტუცი რეჟისორებისგან გაწამებული ერთი დრამატურგის თქმისა არ იყოს, დაუდგმელი პიესა გაუსვენებელი მკვდარიაო... ამ შემთხვევაში მე მაინც იმედს არ ვკარგავ: თუკი ამჟამად ჩვენში რომელიმე რეჟისორს რაიმე წიგნი აქვს გამოსაცემი, იგი უთუოდ დადგამს „ახალ ცას“, რათა ამით ცა გაეხსნას არა მარტო მის ავტორს, — ამის წიგნიერ რეჟისორსაც!.. რას იზამ, შენც ხომ იცი, ჩვენი ვითომდა უკვე არასაბჭოთა ცხოვრების მამოძრავებელი ძალა ახლაც, ახლაც კვლავინდებურად საბჭოთა რეჟიმის უცელელ პრინციპს ემყარება: შენ მომცემ ამას, მე მოგცემ ამას (Я тебе, ты мне!), და ასე იქნება კიდეე დიდხანს, დიდხანს, ვიდრე ამერიკელებივით ყველანი არ გავმდიდრდებით და, ვაი იმ ბედკრულს, ვისაც სანაცვლოდ მოსაწონი მისაცემი არაფერი ექნება...

ჩემდა სამწუხაროდ, გურამსა და თამაზს შორის არაფერი ამის მსგავსი სჯა-ბაასი არ გამართულა: ჩვენმა მართლაც ყოველმხრივ ყოჩაღმა თავმჯდომარემ

(მარტო ის ფაქტი რად ღირს, საახალწლოდ თაეის სამწყსო, არა მარტო ხელგაწვდილ მწერალთ, ყველას, 25-25 ლარი ჩამოგეირიგა, და ამას, ასე წარმოიდგინეთ, ქათამიც მოაყო-

ლა, თან — ამის წარმოდგენა კი უთუოდ გაგიჭირდებათ! — ერთი ყველული კი არა, ორი, ორი!)

ჩემი გამოსაქვეყნებელი სტატია კი, მისდამი მიწერილი „საიდუმლო ბარათითურთ", ყოველგვარი „ზაპისკა"—ჩარევის გარეშე... შიკრიკის ხელით რედაქტორს გაუგზავნა! კიდევ კარგი, ამ „ფელდეგერს" გზაში ჩემი ზლაპრული მეგობარი რევაზ კვერენჩხილაძე წამოეწია, მე მივუტანო და... რაკი იცოდა ჩემი აზრი, რომ ასეთი „დიპლომატიური ფოლტით" მიღებულს, ერთხელ მის მიერ უკვე უარყოფილს, თამაზი არ დაბეჭდავდა, მომიტანა მე...

ჰოდა, კიდევ იტყვიან, „შანსი", „შანსიო..." სხვა არა იყოს რა, „შანსმა" თავისი ხარჯით ორჯერ თუ სამჯერ ამგზავრა თბილისელები მეტროთი... არადა, იქნებ რომელიმე სხვა გაზეთი დამისახელოთ, რომელმაც, თუნდაც ჰოპულარობის მოპოვების მიზნით, როდისმე ამგვარად იქველმოქმედა?!

რასაკვირველია, ჩემზე ნაკლებად როდი იცით, იცით, როგორც ლიტერატორმა, ჩვენში არცთუ ცნობილ მწერალსაც კი, პრესაში ხსენებისას, გვარის წინ თუ რაიმე შემამკობელი, მოგუგუნე ეპითეტი არ წარუმძღვარე — ცნობილობას ვიღა აგდებს რამედ! — მაგალითად, სახელოვანი, სახელგანთქმული, სასიქადულო, ბრწყინვალე და მისთანები, და მასზე მარტო „კარგით" შემოიფარგლე, შეურაცხყოფად ჩაგითვლის.

ამას წინათ „კავკასიონში" მართლაც კარგი მწერლის გურამ გეგეშიძის ინტერვიუში ამოვიკითხე, „ჯაბა იოსელიანი უნიჭიერესი მწერალია"-ო, დიახ, ნიჭიერი კი არა, უნიჭიერესიო, ჰოდა, ეს თუ ასეა, მაშინ მიხეილ ჯავახიშვილი როგორღა მოვიხსენიოთ?

დიდი ხნის წინათ ვწერდი და, ვფიქრობ, ბევრი არაფერი დაშავდება, უბრალო ჭეშმარიტებას თუ კვლავ გავიმეორებ: ხალხში საერთოდ მართლაც ცნობილს და გამოჩენილს წარდგინება, მწერალია იგი თუ ნოტარიუსი, სულაც არ სჭირდება.

რა თქმა უნდა, ამას შეყოვნება და ჭოჭმანი არ ეგების, ოთარ ჭილაძეც უთუოდ მოაზროვნე ქართველი მწერლების ამ მცირე წყებას განეკუთვნება და, რაკი სიტყვამ მოიტანა, ცოტა არ იყოს, გამაკვირვა ზოგიერთმა მისმა აზრმა, გამოთქმულმა საგულდაგულოდ, სპეციალურად, მისხალ-მისხალ აწონილ-და-

წონილ, ასე ვთქვათ, საექსპორტო სტატიაში: „ორ სიმართლეს შუა“ („Литературная .газета“, 6.12.95; „ლიტერატურული საქართველო“, 29.12.95). ასე, მაგალითად, ეხება რა ზოგჯერ „მწერლის „დუმილისა“ თუ „გვერდზე დგომის“ ილუზიას“, მოგვაცხსენებს:

„რასაკვირველია, თუ სამშობლო მოითხოვს, ჰიუგოც უნდა ავიდეს ბარიკადზე, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმავე ჰიუგოს საწერ მაგიდასთან გაცილებით მეტის გაკეთება შეუძლია სამშობლოსათვის, ვიდრე ჰიუგოებისგან შემდგარი ბატალიონი გააკეთებდა ბარიკადზე“.

როგორც ზედავთ, თქმულია კოხტად, ლამაზად, ნამდვილად დიდმწერლურად, მაგრამ მის სისწორე-უტყუარობაში მაინც ეჭვი შეპარება და ეფიქრობ, ათასჯერ უფრო ბედნიერი იქნებოდა ის ერი და მისი სამშობლო, თუკი მას, ქვეყნის განსაცდელისას, არა მარტო საწერ მაგიდასთან, ბარიკადზეც ერთი პეტეფი, ერთი ბაირონი, ერთი ლორკა კი არა, — პეტეფებისგან, ბაირონებისგან, ლორკებისგან შემდგარი ათასეული — ბატალიონი აღმოუჩნდებოდა.

ზემოთ მოყვანილი ციტატის გაგრძელება ასეთია:

„ასე რომ, მწერლის დუმილი სრულებითაც არ ნიშნავს ჩუმად ყოფნას. პირიქით, შეიძლება, დუმილით გაცილებით მეტს ამბობდეს, ვიდრე ლაპარაკით“.

ამის წაკითხვით, ო, როგორ ამეხილა თვალები და გამეხსნა დახშული გონება, აკი აქამდე მეგონა, ემილ ზოლა, მაგალითად, ფრანგი ებრაელის, არტილერიის კაპიტნის, ალფრედ დრეიფუსის დასაცავად, რომელსაც სამხედრო შპიონაჟი ბრალდებოდა, თავისი დუმილით სულაც ვერაფერს გააკეთებდა, ვიდრე წერილობითი „ლაპარაკით“ („Я обвиняю!“), რომელმაც თავის დროზე მთელი ევროპა შეაზანზარა და, მის საფუძველზეც, ნაფიც მსაჯულებმა დრეიფუსს გამართლების ვერდიქტი გამოუტანეს.

ანდა, აი, ლევ ტოლსტოიმ, თუმცა იმ დროს, შეიძლება, „ომსა და მშვიდობას“ ეჭიდებოდა, საწერი მაგიდა მაინც მიატოვა, რათა რიგითი ჯარისკაც შიბუნინის დასაცავად თავი გამოედო, მისი ადამიანური ღირსების შეურაცხყოფისათვის ხეპრე და ტუტუც ოფიცერს სახეში რომ ლეწა, და იგი, მიუ-

ხედავად დიდი მწერლის მხარდაჭერისა, მაინც დახვრიტეს, შაკრამ ტოლსტოი სწორედ ამ შემთხვევაში არა განზე დგომისა და არა ჩუმად ყოფნა-დუმილისთვის ხალხის თვალში კიდევ უფრო ამაღლდა...

სხვა არა იყოს რა, მისი ერთი წერილის მარტო სათაური რად ღირს: „Не могу молчать!"

კერძოდ, მწერლის დუმილთან დაკავშირებით, ბარემ ესეც ვიკითხოთ, პრეზიდენტობაზე ჭკუაშეშლილი გამსახურდია, როცა უბრალო მოკვდავებისთვისაც კი იოლად მისახვედრად, საქართველოს უფსკრულისკენ მიაქანებდა, ბევრად ადრე ამ ტრაგიკულ ამბებამდე ჩვენს მწერლებს რევაზ მიშველაძემ ერის ჭირისუფლები რომ უწოდა, მათმა ავანგარდმა, დიდმა მწერლებმა და დიდმა ერისკაცებმა, არც ირაკლი აბაშიძემ და არც გრიგოლ აბაშიძემ, არც ოთარ ჭილაძემ და არც თამაზ ჭილაძემ, არც ვახტანგ ჭელიძემ და არც არჩილ სულაკაურმა, არც აკაკი ბაქრაძემ და არც ოთარ ჩხეიძემ, და არც პირველხარისხოვანი პოეტების მთელმა პლეადამ (გარდა ჯანსულ ჩარკვიანისა) დაბალი ხმითაც არ შესძახეს — „ამას რას სჩადიხარ? შენ ღუპავ საქართველოს, კონსტანტინე ბატონოს ერთადერთო ძევ!.."

და არც მის შემდეგაც, გამოთქვეს—გამოხატეს თავიანთი მოქალაქეობრივი პოზიცია, როცა გამსახურდიამ, ჩვენი „დიდი ეროვნული" პოეტის, მუხრან მაჭავარიანის მხარში ამოდგომით, დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო ომის საშინელება დაატრიალა, დიახ, ერთიც არ შეუღრიალეს ვაჟასებურად:

> შხამად შეერგოს სიცოცხლე,
> ვინც-კი ძმის სისხლით ძღებაო,
> ვის საპირადო საქმითა
> ოცი და ასი კვდებაო!..

რა თქმა უნდა, მე ზედმიწევნით ვიცი, ერისა და სამშობლოს გამოსახსნელად მათი ასეთი მგზნებარება-ამხედრება, ისტორიას თუ შემორჩებოდა მათივე სასახელოდ, თორემ ისე, არა მგონია, პრაქტიკულად რაიმე დადებითი გავლენა მოეხდინა გამსახურდიაზე და მის მრჩეველ-წარმართველებზე, მორიელისებური ინტელექტის მქონე ცოლზე და ცოლის დაზე, აკი (ანბანით) ჭაბუა ამირეჯიბის, თამაზ კვაჭანძირაძის, იზა ორჯო-

ნიკიძის, გურამ ფანჯიკიძის, თამაზ წივწივაძის დროულზე დროულმა გაფრთხილება-შეძახილებმა განა გონს მოიყვანეს პრეზიდენტობით გონგაბრუებული გამსახურდია?!

და მაინც, ამ უიმედო სიტუაციაშიც, გონებადაბინდულ, დაბნეულ ხალხს ზოლა—ტოლსტოისებური შეძახილი უფრო გამოაფხიზლებდა და გაუკვალავდა გზას სწორი არჩევანისკენ, ვიდრე ერის ამ უპირველეს ჭირისუფალთა „დუმილის" თეორიიდან გამომდინარე გვერდზე განდგომის ცვედნული პოზიცია.

ვინ იცის, იქნებ თქვათ, ამ დიდ მწერლებს ასე რომ ბრალავთ იმჟამინდელი დასაგმობი ხმის ამოუღებლობა — ენაზე კბილის დაჭერისათვის, გაყუჩება-მდუმარებისთვის, იმ დროს თვითონ სად ბრძანდებოდით, ბატონო, მაშინ როგორღა არც თქვენი ხმა ისმოდაო თითქოს...

მართალი ბრძანდებით, ოლონდ სულ მართალი არა: გამსახურდიას შუა მეფე-ბატონობისას, მისთვის უფრო მახლობელ, მეგრულ გვარს ამოფარებულმა, ხოტბა-დიდებას დახარბებულს, არა იმდენად მისთვის, რამდენადაც უფრო მიმხვედრისთვის იოლად მისახვედრი ირონიული ქებით შეზავებული ეპისტოლე გაეგზავნე, რომელშიც მოვუწოდებდი, განსაკუთრებით საგარეო საქმეების ასპარეზზე, სახელმწიფოებრივი რეალობისთვის ანგარიში გაეწია; არ ვიცი კი, მიიღო და წაიკითხა თუ არა, ეს კია, მისი დაბეჭდვაც ეცადე, მაგრამ გამსახურდიას რეჟიმის წინააღმდეგ ინტელიგენტურად მებრძოლმა, არჩილ ჯიგელიას გაზეთმა „დრონიმ", ვიღაც პენსიონერ მასწავლებლის ჯონდო ნადარაიას ნაფიქრალის გამოქვეყნებაზე თავი შეიკავა; არადა, ჩემი გვარის გამხელას პრინციპულად მოვერიდე, რადგან გამსახურდიას თვალში, როგორც მლიქვნელის ნაჯღაბნს, ამას რაიმე დადებითი შედეგი არ მოჰყვებოდა...

დიახ, მლიქვნელის, მლიქვნელი'ს, აკი ოთხმოციანი წლების დასაწყისში ქსეროქსზე გადაღებული „შავი წიგნი", ეგრეთ წოდებულ უმაღლეს ეშელონებში მოვინისტურ პასკვილად რომ შესახელდა და ხალხში მის გავრცელებას ჩეკისტები თავგამეტებით ებრძოდნენ, გამსახურდიასაც ჩავარდნოდა თურმე ხელთ და... შურით ავსილმა, ერის მომაკვდინებელ სატკივარზე მომთხრობი ასეთი წიგნი უფრო მას უნდა დაეწერა და არა

სხვას, თუნდაც მე, — მისი დედის თანაკლასელს, ღვარძლიანი „ღია ბარათი“ მახალა, თქვენ ამით ყველაზე დიდ ოფიციალურ პირს ემლაქვნელებითო, ესე იგი, ცეკას ცდივანს შევარდნაძეს...

და ეს იმ დროს, როცა მე, საწყალს, ბუნებაში ხშირად მეაშაყებოდა, ღვთის შეწევნით, კომუნისტური მაიმუნური ცხოვრება, არავის წინაშე, იმდროინდელ მრისხანე შევარდნაძის ჩათვლით, ისე განვლე, ერთხელაც არ ყავმაიმუნებულვარ, ეს კი...

ო-ო, ისე თქვენ იცოცხლეთ, მაშინ მე მას, „ზვიად ბალიშზეთავდადებულს“, ქართული კაცურკაცობის, საერთაშორისო დისიდენტური მოძრაობის და ამერიკელი ჟურნალისტების ბითუმად გამყიდველს, მოსკოვის ტელევიზიით, წუნკალი კატის შიშით ეკრანზე სულმოკლე თაგვივით რომ გამოგვეცხადა, ისეთი პასუხი ვთეთქვე, რომ...

მოკლედ, ეს პასუხი დაედო პირველ თავად „შაეზე შავ წიგნს“, და თუ სურვილი აღგეძრებათ, შემიძლია გაგაცნოთ ისიც და მთელი წიგნის ანაბეჭდებიც, რომელიც, „განათლების“ მიერ უკვე 6 წელიწადია აწყობილია და... როგორც შინაბერა სიკვდილამდე ელოდება საბედოს, მთხოვნელს, როგორც ჩანს, სწორედ ისეა მისი გამოცემის საქმეც.

ამ ათიოდე წლის წინათ ერთმა მართლაც ცნობილმა მწერალმა, ჩემზე თითქმის ორჯერ უმცროსმა და მუდამ ამა თუ იმ გავლენიან თანამდებობაზე მყოფმა და უფრო მეტის მსურველმა, როგორღაც, არცთუ ტრაბახით, გვაცნობა, ჩემს შემოქმედებაზე უფრო მეტია დაწერილი, ვიდრე მე თვითონ დამიწერიაო... არადა, იმხანად ის ოცამდე დასახელების ნაწარმოების ავტორი გახლდათ.

მასთან შედარებით მე, ცხადია, მაცვანცვალა მწერალი ვარ და გთხოვთ, არ მანუგეშოთ, თითქოს ეს ასე არ არის: თუ დავამრგვალებ, სამოცი წელიწადია, ასე ვთქვათ, დრამატურგიას ვემსახურები და ამ დროის განმავლობაში ჩემზე, როგორც დრამატურგზე, არც ერთ გაზეთში, არც ერთ ჟურნალში ერთი კუდმოკლე წერილიც არავის გამოუქვეყნებია, მაშინ როცა ზოგიერთ სხვაზე (აქ კაკაბაძეს არ ვგულისხმობ) ცალკე წიგნებიც კი გამოვიდა, ამის და ამის დრამატურგიაო...

არადა, უცნაურია თუნდაც ის ამბავი, რომ ამ ახალი წლის

წინა ღამეს რადიომ სწორედ ჩემი კომედიების მიხედვით, ერთი ორმოცის, მეორე ოცი წლის წინათ დადგმული სპექტაკლები გადასცა: რუსთაველის თეატრმა — „ამბავი სიყვარულისა“, მარჯანიშვილისამ — „ეზოში ავი ძაღლია!“ დიახ, „სამწუხარია“ მაგრამ რას გააწყობ: როგორც ჩანს, მაყურებლის ინტერესი მათ ახლაც შემორჩენიათ.

და მაინც, პატარა, უმნიშვნელო მწერალი რომ არ ვიყო და თან, ასე თუ ისე, ღირსეულ მოქალაქედ მთვლიდნენ, ხუთასი ჭირისუფლიდან რომელიმეს, მწერალს თუ კრიტიკოსს, ერთს მაინც, ამ ექვსი წლის წინათ, ათწლიანი ლოდინ-წამების შემდეგ, დასტამბულ „შავ წიგნზე“ ცოტა რაღაც მაინც რომ დაეწერა, ანდა რომელიმე გაზეთს, ერთს მაინც, „ლიტერატურული საქართველოს“ ჩათვლით, მკითხველისთვის თუნდ ძუნწი ქრონიკით ეცნობინებინა, ისე, როგორც ათობით სხვა ავტორების მიმართ იქცევიან, რომ გამოვიდაო...

სხვათა შორის, ჩემი არცთუ ახლო ნაცნობი და საყოველთაოდ ნამდვილ პროფესორად აღიარებული ალექსანდრე ღლონტი 1990 წლის 16 აპრილით დათარიღებულ ბარათში მწერდა:

„თქვენი საოცარი „შავი წიგნი...“ ხელმეორედ, სულმოუთქმელად გადავიკითხე. ესაა საშინელი სიმართლის, შავი სიმართლის ღაღადისი. მერედა როგორი ქართულით ნათქვამი! რა მასალაა მოხმობილი, რა ფრთიანი გამოთქმებია გამოყენებული! თქვენი სიტყვები კაცს ჟრუანტელს ჰგვრის, გონებას უფორიაქებს, სულს უდუღებს. „შავმა წიგნმა“ გამოაცოცხლა ქართველობა. წლების განმავლობაში ის ხელნაწერად ერცელდებოდა. ასეთი ბედი ჩვენს ეპოქაში სხვა წიგნს არ ჰქონია“.

იამზე შენგელია, „ჯერჯერობით ორი შვილის დედა“, მწერდა (10.04.90):

„ნამდვილად შეძრწუნებული და აფორიაქებული ვარ თქვენი „შავი წიგნის“ წაკითხვის შემდეგ, ვინ იცის, რა ბედნიერი დედა ვიქნებოდი დღეს, ეს წიგნი ცოტა ადრე რომ წამეკითხა. მე, ჯერჯერობით ორი შვილის დედას, უფლება არა მაქვს თქვენ შეგეხმიანოთ, მაგრამ ამ წერილით მინდა გამოვხატო ულრმესი მადლობა თქვენს მიმართ, რამდენადაც თქვენ ჩემს გულში ისეთი პატრიოტული ცეცხლი დაანთეთ, რომელიც არ ჩაქრება ჩემი სიცოცხლის ბოლო წუთებამდე“.

დიახ, ამ „ჯერჯერობით ორი შვილის დედის გულში“ კი დაანთო, მაგრამ... ვაჰ, რომ „შავმა წ~ბნმა“ -იმ დიდი მამულიშვილების გულსა და გონებაში მბჟუტავი ცეცხლიც ვერ გააღვივა, რომლებსაც 1979 წელს, ქსეროქსზე დიდი შიშით და სიფრთხილით გადაღებული მისი პირველი ეგზემპლარები გაეგზავნათ: მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს გრიგოლ აბაშიძეს, მწერალთა კავშირის მდივანს ნოდარ დუმბაძეს, კულტურის მინისტრს ოთარ თაქთაქიშვილს და „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორს ვახტანგ ჭელიძეს...

(თანამდებობაუქონელ მწერებიდან კი... ბოდიში, მწერლებიდან, გამორჩეული პატივისცემის ნიშნად, რევაზ ჯაფარიძეს მიერთვა, რომელსაც პირადად მარტო შორი სალმით ვიცნობდი, მაგრამ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ახლოს მეცნობოდა და დიდადაც ვაფასებდი, როგორც მწერალ-მოქალაქეს, რაც ასეთი იშვიათობა იყო და არის ახლაც).

ვინ იცის, რაკი მთელ საბჭოთა ხალხს არ მივმართავდი და მხოლოდ ჩემიანებს მოვუწოდებდი, — „ქართველებო, ჩვენი ახლო მეზობლების სასიხარულოდ ნუ ამოვწყდებით, ნუ ამოვწყდებით და თუნდაც მათ გულდასაწყვეტად გავმრავლდეთ, გავმრავლდეთ!“ — ჩემი ის „ქმნილება“, შეიძლება, ამიტომაც ანტისაბჭოთა კრამოლად მიიჩნიეს და თავი ისე მოიჩვენეს, თითქოს ჩემგან არც არაფერი მიუღიათ და არც არაფერი ჩემი წაუკითხავთ...

ამ მხრივ მათ, მოხანებისას, ფსიქიატრიის და პერსონოლოგიის აკადემიკოსმა ავლიპი ზურაბაშვილმა სულაც არ წაჰბაძა: ჩემი „ძღვენისთვის“, მართალია, ხელიც არ უხლია, და თუ რატომ, ეს მაინც შემომითვალა:

„ — გადაეცით ბატონ კიტა ბუაჩიძეს, მე ცენზურაგაუვლელ წიგნებს არ ვკითხულობ“.

(თუ უკან დავბრუნდები... რუსთაველზე შემთხვევით შეხვედრისას, რევაზ ჯაფარიძემ სალამი კი მომცა, მაგრამ... არ ეიცი ხიფათს მოერიდა თუ სხვა რაღაც მოსაზრებით, ისე უბრად ჩამიარა, თითქოს ჩემგან „შავი წიგნი“ არც მას მიეღოს).

ჰოდა, როგორ შემიძლია, ასეთი მოულოდნელი შემოღამებისას, არ მოვიგონო, რომ სწორედ იმ ხანებში თამაზ კვაჭანტირაძემ თავის ტელელექციებში, ცოტა შეპარვით, მაგრამ მა-

ინც გაბედულად, ორჯერ თუ სამჯერ, მთელი საქართველოს გასაგონად, მოიხსენია ეს „ცენზურაგაუვლელი“ ნაწარმოები, უნდა გამოიცესო, როგორც ერისათვის დიდად საჭირო წიგნი...

ვერც თქვენს იმ ერთ პატარა წერილს დავივიწყებ „ლიტერატურულ საქართველოში“, „მწაპნელებისგან“ რომ მიცავდით...

სხვათა შორის, ეს „წაპნა“, დრო და დრო, მერეც გრძელდებოდა, ოღონდ ერთ შემთხვევაში ცოდვას ვერ დავიდებ და ერთ დიდად ნიჭიერ მგოსანზე ეჭვს არ მივიტან, „მწაპვნელობას“ იგი, აბა, როგორ იკადრებდა, მაგრამ არც ის მინდა მავანმა იფიქროს, რომ მე კი ასეთი ხელცივობის მკადრებელი ვარ, რის უარსაყოფად უბრალოდ თარიღებს მოვიშველიებ:

1982 წელს დაწერილ და 1991 წელს აწყობილ და „შავზე შავ წიგნში“ შეტანილ „საით მიექანება ქართულ თეატრში“ ასეთი ფრაზა მაქვს (გვ. 433):

„ძველად ამბობდნენ, ყველა გზა რომისკენ მიდისო. მე ვფიქრობ, რომაელები ცდებოდნენ: ყველა გზა მიდიოდა (და მიდის!) სასაფლაოსკენ!“

„ლიტერატურული საქართველოს“ 1992 წლის 23 ოქტომბრის ნომრის მე-7 გვერდზე კი შეგიძლიათ ამოიკითხოთ:

„ბევრი ვიცხოვრე ქვეყნად,
ცოდნაც მივიღე დიდი.
დიდი ბოდიში, რომო,
ყველა გზა საფლავში მიდის...“

როგორც ხედავთ, დიდებული ნათქვამია პოეტურად, მაგრამ არც მისი ადრინდელი პროზაული ვარიანტია, ფრთიან აზრს სულ ერთიანად მოკლებული... ასე რომ, შეგვიძლია ვიეარაუდოთ, ეს ორი „გენიოსის“ უცაბედი დამთხვევაა, მიუხედავად იმისა, რომ იმ წლებში „საით მიექანება ქართულმა თეატრმა“ არა ერთი ცნობისმოყვარე მკითხველის ხელში გაიარა, არა ერთი თეატრი მოიარა, ჯანსულ ღვინჯილიას „ცისკრის“ და რევაზ მიშველაძის „კრიტიკის“ რედაქციების კარებზეც დაკაკუნა, მაგრამ არც ერთმა და არც მეორემ თავიანთ ფურცლებზე უღვინო სუფრაც არ გაუშალა...

ჰოდა, საერთოდ, აბა როგორ არ დავეჭვდე ჩემს სამწერლო მოწოდებაში, როგორ არ ვიფიქრო ჩემს შემოქმედებით უნა-

ყოფიობაზე... ასე რომ არ იყოს, ნუთუ ხუთასიდან ერთი მწერალი მაინც, ერთი კრიტიკოსი მაინც, აქამდე არ გამოჩნდებოდა, რომელიც... რომელიც...

„შავ წიგნს“ პრესაში ხომ არ გამოუჩნდა და არ გამოუჩნდა არც მაქებარი და არც მაგინებელი, მაგრამ, ძნელად ასაწერი — არა უქაღალდობის გამო! — იდეური ტანჯვა-წამების შემდეგ, 1989 წელს დასტამბულ „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“-სთვის ოციოდე სტრიქონი მაინც რომ მიეძღვნათ, რომელზეც თქვენ, დაბეჭდვამდე, „განათლებისთვის“ განკუთვნილ რეცენზიაში ასე წერდით:

„სამწუხაროდ, მათ („შავ წიგნს“ და „Длинное письмо“-ს) ჯერჯერობით არ ღირსებიათ ტიპოგრაფიული ნიშნებით აწყობა და, მხოლოდ თვითგამოცემის წესით დაბეჭდილნი და ქსეროქსით გამრავლებულნი, გადადიან ხელიდან ხელში. არადა, უნდა გამოიცეს, ვინაიდან ეს წიგნები არიან მართალი, საჭირო და საინტერესო წიგნები. „ვრცელი უსტარიც“ ამ ტიპის წიგნია — ტკივილიანი, მწარე, დაურიდებელი სიტყვა ცხოვრების ათას დარჯაკგამოვლილი პატიოსანი ლიტერატორისა... ეს გახლავთ საინტერესო ავტორის საინტერესო ნაწარმოები, რომელიც თავიდან ბოლომდე გაუნელებელი ინტერესით იკითხება. შეიძლება ითქვას, რომ ამ წიგნში პუბლიცისტი კიტა ბუაჩიძე ტოლს არ უდებს დრამატურგ, უფრო ზუსტად — კომედიოგრაფ კიტა ბუაჩიძეს: იუმორი, ირონია, სარკაზმი შეზავებულია ვრცელი და მრავალმხრივი ფაქტობრივი მასალის ღრმა და მახვილ ანალიზთან... ავტორმა ეს წიგნი ქართულადაც უნდა დაწეროს, ხოლო გამომცემლობებმა მათი დაბეჭდვა ითავონ... მერწმუნეთ, არ წააგებენ — ეს წიგნი (რუსული და ქართულიც) ორ დღეში სანთლით საძებარი გახდება წიგნის ბაზარზე“.

ისე აგიხდეთ ყველა სურვილი, როგორადაც მაშინ ეს თქვენი წინათგრძნობა ახდა: ამ „უსტარზე“ პოლიტბიურის ერთ-ერთი წევრის მიერ (ო, ცილს ვერ დავწამებ, ის „ერთ-ერთი“ ედუარდი არ გახლავთ!) ამ ჩემს ნაშრომზე გამოთქმული საქებარი აზრით გათამამებულმა და ბორკილაყრილმა ლუკა ხუნდაძემ ივაჟკაცა და „Письмо Астафьеву“ ასიათასიანი ტირაჟით გამოსცა, რომელიც ორ დღეში არა, მაგრამ ორ კვირაში კი მართლაც საძებნელი გახდა: ზოგიერთი თბილისელი ათ-

ათ ცალობითაც ყიდულობდა და თავიანთ ნაცნობ-მეგობართ სიამაყის გრძნობით უგზავნიდა მოსკოვში, ლენინგრადში, კიევში და ბევრ სხვაგანაც, წაიკითხეთ და... ახლაც იტყვით, ქართველები სალანძღავი ხალხიაო?!

(ისე კი, რა „საქებარი" ხალხიც ჩვენ ვიყავით, მე ეს, რასაკვირველია, „ასტაფიევის" დაწერამდეც მშვენივრად ვიცოდი, მაგრამ არაქართველისგან ჩვენს დაცინვა-დაწიხვლას განა მოვითმენდი, ავიტანდი და მივუტევებდი?!).

თავი ძალიანაც რომ მოვისაწყლო, ფაქტს სად გავექცე? საბჭოთა კავშირის რჩეულ მკითხველთა საზოგადოებაში, ქართველი მწერლის მიერ პუშკინის ენაზე დაწერილი და უკვე წიგნად გამოსული „Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву" 1989 წელს ლამის ბესტსელერად იქცა: საიდან არ მთხოვდნენ და, ზოგჯერ, რა კურიოზულ საჩუქარს არ მიგზავნიდნენ, რომ ეგზემპლარი მიმეწედინა; ერთმა ქალაქ ნახოდკიდან, მართლაც ცხრა მთას იქით რომ მდებარეობს, იაპონიის ზღვასთან, ჟენ-შენი და „Пихтовое масло"-ც კი გამომიგზავნა: პირველი, როგორც იტყვიან, უკვე გავიხმარე, მეორესთვის კი ჯერ ხელიც არ მიხლია და შემიძლია გისაჩუქროთ „საარქივოდ", თუკი მას იმ ანტისაბჭოთა წიგნების გვერდით მოათავსებთ, რომლებიც ამ თორმეტიოდე წლის წინათ გინობათეთ, როგორც ეჭვმიუტანელ საბჭოთა ადამიანს, ჩეკისტებისგან, „შავი წიგნის" გამო, ყოველ ღამე, „პერესტროიკის" დამკვიდრებამდე, ჩხრეკა-დაჭერას რომ ველოდებოდი...

დიახ, მადლობისა და მოწონების წერილები და ავტოგრაფით შემკული წიგნები ვინ აღარ გამომიგზავნა: ლენინგრადიდან პოეტმა მიხეილ დუდინმა, მოსკოვიდან პოეტმა რიმა კაზაკოვამ, სერგეი მიხალკოვმა, კრიტიკოსებმა: ლევ ანინსკიმ, სტანისლავ რასადინმა, ალექსანდრე ბორშჩაგოვსკიმ, ევგენი სიდოროვმა (ამჟამად რუსეთის ფედერაციის კულტურის მინისტრია), ვლადიმერ ლაკშინმა, ასტაფიევის ახლო მეგობარმა, ჟურნალ „Москва"-ს რედაქტორმა ვლადიმერ კრუპინმა („Это не письмо, а труд!"), ჟურნალ „Книжное обозрение"-ს რედაქტორმა ავერინმა, ვორონეჟიდან გავრილ ტროეპოლსკიმ, ზოგის გვარი კი, ასე სახელდახელოდ, ველარ მომიგონებია, მაგრამ რუსეთის სინდისად წოდებულ, აკადემიკოს დიმიტრი

ლიხაჩოვისას, აბა, რა დამავიწყებს, რომლისგანაც საერთო სათვალავში სამი წერილი და ორი წიგნი მივიღე, ანდა მეორე აკადემიკოსისას, ოღონდ, გთხოვთ, მის პიროვნებას არა დღევანდელი, იმჟამინდელი საზომით მიუდგეთ: მიუხედავად იმისა, რომ ჩემი „გრძელზე გრძელი უსტარი", არსებითად იმდენად არა ასტაფიევის, რამდენადაც უფრო საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგაა მიმართული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს იდეოლოგიის დარგში, პოლიტბიუროს წევრმა ალექსანდრე იაკოვლევმა, ქართველი ინტელიგენციის ვიწრო წრესთან შეხვედრისას, 1988 წლის თებერვალში, განაცხადა (ამის მოწმეა ჭაბუა ამირეჯიბი, არსებობს აგრეთვე ამ შეხვედრის სრული ჩანაწერი ტელეფირზე): „Ответ очень интересно написан... Скажу я: очень талантливо... Я его прочитал с большим интересом... Я сначала только хотел послать обычно, но пока страницу прочитал — страшно интересно, дальше еще интереснее и так до конца... И так оставил у себя".

ჰოდა, თუ არ გაგიჭირდებათ და, ვე მგონია, არ უნდა გაგიჭირდეთ, ისიც წარმოიდგინეთ, საკავშირო ცეკას კომენდატურაში, სადაც ყოველ დღე თვითდინებით (самотек) ასობით ბანდეროლი შემოდის, ვილაც ბუაჩიძის „Длинное письмо" შეერჩიათ და იგი პოლიტბიუროს წევრის რამდენ ხელქვეითს უნდა წაეკითხა, რომ საბოლოოდ საბჭოთა კავშირის, გორბაჩოვის შემდეგ, მეორე კაცის კაბინეტში საწერ მაგიდაზე დაედოთ, როგორც რაღაც დიდმნიშვნელოვანი...

არადა, მათგან, აბა, ვის ეცოდინებოდა, რომ მოგვიანებით, თბილისში, იაკოვლევთან შეხვედრისას, ჭაბუა ამირეჯიბი, საუბარში, სიამაყით ასეთ რეპლიკას ჩაურთავდა:

„— Чингиз Айтматов считает, что это исторический документ".

ცხადია, არც ის ეცოდინებოდათ, რომ სომხების დედად მიჩნეული სილვა კაპუტიკიანი, სომხებიდან ყველაზე ცნობილი პოეტი საბჭოთა კავშირში, მაჩაბლის ცამეტის მისამართით, მისთვის სრულიად უცნობი ავტორის სახელზე დეპეშას აფრენდა ერევნიდან:

„С наслаждением читаю Ваше длинное письмо..."

მიაქციეთ ყურადღება: „прочла", „прочитала" კი არა, —

„читаю“, ესე იგი, რას იზამ, ძალაუნებურად იუმორგარეეით თუ იფიქრებ, კითხვისას ისე აღტაცდა, დამთავრებას აღარ დაუცადა, ფეხი დაჰკრა და... ჰერი, ჰერი, ფოსტისკენ, ფოსტისკენ!

დიახ, ეს სომეხმა მწერალმა, შენიანებმა კი, ქართველმა მწერლებმა არათუ დეპეშა, არც ერთმა, არც ერთმა...

თუმცა არა: იმხანად ბაზალეთის ქუჩაზე შემთხვევით ირაკლი აბაშიძე შემომხვდა და... ო-ო, ვიდრე ამას გიამბობდეთ, პაწაწკინა „პრეისტორიას“ გაგაცნობთ: ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობა სულ რაღაც რამდენიმე წელიწადს მოიცავდა, მაგრამ ეს „რაღაც“, დიდზე დიდი მანძილია, როცა შენ თხუთმეტისა ხარ, ის კი უკვე ქალებში „დაგულაობს“, — ოცისაა და როგორც თითქმის უკვე ცნობილი პროლეტარული პოეტი შენს უფროს ძმას, უკვე უთითქმისოდ ცნობილ და მეხდამტეხ პროლეტარულ კრიტიკოსს, ბენიტო ბუაჩიძეს ემეგობრება, და მას, ამის მერეც — მერეც, სიბერეშიც არ ავიწყდება, ძალზე ხშირად კუჭშიმხმარი ყმაწვილი როგორ ელრიტინებოდი ხოლმე:

— რა იქნება, თუ გაქვს, მომეცი შაური, ჰონჩიკს ვიყიდი...

ადამიანურად ეს ბევრ ხანმოთეულსაც სჩვეია იფიქროს, ამ დროის განმავლობაში იგი, ო, რა უსაშველოდ გაიზარდა, შენ კი, მის მეხსიერებაში, ისევ „მომეცი შაურის“ დონეზე დარჩი... ამიტომ არც გამკვირვებია, როცა ირაკლიმ, გაქილიკების მოტრფიალემ, განგებ გაოცებით მკითხა:

— კიტა, ბიჭო, მართლა შენ აუწვი კუდი ასტაფიევს? ის წიგნი მართლა შენ დაწერე?

— მე არა, გრიგოლ აბაშიძემ, — მოსაჩვენარი სერიოზულობით დინჯად ვუპასუხე, რაკი ვიცოდი (და ეს ვინ არ იცოდა!), ამ ორ აბაშიძეს ერთმანეთი გულზე არ ეხატებოდათ.

— კაი ერთი, გრიშა რა ამის დაჰწერია?! ისე, მაინც, ბიჭო, რა კაი რუსული გისწავლია ციხეში!

— ციხეში, შე კაცო, რა რუსულს ვისწავლიდი, მთელი შვიდი წელიწადი ყურში სამად სამი უცენზურო სიტყვა ჩამესმოდა... ეს კია, რუსულად მოლაპარაკენი მათ ექვსიეე ბრუნვაში ისეთი ლინგვისტური ოსტატობით აბრუნებდნენ და მათი შემწეობით არცთუ უბრალო აზრებსაც ყველასათვის ისე გასაგებად გამოთქვამდნენ, ნიკო მარსაც შეშურდებოდა.

ამის დამადასტურებელი ორიოდე „თვალსაჩინო“ მაგალითიც მოვიყვანე, „პალესტინა, პალესტინამ“ ჩაიხითხითა და, ალბათ, ასე იოლად გონმისაწვდომი „გლახათლებისთვის“, მადლობის ნიშნად, მხარზე ხელი დამკრა, რაც მისი ახოვნებისთვის ძნელი არ იქნებოდა, თუკი ჩემს „ახოვნებასაც“ გაითვალისწინებთ.

— კი, მაგრამ, იცი შენ მაინც, რა დაწერე, რა გააკეთე?

მე ირაკლის ისე ავხედე, თითქოს ძართლაც არ ვიცი რა დავწერე და რა გავაკეთე, და რომ ბევრად ადრე „ასტაფიევის“ წიგნად დაბეჭდვამდე, მასზე არც აკადემიკოს დიმიტრი ლიხაჩოვის, არც პოლიტბიუროს წევრის ალექსანდრე იაკოვლევის და ბევრ სხვათა დადებით აზრზე ვიოთომ არც არაფერი მსმენია რა. კერძოდ, ვითომ არც ის გამიგია, რომ ჩვენი ეპოქის ისტორიაზე დასპეციალებულმა რიი მედვედევმა, ჩემთვის შეუტყობინებლად და ჩემთან შეუთანხმებლად, ცხადია, თავის მოსაზრებათა გასამაგრებლად (მოლოტოვთან დაკავშირებით), დიდი ნაწყვეტი ამოიღო ჩემი, ჯერ კიდევ თითქმის არალეგალურად მიჩნეული ხელნაწერიდან და ბოლოთავსა ორი მილიონის ტირაჟის მქონე ჟურნალ „Юность“-ში, (მოგვიანებით შეიტანა წიგნშიც — „Они окружали Сталина“).

— არა, დაწერით ასტაფიევზე ჩვენც დავწერთ, სამმა კაცმა გეერდნახევარი, მაგრამ „დლინი პისმოსთან“ რას მოვა, რომლითაც ქართველებს არა მარტო რუსების, სხვა ხალხების თვალშიც, სახეზე ჩამორეცხე ამ ციმბირელის ნასროლი ლაფი და... ყოჩაღ შენ! — და ამ თითქოს უკვე ჩამოწმენდილ ლოყაზე, ლამის როგორც პატარა ბაეშვს, ღიმილით ხელი მომითათუნა, — დედა, დედა, ასე რავა გამომეპარა, რამხელა „პონჩიკი“ გაზრდილხარ თურმე!.. აფსუს, საწყალი ბენიტო, რა ნიჭის კაცი იყო!.. არშარუნმა დაღუპა, დაღუპა ამ სახეძაღლმა...

დიახ, ასე კაზმულად შემაქო, მაგრამ დაწერით არაფერი დაწერა და ამისთვის ვერც დაემდურები: თავის ცოცხალ კოლეგებზეც კი, რამდენადაც მახსოვს, ის, საერთოდ, არაფერს წერდა, მაგრამ...

ხუთასიდან სხვა მწერლებს და კრიტიკოსებს, მით უმეტეს პროფესიონალებად რომ ითვლებიან და...

საბაბი, სულ მცირედიც თუ მიეცათ, ნაცნობ ავტორს, მე-

გობრობით თუ „ისე“, ხოტბის სიტყვებს ხოშკაკალასავით რომ მიაყრიან...

ჰოდა, თუკი ერის სახეზე მართლაც ლაფის ჩამომრეცხი წიგნი გამოიცა, თანაც რუსულ ენაზე

(დასტურ, საქართველოში ეთერ გუგუშვილია ერთადერთი, რომელმაც, მიუხედავად ჩემზე მრავალწლიანი მომდურავობისა, „ასტაფიევს“ მშვენიერი წერილი მიუძღვნა გაზეთ „ЗАРЯ ВОСТОКА“-ში), —

რაღა მაინცდამაინც ახლა შეახმათ პასტა?!

ო, არა, პასტა სულაც არ შეხმიათ, მაგრამ ვინაა მათთვის ვილაც კიტა ბუაჩიძე, რა პირადი ურთიერთობა აკავშირებთ მასთან, თავიანთ მარაქა-საკრებულოში იგი ხომ, არც აბალგაზრდა, არც ხნიერი, არასოდეს უნახავთ და...

პირადად გ ვ თ ხ ო ვ დ ე ს მაინც, ჩემზეც დაწერეთ რამეო!

არადა, რაკი ჩვენში, ვთქვათ, ლირსეულზეც, უძმაკაცურად, უთხოვნელად არაფერი იწერება, ერთი მითხარით, აბა, როგორ არ მივუსადაგო სამშობლოსათვ ს დაჭვარ ამ ერისკაცებს, პოლონეთის ოციან-ოცდაათიანი წლების, სტალინის მომსგავსო დიქტატორის, იუზეფ პილსუდსკის მწარე გამონათქვამი, რომლითაც მან ერთხელ, გაგულისებისას, სეიმის წევრებს მიაძახა:

— Фсиште йестесче курвами, Паньство!

(ამის თარგმანი თეატრალური „ბოლვაწვების“ ერთი ნაწილის მიმართ გაგზავნილ ბარათში უკვე მოვიყვანე, ასე რომ, მეტჯერ საამისოდ თავის შეწუხებას არ ვაპირებ).

გაკვრით, როგორც საქართველოს მთავრობის წევრს, იმასაც მოგახსენებთ, რომ ქართველებს სახეზე ეს ლაფი უფრო ადრეც ჩამოერეცხებოდათ, საამისოდ ხელშემწყობი დროულად რომ გამომჩენოდა: 1988 წელს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნებმა, ჯუმბერ პატიაშვილმა და რუგზარ ფოფხაძემ, გაეცნენ რა „ასტაფიევს“ და — არ ვაჭარბებ, — მყის დატყვევდნენ, მისი ს ა ს წ რ ა ფ ო დ გამოცემა „მერანის“ დირექტორს გურამ ვეერდწითელს დაავალეს, და მეც, რა გასაკვირია, სიხარულით ცას ვეწიე, მის დაბეჭდვას აწი, აბა, წინ რაღა და ვიღა დაუდგება-მეთქი და...

ჰოდა, როდესაც რესპუბლიკის დედოზარის ამ ჩამოკვრიდან გავიდა ერთი დღე, გავიდა სამი დღე და მთელი კვირაც, არადა,

გამომცემლობიდან არათუ „სასწრაფოდ", საერთოდაც არავინ მეძახის, მეც ავდექი და მიუპატიჟებლად ბატონ გურამის კაბინეტის კარები, ცეკათი ზურგგამაგრებულმა, მაგრამ რაკი ვიცოდი რა ქვეყანაშიც ვცხოვრობთ, ყმის მოკრძალებით შეეაღე და...

თუმცა იმ დროიდანაც კი, როცა „ვერანს" ჯერ კიდევ „საბჭოთა მწერალი" ერქვა, თავის საბატონოში პირველად მხოლოდ ახლა მიხილა, და მაინც, ამ პირველი ხილვა-გაცნობისასაც, კრიტიკოს-გამომცემელს სახეზე ღიმილის ნასახიც არ აესახა და ახალგაზრდა „ბარიშნას" თვალებით თუ შეხედავდით, საკოცნელი ბაგე-ტუჩებიდან, თავისი მდიდარი კრიტიკული არსენალიდან, ერთი, ერთი ნელთბილი სიტყვაც არ გაიმეტა ამდენ ჭირგამოვლილ „ასტაფიევის" რაიმე ლიტერატურულ თუ საზოგადოებრივ, თუნდაც ერთ ღირსებაზე მაინც, და წარბშეკრულმა, თითქოს 1937 წელს სპეცკოლეგიის თავმჯდომარის, ერვანდ თათუზოვის „ტროიკის" წინაშე ვმდგარიყავი, მოკლედ „მომახარა", იმ მომენტში ჩემს მდგომარეობაში მყოფისათვის, არცთუ სიმბოლური სადახვრეტო განაჩენი: ამის გამოცემით რუსებს ვაწყენინებთ, რის შესახებაც მე ცეკას ვაცნობებ და მოვახსენებო.

ეჰ, ამას რა დიდი ექსტრასენსური განჭვრეტა უნდა, უკვე მოხსენებულიც ექნებოდა, ცეკა კი, ასეთი საშიში სიგნალ-გაფრთხილების შემდეგ, რუსეთის განაწყენებას საქართველო რომ დარჩენოდა ნაწყენი, ცხადია, ამას უფრო ამჯობინებდა და... ეერც გაამტყუნებდი, — „ერთი" პოეტის თქმისა არ იყოს, „დრო ალნიშნე, დრო!"

დრომ კი, როგორც ზემოდან ჩემი მონაყოლიდან უკვე იცით, ფრიად ნათლივ აჩვენა, რომ „ასტაფიევს" რუსები არათუ წყენით შეხვდნენ და არათუ მხოლოდ მათ მოფხანა გული, — არა რუს პატარა ერებსაც, რომელთა ორი გამოჩენილი წარმომადგენელი, კაპუტიკიანი და აიტმატოვი, დაგისახელეთ კიდეც, დანარჩენები კი, — არა, ჩვენში მათი ნაკლებცნობილობის გამო.

ამას წინათ ბევრი ვიფიქრე თუ ცოტა, სწორედ წიგნის გამოცემის თაობაზე დავაპირე თხოვნით ბიმემართა გურამ ფანჯიკიძისთვის, რომლის ძველი და უახლოესი მეგობარია გუ-

რამ გვერდწითელი, ოღონდ ესეცაა, როცა ისინი თავიანთ საშუშაო კაბინეტებში იმყოფებიან, გურამ მეორე გურამ პირველის ხელქვეითია, და მაინც გადაეიფიქრე: ამ ჩემმა ვედრების ბარათმა, ვაითუ წინანდელივით, თავი იმის მაგიდაზე ამოყოს, ვისაც „ეუჩიეი", რაიც, კომუნისტების დროს თუ გავიხსენებთ, „На Ваше усмотрение"-ს რეზოლუციას წააგავს, ესე იგი შეგიძლია თავი არ შეიწუხოო.

მოვიგონოთ ისიც, რომ გურამ გვერდწითელმა „სისხლის წვიმების დროს" ცეკას მდივნები დაარწმუნა პოლიტიკურ ახლომხედველობაში და... ახლა — ვისთვის უქალალდობისას! — ძმად შეზრდილის „უსმატრენიეს" გაუწევს რაიმე ანგარიშს?!

სამოდე წლის წინათ ვიქტორ რცხილაძემაც სთხოვა, ორი სართულით მის ქვემოთ მოღვაწე ჯანსუღ ღვინჯილიას, რამენაირად გამოეცა ჩემი პუბლიცისტური ნაწერები, ბოლოდროინდელი მაინც, და ოციანი წლების გამომცემელ თომა ჩიქვანაიასავით დიდად პატივსაცემმა, ეროი პირი თანხმობა თითქოს მისცა კიდეც, მაგრამ... თუ აქ მდაბიურ ქართულში დამკვიდრებულ რუსულს გამოვურევ, ორი „სუტკაც" არ იყო გასული, რომ თავი ამისგან შორს დაიჭირა.

გასართობად იმასაც გაგანდობთ, რომ ამ „სუტკიდან" მრავალი დღე-ღამის გასვლის შემდგომ, ვიქტორმა... არ ვიცი ჩემს შესაძლო სკლეროზს დაეყრდნო თუ თავად მას უღალატა მეხსიერებამ, ეს კია, ბრალდებასავით წამომიყენა, თქვენ მაშინ ტირაჟი გეცოტავათ და გამოცემაზე თვითონვე თქვით უარიო...

ესე იგი, არსებითად, ფეთხუმად გამომიყვანა, რაც, საერთოდ, შეიძლება, მართალიც არის, ოღონდ არა ამ შემთხვევაში: განა რა მაგდენი „თომა ჩიქვანაია" მეძალებოდა, არა, ჩვენ გამოგიცემთ, არა, ჩვენ გამოგიცემთო, და რა ისეთი დაბდური და ლენჩი ვიყავი არ მცოდნოდა, იმხანად ნაბეჭდი ლიტერატურა, გარდა პორნოგრაფიულისა, გინდ შეგელოცა, არ იყიდებოდა და არც ამხანად იყიდება და... ტირაჟზე დავიწყებდი ჭოჭმანს და ვაჭრობას?! ასეც არ იყოს, — პირდაპირ სასაცილოა! — ტირაჟამდე ვინ მიგიშვა სალაპარაკოდ?!

სხვათა შორის, ჯანსუღ ღვინჯილიას მე მხოლოდ ტელეეკრანიდან ვიცნობ, ის კი მე — არანაირად, მაგრამ როდესაც

მისი სიცოცხლე წკიპზე ეკიდა და საოპერაციოდ კანადას უნდა გაემგზავრებინათ, მის მკურნალ ექიმს, ლია მარწყვიშვილს, შიშის ეჭვი ღრღნიდა, კანადა კი არა, ვაითუ მოსკოვამდეც ვერ ჩავაღწიოთო, და როცა, იმდენად არა ღვთის, უფრო, მგონი, იმჟამად კანადაში მცხოვრებ ქართველი ებრაელის შეწევნით, მეორე სიცოცხლეს ნაზიარები დაგვიბრუნდა, მისი არა ნათესავებიდან, როგორც ქართველმა, ერთ-ერთმა პირველმა მეც გავიხარე, რადგან ეს შორეული გადაფრენა ტრაგიკულად რომ დამთავრებულიყო, ამით საქართველოს ბევრი რამ...

მოდით, წინასწარმეტყველობას აქ დავუსვათ წერტილი, ისე კი, საერთოდ, ს ა ე რ თ ო დ, ბედნიერებაა ქვეყნისათვის, თუ მის გამორჩეულ შვილს ნიჭიერებასთან ერთად კაცობაც ამშვენებს, და რა სამწუხაროა, რომ ცხოვრებაში ეს ერთდროულად არცთუ ხშირად გვხვდება ხოლმე.

ახალი წლის წინა დღეებში, „დალხინებული სამწერლო ცხოვრებისგან", ექვსლარიანი წამლებუქონელ პენსიონერს, სტენოკარდიამ მთელი სიმძაფრით შემომიტია და მიქელგაბრიელთან პირისპირ ჭიდილში იმ უბრალო, სადა, მარტივ ჭეშმარიტებამდე მივედი, რომ სულ ტყუილია, სულ ერთიანად მოგონილია, მტკნარი აბსურდია, არაბუნებრივი და არაადამიანურია საყოველთაოდ ცნობილი ლეგენდა იმაზე, თითქოს დიდი ადამიანები, სიკვდილის უკანასკნელ წუთებში, საშთამომავლოდ სამარადისო რაიმე სიბრძნეს აღმოთქვამენ ხოლმე.

ო, ყველა ეს „უკანასკნელი ამონათქვამი", თუნდაც, აი, როცა კოცონზე იწვოდა იან ჰუსი და თვალი მოჰკრა, ერთი დედაბერი როგორ აყრიდა ცეცხლზე ფიჩხს, რათა ის კიდეე უფრო გაძლიერებულიყო და ერეტიკოსი მალე დამწვარიყო, ჰუსმა წამოიძახაო, „ოი, წმინდაო გულუბრყვილობავ!" ანდა სხვა, მაგრამ არა ანალოგიურ შემთხვევაში, გალილეო გალილეის „მაინც ბრუნავს, მაინც ბრუნავს!", მათთვის, დროთა განმავლობაში, მიწერილია მადლიერი შთამომავლების მიერ.

ეჰ, იმ წუთებში, აბა, ვინ ფიქრობს აძაზე და ვის სცხელა ამისთვის!

რა ეროვნებისაც არ უნდა იყვნენ ეს დიდი ადამიანები და უამისოდაც მართლაც უკვდავნი, მათი უკანასკნელი ამონაკვნესი იქნებოდა, არის და მუდამც იქნება ის, რაც ამ ერთ ქარ-

თულ ხალხურ სტრიქონშია პარადოქსული გენიალობით ჩაქსოვილი:

— თუ სიკვდილი მეწერა, რისთვის მშობე მშობელო...

მე გთხოვთ, „ოდესღაც" ჩემო ნაშეგობრალო თამაზ, ისეთ სულელად ნუ ჩამთვლით, ვითომდა ჩემი პერსონა დიდ ქართველად მიმაჩნდეს, ოღონდ ეს კია, ღიახაც ასეთი რომ ვიყო და სიცოცხლესთან გამოთხოვებისას თავს თუ მოვერეოდი, თ უ მ ო ვ ე რ ე ო დ ი, ჩვენი დღევანდელი დემოგრაფიული მდგომარეობა, ჩვენივე ეროვნული უჭკუობიო

გავიხსენოთ ვაზგენი:

„ქართველებს რომ შეეძლოთ, ნახევარ ბავშვს გააკეთებდნენო..."

„Грузины, подобно корякам и чукчам, вымирающая нация)", —

ისეთი ტრაგიკული და კატასტროფულია, სიკვდილის წინ უეჭველად წავიბუტბუტებდი:

— დარდი მიმყვება საქართველოსი...

„შავზე შავი წიგნის" გამოუცემლობაც ამ დარდის ერთი შემადგენელი ნაწილია, რადგან ის, მისი წინაპრის, „შავი წიგნისა" არ იყოს, უმთავრესად იმ საკითხებს ეხება, რომელთა გამო, სულ ცოტა, უკვე შვიდი ათეული წელიწადია, ეროვნული სისხლისგან წვეთ-წვეთობით, დღითი დღე ვიცლებით, ვიწრიტებით, და თუ თქვენ, როგორც მინისტრი და ლიტერატორი, გულით მოინდომებთ და ამ ს ა ე რ ო წიგნის გამოცემის საქმეს წარუძღვებით, ამით, მერწმუნეთ, დღევანდელი საქართველოს საუბედურო ისტორიაში უფრო დამშვენებული შეხვალთ, ვიდრე 300 „უნივერსიტეტიანი", „უგანათლებულესი" საქართველოს განათლების მინისტრობით, მე კი ამით ისე გამახარებთ და სიცოცხლეს ისე გამიხანგრძლივებთ, რომ შეგეძლებათ შარშანდელი უგულისყურობა გამოასწოროთ და 1996 წლის 31 დეკემბერს თქვენი სასიამოვნო, დრამატული ტენორი ტელეფონით გამაგონოთ:

— მოგილოცავთ ახალ წელს — კიდევ უფრო
მიახლოებას უკუნეთთან!

ო, ელდა მე ამით სულაც არ მეცემა, მე რეალისტი ვარ და მეტად დავალებული ვიქნები იმისთვისაც, რომ სასიცოცხ-

ლად მოელი ერთი წელიწადი მისაჩუქრეთ, რათა „შავზე შავი“ თეთრ ყდაში მეხილა, რომლის პირველი ეგზემპლარი, რასაკვირველია, მოგეძღვნებათ თქვენ, სამშვილიანს, ეჭვმიუტანელი სამადლობელი წარწერით...

ო, ეჭვის მიტანაზე გამახსენდა: ამ ათი-თორმეტი წლის წინათ ლიტფონდის აწ განსვენებული თავმჯდომარის, ამირან გაბესკირიას კაბინეტში, საწერ მაგიდაზე ახლად გამოცემული წიგნი ვიხილე, რომლის ავტორისეულმა წარწერამ როგორღაც გამაკვირვა: ჩვეულებრივ „ამას და ამას და ასეთს და ასეთს“ მოსდევდა:

მართლა პატივისცემით კობა იმედაშვილი

დიახ, მე სწორედ ამ „მართლამ“ შემაცბუნა... არადა, ვერც გაამტყუნებ: ისე გაიაფდა, ისე დაეცა ჩვენში ურთიერთ პატივისცემა და ისე აღზევდა ცბიერობა და ორპირობა, ჭეშმარიტი პატივისცემის დასადასტურებლად გიხდება კაცს „მ ა რ თ ლ ა ს“ მოშველიება!

საბედნიეროდ, არაფრის თავმჯდომარე მე არა ვარ, მით უმეტეს ლიტფონდის თავმჯდომარე, რომ ჩემგან ვინმე ქვეშხეთის უფასო საგზურს მოელოდეს ანდა ფულად დახმარებას, ასე რომ, თუ თავის წიგნს ავტორისეული წარწერით გამოგიგზავნის ლიტერატურულ სამყაროში ისეთი ცნობილი პიროვნება, რომელიც შენზე არ არის დამოკიდებული, არაფერში შენ მას არ ჭირდები და არც ოდესმე დასჭირდები, თანაც არავითარი ახლო ნაცნობობის ძაფი არ გაერთიანებთ და მხოლოდ ერთხელ, ოცი წლის წინათ, გასაუბრებიხარ გაგრაში, — ცხადია, მის შენდამი გულწრფელ პატივისცემაში უ-„მართლოდაც“ არ დაეჭვდები და ნობათს ჩისას, შეიძლება, დაუმსახურებლადაც კი შერაცხავ:

ბატონ კიტა ბუაჩიძეს,
ქართული ლიტერატურის მშვენებას,
უკვდავ მწერალსა და პიროვნებას
უღრმესი პატივისცემით და მოკრძალებით —
ჭაბუა ამირეჯიბი
თბილისი. 18. 10. 95.

აი, კიდევ ერთიც, ოღონდ ცოტა სახუმაროდ, რომლის მო-

მძღვნელს ახლოს გასაცნობად ღა საბაასოდ, ჩემდა სამწუხაროდ, ჯერ არასდროს შეეხვედრივარ:

„ვეფხისტყაოსნისა“ და ვეფხვების ქვეყანაში
სასწაულებრივად გადარჩენილ ვეფხს —
ბატონ კიტას ნიშნად დიდი პატივისცემისა
და ქრისტესმიერი სიყვარულისა.

ვახტანგ გურგენიძე. 24. 02. 95.

ო, ნუ, ნუ! მე ნუ მკითხავთ, ჭაბუა ამირეჯიბისა და ვახტანგ გურგენიძის ამ ბაჯაღლო ოქრო სიტყვებიდან თუ რამდენს მივიჩენ ვერცხლად, სპილენძად და ფრაჟადაც კი, ეს ჰკითხეთ თქვენთვის კარგად ცნობილ ბატონებს, გურამ გვერდწითელი იქნება ის თუ გურამ ფანჯიკიძე, ვიქტორ რცხილაძე თუ ჯანსუღ ღვინჯილია, შეიძლება ლუკა ხუნდაძესაც, — ჩემი „უკვდავებისა“, „მშვენებისა“ და ჩემი „ვეფხობის“ ნატამალის მაინც თუ სჯერათ,

ჩემი ამ, არცთუ მოსანატრად შესახსენებელ, ლამის უკვე „უხუცესობის“ „მხცოვნობის“, „უკანასკნელი მოჰიკანობისას“, ნუთუ იმის ღირსი არა ვარ, რომ

ჩემი კალმის ერთი მაინც ნამოღვაწარი გამოიცეს ამ არასრული სიიდან:

„შაეზე შავი წიგნი“, ან

„ხალხის მტრის ჩანაწერები ნახევარი საუკუნის მანძილზე (1929—1979)“, ან პუბლიცისტური ნაწერების კრებული:

„სიგლახე არ უნდა შერჩეს არავის,
და არც სიკეთე დაეკარგოს არავის...“

ანდა ქართული თარგმანი წიგნისა:

„Такое длинное, длинное письмо Виктору Астафьеву“.

და თუ არა ვარ ამის ღირსი, ბოდიში თქვენთან და... მაშინ რალა ჩემი ფეხების მწერალი ვარ და... როგორც ასეთს, დიდუბელ ავარა ბიჭივით უკვე ამთავითვე მიმიპურჭყეია თქვენგან (და სხვებისგანაც) ხელმოწერილ ნეკროლოგში ჩემი მწერლური მეობის განსადიდებელ სტრიქონებისათვის, „ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადაო“... მიმიპურჭყეია, ვთქვათ და გაიმეტეს, „დაკრძალვის ხარჯებს გაიღებსო სახელმწიფო“, — ჩვენი დროის „სარაჯიშვილების“ საქართველოში, რომელთა სისხლხორცეული საზრუნავი უფრო ის არის, მა-

ვალითად, მეტრი „რუსთაველთან“ „კოკა-კოლებმა“ სადღეღამისო ყავახანა როგორ გახსნან, ვიდრე რუსთაველის ენაზე ერთი საერო წიგნი გამოსცენ, — ჯერ კიდევ ცოცხალს ამის სპონსორ-გამომცემელი ვერ მიპოვნია, თორემ სპონსორ-გამსვენებელი მერვე დღეს მაინც გამომიჩნდება სანეპიდემსადგურიდან, მაგრამ ამაზე ბევრად თავსატეხი პრობლემაა, სამსულიან, ოროთახიან ბინაში სასახლის დასადგმელი ადგილი რა ეშმაკებით მოინახოს... მიმიპურჭყებია აგრეთვე, თუ დააპირეს, ეგრეთ წოდებულ საუკეთესოდ რომელიმე ქუჩას სახელი შეუცვალონ ჩემი სახელით, რაიც იმ ქუჩაზე მცხოვრებთა მართებულ უთოფო ჯანყს იწვევს, როგორც ეს მოხდა ახლახანს „ბარნოვის“ განკვეთისას... და რაც მთავარია, ო-ო, მიმიპურჭყებია, მიმიპურჭყებია პანთეონისთვისაც, ჩემი პანთეონი კუკიაზეა, — 25 წლის წინათ გარდაცვლილ, წერა-კითხვის დამარცვლითი მცოდნე, მაგრამ ბუნებით გონით საესე დედის გვერდით, რომლის ერთხელ ანაზდად თქმული, —

— შვილი რაც მეტი გეყოლება, მით უკეთესია: ზოგი კაი გამოვა და ზოგიც გლახა, ჭკუითაც, გარეგნობითაც, საქციელითაც, —

ორი წიგნის, „შავისა“ და „შავსე შავის“ წერისას გზას წმინდა კანდელივით მინათებდა.

...დიახ, ნეკროლოგამდე ხალხში წიგნებმა შენმან უნდა გამოგაჩინონ შენ, და არა კრიტიკის ჟარგბადის ბალიშებმა.

მწერლობაში სასიცოცხლოდ ხელოვნურ ჟანგბადს მე პირადად არასოდეს გავკარებივარ და... ვფიქრობ, არც აწი, არც აწი... ოღონდ მოხდეს სასწაული და გამომცენ,

ოღონდ გამომცენ გაუძაღლებლად და წრფელი გულით, და არა იმის იმედით, ვაღოროთ, ვაღოროთო ეს ბებრუკა და... ამასობაში — ღმერთი იყოს ჩვენი შემწე! — ვინ იცის, იქნებ მოიხმოსო კიდეც სასუფეველსა თვისსა...

ჩემთვის თვალის ახვევა არც ისე იოლია, ასე რომ, ეს თუ ვიგრძენი, პოლონურიდან ერთხელ კიდევ ვთარგმნი და მიეახლი მათ სახეში იუზეფ პირწუწკის სეტენციას:

— Фсиште йестесче курвами, Паньство!

კიტა ბუაჩიძე

10 იანვარი, 1996 წელი.

ბოლო ორი სიტყვა

ჩემო ძვირფასო მკითხველო, თუმცა ეს ძნელზე ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სასწაული, საბედნიეროდ, მართლაც მოხდა; ამის დამამტკიცებელი ნივთიერი საბუთი ახლა სწორედ თქვენს ხელთაა: 14 წელიწადს იჯედაყრილ ტყეეობაში ნამყოფი „შაეზე შაეი წიგნი!"

„ქაჯეთიდან" მისი გამომხსნელი და, საერთოდ, ამ სასწაულის თავიდათავი შემოქმედი კი, როგორც მინისტრი და როგორც ლიტერატორი, თამაზ კვაჭანტირაძეა, რომელსაც, არა ძალდატანებით, — გულით, მხარში ამოუდგნენ „განათლების" დირექტორი ლუკა ხუნდაძე და საგამომცემლო ფირმა „ლამპარის" თაოსანი გია მგალობლიშვილი...

და მე, უნაპირო მადლობის ნიშნად, მათ წინაშე დაბლა ეხრი თავს და, ო, რარიგ მოხარული ვიქნებოდი, თუ ჩემს ამ მადლობას მკითხველთა ნაწილიც შემოუერთდებოდა, დიახ, თუნდ მცირე ნაწილი, რადგან დღეეარღელ საქართველოში ყველასათვის ერთნაირად მოსაწონი „ოხზულება" მხოლოდ დაეით ალმაშენებლის გამოხატულებიანი 100-ლარიანია!

სწორუპოვარ მადლობას მიეაგებ აგრეთვე

ქეთევან ლომაშვილს,

რევაზ კვერენჩხილაძეს,

ვახტანგ დოხნაძეს,

შოთა ვეშაპიძეს,

რომელთა მოამაგეობა, არა მარტო ამ წიგნის ბედის მიმართ, ჩემთვის ნიადაგ ნეტარმოსაგონარია.

1996 წელი.

მაისი,

ა. ბაკურიძე

სარჩევი

ავტორისაგან	3
ჩემო მკითხველო	7
კიდევ ერთი დამატება საბოლოო და უკანასკნელი	9
შავი ქვები და თეთრი კენჭები	64
რა ღირს დაბადება და სიკვდილი თბილისში	124
გვიშველე, მამაუფალო	156
ქეთი, თემურ-ლენგი, კოსმოსა და სხვები	244
ერთშვილიანო ქართველო დედებო, ო, რარიგ მძულხართ	326
დამატებანი	373
საით მიექანება ქართული თეატრი	407

რედაქტორი ქ. ლომაშვილი. სამხატვრო რედაქტორი თ. კარბელაშვილი. გარეკანის მხატვარი თ. შარიფაშვილი. ტექრედაქტორი მ. ოსიტაშვილი. უფრ. კორექტორი ი. დონაძე. კორექტორი ჯ. ცაგურია. გამომშვები რ. გოგიშვილი.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 04. 95. ქაღალდის ზომა 84×108 1/32. ნაბეჭდი თაბახი 32. პირ. ნაბ. თაბახი 26,88. სალებავგამტარება 27,09. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 22, 44. ტირაჟი 3000. შეკვეთა № 490.

გამომცემლობა „განათლება", 380064, თბილისი, გ. ჩუბინაშვილის ქ. № 50.
1996

სააქციო საზოგადოება „ფარნავაზი". თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. № 7.